

ვიკტორ ნოზაძე
Dr. VICTOR NOSADSE

ვეფხისტყაოსანის
ვარსკვლავთმეტყველება

LA SIGNIFICACION DE LA ASTRONOMIA
Y ASTROLOGIA

EN EL EPOS HEROICO GEORGIANO DEL SIGLO XII
por SCHOTHA RUSTHAVELI

“EL CABALLERO DE LA PIEL DE TIGRE”

გამოცემა
ავთანდილ მერაბაშვილისა

სანტიაგო დე ჩილე
SANTIAGO DE CHILE

1957

IN MEMORY
OF
MISS MARJORY SCOTT WARDROP
A DEAR FRIEND
OF THE GEORGIAN PEOPLE
AND
TRANSLATOR OF THE
GEORGIAN EPIC
“THE MAN IN THE
PANTHER’S SKIN”

INTRODUCCION

Con placer y orgullo he aceptado prologar el estudio crítico de la joya literaria de mi patria. “El Caballero de la Piel del Tigre” de Schotha Rusthaveli, escrito por mi compatriota y erudito doctor don Víctor Nosadse, obra publicada, por primera vez, en Chile, y en el idioma de Georgia, país enclavado en el Cáucaso, bordeando el Mar Negro y no lejos del Caspio, en su límite Oriental.

Las raíces de la civilización georgiana hay que buscarlas en lejanos siglos. Existen variadas teorías sobre la nación y la lengua misma georgiana; pero, a pesar de cuando se investiga y difunde, todo el pasado, de este pueblo, vive, misteriosamente, envuelto en la penumbra, adonde se esfuerza por llegar la luz de la verdad.

Sin embargo, puede afirmarse que, la raza georgiana, desciende de los caldeos o súmeros, hittitas, etc., explicándose, así, la riqueza del idioma, por medio de las bellas letras, difundidas por tantos sabios georgianos, en magníficas obras que han surcado, por todas las latitudes. Desde luego, la lengua georgiana es una de las más antiguas, y la escritura georgiana de hoy, debe ser considerada como la más antigua y la más original, ya que sus diseños no corresponden a ninguna escritura conocida, por lo que debe reputarse como básica, nítida y primitivamente original. No hay, en ella, trazos capaces de ser considerados como imitación, parecido o copia de alguna otra escritura antigua, todo lo cual nos indica, pues, que la escritura georgiana está a la cabeza de otras en cuanto a antigüedad y firmeza de expresión.

Desde el siglo 3 – 4, o sea, cuando los georgianos adoptaron el cristianismo como su religión propia, vale decir, oficial, la lengua georgiana se expandió considerablemente, pues las iglesias orientales debían rezar en sus idiomas respectivos, de modo que era menester traducir, los libros religiosos, el georgiano, como también escribir, en este idioma, las obras inspiradas en Geografía.

Muchos consideran como el período inicial de las bellas letras georgianas la etapa comprendida entre los siglos 4 al 7, siendo evidente que, en esos siglos, la fuente de traducción provenía del griego y del asirio, sobre todo del Evangelio y otros libros de la Biblia del siglo V^o; permitiendo el desarrollo de la lengua georgiana a través de varias obras escritas por mis compatriotas de , pudiendo citar la que nos dejó el Padre Jacobo al describir la vida y martirio de la Reina Schuschanika.

Paralelamente al nacimiento de las bellas letras georgianas, sobrevino el interés por ensayos en el campo de la hagiografía, sobre todo de la poesía, fué de tipo original o de simples traducciones, en que sobresale el libro “De los días” de Jvatai Namaki y la propia Ilíada, de Homero. En una misma línea surgió la maciza obra sobre Alejandro Magno, todo lo cual, como es fácil comprender, se remonta a los siglos 5 al 7, según también lejanos testigos.

En cuanto al cultivo de las bellas letras georgianas del siglo 8, se puede decir que todo se limitó al campo romántico, a leyendas de índole guerrera y, más que nada, a la historia patria de Geografía. A la misma época pertenece la famosa obra “Qualila y Damnah” y el advenimiento de la escritura himnográfica, en la que la literatura georgiana es tan rica y

fecunda. Lo mismo puede decirse de la traducción al georgiano de la conocida leyenda hindú “Sabiduría de Bahlavaro”, la que a su vez, con mucha posterioridad, se tradujo al griego y de ahí al latín, para ser difundida, en seguida, por todo el occidente. A este respecto, téngase presente que Georgia, siendo nación cristiana, está geográficamente ubicada en el límite del Oriente Islámico, no siendo raro que sus bellas letras cuenten con raíces del Iranio o Arabe, ya que no es aventurado suponer que los georgianos lanzaron sus miradas a la civilización helénica, en una época que puede encasillarse como esencialmente del renacimiento georgiano de los siglos X/XII.

Al traducirse a filósofos griegos de la fama de Platón, Aristóteles o a los del neoplatonismo, quiere decir, entonces, que había un sentido de conocimiento de la literatura foránea y un hondo interés por las ciencias, en general, desde la astronomía hasta la medicina; siendo evidente que las obras originales georgianas alcanzaron justa fama en el siglo XII como la alcanzó “la” Rey Tamara”. (La Reina Tamara fué denominada por los georgianos el Rey Tamara por su genialidad).

Los palacios de los Reyes georgianos eran el centro obligado de los maestros de las letras y de todas las artes en general, fuesen georgianos o extranjeros, lo que demuestra el interés de toda una nación por el cultivo de la poesía, y de todo cuanto contribuye al saber de los hombres, como que se realizaban verdaderos torneos de literatura, o juegos florales, con participación ilimitada de quien así lo deseara. En suma, el desarrollo intelectual de la nación georgiana fué tan grande que, aún hoy día, se conserva allí un cálido recuerdo y una profunda admiración por los grandes maestros de la época inicial, sobresaliendo, como es lógico, el poeta Rustaveli, que pertenece a la época del “Rey” Tamara, o sea al siglo XII.

Schota Rustaveli, como puede probarse, dejó diversas obras; pero desgraciadamente, hasta nosotros sólo llegó su Poema Epico el famoso libro EL CABALLERO DE LA PIEL DEL TIGRE.

Tal falta de divulgación es explicable, desde que, para nadie es desconocido que los antiguos libros o simples escritos por falta de imprenta, a lo sumo debían transcribirse o se lograba su difusión a base de la tradición oral, vale decir, que uno le contaba a otro lo que había leído o escuchado, respecto de determinada obra; siendo natural que sólo se difundiese aquello que gustaba, según la apreciación general o individual quedando, lo demás, olvidado o simplemente muerto.

Pero no hubo olvido, ni nada por el estilo en la obra de Rustaveli, que constituye la parte central del libro del doctor Víctor Nosadse, o sea “El Caballero de la Piel del Tigre”, porque a causa de su magnitud y grandeza, nadie dejó de divulgarla y siguió siendo relatada, con ávido interés, de persona a persona, quebrándose todos los límites imaginables; puesto que, si apenas los ricos o personas escogidas se interesaban por libros o estaban en condiciones de conseguirlos, en cambio la obra de Rustaveli, pudo llegar al corazón del pueblo mismo y casi nadie quedó sin conocer, en sus detalles e integridad, todo lo magnífico de “El Caballero de la piel del tigre”, quedando para siempre grabado en el corazón de los georgianos; en tal forma, que pudo realizar el milagro de que, tanto la alta aristocracia georgiana como la clase baja, considerada inferior, se soldaron alrededor de la famosa obra de Rustaveli, transformándose,

así, el libro, en el tesoro de la nación y fuente de nivelación democrática. Pero lo que es más, para el pueblo propiamente tal, para la masa georgiana, “El caballero de la piel del tigre”, pasó a ser la verdadera Biblia, con la singular diferencia que para aquellos georgianos que, por la fuerza fueron convertidos al ismámismo, jamás desapareció su amor por esta obra de Rusthaveli, que siguió siendo su Korán pese a la dominación de que fueron víctimas.

No existe en Georgia ningún rincón donde esta famosa obra no sea conocida y hasta nuestros días el pueblo la aprende de memoria y gozoso recita sus principales versos, en cada oportunidad que se presenta; pues, “El caballero de la piel del tigre”, se adentró en el alma de la nación. El conocimiento, de memoria, de esta obra se reputaba como don de sabiduría; y, aún más, toda novia consideraba el obsequio de la obra, como la mejor dote, lo que prueba pues, la genialidad y grandeza de este libro. A este respecto, se cuenta la anécdota de aquel padre que, al contraer nupcias su encantadora y querida hija, regaló a la pareja de novios “El caballero de la piel del tigre”, y al imponerse de que, habiéndolo leído, no lo interpretaron ni comprendieron, los calificó de burros y les exigió la devolución de la obra.

Sus versos se hicieron tan populares que han venido siendo recitados en cuanta fiesta se celebra, en funerales o en momentos de euforia, de cualquier tipo que sea, repitiéndolos sin cansancio; pero con orgullo, como una clara demostración del grado que ha alcanzado la cultura georgiana; pues no cabe duda que la obra de Rusthaveli da la pauta de la civilización de Georgia. Nada hay de exagerado en esto, desde el momento que EL CABALLERO DE LA PIEL DEL TIGRE ha hipnotizado a un pueblo, por la claridad y dulzura de su fraseología, por sus bellos conceptos y; porque sus finas y firmes ideas lograron la unidad espiritual de una nación, siempre víctima de sufrimientos y de vejámenes. Debemos, pues, concluir en que la obra de Rusthaveli es la más alta realización poética; pues, a través de ella Rusthaveli canta para la vida, para el amor, para la amistad para el heroísmo y para la abnegación, para la fraternidad y la belleza y para todo lo dulce y agradable que tiene la existencia del hombre sobre la tierra. La justicia y el derecho, también tienen allí, su interpretación, como la tienen la inteligencia y la sabiduría. Es que Rusthaveli se inspiró en la época misma en que tuvo ocasión de lanzar su libro. Sus ideas alcanzan concepciones eternas y así como hipnotizaron a todo un pueblo en ese entonces, aún ahora llega hasta lo más hondo de las almas. No hay espíritu, por indiferente que sea, que no vibre al calor de los versos de Rusthaveli.

Su cántico de ayer, se inmortaliza hoy; y seguirá inmortalizándose por los siglos venideros, mientras exista la Humanidad ya que, su obra no es sólo patrimonio de Georgia, sino que de todo el mundo, sin excepciones raciales de ninguna especie. Con razón, muchos son los países que han tenido la feliz iniciativa de traducirle a sus diversas lenguas.

En tal caso, estimo oportuno ya decir algunas palabras explicando el contenido de la obra de Schota Rusthaveli, “El caballero de la piel del tigre”, obra que puede sintetizarse en lo siguiente:

El Rey de Arabia Rosteván, no tiene más descendencia que su hija Thinathin; pero, antes de proclamarla como Reina, resuelve llamar a sus sabios y consejeros de la Corte, para solicitarles que opinen sobre su decisión, la que es aprobada por todos ellos y, en consecuencia, el Rey Rosteván lleva a su hija al trono.

Proclamada la Reina, viene a continuación una fantástica fiesta como es costumbre en Oriente. Pese a todo, invade súbita tristeza al Rey, lo que motiva jocosas bromas del joven General Avthandil, que lo sindicó de avaro, mientras su hija derrocha en una sola fiesta todo cuanto ha costado reunir en un reinado. El Rey que ha educado en Palacio al joven General, como si se tratase de su propio hijo y al que distingue con su amor y consideración, finge enojarse, produciéndose la discusión en forma que deriva en un desafío de quien es capaz de cazar más y mejor.

Termina la fiesta, tanto el Rey como Avthandil, salen a cazar con sus respectivas comitivas. Durante la caza, toca al Rey encontrar a, un joven apuesto llorando a orillas de un río; lo manda llamar con la servidumbre; pero el joven desatiende tales súplicas, lo que molesta al Rey que ordena traerlo, a viva fuerza, lo que no consiguen, pues el joven, al darse cuenta de lo que se proponen, salta sobre su brioso caballo negro y mata a los que pretendían capturarlo. Irritado el Rey ante esta inesperada resistencia y huída, ordena a toda su comitiva, alcanzarlo y castigarlo; pero el joven logra desaparecer con su veloz cabalgadura, siendo inútil y estéril subúscueda. Entonces, el Rey se queda triste dando por terminada la caza y todos vuelven a Palacio.

Cuando la Reina Thinathin se impuso de lo ocurrido y del grado de tristeza de su padre, aconsejó despachar a los buscadores hasta traer al joven desaparecido; y, para conformidad general agregó que, en el caso de no ser habido, querría decir que sólo se trataba de una aparición, e incluso, hasta podía ser el Diablo en persona. El Rey siguió el consejo y despachó patrullas a todos los puntos cardinales. Transcurrido un tiempo, principiaron a regresar los buscadores, todos con resultados negativos, lo que, contrariamente a lo esperado, terminó por conformar al Rey, dando por sentado que el joven que vió llorar a orillas de un río, era una simple aparición.

Mientras tanto, la Reina Thinathin estaba en secretas conversaciones con el joven General Avthandil, a quien amaba; y por cuyo intermedio supo que el joven desaparecido no era una visión, sino que una realidad. Al manifestar la Reina su amor a Avthandil expresó también su firme deseo de encontrar al prófugo, encargando esto al joven general y dándole un plazo, hasta de tres años para ubicarlo. Casi al término de este lapso Avthandil ubicó, por casualidad, al grupo de cazadores nobles, uno de los cuales estaba mortalmente herido y averiguando el origen de la agresión, de que fué víctima; se impuso de que un joven, montando un caballo negro, había sido el autor. El General Avthandil dió las gracias a los nobles cazadores; porque las características coincidían con las del joven buscado a quien ellos mismos deseaban aprisionar forzando la persecución, en la esperanza de que finalmente lograría darle alcance. Después de mucho cabalgar el jinete llegó delante de una gruta, de donde salió una mujer a su encuentro; y los dos llorando en alta voz se internaron en ella, pues, todo hacía suponer que se trataba de la vivienda de ambos. Sólo en la madrugada el desconocido abandonó la gruta y entonces, Avthandil, en lugar de seguirlo, se dirigió donde la mujer con el fin de interrogarla sobre la identidad del desconocido, sin el menor éxito, pues ella se negó a proporcionarle ninguna información. Desesperado llegó hasta a amenazarla de muerte y como este recurso tampoco surtiera efecto, Avthandil, se desesperó y prorrumpió en llanto de rabia e impotencia, lo que hizo el milagro de ablandar a la mujer

quien prometió, presentarle a Avthandil; pero mientras tanto le dijo que ella se llamaba Asmath.

Al poco tiempo, en vez de regresar Asmath a la caverna regresó el amo de ésta que resultó llamarse Tariel. La mujer presentó a Avthandil al recién llegado, quien resolvió contarle la verdad sobre lo que buscaba. En el curso de la conversación, logró imponerse, Avthandil, que Tariel era, nada menos que hijo del Rey Saridán pero que había sido educado en los palacios de Parsadán, un rey de India, que por no tener descendiente, quería a Tariel como a un hijo. Posteriormente Parsadán tuvo una hija, Nestán Dareján la que, desde corta edad, fué educada junto con Tariel. Más tarde pasando el tiempo, hubieron de separarse debido a que Nestán se fué a vivir a un palacio especialmente construido para ella.

Transcurrido un largo tiempo, y siendo Tariel ya un hombre, el rey quiso, después de la caza, hacer un regalo a su hija, a la cual Tariel no vela desde su infancia. El obsequio consistía en unos valiosos pájaros silvesters. Al abrir Asmath, que resultó ser dama de compañía de Nestán la cortina de tapiz, Tariel vió a Nestán quedando tan impresionado que de inmediato, perdió el conocimiento.

Desde ese momento Tariel se enamoró perdidamente de Nestán.

El Rey, molesto y preocupado por el percance sentimental que le ocurría a Tariel ordenó dirigirse a palacio, donde se dispuso que los curas y hechiceros lo sanasen. Repuesto de su salud, Tariel, abandonó el palacio regresando a casa, dedicándose a pasear con sus buenos amigos; pero en uno de dichos paseos, fué sorprendido con la noticia de que una señora deseaba hablar con él y al recibirle reconoció en el acto a Asmath, quien era portadora de una delicada y amorosa misiva enviada por Nestán.

En esta forma se intensificó el idilio, sirviendo, por lo tanto, Asmath de intermediaria; hasta que Nestán invitó a Tariel a hacerle una visita furtiva en Palacio; pero cuando la entrevista pudo realizarse, Tariel, se vió en la necesidad de retirarse, a causa de que sus hondas emociones de enamorado le impidieron articular palabra. Por lo tanto, ambos tuvieron que conformarse con llevar a cabo sus amoríos mediante el intercambio de correspondencia, por intermedio de Asmath. A medida que el tiempo pasaba sin que los enamorados pudieran entrevistarse, Tariel ponía más y más romanticismo y emoción en sus cartas, a lo cual Nestán contestaba, serenamente, que la locura no probaba nada y que, en opinión de ella, mucho más convincente sería que ese apasionado amor lo demostrara con hechos heroicos, para ella dar crédito a su sentimiento y corresponderlo debidamente. Aún más, Nestán sugería a Tariel la necesidad de castigar al Rey vecino de Khatavia, a la par, deudor de su padre, para que cancelara las contribuciones. La proposición agradó a Tariel, porque así se le presentaba la oportunidad de satisfacer un sentido anhelo de su amada y, sin pensarlo dos veces, requirió al soberano de Kathavia para que se presentara, ante él, de inmediato, por medio de una misiva en que lo trataba de “querido hermano y patrón del Reino de Kathavia”.

Pero el Rey sufrió violento enojo, subestimando a Tariel lo que, en el hecho, significó una verdadera declaración de guerra. Tariel recogió el guante y movilizó a todas las fuerzas de su

Reino, no sin antes despedirse de Nestán a través de una escena de apasionante amor, que fué una verdadera promesa eterna.

Tariel venció, tomando como prisionero al Rey Ramaz, que fué llevado a presencia de Parsadán, siendo posteriormente liberado, previa promesa de convertirse en vasallo de Parsadán. El regreso del Rey Ramaz a su reinado, fué motivo de apoteósica recepción, donde por vez primera apareció Nestán, en público, luciendo frente a Tariel; y ambos eran felices mirándose con concentrado amor. Posteriormente Tariel fué llamado a participar en un Consejo del Trono, en que se trataría, justamente, de la necesidad de casar a Nestán, a fin de que ella quedase como Reina; pero se proponía que se efectuase con un hijo del Shah de Khvarasmo. Consultado Tariel prefirió no contradecir al Rey, y se sacrificó aceptando la proposición. Impuesta Nestán de esta actitud y sin analizarla, debidamente, se indignó, acusando a Tariel de felonía.

Tariel quiso explicarse en el sentido de que dicha decisión ya estaba tomada, desde antes de convocarse al Consejo, tanto por el Rey como por la Reina y que, él, se sentía incapaz de conseguir que se modificara algo que estaba firmemente resuelto. Cualquiera insistencia para conseguir quebrantar lo resuelto habría hecha aparecer, a Tariel como indisciplinado haciendo, además un desaire y hasta un insulto al Rey y a la Reina misma, lo que estaba muy lejos de querer provocar.

Pero fué tal la posición de intransigencia de Nestán, en orden a no querer casarse con el novio que se le había asignado, que inspiró la confabulación de asesinar a su futuro esposo, en cuanto llegase, pidiendo ella asumir el Reinado, para complacer al Rey y a la Reina que deseaban ver a Nestán sentarse al Trono.

Pero en vista de que Tariel, al llegar el novio, no cumplía la promesa, Nestán lo llamó eurostrándole su actitud, por lo cual Tariel se enojó, saliendo visiblemente ofuscado y sentido hacia la casa de campo donde se hospedaba el novio, procediendo a matarlo. La guardia, lo persiguió, entonces, no dándole alcance y así Tariel pudo refugiarse en sus castillos.

Entonces el Rey Parsadán procedió a enviarle un emisario a Tariel, enrostrándole su contrariedad por haber dado muerte al novio, ya que si Tariel amaba a su hija Nestán, bastaba con haberlo herido, evitándose las complicaciones que para la continuidad del Reinado significaba ahora la muerte de quien iba a ser príncipe reinante conjuntamente con su hija Nestán.

Tariel contestó que él nunca quiso a la hija del Rey, correspondiendo esta respuesta al acuerdo entre Nestán y Tariel y que como heredero del Trono de la India no permitiría a nadie llegar hasta allí.

Mientras tanto, el Rey Parsadán amenazaba de muerte a su hermana Davar, atribuyendo a ésta los consejos que habían determinado a su hija Nestán a producir todo esta suerte de acontecimientos, que echaban por tierra los planes que él tenía para el futuro de su Reino, pues afirmaba que Davar había educado mal a su hija.

Davar tuvo en este punto una rara, curiosa y violenta reacción, pues, contrariamente a la que pudiera esperarse, frente a las amenazas de su hermano el Rey, procedió a apoderarse de su sobrina Nestán, castigándola despiadadamente y al mismo tiempo, ordenó hacerla desaparecer, para lo cual los esclavos la internaron en un barco, lejos, mar adentro. Mientras tanto Davar, desesperado por lo que había hecho, se suicidó.

De todo esto se impuso Tariel por intermedio de Asmath.

Durante un año Tariel buscó incansablemente a Nestán, bajo una enorme depresión moral y herido de amor, sin el más leve rastro de su amada.

Desesperado por la infructuosa búsqueda, Tariel, un día tuvo oportunidad de conocer al Rey Phridón, que llegó hasta él derrotado y perseguido, por desavenencias con sus parientes. Este noble era el Rey de Mulgasansar y las rencillas, por las cuales luchaba, eran asuntos de límites, quedando finalmente sólo y derrotado. Tariel, sin ninguna vacilación, se ofreció para ayudarlo en sus luchas y ambos lograron finalmente derrotar a los parientes del Rey Phridón.

Estas victorias así logradas fueron conocidas por todos, de tal suerte que Tariel gozó de fama de héroe y de valiente.

Un día, paseando ambos cerca del mar, Phridón contó a Tariel que hacía tiempo vió pasar cerca a un barco, en que iba la mujer más hermosa que es posible imaginar; y, que, al pretender él acercarse, los cuidadores y tripulantes, pusieron proa, mar afuera, desapareciendo.

A Tariel no le cupo la menor duda que se trataba del barco en que iba prisionera su amada Nestán, impresionándose, a tal punto que rompió a llorar. Phridón quedó extrañado de esta súbita actitud de Tariel; pero luego, éste, le contó su extraña historia agregando que el casual encuentro entre ambos, cuando se conocieron se debía a que buscaba, incansablemente a su perdida y amada Nestán, haciendo presente, finalmente, que ya no tenía objeto el quedarse al lado de Phridón y que le agradecía su hospitalidad y el cariño que, como amigo, le dispensó.

Sordo a las súplicas de Phridón, Tariel partió hacia los desiertos, acompañado de su servidumbre de que era parte principal la fiel Asmath; todos insistieron en acompañarlo, pese a que Tariel quería partir solo.

Después de mucho caminar encontraron frente a una caverna a los Mdevis que eran hombres fabulosos por su extraordinaria fuerza natural.

Producido el choque entre Tariel y los Mdevis, la servidumbre quedó totalmente barrida; pero Tariel pudo, en un gran esfuerzo, quedar victorioso y dueño absoluto de la caverna, instalando allí sus habitaciones con Asmath, única sobreviviente de su comitiva.

Tariel llevó, en esta forma, una vida estrictamente aislada, no tomando contacto con nadie, siendo su encuentro, con Avthandil, el primero en muchos años, quien impuesto de la

historia de Tariel se propuso irse a Arabia, al lado de su amada Thinathin que lo esperaba, prometiéndole, sí, a Tariel, el volver para ayudarlo a buscar a su amada.

El arribo de Avthandil a Arabia fué festejado como nunca se hizo recibimiento a nadie y todos los cortesanos quedaron deslumbrados con el relato que les hizo respecto de la extraña historia de su buen amigo y protector Tariel; pero mayor asombro experimentó la Reina, su prometida, cuando se impuso de su firme resolución de volver al lado de Tariel; pero, finalmente, Thinathin dió su conformidad para que su prometido se sacrificase por un leal y valiente joven que lo salvó de sus enemigos; pero, en todo caso: Qué va a decir su padre, el Rey? Para evitar mayores dificultades, determinan que el asunto lo solucione el Gran Visir, quien acepta la ausencia por algún tiempo de Avthandil y así se lo comunicará al Rey, para evitar su enojo. Pero éste, muy extrañado de tantas andanzas de Avthandil y de la complicidad y entendimiento con su Gran Visir, se puso furioso de rabia; por lo cual Avthandil resolvió ausentarse sin permiso, corriendo todos los riesgos de disgustar totalmente a su Rey.

Guando Avthandil llegó a la gruta, fué informado por Asmath, que Tariel, inquieto por su soledad y muy nervioso y aburrido, había resuelto salir a cazar; pero no muy lejos, prometiéndolo regresar pronto. Avthandil salió, de inmediato, en su búsqueda y tres días después divisó, de lejos, el caballo de Tariel y a éste a su lado; pero sin conocimiento, más allá un león y en seguida un tigre, muertas ambas fieras. Agotados todos los esfuerzos de Avthandil para reanimar a su amigo Tariel, le reprochó su falta de precaución, y su temeridad de salir solo a cazar, a lo cual Tariel manifestó que lo hacía porque, para él, ya la vida no tenía atractivo alguno, ptefiriendo morir. A continuación le relató, con lujo de detalles, su inesperada aventura, su encuentro y final de la lucha con el tigre y el león, habiendo encontrado a ambos animales jugando entre sí; pero de repente el juego se transformó en fiero combate, arañando el león al tigre y éste cuando se arrancó fué alcanzado por el león, instante que Tariel aprovechó para matar al león, no sin antes haber recibido un fuerte arañazo del tigre, a los pocos instantes de haber dado muerte al león, lo que le produjo el desvanecimiento. Tariel quería dar un beso al tigre, ya que el tigre era el símbolo de Nestán. "Un fiero rugido lo hizo preocuparse y al ver sus garras derramadoras de sangre, no pudo soportar más y con el corazón embravecido lo mató también".

Regresados ambos a la gruta, donde fueron magníficamente atendidos por la fiel Asmath, Avthandil relató a Tariel sus impresiones y puntos de vista respecto de la búsqueda de Nestán, y solicito se le indicase el camino para llegar hasta Phridón, lo que hizo Tariel, acompañando a Avthandil hasta indicarle el sendero a seguir. Ambos jovenes se despidieron allí muy emocionados. Avthandil caminó sólo durante 70 días, llegando, finalmente, a las fronteras del reinado Phridon, encontrando a éste de caza presentandose como amigo de Tariel; pero de inmediato le rogó hacerle un relato de todo cuanto concernía al barco donde vió Phridón a Nestán. Oído dicho relato, Avthandil resolvió visitar todos los puertos, se despidió de Phridón y éste lo hizo entrega de cuanto era necesario para cumplir su cometido: caballos, esclavos, etc., etc.

Después de caminar bastante por la orilla del mar, se encontró con numerosas caravanas, extrañándole que nadie se atreviese a meterse en el agua y, averiguando a qué se debía esto,

se impuso de que, recientemente, el mar había arrojado a un desconocido el que, una vez recobrado el conocimiento, contó que lejos, en alta mar, había un buque pirata, cuya tripulación bajaba a tierra de vez en cuando y no dejaba caravana alguna sin asaltar y saquear. Los más afectados eran los comerciantes que viajaban de pueblo en pueblo a los cuales Avthandil les prometió su protección, frente a cualquier ataque de parte del buque pirata. Efectivamente, no pasaron muchos días sin que las caravanas se viesen atacadas; pero los piratas fracasaron, ya que Avthandil los derrotó, pese a la diferencia numérica, valiente actitud que le valió el reconocimiento de los comerciantes favorecidos, aparte de que tuvo oportunidad de apropiarse de una enorme fortuna, capturada a los piratas; pero Avthandil rehusó quedarse con ella, por cuanto les manifestó que él era un Caballero y lo único que les pidió, a sus amigos de las caravanas, fué que le guardaran este gran secreto; solamente aceptó continuar un tiempo como Jefe de ellos y poniéndose al frente de la caravana pudo llegar hasta la ciudad del Reino de Gulanschar, en que reinaba Melik-Surjavi.

Los comerciantes de la caravana fueron recibidos por la bella Phatmán, esposa de Usen, que era jefe de la Corporación de Comerciantes.

Ocurrió que Phatmán se enamoró a primera vista de Avthandil y no resistiendo más le escribió una amorosa carta.

Avthandil, preocupado solamente de que todo contribuyera a facilitarle la búsqueda de la amada desaparecida de Tariel pensó que Phatmán podría serle de mucha utilidad para averiguar algo concreto sobre el paradero de Nestán, ya que, obligadamente, todas las caravanas tenían que pasar por la ciudad en que vivía Phatmán, la que quedaba de reemplazante en ausencia de su esposo. Fué así como, después de meditarlo serenamente, resolvió aceptar las insinuaciones amorosas de la carta de Phatmán, convirtiéndose en su amante, pero tanto abusaron de este amor clandestino que no supieron cuidarse debidamente, siendo sorprendidos infraganti por uno de los servidores del Rey, que amenazó a Phatmán, por lo que ésta temblaba de miedo, rogando a Avthandil que de inmediato se alejara de la ciudad o bien procediera a matar a este hombre poseedor de tan quemante secreto. Phatmán prometió en seguida confesarle todo a Avthandil, por lo que Avthandil aceptó la proposición, pidiendo que los guías le indicaran las habitaciones del sirviente del Rey para eliminarlo, lo que hizo.

Posteriormente Phatmán contó a su amante esta historia diciendo que ese hombre la había amenazado, por estar él en antecedentes que ella escondía a la novia del heredero del trono, y si este divulgaba el secreto, ella no tenía esperanza de un minuto más de vida, ni para sí, ni para sus hijos. Entonces contó la historia de que en el día de Año Nuevo, como de costumbre, ella y sus amigas, esposas de comerciantes, estaban invitadas en el Palacio de la Reina, que las recibió muy bien y después continuaron la fiesta en casa de ella. Agrega Phatmán que, sintiéndose muy indispuesta, se retiró a sus habitaciones, por lo que sus invitados se fueron y, al abrir las ventanas hacia el mar, de repente apareció un buque, atracando a su jardín y del cual desembarcaron sus tripulantes llevando a una hermosísima mujer, de incomparable belleza, por lo que ella llamó a sus esclavos para que, en su nombre, comprasen a esa mujer, a cualquier precio, o en caso contrario, procediesen a tomarla a viva fuerza. Como los extranjeros se negaron a venderla, se procedió a dar cumplimiento a los deseos de Phatmán,

matando a los tripulantes y, en consecuencia, tomaron a la bella mujer, asignándole una de las habitaciones en el mismo palacete donde vivía Phatmán; pero sin decirle absolutamente nada a su marido. Agrega Phatmán: “Yo me preocupé mucho de ella procurando agradarla; pero nada conseguí, ni siquiera saber quién era o de dónde venía, pues sólo se limitaba a llorar inconsolablemente. Después de algún tiempo, resolví contar el secreto a mi marido y haciendo jurar que nada diría jamás, le mostré a la prisionera, la que seguía bajo el mismo hermetismo infranqueable”.

Un día Usen mi marido se fué al Palacio real; pero antes de salir lo obligué de nuevo a jurar que mantendría reserva sobre este asunto”. Sin embargo, como allá se bebió mucho, pronto el marido de Phatmán reveló el secreto, interesándose mucho el Rey, ya que vislumbró la posibilidad de que tal belleza podría ser la esposa de su hijo y convertirse, por lo tanto, en futura Reina; de ahí que envió inmediatamente a casa de Phatmán, a una fuerte comitiva a buscar a la anunciada belleza, no pudiendo negarse Phatmán a entregarla, por temor de contradecir al Rey, exponiendo, por lo tanto, la vida de su marido y la propia.

Tanto se impresionó el Rey con la belleza de esta niña que, de inmediato, colocó sobre su cabeza la corona, declarándola como su nuera, a la vez que anunció la boda con su hijo el mismo día que éste regresara a Palacio. Pero ella jamás pensó en casarse bajo estas condiciones y aprovechándose de las joyas que le obsequió Phatmán, sobornó a la servidumbre, hasta que pudo huir, no sin antes despedirse de Phatmán. La que, impresionada por su gesto, le facilitó el mejor caballo para su huída. Desgraciadamente, según supo después Phatmán, no tuvo éxito en su fuga, pues cayó prisionera del Ejército del Kadjethi. “Ahora comprendo, se lamentaba Phatmán, por qué yo temía a este hombre, poseedor de todos estos secretos”.

Toda esta historia contada a Avthandil lo llenó de alegría por cuanto no dudó un solo instante de que se trataba de Nestán. Entonces Avthandil se identificó explicando por qué se encontraba allí, justamente, en busca de esta hermosa mujer, aprovechando de pedir ayuda a Phatmán, en su calidad de amigo de Tariel. Phatmán prometió ayudarlo ya que disponía de una extraordinaria servidumbre, capaz de penetrar en cualquier lugar. De inmediato se formalizó la expedición, la que se hacía a base de una carta de Phatmán a Nestán solicitándole una inmediata respuesta, Nestán respondió no solamente a Phatmán sino que rogando e incluso mandando una carta a Tariel para que se desistiera de la aventura y no atacara la fortaleza de Kadjethi por ser inexpugnable, por lo que Avthandil lleno de alegría resolvió devolviéndole los esclavos a Phridón e inició el regreso, al lado de Tariel, para llevarle todas las informaciones de su hazaña.

Avthandil llegó donde Tariel justamente al expirar el plazo que se había fijado entre ambos, encontrándose en un lugar en que Tariel estaba de caza de leones.

Fué tal la impresión que le produjo el conocimiento de todas las aventuras y noticias respecto de Nestán, sobre todo la carta que ella le mandó, que Tariel sufrió un verdadero síncope, cayendo a tierra, por lo que Avthandil se lamentaba de haberlo impuesto de las novedades en forma tan repentina, no conformándose por no haber procedido con mayor tino. Al procurar que Tariel recuperase el conocimiento, Avthandil buscando agua se encontró con el león, que

recientemente había muerto Tariel; y, entonces, llevó sangre caliente del mismo león, derramándola sobre el pecho de su desvanecido amigo, el que, de inmediato reaccionó, volviendo en sí, en medio de grandes manifestaciones de alegría de ambos, que regresaron cantando a la gruta, donde los esperaba Asmath; que estaba extrañada de oír los cantos desde la lejanía.

En la gruta, impetuoso de mayores detalles, Tariel no dudando un solo instante de la autenticidad de la carta de su amada, pues reconoció la letra de Nestán, se volvía loco de felicidad y en un rasgo de franqueza contó a Avthandil que cuando él venció a los Mdevis encontró allí en la gruta inmensas riquezas a las que, entonces, no dió importancia alguna, pero que ahora deseaba usar de ellas para equipar una fuerte comitiva, por lo que ambos jóvenes entraron a las profundidades de la caverna, encontrando allí no solamente piedras preciosas y oro puro; sino que gran cantidad de armamentos, con los cuales se equiparon tomando la decisión de atacar a Kadjet, para liberar a Nestán y partieron hacia el reinado de Phridón. Este les aconsejó tomar 300 guerreros escogidos para poder atacar así con posibilidades de éxito.

Dicho y hecho: aceptaron la insinuación de los 300 guerreros y los tres héroes partieron a dar la batalla, en que salieron airoso, correspondiéndole a Tariel, personalmente, rescatar a su amada Nestán. Victorioso, entonces, Tariel se alejó de la fortaleza, enviando a sus hombres donde el Rey Melis Surjavi y a Phatmán, diciéndoles que llevaba consigo a Nestán y que no disponía de tiempo para quedarse allí; pero en cambio que podrían encontrarse en el camino. Melik Surjavi recibió a Tariel y a Nestán disponiendo grandes festejos para la celebración de la boda, a lo cual correspondió Tariel regalándole a Melik el Estado de Kadjethi y a Phatmán, todas las riquezas de dicho país, a cambio de lo cual recibió de Melik regalos extraordinarios y valiosos. En seguida todos se dirigieron al reinado de Phridón, donde éste, a su vez, los hace objeto de grandes festividades; yéndose todos, a continuación, a la gruta lugar en que Tariel procede a obsequiar valiosos presentes del tesoro de los Mdevis a Phridón y demás acompañantes, en medio de bullangueras fiestas en que reina la alegría y la felicidad, partiendo, en seguida, a Arabia, donde el Rey Rosteván sale al encuentro de los héroes. Tariel, en medio de impresionante regocijo, pide perdón, para su querido amigo Avthandil; y, a la vez solicita la mano de la reina Thinathin para éste, encontrando al Rey en perfecto acuerdo, por lo cual se organiza una fastuosa boda no habiendo recuerdo en Arabia de mayor entusiasmo y regocijo, proclamándose a Avthandil Rey de este exótico y floreciente país.

En seguida Avthandil, sin olvidar sus deberes de lealtad y de reciprocidad para con su valeroso y fiel amigo, desea acompañar a Tariel, con su Ejército, para recuperar para éste la India y, entonces, los tres héroes parten a cumplir esta última y delicada etapa.

Afortunadamente no se hace necesaria la acción guerrera, pues la India recibe a su Rey sin derramamiento alguno de sangre y Tariel sobre el trono, obsequiando a su fiel servidora y hermanita Asmath la séptima parte del Reinado, después de lo cual queda establecido, entre el nuevo Rey y la Reina, una era de sincera comprensión y de sano y firme amor.

Este es en suma, el contenido y fondo de la famosa obra. “El caballero de la piel del tigre”, la que está escrita en versos. Se compone exactamente de 1.669 cuartetos o sea de 6.676 versos,

para cantar el amor, la amistad y la belleza de la vida eterna, de la Humanidad, sin que el poeta jamás olvide su origen georgiano, aprovechando su pluma y su talento para exaltar las bondades y altura de la civilización de su raza de aquellos tiempos, procurando juntar, vale decir, georgianizar, dos civilizaciones: occidental y oriental en una sola georgiana a través de "El caballero de la piel del tigre". La Humanidad encuentra al mismo tiempo, la civilización entera del Medioevo, cantada con la feérica música georgiana.

Este poema épico de Schotha Rusthaveli es romántico y caballeroso, mejor dicho, a través de este romance heroico se aprecia, en toda su valía, una etapa del tiempo caballeresco del medioevo, "El caballero de la piel del tigre", sirviendo de puente, siglos después, para dar lugar a la obra de don Miguel de Cervantes Saavedra; "Don Quijote de la Mancha", cuyas descripciones son rostro fiel de la decadencia de aquel tiempo caballeresco, en la época de la edad de oro de la caballería.

No hay duda alguna de que Cervantes fué el continuador de Rusthaveli. Así podemos suponer que estos grandes maestros de la literatura son inseparables e insuperables.

De allí que constituye un acierto este esfuerzo del doctor Víctor Nosadse al editar un libro que facilite al lector, el conocimiento de brillantes aspectos de la época medioeval y, dando, en consecuencia, una pauta para que sea clatadamente comprendida la obra "El caballero de la piel del tigre", ya que el doctor Nosadse la analiza en sus intrincados aspectos de la Astronomía y de la Astrología, constituyéndose en un verdadero maestro de estas complicadas ciencias que, seguramente, van a dejar honda huella en quien se interese por leer, analizar e interpretar el profundo y concienzudo estudio de Víctor Nosadse, en que comenta cada verso de Rusthaveli y discrimina cuanta enseñanza fluye de ellos.

En la primera parte de la obra de Rusthaveli, el doctor Nosadse se extiende en un meditado y profundo análisis de sus versos, cuando éstos se refieren a la luz, de cuya magnificencia dice "Es evidente que lo que se examina en esta parte, históricamente, no es más que una parte de esta gran materia que representa la luz y duces en general". Hemos visto cómo, la luz, en la religión en la filosofía, en la astrología y en el simbolismo de las ciencias herméticas tiene una gran significación captada por "El caballero de la piel del tigre". Luz, rayo, golpe de luz, radiaciones, auroeolas, halos, columnas luminosas, todo esto, en general, son hechos sólo de carácter astrofísico, empleados solamente con una significación que es la de pintar la belleza de los héroes de "El caballero de la piel del tigre", cuyos aspectos sirven para la descripción del cuadro de hombres y mujeres, excelentes y magníficos.

Son sólo los Reyes y sus descendencias los que tienen el privilegio de la belleza, la excelencia y la magnificencia, o sea, la alta sociedad o aristocracia. Es lo mismo que hay piedras que son preciosas por su valor inestimable clarificándose, así, el alma aristocrática, en "El caballero de la piel del tigre". "No conozco ninguna otra obra de bellas letras, ni en Oriente ni en Occidente, donde los acontecimientos de la astrofísica estén tan bien interpretados como en esta obra de Rusthaveli".

Después el autor investiga los versos que se relacionan con el Cielo, llegando a esta conclusión: Desde el punto de vista de la Astronomía, el Cielo del libro "El caballero de la

piel del tigre”, está descrito como cielo de comprensión medioeval, tal como se lo imaginan, de corte redondo, movable, con su rueda, etc.

”Desde el punto de vista religioso, el Cielo de ”El caballero de la piel del tigre” es Imágen de Dios, Reinado de Dios, quien es donador de todas las cosas. Ahí en el Cielo son aceptados todos los buenos, para siempre. Desde el punto de vista astrológico, en ”El caballero de la piel del tigre”, el Cielo es templo de la suerte y de la mala suerte. Desde el punto de vista político, el Cielo en ”El caballero de la piel del tigre” es protector de los Reyes y éstos son siempre comparados con el Cielo y finalmente, desde el punto de vista poético el Cielo es símbolo, inalcanzable y medio de descripción artística que produce gran impresión estética”.

En seguida, se analizan todos los planetas, que en los versos son aludidos, concluyendo en lo siguiente: Hemos visto en los versos que tratan de los planetas, que todos son tomados para describir al héroe de la obra.

”En todas partes en ”El caballero de la piel del tigre” el planeta sirve para la descripción simbólica de las cualidades tal como para describir la excelencia o belleza de los héroes. De este modo, entonces, está claro que éstos son Reyes y descendientes de ellos y no de cualquiera persona; todo lo cual es muy comprensible, pues los planetas son más grandes que los astros, a la vez que más brillantes, como brillan los Reyes respecto de los demás hombres. Los astros, en general, son tan aristocráticos como los Reyes.

En seguida, el doctor Víctor Nosadse analiza cada uno de los planetas y nos describe la significación que tienen en el ”El caballero de la piel del tigre”, y en primer lugar, se refiere a la luna, como sigue:

Si miramos con ojos claros a la luna, tal como en ”El caballero de la piel del tigre” ésta tiene varias significaciones, veremos que 1.o la luna astronómica, es planeta de comparación poética; 2.o la luna, estéticamente, es símbolo de belleza y para descripción de los héroes y, finalmente, 3.o la luna, astrológicamente, es planeta donador y curador del amor.

Pero el autor no se conforma con estas averiguaciones y paralelamente analiza la influencia de la luna en la poesía persa y árabe; sobre todo sobresale en detalle, en la famosa obra de Firdousi ”Shah-Nameh”, y después de profundo estudio asegura: ”que en las bellas letras perso-árabes, la Luna tiene el privilegio de superioridad, mientras que en las bellas letras georgianas, tiene muy poco lugar. Sin duda la poesía aquella está dominada por la luna y en la georgiana está en segundo lugar. En la cumbre de ”El caballero de la piel del tigre”, domina el Sol, Su Majestad”.

El autor, excepcionalmente averigua las cuestiones relativas al obscurecimiento del sol y de la luna por el dragón y no las analiza solamente en ”El caballero de la piel del tigre”, sino que aún a través de las bellas letras persas y de la India. Describe leyendas alrededor de esta cuestión y nos dice que su narración en las obras de Schotha Rusthaveli, está empleada con fines poéticos, siendo esto una creencia mundial.

En seguida, el autor analiza en "El caballero de la piel del tigre" lo relativo al planeta Venus, describiendo su historia e indica el papel que desempeña en la obra de Rusthaveli, en que dicho planeta sirve de símbolo de la belleza y del amor. Continúa describiendo los planetas: Marte, Saturno, Júpiter, desde el punto de vista, astronómico y astrológico.

El doctor Víctor Nosadse, analiza, magistralmente; y, en detalle el canto de los siete astros, en que un héroe: Avthandil, enamorado, pide a estos siete astros, que lo ayuden en su amor. Nos cuenta las costumbres existentes en astrología para elevar sus preces delante de ellos y concluye con la invocación de Avthandil: "El canto de Avthandil", o mejor dicho, la súplica, está ejecutada, con toda claridad, sobre las bases de la teología astrológica, o sea, como es necesario para comunicarse con los Dioses de las astros, con todas sus costumbres y reglamentos.

Avthandil caracteriza, con toda naturalidad, los astros, él los llama, él les pide todo cuánto desea obtener y ruega a ellos el cumplimiento de sus votos y los astros, contentos de esta súplica suave, escuchan como Dioses tales ruegos y promete la ejecución de sus deseos. La base de la súplica es amor, conservación del amor la estabilización y su perpetuación en la realidad. Y esta invocación de Avthandil es ejecutada de manera astrológica, lo que es indispensable para tener las relaciones con los Astros Dioses. Conclusión: la súplica de Avthandil, nos demuestra que los siete astros, son Dioses astrológicos.

Después, el autor, averigua las significaciones de los planetas en el gnosticismo, en el mitraísmo y en el maniqueísmo; y describe los ejemplos de súplicas del Firmicus Maternus, de los Sabeos, traduce al escritor hispano-judío Iehudah Gabriel del año 1035 – 1064, quien describió astros en versos y nos da a conocer el gran poeta persa Nisami de (siglo 12 – 13), quien cantó a los astros llegando a la conclusión de que, ninguno de ellos llegó a cantar, en verso, alguno, con la fuerza y significación con que lo hizo Schotha Rusthaveli en su cántico a los astros.

Después el autor investiga sobre los zodíacos en detalle analiza algunos veros discuti los de "El caballero de la piel del tigre". Igualmente analiza otras constelaciones y llega a conclusión, que los zodíacos en la obra sirven para la descripción artística: Aire, éter, siete cielos, siete astros, zodíacos, todos sirven para la descripción literaria de la belleza y de una superior imaginación, como estéticamente todos los cuerlos son interpretados en "El caballero de la piel del tigre" y nunca nadie los usó en ningún idioma en las Bellas Detras, como lo interpretó y captó Schota Rusthaveli.

Y finalizando su pensamiento, agrega: "Antiguamente astronomía y astrología, gemelas de la ciencia, iniciadas y desarrolladas por los babilonios y caldeos, tomadas por los egipcios, mientras más adelante, los griegos las adoptaron y establecieron, en una obra compacta, en el tiempo del helenismo, vuelve de nuevo a Oriente y de allí penetran a Roma.

Los islámicos herederos de la civilización helénica, por un lado; y, por otro lado, la civilización cristiana se adaptaron a la astrología y a la astronomía y, gracias a la ciencia islámica el occidente se apoderó de ellas.

Ambas ciencias son el fruto de la antigua civilización religiosa; son creaciones del antiguo período medioeval y son imágenes de todas las sociedades civilizadas y puntos de vista de la Humanidad. La obra georgiana "El caballero de la piel del tigre", exactamente, aparece brillante sobre estas líneas y, en consecuencia, la civilización georgiana, esta unida al tiempo de su civilización con su bandera desplegada ante todas las otras.

La civilización medioeval en "El caballero de la piel del tigre" sin duda está sola e independiente, brillando sobre todos estos siglos, porque la obra de Rusthaveli, le dá su significación y la coloca a la vanguardia de la Humanidad, sirviendo a todos como medio para la realización de todo, justamente por esto "El caballero de la piel del tigre" es la imagen de una superior inteligencia nacional y la creación, de tal obra, como obra no igualada.

Finalmente, el autor doctor Víctor Nosadse, nos aclara la cuestión de la Suerte y nos dice cómo los pueblos de Oriente y Occidente apreciaban el factor Suerte, qué significación tenía la suerte en la astrología, en la filosofía y en la religión, desde Babilonia hasta Europa. Averigua la cuestión de la suerte a través de las bellas letras orientales, sobre todo en las Bellas Letras persas y georgianas; en seguida, describe todos los alcances de la suerte, creída por medio de los Magos y por la obra de Rusthaveli, terminando, como sigue: "Después de estudios, proundos hemos llegado a la conclusión de que la cuestión relativa a la creencia sobre la suerte existía en todas partes y todos los pueblos creían y creen en ella, por lo tanto, la obra de Rusthaveli "El caballero de la piel del tigre" tampoco está excluida de esta creencia. La comprensión de la suerte se explica de diferente manera. Por un lado Dios y por lo otro, la relación humana. En "El caballero de la piel del tigre" la idea de la suerte está citada relativamente, o sea, Dios es distribuidor y señor único.

Tal es, a través de estas breves palabras, la obra del doctor Nosadse y estos comentarios, con este aspecto, seguramente, son un nuevo paso en el rusthavelismo georgiano; como asimismo, comenta y presenta otras obras relativas a "El caballero de la piel del tigre" ocho en total, de una diferente característica, analizando siempre la obra de Schotha Rusthaveli.

Y cómo no ser capaz de resistir cualquiera necesidad de las que a diario nos exige la vida, tendiendo delante estas bellas hojas escritas por el doctor Nosadse, examinadas sus expresiones y verificados sus conceptos en distintos países, mediante una acuciosa y paciente investigación, de que no cualquiera mortal puede vanagloriarse. Su capacidad investigadora, su celo por darnos sólo la luz, hace posible que en éste su valioso libro se pueda percibir y palpar lo que fué el auténtico espíritu de Rusthaveli.

Ojalá que algún día quienes comprendan y puedan traducir del idioma georgiano, tengan oportunidad de leer la obra del doctor Nosadse para, entonces, darse cuenta del inagotable manantial de sabiduría y de fé que hay, en todas sus líneas, frases y palabras, en la obra de Rusthaveli, seguramente quedarán extasiados, pues su lectura es un ritmo o es una suave música celestial, sin contar con muchas otras bellezas que vibran en cada expresión o concepto, para no comprender que yo, con mis modestas palabras, como prólogo, quedo muy lejos de la sensibilidad que trasunta su autor, interpretando tan magistralmente al Poeta.

Quédame, por último, el expresar mis agradecimientos más profundos y dar relieve al hecho, de que, la noble y desinteresada colaboración de la Nación chilena, ha hecho posible la publicación de este libro, el primero en lengua georgiana impreso en el país. Séame permitido decir que esta tierra, de un alma enormemente superior a su área territorial, nos recibió con los brazos abiertos, sin ninguna otra condición que la de ser bienvenidos.

Creemos, a pesar de que somos pobres en número, que algo podremos aportar, desde luego, al tesoro literario de Chile, aunque en nuestra lengua nativa. He aquí la prueba!
Santiago, Abril de 1957.

AVTHANDIL MERABACHVILI

Tanto el autor como el editor, agradecen profundamente, la valiosa colaboración del personal de administración y tipográfico de la Imprenta “El Imparcial”, que ha hecho posible la publicación de este libro, el primero en idioma georgiano publicado en la República de Chile.

Alejandro Morales Reyes
Andrés Osses
Eliodoro Rojas Valle
Nacianceno Binimelis
José Páez Valdivia
Luis Soto Gaete
Luis Carvajal
Luis Jiménez
Manuel Cañas
Pedro Contreras E.
Juan Gianoni
Guillermo Soto

ინგლისელი ნაზი ასულის
ქართველი ერის მეგობარის
ვეფხისტყაოსანის მთარგმნელის
მარჯორი სკოტტ
უორდროპის
მოსახსენებლად

ვიკტორ ნოზაძე

ვეფხისტყაოსანის ვარსკვლავთმეტყველება

უწყებულება მკითხველისათვის

ბიზანტიის იმპერატორთა, ლეონ ბრძენისა (886 – 912), კონსტანტინესა (912 – 952) და სხვათა მიერაც გამოქვეყნებულ კანონებში მოთავსებულნი არიან მუხლნი, რომელნი ასტრონომიასა და ასტროლოგიას შეეხებიან; ეს კანონები თავის დროზე ქართულადაც იყო ნათარგმნი და მათ შორის მუხლი 349 გვაცნობებს:

”სწავლა მისნობისა ორად განიყოფების: ერთი არს ვარსკვლავთ მრიცხველობა და მეორე — ვარსკვლავთ მეტყველება”. ნება ეძლევათ წმიდა მამებს ისწავლონ პირველი, რამეთუ იგი გრძნეულობას არ შეიცავს, ”არამედ ასწავლის ყოველთა ვარსკვლავთა და ყოველსა ეტლსა თორმეტთა თვეთასა და შვიდთა სარტყელთა ცისათა, რომელთა ცთომილად უწოდთ”-თო. ¹.

მაშასადამე, ამ კანონური განმარტების მიხედვით, ვარსკვლავთ მრიცხველობა ყოფილა — ასტრონომია, ხოლო ვარსკვლავთ მეტყველება კი — ასტროლოგია.

ვეფხისტყაოსანი არ არის ვარსკვლავთ მრიცხველობის ანუ ასტრონომიის წიგნი: იგი არც ვარსკვლავთმეტყველების ანუ ასტროლოგიის თხუზულებაა, მაგრამ ამ დიდებულ პოემაში ასტრონომიური და ასტროლოგიური არა ერთი და ორი ცნება გვხვდება, და ვინაიდან ძველი მეცნიერების ორივე ეს დარგი განუყრელად დაკავშირებული იყო, ამიტომ ამ ჩემს გამოკვლევას სიმოკლისათვის ერთი ზოგადი სახელი მივანიჭე — ვეფხისტყაოსანის ვარსკვლავთმეტყველება, — იმავე შინაარსით, როგორცაა ცნება: ბუნებისმეტყველება, სიბრძნისმეტყველება, — ანუ მცოდნეობა.

ისლამურ მეცნიერებაში ასტროლოგიას ერქვა ”ილმ (ან: შინაატ) აჰკამ ალ-ნუჯუმ”, მოკლედ: ”ილმ ალ აჰკამ” ანუ მეცნიერება — ხელოვნება ვარსკვლავთა გარდაწყვეტილებათა შესახებ. სხვა სახელი კიდევ იყო: ”ილმ (შინაატ) ალ-ნუჯუმ”, ”ილ ალ-ტანჯიმ” და ეს სახელები ერქვა როგორც ასტრონომიას, ისე ასტროლოგიას განურჩევლად. ასტროლოგიას ეწოდა აჰკამ ან მუნაჯჯიმ, ეს უკანასკნელი ასტრონომოსსაც ერქვა, მხოლოდ მე-19 საუკუნეში დაიწყეს ასტრონომიისა და ასტროლოგიის ერთი მეორესაგან განყოფა: საბოლოოდ მუნაჯჯიმ — ასტრონომოსს და ფალაკი — ასტროლოგოსს უწოდეს. ².

ეს იყო ზოგადი მოვლენა საერთოდ შუა საუკუნეთა კულტურისათვის და საქართველოც ამ შემთხვევაში გამონაკლისს არ წარმოადგენდა. ამ მხრივაც მწადს დასახელებული სათაური ჩემი წიგნისა გავამართლო.

არ დამიკლია ცდა ვეფხისტყაოსანის ცისა და ციურ გვამთა, ვარსკვლავთა შესწავლისათვის და ამ ჩემი სუსტი ცდის შედეგადაც, მგონია, ვეფხისტყაოსნის ბევრი

ლექსი იოლად გასაგები გახდება და ასტრონომია - ასტროლოგიას, ანუ ზოგადად: ვეფხისტყაოსანის ვარსკვლავთმეტყველების ანუ მცოდნეობის დანიშნულება ცხად შეიქმნება.

ჩემთვისაც გავიმეორებ იმ სიტყვას, რომელი დაუწერია უშვს საყოფელსა წმიდისა ნათლისმცემლისასა, ბიბლიის ერთი ნაწილის გადამწერს, სტეფანოსს, მეათე საუკუნეში:

”ქ. საყუარელნო, გულს მოდგინება ფრიად მაქუნდა, გარნა წერადცა ესთენ ვეცადე; ღმრთისათვს შემინდევით; ოდეს ამას წიგნსა ვწერდი, გონებითა ვერ დაწყნარებით ვიყავ. შრომისათვს ლოცვა ყავნთ, დაკლებისათვს შემინდევით”-ო.

აქვე მსურს ჩემი უღრმესი და უგულითადესი მადლობა მოვახსენო მღვივე და თავდადებულ მამულიშვილს, ავთანდილ მერაბაშვილს, რომელმან კეთილ ინება და დაიკისრა მეტად მძიმე ტვირთი ამ წიგნის დასაბეჭდად. ამ დიდი მსხვერპლის გარეშე შეუძლებელ იყო ამ წიგნის გამოცემა.

* *
*

აქვე მადლობას მივუძღვნი დოკტორ ვახტანგ ჯობაძე-ციციშვილს, ერთ დროს ერლანგენის უნივერსიტეტის წიგნთსაცავიდან, ჩემთვის საჭირო წიგნთა დაუზარებლად მოწოდებისათვის და დოკტორ აკაკი და თამარ პაპავას, რომელთა შესანიშნავი, და ქართველთა შორის უცხოეთში, ერთად ერთი კარგი, მდიდარი ბიბლიოთეკით უხვად ვისარგებლე.

ცალკე კიდევ მადლობა უნდა ვუძღვნა ავთანდილ მერაბაშვილს ანაბეჭდთა წაკითხვისათვის.

ყველგან აქ და სხვა ჩემს გამოკვლევებში გამოყენებულია ქართული უნივერსიტეტის მიერ, 1937 წ. საიუბილეოდ დაბეჭდილი ვეფხისტყაოსანი. ორ ფრჩხილში () ჩასმული რიცხვი ვტნის შაირს აღნიშნავს, ხოლო ამაღლებული პატარა რიცხვი ნახმარ მასალაზე მიუთითებს, რომელი ამ წიგნის ბოლოსაა დაბეჭდილი.

სანტიაგო დე ჩილე.
ჩილე.
თებერვალი, 1957.

≈≈

პ. ს. საბჭოთა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თავჯდომარე აკადემიკოსი ნ. ი. მუსხელიშვილი უმართებულოდ ჩემს კნინ == მცირეთ უმცირეს პიროვნებას შეეხო.

თბილისის რუსულ გაზეთის ”ზარია ვოსტოკა“-ს ოქტომბრის დამლევის ნომერში დაბეჭდილია აკადემიკოს ნ. ი. მუსხელიშვილის წერილი სათაურით: ”სახელოვანი გზა ქართული საბჭოური მეცნიერებისა”. ცნობილი მეცნიერი ნ. ი. მუსხელიშვილი

მოგვითხრობს, ბრძუსელის საერთაშორისო ყრილობაზე სხვა და სხვა ქვეყნის წარმომადგენლები, მათ პოლიტიკურ რწმენათა მიუხედავად, თბილი განწყობილებით შეგვხვდნენ ჩვენო, საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს და შეაქეს მათ საბჭოთა მეცნიერების მიღწევანიო. ერთ უცხოელ მეცნიერს ისიც კი უთქვამს, საბჭოთა კავშირში სამეცნიერო დარგთა მოღვაწენი წარმატებითა და დიდი მიწლეებით მუშაობთ, რადგან თქვენ ცოტა თავგასართობი (ყავახანა, მდუზიკ - ჰოლლ და სხ.) მოგეპოვებათ, და ამიტომ იმის მეტი არა დაგრჩენიათ, რომ იმუშაოთ და სწეროთ კარგი წიგნებიო. ამის აღნიშვნის შემდეგ ცნობილი აკადემიკოსი ნ. ი. მუსხელიშვილი სწერს: —

”... ამ ნახევრად კეთილსულოვან ხუმრობით ნათქვამს შეიძლება დავუპირისპიროთ ბოროტად მსუნთქავი თქმა ვინმე ვ. ნოზაძისა, რომელმაც გამოსცა ბუნოს აირესში მთელი წიგნი შოთა რუსთაველზე, და რომლის წინასიტყვაობაში იგი სწერს, რომ ” — საქართველოში ჯერ იმ აზრამდე არ მისულან, რომ საჭიროა ვეფხისტყაოსანის მეცნიერული გამოცემა; მაგრამ ასეთი მძიმე მუშაობისათვის, ეტყობა, იქ არავის სცალია”ო. კომენტარიები აქ საჭირო არ არის. რაც არ უნდა ილაპარაკონ ცალკეულმა გაბოროტებულმა მტრებმა, მთელი ქვეყნიერებისათვის ცნობილნი არიან უდიდესნი მიღწევანი საბჭოთა მეცნიერებისა, რომელში საგრძნობი წილი ქართულ საბჭოთა მეცნიერებას შეაქვს”-ო.

ამას მოჰყვა სიტყვა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დამსახურების შესახებ ქართული მეცნიერების ისტორიაში და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თავჯდომარე ნ. ი. მუსხელიშვილი თავის მკითხველთ ატყობინებს, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო ხანა ეროვნული, ეკონომიური და სულიერი აღორძინებისა, ქართული კულტურის გაფურჩქვნისა ახალ, სოციალისტურ ნიადაგზეო.

შემდეგ აკადემიკოსი ნ. ი. მუსხელიშვილი ჩამოსთვლის, თუ რა გაკეთდა საქართველოში და რას მიაღწია საქართველოს საბჭოთა მეცნიერებამ, მაგრამ არსად არ ამბობს: —

- 1). იყო თუ არა, და არის თუ არა საჭირო ვეფხისტყაოსანის აკადემიური ტექსტის გამოცემა,
- 2). და თუ იგი საჭირო იყო, რატომ არ შეიწუხეს თავი და იგი არ გამოსცეს?
- 3). და თუ ეს საჭირო არ იყო, რატომ ამას არ აღნიშნავს იგი?

სრულიად უხამსად მიმაჩნია ამ წიგნში კამათი პატივცემული აკადემიკოსის წინააღმდეგ, მაგრამ ერთი მაინც მწადს აღვნიშნო: აკადემიკოსი ნ. ი. მუსხელიშვილი არ არის მართალი, როდესაც იგი მე ბრალსა მდებს ”ბოროტად მსუნთქავ ცილისწამებაში”.

ქართული მეცნიერების წინააღმდეგ ”ცილის - წამება” იქნებოდა, საქართველოში ვტნის აკადემიური ტექსტი დაებეჭდათ და მე მეთქვა: ამისათვის იქ არავის სცალია! ტყუილია! არ დაუბეჭდიათო! და რადგან მართლა არ დაუბეჭდიათ და ეს მე

აღვნიშნე, ოღონდაც რომ ეს ცილისწამება არ არის. რომ გარჯილიყვნენ და ვტნის მეცნიერული ტექსტი გამოეცათ, გახარებული ბოდის მოვიხდიდი, და რადგან ასეთი რამ არ მომხდარა, საბოდიშო არაფერი მაქვს.

აკადემიკოსს ნ. ი. მუსხელიშვილს შეეძლო ეთქვა: როგორ არა!! პროფ. ი. აბულაძემ თავისი რედაქტორობით და საკუთარი შესწორებებით დაბეჭდა ვტნი! როგორ არა!! კ. ჭიჭინაძემ თავისი რედაქტორობით და საკუთარი შესწორებებით დაბეჭდა ვტნი! როგორ არა! დაბეჭდა ვტნი ს. კაკაბაძემ, პროფ. ა. შანიძემ, პ. ინგოროყვამ და სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ ვტნის ტექსტს მთელი სინედრიონი არდგენდა — პროფ. ი. აბულაძე, ე. ბურჭულაძე, პ. ინგოროყვა, პროფ. კ. კეკელიძე, გ. კიკნაძე და კ. ჩარკვიანი. ეს მართალია. მაგრამ სავალალო სწორედ ის არის, რომ არც ერთი დაბეჭდილი ტექსტი აკადემიური არ არის და ზოგი მათგანი რედაქტორის მიერ ძალზე შერყვნილია. ეს არაა მეცნიერული მუშაობა, რასაც მოითხოვს ვტნის-აკადემიური გამოცემა. და სწორედ ამიტომ ვთქვი: ”მაგრამ ასეთი მძიმე მუშაობისათვის, ეტყობა, იქ არავის სცალია”. ეს დღესაც მართალია და ამიტომ უმართებულოდ მიმაჩნია აკადემიკოს ნ. ი. მუსხელიშვილის ბრალდება.

მე რომ მეცნიერებას პატივს არა ვსცემდე, ჩვენს დუხჭირ პირობებში არც მეცნიერულ მუშაობას შევუდგებოდი და ამით თავს არ გავიტებდი; მე რომ ქართულ მეცნიერებას პატივს არა ვცემდე, არც იმას ვიტყვოდი, რაც ჩემი წიგნის ”ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველების” დასასრულს შავით თეთრზე დავბეჭდე:

”ხოლო ეს ჩემი კნინი ნაღვაწი, დეე იყოს ერთ მცირე არჩივად, რომელიც ქართული მეცნიერების ტაძარში მოწიწებითა, კრძალვითა და ბოდიშით შემაქვს”-

უეჭველია, ეს არ არის ბოროტად ”მსუნთქავი” თქმა! და არც იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ ვტნის აკადემიური ტექსტი დაბეჭდილი არ არის, არ შეიძლება ”ბოროტად მსუნთქავ ცილისწამებად” ჩაითვალოს. მაგრამ ამ, და სხვა საკითხთა შესახებ აქ სიტყვის გაგრძელება არა მსურს.

* *
*

მადლობას მოვახსენებ ჩემს ძველ ამხანაგს მ. დადიანს (ვაშინგტონში) ”ზარია ვოსტოკა“-დან ამონაჭერის გადმოგზავნისათვის.

სანტიაგო დე ჩილე, იანვარი 1957.

ვ. ნ.

რვეული პირველი

წ ი ნ ა რ ი

ვარსკვლავთმეტყველებისათვის

და თქუა ღმერთმან, იქმენიდ მნათობნი სამყაროსა შინა ცისასა მნათობად ქუჭყანისა; განსაყოფელად შორის დღისა, და შორის ღამისა; და იყუნედ სასწაულებად, ჟამებად და დღეებად და წელიწადებად

და იყუნედ განმანათლებელ სამყაროსა ცისასა, რათა ნათობდენ ქუჭყანასა ზედა; და იქმნა ეგრეთ

და შექმნა ღმერთმან ორნი მნათობნი დიდნი: მნათობი დიდი მფლობელად დღისა; და მნათობი უმრწემესი მფლობელი ღამისა; და ვარსკვლავები

და დახსნა იგინი ღმერთმან სამყაროსა ცისასა: რათა ნათობდენ ქუჭყანასა ზედა

და მთავრობდენ დღესა და ღამესა: და განაწვალდენ შორის ნათლისა და შორის ბნელისა: და იხილა ღმერთმან, რამეთუ კეთილ

და იქმნა მწუხრი და იქმნა განთიად დღე მეოთხე...

დაბადება (შესაქმე) წიგნი 1. თავი ა. 3.

* *
*

მან (ღმერთმან) შექმნა შვიდნი ცანი ორ დღეში. თითოულს მიუწერა თავისი მოქმედება. მან შეამკო სამყარო მანათობელი ვარსკვლავებით, და მათ მისცა გუმანნი: ასეთი იყო წესი, რომელი შემოქმედმა მსოფლიოში დაამყარა. (ყურანი 40,11)

ჩვენ შევქმენით შვიდი ცა (ყურანი 23,17)

ჰკითხეთ მათ: ვინ არის მეუფე შვიდთა ცათა და უბრწყინვალესი ტახტისა? (ყურანი 23,17)

კურთხეულ იყოს, რომელმან მოათავსა სამყაროში ზოდიაკოთა ნიშანნი, ჟინჟღილი დღისა და ვარსკვლავნი ღამისა, ნიშანნი, გამომაცხადებელნი ძლიერებისა მისისა. (ყურანი 25,62)

მზე სრბოლავს თავისი გზით იმ ადგილამდე, სადაც იგი ისვენებს, როგორც ბრძანა ღმერთმან ძლიერმან და მცოდნემ

ჩვენ დავაწესეთ მთვარის ფაზანი; მზემ თავის სრბოლაში ვერ უნდა მიაღწიოს მას... ყველა გვამი ციური რბის თავის სფეროში.

(ყურანი 31, — 38, 39, 40)

დღე და ღამე, მზე და მთვარე თავიანთ სიდიადეს აცხადებენ. არა თაყვან სცე მზესა და მთვარესა. თაყვან ეც ღმერთსა, რომელმან გამოიყვანა ისინი არარაობისაგან (ყურანი 41,37). ⁴.

* *
*

საოცარია და უცნაური: ცა! ადამიანზე იგი უღრმესსა და გამოუცნობ შთაბეჭდილებას ახდენს. ცის ტრიალი, დღე და ღამე, გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი; ერთი და იგივე მარადი მოძრაობა მუდმივი წესი და შეუწყვეტელი რიგი ცის მოვლენებთან დაკავშირებით, ადამიანის თვალსა და გონებას მიწყვი იპყრობდა.

ცის ცოდნა სჭირდება მონადირესა და მწყემსს, მიწის მოღვაწეს და მეზღვაურს, სასულიერო პირს და ერის კაცს, რადგან ცასთანაა გადაბმული ბუნება და ადამიანის ცხოვრება. ზემოთის, ზესთას, ზემოდ მყოფის, ცის და ვარსკვლავთა გაგება ამავე დროს ბუნების გაგება და ადამიანის ცხოვრების ახსნაც უნდა ყოფილიყო. აი ამ გაგება-ახსნასთან დაკავშირებით წარმოიშვა ასტრონომია და მასთან ერთად დაიბადა ასტროლოგიაც, ძველთა და შუა საუკუნეთა მანძილზე გაბატონებული ტყუილი მეცნიერება.

* *
*

ასტრონომია თვით ცათა და მათ სხეულთა განწესებასა და რიგს, მათ მოძრაობასა და კანონებს სწავლობდა; ხოლო მასთან განუყრელად გადაბმული ასტროლოგია კი იყო სწავლა მნათობთა და ვარსკვლავთა გავლენის შესახებ ბუნებასა და ადამიანის სიცოცხლე - ცხოვრებაზე. ადამიანმა სააქაო, მიწიური ცხოვრება ცას დაუკავშირა და მას გადააბა. ცა მან ღმერთებით, სულეებით, ცხოველებით და საგნებით დაასახლა. ეს არის მითოლოგიისა და რელიგიის დასაწყისი. აქ დაიბადა ასტრალური მითოსი ანუ ვარსკვლავური თქმულება.

მითოლოგია ანუ სწავლა მითოსისა არის ადამიანის პირველი ცდა, რომლითაც იგი მსოფლიოს გაუგებარ მოვლენებს თავის წარმოდგენითა და ამისათვის შეთხზული ამბავით განმარტავდა. ⁵.

ასტრალური ანუ ვარსკვლავური მითოსი არის ადამიანის პირველი ცდა: აეხსნა ცა, ხოლო მისი გაგება შესაძლებელი უნდა ყოფილიყო მხოლოდ იმით, რომ ადამიანმა ზემოთი, ზესთა ანუ ზეშთა დედამიწის მსგავსად დაასახლა და გააცოცხლა.

როგორ ესმოდა ძველ ასტრონომიას ზესთა? რასაკვირველია არა ისე, ვით დღევანდელ მეცნიერებას, რადგან კაცი მაშინაც და დღესაც, უბრალო თვალთ

მხოლოდ ცის მოძრაობას ხედავს აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, და სხვა საიდუმლოებას, როგორც არის დედამიწის ბრუნვა, იგი ვერ ამჩნევს; ამიტომ ხმელეთი ანუ დედამიწა მსოფლიოს ანუ ყოვლადი ქვეყნიერების ანუ კოსმოსის გულად, უძრავ ცენტრად ითვლებოდა, და მის გარშემო ცათა ტრიალი სინამდვილედ მიაჩნდათ. ამ მბრუნავ ცათა ცოდნა სიბრძნის უდიდესი გამოსახულება იყო, და მამასადამე, ყოფნა-არ-ყოფნის გასაღებიც, რომელი ჩვეულებრივ, თავიდანვე, ღმრთის მსახურთა ხელში იყო.

* *
*

ადამიანის თვალი უნებურად უნდა შეჩერებულიყო ზემოთის ორ უდიდეს მოვლენაზე: მზე და მთვარე თვალისა და ყურადღების დამპყრობი იყო და არის. ზემოთის მოძრაობა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, დღე და ღამის დადგენასთანაა დაკავშირებული — ამოდის მზე მუდმივ, და ჩადის იგი მუდმივ. იცვლება მთვარე აგრეთვე მუდმივ; შვიდჯერ ამოდის მზე შვიდი დღის განმავლობაში, და შვიდჯერ ჩადის იგი, — და ამ ხნის განმავლობაში მთვარე მხოლოდ ნახევრად სჩანს; შემდეგი შვიდი დღის მერმე, მთვარე უკვე აღარ სჩანს; და დამალული, მხოლოდ სამი დღის შემდეგ გამოჩნდება იგი, ვითარცა ახალი მთვარე, რქის მსგავსი, ნამგალა. სამჯერ შვიდი დღის მერმე მთვარე სრული ხდება, გავსილი, რგვალი, ბადრი. ამგვარად, ოთხჯერ შვიდი დღის განმავლობაში მთვარე ივსება და კლებულობს, — და ეს მოვლენა დროის ანუ ჟამის დანაწილებასა და ანგარიშს საფუძვლად დაედო, — და აქედან წარმოიშვა მთვარე, თთვე, თვე, და ასე დაიბადა კალენდარი.

* *
*

მზე და მთვარე თავისი მსვლელობის განმავლობაში ცის უმაღლეს წერტილამდე მიემართებიან და შემდეგ იწყება მათი დაშვება, სანამ ორი პარალელური ხაზი არ გადაიჭრება, — ამას უწოდებენ: ჩრდილოეთისა და სამხრეთის მოტრიალების წრეს, ანუ მოქცევას, და ამაზეა დამყარებული წელიწადის დროთა განსხვავება.

მზისა და მთვარის სვლა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გადაბმულია ამავე მოძრაობასთან დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ; თუ ამ მოძრაობის ანუ მოტრიალების შუა ხაზს წარმოვიდგენთ, ამით ცის ბურთი ორ თანაბარ ნაწილად იყოფა, ერთი — ზემო, და მეორე — ქვემო ნაწილი, ანუ ჩრდილოეთი და სამხრეთი. ამ წარმოდგენითი ცის ხაზს ეკვატორი ეწოდება.

როდესაც მზე თავის დღიურ მსვლელობაში ცაზე ეკვატორს უვლის, მაშინ მზის ცაზე ყოფნისა და არ-ყოფნის დრო, ანუ დღე და ღამე, თანასწორი არის. თუ მზე ეკვატორს ზემოდან უვლის, დღე უფრო გრძელია ვიდრე ღამე, და უგრძელესია, ოდეს მზე თავისი გზის უმაღლეს წერტილს აღწევს, საიდანაც შემდეგ იგი დაქანებას იწყებს. ცის ეკვატორის ზემო, ანუ ჩრდილოეთის გზაზე სვლის ხანა მზისა ექვს თვეს გრძელდება, და ესაა თბილი დრო — გაზაფხული და ზაფხული.

როცა მზე ეკვატორის ქვეშ მოექცევა, ანუ სამხრეთის გზით მიდის, დღე მოკლდება და ღამე იზრდება, სანამ მზე თავის უმდაბლეს წერტილს მიაღწევდეს. ეს ხანა ექვს თვეს გრძელდება და ესაა სიცივის დრო — შემოდგომა და ზამთარი.

შემდეგ მზე ისევ მაღლა ასვლას იწყებს, და ასე მარადულად.

თავისი სვლით მზე ორჯერ უვლის დედამიწას, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ანუ ერთი წელიწადის განმავლობაში მზე უვლის ეკვატორს, და ამის შემდეგ მოცემულია დღისა და ღამის გათანასწოლება, ანუ ბუნობა, და წელიწადის დრონი.

პირველად, როდესაც მზე თავისი ქვემო გზიდან ამოსვლას იწყებს, ხდება დღისა და ღამის გასწორება, ანუ ბუნობა გაზაფხულზე, 21 მარტს. ეს არის გაზაფხულის ბუნობა, ანუ გაზაფხულის ეკვინოკტიუმი.

მეორედ, როდესაც მზე ზემო გზიდან ეშვება, იწყება დღისა და ღამის გასწორება 21 სექტემბერს, და ეს არის შემოდგომის ბუნობა, ანუ შემოდგომის ეკვინოკტიუმი.

ამ ორი ბუნობის შორის, ამ მოტრიალების წრეში, ანუ მოქცევაში არის მოტრიალების ანუ მოქცევის წერტილები — ზაფხულის დღის მოქცევის წერტილი, უმაღლესი წერტილი, და ზამთრის მზის მოქცევის წერტილი, უმდაბლესი წერტილი მზის გზისა. ამ დროის განმავლობაში, მზე ხან მაღლა იწევს, ხან ჩამოიწევს, ხან გვშორდება, ხან გვიახლოვდება.

მთვარე მზესთან დაშორებისა თუ დაახლოების გამო (და მთვარე შეეყრება ანუ ხვდება მზეს გზაში 12ჯერ ერთი წელიწადის განმავლობაში) 12-ჯერ იკლებს და 12ჯერ ივსება. ამგვარად, მთვარე ერთ წელიწადს 12 თვედ გაჰყოფს. ძველად ერთ თვეში ირიცხებოდა 30 დღე, და ამნაირად, წელიწადში — 360 დღე. მაგრამ ვინაიდან სინამდვილეში წელიწადი $365\frac{1}{4}$ შეიცავს, (და ეს არის მზის წელიწადი), ამიტომ ამ გამორჩენილ დღეებს, როგორც ზედმეტს ანუ ეპაგომენს, წელიწადის დასასრულსა და ახალი წლის დამდეგს შუა ურთავდნენ, ანუ უმატებდნენ ხოლმე. ეს არის მზის წელიწადი.

* *
*

მაგრამ მზისა და მთვარის გარდა, ადამიანმა აგრეთვე სხვა მნათობნიც გამოძებნა. ეს მნათობნი არიან მზესა და მთვარესთან ერთად შვიდნი:

ქართულად:

1. მთვარე
2. ერმი
3. აფროდიტი
4. მზე
5. არია
6. დია
7. კრონოს

ლათინურად:

- ლუნა
- მერკურიუს
- ვენუს (ვენერა)
- სოლ
- მარს
- იუპიტერ
- სატურნუს

ბერძნულად:

სელენე
ჰერმეს
აფროდიტე
ჰელიოს
არეს
ზევეს
კრონოს

არაბულად:

ყამარ
ოტარიდ
ასპიროზ
შამს
მარიხ
მუშთარ
ზუალ

ამ მნათობთა შემოვლის წრე, ანუ მიმოქცევა სხვა და სხვა არის, და მისი დროის სიგრძის მიხედვით, წარმოდგენილი იყო მათი დაშორება და მანძილი დედამიწიდან. ეს შვიდი მნათობი ისეთ წარმოდგენას ჰქმნიდა, თითქო არსებობდა შვიდი წრე, შვიდი სარტყელი, შვიდი ცა, შვიდი სფერო, რომელი ერთი მეორეს მისდევს, ერთი მეორეს რკალივით ერტყმის, სარტყელივით ეკვრის, ერთი მეორეში შედის.

ძველი ასტრონომიის მიხედვით ამ მნათობთა განლაგება დედამიწიდან შემდეგია:

1. მთვარე (ყამარ)
2. მერკურიუს (ოტარიდ)
3. ვენუს (ასპიროზ)
4. მზე (შამს)
5. მარს (მარიხ)
6. იუპიტერ (მუშთარ)
7. სატურნუს (ზუალ)

ანუ ზემოდან ქვემოდ:

7. სატურნუს (ზუალ)
6. იუპიტერ (მუშთარ)
5. მარს (მარიხ)
4. მზე (შამს)
3. ვენუს (ასპიროზ)
2. მერკურიუს (ოტარიდ)
1. მთვარე (ყამარ)

ამგვარად დახატულია შვიდი ცა ანუ შვიდი სფერო. ამათ ზემოდ იმყოფება კიდევ უძრავ ვარსკვლავთა ცა, უუძველესი და უუზენაესი ციერი ცა, ციური სამეუფო, ვიწრო მნიშვნელობით.

* *
*

ყველა მნათობი თავის სვლას ასრულებს დაახლოებით ოცი გრადუსის ფართობის სიბრტყეზე, სარტყელზე, რომელს ვერც ერთი მათგანი ვერ გადასცილდება. ეს სარტყელი ეკვატორს სჭრის ერთი მეორის მოპირდაპირე წერტილში, რომელიც არის გაზაფხულისა და შემოდგომის წერტილი; მათ შუა იმყოფება მზის გზა ანუ

ეკლიპტიკა; ასეთი სახელი იმიტომ დაარქვეს, რომ ამ გზაზე ხდება დაბნელება (ეკლიპს) მზისა და მთვარისა. ეს სარტყელი იცნობა უძრავ ცაზე ვარსკვლავთა სურათით, რომელი თითოეულ სარტყელზე იმყოფება.

მთვარე თავისი წლიური მოქცევის განმავლობაში დედამიწის ირგვლივ, 12ჯერ ივსება; ამიტომ ეს სარტყელი თავიდანვე 12 ნაწილად იყოფა; თითოეულ მეთორმეტე ნაწილში არსებობს ვარსკვლავთა განსაკუთრებული გუნდი = ვარსკვლავედი. თითოეული გუნდი ვარსკვლავთა განლაგებისა, დაწყობისა და მოთავსების შედეგად, ერთგვარ სურათს გვიჩვენებს, და ამიტომაც ადამიანმა თითოეული ვარსკვლავედი რომელიმე ცხოველს ან საგანს მიახლოებდა; და ცხოველის სახელიც დაარქვა მას. თითოეულ ამ გუნდს ბერძნულად ეწოდება ზოდია ანუ ცხოველი. მნათობთა იმ სარტყელს, რომელზეც ზოდია ანუ ვარსკვლავთა ცხოველური სურათი იმყოფება, ზოდიაკო = ზოდიაქოს, ანუ ცხოველთა სურათების წრეს უწოდებენ. მასვე ჰქვია აგრეთვე ეტლი. ⁶. ძველად იხმარებოდა კიდევ სახელი: ბურჯი. ⁶. ს. ს. ორბელიანი ამბობს: ბურჯი სხვათა ენაა ჟამთაგან მოსული, ვარსკვლავთა ათორმეტთა ზოდიათა უწოდებენო.

ჩვენი სახელოვანი ლექსიკოგრაფოსი ს. ს. ორბელიანი სწორად ამბობს: სიტყვა "ბურჯი" სხვათა ენა არისო. ⁸. მაზდეიანობის საგალობელთა წიგნში "ავესტა", ამ სიტყვისათვის იხმარება "ბარეზი, ბარეზ", რაც სიმაღლეს, ამაღლებულს ნიშნავს, ხოლო ფეჰლევურ (ფალაურ) ენაზეა: "ბურჯ" და ახალ სპარსულში: "ბურზ". ⁹.

სიტყვა "ბურჯი" რომელი 12 ზოდიაკოს ეწოდება, ქართულში ფეჰლევურიდანაა ნასესხები.

ზოდიაკოს ეწოდება ქართულად: "ცხოველთა სახილველი ანუ ცხოველთა სახილავი". ⁷.

თუ ზოდიაკოთა სახელთა აღნიშვნა დაიწყება იმ წერტილში, სადაც მზე გაზაფხულზე, დღისა და ღამის გასწორებისას, ანუ 21 მარტს, ანუ გაზაფხულის ბუნიობას ამოდიოდა, მაშინ ზოდიათა ანუ ვარსკვლავურ გუნდთა გამომხატველ ცხოველთა სახელები, ერთი მეორეზე მიყოლებით, შემდეგი იქნება:

ქართულად:	ბერძნულად
1. ვერძი	კრიოს
2. კურო	ტავროს
3. მარჩბივი (ტყუბი)	დიდიმოი
4. კირჩხიბი (კიბორჩხალი)	კარკინოს
5. ლომი	ლეონ
6. ქალწული (სახვი)	პართენოს
7. სასწორი (მეუღლე)	სიგოს
8. ღრიანკალი (მორიელი)	სკორპიოს
9. მშვილდოსანი	ტოქსოტეს
10. თხის რქა (ვაცი)	სიგოკეროს
11. მერწყული	ჰიდროსოს
12. თევზნი (თევზი)	იხთიეს

ლათინურად

არიეს
ტაურუს
გემინი
კანცერ
ლეო
გირგო
ლიბრა
სკორპიო
არციტენს
კაპერ (კაპრი კორნუს)
აკვარიუს
პისცეს

არაბულად

ელ-ჰამელ
ელ თაურ
ელ ტავამაინ
ელ სერტან
ელ აზელ
ელ აზრა
ელ მიზან
ელ აკრაბ
ელ რამი
ელ ჯედი
ელ დელვ
ელ სემას ატაინ

* *
*

ზოდიაკოთა შესახებ სწავლის წარმოშობა ბაბილონში უნდა ვეძიოთ, იქ, სადაც ევროპიული კულტურის ჩანასახია მოცემული. სუმერ-ბაბილონელთა ასტრონომია არა მარტო ვარსკვლავთაყვანისცემას (ასტროლატრია) და ასტროლოგიას ემსახურებოდა, არამედ მან კალენდარი და ქრონოლოგიაც შექმნა.

ბაბილონი იყო სამშობლო ასტრონომიული მეცნიერებისა, დედა ასტროლოგიისა, რომლის მოზიარე შემდეგ მთელი მსოფლიო გახდა. სპარსეთი, ინდოეთი, ჩინეთი, ეგვიპტე, — ეს მოწინავე ქვეყნები, და დაბოლოს ევროპა, — ბაბილონურ-ქალდეური მეცნიერებით იკვებებოდა. ¹⁰.

ზოდიაკოთა სახელნი შექმნილნი არიან ბაბილონში ოთხი-სამი ათას წლებში ქრისტეს წინ. ბაბილონელთ არა ჰქონდათ მხოლოდ სახელი "ქალწული", — მას იქ ერქვა სპიკა ანუ თავთავი. "ქალწული" დაარქვეს ბერძნებმა და მას აქ აღნიშნული ბაბილონური სპიკა (თავთავი) ხელთ მისცეს. ¹¹.

* *
*

თითოულ ზოდიაკოში მზე ერთი თვე რჩება, ანუ თითოული ზოდიაკოს გავლას მზე ერთი თვე უნდება. მზე ამოდის რომელიმე ზოდიაკოსთან ერთად და ჩადის მასთან ერთად. აქ მომაქვს მზისა და ზოდიაკოთა გამოჩენა-ამოსვლის დრო და დამალვა-ჩასვლის დრო: მეცხრე საუკუნის ქართული სიის მიხედვით, ს. ს. ორბელიანის ლექსიკონში მოცემული სია და ჩვეულებრივად მიღებული სია.

ს. ს. ორბელიანს თავის შესანიშნავ ლექსიკონში აღნიშნული მოვლენის განსამარტებლად შემდეგი გამოთქმა აქვს ნახმარი: — "ვერძი თთვესა მარტსა მიითვალავს მზესა"-ო. და ასე დანარჩენ ზოდიაკოთა შესახებ.

* *
*

მეცხრე საუკუნის ქართული სია (მზე იმყოფება რომელიმე ზოდიაკოში ამა და ამ დღიდან ამა და ამ დღემდე): —

გაზაფხული —

1. ვერძი — 21 მარტიდან 19 აპრილამდე
2. კურო — 20 აპრილიდან 19 მაისამდე
3. მარჩბივი (ტყუბი)— 20 მაისიდან 18 ივნისამდე

ზაფხული —

4. კირჩხიბი (კიბორჩხალი)— 19 ივნისიდან 18 ივლისამდე
5. ლომი — 19 ივლისიდან 17 აგვისტომდე
- აქ ემატება ხუთი დღე
6. ქალწული — 23 აგვისტოდან 21 სექტემბრამდე

შემოდგომა —

7. სასწორი — 22 სექტემბრიდან 21 ოქტომბრამდე
8. მორიელი — 22 ოქტომბრიდან 29 ნოემბრამდე
9. მშვილდოსანი — 21 ნოემბრიდან 20 დეკემბრამდე

ზამთარი —

10. თხის რქა — 21 დეკემბრიდან 19 იანვრამდე
11. მერწყული — 20 იანვრიდან 18 თებერვლამდე
12. თევზნი — 19 თებერვლიდან 20 მარტამდე. ¹².

ს. ს. ორბელიანის სია (მზე ამოდის ზოდიაკოსთან ერთად):


გაზაფხული —

1. ვერძი — თთვესა მარტსა 20
2. კურო — აპრილსა 20
3. მარჩბივი — მაისსა 21

ზაფხული —

4. კირჩხიბი — ივნისსა 22
5. ლომი — ივლისსა 23
6. ქალწული — აგვისტოს 23

ცათა სფერონი (ს. ს. ორბელიანის
ლექსიკონიდან, გადიდებული).



შემოდგომა —

- 7. სასწორი — სექტემბერსა 23
- 8. ღრიანკალი — ოქტონბერსა 23

ზამთარი —

- 10. თხის რქა — დეკენბერსა 22
- 11. მერწყული — იანვარსა 20
- 12. თევზნი — თებერვალსა 19. 0.

ჩვეულებრივი სია:

გაზაფხული —

მზე რჩება ზოდიაკოში —

1. ვერძი — მარტის 19დან აპრილის 19მდე
2. კურო — აპრილის 20დან მაისის 20მდე
3. მარჩბივი — მაისის 21დან ივნისის 29მდე

ზაფხული —

4. კირჩხიბი — ივნისის 21დან ივლისის 22მდე
5. ლომი — ივლისის 23დან აგვისტოს 22მდე
6. ქალწული — აგვისტოს 23დან სექტემბრის 21

შემოდგომა —

7. სასწორი — სექტემბრის 22დან ოქტომბრის 21
8. ღრიანკალი — ოქტომბრის 22დან ნოემბრის 20
9. მშვილდოსანი — ნოემბრის 21დან დეკემბრის 20

ზამთარი —

10. თხის რქა — დეკემბრის 21დან იანვრის 19მდე
11. მერწყული — იანვრის 20დან თებერვლის 18
12. თევზნი — თებერვლ. 19დან მარტის 20მდე.

* *
*

როდესაც მზე ვერძის ზოდიაკოში შედის, მარტის 21-ს, დგება გაზაფხული, იწყება ვერძის თვე, როცა ოთხფეხთ საძოვრად ველზე უშვებენ.

როცა მზე ვერძის თვეში სვლას ასრულებს, 19 აპრილს, და შემდეგ თვეს კუროს ზოდიაკოში შედის, მაშინ იწყება კუროს თვე, აპრილის 20სა. ამ თვეში მზე თავის მათბურსა და მაცოცხლებელ ძალას აფართოებს. ამიტომ ზოდიაკო კურო არის ბუნების ნაყოფიერების, თესლის გაპოხიერების, მიწათ მოქმედების დასაწყისის სიმბოლო.

21 მაისიდან მარჩბივის ანუ ტყუბის თვეა, როცა ცხვარი და თხა იზვებას იწყებს ანუ კრავსა და თიკანსა ჰზადებს (დოლი დაიძრაო ანუ გამოდისო, როგორც ს. ს. ორბელიანს აქვს ნათქვამი).

კირჩხიბის თვეში, 21 ივნისიდან დღე არის უგრძესი, იწყება ზაფხული, ჭირნახული მწიფდება.

ლომის თვე არის დიდი სიცხის თვე, 23 ივლისიდან 22 აგვისტომდე — ჭირნახულის დამწიფების დასასრული.


23 აგვისტოს იწყება ქალწულის თვე — ჭირნახულის მოწვენის, ადების თვე.

შემდეგ მოდის შემოდგომის დღისა და ღამის გასწორების თვე, 21 სექტემბერს. როდესაც მზე ამ ზოდიაკოში სვლას დაასრულებს, იგი ამ დროს თავისი გზის ზემოს ანუ ჩრდილოეთის ნაწილზე სრბოლას ათავებს. ს. ს. ორბელიანი ამ გზას ანუ სარტყელს უწოდებს: "ივლონა". ივლონა ესე არს გრკალი ცისა ჩრდილოეთ კერძო, რომელსა ზაფხულის მზე მუნით მიიქცევის და ვერ გასცილდებაო.

მაგრამ შემოდგომის ბუნიობის შემდეგ, 21 სექტემბრიდან, მზე ნელნელა ეშვება ეკვატორის ქვეშ თავის ქვემო გზაზე, ანუ სამხრეთ ნაწილში. ს. ს. ორბელიანი ამას უწოდებს: "დეკნა". დეკნა ესე არს გრკალი ცისა სამხრეთ კერძო, რომელსა მზე ზამთარ მას ვერ გასცილდება... ზამთარ მზე ვალსო... ამ დროს ბუნება აჩერებს თავის ძალთა განვითარებას; ზრდა სწყდება; ადამიანთ, პირუტყვთ სენი ემუქრება. ეს არის უკეთური თვე მავნე და მტრული მორიელ=ღრიანკალისა, რომელი 22 ოქტომბერს იწყება.

მერმე მოდის მშვილდოსანის ზოდიაკო, ნოემბრის 21-ს, და ესაა ნადირობის თვე.

21 დეკემბერს მზე ჩადის თავისი გზის ანუ რკალის უმდაბლეს წერტილზე, და აქედან იწყება მზის ნელნელა ასვლა. ეს ასვლა ზემო გზაზე თხის ასვლას წააგავს, და ამ თვის ცხოველია თხა ანუ თხის რქა, ან ნახევარ თევზი, ბაბილონური წარმოდგენით. ამ თვეში ხან მშრალი, ხან წვიმიანი (თოვლიანი) დღეებია, რომელი ერთი მეორეს ეცვლება.



ზოდიაკოთა და მნათობთა ნიშანნი ს. ს. ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით —

ზოდიაქონი: 1) ვერძი, 2) კურო, 3) მარჩბივი, 4) კირჩხიბი, 5) ლომი, 6) ქალწული, 7)სასწორი, 8) ღრიანკალი, 9) მშვილდოსანი, 10) თხის რქა, 11) მერწყული (წყლის სატანელი), 12) თევზი

ცთომილნი: 1) მთოვარე, 2) ერმი, 3) აფროდიტი, 4) მზე, 5) არია, 6) დია, 7) კრონოსი

მაგრამ მალე იმარჯვებს წვიმა და იწყება ზოდიაკო მერწყულის თვე (წყლის საქანელი); ესაა ვარსკვლავედი კაცი, რომელიც ჭურჭელიდან წყალს აქცევს.

ამის შემდეგ იწყება მზის ასვლა ისევ ვერძის ზოდიაკოში (21 მარტს) და დგება წელიწადის მეორე ნახევარი, ნათელი და თბილი დრო, მზის სასუფეველი ექვსი თვით. და ასე მარად და მარად...

* *
*

მოდღვრება მნათობთა შესახებ შექმნილია არსებითად ძველ ბაბილონში, სადაც კურო იყო მარდუკის, გაზაფხულის მზე-ღმერთის გამოხატულება. ბაბილონელებმა ეს სწავლა დაიწყეს იმ ხანაში, როდესაც მზეს თავისი საგაზაფხულო წერტილი, ანუ გაზაფხულის დადგომის, დღისა და ღამის გათანასწოების დრო 21 მარტს კუროს ზოდიაკოში ჰქონდა, დაახლოებით ხუთი ათასი წლის წინად, და მასთან არის ბაბილონელთა სარწმუნოებაც დაკავშირებული.

* *
*

მზე თითო ზოდიაკოში ერთ თვეს რჩება, ხოლო მთვარე თითო ზოდიაკოს გავლას ორ დღეზე მეტ ხანს უნდება. ამიტომ ამ ზოდიაკოებს უწოდებენ აგრეთვე: "სახლი, სადგური, ტახტი", და სხვა. მაშასადამე, არსებობს სახლი, ტახტი, სადგური და სხვა ამგვარი, სადაც მნათობი შედის და ჯდება, რჩება იქ თავის განკუთვნილ ხანას. ძველთა წარმოდგენით, ასეთია მნათობთა სახლები:

მზის სახლი არის ლომის ზოდიაკო
მთვარისა — კირჩხიბი
მერკურიუსისა (ოტარიდი) — მარჩბივი და ქალწული
ვენუსისა (ასპიროზი) — კურო და სასწორი
მარსისა (მარიხი) — ვერძი და ღრიანკალი
იუპიტერისა (მუშთარი) — მშვილდოსანი და თევზნი
სატურნუსისა (კრონოსი, ზუალი) — თხის რქა და მერწყული.

* *
*

ამაღლება, ეკსალტაციო არის ცნება, რომლის თანახმად, მნათობი თავის ძალასა ჰშლის, აფართოებს, როცა იგი თავის საკუთარ ზოდიაკოში იმყოფება. ესაა წმინდა ასტროლოგიური ცნება და ამ მნიშვნელობით ამაღლება ანუ ეკსალტაციო აქვს:

მზეს — ვერძში
მთვარეს — კუროში
მერკურიუსს — ქალწულში
ვენუსს — თევზში
მარსს — თხაში
იუპიტერს — კირჩხიბში
სატურნუსს — სასწორში.

* *
*

ელლინურ (ჰელენისტურ) ხანაში თითოეული აქ დასახელებული სახლი გარდაიქცა ოლიმპოსის ღმერთთა სახლად.

ღმერთი ათინას სახლი იყო — ვერძი
აფროდიტესი — კურო
აპოლოსი — მარჩბივი
ჰერმესის — კირჩხიბი
ზევესის — ლომი
დემეტრესი — ქალწული
ჰეფასტოსის — სასწორი
არესის — მორიელი
არტემისის — მშვილდოსანი
ჰესტიასი — თხა
პოსეიდონისა — თევზნი

* *
*

ოთხ კავშირსაც ანუ ოთხ ელემენტს, რომლისაგან ყოველივე წარმოიშვება, თავისი ზოდიაკო აქვს მიკუთვნებული:

ცეცხლს — ვერძი, ლომი, მშვილდოსანი
მიწას — კურო, ქალწული, თხა
ჰაერს — მარჩბივი, სასწორი, მერწყული
წყალს — კირჩხიბი, ღრიანკალი. თევზნი.

* *
*

თითოეულ ციურ სახლს, რომლის რიცხვი არის 12, სამ ნაწილად ჰყოფდნენ. თითოეულ ნაწილში 10 გრადუსია. თითოეულ გრადუსს ეწოდება დეკანე, და ამგვარად არის 36 დეკანე ($12 \times 3 = 36$). თითოეულ ამ დეკანეს განსაკუთრებული ციური ძალა მიეწერებოდა: თითოეულ დეკანს ღვთიური წარმომადგენელი განაგებდა.

* *
*

... ზოდიაკონი, ანუ ცხოველთა სურათნი, რომელნი კაცთ წარმოუდგენიათ ვარსკვლავთა გუნდის შემადგენლობისა, განლაგებისა და წამსგავსების მიხედვით, უბრალო სურათი კი არ არის, არამედ ისინი ცხოველ არსებებად წარმოდგენილნი არიან, რომელნი მზის გავლენით თავის ძალებს აწვითარებენ დ აძლიერებენ.

* *
*

როგორც უკვე აღინიშნა, მზე შედის ვერძის ზოდიაკოში 21 მარტს, და ესაა გაზაფხულის დღისა და ღამის გასწორება. და მაშინ იღვიძებს ბუნება, იფურჩქნება და ყვავილდება, თავდება ცივი დრო, კვდება ზამთარი. იმის ნაცვლად, რომ აღნიშნონ: მზის წყალობით, როდესაც იგი ვერძის ზოდიაკოში შედის (21 მარტს), გაზაფხული იწყებაო, ამბობენ: ვერძმა დაამხო ზამთარი, ვერძმა მოიტანა სიცოცხლე და გაზაფხულიო.

როცა მზე ლომის ზოდიაკოშია, მაშინ არის დიდი სიცხე; ამიტომ ამბობენ: ლომმა სიცხე მოიტანაო. როცა მზე ლომის ზოდიაკოს მიაღწევს (23 ივლისს), მაშინ იწყება მდინარე ნილოსის ადიდება. ამიტომ ამბობენ: ლომმა ნილოსის წყალდიდობა გამოიწვიაო. ამიტომაც ლომის თავი არის გამოსახული, ვითარცა წყლის სიმბოლო, მიღებზე და ხიდეებზე (ასეთი გამოქანდაკებული ლომი წყაროს თავზე მინახავს ჭიათურის რაიონში, რაც, რასაკვირველია, ჩემთვის უცნაური იყო!).

როცა მზე ქვეითდება და ღონეს ჰკარგავს, — ეს ღრიანკალს მიეწერება და ამბობენ: ღრიანკალმა ანუ მორიელმა მზე-გმირი სასიკვდილოდ მოშხამაო.

ამნაირად, თითოული ზოდიაკო გახდა ამა თუ იმ მოვლენის გამომწვევი, ანდა კიდევ: მზემ მიიღო, შეითვისა რომელიმე ზოდიაკოს თვისება და ძალა, რომელიც შესაფერი ბუნებით მოვლენებს იწვევსო. ამიტომაც მზე იყო: ვერძი, კურო გაზაფხულზე; ლომი — ზაფხულზე; ღრიანკალი და მერწყული — შემოდგომაზე, და დაბოლოს: თხა ან თევზი — ზამთარში. 6.

* *
*

ცაზე მზის მდგომარეობასთან სხვა ვარსკვლავნიც ერთგვარ ურთიერთობაში იმყოფებიან. ამ ვარსკვლავებს პარანატელლონტა, ანუ ზოდიაკოთა თანამგზავრებს უწოდებენ; ისინი თითქო მზისა და ზოდიაკოთა საქმიანობაში მონაწილეობას ღებულობენ; და ვინაიდან ეს თანამგზავრნი მზისა და მთვარის განსაზღვრულ მდგომარეობასთან დაკავშირებულად ეჩვენებოდათ, ამიტომ მზისა და მთვარის თანამონაწილედ მათაც სახავდნენ.

როცა მზე ლომის ზოდიაკოში შედის ანუ ლომზე ჯდება (23 ივლისს), ამ დროს ცაზე გამოჩნდება და ამოდის ვარსკვლავი სირიუსი, ანუ დიდი ძაღლი. ამიტომ სირიუსი ითვლება სიცხის წინამორბედად, და ამ დიდი სიცხის დღეებს ”ძაღლის დღეებს” ეძახიან. ეგვიპტეში ამ დროს მდინარე ნილოსი თავის ყოველ წლიურ ადიდებას იწყებს, და ამის წინამორბედად აგრეთვე სირიუსი იყო; ამავე დროს სწორედ, მერწყულის ზოდიაკო ჩადის, და რადგან იგი ჰაერის სადგომიც არის, კეთილად ითვლება იგი, რადგან სირიუსის მიერ გამოწვეულ სიცხეს თავისი ჰაერით ანელებს და კაცს შვებას აძლევსო.

* *
*

ცის სურათები ხმელეთის სურათებია. დედამიწიდან კაცმა ცაზე გადაიტანა მიწიური ცხოვრება, ცხოველები, საგნები; ცაში ხედავდა კაცი ზღვებს, ქვესკნელთ, გზებს, ხეებს, მთებს-ბალებს, მდინარეებს, სახლებს, ქუჩებს, ადამიანებს, ღმერთებს...

მიწიურ მოვლენათა ციურ მოვლენებად დასახვა კაცის წარმოდგენის მიერ ცის დასახლება იყო. "ყველაფერი, რასაც დედამიწაზე ვხვდებით", — ნათქვამია თალმუდში (თალმუდი — სწავლა, მოძღვრება; ებრაელთა საკანონმდებლო წიგნი, შეთხზული ქრისტეს შემდეგ ხანაში) — "არსებობს აგრეთვე ცაში, და არ არის ისეთი მცირე რამ, რომელს თავისი ნიშნით ცაში არა ჰქონდეს"-ო. ამ ასტრალური მითოსიდან არის წარმოდგენილი თვით პლატოს (პლატონის) ფილოსოფიური მოძღვრება, საერთოდ, ყველა იდეალისტური სწავლაო, — ამბობს პროფ. დრევს. ⁶.

მუსულმანური წარმოდგენითაც, ხმელეთის ცხოვრებას შეეტყვისება ცის ცხოვრება. არ არსებობს არც ერთი მორწმუნე, რომლის თანაბარი სახე ანუ ხატი მისი ცის ტახტზე არ იყოს; და როცა მორწმუნე ლოცვის დროს იჩოქებს და ძირს ემხოზა, ასევე მოქმედებს მისი თანაბარი ხატი ცაშიო. ¹³. ცა დასახლდა ღმერთებით და ვარსკვლავნი ღმერთებად გახდნენ, და მათ შორის, რასაკვირველია, მნათობებმა პირველი ადგილი დაიჭირეს.

ბაბილონურ ღმერთთა შორის ღმერთებად შემდეგნი მნათობნი გარდაიქცნენ:

1. მთვარე = სინ — ქვეყნის სიცოცხლის ღმერთი, რომელი შორეულ დღეთა ბედს განაგებს
2. მერკურიუს = ნებო — მწერალი ღმერთი
3. ვენუს = იშთარ — სიყვარულისა და ლხინის ღმერთი
4. მზე = შამაშ — მოსამართლე და ღმერთთა მეუფე
5. მარს = ნერგალ, შემდეგ — ნინიბ — ომისა და ჭირის, ხანძრის ღმერთი
6. იუპიტერ = მარდუკ — მწიგნობარი, ბედის გამგებელი, ახალი წლის გამომცხადებელი
7. სატურნუს = ნერგალ — მკვდართა სამეფოს ღმერთი.

აი, ამ მთავარ ღმერთებს ეკითხებოდა ყველაფერი, და ამგვარად დამკვიდრდა შვიდთა მნათობთა თაყვანება და მასთან ერთად ასტროლოგიამაც ფრთა გაშალა, ვინაიდან ასტროლოგია არის ბედის მკითხაობა ვარსკვლავებთან დაკავშირებით.

* *
*

აკადემ. რ. ბერთელოს თქმით, ასტროლოგიური ნაწერები ბაბილონის ისტორიაში ცნობილია უკვე მერვე საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდე. ეს მეცნიერება ქალდეანთა, ქალდეან-ასსირიელთა, ქალდეან - ირანელთა შორის იყო სასახლის მეცნიერება, ხოლო მას შემდეგ რაც ასტროლოგია ძველ საბერძნეთში შეითვისეს (მესამე საუკუნედან ქრ.

წინ, ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობათა შედეგად), იგი ფართოდ გავრცელდა და სავაჭრო ხელობადაც გადაიქცაო. ¹³ა. გვერდი 39).

* *
*

აკადემიკოსი ფრანს კუმონ-იკ ამბობს ამ საკითხის შესახებ — ძველი მაზდეიზმი ასტროლოგიას არ შეიცავს და თუ მაზდეიზმი მზისა, მთვარისა და ზოგი ვარსკვლავის, მაგალითად: სირიუსის (იმტრია) თაყვანებას მისდევდა, იგი მაინც ვარსკვლავურ წინასწარმეტყველებას არ აღიარებდა და ვარსკვლავთა მიხედვით მომავლის მკითხაობა-მარჩიელობას არა სცნობდაო. ზარათუშტრას ასტრონომიული ცოდნა ალბათ იმაზე მეტი არ იყო, რაც ჰომიროსს გააჩნდაო. იგი დარწმუნებული იყო, რომ მზე და მთვარე მოძრაობდნენ უძრავ ვარსკვლავთა ზემოდ. მაზდეიზმის საღმრთო წიგნი "ავესტა" ზოგ ადგილას იხსენიებს ვარსკვლავთა ჩარევას ბუნების საქმეებში, მაგრამ ეს საერთო ზემოქმედება ფიზიკურ მოვლენებზე ძალიან დაშორებულია იმ გავლენისაგან, რომელს ასტროლოგია აღიარებსო. თუ ფეჰლევურ (ფალაურ) წიგნებში მნათობნი განიხილებიან ვითარცა ბოროტნი ძალნი, ხოლო მყარნი ანუ უძრავნი ვარსკვლავნი კი ვით კეთილნი ძალნი, ესაა მხოლოდ ერთი მხარე მაზდეიზმის იმ გაორებისა, რომლის მიხედვით მთელი მსოფლიო კეთილ და ბოროტ ძალად განიყოფება. ნამდვილი ასტროლოგია მნათობებს ერთად არასოდეს არ განიხილავს როგორც უკეთურ ძალას, და არც მათ ყველას შეყრას (კონსტელაციო) ვით საკეთილოსო.

ჩვენის ცნობით, — ამბობს აკადემიკოსი ფრანს კუმონ, — მხოლოდ "მინოხირედ", რომელიც დაწერილია მერვე საუკუნეში, ამტკიცებს: "ყველა სიკეთე და ყველა უკეთურება, რომელი კაცს და სხვა არსებათ შეემთხვევათ, არის ნაყოფი შვიდთა (მნათობთა) და თორმეტთა (ზოდიაკოთა), რომელნი მსოფლიოს აწყობენ და მართავენ"-ო. მაგრამ აქ საქმე ისეთ წიგნს ეხება, რომელი ძლიერ გაჟღენთილია ზერვანიზმით და ეს კი ქალდეურ დიდ გავლენას გვიჩვენებსო. საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ ირანულმა მაზდეიზმმა, ვით კლასიკურმა საბერძნეთმა, უარყო ვარსკვლავური მკითხაობის ანუ ასტროლოგიის ყოველი ცდა: და თუ სასანიდთა სასახლეში ასტროლოგოსებს ყურს უგდებდნენ, ეს იმ ხანაში, როდესაც ზერვანიზმი ირანული იმპერიის ოფიციალური რელიგია გახდა. მაგრამ იგივე არ ითქმის მოგვთა შესახებ, რომელნი გაფანტულნი იყვნენ ირანის დასავლეთში: მათზე დიდი გავლენა მოახდინა ქალდეურმა ცის მეცნიერებამ და ასტროლოგია გაბატონდა მათ მსოფლმხედველობაშიო. ¹⁴.

ბაბილონურ - ქალდეურ მოძღვართა ზეგავლენით, რომელნი ასტრონომიისა და ასტროლოგიის ოსტატები იყვნენ, მაზდეიზმმა განიცადა დიდი გავლენა. ამ შერეული ახალი მოძღვრების თანახმად, მსოფლიოსა და არსებათა პირველი მიზეზი და შემოქმედი არის "დაუსრულებელი დრო" ანუ "ზერვან აკარანა". მაშასადამე: უზენაეს ღმერთად გამოცხადდა "დრო" = ჟამი, ვინაიდან ყოველი მოვლენა მსოფლიოში დამოკიდებული არის (ქალდეურ-ბაბილონური სწავლის თანახმად) ვარსკვლავთა მსვლელობისაგან, **დრო**, რომელიც ამ ციურ სხეულთა მსვლელობას განსაზღვრავს, განიხილებოდა ვითარცა უძლიერესი ღვთაება, და ყველა არსების, ყველა მყოს შემოქმედი. ამგვარად, "დრო" გარდაიქცა ასტროლოგიური გარდაუვალობის და

ფანატიზმის განუმორებელ ნაწილად. ეს იყო მოგვთა სწავლა, რომელი შემდეგში ელინურ კულტურას შეეზავა და რომლის ნიადაგზე წარმოიშვა ერთი დიდი რელიგიათაგანი: "მითრაიზმი"-ო. ¹⁴ გვ. 36, 63-67.

მითრაიზმის მიხედვით, ღმერთთა დახარისხებაში პირველ ადგილზეა და პირველ მიზეზად დასახულია "განყენება" "დროის" სახით. "დრო დაუსრულებელი" ანუ "ზერვან (ზრვან) აკარანა", რომელი ვარსკვლავთ მსვლელობას განაგებს, არის სრულყოფილი ბატონი, მეუფე მსოფლიოსი. ამგვარად, ასტროლატრია ანუ ვარსკვლავთთაყენება და ასტროლოგია ანუ ვარსკვლავთ მკითხაობა არის მითრაიზმის ღმრთისმეტყველების = თეოლოგიის საფუძველი. ¹⁵

* *
*

საბერძნეთზედაც დიდი გავლენა მოახდინა ბაბილონურ-ქალდეურმა ასტრონომიურმა სწავლამ, მაგრამ უგავლენოდ დარჩა პირველად: ასტროლოგია. მხოლოდ ალექსანდრე მაკედონელის დაპყრობათა შედეგად, მსოფლიო მონარქიის შექმნამ იძულებული გახადა საბერძნეთი ასტრონომიური თეოლოგია აღეარებინა. ადგილობრივი, მხარითი, ქალაქური ღმერთები ბერძენთა ქედს იხრიდნენ საერთაშორისი რელიგიის წინაშე. ვარსკვლავთა თაყვანება, რომელი მრავალი ხალხისათვის უკვე საერთო იყო, საბერძნეთშიაც ზურგს იმაგრებდა, და ადგილობრივი ღმერთები იღუპებოდნენ. ამგვარად, მსოფლიო პოლიტიკურმა ვითარებამ და აგრეთვე ვარსკვლავთ თაყვანების მიდრეკილებამ ელინიზმი ასტრონომიულ თეოლოგიაში შეიყვანაო, - ამბობს აკადემიკოსი ფრანს კლუმონ. ¹⁶

ამნაირად, ძველი ასტრონომია რელიგიას და ასტროლოგიას საფუძვლად დაედო: შვიდნი მნათობნი ითვლებოდნენ მთავარ ღმერთებად და თითოულ მნათობ-ღმერთს თავისი საკუთარი, მიკუთვნებული თვისებები ჰქონდა.

* *
*

შვიდი მნათობი თავისი სვლითა და ზოდიაკოში გავლენით, თავის ურთერთობით სხვა ვარსკვლავებთან განაგებდა მსოფლიოს, განსაზღვრავდა დროს, მართავდა ბუნებას და კაცის მომავალს და მის მოქმედებას, მის სიცოცხლეს და მის სიკვდილს ჰფლობდა.. ამიტომ ეს შვიდი მნათობი, ბაბილონელ - ქალდეანთა შვიდი მთავარი ღმერთი იყო და მასთან დაკავშირებით რიცხვმა "შვიდი" რელიგიური ხასიათი მიიღო.

1. **მზე** (შამს) — ღმერთი, მრავალი სხვა და სხვა სახელით ცნობილი, და მრავალი შესანიშნავი თვისებით დაჯილდოებული: წარმომშობი და შემქმნე ქვეყნიერებისა, ბუნების შემოქმედი მუდმივი ძალა, დამცველი და მფარველი სამართალისა და სამართლიანობისა, ბრძენი და მკვდრეთით აღმადგენელი, მაცხოვარი, მძლეოთა მძლე, ყოველის მხედი, ყოველის შემძლე, მორიგე და მმართველი მსოფლიოსი, ჯანმრთელობის მომანიჭებელი, სნეულთა განმაკურნებელი, თვალის სინათლის მბოძებელი, დამსჯელი დამნაშავეთა სიბრძავით და სხვა და სხვა...

ასტროლოგიური მნიშვნელობით, მზე არის კეთილი ბედის, ბედნიერების, სიყვარულის, თავისუფლების და სხვა სიკეთის მომანიჭებელი, ვაჟის სიყვარულის მფარველი...

2. **მთვარე** (ყამარ) — აგრეთვე მრავალი მნიშვნელობით, ვითარცა ჩანასახის განმყოფიერებელი და განმავითარებელი, მფარველი და მზრდელი პირუტყვთა და მცენარეთა, შვილოსნობის გამგე, დედაკაცთა თვიურის მომწესრიგებელი, ჯანმრთელობაზე და სნეულობაზე გავლენიანი, ასულის სიყვარულისა მფარველი, დამცველი კანონისა, ბრძენი და სხვა და სხვა...

ასტროლოგიური მნიშვნელობით მთვარის გავლენაშია: ადამიანის ხასიათი, სახე, ქორწილი, ფულის შოვნა, პატივი, ჯადოსნობა და სხვა.

3. **მერკურიუსი** (ოტარიდი) — ძველ ბაბილონში მზის ამოსვლისა და მზის ჩასვლის ვარსკვლავად ცნობილი და ახალი დროის წინამორბედი, — სიბრძნის ღმერთი და მწერალი ღმერთი (ბაბილონური "ნებო"). მას ხელთა აქვს გრიფელი და ფირფიტა, რომელზე იგი კაცის კეთილსა და ბოროტ საქმეებს აღნიშნავს: იგია მეუფე ჭკუისა, მოხერხებისა, ძალისა, გამგებელი ბედისა...

ასტროლოგიური მნიშვნელობით, მერკურიუსი (ოტარიდი) არის კეთილი ბედისა და ამავე დროს ცუდი ბედის მომტანი: ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ მერკურიუსს სხვა მნათობებთან და ვარსკვლავებთან განსაზღვრულ წამში ცაზე რა ადგილი უკავია და მასზე ეს ვარსკვლავნი რა გავლენას ახდენენ: კარგსა თუ ცუდს.

4. **ვენუსი** (იშტარ, ასპიროზი) ითვლებოდა წმიდა სამებაში (ტრინიტას, ტრიადა) და ამ სამებას ეკუთვნოდნენ ღმერთები: მზე, მთვარე, ვენუსი (შამაშ, სინ, იშტარ). ვენუსი იყო დიაცი-ღმრთისმშობელი, მადონა: იგია სიყვარულის ღმერთი: დედოფალი სიყვარულისა: ყოველგვარი მცენარეულობის მზრდელი, მკურნალი და სხვა.

ასტროლოგიური მნიშვნელობით, ვენუსი (ვენერა, ასპიროზი) არის კეთილი დიაცი ღმერთი, რომელი ქვეყანას სიყვარულსა ჰფენს და ვით ასული ცის ღმრთისა, სიკეთესა და ქველობას, მოწყალებას დედამიწას ანიჭებს. იგია ქვრივთა დამცველი: მხოლოდ ჩჩვილთათვის არის იგი საშიში.

5. **მარსი** (მარიხი) — ჭირისა და სიკვდილის ღმერთი, უმთავრესი გამომწვევი უბედურებათა, ხიფათთა, ცეცხლთა და ომთა. იგი ჭირნახულს ზიანს აყენებს, ნათესასა და ხილს აფუჭებს; იგი ხელს უშლის ოთხფეხი ზრდას, აბრკოლებს თევზთა გამრავლებას, მოაქვს ხანძარი, შფოთი, აღრევა, და არის მეფე სიკვდილისა.

ასტროლოგიური მნიშვნელობით, მარსი (მარიხი) არის უბედურების მომტანი.

6. **იუპიტერი** (მუშთარი) — ყოვლად მცოდნე და ქვეყნის შემოქმედი, მკვდრებით აღმადგენელი. ღმერთი მარდუკის (გაზაფხულის მზის, ბიბლიური "მეროდახი"-ს) გამოსახულება, მართალი მოსამართლე: მმართველი ღმერთთა და ადამიანთა.

ასტროლოგიური მნიშვნელობით, იუპიტერი (მუშთარი) არის, თუ მასზე რომელიმე ახლოს მდგომი, ჭირთა მომცემი ვარსკვლავი ცუდ გავლენას არ ახდენს, სიცოცხლეზე კარგი გავლენის მქონე და კარგი ბედის მომცემი. თუ იგი მთვარის სადგურში იმყოფება, ამ დროს იგი ვაჟთა დაბადებას ხელს უწყობს.

7. სატურნუსი (ზუალი ანუ შავი მნათობი), — ღმერთი ოჯახისა და საზოგადოებისა. მას შეუძლია ომის გამოწვევა: იგია ნადირობის ღმერთი და უფალი ძალმომრეობისა, გარყვნილებისა.

ასტროლოგიური თვალსაზრისით, სატურნუსი (ზუალი) არის უბედურებისა და უბედობის ვარსკვლავი: მაგრამ იგი შეიძლება ბედნიერების მომტანიც გახდეს, თუ ბედნიერების მომანიჭებელ კარგ ვარსკვლავთან ერთად იმყოფება და მის გავლენას განიცდის.

სპარსელი ზაქარია ყაზვინელის (1200 — 1273) განმარტების მიხედვით: 1. მზეს შეეტყვისება მეფე; 2. მთვარეს — ტახტის მემკვიდრე, ვაზირი; 3. მერკურიუსს — მწერალი; 4. მარსს — მეფის მცველთა უფროსი; 5. იუპიტერს — მოსამართლე; სატურნუსს — მოლარე; 7. ვენუსს — მონა-ქალნი, მოახლე ქალნი. ¹⁷.

ჰინდოური (ინდური, ჰინდოსტანური) ასტროლოგიის მიხედვით, მზე და მთვარე არიან მეფენი; მარსია — სარდალი; მერკურიუსი — პირველი თავადი, იუპიტერი — მინისტრები; სატურნუსი — მსახურნი და სხვა.

მაგრამ ამას გარდა, მნათობთ სოციალური მნიშვნელობაც აქვთ და თითოული რომელიმე კასტას წარმოადგენს: ვენუსი და იუპიტერი — ბრაჰმანთა კასტა; მარსი და მზე — მხედართა კასტა; მთვარე — ვაჭართა კასტა; მერკურიუსი — შუდრას, ანუ მათხოვართა კასტა და სატურნუსი — შანდალა, ანუ შერეულთა კასტა. ¹⁸.

* *
*

როგორც აღვნიშნე, 12 ზოდიაკო განიყოფება 12 სახლად, და თითოეულ სახლს კიდევ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს:

ვერძი (აღმოსავლეთის კუთხე) არის სახლი სიმდიდრისა;

კურო (ქვემო კარი) — სახლი სიმდიდრისა;

მარჩბივი (ძმათა სახლი) — მემკვიდრეობის, ძღვენის, მოულოდნელი საჩუქარის;

კირჩხიბი (მიწის კუთხე) — სახლი მშობელთა;

ლომი (ბავშთა სახლი) — ბავშთა ბედისა;

ქალწული (დახსნის სახლი) — მტრობისა, სწეულებისა, მწუხარებისა და სხვა ასე ქვემოდ...

ამას გარდა, როგორც ვთქვი, ზოდიათა სარტყელი გაყოფილია გრადუსებად, იმ რწმენის მიხედვით, რომ თითოეულ გრადუსზე ხილული ან უხილავი ვარსკვლავური არსება, ასტრალური არსი ბატონობს და თითოეულ გრადუსს გავლენა აქვს

მსოფლიოზე, ხალხებზე, პიროვნებებზე, განსაკუთრებით პირადული ბედის გადაწყვეტაზე.¹⁹

* *
*

აქ მსურს გაკვირვებით აღვნიშნო, რომ ჩვენი დროის ასტროლოგიური სწავლაც არსებითად იგივეა, რაც იყო ძველად. მაგალითად ინგლისელი ტრენტ 1933 წელს თავის წიგნში სწერდა: —

ჭკუიდან შეირყევა, ანუ გაგიჟდება ის, რომლის დაბადების წამს მერკურიუსზე, მთვარეზე ან ორივეზე ერთად გავლენას ახდენს შეყრით, ან მოწინააღმდეგობით სატურნუს, მარსი. ამ უბედურ წუთს იყვანენ დაბადებულნი, მაგალითად: — რუსეთის იმპერატორი პავლე (1 ოქტომბერს 1754 წ.), ინგლისის მეფე გიორგი მესამე (4 ივნისს 1728 წ.), შვეციის მეფე, გუსტავ მეოთხე (1 ნოემბერს 1778 წ.), ავსტრიის იმპერატორი ფერდინანდ მეორე (19 აპრილს 1793 წ.), პორტუგალიის დედოფალი მარია (6 ნოემბერს 1661 წ.), თურქეთის სულთანი მურად მეხუთე (21 სექტემბერს 1840 წ.) და სხვა. ამ სტრიქონთა დამწერს თან დაურთავს მნათობთა ურთიერთობისა და გრადუსთა ცხრილიც.²⁰

რავა გასაკვირია, რომ ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში მართლაც მოელოდნენ: როცა ყველა მნათობი ერთად თავს მოიყრის, ერთმანეთს შეხვდება ზოდიაკოში ”თხის რქა”, მაშინ წარღვნა მოხდებაო, ხოლო თუ ასეთი შეხვედრა მოხდა ზოდიაკოში ”კირჩხიბი”, მაშინ მსოფლიოს ხანძარი მოედება და იგი გადაიწვებაო. ეს იქნება ქვეყნის დასასრული და ღმრთის სასუფეველის დამკვიდრებაო.^{13ა. გვ. 245.}

* *
*

არამც თუ ქვეყნები, ხალხები, ადამიანები ექვემდებარებიან ვარსკვლავურ ბედს, არამედ ვარსკვლავთა გამგებლობაში არიან დღენი, მეტალები, ადამიანის გვამის ნაწილებიც, რომელთა სწეულებასა თუ ჯანმრთელობას თვითონ ვარსკვლავნი განაგებენ. მაგალითად —

ზოდიაკო ვერძს ეკუთვნის ადამიანის თავი;

კუროს — ყელი;

მარჩბივს — ხელები;

კირჩხიბს — მკერდი;

ლომს — ბეჭები;

ქალწულს — მუცელი;

ღრიანკალს — სული;

მშვილდოსანს — ღვიძლი;

თხას — მუხლები;

მერწყულს — ბარძაყნი;

თევზს — ფეხები და სხვა.

ხირომანტიაში, თითოულ თითს საკუთარი მნათობი მიეკუთვნება —

ცერს — ვენუსი;
სალოკს — იუპიტერი;
შუათითს — სატურნუსი;
არათითს — მზე;
ნეკს — მერკურიუსი. ²¹.

* *
*

თითოულ მნათობს თავისი განსაკუთრებული ლითონი აქვს მინიჭებული:

მზეს — ოქრო;
მთვარეს — ვერცხლი;
მარსს — რკინა;
მერკურიუსს — ვერცხლის წყალი;
იუპიტერს — კალა;
ვენუსს — სპილენძი;
სატურნუსს — ტყვია.

* *
*

მნათობთა სახელები ერქვა და ჰქვია დღესაც ევროპიულ ენებზე შვიდ დღესაც —

დიეს სოლის — დღე მზისა — კვირა
დიეს ლუნაე — დღე მთვარისა — ორშაბათი
დიეს მარტის — დღე მარსისა — სამშაბათი
დიეს მერკურიი — დღე მერკურიუსისა — ოთხშაბათი
დიეს იოვის — დღე იუპიტერისა — ხუთშაბათი
დიეს ვენერის — დღე ვენუსისა — პარასკევი
დიეს სატურნი — დღე სატურნუსისა — შაბათი. ²².

* *
*

თვალთ პატიოსანთ ანუ ძვირფას ქვებს თავიდანვე, ფერთა გამო, მნათობებთან და ვარსკვლავებთან აკავშირებდნენ. ეს სწავლაც გავრცელდა ქალდეველთაგან ეგვიპტელთა და ებრაელთა შორის და შემდეგ ყველგან.

ძველი საიდუმლო მოძღვრების მიხედვით, ძვირფას ქვებს აქვთ ძალა: მოიზიდონ ვარსკვლავთ გავლენა და იგი კაცისათვის გამოიყენონ. ამიტომ კაცმა ის თვალი პატიოსანი უნდა იქონიოს, რომელიც მისი დაბადების დღეს ეკუთვნის და, ამნაირად, სათანადო ვარსკვლავს მიეწერება. მაშასადამე, კაცმა ყოველდღიურად ის თვალი პატიოსანი უნდა ატაროს, რომელიც თითოულ დღეს შეეფერება —

ორშაბათს — მარგალიტი და თეთრი ფერის თვალი

სამშაბათს — ლალი და ყველა ცეცხლის ფერი
ოთხშაბათს — საფირონი, ფერუზი და ლურჯი
ხუთშაბათს — ამეთისტი და სისხლის ფერი
პარასკევს — ჰიაცინტი, ზურმუხტი
შაბათს — ალმასი, ბრილიანტი
კვირას — ოქრო და ყველა ყვითელი თვალი. ²³.

* *
*

შვიდნი მნათობნი კაცის ჰასაკსაც განაგებენ და თითოული ჰასაკი თითოულ მნათობს მიეკუთვნება. ეს წარმოდგენა გამოქანდაკებულიც არის ვენეციის დოჯთა სასახლის სვეტის თავზე (სასახლე აგებულია 1341 — 1347 წ.). მთვარე იცავს ბავშვს ოთხ წლამდე; მერკურიუსი — ათი წლით; ვენუსი — შვიდი წლით; მზე 19 წლის განმავლობაში; ორმოცი წლიდან მარსი იცავს კაცს 15 წლის განმავლობაში: იუპიტერი განაგებს შემდეგი 12 წლის განმავლობაში და სატურნუსს მიჰყავს მოხუცი სიკვდილისაკენ, და ეს არის უკანასკნელი ვარსკვლავი, რომელიც სიკვდილს პატრონობს — ულტიმა აეტას. ²⁴.

* *
*

ასტროლოგიის მთავარი სწავლა შეიქმნა ადამიანის ბედის გამორკვევად, მისი ჩასახვისას, ან დაბადების წუთის მიხედვით. ჰოროსკოპი არის დაბადების ან რომელიმე მოვლენისათვის დადგენილი წამი (ჰორა, ორა — საათი, ჟამი), რომელიც მნათობთა და ვარსკვლავთ ურთიერთის მიმართ დგომასა და განლაგებას გვიჩვენებს. სხვა და სხვა ვარსკვლავთა შეყრის ანუ შეხვედრის ეს წერტილი დაბადების წამში ან რაიმე მოვლენის წუთში არის გადამწყვეტი ადამიანისა და მოვლენისა მომავალისათვის, ხალხთა და ამბავთათვის. ამ ხვედრის გამოსარკვევად საჭირონი არიან შვიდნი მნათობნი, თორმეტნი სახლნი, თორმეტნი ზოდიაკონი და ზოგ მოზიმიზე ვარსკვლავთა ყოფნაც. ყველანი ეს ვარსკვლავნი თუ როგორ არიან ცაზე დალაგებულნი, რა წერტილში, რა დაშორებით, რა ურთიერთობით და რა გავლენით ერთმანეთზე, — ესაა ყოველი მოვლენის მოავალის, ბედის გადამწყვეტი, ჰოროსკოპი.

ჰოროსკოპში უდიდესი მნიშვნელობა ასპექტს აქვს. ასპექტი (ხედვა, მზერა, მხარე) არის მნათობთა მდგომარეობა, ანუ ალაგი, მზერა ზოდიაკოთა წრეში. მნათობნი ერთსა და იმავე ზოდიაკოში და იმავე სახლში არიან შეყრაში (კონიუნქციო); მნათობნი მოპირდაპირე ზოდიაკოში და სახლში, არიან განყრაში, დაპირისპირებაში (ოპოზიციო).

ჰოროსკოპის სრულიად უბრალო მაგალითი — თუ ბავში დაიბადება, როცა მთვარე ამოდის, მისი ცხოვრება იქნება ბრწყინვალე, ბედნიერი, მართალი და გრძელი. ოდეს ბავში დაიბადება მარსის ამოსვლისას, მას, ბავშვს ზიანი მოუვა, ავად გახდება და მოკვდება. თუ ბავში დაიბადება, როცა ვენუსი ამოდის და იუპიტერი ჩადის, შემდეგში მისი ცოლი იქნება უფრო ძლიერი, ვინემ თვითონ; როცა იუპიტერი ამოდის დ ვენუსი ჩადის, ამ წუთში დაბადებული იქნება ბედნიერი და სხვა. ²⁵.

* *
*

რასაკვირველია, ვარსკვლავთ თაყვანება, მათ მიერ ბედის გამგეობა და მათგან ადამიანის მომავალის დამოკიდებულება, თავის თავად მათდამი მიმართვას, ლოცვასა და მსხვერპლს მოითხოვდა. ამიტომ მრავალია ის გალობა, მსხვერპლთა წესი და ლოცვა, ვედრება ანუ აჯა ვარსკვლავთადმი. ამ გალობა-მსხვერპლის საშუალებით კაცს შეუძლია ვარსკვლავთ დახმარება თხოვოს და ვარსკვლავსაც შეუძლია მას ეს შემწეობა აღმოუჩინოს. მაგრამ ამას გარდა, კაცს შეუძლია, თუ ვარსკვლავი გაჯიუტდა და მას თხოვნა არ შეუსრულა, თუ მას მწარე ბედი შეექმნა, ვარსკვლავებზე მაღლა მდგომს ღმერთს მიმართოს და მისი წყალობა ითხოვოს. ამგვარად, შესაძლებელი იყო უღმობელი და სასტიკი ბედის შერბილება, უცვლელი და გარდაუვალი ბედისწერის შეცვლა. მხოლოდ მაღალ ღმერთს შეუძლია ვარსკვლავური ღმრთისა და ბედის ცუდი გადაწყვეტილება ან შესცვალოს ან შეამსუბუქოს. ეს შეხედულება ძველია, განმტკიცებული აგრეთვე საიდუმლო, ჰერმეტიკულ მოძღვრებათა და მისტიკებით.

ცნობილმა ასტრონომოსმა პტოლემეოსმა, რომლის უდავო გავლენა შუა საუკუნეთა დასასრულამდე ბატონობდა, ადამიანის ბედის საკითხზე წარმოადგინა დებულება, რომლის მიხედვით, ცუდი ბედის აცილება შესაძლებელია ასტროლოგიური მკითხაობის ძალით, შესაფერის წუთში სათანადო საწინააღმდეგო ზომების მიღებით.

ცნობილი იყო აგრეთვე ამავე მიზნით უმაღლესი ღმრთისადმი მიმართვა, რათა მან თავის ვარსკვლავს დაავალოს დახმარება და შემწეობა.²⁶

რასაკვირველია, ასტროლოგიას თავისი მკაცრი მოწინააღმდეგენი ჰყავდნენ, მაგრამ მომავალისა და ბედის წინასწარი გამორკვევა იმდენად წარმტაცი და მომხიბლველია, რომ ამ მოძღვრებას დღესაც დიდი გასავალი აქვს.

ასტროლოგიამ განსაკუთრებული დიდი ადგილი დაიკავა სტოელთა ფილოსოფიაში. პანაიტიოსის შემდეგ, პოსეიდონის აპამელმა განამტკიცა ასტროლოგიური სწავლა, რომელიც რომს მოედო... გამოფიტული ბერძნული და რომაული ღმერთების ყველა თვისება მნათობებზე გადაიტანეს და ასტროლოგია გახდა, აკადემიკოს ფრანს კდუმონის მკვეთრი გამოთქმით, მეცნიერული თეოლოგია, განსაკუთრებით მითრას რელიგიაში. არა მარტო რელიგიამ, არამედ ყველა მეცნიერებამ ასტროლოგიას ფართოდ კარი გაუღო — ბუნებისმეტყველება, მედიცინა, ქემია, მინერალოგია, ეთნოგრაფია და სხვა, მეთუთხმეტე საუკუნემდე და შემდეგაც, ასტროლოგიის სრული გავლენით ვითარდებოდა და მიემართებოდა. ამას პროფ. ფრანც ბოლლი გვიდასტურებს — ასტროლოგია ჰუმანიზმსა და რეფორმაციას არავითარი გზით უკან არ დაუხევია, არამედ წიგნის ბეჭდვის საშუალებით, პირიქით, ძალიან გავრცელდა. ქათოლიკურ და პროტესტანტულ ქვეყნებში ასტრონომოსები და უბრალო ხალხიც ასტროლოგიით გართულნი იყვნენ. ასტროლოგია დარჩა, შემთხვევითი წინააღმდეგობის მიუხედავად, მეზვიდმეტე საუკუნის დასასრულამდე ცხოვრების ერთ უდიდეს ძალად.²⁷

* *
*

ჯერ კიდევ 280 წელს ქრისტეს წინ ბეროსოსმა დასწერა ”ბაბილონური ისტორიანი” და მერმე ეგვიპტეში 150 წ. თითქო ნეხეპსო და პიზიტორისმა დასწერეს ორი ასტროლოგიური თხუზულება, რომელმაც ასტროლოგიის განვითარება-გავრცელებაში დიდი მნიშვნელობა მიიღო.

პტოლემელთა სამეფო გვარის დროს, ეგვიპტეში, განსაკუთრებით ქალაქ ალექსანდრიაში, ფილადელფოსის (235 — 247 წ. ქრ. წინ) მიერ დაარსებულ მუზეუმში დაიწყო ასტრონომიისა და ასტროლოგიის აყვავება. ტიმოხარის და არისტელლოსმა დაიწყეს თავისი ასტრონომიული დაკვირვებანი და ეკვატორი დაადგინეს. ამათ მოჰყვა შემდეგ ასტრონომიის ნამდვილი დამაარსებელი, ასტრონომიის მამა, ჰიპარხოს ნიკეანელი (ქრ. წინ 160 — 126 წ. მასწავლებლობდა), რომელმაც შეადგინა თხუზულება უძრავ ვარსკვლავთა და მნათობთა წესრიგის შესახებ და რომელზეც დაემყარა შემდეგ უდიდესი ასტრონომოსი, ”გარდასრულ ხანათა უდიდესი გონება” კლაუდიოს პტოლემეის (87 — 165 წ. ქრ. შემდეგ).

პტოლემეისმა ალექსანდრიაში კეისარ ანტონიუს პიუსის დროს (138 — 161) დასწერა თავისი დიდად განთქმული საასტრონომიო შრომა, ასტრონომიული ბიბლია, სახელით: ”მათემატიკოს სინტაქსის”, რომელიც გაბატონებული იყო ახლანდელი ასტრონომიის დაწყებამდე. ვინაიდან პტოლემეისის თხუზულება თავისი სწავლით მეტად რთული იყო, ამან გამოიწვია მრავალი თარგმანება და განმარტება. ამბობენ, ალექსანდრიელმა პაპპუსმა მის შესახებ 13 წიგნი დასწერაო. მესამე საუკუნეში პტოლემეისის სწავლის შესასწავლად ალექსანდრიელმა მეცნიერებმა დააგროვეს ყველა ასტრონომიული და მათემატიკური შრომა, რომელსაც ”პატარა ასტრონომიის” ნაწერი დაერქვა; სახელი ”პატარა ასტრონომია” ნახმარია დიდ ასტრონომოს პტოლემეისის ნაწერთან შედარებით. ამას შემდეგ პტოლემეისის შრომას დაემატა ზედმეტი სახელი ”დიდი” ანუ ”მეგალ”, რომლისაგან ”მეგისტე” უდიდესს ნიშნავს; მას წინ დაერთო არაბული ნაწევარი ”ალ” და ამგვარად წარმოიშვა პტოლემეისის შრომათა ახალი სახელი — ალმაგესტ ანუ უდიდესი, რომლითაც იგი დღესაც ცნობილია.

* *
*

ალექსანდრიელმა სწავლულებმა (არისტარხოს სამოსელი და სელევკოს სელევკიელი, მესამე საუკუნე ქრისტეს წინ) გამოიმუშავეს შეხედულება, რომლის თანახმად დედამიწა რგვალა და ტრიალებს თავისი ღერძის გარშემო 24 საათის განმავლობაში. არისტარხოს სამოსელმა, რომელმაც მიიღო, შეიძლება, პითაგორიანთა მოძღვრება, შეთვისებული ჰერაკლიდეს სამოსელის მიერ, — როგორც ამბობს პროფ. რივო, — ამტკიცებდა, დედამიწა არის პლანეტა და არა ურყევიო და მსოფლიოში მზეს უკავია ცენტრალური მდგომარეობაო.²⁸ მაგრამ ეს შეხედულება იმდენად დაუჯერებელი და უცხო, იმდენად შეუთვისებელი და გაუგებარი იყო, რომ მან ძველი სწავლა ვერ შეარყია და დარჩა ისევ ძველი აზრი, რომლის თანახმად დედამიწა

არის უძრავი და გული მთელი მსოფლიოსი, და ეს მსოფლიო თავისი შვიდი ცით მის გარშემო ტრიალებსო.

* *
*

ალექსანდრიის აკადემია ეგვიპტეში თანდათან სუსტდებოდა, ირღვეოდა და ბოლოს მან თავისი ბრწყინვალე სახელი მას შემდეგ დაჰკარგა, რაც კონსტანტინოპოლში პატრიარხი ნესტორიუსის († 461) მიმდევრებმა, ნესტორიანებმა ანტიოქიაში და ედესაში თავისი აკადემია დააარსეს. (ნესტორიანთა მოძღვრებით, ქრისტეში ორი პიროვნებაა ცალკეულად. მარიამი არაა დედა ღმრთისა და სხ. ეფესოს ყრილობამ უარჰყო ეს სწავლა და მისი მიმდევრები მწვალებლებად გამოცხადა). ამ ახლად დაარსებულ აკადემიაში ბერძნულიდან სირიულად ითარგმნა ასტრონომიული თხზულებებიც. მაგრამ რადგან სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებული ქრისტიანობა თავის ყოველ განხრას და მათ შორის ნესტორიანთაც სდევნიდა, ამიტომ ნესტორიანებმა თავისი აკადემია გადაიტანეს მიზიზის-ში, განდისპორა-ში (სპარსეთი), შაჰ ხოსრო ნუშირვანის (532 — 579) ნებართვით. აქ, სპარსეთში დაიწყო მაშინ ბერძნულ თხზულებათა თარგმანი სპარსულ ენაზე.

* *
*

ეს ის ხანაა, როდესაც არაბეთში უკვე დიდი მოძრაობა დაიწყო და ისლამი შეიქმნა. ისლამი უმთავრესად პოლიტიკური რელიგიაა და ამ რელიგიით გატაცებულმა არაბულმა ტომებმა მალე ცეცხლითა და მახვილით ბატონობის ასპარეზი მოიპოვეს ინდოეთის მდინარე განგიდან ატლანტიკის ოკეანემდე, ესპანეთში არაბული სახელმწიფოს დაარსებით. და გუშინდელნი უდაბნოელნი იმ განათლებას დაეწაფნენ, რომელიც მათ მზად დახვდათ. მუსულმანური კულტურის დასაწყისად საერთოდ მერვე საუკუნის მეორე ნახევარი ითვლება. აბასიდმა ხალიფამ აბუ-ჯაფარ ალ-მანსურმა 762 წელს ქალაქი ბაღდადი დააარსა, რომელიც სატახტო ქალაქს გარდა, სამეცნიერო ცენტრად გადაიქცა. ალ-მანსურის შვილისშვილმა ჰარუნ ალ-რაშიდმა (786 — 809) სამასი სწავლული გააგზავნა ბერძნულ ხელნაწერთა შესაგროვებლად და შესასწავლელად. ქალაქ ბაღდადში აუარებელი სამეცნიერო მასალა დაგროვდა. ხალიფა ალ-მამუნმა (813 — 833) დამარცხებულ ბიზანტიის კეისარს, მიხეილ მეორეს 823 წელს საზავო ხელშეკრულებაში მუხლი შეატანინა, რომლის ძალით იმპერატორს ხალიფასათვის უნდა მიეცა ბერძნული ხელნაწერები, ან ამ ხელნაწერთა ასლები. 827 წელს იმავე ხალიფა ალ-მამუნის ბრძანებით გადათარგმნეს პტოლემეაიოსის მატემატიკოს სინტაქსის, რომელსაც არაბულად დაერქვა "ალმაგესტა", როგორც ეს უკვე ზემოდ აღვნიშნე. მანვე შეადგინა სწავლულთა წრე, რომელს თვითონვე ხელმძღვანელობდა. ბაღდადსა და დამასკოში ააშენეს ობსერვატორია, სადაც განთქმულმა მეცნიერებმა მოიყარეს თავი. ხალიფა ალ-მაჰდის სასახლეში სირიელი ქრისტიანი სწავლული, ჰომეროსის მთარგმნელი, თეოფილოს ედესელი, პირველი ასტროლოგოსი იყო. არაბები გაიტაცა ასტრონომიამ და ასტროლოგიამ და ამ საკითხზე მრავალი თხზულება წარმოიშვა.²⁹

* *
*

პირველი ასტროლოგიური თხუზულება არაბულ ენაზე, რამდენად დღემდე ცნობილია, ეკუთვნის აბუ-იუსუფ-იაცუბ ელ-ყარჩის (მეცხრე საუკ.), რომლის ასტროლოგიური შრომა დაყოფილია 12 თავად 12 ზოდიაკოს მიხედვით. ზოგი ამტკიცებს, პირველი ასტრონომიული შრომა, რომელიც არაბებმა გაიცვენეს, იყო 628 წ. დაწერილი ინდური თხუზულება სინდთატა-სი, რომელი იბრაჰიმ ალ-ფაზარიმ არაბულად თარგმნაო.

არაბებმა თავის მასწავლებელ ბერძნებს მალე წინ გაუსწრეს. ამ ეგრეთ წოდებულ არაბ მეცნიერთა რიცხვში შედიოდნენ სხვა და სხვა დაპყრობილ ერთა შვილები.³⁰

მეათე საუკუნის დამდეგს არაბულ ენაზე თითქმის ყველა ბერძნული ასტრონომიური და ასტროლოგიური თხუზულება იყო გადათარგმნილი. არა ერთხელ გადათარგმნეს პტოლემეაოსის ალმაგესტა და ახალმა მეცნიერებმა თავიანთ დაკვირვებათა შედეგად ასტრონომია წინ წასწიეს.³¹

ყველა ასტრონომთა შორის განთქმული იყო მუჰამმედ ებნ ჯაბერ ებნ სენან აბუ აბდალლაჰ ალ-ჰარან, სხვა სახელით: ალ-ბატანი, არა მაჰმადიანი, არამედ საბიანი, ვარსკვლავთ თაყვანისმცემელი. (გარდაიცვალა 929 წ.) (ჰარანელი ანუ საბიანი იყვნენ სირიელი წარმართნი რომელნიც ისლამის ბატონობის მიუხედავად, ვარსკვლავურ რელიგიას მისდევდნენ. არაბთა ცნობით, ისინი ქალდეანთა ჩამომავალნი იყვნენო).³² მეორე ადგილი ეჭირა იუნის (გარდ. 1008 წ.); შემდეგ მოდის ლჰასან, ზედმეტი სახელით: ელ-სუფი. შემდეგი არის ზაქარია ყაზვინელი (1200 — 127). ეს ის დროა, როდესაც მონღოლთა მძლეობა მძლე ლაშქარმა აღმოსავლეთიდან დასავლეთი გადმოლახა და ჩინგიზის ბადიშის ხულაგუს ლაშქარმა (რომელში მოწინავედ ქართველები და სომხები იყვნენ), 1258 წელს ბაღდადი აიღო: ხალიფა სიცოცხლეს გამოასალმეს.

ხულაგუმ ყველა მეცნიერს თავი მოუყარა თავის აგარაკში — მარაღა, ურმიის ტბასთან. აქ დააარსეს ობსერვატორია და ასტრონომოსთა ხელმძღვანელი იყო ცნობილი ნასრ ედდინ ტუსი. ამ დაპყრობათა შედეგად მეცნიერება გადაბარგდა ერთი მხრივ თურქესტანს და მეორე მხრივ — ესპანეთს, სადაც არაბებს დამოუკიდებელი ხალიფატი კორდობა ჰქონდათ.

* *
*

ისლამურ-არაბული ასტროლოგია სამ ნაწილად განიყოფებოდა: 1) შეკითხვითი სწავლა (მასაილ, ინტერროგაციონეს) ვარსკვლავთა მიმართ და ვარსკვლავთა პასუხი ამ შეკითხვებზე. მაგალითი: ვარსკვლავთ ეკითხებიან შორს მყოფ ნათესავთა შესახებ, ქურდზე, დაკარგულზე და ყოველ დღიური საკითხების შესახებ. ეს არის უბრალო და ჩვეულებრივი ასტროლოგია. 2) ამორჩევის წესი (იხტიფარატ, ელეკციონეს) — არჩევა შესაფერი წუთისა რომელიმე საქმის დაწყებისათვის, — როდის და როგორ უნდა

შესრულდეს ესა თუ ის საქმე. 3) წარმოშობითი (გენეტიკური) წესი; ამის მიხედვით ვარსკვლავთ ეკითხებიან ბავშვის დაბადების, მეფობის დასაწყისის, ქალაქის დაფუძნების, რელიგიურ განხრათა დაარსების და სხვა ამგვარ თარიღთა შესახებ: რა ბედი უწერია ამა და ამ ვარსკვლავზე დაბადებულ ბავშს; რა მოელის ამა და ამ სამეფოს, ხალხს. ესაა კატარხაი — მარჩიელობა საქმეთა და მოვლენათა შესახებ.² წიგნი 1. გვ. 517. აი, ამ ნიადაგზე მთელს აღმოსავლეთში გაბატონებული იყო ასტროლოგია, და თუ რა ზომად ძლიერ, ამას ახლავე გავიცნობთ.

* *
*

განთქმული მეცნიერება მეცნიერებათა უკვე იესო ქრისტეს წინ, — ასტროლოგია, — შუა საუკუნეებში გახდა თვით ცივილიზაციის საფუძველად, — ამბობს ალ მაზარენი. იმ ხანაში, ინდუსის ხეობიდან დაწყებული, ბოსფორის ნაპირებამდე, მთელი ქვეყანა განუსაზღვრელი აღფრთოვანებით მნათობთა და მთვარის სახლთა ცხრილს შესცქეროდა, რომელს ფარსელ წინასწარმეტყველს დამასპ-ს და მის ოსტატს ზარათუშტრას მიაწერდნენ. მეექვსე საუკუნეში, როდესაც გამოცხადდა "ყურანი", ამან მოითხოვა მხოლოდ ალლაჰისათვის სახელი და დიდება ზოდიაკოთა და მანზილთა ანუ მთვარის სახლთა შექმნისათვის, რადგან ისლამი, იგიც, "ქალდეანთა" მისნობის ხელოვნებაზე დაფუძნებული, რამოდენიმე იშვიათ განათლებულთა გარდა, რომელნი ჭარბი იჭვნეულობით შეპყრობილნი იყვნენ, მთელ ქვეყანას იმ ხანად, რომელს ჩვენ ვსწავლობთ (მეათედან მეცამეტე საუკუნემდე, ამის ჩათვლით), ასტროლოგია რწმენოდა: მორწმუნენი თავჩაქინდრულნი მისდევდნენ ცის, დამასპის, ზარათუშტრას, ეზეკიელის, დანიელის და სხვა რამოდენიმე წინასწარმეტყველის აღიარებულ განმამარტებელთ, ხოლო "თავისუფალი მოაზრენი" პირდაპირ ვარსკვლავთ ეკითხებოდნენ. როგორც პირველნი, ისე მეორენი ასტროლოგიით იყვნენ შეპყრობილნი. ყოველ წელიწადს, ზამთარის დასასრულისათვის აღმანახთა აუარებელ რიცხვს აქვეყნებდნენ ხოლმე. (აღმანახი — "ალ" აქ არის არაბული ნაწევარი, ხოლო "მანახ" არის ქალდეური სიტყვა, რაც ნიშნავს: წინასწარ ხედვა, განჭვრეტა). ეს მრავალთ მრავალი აღმანახი სხვა და სხვა ზომისა და სხვა და სხვა ფასისა, აგრეთვე სხვა და სხვა მსყიდველს მიმართავდა, რადგან სულ მცირეოდენთა გამოკლებით, არავინ არც ერთი შემთხვევას არა ჰკარგავდა, ეს აღმანახი შეეძინა და ყოველი დილით ყურადღებით გაერჩია...

აღმანახში მოთავსებულნი იყვნენ წინა თქმანი მთელი წლისათვის; იგი უსურვებდა ყველას კარგს, ბედნიერ და კურთხეულს; შეიცავდა მითითებას ამინდთა, ქართა=მუსსონთა, ზღვათა მიმოქცევათა შესახებ; ის წინასწარ ამბობდა თითოეული სახელმწიფოსათვის და ხალხისათვის მნათობთა შეყრასა და განყრაზე, მეფეთა, თავადთა და ვაზირთა ჯანმრთელობაზე; იტყობინებოდა პოლიტიკურ და სოციალურ ამბებზე, ომებისა, რევოლუციებისა, სიკვდილიანობისა, მოარულ სენთა, და სხვა ამგვართა შესახებ. ამას გარდა იგივე აღმანახი თვითეული მთვარისათვის ამტკიცებდა მთავარ ხელობათა ხვედრს: სუფიებისა, მეცნიერთა, კანონის ხალხთა, მოლაშქრეთა, ვაჭართა, მიწის მოქმედთა და მონათათვის და არ დაივიწყებოდა არც მდგომარეობა ჯოგთა... ამგვარად, სარკინოზული (არაბული) აღმანახი თავის პატრონს აუწყებდა — ყოველი დღის, და კიდევ მეტი, ყოველი საათის ბედნიერ და უბედურ მხარეს არა მარტო ისლამის მეცნიერთა მიხედვით, არამედ აგრეთვე ინდო-

სკვითურ, ზარათუშტრას, ქალდეანთა და თვით ბიზანტიელ "მათემატიკოსთა" მიხედვით!

ყველაფერისათვის აღმანახი იყო ხელმძღვანელი ძვირფასი და მას გამუდმებით ეკითხებოდნენ. აღმანახი გირჩევდა, თუ რა დღე და რა წამი არის ხელსაყრელი, რათა ითხოვო ასულის ხელი, დანიშნო დღე ქორწილისა, აწოვო ძუძუ ჩვილს, წინ ცვეთო იგი, დაუწყო მას "ყურანის" კითხვის სწავლა; აღმანახი ნიშნავდა ზუსტად წუთს, თუ როდის არის უმჯობესი წახვიდე აბანოში, მიიღო სასაქმებელი, გაიღო სისხლი და სხვა. არავინ არ მოაწერდა ხელს რაიმე ხელშეკრულებას, არ ისესხებდა ფულს, არ იყიდდა რაიმეს, არ დაიწყებდა შენებას, არ გაემგზავრებოდა, არ ესტუმრებოდა, არ გაუგზავნიდა და არ გახსნიდა წერილს, არ დაიწყებდა საჩივარს, — სანამ თავის აღმანახში არ ჩახედავდა და იქ რჩევას არ გამოარჩევდა; ასე რომ კაცის კერძო ცხოვრება ასტროლოგიურ ცივილიზაციაში, იყო იგი კარგი მუსლიმანი, თუ არა-მუსლიმანი გამარჯვებული თუ დამარცხებული პრინცი, ვაზირი თუ გლეხი, აქიმი თუ სნეული, თავისი აღმანახის წინასწარი რჩევისაგან, მისი მკითხაობისაგან იყო მჭიდროდ დამოკიდებული. არისო, — ამბობდნენ, — "დრო დანიშნული" და მას ანგარიში არ გაუწიო, იქნებოდა სიგიჟეო, და ეს დაისჯებოდა არა მარტო უეჭველი წაგებით, არამედ მძიმე უსიამოვნებითაცო. ³³.

აქ მსურს ერთი რამ აღვნიშნო: ჩემს ახალგაზრდობისას, ჭიათურის რაიონში, არა ერთჯერ დავსწრებივარ წიგნით მარჩიელობას. ამ წიგნს ეძახდნენ, როგორც მახსოვს, "ეფრემვერდი"-ს. მაშინ არ მესმოდა, რომ ეს ეფრემვერდი, რომელს მკითხაობისათვის ხმარობდნენ არის იგივე "ეფემერიდები", ანუ ასტროლოგიური ცხრილი, რომელიც ყველგან ასტროლოგიაში იხმარება და არაბულ აღმანახს უდრის. სამწუხაროდ, ეს წიგნი აღარ შემხვედრია, რათა დანამდვილებით მისი რაობა გამომერკვია.

* *
*

ბიზანტიის იმპერიაში კარგა ხანის განმავლობაში მეცნიერება მიყუჩებული იყო; მხოლოდ მერვე საუკუნედან იფურჩქნება ასტრონომია და მასთან ერთად ასტროლოგია. კეისარმა თეოფილოსმა კონსტანტინოპოლში ფილოსოფოს ლეონს ასტროლოგიის კათედრა ჩააბარა. ბიზანტიელი მგოსანი მეთორმეტე საუკუნისა, რომელმაც ცა აღწერა, — იოანნეს კამატეროს, იყო უკანასკნელი მწერალი ასტროლოგიის დარგში.

ბიზანტიური მეცნიერება თავისი ასტრონომიით და ასტროლოგიით უკვე სავსებით არაბულის გავლენაშია და არაბულ-სპარსული წყაროთი იკვებება. ბერძნულ ასტრონომია - ასტროლოგიაში დაიბუდა ვარსკვლავთა არაბულმა სახელებმა და ტექნიკური გამოთქმები გახდა არაბული, ვინაიდან ძველი ბერძნული გამოსადეგად აღარ მიიჩნიეს. ³⁴.

მეცხრე - მეათე საუკუნეში ბიზანტიაში ასტროლოგიური სწავლა მტკიცედ ფეხზე იდგა, თუმცა მას თითქოს ებრძოდნენ კიდეც. თვით მიხეილ პსელლოს (1018 — 1096) ლექციებს კითხულობდა ასტროლოგიის შესახებ, რომელს იგი არ იზიარებდა. პსელლოსის მეგობრები: იოანნე ქსილიფონო და მიხეილ კერულარიოს,

კონსტანტინოპოლის პატრიარხები, ოკულტიზმითა და ასტროლოგიით გატაცებულნი იყვნენ და მას ქრისტიანურ მოძღვრებას უკავშირებდნენ; მათ გვერდს უშვენებდნენ სწავლულნი ბერი ხიოს და ბერი ნიკეტოს და მარჩიელი დიაცი დოსითეა. ამიტომ მიხეილ პსელლოსი ებრძოდა თავის მეგობრებს და მათ ხალდეიზმს აბრალებდა. (ქალდეიზმი ეწოდებოდა მაშინ: წარმართულ ელლინიზმს, მაგია-ოკულტიზმს, ასტროლოგიას და ნეოპლატონურ თეურგიას).³⁵

ბიზანტიურ საზოგადოებაში, — ბ. ტატაკის თქმით, — ძლიერად გავრცელებული იყო (მეთერთმეტე საუკუნეში) ასტროლოგია, სხვა საიდუმლო სწავლასთან ერთად; განსაკუთრებით ასტროლოგიას მიეცა ფართო გასაქანი. იმის მიუხედავად, რომ საეკლესიო მამანი ასტროლოგოსებს სწყევლიდნენ და აძევებდნენ, იმპერატორები და საზოგადოების მაღალნი ფენანი ასტროლოგიით გატაცებულნი იყვნენ და მეცნიერთა, სწავლულთა წრეშიც იგი ფესვმოდგმული იყო. 792 წელს, როდესაც კონსტანტინე მეექვსემ ბულგართა წინააღმდეგ გაილაშქრა, ამის შესახებ ჯერ ასტროლოგოსებს შეეკითხა. ასტროლოგოსები სასახლეში ბატონობდნენ. მანუელის კეისარი (1118 – 1143) მეცნიერებისა და მწიგნობრობის დიდი მოყვარული იყო: იგი კითხულობდა აგრეთვე ასტროლოგიურ წიგნებსაც (როგორც დავით აღმაშენებელი), ხოლო იმპერატორი ალექსის მესამე 1202 წელს ასტროლოგოსის რჩევით სწყვეტავდა საკითხებს. ხალკედონში ყოფნისას მის წასაყვანად გემი მოვიდა, ასტროლოგოსებმა ურჩიეს არ-წასვლა, რადგან ვარსკვლავთა განლაგება უკეთურიყო. არ წავიდა. მაგრამ შემდეგ კი, ოთხ მარტს (1202 წ.) ასტროლოგოსებმა კეისარს აცნობეს, ეს დღე ბედნიერი არისო, მხოლოდ მზის ამოსვლამდე აბრძანდით გემზეო. იმპერატორი გემზე ავიდა, ოღონდ სწორედ ამ დროს მოხდა დიდი მიწის ძვრა, ბევრი ხალხი ჩაყლაპა მიწამ, მაგრამ გემი მაინც გადაარჩა.³⁶

ანდრონიკე პირველი კომნენოს, ალექსი მესამე, დედოფალი ეფროსინე ასტროლოგოსებით იყვნენ შემორტყმულნი; დიდი მეცნიერებიც კი კერულარიოს, ნიკეტას ხონიატეს და სხვანი, და მეთორმეტე საუკუნეში ნიკიფორე გრეგორას, პახიმეროს თეოდორე მეტოხიტეს და სხვანი, — გონებრივი ბრწყინვალეობა იმ ხანისა! — ასტროლოგიას მისდევდნენ. ასეთი ძლიერი იყო ბიზანტიაში ასტროლოგის გავლენა. (იქვე,³⁶ გვ. 278-8).

* *
*

ასტროლოგიისადმი ინტერესი შემდეგ საუკუნეებშიც გაგრძელდა ბიზანტიაში და იქედან რომს შეეხიზნა და ლათინურ ქვეყნებში დამკვიდრდა. ეს არის ერთი გზა ბიზანტიური, არაბულ-ესპანურ და არაბულ-სიცილიურ გზის გარდა, რომელმაც ლათინური დასავლეთი ასტროლოგიას დააპყრობინა.

ბასილ ტატაკისის თქმით, სტეფანე ალექსანდრიელი იყო ოკულტიზმის თავოსანი ბიზანტიაში და მან ასტროლოგია ქრისტიანობაში შეიტანა ასტრონომიის სახელითო. სტეფანეს მტკიცებით, ასტრონომია (ასტროლოგია) გვაძლევს წინასწარ ცნობასა და ცოდნას მოწვევადის შესახებ, თუ რა მოხდება მომავალში. ღმერთს აქვს თავისი საკუთარი წინასწარი ცოდნა მომავალის შესახებ, და ჩვენ შეგვიძლია ასტრონომიის საშუალებით მოვიპოვოთ ამ ღვთიური წინასწარი ცოდნის ნაწილი მაინცო. ციურ

გვამთა მოძრაობის, მდგომარეობის ან განლაგების დაწვრილებით შესწავლა ნებას მოგვცემს შემოქმედის სულში ჩავიხედოთ და მომავალი წინასწარ გავიგოთო. (იქვე, ³⁵ გვ. 24).

მეთორმეტე საუკუნეში ფილოსოფოსმა პროდროსმა დასწერა ასტრონომიულ-ასტროლოგიური პოემა, და მისმა თანამედროვე უმრწესმა იოანე კამატეროსმა კიდევ ორი პოემა.

* *
*

თავის თავად ცხადია, ქრისტიანობა ასტროლოგიას უნდა შებრძოლებოდა, რადგან ქრისტიანობას არა რწამს და მისთვის არ არსებობს არავითარი ვარსკვლავური ღმერთი ან ვარსკვლავური გავლენა. ამ ქრისტიანული გალაშქრებისა და დევნის მიუხედავად, ასტროლოგიამ მაინც შესძლო თავისი გავლენის მოპოვება და მისი შენარჩუნება, თავისი თავის ქრისტიანობასთან შეგუებით. რასაკვირველია, მნათობნი და ვარსკვლავნი მოქმედებენ თვითონ, კაცთა ბედს განაგებენ, მოვლენათა ბედსა და მომავალს აჩვენებენ, მაგრამ მნათობნი და ვარსკვლავნი იძლევიან მხოლოდ ნიშნებს, გვიმუდავებენ მხოლოდ ღვთიურ სურვილებს, და ამგვარად, არა მნათობნი და ვარსკვლავნი მოქმედებენ თვითონ, არამედ ისინი ღვთიურ გარდაწყვეტილებათა და სურვილთა მაჩვენებელი, გამომეტყველი და გადმომცემნი არიანო. ⁽³⁷⁾.

ქრისტიანობაში თვით სულთა მოხსენების წესშიც ასტროლოგიის გავლენას ადგილი დაეთმო. გარდაცვალებულთა სულთ მოიხსენებენ ქრისტიანულ ეკლესიაში სამჯერ — მესამე, მეცხრე (დასავლეთის ეკლესიაში — მეშვიდე) და მეორმოცე დღეზე. ხალხურმა რწმენამ ეკლესია აღმოსავლეთში იძულებული გახადა მას სულის მოხსენება მეცხრე დღეზე დაეწესებინა. მეორმოცე დღეზე სულის მოხსენება არაა არც ბიბლიაში და არც წარმართულ ელლინიზმში. ვეტტიუს ვალენსის (მეორე საუკ.) ნაწერზე დაყრდნობით, აკადემიკოსმა ფრანს კუმონმა დაამტკიცა, რომ ეს ჩვეულება ძველი ბაბილონური ასტროლოგიიდან გადმოდისო, და სულის მოხსენების წესი კი საერთოდ ცნობილია მეოთხე საუკუნის დასასრულიდან აპოსტოლური წესდების მიხედვითო, — ამბობს პროფ. ლუი ბრეიერ. (იქვე, ³⁶ გვ. 201).

დაბოლოს, თომას აკვინელმა, დასავლეთი ეკლესიის უუდიდესმა თეორეტიკოსმა, მნათობთა შესახები სწავლა თავის ქრისტიანულ მოძღვრებაში შეიტანა. ქრისტიანობამ მნათობები დააყენა ანგელოზთა გამგებლობაში. უშესანიშნავესმა და უჩინებულესმა ქრისტიანულმა მწერალმა დანტემ (1265 — 1321) თავის ”დივინა კომედია“-ში შვიდ მნათობთა შვიდი ცა შვიდ ნეტართა ანუ შვიდ ცხონებულთა რიგს მიანიჭა და ამგვარად ასტროლოგია მანაც გააქრისტიანა. დანტეს ”ღვთიურ კომედია“-ში არის ცხრა ცა და ამასთან ერთად ანგელოზთა ცხრა რიგი, რომელნიც მეცხრე ცაში ღმერთს ერტყმიან და სხვა და სხვა რკალით მოძრაობენ, ასე რომ თითოული ცა თვითთულ ანგელოზურ რიგს ემორჩილება. ანგელოზი სერაფიმი განაგებს ცათა ცას ანუ ბროლის ცას, მეცხრე ცას; ქურუბიმი — უძრავ ვარსკვლავთა ცას, მერვე ცას; ამას შემდეგ მოსდევს მნათობთა შვიდი ცა და თითოული ცა თითოული სხვა და სხვა რიგის ცხონებულთათვის არის განრიგებული და დანიშნული. და რასაკვირველია, ეს მნათობნი, ანუ უფლის სწორად, ანგელოზნი — ღმერთის ნების მიხედვით, — ბუნებასა და ადამიანთა ბედს განაგებენ. ამის შედეგია ის მოვლენა, რომ დასავლეთის

ქრისტიანულ ხელოვნებაში შვიდმა მნათობმა თავისი ადგილი მისაკუთრა და რიცხვმა შვიდმა კვლავ გაიმარჯვა, ვით ბედნიერების გამომსახველმა.

* *
*

უნდა აღინიშნოს, რომ ქრისტიანი იმპერატორები ასტროლოგიას ჰკრძალავდნენ და ლაოდენსის, ტოლედოს და სხვა საეკლესიო ყრილობა ქრისტიანებს უკრძალავდა ასტროლოგიისათვის მიემართათ. ჯვაროსანთა ომების შემდეგ, ასტროლოგია ევროპაში დამკვიდრდა და მისი მფარველნი რომის პაპებიც კი გახდნენ. პაპა სიქსტუს მეოთხე, იულიუს მეორე, ლეონ მეათე, კლიმენტიუს მეშვიდე, პაულუს მესამე და სხ. ასტროლოგიას მფარველობას უწყევნ, ხოლო მეფენი და იმპერატორები: — გერმანიისა: კარლოს მეოთხე, საფრანგეთისა: ფრანსისკ პირველი, ანრი მეოთხე, (ლუი მეცამეტეს დაარქვეს ”მართალი”, რადგან იგი ზოდიაკო სასწორის თვეში დაიბადა), ეკატერინე მედიჩი, (რომლის ასტროლოგოსი იყო დღესაც განთქმული ნოსტრადამუს), ესპანეთისა: პედრო მესამე, დონ მარტინ, და სხვანი და სხვანი, ასტროლოგიის თაყვანისმცემელნი იყვნენ. თვით დიდი ასტრონომოსები, თანამედროვე ასტრონომიის ფუძემდებელნი: ტიჰე დე ბრაჰა, კოპერნიკუსი და სხ. ასტროლოგიას იზიარებდნენ.

* *
*

შუა საუკუნეთა ევროპაში მნათობებს და საერთოდ ვარსკვლავებს დიდი გავლენა მიეწერებოდათ. განსაკუთრებით მეთუთხმეტე საუკუნის დამდეგიდან, როცა რენესანსმა ანტიკა გამოაცოცხლა და მასთან ერთად ასტროლოგიასაც დიდი გასაქანი მისცა. მნათობნი ბატონობენ მეტალებზე; მნათობნი ხელს უწყობენ ხელოსნობას; მნათობნი გავლენას ახდენენ ჰასაკზე; მნათობნი იწვევენ მხიარულებას ან წუხილს; მნათობნი ჰქმნიან მეგობრებს, ან მტრებს; მნათობნი აჯანმრთელებენ ან ასნეულებენ გვამს, მის ნაწილთ; მნათობის ხელშია ადამიანის ბედი, მისი ცხოვრება და მომავალი მასზეა დამოკიდებული; იგი ხალხებს ბედს გადაუწყვიტავს და საერთოდ არაფერი ხდება, რასაც მნათობი არ განაგებდეს და არ მიმართავდეს, მაგრამ ვარსკვლავთა ზემოდ, მათ მაღლა არის ღმერთი, თვითონ ვარსკვლავთა შემქნელი, ღმერთი ყოვლად შემძლე, ყოვლის შემცველი, ერთ არსება... ასტრა რეგუნტ ჰომინეს, სედ რეგიტ ასტრა დეუს: ვარსკვლავები ადამიანებს განაგებენ, მაგრამ თვით ვარსკვლავთ ღმერთი განაგებს...

* *
*

საიდან და რა გზით მიაღწია ასტროლოგიამ ევროპას?

ესპანეთისა, სიცილიისა და ბიზანტიის პირდაპირი გავლენით ევროპა გაეცნო ისლამურ კულტურასა და მეცნიერებას, არაბულიდან ნათარგმნ თხუზულებათა მეოხებით. ხოლო შემდეგ პირდაპირი შეხებითა და დაახლოებით ჯვაროსანთა ომების ხანაში.

ევროპის შუა საუკუნეთა ასტრონომია - ასტროლოგიის ერთად ერთი წყარო იყო მეთორმეტე საუკუნედან მეთუთხმეტემდე მხოლოდ არაბული მწერლობა. კაიზერ ფრიდრიხ მეორეს სასახლის ასტროლოგოსმა მიხეილ სკოტუსმა (1175 — 1234) მეფის ბრძანებით შეადგინა დიდი ასტრონომიური-ასტროლოგიური თხუზულემა. პეტრუს დე ალბანო პადუელმა (1250 — 1316) სთარგმნა იბნ ესრას სიბრძნის დასაბამი (პრინციპიუმ საპიენციე). არაბული ესპანეთი გახდა შუამავალი მუსულმანური კულტურისათვის და აქედან მოედო მეცნიერების ყველა დარგი მთელს ევროპას. ალბერტუს მაგნუს (1193 — 1280) ჩამოსთვლის თავის "სპეკულუმ ასტრონიკუმ"-ში მრავალ ბერძნულ, ებრაულ და არაბულ თხუზულემას, და სრულებით ქრისტიანულ მწერლებს არ ასახელებს. ასეთი იყო აღმოსავლეთისა და მუსლიმანური კულტურის დიდი გავლენა მაშინდელ ევროპაში. დღეს — პირიქით არის...

* *
*

როგორც ვთქვი, რწმენა: რომ ანგელოზნი ცებს ანუ სფეროებს ატრიალებენ გამოთქმული აქვს დანტეს — ძალა და მოძრაობა უნდა მიიღონ ამ წრეებმა ნეტარ წამყვანთაგან შთაბერვით, ანუ ანგელოზებისაგანო. იგივე შეხედულება გამოხატულია უკვდავ მხატვარის რაფაელის (1483 — 1520) კაპელა ჩიგი-შის ჭერის სურათზე; იგივე შეხედულება გამოხატულია დიდ ასტრონომ ალფონსოს მეთეს, კასტილიელის (1252 — 1284) ერთ წიგნში; იგივე შეხედულება გამოთქმულია დიდებული გოეთეს (1749 — 1832) ფაუსტის შესავალში.³⁸

თორმეტნი ზოდიაკონი გამოქანდაკებული არიან პარიზის ღმრთისმშობელის, "ნოტრ დამ დე პარი"-ს კარებზე; გამოწახნაგებულნი არიან ზოდიაკოთა სიმბოლონი, ხოლო თვითონ ღმრთისმშობელი ქალწული მარიამ ბავშვით ხელში ზოდიაკო ქალწულის გამოსახულების ნაცვლად არის წარმოდგენილი.³⁹

* *
*

და საქართველოშიც შვიდნი მნათობნი მით გაქრისტიანებულნი არიან, რომ წმიდა გიორგის გამოხატულებას ისინი გარს არტყიან. საქართველოს დიდი მფარველი, რომელს მთიელი ხალხებიც თაყვანსა სცემენ, — ფონ ვეზენდონკის თქმით, — გიორგი, მხედარი ცხენზე, მლეთის ეკლესიის წინ ლურჯად შეღებილ ძეგლზე გამოხატულ გველეშაპსა ჰკლავს; გიორგისთან ერთად გამოხატულია მზე, მთვარე და მნათობებიც.⁴⁰

და ბოლოს, ეს შვიდი მნათობი გამოგვეცხადა 1918 წელს ქართულ ღერბზე თეთრ გიორგისთან დაკავშირებით.

* *
*

ჩვენი დროის ასტროლოგია 4 ნაწილად განიყოფება:

1). ასტროლოგია ბუნებადი ანუ ფიზიკური, ნატურალური, ანუ ვარსკვლავთა გავლენა ზღვის მიმოქცევაზე, ჰავაზე, ამინდზე, მიწის ძვრაზე, ცეცხლის მფრქვეველ მთებზე და სხვ.

2) ასტროლოგია მსოფლადი, ანუ ვარსკვლავთა დამოკიდებულება ბედთან თუ უბედობასთან ქვეყნებისა, ერებისა, მრეწველობისა, მოარული სენისა, გადასახადებისა და სხვათა შესახებ.

3) ასტროლოგია იუდისიური, ანუ ვარსკვლავთა გავლენა პიროვნების ბედზე დაბადებიდან სიკვდილამდე (ჰოროსკოპი)

4) ასტროლოგია ჟამნითი ანუ შეკითხვა ვარსკვლავთადმი იმ წუთში, როდესაც საქმეა გადასაწყვეტი, ან მოსალოდნელია რაიმე ამბავი, დარიგებისა და გზის ჩვენებისათვის. არის სხვა გვარი დანაწილებაც ასტროლოგიურ სწავლათა. ⁴¹.

დღესაც ასტროლოგია თუ რამდენად გავრცელებულია აქედან სჩანს: —

ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში ითვლება 25ათასი მოსაქმე ასტროლოგოსი, რომელიც თითოეულ ჰოროსკოპში 15-დან 400 დოლარამდე ღებულობდა. ჰოროსკოპს არდგენენ კაცთა მომავალის, მარულის, ავტომობილთა შეჯიბრის, ფეხბურთელთა მეტოქეობის, სავაჭრო წამოწყების და სხვა მრავალ და მრავალ საკითხის შესახებ. მთელი ამერიკის გაზეთებსა და ჟურნალებს და ევროპიულ ბევრ გამოცემასაც აქვს საკუთარი ასტროლოგიური განყოფილება! ინგლისი, შვეცია, საფრანგეთი, ნორვეგია, გერმანია და თითქმის მთელი ევროპა ასტროლოგიით არის გაგიჟებული! მარტო გერმანიაში იბეჭდება ასტროლოგიური გაზეთები, რომელთა გამოცემის რიცხვი სამ მილიონს აღემატება!

* *
*

ამ სრულიად მცირეთ უმცირესი მიმოხილვიდან აშკარაა ვეფხისტყაოსანის ასტრონომია და ასტროლოგია არაბულ-სპარსულ-სირიულ მუსულმანური კულტურის წრეში უნდა ვეძებოთ. ქართულ განათლების ფენებს მათი თანამედროვე მეცნიერება შეეძლოთ შეესწავლათ ან პირდაპირ სირიულიდან, ან არაბულ - სპარსულიდან, ან იქნებ ბერძნულიდანაც... მაგრამ ვეფხისტყაოსანის ასტრონომიული სახელები გვიმტკიცებს, რომ აქ ჩვენ ისლამურ კულტურასთან გვაქვს საქმე.

ხშირად ვხმარობ ცნებას "ისლამური კულტურა" ან "მუსლიმანური კულტურა" და არა "არაბული", ვინაიდან აღნიშნული კულტურის განვითარებაში არა მარტო არაბები, არამედ მაჰმადიანობის ამღიარებელი მრავალი სხვა და სხვა ერი, და მათ შორის განსაკუთრებით სპარსეთი და სირია, მღვივე მონაწილეობას ღებულობდნენ. და მართლაც, იმ მეცნიერთა, ფილოსოფოსთა და საერთოდ მოაზროვნეთა შორის, რომელთაც "არაბული" კულტურა განავითარეს, — როგორც ამბობს პროფ. ჟაკ რისლერ, — თვითონ არაბნი დიდ უმცირესობას წარმოადგენდნენო. ^{40ა}.

ამ ისლამურ კულტურას საქართველო კარგად იცნობდა, პირდაპირი შეხებითა და ურთიერთობით. არაბები საქართველოში დიდ ხანს ბატონობდნენ, და ქართულ მაღალ წრეებთან უშუალო ურთიერთობაში იყვნენ.

თბილისში არსებობდა არაბული ობსერვატორია და ამის შესახებ ცნობას იძლევა არაბი მწერალი ალ-ისტახარი. 930 წელს, — სწერს იგი, — თვით თბილისში არაბებს ობსერვატორია ჰქონდათო. ისლამური კულტურა პირველი იყო მთელს მაშინდელ მსოფლიოში, და ქართველებს, რასაკვირველია, თუ ისინი მსოფლიოს მსვლელობას არ ჩამორჩებოდნენ, მის გავლენასაც ვერ ასცდებოდნენ.

* *
*

ასტროლოგიური თხუზულებანი საქართველოშიც ცნობილი უნდა ყოფილიყვნენ. პ. ინგოროყვამ გამოსცა თბილისში ერთი ასტროლოგიური ტექსტი, რომელი ჩემთვის მიუღწეველია. სოლომონ ყუბანეიშვილის მიერ შედგენილ ქრესტომათიაში დაბეჭდილია იოანე პეტრიწონელის ნათარგმნი (მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნე) ასტროლოგიური სამი ტექსტი: სამივე ბერძნულიდან არის ნათარგმნი: 1. სიბრძნისაგან ფილოსოფოსთაისა წინასწარმეტყველებად ჟამთა და შენებათა წელიწდისა მოწვენადთათვის, თუ ვითარ იყვნენ, 2. კალანდად, თქმული ეზრა წინასწარმეტყველისა (მეცხრე საუკუნედან), 3. ძვრისა და ქუხილისა გამოცხადებისა. ეს სამივე ტექსტი ამინდსა და მოსავალს ეხება, ვითარმედ — 1). უკეთუ იყოს ზედნადები ლ, მას წელ ზამთარი იყოს თოვლიან, აპრილსა წვიმანი ესე კეთილიანი იყოს. თივად, ხვარბალი, თაფლი იეფად... 2). უკეთუ იანვარი დღესა შაბათსა დადგეს, ზამთარი იყოს მძიმე, იწნობად ნაყოფთა, სნეულებანი, სახლთა წვანი, ბერთა სიკვდილი... 3). დეკენბერსა თუ იქუხნეს, დიდი კეთილი იყოს ყოველსა ქვეყანასა... ⁴².

პროფ. ვ. კეკელიძეს ამ სამი თხუზულების გარდა დასახელებული ჰქონდა კიდევ მეოთხე — მთოვარისა დღენი სათუალავნი, რომელი არკვევს, თუ რა შედეგები იქნება ამა თუ იმ საქმეს ან მოვლენას, რომელს ადგილი აქვს ერთ - ერთ მთვარის რიცხვსო. ეს ასტრონომიული სტატიები, — ამბობს პროფ. ვ. კეკელიძე, — ქართულად ძველადაც, მეათე საუკუნემდე ყოფილა ნათარგმნიო, მაგალითად, კალანდად ეზრასი 949 წელშიო, მაგრამ პეტრიწონელს იგი ხელახლა უთარგმნია, როგორც შედარებიდან სჩანს სხვა რედაქციითო. ⁴³. და ⁴⁴. ყველა აქ აღნიშნული თარგმანი ბერძნულიდან არის გარმოდებული. და ყველა იგი ფიზიკურ ასტროლოგიას ეხება, ერთის გარდა.

ქართული მეცნიერების ერთგულ მოღვაწეს, ექვთიმე თაყაიშვილს თავის ”ოპისანიე“-ში, სადაც აღწერილია წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერები, მოხსენებული აქვს ხელნაწერი ასტროლოგიური წიგნი, რომელში ჩამოთვლილი არიან ასტროლოგიური განმარტებანი, თითოული თვის ზოდიაკოს მნიშვნელობა და დაბადებულის ბედის გამორკვევა. ეს ხელნაწერი ასე იწყება: ეტლი მართალი და ჭეშმარიტი. მარტისა ვერძი. ამ ვერძსა ზედა რომელი იშვას. შეიქმნას ტანად. და პირად. კარგი გულოვანი და უსმენარი. კათ. მოყვარე. და გონებად კარგი გვარის თავი. მახვილსა. ცეცხლსა და წყალსა უფრთხილდეს. თავის ნაკრავი. აიღოს. ავჯაოსაზედა. არა ავნოს. ღვინის მოყვარე. ⁴⁵.

მეორე ხელნაწერი: სიცოცხლისათვის და სიკვდილისათვის; მესამე — სამთვარიო; მეოთხე — სიბრძნითგან ფილოსოფოსთასა. აღწერილი. წინასწარმეტყველებად. ჟამთა. და ბუნებათა. წელიწადთასა. მოწვევადთათვის. თვის. თუ. ვითარ იქნებიან. მეხუთე — მზისა და მთვარის დაბნელების შესახებ — ა: დღის. მთოვარე. შემოეყრების. ზოკალს. ეს დღე. უბედურია. ბატონთან მისვლა. გზას წასვლა. მუშაობა. ანგარიში. არ. ვარგა. და სხვა. (იქვე, ⁴⁵ გვ. 120).

ქალბატონ თამარ პაპავამ მიმითითა დიმიტრი ბაქრაძის გურიაში და აჭარაში მოგზაურობის წიგნზე, სადაც ამ თაოსან მოღვაწეს აღწერილი აქვს ქვემოხევის ეკლესია. ამ ეკლესიაში მას უნახავს ძველი ქართული საეკლესიო ხელნაწერი კინკლოსთან ერთად, რომელში მოთავსებული ყოფილა ზოდიაკოთა სახელები, შემდეგი სათაურით: **”საეტლო მართალი და ჭეშმარიტი”**. დიმ. ბაქრაძე ამბობს: ეტლი პლანეტას ნიშნავს... ზოდიაკოთა სახელები ძველია და რადგან ახლანდელ ქართველებს ეს სახელები აღარ ესმით, ამოვწერე იგიო: —

ეტლი მარტის ვერძი. ეტლი აპრილი კურო. ეტლი მაისი ტყუპი. ეტლი ღვინობისთვე (?!) კირჩხები. ეტლი კვბისთვე (?!) ლომი. ეტლი მარიამობისთვე ქალწული. ეტლი ენკენისთვე სასწორი. ეტლი მწიფობისთვე ღრიანკალი. ეტლი ქრისტიმობისთვე თხის საქანელი (?!). ეტლი იანვარი წყლის საქანელი. ეტლი თებერვალი თევზნი. იგივე სახელებიო, — ამბობს დ. ბაქრაძე, — აქვს სომეხ მწერალს მეცამეტე საუკუნეში, მხითარ აირივანცის-ო. ⁴⁶.

პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა განყოფილებაში (სულ არის 26 ხელნაწერი) № 1 ხელნაწერის მეექვსე ხელნაწერი არის: ”გალობანი ყოველთა წმიდათანი”. ნაწერია ნუსხური ხუცურით, რომლის აშიებზე ფერადებით წარმოდგენილი არიან ყვავილებში ათორმეტთა ზოდიაკოთა სიმბოლონი. ⁴⁶ა. მე-9 ხელნაწერის მე-97 ფურცელზე — ასტრონომიული ნიშნები განმარტებებით. ზოდიაკოთა და თვეთა სახელები და მათი ემბლემების ახსნა. მე-11 ხელნაწერში — სლვა მთვარისა სამარადისო. იქვე, მე-102 ფურცელზე ქვეყნის გლობუსია წარმოდგენილი მაგიდაზე, რომლის ქვემოდ მოსჩანს საზომი იარაღები. მე-141 — სურათები და ნახატები საასტრონომიო, მზისა და მთვარის დაბნელების გამოსაცნობად. იქვე, მე-110 ფურცელზე კიდევ ასტრონომიული სურათები. ექვთ. თაყაიშვილი ამის შესახებ ამბობს: ”აქ საჭიროდ ვრაცხთ შევნიშნოთ, რომ საზოგადოდ ასტრონომიული, ასტროლოგიური და სხვა სურათები და სტატები, რომელნიც 85 — 115 ფურცლებზეა მოქცეული, თხოულობს ცალკე გამოცემას ფერადიანის სურათებით და ცალკე განხილვას და შესწავლას”-ო. მე-16ში ფურცელი 150-153 — ასტროლოგიური ხასიათის სტატია, მხედრულად კარგი ხელით ნაწერი. (იქვე, გვ. 21).

* *
*

ძველ ქართულ მწერლობაშიც არა ერთი და ორი მითითებაა იმ მოვლენაზე, რომ ქართველები ვარსკვლავთ თაყვანსა სცემდნენ და საერთოდ არა ერთი ჩვენებაა, რომელს ასტროლოგიური ხასიათი აქვს. მაგალითად: მარიამ დედოფალის ქართლის ცხოვრებაში, რომელი ექვთ. თაყაიშვილმა გამოსცა ⁴⁷. ვკითხულობთ: ქართველნი ”იქმნეს მსახურნი მზისა და მთოვარისა და ვარსკვლავთა ხუთთა”-ო ესე იგი შვიდ

მნათობთაო. ვარსკვლავთ თაყვანების ანუ ასტროლატრიის წესის შემოღებას "ქართლის ცხოვრება" უსაბუთოდ და ტყუილად ალექსანდრე მაკედონელს მიაწერს: — უბრძანა ალექსანდრე (მ) აზოს: რათა პატივ სცემდნენ მზესა და მთოვარესა და ვარსკვლავთთა ხუთთაო. (იქვე, 47. გვ. 15).

ქართველთა გაქრისტიანების ამბავში ასტრონომიული და ასტროლოგიური მოვლენანი მნიშვნელოვან ხასიათს ღებულობენ: მირიან მეფე "განვიდა თხემსა მთისასა შუა სამხრის ოდენ; დაბნელდა მათ ზედა მზე და იქმნა ღამე ბნელი უკუნი და დაიპყრა ბნელმან არენი და ადგილნი" (იქვე, გვ. 91). მირიანი შეევედრა წმიდანინოს ღმერთს და ბნელი ნათელად გადაიქცა: ღმერთმან "განუთენა და განუბრწყინვა მზე" (იქ. გვერ. 91). სვეტი ცხოველი ნათლითაა მოსილი: სვეტი ცეცხლისა ჩამოვიდა ციდან; და სხვა. (იქ. გვერ. 95, 103). იმ ხეზე, რომელი აღმართეს ეკლესიისა სამხრეთით... "აჰა, ჩამოვიდეს ჯვარი ცეცხლისა მის ზედა გარემოს მსგავსად გვირგვინითა ვარსკვლავისათა და დაადგრეს ზედა ეკლესიასა ვიდრე განთიადმდე"... და გარიჟრაჟზე გამოვიდა მისგან ორი ვარსკვლავი, რომელთაგან ერთი დაადგა ერთ ბორცვს, ხოლო მეორე წავიდა და გაჩერდა თხოთის მთაზე. წმიდა ნინოს ბრძანებით, ორივე ადგილზე ამართეს ჯვარი და... — "აჰა ესე რა სვეტი ერთი ნათლისა სახედ ჯვარსა დგა ჯვარსა მას ზედა და ათორმეტნი ვარსკვლავნი (ზოდიაკონი ვ. ნ.) სახედ გვირგვინისა გარემოს მისსა". (იქ. გვ. 100-3). ამ ჯვართან შვიდი დღის ყოფნის შემდეგ ბრძანს თვალი აეხილა (შვიდი მნათობი!) და ჭკუადაკარგული თორმეტი დღის შემდეგ განიკურნა (12 ზოდიაკო!), მკვდარი გაცოცხლდა შვიდი დღის შემდეგ და, რასაკვირველია, ადიდებდნენ ღმერთსა და "პატიოსანსა ჯვარსა".

როდესაც ბიზანტიის იმპერატორმა ერეკლემ სპარსეთის წინააღმდეგ გაილაშქრა, მან თბილისიც დაიპყრო, ოღონდ "ციხესა კალისასა დარჩნეს კაცნი" და იმპერატორს არ დამორჩილდნენ. ციხის თავმან კეისარს დასცინა: "ვაცის წვერნი გასხენ და ვაც ბოტისა კისერი გაქვს". მაშინ მეფემან ბრძანა: "დაღაცათუ კაცმან ამან ბასრობით მრქვა: მე ვარ ბოტობა, არა არს სიტყვა მისი ცუდ და მოილო წიგნი დანიელ წინასწარმეტყველისა და პოვა მას შინა წერილი ესრეთ: გამოვიდეს ვაცი დასავლისა და შემუსრნეს რქანი ვერძისა აღმოსავლისანი. მაშინ განიხარა მეფემან და დაიდასტურა, რამეთუ ყოველი განემარჯვებოდა". (იქვე, გვ. 194-5).

ამ წინადადების განმარტება იოლია, როცა გვეცოდინება, რომ ბიზანტია, ასტროლოგიური მოძღვრების თანახმად, ზოდიაკო ვაც ბოტის, ანუ თხის რქის (კაპრი კორნუსის) ქვეყანაა, ხოლო სპარსეთი — ზოდიაკო ვერძისა. (მოვიხსენოთ. რომ საქართველოს ზოდიაკო არის: თევზი, ხოლო მისი მნათობი — მერკურიუსი, ოტარიდი). 48.

ქართლის ცხოვრებაში, თამარ მეფის ტახტზე ასვლის აღწერას თან მოსდევს, როგორც ქება - დიდება რიცხვისა "შვიდი", ისე ასტრონომიული აღწერაც. როდესაც თამარს ვაჟი, ლაშა გიორგი შეეძინა, მისი დაბადების ბედზე ქართველებმა გაილაშქრეს და გაიმარჯვეს: "პირველად შემყრელთა ბედსა და სვესა ზედა ლაშასა, რომელი განმანათლებლად სოფლისა ითარგმნების აფსართა (აფხაზთა) ენითა, მიჰმართეს ბარდავად, დიდად და ძველ ქალაქად, და მოსწყვიტეს არანი"-ო და სხვა. 49.

ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ის ამბავი, რომ "ქართლის ცხოვრება" პირდაპირ მიგვითითებს — დავით აღმაშენებელმა იცოდაო "ზენაისა (ცისა) მოძრაობისა ასურასტანელი (სირიული) ზმნობაჲ (ასტროლოგია) და ცთომილ ვარსკვლავთა (პლანეტათა) და უცთომელთა (ზოდიაკოთა) კრებაჲ (შეყრა, კონიუნქციო), სვე და ბედი და შობის დღე (ჰოროსკოპი)"-ო. მაშასადამე, თვით დავით აღმაშენებელი (1080 — 1125) ასტროლოგიის სიბრძნეში, რომელსაც ქართლის ცხოვრება "ასურასტანულს" ანუ სირიულს, მაშასადამე: არაბულს უწოდებს, კარგად ყოფილა გაწრთვნილი და უნდა ვიგულისხმოთ, იგი თავის ბრწყინვალედ გამარჯვებულ ომებს ალბათ ვარსკვლავთა შეკითხვითა და რჩევით იწყებდა... და ისიც უნდა ვიფიქროთ, რომ მისი შობის დღე ანუ ჰოროსკოპი დიდად ბედნიერი უნდა ყოფილიყო...

* *
*

მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკუნის ქართველი მწერლები თავის პოემებში ხშირად და პირდაპირ მნათობთა არაბულ სახელებს ხმარობენ. ამას ჩვენ გზა და გზა გავეცნობით.

შავთელი თავის აბდულ-მესია-ში (არაბული სიტყვაა — მონა უფალისა) — სხვათა შორის მარჩიელობასა და ასტროლოგიას ეხება —

იკითხვენ, სწერენ,
თაყუმა სჩხრეკენ,
რამლს ჰკვრენ, არჩვენ,
ბედთა მათთაგან...

აქ რამლი არის სილით მარჩიელობა, რომელი არაბეთში დღესაც გავრცელებულია; ხოლო თაყუმი (სპარსულად: ზიჯი) ანუ კალენდარი არის, რომელიც მნათობთა და ვარსკვლავთა ყოველ დღიურ მდგომარეობას აჩვენებს ბედის გამოსარკვევად. იგივე შავთელი თამარ მეფის შესახებ ამბობს:

სწორად არს მზისა
კირჩხიბსა ზისა...

კირჩხიბი აქ არის ზოდიაკო ელ სარტან, რომელში მზე შედის ანუ ჯდება 21 ივნისს და ეს არის მზის დიდი ბრწყინვალეობის დღე. მაგრამ ასეთ მაგალითებს ქართული და სხვა მწერლობიდან ქვემოდ ბევრს შევხვდებით.

* *
*

თამარ მეფის დროსო, — ამბობს მ. ჯანაშვილი, — ყურადღება მიექცა ქართული კალენდრის გამოსწორების საქმესაც. თამარის თანამოღვაწის იოანე შავთელის რედაქტორობით დაიწერა შესანიშნავი ძეგლი შესახებ წელთა აღრიცხვისა ანუ ქრონოკონისა, რომლის შესახებ მარი ბროსე ამბობს: ქართველებმა 1233 წელს უკვე იცოდნენ ნახევარი იმ ცთომილთა (?!), რომელმაც 1582 წ. პაპი გრიგოლ მეცამეტე აიძულა შესდგომოდა კალენდარის შესწორებასო.⁵⁰

* *
*

მე-17 — მე-18 საუკუნის საქართველოში აღორძინდა ასტრონომიისა და ასტროლოგიის სწავლა. ⁴⁸. — და ვახტანგ სჯულმდებელმა გადათარგმნა ცნობილი ულუ ბედის ასტრონომიული თხზულება. ეტყობა, ასტროლოგიით იმ ზომად იყო გატაცება, რომ ამას აკრძალვაც კი გამოუწვევია —

მუხლი 350. ასტროლოგია არის მისნობა ვარსკვლავთა მიხედვით; მაგალითად, ამბობენ, რომ რომელიმე ცთომილის (მნათობის) გავლენით მოკვდება ჩინებული კაცი, როგორც ეს იყო ძველ ეგვიპტელთ, ებრაელთ, ბერძენთა და თათართა შორის; ან ბავში დაბადებული რომელიმე ცთომილის გავლენით, ბედნიერი იქნება, ან უბედური. ამიტომ ეს მისნობა, ვინაიდან იგი არის ემმაკური, აკრძალულია და ამისათვის მეფემ და პატრიარქმა უნდა დასაჯონ ასტროლოგიის მომქმედნიო. ¹. გვერდი 219-220.

* *
*

რასაკვირველია, ვეფხისტყაოსანის გენიოსი შემომქმედი ასტრონომიასა და ასტროლოგიას ზედმიწევნით იცნობდა. მაგრამ იგი თავის პოემაში არსად ასტროლოგიის მონა და ბრმა მსახური არ არის. ვეფხისტყაოსანის შემქმნელი, სხვათაგან მიუღწეველი მგოსნური ხელოვნებით, ასტრონომიითა და ასტროლოგიით სარგებლობს და თავისი მხატვრული ყალამით, შეუბორკავი და დაუქვემდებარებელი ხატვითა და აღმაფრენით უგალობს ცას, მნათობებს, ვარსკვლავთ, რომელნი ვეფხისტყაოსანში მხოლოდ მხატვრული პოეტური მიზნებისათვის არიან გამოყენებულნი.

* *
*

არაბი მწერალი მუჰამმედ იბნ კალიკან (1211 — 1282) თავისი წიგნის შესახებ ამბობდა — ღმერთს არა სურდა ”ყოფილიყო სხვა რომელიმე წიგნი უშეცდომო, გარნა ყურანი“-ო. უშეცდომო, — რწამდათ და რწამთ, — მხოლოდ გამოცხადებული წიგნი — ბიბლია თუ ყურანი — არის, სხვა ყველა წიგნი კი მცდომარეა. აქედან, რასაკვირველია, არც ეს ჩემი წიგნია გამოკლებული, მაგრამ იმედნეულ ვარ, ამ მცირე ნარკვევით ვ.-ტყაოსანის კვლევის საქმეს ცოტაოდენი სამსახური მაინც გავუწიო... რადგან, ვგონებ, ეს წინარი ანუ წინასწარი სიტყვა, შესავალი ვარსკვლავთ - მეტყველების შესახებ ვეფხისტყაოსანის მრავალი ლექსის განმარტებას გაგვიადვილებს და იმ ცათა სურათს და მასთან დაკავშირებულ მრავალ საკითხს გაგვაგებინებს, რომელი დღემდე გაურკვეველად გვეჩვენებოდა.

* *
*

პარიზი, ბერლინი, რუპოლდინგი, ბუენოს აირეს

1933 — 1950.

რვეული მეორე

ვეფხისტყაოსანის ნათლისმეტყველება

კარი პირველი

ვტნის ნათელი და სინათლე

თავი 1. ნათელი და სინათლე საერთოდ.

ადამიანისათვის ყველაზე უფრო საყურადღებოა განსხვავება ნათელსა და ბნელს შორის. ნათელი კაცისათვის მაცხოვრებელია და დამხარე; ხოლო ბნელი კი — მავნე და დამღუპველი. და ამიტომ ნათელმა კაცის ცხოვრებაში და მის რწმენაში თავიდანვე გადამწყვეტი მნიშვნელობა მიიღო და ნათელის გამომცემელი სხეულნი გააღმერთა. ძველთა ძველი ინდური (ჰინდოური) საღმრთო წიგნი ”ვედთა” (დაახლოებით 1500 წ. ქრისტეს წინ) ნათელს ღვთაებას ცასთან ერთად უგალობს. ნათელის ღმერთს ვედთაში ჰქვია ვარუნი.

ძველთა ძველი სპარსული საღმრთო წიგნი ”ავესტა”, რომელიც ზარათუშტრას (ზარატუსტრა, ზოროასტერ, ზოროასტრ, ზარდუშტ) მიეწერება, ნათელის ღვთაებას შეჰლაღადებს. ნათელის ღვთაებას ჰქვია ”აჰურა”.

უძველეს ხანაში, როდესაც ჯერ კიდევ სპარსთა და ინდოთა წინაპარნი გაერთიანებულნი იყვნენ, მითრას სცემდნენ თავყვანს. ვედთას საგალობელი, ისე ვით ავესტა-სი, თუმცა ამ საღმრთო წიგნებს ერთი და იგივე საღმრთისმეტყველო აღნაგება არა აქვთ, იმდენ საერთო ნიშანთ შეიცავენ, რომ არავითარი ეჭვი არაა, რომ ვედთას მიტრა ავესტას მითრა საერთო სათავიდან მოდისო — ამბობს ფ. კაუმონ. ⁵¹. ორივე რელიგიისათვის მითრა (მიტრა) არის ციური ნათელის ღვთაება, რომელსაც ერთად უგალობენ.

ავესტა-ში მითრა ნათელის ღვთაებაა, რომელი ჩნდება მზის ამოსვლის წინ, მათა კლდოვან მწვერვალზე და დღის განმავლობაში იგი ცას ეტლით გადაივლის, რომელში შებმულია ოთხი თეთრი ცხენი; ხოლო ოდეს მწუხრი მოაღწევს, ბინდი ჩამოდგება, ანათებს იგი კიდევ უცნაური იალ-კიალით დედამიწის პირს, მარად წინ მხედველი, მარად ფხიზელი; იგი არც მზეა, არც მთვარე, არც გუნდი ვარსკვლავთა, მაგრამ იგი ათასი ყურისა და ათი ათასი თვალის შემწეობით ქვეყნიერებას თვალყურს ადევნებს.

სპარსული ”ზენდა“-ს საგალობელიც ნათელის ღმერთს ადიდებს. აჰურა მაზდა-ს (ოჰრმუზდა ორმმუზდ) ტახტი მარადულ სინათლეშია. მაზდეიზმში მაზდა აჰურა არის ცის უმაღესი და ნათელის ღმერთი.

ყველაზე უფრო ძველი ფილოსოფია, — როგორც ამბობს დურკემ, — არის ქალდეური, რომელმაც თეოგონიას (ღმერთთა ერთობასა და ნათესავობას), და კოსმოგონიას (მსოფლიოს შესაქმის ანუ შექმნის) სწავლას საფუძველი ჩაუყარა. ქალდეანთა წარმოდგენით, არსებობდა თავდაპირველი მატერია ქაოსის მდგომარეობაში და

ამასთანავე არსებობდა უზენაესი გონება, რომელმა ეს მატერია ამოძრავა, რათა მისგან მსოფლიო შეექმნა. ამ გონებას ქალდეანნი ნათელს ადარებენ და მასვე უწოდებენ: ნათელი უმთავრესად; ნათელი შეუქმნელი, ბრწყინვალე, მარადული, სათავე ცეცხლი, ცეცხლი გონიერი. ეს ნათელი ხასიათდებოდა იმავე სახით როგორც დღეს უზენაესი არსება — ნათელი უკვდავი, მუდმივი, ყოვლად შემძლე, დაუსრულებელი სიკეთე, ბრწყინვალე სიბრძნე, და რაც მთავარია, პირველადი მიზეზი ყოვლადისა, რაც არსებობს. ამ ნათელმა შექმნა თავისი ნების მარტივი ძალით, ჰმართავს ამ ყველაფერს თავისი ნების კანონებით. აი, — ამბობს დურკემ, — ის დებულება, რომელიც თეოლოგიას (ღმრთიმეტყველებას) დღესაც საძირკველად უძევს; ეს ნათელი შემდეგი აზროვნების განვითარებაში გახდა უკვე არა-ნივთიერი სული სპირიტუს, ღვთაება. ⁵².

ქალდეური მსოფლმხედველობის მიხედვით, — მთელი მსოფლიო სამ ნაწილად განიყოფება: 1). უძრავ ვარსკვლავთა მხარე (ოგდოას, — ჰერმეტული, საიდუმლო სწავლის თანახმად), 2). მნათობთა მხარე (ებდომას) და 3). მთვარის ქვემოთი მხარე. ამათ ზემოდ სუფევს ღმერთი. ⁵³.

ბერძნული ზევს და რომაული იუპიტერი ცისა და ნათელის ღმერთები არიან. ელლინებმა (ბერძნებმა), როდესაც ისინი ბალკანეთში დასახლდნენ მეორე ათასეულ წლებში ქრისტეს წინ, იქაურ მკვიდრთაგან შეითვისეს მათი ღმერთები, მხოლოდ ერთად ერთი თავისი ღმერთი ზევს შეინარჩუნეს. ⁵⁴. იგი იყო უზენაესი ღმერთი, მზე-ღმერთი, როგორც ამას თვით სახელიც გვიჩვენებს, რომელიც (დეუს, დიეს — ნათელი) დღესთანაა დაკავშირებული. ⁵⁵.

პლატოსა (პლატონისა) და არისტოტელის ხანიდან ბერძნულ ფილოსოფიას ცის სხეულნი სულიერ და ღვთიურ არსებად მიაჩნდა. სტოელთა ფილოსოფიამ ეს სწავლა განამტკიცა და ნეოპლატონიზმმა ამას გარდა ნათელის წმიდა ბუნება იქადაგა და ნათელი უხილავი ღმრთის მარად ხატად გამოაცხადა.

ბაბილონურ-სუმერული კოსმოლოგიით (სწავლა მსოფლიოს შესახებ), ქაოსიდან ღმერთმა პირველად ნათელი შექმნა. იგივე შეხედულება გადატანილია ბიბლიაში, სადაც ღმერთი შესაქმის ანუ დაბადების პირველ დღესვე ნათელს წარმოშობს.

ებრაულ - ქრისტიანული საღმრთო წერილი (ბიბლია) ღმრთის მიერ ცისა და ხმელეთის შექმნით იწყება — დასაბამად ქმნა ღმერთმა ნათელი და მხოლოდ შემდეგ — ქვეყანა; ქვეყანა იყო უხილავ და განუმზადებელ: ბნელი იყო ზედა უფსკრულთა და სული ღმრთისა იქცოდა ზედა წყალთა და თქვა ღმერთმან: იქმენინ ნათელი; და იქმნა ნათელი და იხილა ღმერთმან ნათელი რამეთუ კეთილ, განწვალა (გაჰყო) ღმერთმან შორის ნათლისა და შორის ბნელისა, და უწოდა ღმერთმან ნათელსა დღე და ბნელსა უწოდა ღამე. (შესაქმე, ანუ დაბადება, ანუ გენესის. თავი 1, 1 - 5).

საღმრთო წერილის თანახმად, ღმერთი არის ნათელი; იგი გარემოცულია ნათელით; შემოსილია ნათელით და სუფევს ნათელში, რომელიც მიუწევნელია. ღმერთია მამა სინათლეთა. სინათლე გამოიხატება აგრეთვე წყალობაში და ბუნებაში; და სახე ღმრთისა არის ნათელი, სიმბოლო მისი განგებისა; იგი ანათებს ყველა არსებას, ყველას სამართლიანად; ღვთიური სინამდვილე, გაბატონებული ნათელის სახით,

არის წმიდა სული, სანკტუს სპირიტუს, სული წმიდა, მისი დიდება და მისი სახიერება. ღვთიურ პირთა შორის, ძე ღმრთისა, იესო ქრისტე არის განსაკუთრებული გამოსახულება ნათელისა, — და ეს აზრი მკვეთრად არის გამოთქმული ნიკეო — კონსტანტინოპოლის მრწამსში — ძე ღმრთისა, ნათელი ნათლისაგან.

იმავე საღმრთო წერილით, ზნეობრივი ცხოვრება არის აგრეთვე სინათლე. ღმერთთან დამოკიდებულებაში, კანონი ანუ ზნეობრივი წესი არის სინათლე ღმრთისა, რომელიც უნათებს მართალთ და უხელმძღვანელებს მათ სინათლის გზაზე; ამიტომ სინათლეში სვლა არის კეთილის ქმნა. იესო ქრისტესთან დამოკიდებულებაშიც, კაცის ზნეობრივი ცხოვრება არის აგრეთვე სინათლე; მისდით ქრისტეს, — სინათლით სიარულს ნიშნავს; არ მისდით მას, არის სიბნელეში დარჩენა. იმავე საღმრთო წერილით, ციური მხარე არის ნათელის მხარე; ნათელი არის სიმბოლო დიდებისა, სიცოცხლისა, ნეტარებისა. ციური ნეტარება არის ღმრთის შინაგანი ხედვა. ⁵⁶.

ყველგან ნათელი და სინათლე არის ღმრთის სიმბოლო. სახელი ნათელი ღმერთს ეკუთვნის და არამც თუ ღმრთის ნიჭია ნათელი, არამედ თვით ღმერთია თავისი ბუნებით ნათელი (ფოს ანატრუვს). ⁵⁷.

* *
*

ნათელსა და სინათლეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყველა რელიგიურ მისტიციზმში, "პისტის სოფია"-ში არის სამ გვარი მხარე ნათელისა და კოპტურ ნაწერებში ღმრთის სახელია: ნათელი, მანდაერთა ღმერთი არის მეუფე ნათელისა — სიცოცხლე სიცოცხლეთა ზემოდ, ბრწყინვალება ბრწყინვალებათა ზემოდ, ნათელი ნათელთა ზემოდ. მთელი ზემო-მიწიური მსოფლიო წოდებულია ნათელის მსოფლიოდ. რასაკვირველია, ესევე შეხედულება ყველა მაგიურ (მოგვურ) სწავლაში არის დაფუძნებული (იქვე, ⁵⁸. გვ. 21-23).

"გინზა" (სპარსულ-ქართული: განძი) არის საგალობელთა კრებული მესოპოტამიის რელიგიური სექტისა — მანდეანნი. ერთ მანდეანურ გალობაში ნათელის შესახებ ნათქვამია:

ძე საყვარელი მოდის,
რომელი დაისახა ნათელის წიაღში...
იგი მოდის სიცოცხლის განათლებასთან
ერთად,
მწყობრით, რომელი მოსცა მამა მისმან...
იგი მოდის სამოსელით ცოცხალი ცეცხლისა,
და მოვა ამ ქვეყანას...

ოდეს მოველ, მოციქული ნათელისა
მან შემოსა მე ბრწყინვალებითა,
რომელი მოდიოდა მისგან,
მან დამმფარა ძვირფასი ნათელით,
რომელი მოდიოდა მისგან...

მე ვბრწინავ მათი სამოსელით,
ვარ ბრძენი მათი სიბრძნით...

მისი სამოსელი არის ნათელის სამოსი
და ნათელი განფენილია მის მხრებზე...

ეგრეთ წოდებული "სოლომონის ოდები" არის ქრისტიანული საგალობელი,
დაახლოებით მეორე საუკუნისა და მასშიც ხშირია ნათელის შესახები გალობა —

მე მოვიპოვე თვალნი მის მიერ
და განვიცადე მისი წმიდა დღე...

მე მოვიშორე ბნელი და შევიმოსე ნათელი... ⁵⁸.

გნოსტიკოსთა სხვა სწავლაშიც და კერძოდ მანიქეიზმშიც ნათელს დიდი მნიშვნელობა მიეწერება. და ქრისტიანულ გლოვის სიტყვაში აგრეთვე ითქმის: უფალო! მიანიჭე მათ საუკუნო განსვენება და დეე, მარადულმა ნათელმა განანათლოს ისინი... და ქართულ ხალხურ ლექსშიც არსენას შესახებ ნათქვამია:

აქაც კარგი კაცი იყო,
იქ ნათელი დაადგესა...

* *
*

შუა საუკუნეთა უდიდეს იტალიელ მწერალ დანტეს "პარადისო"-ში (სამოთხე) ნათელი სუფევს — ცაშია უწმიდესი ნათელი, ნათელი გონებრივი და აღსავსე სიყვარულითა; სიყვარული ნამდვილი ღვინისა და სავსე ნეტარებითა; ღვინი, რომელი ყველა სხვა სიტკბოს სჭარბოს; აი, იქ იხილავ შენ სამოთხის ყველა აჩრდილს... (გალობა 30,40). თვით ღმერთია დაუსრულებელი ნათელი, რომელი ნათელის შუქთ შორს სტყორცნის, იმ ნათელისა, რომელი იფრქვევა და ციმციმებს სამოთხეში; რომელი ცახცახებს სულდგმულ სფეროთა ყოველ სიცოცხლეში. ღმრთის ამ ნათელს წმიდანთა სულნი სჭვრეტენ.. ამ ნათელში ისინი ხედავენ ვითარცა სარკეში, მყოფადს, აწმყოს და მყოობადს და ამ ნათელისაგან ისინი თავის სიყვარულსა და ღვინს ღებულობენ (გალობა 9) და სხ. ⁵⁹.

რასაკვირველია, თუ ქართულ რელიგიურ მწერლობაში ნათელის შესახებ თქმას შეეხვდებით, და საერთოდ ქრისტიანული მწერლობიდან მომდინარეობს, როგორც მაგალითად წმიდა დავით და კონსტანტინეს შესახებ —

ხოლო შემდგომად ამისა იხილეს ვიეთმე მორწმუნეთა კაცთა ნათელი საღმრთოდ მათ ზედა გამობრწყინვებული. ⁶⁰. ან კიდევ —

ქ. ყოველსა: ბრწყინვალეებისა: მზადი: ნათელი: შენგამო: ნათობს: ჩვენ: ყოველთა: შორის: დედა: მშობელი: ნათლისა (გელათის ერთი ვერცხლის ლამფარის წარწერა) ⁶¹.

* *
*

მოდღვრება ნათელის შესახებ, რომლის მიხედვით ღმერთი არის ნათელი და თავის თავს ამ ქვეყანაში სინათლით აცხადებს, — როგორც ამბობს დე ბოერ, — უუძველესია და ფართოდ გავრცელებული, როგორც აღმოსავლურ ანუ ორიენტალურ რელიგიებში, ისე აგრეთვე ჰელენისტურ (ელლინურ = ბერძნულ - აღმოსავლურ) გნოსისში (გნოსის — ცოდნა) და ფილოსოფიაში...⁶²

ისლამშიც — ალლაჰ არს ნათელი ცისა და ხმელეთისა, ანუ როგორც ეს მაჰმადიანურ საღმრთო წერილში — ყურანი — სწერია: ნათელი მისი მსგავსია ნიშისა, რომელში ასანთია; ასანთი არის ჭიქა და ჭიქა მსგავსია მოკიაფე ვარსკვლავისა; იგი ენთება კურთხეული ხის მიერ, ზეთისხილის მცენარით, არც აღმოსავლეთიდან, არც დასავლეთიდან; თითქმის მზვინვარებს მისი ზეთი, თუმცა იგი არავითარ ცეცხლს არ ეხება: ნათელი ნათელსა ზედა. ალლაჰ წაგიყვანს თავის სინათლეში, თუ მას სურს, და ალლაჰ სჭედავს იგავებს ადამიანთათვის, და ალლაჰმა იცის ყველაფერი...

ისლამური რწმენით, შვიდ მნათობთა ცას მისდევს შვიდი ზღვა ნათელისა. ალლაჰ არს წმიდა ნათელი, ნათელი ნათელსა ზედა, რომელს ცეცხლთან (ნარ) არავითარი კავშირი არა აქვს.

ნათელის მოძღვრება, — ამბობს დე ბოერ, — ისლამში გაღრმავდა და იგი ნათელის მეტაფიზიკად გარდაიქცა, ესე იგი: წარმოიშვა შეხედულება, რომლის მიხედვით, ღმერთი არის არსებითად ნათელი (ნურ), პირველადი ნათელი, და როგორც ასეთი, ყოველი არსების, ყოველი სიცოცხლის, ყოველი აღქმის წყაროა.

უკვე მეცხრე საუკუნედან, ნეოპლატონიზმზე დამყარებით, ნათელის (ნურ) მოძღვრება თანდათან გავრცელდა. მთელი ეს შეხედულება ნათელის შესახებ მომდინარეობდა პლატონის პოეტური შედარებიდან. პოლიტეა-ში პლატონი იდეათა სასუფეველს მზეს ადარებს — როგორც მზე ანათებს სხეულთა ქვეყანას, ისე სიკეთის (სახიერების) იდეა (ზესთა-გრძნობად მხარეში) ანათებს; ზესთაში არის იდეათა მხარე; ქვემოდ არის სხეულთა ქვეყანა; მისი ხატი ზესთაში არის წმიდა ნათელი; ქვემოდ ანუ დედამიწაზე არის სიბუნელესთან შერეული ნათელი. ნეოპლატონიანებმა ეს შედარება გააღრმავეს და დებულებად აქციეს. მათთვის სიკეთის იდეა არის უზენაესი ღმერთი ანუ წმიდა ნათელი. ისლამში, ანუ უფრო სწორად, მის განხრებში, ამ შეხედულებამ ფეხი მოიკიდა და გართულდა იგი.... (იქვე, ⁶² გვ. 591).

ამგვარად, არ არსებობს არც ერთი მსოფლიური რელიგია, რომელში ნათელსა და სინათლეს განსაკუთრებული დიდი და კეთილი ადგილი არ ეკავოს და მისი უპირველესობა და უპირატესობა აღიარებული არ იყოს. ეს ბუნებრივია და იოლი გასაგებად.

ამგვარადვე ადვილი გასაგებია ნათელთან და სინათლესთან დაკავშირებით, ვარსკვლავნი რომ ღმერთებად იყვნენ გამოცხადებულნი. ადვილი მისახვედრია აგრეთვე, ძველად ცამ, ვარსკვლავებმა და მნათობებმა რომ ბუნებისა და ადამიანის

ბედის განჩინებაში გარდამწყვეტი მნიშვნელობა მიიღო. გასაგებია, ასტროლოგიამ, რომელიც ამ ბედსა და მომავალს არკვევს, — გაიმარჯვა.

ასტროლოგიური შეხედულებით, ვარსკვლავნი არიან მწველნი ცეცხლნი, რომელთ ისინი ხმელეთს უგზავნიან. ვარსკვლავთ შუქი არის ელვა. ბერძნულმა ფილოსოფიამაც აღიარა, რომ ვარსკვლავთა შუქი ანუ სხივი არის ელვა. ცხადია, ყველაზე დიდ და მრავალ შუქთ ანუ ელვას იძლევიან მნათობნი, და მათ შორის ყველაზე დიდნი — მზე, მარსი და იუპიტერი. ⁶³.

* *
*

ასეთი არის მოკლედ და ზოგადად ნათელის მნიშვნელობა რელიგიებში და ცხოვრებაში. ეს მცირე მიმოხილვა საჭიროდ მივიჩნიე: 1) რადგან ნათელთან ჩვენ საქმე გვექმნება აგრეთვე ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველებაში და 2) ამ რვეულში ხშირად იხსენება ნათელი, რომელს რელიგიური მნიშვნელობა არა აქვს. თუ ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველებაში ნათელი არის უმნიშვნელოვანესი, — აქ, სადაც ვტნის გმირნი, მამაკაცი და დედაკაცი ნათელს შეედარებიან, ნათელი მხოლოდ პოეტური მნიშვნელობით ხასიათდება.

ვეფხისტყაოსანის ნათელი და სინათლე არის სიცოცხლისა და სილამაზის სიმბოლო. ნათელი აქ არის მხატვრულად მკვეთრი და ძლიერი შედარებითი გამოთქმა, პოეტური სიტყვა: სიცოცხლე! სილამაზე! ლხინი! ეს პოეტური შედარება ნათელთან თავის თავად არის შედარება მზესთან, რომელი არის წყარო ნათელისა და ამგვარად ვეფხისტყაოსანის მომქმედნი პირნი, რომელნი ნათელის მატარებელნი, ნათელის გამომცემნი, ნათელის მფენელნი არიან, — ამასთანავე მზისა (და ხანდახან მთვარისა) წარმოდგენანი არიან.

თავი 2. ვეფხისტყაოსანის ნათელი

ნათელი არის ზოგადი ცნება, ხოლო სინათლე — ნათელის ნაწილია. ვეფხისტყაოსანი მზის პოემაა და ამიტომ გასაგებია, აქ ნათელსა, სინათლესა, შუქსა და ელვას რომ ხშირად ვხვდებოდეთ. ყველა ეს გამოსახულება ნათელისა ვეფხისტყაოსანში სამი მნიშვნელობით არის გამოყენებული:

1. ვითარცა ფიზიკური მოვლენა, 2. ვით პოეტური შედარება და 3. როგორც ასტროლოგიური ასახულება.

ა) თინათინი — ნათელი

ვეფხისტყაოსანში თავიდანვე თინათინის შესახებ ნათქვამია —

თინათინ მიჰყავს მამასა პირითა მით ნათელითა (45).

თინათინს ჰკადრა შერმადინ, ნათელსა მან უღამოსა (682),

განათლდა პირი მთვარისა, ვით ნათლად ნავანებისა (701).

და ეს შედარება თავის უმღლესობას აღწევს —

პირი მისი უნათლესა სინათლესა ზესთა - ზესა (685).

ამგვარად, თინათინი არის ნათელის მატარებელი: მზე და მთვარე.

ბ). ნესტანი — ნათელი

ნესტანს, ტარიელის სიტყვით —

სრულად ნათლითა აევსო სახლი, შუკა და უბანი (480).

ოღონდ, როდესაც ნესტანი გაჯავრებულია —

იყო არ-ნათლად ნათელი, ფარდაგსა შემომდგომელი (251).

და თავისი თავის შესახებ ტარიელი ამბობს: ჩემს თვალებს კვლავ მიეცა ძალა ნესტანის ნათელისათვის მეჭვრიტა, ისე ძლიერი იყო მისი ნათელიო —

კვლა მიეცა თვალთა ძალა მის ნათლისა ეგრე ჭვრეტად (259).

ავთანდილი ტარიელს ნესტანის გამო ეუბნება: შენსა მე ვეძებ ნათელსა, შენ ხარ გულითა ბნელითა-ო. ნათელი აქ — ნესტანია.

ფატმანიც ამბობს ნესტანზე —

ვითა დავმალო ნათელი, ვინ მზესა დაედარების (1151).

ქაჯეთის ერთი მოლაშქრეც ნესტანის შესახებ გვაცნობებს —

მათ ნათლიდაღმა გამოჰხდა ხმა, ჩვენი მოუბნარეო (1226),

კვლა ვჰკითხეთ: ”გვითხარ მართალი საქმე შენ მზეებრ ნათელისა (1230).

და სხვა ასე. ამგვარად, ნესტანი არის ნათელი, ვით მზე და ლამაზი, ვით მზე.

გ) ავთანდილი — ნათელი

ავთანდილიც არის ნათელის მფენელი, ვით, რასაკვირველია, მზე —

შერმადინს ეტყვის, უბრძანებს პირ-მზე, ნათელთა მფენელი (774).

ფატმანი ავთანდილის შესახებ ამბობს —

მოეშორების ნათელსა, გული ამისთვის ბნელდების (1313).

ნათელი — მზე აქ არის ავთანდილი, რომლის მოშორება ფატმანის გულს აბნელებს.

დ). ტარიელი — ნათელი

ტარიელსაც არ აკლია ნათელი. მის შესახებ ფარსადან მეფე ამბობს —

მან განანათლოს მჭვრეტელთა გული, რაზომცა ბნელია (475).

ტარიელი ოდეს ნასიამოვნებია —

ტარიელს პირსა ციმციმი ათქს, უნათლესი ბაზმისა (1519),

ანუ: ტარიელის პირი უფრო ციმციმებს, ვიდრე მეტისმეტად ნათელი ბაზმაო (ბაზმა—სანათი. ს. ს. ორბელიანი).

ე). ყველა გმირი — ნათელი

და ყველა ერთად: თინათინ, ნესტან, ავთანდილ, ტარიელ, ფრიდონ — ოდეს იგინი თინათინს ეწვივნენ —

იგი სახლი განანათლეს, არ ნათელი შეადამეს (1541),

ანუ: მათ თავიანთი პირის ნათელით სახლი გაანათეს და ნათელი არ შეადამეს, არ დააბნელესო.

ამგვარად, სიტყვა ”ნათელი”, რომელიც მზისა და მთვარის გამოხატულებაა, ვტნში ნახმარია მის გმირთა სილამაზისა და ბრწყინვალეების, შვენებისა და ჯანმრთელობის დასასურათებელად.

ამნაირად, ასტრო - ფიზიკური მოვლენა ვტნში ესთეტიურად არის გამოყენებული.

თავი 3. სინათლე

სინათლე ნათელის ნაწილია და მისი ქმედობის გამოსახულება, და იმიტომ იგი, აშკარაა, ნათელის მფენელთან არის გადაბმული. (სინათლე — ნათლის ნაწილი. ს. ს. ორბელიანი).

ა). ნესტანი — სინათლე

ნესტანის შესახებ ტარიელი ამბობს —

შენ სინათლე თვალთა ჩემთა მიჩნდე მზეებრ სანახველად (415).

რას ნიშნავს ეს გამოთქმა ”შენ სინათლე თვალთა ჩემთა? ეს თქმა ”თვალთა ჩემთა სინათლე”, ”ჩემო თვალის სინათლე”, დღესაც ჩვეულებრივ ხმარებაშია და მისი მნიშვნელობა ერთია: სინათლე აქვს თვალს, ეს იგი, სინათლე თვალიდან გამოდის და ამით ხედავს ადამიანი. და თუ მეორეს ეუბნები: შენა ხარ ჩემთა თვალთა სინათლეო, ამით ამბობ: შენ ჩემ თვალთა სიცოცხლე, ჩემი ხედვა ხარო. ეს შეხედულება თვალის სინათლის შესახებ ყველგან ფართოდ იყო გავრცელებული, თუმცა არისტოტელესი ამტკიცებდა, სინათლე საგანთაგან მოდის და ამით ხდება ხედვაო. მეათე საუკუნეში ოპტიკის შესახებ შვიდი წიგნის დამწერი, ისლამური მეცნიერების დიდი კაცი ალჰაზენი-ც უარყოფდა იმ გავრცელებულ შეხედულებას, რომლის მიხედვით მზერას, ხედვას იწვევენ ის შუქნი, რომელთ თვალნი აგზავნიანო. ალჰაზენი-ი არისტოტელესის აზრს იზიარებს და მას ავითარებს. ხოლო ვეფხისტყაოსანში ისევ ძველთა ძველი და ჩვეულებრივი შეხედულებაა გამოთქმული თვალის სინათლის შესახებ. ⁶⁴.

ეს გამოთქმა ”თვალთა ჩენა” ან ”თვალთა სინათლე” სპარსულ მწერლობაშიც იხმარება, მაგალითად მე-18 საუკუნის ერთ დრამაში — ო, ნათელო თვალთა ჩემთა!... სინათლე თვალთა ჩემთა!... სინათლეო თვალთა ჩემთა! ⁶⁵ და ქართული ლექსიც გავიხსენოთ: ორთავ თვალის სინათლეც...

ტარიელი შემდეგ კიდევ იმეორებს ნესტანის სინათლესთან შედარებას

ჩემად ჩნდა იგი სინათლე ეთერთ მზედ ნაჩინისა (419).

ანუ: სინათლე, რომელი ეთერში მზედ სჩანდა, ჩემს სინათლედ მეჩვენებოდაო.

ქაჯეთის მოლაშქრეც ნესტანის სილამაზეს სინათლეს ადარებს —

დიდნი რამე სინათლენი გამოგვიჩნდეს შუა ველსა (1225).

ბ). ავთანდილი — სინათლე

როდესაც ავთანდილი ზღვის პირას ვაჭრებს შეხვდება, მათ —

ჰკადრეს: ”ხმელთა სინათლეო, შენ ამოხველ ჩვენი მლხენი (1030),

ანუ: ავთანდილი არის ხმელთა, დედამიწის სინათლე, მზე. და ამავე შეხედულებას როსტევანიც გამოთქვამს, როს ავთანდილი მეორედ მიდის ტარიელის სანახავად —

მზე მოგვეშორვა, მას აქეთ ჩვენ ვართ სინათლე კლებულნი (1203).

ტარიელიც ავთანდილს სინათლედ სახავს და მეფე როსტევანს მის შესახებ ეუბნება —

ვინ არის ჩემად სინათლედ და ჩემად გამათენებლად (1520).

სინათლე აქაც მზის გამოსახულებაა.

გ). ტარიელი — სინათლე

როგორც ვტნის სხვა მოქმედი პირი, ტარიელიც არის სინათლის მომფენი, ვინაიდან იგი მზე არის.

ავთანდილი როდესაც გულანშაროდან დაბრუნდა და ქვაბს მიუახლოვდა, იგი ტარიელს გზაში ეძებდა და —

ცოტაი წავლო, გამოჩნდა მზე სინათლითა სრულითა (1333).

ამგვარად, სინათლე ვტნში გამოყენებულია სილამაზის, ბრწყინვალეობის, დიდების დასახატავად და ამას გარდა გმირთა სულიერ განწყობილებათა გამოსახატად.

ამნაირად, სინათლეს, ვითარცა მზის გამოსახულებას ვტნში აქვს ესთეტიური და ფსიქოლოგიური მნიშვნელობა.

დ). ნათელი და სინათლე სრული

ნათელის შესახებ მიმოხილვამ გვიჩვენა, რომ ნათელი ყველა რელიგიაში, ფილოსოფიაში თუ პოეზიაში პირველყოფილია და ადამიანი ამ ორ დებულებას დადებითად და უარყოფითად აფასებდა: ნათელი — კარგი, ბნელი, წყვდიადი — ცუდი. ეს შეგრძნობა ყველა ერის კაცისათვის საერთოა. ამიტომ ვტნშიც სინათლე სასურველია და სანატრელი. სწორედ ამ შეხედულებას გამოთქვამს როსტევან მეფე —

რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია!

შესაძლებელია ამ ლექსის წაკითხვის დროს ვიეთმა წარმოიდგინოს, ამ ლექსში: "რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია", — დუალისტური ანუ ორადობის შეხედულებაა გამოთქმული. შესაძლებელია ვინმემ იფიქროს: იქნებ აქ ან მაზდეანური, ან გნოსტიკური, ან მანიქეური, ან სხვა რომელიმე დუალისტური აზრი იყოს, ესე იგი, ორი მოწინააღმდეგე პრინციპი, ნათელი და წყვდიადი იყოს დაპირისპირებული. მაგრამ ეს იქნებოდა შეცდომა, რადგან ამ ლექსს არავითარი რელიგიური მნიშვნელობა არა აქვს; მანიქეიზმში ნათელი კი არ ახლავს ბნელს, არამედ ნათელი შერეულია ბნელთან, უფრო სწორად: ბნელმა გადაყლაპა ნათელის ნაწილნი და ამით წარმოიშვა ნივთიერი ქვეყანა, მატერიული კოსმოსი; ნათელის ის ნაწილნი, რომელნი ბნელის ანუ წყვდიადის მიერ შთანთქმას გადაურჩნენ, მთელი თავიანთი სიწმიდით შენახულ არიან მზეში და მთვარეში. რა კავშირი აქვს ამას ვტნის ლექსთან? არავითარი, მით უმეტეს, რომ მანიქეიზმის ეს დუალიზმი და ნათელ-წყვდიადის ამბავი ქვეყანის წარმოშობის მითოლოგიას ეხება.

მესამე საუკუნის გნოსტიკოსურ თხზულებების "პისტი სოფია"-ს მიხედვითაც ღმრთული ნათელის თესლნი წყვდიადთან არიან შერეულნი და ეს თესლნი ნათელისა უნდა შეჰკრიბოს დამხსნელმა, მაცხოვარმა, სოტერმა (ქრისტემ) და აიტანოს იგი ნათელის სასუფეველში, ზესთან, პლერომაში დახსნილ და გადარჩენილ სოფია-სთან (სიბრძნესთან) ერთად. (პლერომა — ყველა ნეტარებისა და სრულყოფილების სისავსე).⁶⁶

ვტნში სინათლე და ბნელი მხოლოდ პოეტურად გამოყენებულნი არიან სიცოცხლისა და სიკვდილის დასახასიათებლად. ამ ორი დებულების შედარება (სინათლე — წყვილი) თავის თავად არც არის შესაძლებელი, რადგან იქ, სადაც სინათლეა, არ შეიძლება იყოს ბნელი ანუ ბნელის თანხლება. ხოლო სადაც ბნელია, იქ არ შეიძლება იყოს სინათლე. სინათლე აღნიშნულ ლექსში გამოხატავს სიყმაწვილესა და სიცოცხლეს, ხოლო ბნელი არის სიბერისა და სიკვდილის წარმომადგენელი. ამ ლექსით გამოთქმულია ცხოვრების ნაკლზე ჩივილი: რაღაა იგი ახალგაზრდობა, რაღაა იგი სიცოცხლე ყმაწვილური, რომელს მოსდევს ჭირი სიბერისა, ხვალინდელი სიკვდილი! ესაა ჩივილი, რომელს ადამიანი თავისი შეგნების პირველი დღიდან მიწყვი იმეორებს... ამ ლექსში აღნიშნული შედარებით მოთხოვნილია სრულყოფილება, როგორც სინათლისა, ისე სიცოცხლისა, რაც ადამიანის მხრივ მარად ნატვრადაა გადაქცეული, ვინაიდან, როგორც ამბობს როსტევეან მეფე —

მე გარდავსულვარ, სიბერე მჭირს, ჭირთა უფრო ძნელია,
დღეს არა, ხვალე მოვკვდები, სოფელი ასრე მქმნელია;
რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია...

აქ სიცოცხლე და სინათლე გაიგივებულია; ბნელი კი არის — სიბერე და სიკვდილი.

ნესტანის ტარიელისადმი წერილში ეს აზრი შესანიშნავი სიმკვეთრითაა გადმოცემული.

ნესტანი და ტარიელი ერთმანეთისათვის მიუწვდომელნი გახდნენ; მათი ერთად ყოფნა და მათი ბედნიერება ნესტანს სამუდამოდ დაკარგულად მიაჩნია და ამიტომ იგი ქაჯეთის ციხიდან ტარიელსა სწერს —

რაზომცა ნათობს სინათლე, ჩემთვის ეგრეცა ბნელია (1294).

მაგრამ როდესაც ბნელი ჰქრება, სიხარული მყარდება, ავთანდილი ოდეს ნესტანის ამბავს ასმათს შეატყობინებს, მას ეუბნება —

მზე მოგვეახლა, მოგვეცა ჩვენ მოშორვება ჩრდილისა (1359).

აქ მზე ნესტანია და მისი აღმოჩენით ისპობა ბნელი და მწუხარება. და ავთანდილი ამ აზრს იქვე იმეორებს —

ლხინი მოგვეცა, მოგვშორდა ყოველი ჭირი ძნელია,
მზე მოგვეახლა, უკუნი ჩვენთვის აღარა ბნელია;
ბოროტსა სძლია კეთილმან, — არსება მისი გრძელია (1361).

ნესტანი მზეა; და მისი მოპოვებით ბნელიც იკარგება; ბნელი, უკუნი, წყვილია — ბოროტია და მისი არსება გრძელი არაა; ხოლო ნათელი კეთილია და მისი არსება გრძელია, ხანგრძლივი. ეს არის სიცოცხლის ლხინის, ოპტიმიზმის დებულება.

გახარებული ფატმანი, როდესაც ნესტანს იხილავს, აღტაცებით —

იტყვის: ”ღმერთო, რა გამსახურო, განმინათლდა რადგან ბნელი!
ვცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია მისი გრძელი (1435).

(ამ საკითხის შესახებ იხილეთ ჩემი ”ვტყაოსანის ღმრთისმეტყველება”).

როგორც ვხედავთ, ყველგან აქ ნათელს უპირატესობა ეძლევა, ვინაიდან ნათელი არის კეთილი და სიცოცხლე, ხოლო ბნელი — ბოროტი და სიკვდილი. ეს დებულება საერთო კაცობრიულია.

თავი 4. სინათლისა სვეტნი

პირველი სვეტი, აგებული ღმრთის საპატივცემოდ, ძველ ასურეთში იყო. შედეგ ეს წესი გავრცელდა ეგვიპტეში და საბერძნეთში. იზისისა და ოზირისის თაყვანების ნიშნად აგებული იყო სვეტი საიდუმლო და საღმრთო ნიშნებით, როგორც გადმოგვცემს დიოდოროს სიკულუს, ხოლო პაუსანიოსის თქმით, ლაკედემონიაში (საბერძნეთი) აგებული იყო შვიდი სვეტი, რომელი შვიდი მნათობისადმი იყო მიძღვნილი. დადგმა სვეტისა შემდეგ ყველგან იყო შემოღებული და ეს წესი დღესაცაა ევროპაში გავრცელებული, თუმცა მას რელიგიური მნიშვნელობა არა აქვს.

ევანგელისტები თავიანთ სახარებაში სვეტს არ იხსენიებენ, მაგრამ გავრცელებული იყო ის შეხედულება, თითქო იესო ქრისტე, როდესაც მას სცემდნენ, მიბმული იყო სვეტზეო, ვინაიდან პლაუტოს თქმით, ასეთი სასჯელის დროს კაცს სვეტზე მიაკრამდნენ ხოლმეო. ძველი თქმულებით, ის სვეტი, რომელზე იესო ქრისტე იყო მიბმული, კაიაფას სახლში არსებობდა, და მერმე, სპარსელების შემოსევისას იგი ორ ნაწილად გახერხეს, და ერთი ნახევარი სპარსელებმა წაიღესო. შემდეგ თითოული ეკლესია ჩემულობდა, ეს სვეტი სწორედ მე მაქვსო. ყოველ შემთხვევაში, ”სვეტი” ქრისტიანული არ არის და იგი წარმართულ სარწმუნოებასთან არის დაკავშირებული, კერძოდ კი იგი მზის სიმბოლო იყო. არსებითად სვეტი, მიძღვნილი მზისადმი, დროის საზომს ანუ მზის საათს წარმოადგენდაო, როგორც ამბობს იმანუელ ველიკოვსკი.⁶⁷

სვეტის შესახებ ლაპარაკია ძველ აღთქმაში, მაგრამ აქ სახელდებით ”სვეტი ნათლისა” არ არის, არამედ არის სვეტი ღრუბლისა და სვეტი ცეცხლისა: — უდაბნოში მოხეტიალე ისრაელთ — ღმერთი უძლოდა მათ, ”დღისი სვეტითა ღრუბლისათა უჩვენებდა” გზასა და ღამით სვეტითა ცეცხლისათა. ”არა მოაკლდა მათ სვეტი იგი ღრუბლისა დღისი, და სვეტი იგი ცეცხლისა ღამე, წინაშე ყოვლისა ერსა”-ო, ”აღიძრა სვეტიცა იგი ღრუბლისათა”...

”სვეტნი ცეცხლისანი” მოხსენებულნი არიან აგრეთვე იოანეს გამოცხადებაში (აპოკალიპსის) 10,1: ვიხილე სხვა ანგელოსი ძლიერი გარდმომავალი ზეცით... და პირი მისი ვითარცა მზე და ფერხნი მისნი ვითარცა სვეტნი ცეცხლისანი...

ყველგან აქ გარკვევითაა ლაპარაკი ”სვეტი ცეცხლისა”-ზე. ოღონდ ”სვეტი ნათლისა”, ”სინათლისა სვეტი” ხშირად გვხვდება ძველ ქართულ სასულიერო მწერლობაში და საეროშიც. მას, ვფიქრობ, კავშირი აქვს ასსირულ-ეგვიპტურ-ბერძნულ სვეტთან,

რომელი მნათობთადმი იყო მიძღვნილი. მგონია, ქართულ სვეტს კავშირი არა აქვს ბიბლიის ცეცხლის სვეტთან.

როგორ წარმოიშვა "ნათლის სვეტი" და ვეფხისტყაოსნური?

* *
*

ქართლის ცხოვრება შემდეგ ამბავს გადმოგვცემს: — იყო ერთი ხე საკვირველი, რომელი მარად მწვანე იყო, და თუ დაჭრილი ნადირი მის ფურცელთ შეჭამდა, განიკურნებოდა. ხალხმა ამ უცნაურ ამბავს ყურადღება მიაქცია და "მოჰკვეთა ნაძვი იგი და ნაძვისაგან მისგან შეამზადნა შვიდნი სვეტნი ეკლესიისანი". ექვსი სვეტი აღმართეს, მაგრამ მეშვიდე, ყველაზე უფრო დიდი, ვერ ასწიეს ვერავითარი ღონითა და მანქანით, "ვერ შეუძლეს აღმართებად მისსა". "და აჰა ესერა, მოადგა ჭაბუკი ერთი ნეტარსა მას (წმიდა ნინოს) ყოვლად ნათლით შებლარდნილი ცეცხლისა ზეწართა... და ჭაბუკმან მან მიჰყო ხელი სვეტსა მას და აღამალა და წარიღო სიმალლესა შინა... აჰა, იხილეს მათცა სვეტი იგი ცეცხლის სახედ ჩამოვიდა". "იხილეს საკვირველი იგი, ნათლითა ბრწყინვალე სვეტი ჩამოვიდოდა ადგილად თვისად რეცა ვითარცა ზეცით და დადგა ხარისხსა მას ზედა და დაემყარა ხელით შეუხებელად კაცთაგან"-ო. "მოვიდოდინა განსაკურნებელად სვეტსა მას ნათლისასა"... "სვეტსა ნათლისასა და ჯვარსა მას ცხოველსა"-ო. 47. გვერდი 95, 96.

აქ საყურადღებოა ხე "ნაძვი", რომელიც იყო მზის სიმბოლო; საყურადღებოა "შვიდი სვეტი", აგრეთვე მზის სიმბოლო. ორივე: "ნაძვი" და "სვეტი" ქართულ შეგნებაში გაქრისტიანებულია.

ქართულ საისტორიო წყაროში იმავე ამბავის შესახებ მეორე გვარი გადმოცემაც არის — იმავე ქართლის ცხოვრების თქმით: როდესაც მეფე მირიან, დედოფალი ნანა და "ყოველნი ერნი მოინათლნენ, იმ დროს იყო ხე ერთი ადგილსა ერთსა კლდესა ზედა შეუვალსა და იყო ხე იგი შვენიერ ფრიად, სულნელად". ეს ხე ჰკურნავდა დაჭრილ ნადირს, თუ იგი მის ფოთოლს ან ჩამოცვივნიულ თესლს შეჭამდა. ეს ამბავი ეპისკოპოს იოვანეს აცნობეს. მან თქვა: ეს ღმრთის მიერ არის აღმოცენებული და იმის ნიშანია, რომ მაღლი ღმრთისა მოეფინა ქართლსაო; ამიტომ ამ ხისაგან ჯვარი უნდა შევქმნათო. წავიდა მეფის ძე, რევ და ეპისკოპოსი მრავალი ხალხით; მოსჭრეს ეს ხე, მიიტანეს ქალაქს და ამართეს კარსა ზედა ეკლესიისა სამხრით. ხე იყო სახილველად შვენიერ; სუნი ამო და იყო ეს ხე ალვა (კვიპაროსი, კიპარის). და მერმე "აჰა ჩამოვიდა ჯვარი ცეცხლისა ზეცით მის ზედა გარემოს, მსგავსად გვირგვინი ვითა ვარსკვლავისათა და დადგრეს ზედა აკლესიასა ვიდრე განთიადამდე"... სასწაულის ჩვენებით ჯვარი პატიოსან მცხეთას იპყრეს და დადგეს იგი წყაროსთან. ყველა იკურნებოდა აქ. ჯვარი დადგეს ერთ კლდეზე. ეპისკოპოსმა, წმიდა ნინოს ბრძანებით, გადასწერა ჯვარი ქვას და "მუნ აღიმართა ჯვარი იგი"... აქ იხილეს სასწაული: "აჰა, ესერა, სვეტი ერთი ნათლისა სახედ ჯვარისა დგა ჯვარსა მას ზედა და ათორმეტნი ვარსკვლავნი სახედ გვირგვინისა გარემოს მისს" (იქვე, გვ. 103).

როგორც ამბობს პროფ. ჟ. კარსტ: სვეტი ცხოველი ანუ სვეტი ნათელისა, რომელიც ზეციდან ჩამოდის, არის გაქრისტიანებული ძველი კულტი ხისა, წმიდა ხისა,

რომელი კულტიც ცნობილია არამც თუ მარტო საქართველოში, არამედ მთის ხალხების წარმართული რწმენის ნაშთშიო.⁶⁸

ამ განმარტებას შესწორებზე სჭირდება. ეს ხე უბრალოდ ხის კულტიდან არ არის წარმოდგენილი. ეს ხე — ნაძვი = ალვა, კვიპაროსი — არის ერთი მხრივ მაზდეური რელიგიის სიმბოლო, მეორე მხრივ იგი არის ასტროლოგიური თეოლოგიის ნიშანი; და ვინაიდან აქ ყველგან შვიდ სვეტზეა ლაპარაკი, ამიტომ, უეჭველია აქ ჩვენ ამ უკანასკნელ მოვლენასთანა გვაქვს საქმე. "ნათლისა სვეტი" უკვე ქართველთა მიერ გაქრისტიანებული ხეა.

"ნათლისა სვეტი" ძველ ქართულ სასულიერო მწერლობაში ხშირად იხსენება როგორც მაგალითად: — "სადა იგი შთაყარნეს ღმრთივ-პატივცემულნი იგი ძვალნი სანატრელისა მის მოწამისანი, ხიდსა მას ქვეშ, აღმობრწყინდეს ნათელნი სვეტისა მსგავსად, ვითარცა ელვანი"-ო.⁴² გვერდი 68.

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში ნათქვამია — "მრქვა მე: "მიხედე ბერთას ზედა და იხილე ხილვად დიდებული" და "ვხედევდ სვეტსა ნათლისასა, რომელი შთამოიწეოდა ზეცით ზედა მონასტერსა მას". (იქვე, გვ. 42). და "მრავალ-გზის იხილა მის ზედა სვეტი ნათლისა". (იქვე, გვ. 129). ზაქარიამ იხილა: "ხოლო ზეცით მოწევენულ იყო სვეტი ფრიად ბრწყინვალე ნათლისაჲ უმანკოსა მას ზედა" (იქვე, გვ. 144). ნეტარმა გრიგოლმა იხილა "სვეტი ნათლისაჲ ფრიად ბრწყინვალე ცად აღწევენული ჰფარვიდა მას". (იქვე, გვ. 145).

წმიდა ნინოს ცხოვრება (დაწერილი მეცხრე საუკუნეში) მოგვითხრობს სვეტი ცხოველის ამბავს: "სვეტი იგი ნათლით შემოსილი იყო". ისეომ გამოაბრწყინვა სამოსელი, "რომელსა ზედა სვეტი ნათლისაჲ იხილვებოდა" (იქვე, გვ. 227).

დავით და კონსტანტინეს მარტვილობაში (დაწერილია მეთორმეტე საუკუნეში) ნათქვამია: "შთამოდგეს ზეცით სამნი სვეტნი ნათლისანი ტბასა მას ზედა, ფრიად ბრწყინვალენი, რამეთუ ღამესა მის უკუნეთსა განათლდეს ველნი და ტყენი ბრწყინვალეებისა მისგან, რომელნი გამოჰკრთებოდეს სვეტთა მათგან ნათლისათა" (იქვე, გვ. 239). და სხვა.

ბასილ საბაწმიდელს თავის "მამისა საბაძსნი დასდებელნი"-ში მოხსენებული აქვს, "სუეტი ნათლისა": "სუტისა მიერ ნათლისა გამოცხადებითა და მოსწავებითა აღაშენე ჰევი ეგე უდაბნოდსა, ჯთარცა სამოთხედ შტნიერი"... და სხვა.⁶⁹

უკვე ვთქვით, "ნათლისა სვეტი" ანუ "სინათლისა სვეტნი" არიან ძველის ძველი, წარმართული რწმენის ნაშთი, შემდეგში გაქრისტიანებული ქართველთა მიერ. ამ ნათლის სვეტს არავითარი კავშირი არა აქვს არც ფილოსოფოს პროკლოსის და არც მანიქეურ ნათლის სვეტთან.

აი, ეს წარმართული და ასტროლოგიური, და მერმე გაქრისტიანებული, ქართული შეგნებით გამომუშავებული სინათლისა სვეტი ვეფხისტყაოსანში გამოყენებულია,

სადაც ”სინათლისა სვეტის” მატარებელად ავთანდილი არის დასახული. როდესაც იგი გაიპარა, მას გლოვობს მეფე როსტევანი, რომელიც მის შესახებ მოთქვამს —

სად წაჰხე და სად დაჰკარგენ სინათლისა ეგე სვეტნი?! (821).

სინათლისა სვეტი აქ არის ავთანდილი, მისი ტანი, და ამით დახატულია მისი სილამაზე და შვენება.

მეორე შემთხვევაში, სინათლის ანუ ნათელის სვეტს უკვე სხვა მნიშვნელობა აქვს. ტარიელ, ავთანდილ და ფრიდონის შესახებ, როდესაც ისინი ქაჯეთის ციხეზე მისასვლელად ემზადებიან, ნათქვამია —

იგი ჭაბუკნი შუქითა ვნახენ მზისაგა მეტითა,
მათ სამთა შვიდნი მნათობნი ჰფარვენ ნათლისა სვეტითა (1409).

ამ სამ გმირს ჰფარავს შვიდი მნათობი. ეს არის ასტროლოგიური დებულება, აქ პოეტურად გამოყენებული.

სვეტს კიდევ სხვა მნიშვნელობა აქვს. ტარიელი ამბობს, ოდეს ნესტანი ვნახეო —

გულსა ბნელი გამინათლა, ზედან ლხინი ადგა სვეტად (409).

აქ სვეტი ნათელისა არის ლხინის, სიხარულის სიმბოლო.

ტარიელი ინდოეთს მიბრუნდა და ეს ამბავი პოეტური შედარებით არის გადმოცემული —

ინდოეთს ზეცით სინათლე ჩადგა, მართ ვითა სვეტია (1617).

სვეტი სინათლისა ამ შემთხვევაშიც სიხარულის, ლხინის, ბედნიერების ნიშანია.

ამგვარად, სინათლისა სვეტნი ვეფხისტყაოსანში გამოყენებულნი არიან ასტროლოგიურად, ვითარცა შვიდ მნათობთა სვეტნი, როგორც მფარველნი და დამცველნი; ესთეტიურად: სილამაზისა დასახატავად; და ფსიქოლოგიურად — ლხინის, სიამის სიმბოლოდ.

* *
*

”სვეტი ნათლისა” ნეოპლატონიზმშიც გვხვდება, მაგრამ ამ ნეოპლატონურ ”სვეტს” ვტუნის ”სვეტ”-თან არავითარი კავშირი არა აქვს. როდესაც ფილოსოფოსი პროკლოსი ასტრონომიულ სიმბოლიზმს არკვევს, იგი ”სვეტს ნათლისას” განმარტავს და აღნიშნავს, რომ ”ნათლისა სვეტი” არის სხეულებრივი, უძრავი, განუყოფელი, ყველაფერის შემცველი ადგილი უნივერსუმშიო-ო.⁷⁰

ამას გარდა ვტყნის "სინათლისა სვეტ"-თან არავითარი ნათესავობა არა აქვს არც მანიქეიზმის "ნათლისა სვეტს", რომელს აგრეთვე "დიდებისა სვეტს" უწოდებენ. მანიქეანთა "სვეტი ნათელისა" (ლა კოლონ დე ლფუმეიერ) არის სვეტი, რომელს აჰყვებიან ნათლითი არსებანი, სულნი, რათა მთვარეს მიაღწიონ. აქ ეს სულნი 15 დღის განმავლობაში გროვდებიან, და ამის გამო მთვარე ივსება, ბადრი ხდება. შემდეგ მთვარე კლებულობს, მცირდება, მცხრალი ხდება, რადგან იქ დაგროვილნი სულნი "ნათელის ნავებით" გადადიან მზეზე, საიდანაც მერმე ეს სულნი თავის სამშობლოს, ნათელის ქვეყანას უბრუნდებიან. ამ რწმენის ნიადაგზე, მანიქეანთათვის მზე და მთვარე გარდაიქცნენ საპატივცემო არსებად, თუმცა სხვანი მათ აბრალებდნენ (და დღესაც ზოგს ჰგონია), ისინი მზესა და მთავრეს "ღმერთად" აღიარებდნენ. და ამგვარად, ძველად მანიქეიზმს იდოლატრულ, ანუ კერპთთაყვანების სარწმუნოებად აცხადებდნენ, მის ხილული ნათელის მათაყვანებულად სახავდნენო. სამარცხვინოაო, — ამბობს ფრანგი მკვლევარი სიმონ პეტრემან, — განიმარტოს, რომ "ნათელი" გნოსტიციზმში, ისე ვით მანიქეიზმში არის მხოლოდ ჭეშმარიტება, ანუ სიბრძნე, ანუ სული (ფოს ნოერონ). ნათელის რელიგია არის რელიგია სულისაო (სპირიტუს, ესპრი). იქვე, ⁵⁸. გვ. 197.

საჭიროდ მიმაჩნია აქვე აღვნიშნო შემდეგი: მანიქეიზმის მოძღვრება დღემდე სავსებით გამორკვეული არ არის, რადგან მისმა მტრებმა ყველა მასალა გაანადგურეს, ხოლო თავიანთი გამანადგურებელი კრიტიკა და მრავალი ჭორი კი შეგვიწარმოეს. გაურკვევლობაა კერძოდ "სინათლის სვეტის" საკითხშიც.

ზოგთა გადმოცემით, "სინათლისა სვეტი", ანუ "დიდების სვეტი" არის ის, რომელს აჰყვებიან ნათელნი არსებანი, ან განწმედილნი სულნი, რათა მთვარეს მიაღწიონ, და იქედან კი — მზეს. მთვარედან მზეზე ასვლა ხდებაო "ნათელის ნავებით"-ო. ⁵⁸. გვერდი 197.

ზოგთა გადმოცემით, სინათლენი ან განწმედილნი სულნი მთვარეზე და მზეზე ასვლის შემდეგ გროვდებიანო "დიდების სვეტ"-ზე. ⁷¹.

ზოგთა გადმოცემით, სულნი მთვარეზე და მზეზე ნავებით ადიანო. ⁷².

რა კავშირი აქვს მანიქეანთა "სინათლის სვეტს" ("სვეტი ნათელისა", "დიდების სვეტი") და "ნათელის ნავებს" ვეფხისტყაოსანის "სინათლისა სვეტ"-თან? — არავითარი.

ინდოეთის მსოფლმხედველობაშიც გვაქვს ეს საკითხი. სიკვდილის შემდეგ გვამისაგან განთავისუფლებული სულის ასვლა მთვარეზე და იქედან მზეზე არის ინდოეთის რწმენის საუნჯე. ინდოეთის რელიგიურ თხუზულეობაში "ბრიჰად არანიაკა" ნათქვამია: — სულნი იმ პიროვნებათა, რომელნი ჭეშმარიტ ცოდნას ფლობენ, ბრაჰმა-სთან, ან ატმან-თან კავშირს პყრობენ, ადიან მთვარეზე და იქ გროვდებიან პირველი 15 დღის განმავლობაში, როდესაც ნათელი, მთვარის ცხოველი ძალა, იზრდება; მთვარედან ისინი ადიან მზეზე და იქედან — ბრაჰმა-ს სასუფეველშიო. ¹³ა. გვ. 161, 329.

არც ინდურ მხედველებას ნათელის სვეტის შესახებ აქვს კავშირი ვეფხისტყაოსანთან.

თავი 5. ელვა

სიტყვას "ელვა" ორგვარი მნიშვნელობა აქვს: 1. ელვა ვითარცა ელვა (ეკლერ, ბლიტც, მოლნია), და 2. ელვა ვით მნათობთა შუქი, ვით მათი ბრწყინვალება. ორივე ამ მნიშვნელობით ეს სიტყვა "ელვა" იხმარება ბიბლიაშიც, მაგალითად —

დანელი 10,6 და სხეული მისი ვითარცა თარბე და პირი მისი ხილვა ვითარცა ელვისა, და თვალნი ვითარცა ლამპარნი ცეცხლისანი.

მათე 24,27 რამეთუ ვითარცა ელვა რა გამობრწყინდის მზისა აღმოსავალით და ჰსჩანან ვიდრე დასავლამდე, ეგრეთ იყოს მოსვლა ძისა კაცისა...

აქ ელვა არის მზის შუქი, მისი ბრწყინვალება.

მათე 28,3 ხოლო იყო ხილვა მისი (ანგელოზის პირისა) ვითარცა ელვა, და სამოსელი მისი სპეტაკ ვითარცა თოვლი.

ლუკა 11,36 იყოს იგი ყოვლად ნათელი, ვითარცა იგი სანთელი ელვითა განგანათლოს შენ...

ყველა ამ შემთხვევაში "ელვა" არის ნათელის გამოჩვენება, მისი ბრწყინვალება და ზიმზიმი, რომელს ნათელი პირი იძლევა.

მაგრამ ამას გარდა, "ელვა" არის აგრეთვე ასტროლოგიური ცნებაც.

თითოული მნათობი თავის შუქთ სტყორცნის. ამ შუქთა რიცხვი არის შვიდი; სამ შუქს მნათობი სტყორცნის ზემოდ; სამ შუქს — ქვემოდ; და ერთს — პირადპირ. მზეს კი აქვს თორმეტი შუქი. ეს შუქი არის ელვა.

ასტროლოგიის სწავლით, ეს მნათობნი აკრობენ ელვას, სტყორცნიან. ბაბილონური სწავლით, რომელი ბერძნებს ეპიგენეს-მა მიაწოდა, სამი მთავარი მნათობია, რომელი თავის ცეცხლს ვითარცა ელვას ხმელეთზე აფრქვევენ — იუპიტერი, მარსი და მზე. ⁶³ გვ. 218.

და წინ უკვე აღვნიშნე, რომ ბერძნულ ფილოსოფიაშიც ვარსკვლავთა შუქი ანუ სხივი "ელვად" ითვლებოდა. [აქვე, წინ, გვერდი 33 (წიგნის)].

* *
*

ვეფხისტყაოსანში სიტყვა "ელვა" ხშირად ნახსენები. ვტნში ელვას ჰფენს და ავრცელებს არა მარტო მნათობი, არამედ მნათობთან შედარებული გმირიც, ან მისი ტანის ნაწილი.

ა). თინათინი — ელვის მფენელი

თინათინი ელვის მფენელია ანუ შუქთა გამომკროთმი —

იგი მით აკროთობს ელვასა მზისაცა უთამამოსა (682).

ანუ: შერმადინმა თინათინს ავთანდილის დაბრუნების ამბავი ახარა, და თინათინმა ელვა გამოკროთო, შუქი მოჰფინა უფრო ძლიერი და თამამი, უთამამესი ვიდრე მზემო. თინათინის პირის ელვა ანუ შუქი მზის ელვას ანუ შუქს გაუთამამდა, მას გადააჭარბა, აჯობაო.

ბ). ნესტანი — ელვის მფენელი

ტარიელი მოგვითხრობს, თუ მან როგორ იხილა გაჯავრებული ნესტანი და ამბობს — იგი უებრო ქუშად ჯდა, ელვისა მსგავსად ჰშვენოდა (122).

ანუ: ნესტანი შეუდარებელი, უტოლო (უებრო), მწყრალად (ქუშად) იჯდა და ეს მას ელვასავით შვენოდაო.

დანარჩენ შემთხვევაში სიტყვა ელვა ნახმარია უმთავრესად პირის დასასურათებელად და კბილთა დასახატავად.

ტარიელი ამბობს ნესტანის შესახებ —

შიგან ჯდა იგი პირითა მზისაებრ ელვა - მკრთალითა (394),

ანუ: ნესტანის პირი იყო ვით მზე, ელვა-მკრთალი ანუ შუქთა, სხივთა გამომკროთმელი, მომფენი, მოელვარეო.

დარბაზობის დროს. როდესაც ტარიელმა ნესტანს —

შევხედენ, დავჰკრთი ელვასა დაწვთა მზეებრ ნათელთასა (479).

ტარიელს შეეშინდა, ისე მზეებრ ნათლობდნენ ელვით ანუ შუქთფენით ნესტანის დაწვნი.

მერმე, ოდეს განრისხებულსა და მტირალ ნესტანს ტარიელი ხედავს, ამბობს —

ცრემლისა ღვარსა მოეცვა პირი, ელვათა მკრთომელი (521).
პირი ელვათა მკრთომელი არის პირი-მზე, შუქთა გამომფენელი.

ფრიდონიც ნესტანს ელვით მოსავს —

მას რომე ელვა ჰკრთებოდა, ფერნიცა ჰგვანდეს რისანი (626),

ანუ: ნესტანს რომ ელვა, ანუ სხივი გამოჰკრთებოდა, რისი ფერი უნდა ემსგავსოს მას თავისი ბრწყინვალეებითო.

ფატმანიც ნესტანს ასე აგვიწერს —

რა მობრუნდა ქალი ჩემკე, შემოადგნეს სხივნი კლდესა,
ლაწვთა მისთა ელვარება ელვარებდა ხმელთ და ზესა (1132).

მელიქ სურხავის მონათა უფროსი ფატმანს ეუბნება, მოველ ქალის წასაყვანად, რომელი უსენ მეფეს მიუძღვნაო.

მათ უთხრეს: ”უსენ შემოდგვნა პირი ელვათა მკრთომელი” (1173).

ქაჯეთის ერთი მოლაშქრეც ამბობს ნესტანზე —

”ვუჭვრიტეთ პირსა მნათობსა, ელვათა მაელვარებსა (1228).

ნესტანისა და ტარიელის პირნი ელვის, ანუ შუქთა გამომცემნი არიან —

დასხდნეს ორნივე ქალ - ყმანი პირითა ელვა მკრთალითა (1439).

და ნესტანის შესახებ კიდევაც ნათქვამი —

დაუყვნა თვალნი ელვამან, მისთა ლაწვთაგან კრთომილმან (1536).

მეფე როსტევანს, ოდეს მან პირველად ნესტანი იხილა, თვალეზი დაუყვნა, მოსჭრა, დაუხუჭა ელვის ანუ შუქთა ცემამ მისთა ლაწვთაო. და მეფის მხლებელნიც —

გაკვირდეს ყოვლნი მხედველნი მისთა ელვათა ფენასა (1538).

გ). ავთანდილი — ელვის მფენელი

ავთანდილიც არის შუქთა მფრქვეველი. ფატმანის მეზადე —

მას ყმასა უჭვრეტს შეფრფინვით პირსა, ელვათა მკრთომელსა (1063),

ანუ: მეზადე ყმას, ავთანდილს უყუნებს სიამითა და აღტაცებით (შეფრფინვით), უცქერის მის პირს, რომელი ელვას ანუ შუქს აკრთობდა ანუ გამოსცემდა და ჰფენდაო.

ვტნში ლაწვთა და პირის გარდა, კბილნიც არიან ელვათა მკრთომელნი, ანუ სხივთა დამფრქვევნი.

დ). კბილნი და თვალნი — ელვის მაფენნი

თინათინსა და ავთანდილს მხიარული საუბარის დროს —

თეთრთა კბილთათ გამოჰკრთების თეთრი ელვა ვითა ჭვირი (136).

(ჭვირი — ნამჭვირვალი, გამომჭვირვალი; ჭვირი — ხედვა).

ავთანდილზე ნათქვამია —

ზაგეთა გასჭვირს ბროლ-ლალღი, მათ კბილთა ელვა ჰკრთებოდა (1337).

ელვასთან არის შედარებული აგრეთვე ტარიელის თვალთა შუქთ ფენა —

შეჰხედნის, თვალნი ამართნის, შავ-თეთრი ელვა კრთებოდა (1352).

ე). თვალნი პატიოსანნი — ელვის მფენელნი

და დაბოლოს, როდესაც გმირნი ინდოეთში არიან, მათ ტარიელმა მიუძღვნა მვირფასი და შეუდარებელი ბრწყინვალეების თვალნი პატიოსანნი და —

მათ ყოვლთა მათნი ელვანი ჰვარვენ მართ ვითა მზისანი (1560).

ამ თვალთა პატიოსანთა ელვანი ანუ სხივნი იყვნენ ისე ძლიერნი, როგორც მზისა ელვანი ანუ შუქნი, რომელნი ყველასა ჰვარავდნენო.

ამგვარად, ვტნში სიტყვა ”ელვა” თავისი საკუთარი პოეტური მნიშვნელობისაა. ელვა არის მნათობთა შუქი და იგი გამოყენებულია ვტნში სილამაზის დასახატავად.

თავი 6. შუქი

შუქი არის სინათლე განფენილი. ს. ს. ორბელიანის ახსნით: მზისა, გინა სანთლისა სინათლე განფენილი. ამ სინათლეს იძლევიან ბუნებრივად ცა, ვარსკვლავნი, მნათობნი და მათთან გადაბმულობით, ვეფხისტყაოსანის გმირები.

ა). თინათინი — შუქთა მფენი

თავიდანვე გვემცნობა თინათინის შესახებ —

შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზეებრ განაცხადია (39).

თინათინის საქმენი ვითარცა მზის შუქნი ნათელ არიანო. ხოლო როს თინათინი მოწყენით ზის, მაშინ —

მთვარესა მისთა შუქთაგან უკუნი გარდაჰვენოდა (122),

ანუ: თინათინის შუქთა ფენა ისეთი ძლიერი იყო, რომ მთვარე მასთან შედარებით უკუნი ან ბნელი მოსჩანდაო. ოდეს ავთანდილი თინათინს ემშვიდობება, მას ეუბნება

ვარდი ჩემი არ დაჭნების, შუქი შენი იეფად ა (135),

ანუ: ვარდი ჩემი — პირი ჩემი, ჩემი სიცოცხლე არ დაჭნება, თუ შენი შუქი იაფ ანუ ბევრია, ხშირი და ძლიერი არისო. როდესაც თინათინმა გაიგო სასიხარულო ამბავი გმირთა დაბრუნების შესახებ —

თინათინს ღაწვთა ემატა ელვა შუქისა სამისა (1507),

ანუ: თინათინის ლოყებს სამჯერ მოემატა ელვათა შუქიო.

ბ). ნესტანი — შუქთა მფენი

ნესტანიც, რასაკვირველია, შუქთა მფენია და ყველაზე ძლიერად. ტარიელი ამბობს, იგი თავშივეო —

მართ მაშინვე ჰგვანდა იგი მზისა შუქთა ნასამალსა (325).

ნასამალი არის ჩვეულებრივად — მესამედი (ს. ს. ორბელიანი). ბატონიშვილი თეიმურაზის განმარტებით ”ნასამალი” არის ბროლზე მოსხლეტილი მზის შუქი. ეს განმარტება ამ ლექსს შეეფერება: ნესტანის შუქნი ბროლზე ანასხლეთ შუქთ, დიდად ბრწყინვალეთ ჰგავდნენო. ⁷³. ამიტომ, რა გასაკვირია, უკვე დაქალბული ნესტანი მზე ყოფილიყო და შუქთა ძლიერად მფრქვეველი. სწორედ ამიტომ ამბობს ტარიელი ნესტანზე —

მოეწერა მზისა შუქსა... (376) და

ვისთა შუქთაგან უკუნსა ჰგვანდის სინათლე დღისისა (384).

შემდეგ, ნახვის დროს ტარიელი ნესტანს მთვარეს ადარებს, შუქ-მონავანს, შუქით ბრწყინვალეს —

გამოჩნდა მთვარე ნათლითა გარე შუქ-მონავანითა (408).

და შემდეგ ნესტანი ისევ მზის შუქთანაა შედარებული —

მას ბალიში შემოეგდო, — მზისა შუქსა სჯობდა მეტად (409).

და ვით მზეს, ნესტანს შეუძლია ტარიელის გულს შეადგეს, ანუ მიეფინოს —

შენთა შუქთა შემომადგამ, ბნელსა გულსა ზედან მჭვირსა (416),

ანუ, განანათლოს შენმა შუქმა ჩემი ბნელი, მწუხარე გული; გახადოს იგი გამჭვირვალე, ნათელიო.

და ბუნებრივია ნესტანის შუქთა შვენება ტარიელის გულს ნათლად ეფინებოდეს — მისთა შუქთა შვენებანი ნათლად მადგეს გულსა ფენით (418).

და ეს შუქი ტარიელს ხატაეთშიც ანათებს, სადაც მან ყაზაჩა და რიდე ნესტანისათვის საჩუქრად გადასდო —

იგი საძღვნოდ მისად დავდევ, ვისი შუქი მანათობდა (462).

შემდეგ ტარიელმა ნესტანს —

მივუწერე: ”მზეო, შუქი შენი, შენგან მონაფენი (503).

ნესტანის დედმამაც თავის ასულს შუქთა მფენს უწოდებს —

ყმა არ მოგვცა, ქალი გვივის, ვისგან შუქი არ გვაკლია (508),

ანუ: ვაჟი არ გვყავს, ქალი გვყავს (გვივის), რომლისაგან შუქი არ გვაკლიაო. ოდეს ტარიელმა მერმე ნესტანი იხილა, ამბობს —

გულსა შუქი შემომადგა, მაგრა გული არ დამიდნა (520).

ფრიდონისათვისაც ნესტანი არის შუქთა გამომცემი. როდესაც მან ნესტანი პირველად დაინახა —

მან განანათლა სამყარო, გაცუდდეს შუქნი მზისანი (626).

ფატმანიც ნესტანს შუქ-მფენელს უწოდებს —

ვუჩვენე: ”ჰხედავთ, ინდოთა ტყვედ ჰყვანან შუქნი რომელნი (1133),

ვინ გაიცდის შუქთა მისთა, ვინმცა ვით ქმნა ნახაზობა! (1136),

ანუ: ვინ შეხედავს (გაიცდის) ნესტანის შუქთ? ვინ დახატავს მის სურათსო! და კიდევ — ... ძლივ დავმალე მისი შუქი (1143),

უსენ გაკვირდა, გაცაკრთა, რა შუქნი ნახნა მზისანი (1155).

ცოლქმარი ნესტანს ეკითხება —

გვითხარ, რა არის წამალი მთვარისა შუქ-ნამკრთალისა? (1157).

მთვარე შუქ-ნამკრთალი აქ არის მთვარე შუქ-ნაკლები, ფერდაკარგული. (მკრთალი — ფერნაკლები).

სურხავიც ამბობს ნესტანის შესახებ —

მუნამდის მთვარე შუქ-კრთომით ჯდეს, მზესა მოშორებული (1185).

მთვარე შუქ-კრთომი ანუ ფერნაკლული იჯდეს, სანამ მზე მოშორებულია ანუ ჩემი შვილი არ დაბრუნებულაო, რომლისათვისაც ნესტანი საცოლედ არის განზრახული. აქ ასტრონომიული მოვლენა (მთვარის დაშორება მზისაგან და ამით მთვარის ნათელის შემცირება) პოეტური შედარებისათვის არის გამოყენებული.

მერმე ფატმანი იგონებს დაკარგულ ნესტანს და ავთანდილს ეუბნება —

ვა, წახდეს შუქნი, რომელნი მზისაებრ ველთა ჰვენოდეს (1212).

ნესტანის კბილნიც შუქის მომცემნი არიან და ამას გვატყობინებს ქაჯეთის ერთი მოლაშქრე, ნესტანსო —

კბილთაგან შუქნი შეადგა ზედა გიშრისა სარებსა (1228),

ანუ: კბილებიდან შავ წამწამებს (გიშრისა სარებსა) შუქი შეეფინაო.

ქაჯეთში გამარჯვებულ გმირებს სურხავი მიეგება მრავალი მხლებელით. მათ ნესტან —

ქალი რა ნახეს, სტრფიალობს შუქსა მას ბროლ-ბაკმათასა (1434).

ბროლი არის ნესტანის პირი, რომელს ბაკმი არტყია. ბაკმი არის სხივთა გვირგვინი (ნიმბოსი, ორეოლი). ფატმან კიდევ ამბობს ნესტანზე —

მზემან შუქნი შემომადგნა, ვარდი მით ვარ არ დამზრალი (1436).

ნესტანმა მზემ შუქნი მომაფინა და ამიტომ მე, ვარდი არა ვარ დამზრალი ანუ გაყინულიო. და დაბოლოს, მეფე როსტევანს ავთანდილი ეუბნება, რატომ აგვიანებ, რად არ გინდა ნესტანის საჩქაროდ ნახვა, რომელი —

შემოიმოს შუქთა მისთა, ნათლად გარე მოივანებ (1534),

ანუ: მისი, ნესტანის შუქით შეიმოსები, დაიფარები და გარშემოგერტყმება მისი მოვანება, მის სხივთა გვირგვინი, მზვინვარებაო (მოვანება — მთვარის გავსა, გავსება. ს. ს. ორბელიანი).

გ). ავთანდილი — შუქთა მფენი

ავთანდილიც შუქოსანია; და მისი კბილებიც. მეფე როსტევანთან საუბარის დროს —

თეთრთა კბილთათ გამოკრთალსა შუქსა ველთა მოაფენდა (64).

ვაზირთან სტუმრობისას ავთანდილმა —

ყმამან სახლი განანათლა, ვით სამყარო მზისა შუქმან (730).

ამიტომ ავთანდილის წასვლა შუქთა დაკარგვას ნიშნავს. და როსტევეანმა თავის დიდებულთ —

უთხრა: ”ხედავთ, მზემან ჩვენმან შუქნი სრულად დაგვიძვირნა! (826).

ვაჭარნიც ავთანდილს შუქთა მფრქვევ მზედ სახავენ და ამბობენ —

მზემან შუქნი შემოგვადგნა, ღამე ბნელი გაგვიტენდა! (1048).

და მებაღე ფატმანს ეუბნება ავთანდილზე —

ყმა მოვა, მისთა მჭვრეტელთა შუქნი მზედ გაიცადიან (1072).

(გაცდა — დანახვა. ს. ს. ორბელიანი).

შუქთან ამ შედარებას ფატმანი ავთანდილს პირადად უმეორებს —

აღარ დაჰბრუნდით, მოხვედით, შუქნი თქვენ ჩემთვის არენით (1208).

მონა გამოგიგზავნეთ სათხრობელად, რათა არ მოსულიყავით, მაგრამ თქვენ უკან არ მიბრუნდით, მოხვედით, თქვენი შუქნი ჩემთვის ატარეთ, მოიტანეთო. მერმე, ავთანდილის დილით საბანაოდ წასვლა ასეა გადმოცემული —

გათენდა, ბანად წარვიდა მზე, სოფელს შუქ-ნაკიდები (1255),

სოფელს შუქ-განაკიდები მზე, რომელმაც სოფელი, ქვეყანა თავისი შუქით დატვირთა, აავსოო. ანუ დ. ჩუბინაშვილის განმარტებით — (შუქ-ნაკიდები — მზის შუქისაგან გაშავებული) — მზე, რომელმაც სოფელი თავისი შუქით გააშავა, დასწვაო. ავთანდილმა —

საღამო ჟამს გაიღვიძა, შუქთა ველთა მოაფინა (1259).

და ტარიელიც ავთანდილს შუქთა მფენელს უწოდებს და მეფე როსტევეანს მის შესახებ ეუბნება —

თვით იგი იაჯს, რომელი ჩანს მზეებრ შუქთა მფენელად (1520),

ანუ: თვით იგი, ავთანდილი ითხოვს, რომელი მზესავით შუქთა მფენელად სჩანსო. ავთანდილი კი —

მაგრა ირცხვის მეფისაგან, შუქი ბნელად მოევანა (1529),

ანუ: ვინაიდან ავთანდილი მეფეს გაეპარა, ამიტომ იგი დარცხვენილია და მას შუქი ბნელად მოევანა, გავსებული ბრწყინვალება და შუქთა ფენა დაებნელებიაო. და დაბოლოს, მეფეს —

ავთანდილ ფერხთა ეხვევის, შუქი ქვე დაუფენიან (1531).

ყველგან აქ ავთანდილი, ვით მზე ან მთვარე შუქთა მფენელი არის.

დ). ტარიელი — შუქთა მფენი

ტარიელიც შუქოსანია. როსტევან მეფე ამბობს უცხო ყმისა ანუ ტარიელის შესახებ —
მისმან შუქმან განანათლა სამყარო და ხმელთა კიდე (109).

ხატაელნი ძმანი ტარიელზე ამბობენ —

ვუჭვრიტეთ, მისთა ელვათა შუქნი ძლივ გავიცადენით (205).

ასმათმა და ავთანდილმა დაინახეს ტარიელი —

მთვარე წყალსა გამოსრული ნახეს შუქთა მოფინება (263).

მაგრამ შეწუხებული ტარიელი —

ვითა მზე ჯდა მოღრუბლებით, დიდ ხანს შუქნი არ ადარნა (308).

გამარჯვებულ ტარიელს მეფე ფარსადანი აჯილდოებს და ეუბნება —

აწ გქონდეს ასი საჭურჭლე, ვის შუქნი მოგიფენიან (486).

მერმე ავთანდილი ფრიდონს ტარიელის თავგადასავალს უამბობს —

ვპოვე ვარდი მოყვითანო, შუქ-მკრთალი და ფერ-მიხდილი (997).

როცა ავთანდილმა ტარიელი მოასულიერა —

ლურჯად ჩანს შუქი მთვარისა, მზისაგან შუქ-ნაკრთომისა (1346).

ტარიელი ნესტანის წერილს კითხულობს და —

დაუყვნის ცრემლმან სინათლე, ბნელად ჩანს შუქი დღისისა (1349),

ანუ: ცრემლებმა ტარიელს თვალები დაახუჭვინა (დაუყვნის), მას სინათლე შეუჩერა და დღის, ანუ მზის სინათლის შუქი ბნელად გამოჩნდაო.

და დაბოლოს, ავთანდილს —

ტარიელ უთხრა სიცილით, მან მზემან შუქ-ნაფენამან (1487).

ამგვარად, ტარიელი არის შუქთა მფენელი და შუქოსანი.

ე). ფრიდონი — შუქთა მფენი

ფრიდონიც აფრქვევს შუქთ და მის შესახებ ერთი მისი ქვეშევრდომი ამბობს —

იგია ჩვენი პატრონი, მსგავსი ცით შუქთა მფენისა (971).

და ავთანდილიც ფრიდონსა სწერს —

ლომისა მსგავსო ძალ-გულად, მზეო შუქ - მოიეფეო (1317),

ანუ: შუქით უხვო და მდიდარო მზეო!

ვ). სურხავი — შუქთა მფენი

მელიქ სურხავიც შუქოსანია. მას უსენ მოახსენებს —

ზეცით შუქთა მომფენელო, მარჩენალო არსთა, მზეო! (1168).

ზ). გმირნი — შუქთა მაფენი

ავთანდილ, ტარიელ, ფრიდონ —

იგი ჭაბუკნი შუქითა ვნახენ მზისაცა მეტითა (1409).

ავთანდილ, ტარიელ და ფრიდონი —

ზღვათა მეფესა ეტყოდეს სამნივე შუქთა მაფენი (1445).

და მათ სამივეს —

ბაგეთათ შუქი შეადგის ზედან ბროლისა ფიცარსა (1448),

ანუ: ბაგეებს კბილთაგან შუქი შეადგა, მიეფინაო. ბროლის ფიცარი — კბილთა რიგი.
და დაბოლოს,

მათ ყოვლთა შუქი ანათობს პირისა, მზისა მსგავსისა (1550).

ამგვარად, ვტნის მეფენი, მეფის ასულნი და ძენი — ყველანი არიან მნათობნი და ვითარცა მნათობნი, შუქთა მფენელნი და ელვა მკრთომელნი, და სხვა არავინ.

წ). თვალნი პატიოსანნი — შუქთა მფენნი

ელვა მკრთომნი და შუქთა მაფენნი არიან აგრეთვე თვალნი პატიოსანნი ანუ ძვირფასი ქვები.

ნესტანის სამოსელზე —

მას ზედა შუქი მრავალი ჩნდა მნათობისა თვალისა (1187).

ზღვათა მეფემ მელიქ სურხავმა ავთანდილსა და ტარიელს უბოძა —

თვითო კაზა თვალიანი, უცხო ფერთა შუქთა მფენი (1440).

და დაბოლოს, ფრიდონმა ძღვნად გაიღო —

კვლა ერთი თვალი, სამსგავსო მზისა შუქ-მონამატისა (1465).

ამგვარად, თვალნი პატოსანნი, როგორც ეს ბუნებრივია, არიან შუქთა მფენელნი.⁷⁴

დასკვნა

ჩვენ გავიცანით ისტორიული განვითარება, რასაკვირველია მოკლედ, ნათელზე და სინათლეზე შეხედულების შესახებ. ჩვენ ვნახეთ, ნათელი როგორც რელიგიაში, ისე ფილოსოფიაში და ასტროლოგიაში, აგრეთვე უბრალო ხალხურ რწმენაში თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობისაა.

ვტნში ნათელი, სინათლე, სინათლისა სვეტნი, ელვა, შუქი — ყველა ეს ასტროფიზიკური მოვლენა გამოყენებულია მხოლოდ ერთი მიზნით: დაიხატოს ვტნის გმირთა სილამაზე. ყველაფერი ეს ერთ მიზანს ენსახურება: აღიწეროს და დასურათდეს ვტნის მამაკაცთა და დედაკაცთა შვენება, მათი აღმატებულება, მათი ბრწყინვალება.

შვენებით, აღმატებულებით და ბრწყინვალებით დაჯილდოებულნი არიან მხოლოდ მეფენი, მეფის წულნი, ესე იგი, საზოგადოების უმაღლესი ფენა, სოციალურად უმაღლესი წრე.

ამგვარადვე: შვენებით, აღმატებულებითა და ბრწყინვალებით დაჯილდოებულნი არიან თვალნი პატოსანნი, ესე იგი, ქვათა შორის უმაღლესი წრე.. ამნაირად, აქ და ამით მჟღავნდება ვეფხისტყაოსანის არისტოკრატიული სული.

არ ვიცნობ არც ერთ თხუზულებას არც აღმოსავლეთის, არც დასავლეთის მწერლობიდან, რომელში ასტრო-ფიზიკური მოვლენანი ასეთი მდიდარი ხელოვნებით იყოს გამოყენებული. ამ გამოყენების შესანიშნავი განამდვილებაა მარტოდ ვეფხისტყაოსანი.

კარი მეორე

ვეფხისტყაოსანის ცა

თავი 1. ცა ვითარცა ცა

იყო, არის და იქნება ცა მარად მიმზიდველი ადამიანის თვალისა და გონებისათვის, ვინაიდან იგი მიუწვდომელი და გამოუცნობია. უწინარესი კაციდან დაწყებული დღევანდელამდე, არასოდეს არ შეწყვეტილა ცისადმი განსაკუთრებული მზერა და არც ოდესმე შესწყდება იგი. რანი არიან მაღლა, ზესთაში — ეს აურაცხელნი, კაცის თვალისათვის მიუღწეველნი და გონებისათვის განუზომელნი სხეულნი, რომელნი იცვლიან ადგილსა და გზას; მუდამ, შეუწყვეტლივ ტრიალებენ, მიმოიქცევიან და მათი მოძრაობისაგან დამოკიდებულნი არიან ბუნების სიცოცხლე და სიკვდილი, ზამთარი და ზაფხული, შემოდგომა და გაზაფხული, ხვნა-თესვა და ჭირნახულის მოწვენა, ერთი მეორეს მარად ჟამს რომ სცვლიან...

დაკვირვების შედეგად კაცმა აღმოაჩინა შვიდი დიდი ვარსკვლავი, რომელთა მსვლელობა და მიმოქცევა ბუნებაში დიდი მნიშვნელობისა ყოფილა. და აღმოაჩინა, ეს შვიდი დიდი მნათობი ერთი მეორესაგან განსაზღვრული მანძილით ყოფილა დაშორებული, და თითოეულს საკუთარი მსვლელობის გზა ჰქონია, და ამ გზაზე იგი გაივლის წრეს, რკალს.... ამ მოძრაობას ქართულად ჰქვია მოქცევა, ანუ როგორც ს. ს. ორბელიანი განმარტავს — მოქცევი ესე არს რაიცა იქცევიან და ბრუნვენ... ცანი, ვარსკვლავნი, ჟამნი, წელიწადნი.

კაცი მაღლა ცას ხედავდა. მაგრად ხმელეთზე იდგა. ოღონდ წარმოედგინა მიწის ქვეშეთის სივრცეც, დამხე (ზესთა — ზემოთი; დამხე — დაბლა. ს. ს. ორბ.). ესე იგი კაცს სამ მოვლენასთან ჰქონდა ურთიერთობა: 1. ზესთა, 2. ხმელეთი და 3. ქვესკნელი. ამ შეხედულებიდან წარმოიშვა წმიდა რიცხვი სამი. სწორედ ამ სამით გამოიხატებოდა სამი მიუწვდომელი და გაუგებარ არსება — 1. ცა, 2. ხმელეთი და 3. ქვესკნელი. ამასთან დაკავშირებით იბადება სამი ღმრთის არსებაც და იქმნება მოძღვრება სამების შესახებ (სამება — ტრიას, ტრიადა, ტრინიტე). ამ რწმენასთან გადაბმით, მთელი სარწმუნოება და მისნი გამოხატულებანი: სამი ღმერთი, სამება, სამი ფიცი, სამი ჯვარი, სამი ლოცვა, სამი დაწყევლა, სამჯერ სამი ცხრა, სამჯერ ცხრა, რომელიც თვის დღეთა რიცხვს გამოხატავდა. პითაგორასის ფილოსოფიაში სამკუთხედი სრულყოფილად ითვლებოდა. ⁷⁵. მაგრამ კაცი ხედავდა ცის ოთხ მიმართულებას ანუ ოთხ ფრთედს: აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი. ეს ოთხი-ც წმიდა რიცხვია. მაგრამ ამ ოთხ ფრთედს ემატება კიდევ მეხუთე, შუაგული, შუა სივრცე, რომელიც ხმელეთსა და ცას შორის არსებობს. ესაა რიცხვი ხუთი. ინდოეთში ეს რიცხვი დიდი მნიშვნელობისა იყო — წმიდა რიცხვი — ხუთი მიმართულება ცისა, ანუ ხუთი ფრთე; და ამ სწავლასთან დაკავშირებით, ხუთი ელემენტი, ხუთი გრძნობა და სხვა. ბუდთიზმში რიცხვმა ”ხუთი” საპატივო ადგილი დაიკავა თარმას შეხედულებაში, ვითარცა არსებობის ხუთმა მოქმედმა ანუ მამომრავებელმა ძალამ. ⁷⁶.

ამას გარდა ცნობილია, ჩინეთის იმპერიას ეწოდებოდა სახელმწიფო შუაგულისა, იმპერია შუა სივრცისა (რაიჰ დერ მიტტე, სერედინნაია იმპერია). მაგრამ ამ რიცხვთა შორის ყველაზე უფრო დიდი მნიშვნელობა დაიმტკიცა რიცხვმა "შვიდი" და "ცხრა". როგორც სჩანს, ცხრა უფრო ადრე იყო შემოდებული ვით წმიდა რიცხვი, სამთან გადაბმულობით: სამჯერ სამი. მაგრამ ეს ცხრა შესცვალა შვიდმა, სანამ უკანასკნელად ისევ არ გაიმარჯვა ცხრამ შუა საუკუნეთა მოგვიანო ხანაში. წმიდა რიცხვი "შვიდი" მრავალი საუკუნის განმავლობაში ბატონობდა რელიგიაში, ასტრონომია-ასტროლოგიაში და ყოველდღიურ ცხოვრებაში. როგორ გაიმარჯვა შვიდმა?

პირველი ხალხი, რომელმა ცა შეისწავლა, ხუთი-ოთხი ათასეული წლის წინად, იყვნენ სუმერები. სუმერულ-ბაბილონურ მსოფლმხედველობაში სამი, ოთხი, ხუთი რომ წმიდა რიცხვი იყო, სჩანს იმ ნაშთთაგან, რომელთაც დღეს ვიცნობთ: სამ-სართულიანი კოშკი, ოთხ - საფეხურიანი გუმბათი ადად-ში; რვა-საფეხურიანი კოშკი ბაბილონში და ცხრიანიც. მაგრამ ყველა ეს რიცხვი შესცვალა რიცხვმა: შვიდი. ბაბილონურ-ქალდეანური სწავლის მიხედვით, ზესთა მყოფი სივრცე შვიდ სფეროს წარმოადგენს, რომელი შვიდ მნათობს ეკუთვნის. თითოეული მნათობი ითვლებოდა ღმერთად და თითოეულს ჰქონდა საკუთარი სფერო. ს. ს. ორბელიანის განმარტებით, სფერი ესე არს სიმრგულე ცათა და მსგავსი მისი, რომელი ყოვლით კერძო (მხარით) მრგვალი იყოს, არა მხოლოდ ზედეთ, არამედ ქვედეთაცა, რომელი იყოს მიზეზი ერთი მეორის, სადა დაიწყოს, მუნვე დასრულდეს, და სადა დასრულდეს, მუნვე დაიწყოს-ო. მაშასადამე, სფერო წარმოადგენს სარტყელს, წრეს, რომელიც ზემო მსოფლიოს შეადგენს და თითოეულ მნათობს ეკუთვნის. ეს შვიდი სფერო ანუ შვიდი ცა ერთი მეორეს მისდევს, ერთი მეორეშია შესული, და ამნაირად იქმნება შვიდი ცა, შვიდი მნათობის სასუფეველი.

პტოლემეაიოსის სწავლაშიც შვიდი ცა არის მოცემული.

ებრაელთა ძველ რელიგიაში ცნობილი იყო ხუთი ცა და ამ ხუთი ცის შემდეგ უზენაესი ცა, მაგრამ ცნობილი იყო აგრეთვე შვიდი ცაც.

"ლიბერ ჰერმეტის ტრისმეგისტოს"-ში, საიდუმლო მოძღვრებათა წიგნში, რომელი მეორე-მესამე საუკუნეში უნდა იყოს დაწერილი, უკვე არის ბაასი მეცხრე ცის შესახებ, რომელს აქ ჰქვია "ანასტოს სფაირა". იმჟამადი შეხედულებით, მნათობთა თორმეტი სახლი, თითოეული დაკავშირებული იყო თავის საკუთარ ღმერთთან. ეს თორმეტი სახლი ანუ სადგომი, რომელს მნათობნი გაივლიან, არიან ხილულნი, მაგრამ მათ უკან არის მეცხრე ცა, არა-ხილული, უხილავი ცა, მარად ერთნაირი და მარად მყარი.⁷⁷

ქრისტიანობაში პირველად შვიდი ცა ითვლებოდა. მრავალ ქრისტიანულ გნოსის-ურ შეხედულებაში შვიდი ცის შესახები რწმენა იყო გაბატონებული და ეს შვიდი ცა შვიდ ციურ ეკლესიად ითვლებოდა. ქრისტეს დაბადების ხანაში გავრცელდა ჰენოხის წიგნი, რომელში აღწერილია პატრიარქის შვიდ ცაზე მოგზაურობა. თითოეული ცა თითოეულ მნათობს აქვს მიკუთვნებული. მეშვიდე უმაღლეს ცაში, ამ წიგნის მიხედვით, იუპიტერის ნაცვლად ღმერთი ზის. ციდან გადმოყრილნი ანგელოზნი მეორე და მეხუთე ცაში იმყოფებიან. სამოთხე არის ვენუსის (ვენერას) მესამე ცაში. ამ შეხედულებას მოციქული პავლეც იზიარებდა.

სლავური ჰენოხის წიგნით არსებობს შვიდი ცა, შვიდი ქერუბიმი, შვიდი ექვსფრთიანი ანგელოზი, და საერთოდ შვიდი მილიონი ანგელოზი. მაგრამ ცხრა ცა აღიარეს აგრეთვე ქრისტიანებმაც. და დანტეს "ღვთიურ კომედია"-ში აღწერილია შვიდ მნათობთა ცა, უძრავ ვარსკვლავთა მერვე ცა და ბროლის ცა — მეცხრე, სამყოფელი ანგელოზთა.

არაბული გნოსტიკოსურნი მოძღვრებანი შვიდი და რვა ცის არსებობას აღიარებენ. პირველი არაბი ასტრონომოსი, (ალ ფერგანი, ალ ბატანი) რვა ცას სთვლის და სხვებიც ამ თვლაში მას მისდევენ იმის მიუხედავად, რომ "ყურან"-ში შვიდი ცა არის მოხსენებული —

ყურანი 23,17 — სანამ მას (ადამიანს) შევქმნიდი, ჩვენ აღვმართეთ შვიდნი ცანი

ყურანი 41,11 — მან შევქმნა შვიდნი ცანი ორ დღეში. და სხვა. ⁴.

შემდეგ, არაბ ასტრონომოსმა იბნ ალ-ჰაითარმა, რომელი 1039 გარდაიცვალა, შემოიღო მეცხრე ცა. ეს მეცხრე ცა აღიარეს შემდგომმა არაბ მეცნიერებმა, ხოლო ავეროოესი (იბნ რუშდ, ასტროლოგიის მოწინააღმდეგე, გარდაიცვალა 1198 წ.) რვა ცის ერთგული დარჩა. ამ მეცხრე ცას უწოდებდნენ: მსოფლიო სფერო, უდიდესი სფერო, სფერო სფეროთა, ცა ცათა, ლბილი ცა, ბროლის ცა. ამ ახლად შემოღებული მეცხრე ცას მუსულმანურმა ორთოდოქსიამ წინააღმდეგობა არ გაუწია. მაჰმადიან მოძღვართა აზრით, მართალია ყურანში მხოლოდ შვიდი ცაა დასახელებული, მაგრამ ეს რიცხვი შვიდი ცხრას არ ეწინააღმდეგება, და შესაძლებელია ცათა მეტი რიცხვიც იყოსო. ზოგი მუსლიმის რწმენით ალლაჰ მერვე ცაში სუფევს; ზოგი კი ჰგონებს, იგი მეცხრე ცაში იმყოფებაო. ³⁴. წიგნი 12. გვერდი 88.

ჰენოხის წიგნის გავლენით შექმნილია ამბავი მაჰმადის მოგზაურობისა. მირაჯ არის არაბული სიტყვა და ნიშნავს: კიბე, რომლით სულნი ცად ადიან; შემდეგ კი ამ სიტყვამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიიღო: მაჰმადის აღსვლა ზეცად. ჩვეულებრივი თქმულება მოგვითხრობს, რომ მაჰმადი ანგელოზმა გაბრიელმა აღიტაცა ზეცად სახილველად ღმრთისა, ან მაჰმადი ბურაყზე მჯდომი იყოო. ბურაყი არის ჯორის მსგავსი არსება, შემკული ფრთებით, და დედაკაცის სახით (ბურაყის აღწერა სხვა და სხვა გვარია!). ამ ბურაყით მაჰმადი აფრინდა და მას თითოული ცის შესავალთან აჩერებენ და დაჰკითხავენ ღმრთის წარმომადგენელნი. პირველ ცაში მას ხვდება ადამი; მეორეში — იაჰია (იოანე წინამორბედი) და ისა (იესო ქრისტე); მესამეში — იუსუფ (ბიბლიური იოსები); მეოთხეში — იდრისი (ენოქ ან ილია); მეხუთეში — ჰარუნ (არონ); მეექვსეში — მუსა (მოსე) და მეშვიდეში — იბრაჰიმ (აბრამი). მეშვიდე ცაში, ან სხვა თქმით, ნათელის ცათა გადაღმა მაჰმადი წარსდგება ღმრთის ტახტის წინაშე.

ეს თქმულება განთქმულ სპარსელ მგოსანს ნიზამის-აც აქვს აღწერილი. თავის თავად ეს თქმულება დამყარებულია ბიბლიურ ამბებზე წინასწარმეტყველთა ცად აღტაცების შესახებ და არის იგი ებრაულ - ქრისტიანული აპოკალიპსისის (გამოცხადება) გავლენით შეთხზული. ⁷⁸.

ამგვარად, მაჰმადიანთა შორის შვიდი და ცხრა ცა არის აღიარებული.

ცხრა ცას აღიარებდნენ აგრეთვე ჰარრანელნი, რომელთა კომკები ცხრა - საფეხურიანი იყო.

ისლანდიის გალობებში "ედდა"-სი, უმნიშვნელოვანესი გალობა "ვოელუსპა", რომელი კოსმოგონიას ანუ ქვეყნის შექმნას შეეხება, ცხრა ცაა მოხსენებული. აგრეთვე კეისარის თქმულებაში. აგრეთვე ტიბეტშიც ცხრა ცაა ცნობილი და აღმოსავლეთ აზიურ ხალხებსაც ცხრა ცა რწამდათ. ⁷⁹.

რასაკვირველია, ქართულ წარმოდგენაშიც ცხრა ცა უნდა არსებულიყო და არსებობდა კიდევ.

ს. ს. ორბელიანი თავის ლექსიკონში ცხრა ცას გვაჩვენებს [იხილეთ აქვე ცათა სურათი. გვ. 11 (წიგნისა)].

ცა — ზე აღსახედი... ქვეყანა არს მგრგვალი და გარეშეცული ჰაერისაგან. ხოლო ჰაერი გარეშეცული ეთერისა მიერ. და ეთერი მთოვარისა (მთვარისა) ცისა მიერ. მთვარის ცას ეწოდება **ჭირანო**. ამას მისდევს **ერმის** ცა ანუ მერკურიუსისა, რომელს ეძახიან **ცორანო**. მერმეა აფროდიტეს ცა — **მელტავრო**. მერმე მზისა ცა — **კოჭიმელი**. შემდეგ არის ცა მარსისა — **ჭიმჭიმელი**. შემდგომ დიას ცა (მერკურიუსისა) — **კიმკიმელი**. მერმე იწყება ვარსკვლავთა ცა, რომელი აღმოსავლით დასავლათ მიიქცევის. მერმე — მეორე მძვრელი ცა. შემდეგ — პირველი მძვრელი ცა, რომელი ყოველთა ცათა აღმოსავლით დასავლად გარდააბრუნებს და მსგავსია ბროლისა (ბროლის ცა). ხოლო გარეგანი ცა არს სამყარო, რომელი შეცულ არს სასუფეველისაგან. როდესაც მეცხრე ცა ანუ ბროლის ცა საბოლოოდ მოიქცევის 49000 ან 36000 წელთა შემდეგ, ანუ იგი მთლიანად გაივლის ამ თავის გზას, მაშინ დადგება სოფლისა და მთელი ქვეყნიერების აღსასრული, მოიშლება ცათა ყოველი სამკაული და იქმნება სასჯელი, ანუ მეორედ მოსვლაო.

ასე ესმოდა ცათა აღნაგობა ქართველობასაც და ეს შეხედულება, გამომდინარე ბაბილონურ - ქალდეური მსოფლმხედველობისაგან, ელინთა მიერ განვითარებული, და არაბთა მიერ დასრულებული, საერთო იყო მთელი მაშინდელი ევროპისათვისაც, სანამ ახალმა ასტრონომიამ იგი არ უარჰყო.

ამ მცირე მიმოხილვით ვეფხისტყაოსანის მკითხველისათვის უკვე ადვილი გასაგები იქნება ის შვიდი და ცხრა ცა, რომელთ ჩვენ იქ ვხვდებით.

თავი 2. ვეფხისტყაოსანის ცა

ა). ცა — მრგვალი

შუა საუკუნეთა ასტრონომიის თანახმად, ვეფხისტყაოსანში ცა წარმოდგენილია ვითარცა სიმრგვალე, ოთხი კიდეთი ანუ ფრთეთი.

ტარიელის, ამ უცხო გმირის სამებრად —

მოასხნეს კაცნი, გაგზავნეს ოთხთავე ცისა კიდეთა (115).

ასმათი შესტირის ტარიელს ნესტანის გადაკარგვის გამო —

მითხრა: ”ღმერთმან სიმგრგვლე ცისა ჩვენთვის რისხვით წამოგრაგნა (569).

ცის სიმრგვალე ღმერთმა ჩვენთვის დაამხო (გრაგნა — წახვევა. ს. ს. ორბელიანი),
ანუ უბედურება გვეწვიაო. ხოლო ქაჯეთის ციხის დამცველთა შესახებ ნათქვამია —

მათვე რისხვით გარდუბრუნდა ბორბალი და სიმგრგვლე ცისა (1415).

ამგვარად, ვეფხისტყაოსანის ცა არის მრგვალი და ოთხი კიდეთი.

ბ). ცა — მბრუნავი

ვეფხისტყაოსანის ცა, ისე როგორც ეს შუა საუკუნეთა ასტრონომიაშია მიღებული,
არის მბრუნავი, მიწყივ ანუ მუდამ. პტოლემეოსის ასტრონომიაზე დამყარებით
სჯეროდან, დედამიწა მთელი ქვეყნიერების შუა გულია და მის გარშემო ტრიალებენ
ცანიო. ამ აზრს გამოთქვამს ავთანდილი, როდესაც იგი ტარიელს ემშვიდობება —

არ ვიცი, ღმერთი რას მიზამს, ანუ ცა მიწყივ მბრუნავი (938).

ეს მიწყივ, ანუ მუდმივ მბრუნაობა არის ცის შეუცვლელობა და ამ აზრს როსტევეან
მეფე გვაცნობებს, როდესაც იგი თავის ასულსა და მის ქმარს ავთანდილს დალოცავს —

ცამცა ნუ შეგცვლის, მოგხვდების თვით მისებრ შეუცვლელობა (1545).

ამ ცის უცვლელი ტრიალის შესახებ კიდევაც თქმა, როდესაც ნესტანი და თინათინი
ერთმანეთს შორდებიან —

მთვარე ცისკრისა ვარსკვლავსა რა თანა შეესწოროსა,
ორნივე სწორად ნათობენ, მოშორდეს, მოეშოროსა;
არა თუ იგი მოშორდეს, მართ ცამა მოაშოროსა (1569),

ანუ: როცა მთვარე ცისკრის ვარსკვლავს შეესწორება ანუ ცაზე გაუსწორდება, ისინი
სწორად ნათობენ, ერთნაირად ბრწყინავენ; ხოლო როდესაც ერთმანეთს შორდებიან,
ეს ხდება ცის ტრიალის გამო და არა მათი ნებით. ასევე აუცილებელი იყო ნესტანისა
და თინათინის დაშორება.

ამნაირად, ცის ტრიალი და მოძრაობა აქ დასახულია ვარსკვლავთა — ნესტანისა და
თინათინის — ერთმანეთისაგან დაშორების მიზეზად.

ბორბალი ცისა, ბრუნვა ცისა, შვიდი და ცხრა ცის შესახები საკითხი ასტროლოგიური
მიდგომით განხილულია ჩემს ნარკვევში ”ბედისმეტყველება”.

გ). ვტნის შვიდი და ცხრა ცა

ფრიდონმა როდესაც ნესტანი კიდობანში დაინახა, მის შესახებ თქვა —

მთვარე უჯდა კიდობანსა, ცა მეშვიდე მასმცა ვეცი! (625).

ამ ლექსის განმარტება შემდეგია: ნესტანი-მთვარე ზანგებს კიდობან-ნავში უჯდათ; მე ვიხილე იგი მთვარე — ნესტანი; და ამ მთვარეს მეშვიდე ცას მივცემდიო. მთვარეს ეკუთვნის პირველი ცა; მეშვიდე ცა ეკუთვნის კრონოსს (სატურნუს, ზუალი). შვიდი ცის მოძღვრებით, მეშვიდე ცა არის უმაღლესი ცა — კრონოსისა, რომელიც ასტროლოგიაში ღამის მზედ ითვლება. ამგვარად ფრიდონი ამბობს — კიდობანში მჯდომი ქალი - მთვარე თავისი სილამაზით მეშვიდე ცის მნათობი სატურნუსი (კრონოსი, ზუალი) იყო. მაშასადამე, ნესტანი იყო ღამის მზე — სატურნუსი.

მეორედ, შვიდი ცა ნახსენებია ნესტანის წერილში ტარიელისადმი —

რისხვით მობრუნდა ჩვენზედა ბორბალი ცისა შვიდისა (1309).

აქ გარკვეულად ლაპარაკია იმ შვიდი ცის შესახებ, რომლის ბორბალი მათზე რისხვით მობრუნებულა, და ამით მათ თავს უბედურება დასტეხია. ეს შვიდი ცა აქ ასტროლოგიურად არის გამოყენებული.

ცხრა ცა მოხსენებულია ვტნში მხოლოდ ერთჯერ, როცა ტარიელი თავის სიყვარულზე ნესტანს ეფიცება —

გეცრუო, ღმერთმან მიწა მქმნას, ნუმცა ცხრითავე ვზი ცათა! (413).

თუ მოგატყუო ჩემს სიყვარულში, ღმერთმა მომკლას (მიწად მქმნას) და ნურც მეცხრე ცაში ვიჯდომებიო. მეცხრე ცა არის მართალთა, წმიდანთა ცა. ანუ მეორე განმარტებით: ნუმცა ვიქმნები ცხრა ცაშიო. საერთოდ, ეს ლექსი არავის გაურჩევია და იგი ამ თქმით გაუგებარია. უეჭველია, რომელიმე ხელნაწერში უფრო ზუსტი თქმა იქნება და იმის მიხედვით უნდა გასწორდეს იგი.

* *
*

დიდ ირანელ მგოსანს ნიზამი-ს (1141/5-6 — 1202/11) თავის ცნობილ ხუთ პოემაში ნათქვამი აქვს —

მგოსანო, შენა ხარ ცხრათა ცათა ბულბული... (საიდუმლოთა საუნჯე. თავი 3.)

რათა იმ ბუდობის იაგუნდი მოიპოვოს,
მან უნდა შვიდი თაღის კვერცხი გახეთქოს...

აქ შვიდი თაღი არის შვიდი ცა.

შენა ხარ მეფე მეცხრე ცაში...

მეცხრე ცის მეუფემ შეჰქმნა რა ქვეყანა...

შირინის ცხენი, — ამბობს ნიზამი, — ერთ წუთში ციურ შვიდ სფეროს გადაახტებაო.

მასვე აქვს აღწერილი შვიდ ცაში მაჰმადის მოგზაურობა... ⁸⁰.

როგორც ვხედავთ, შვიდსა და ცხრა ცას მგოსნები ასახელებდნენ იმის მიხედვით, თუ რომელი დასჭირდებოდა მათ თავისი პოეტური შედარებისათვის.

დ). ცათა ღმერთი

როსტევან მეფისა და ავთანდილის ნადირობის შესახებ წყენით ნათქვამია —

იგი ველი გაირბინეს, ჯოგი წინა შემოისხეს,
დახოცეს და ამოწყვიდეს, ცათა ღმერთი შეარისხეს (77).

რასაკვირველია, ღმერთი არის ცათა, რომელიც დიდი სისხლის დაღვრის გამო განრისხებულია.

ავთანდილი როდესაც თავის ქვეყანას სტოვებს და ტარიელის საძებნელად მიდის —

ილოცავს, იტყვის: ”მაღალო ღმერთო ხმელთა და ცათა-ო (809).

ამგვარად, ღმერთი არის ღმერთი ცათა და ხმელთა .

ე). ცა — ღმრთის სასუფეველი

მარტივ თუ განვითარებულ რელიგიებში ცა არის სამყოფელი ანუ სასუფეველი ღმერთთა, ანგელოზთა, კეთილ სულთა, მართლთა, წმიდანთა. არ არსებობს არც ერთი დამუშავებული რელიგია, რომელშიც ცას დიდი ადგილი არ ეკავოს. და ამიტომ ძალიან ხშირად ცა ღმერთთან არის გაიგივებული და გათანასწორებული. და რადგანაც ღმერთი ცაშია, ცა ღმრთის სამყოფელია, ამიტომ თვითონ ცა წარმოდგენილია ვითარცა ღმერთი და მის ნაცვლად ხშირად იხმარება. ყველა რელიგიაში რწმენის სიღრმე და პატივი მორწმუნეთ უკარნახებდა, ღმრთის სახელი არ წარმოეთქვათ; ამ ნიადაგზე შექმნილია სხვა და სხვა სახელი ღმრთისა — მეუფე, უფალი, ბატონი, უზენაესი, მეუფე ცათა, უფალი ცათა, ცა მწყალობელი და სხვა. ⁸¹.

ახალ აღთქმაში სასუფეველი ღმრთისა და სასუფეველი ცათა ერთი და იგივე არის. ცა არის ღმრთის გამოსახულება. ⁸².

ტარიელი ავთანდილს ეუბნება, როდესაც ეს უკანასკნელი მასთან არაბეთიდან მიბრუნდა —

ძნელია პოვნა კაცისა ღმრთივ ზეცით განაწირისა (296).

ანუ: ძნელია იპოვნო კაცი, რომელიც ღმრთის მიერ არის განწირული დასაღუპავადო; ვინაიდან ღმერთი ცაში არის კეთილი და მოწყალე.

ფრიდონი ტარიელს ამშვიდებს და ეუბნება, — ღმერთი —

იგი მოგვცემს წყალობასა მისსა, ზეცით მოგვიქუხებს (633),

ანუ: ღმერთი მოგვცემს წყალობას და მას ზევიდან მოგვიქუხებს, ვით ქუხილს მოულოდნელად მოგვივლენს და ჭირსა ლხინად შეგვიცვლისო —

ჭირსა ლხინად შეგვიცვალე, არაოდეს შეგვაწუხებს (633).

აქაც ღმერთი ზეცაშია დასახული და იგი ზევიდან წყალობას იძლევა, როგორც ამას ნესტანი ფატმანს ეუბნება —

მუქაფა ღმერთმან შემოგზღოს მოწყალეებითა ზენითა (1200),

ანუ: მე ვერ გადაგიხდი, არ შემიძლია, მაგრამ სამაგიერო (მუქაფა) ღმერთმა გადაგიხადოსო.

იგივე აზრი გამოთქვა ტარიელმა ავთანდილთან —

მე ვერა გიყო ნაცვალი, ღმერთი გარდგიხდის ციერი;
ზეგარდმო მისით შემოგზღოს მუქაფა ჩემ-მაგიერი (1354).

იგივე შეხედულებას გამოთქმული შემდეგ ლექსშიც —

ღმერთი მოგცემს წყალობასა, მისგან ზეცით შესახულსა (1417).

როდესაც მეფე როსტევანმა ავთანდილი და თინათინი ტახტზე დალოცა, მან თავის ლაშქარს უთხრა —

ესეაო მეფე თქვენი, ასრე იქმნა ღმრთისა ნება (1546).

ავთანდილი ღმრთის ნებით არის არაბეთის მეფედ გამოცხადებული და ზეცით მოსულმა უმაღლესმა გადაწყვეტილებამ მისი გვირგვინი გაახელმწიფა —

გაახელმწიფა გვირგვინი ზეცით მოსრულმა ზენამან (1662).

ამგვარად, ვტნში ყველგან ღმერთი წარმოდგენილია ვით ცაში მყოფი და ცა არის ღმრთის სასუფეველი; ამასთან ერთად თვით ცა არის ღმერთი.

ამ შეხედულებას ცის შესახებ ნესტანი გამოთქვამს, როდესაც იგი ტარიელს ფიცის გატეხას აბრალებს და ეუბნება —

მაგრა ნაცვალსა პატიჟსა მოგცემსო ზენამცა ცისა (523),

ანუ: სამაგიერო შეწუხებას (პატიჟსა) მოგცემს ცის, ანუ ღმრთის გარდაწყვეტილებათ.

როდესაც სურხავ მეფის მონათა უხუცესი ფატმანის სახლიდან ნესტანს მოითხოვს, ამის შესახებ ფატმანი ამბობს —

ესე მესმა, დამტყდეს ცანი, რისხვა ღმრთისა ეცა გორთა (1172).

ეს ლექსი გაუგებარია — რაა ”რისხვა ღმრთისა ეცა გორთა”. სჯობდა დარჩენილიყო ვახტანგისეულისა და დ. კარიჭაშვილისეული ტექსტის ლექსი — რისხვით ეცა გორა გორთა (1150). ასეთივეა ეს ლექსი იუსტინე აბულაძის რედაქციით გამოცემულ ვტნში (1914 წ.). ამგვარივეა იგი პროფესორ ა. შანიძის რედაქციით დაბეჭდილ ვტნში (1951 წ.) და დაბოლოს პ. ინგოროყვას რედაქციით დაბეჭდილში (1953 წ.). თავის თავად ეს თქმა: ”რისხვით ეცა გორა გორთა” არის დიდი და დიდებული სურათი!

ფატმანი ნესტანს აცნობებს, მეფის კაცნი მოვიდნენ შენს წასაყვანათო და მას ეუბნება —

ცა მობრუნდა რისხვით ჩემკე, იავარ მყო, ამფხვრა სრულად (1174),

ესე იგი, ღმერთი გამიწყრა და ამომფხვრაო. მაგრამ ცის რისხვით მობრუნება არის ასტროლოგიური ცნება, აქ გადატანილი აზრით ნახმარი. შეიძლება მისი პირდაპირი აზრითაც გაგება: ღმერთი ჩემსკენ რისხვით მობრუნდა და ამიკლოო.

ვ). ცა — მწყალობელი

ავთანდილი თავის პატრონს როსტევანს, თავის გამზრდელსა და ღმრთისაგან დიდად ცხოველს ახასიათებს ასე —

მშობლური, ტკბილი, მოწყალე, ცა, წყალობისა მთოველი (857).

აქ ცა შედარებულია მეფესთან, ოღონდ თვით ცა არის წყალობის მომნიჭებელი —

ვინ ღირსა, თუცა წყალობით ცა მიწყვი მობრუნდებოდა (1352).

ვინ არის იმისი ღირსი, რომ ცა წყალობით ყოველთვის (მიწყვი) მისკენ იყოს მობრუნებულიო. ეს არის უფრო ასტროლოგიური გამოთქმა.

დაბოლოს, ოდეს როსტევანი ავთანდილსა და თინათინს ლოცავს, ამბობს —

ცამცა ნუ შეგცვლის, მოგხვდების თვით მისებრ შეუცვლელობა (1545).

ოღონდ ცა თუ არის ღმრთულე მწყალობელი, იგი არის ამასთანავე ღმერთივით დამსჯელიც.

ზ). ცა — მრისხველი

ხატაელებმა როდესაც ინდოთა ლაშქარი დაინახეს, შიშით იყივლეს, ხმა მაღლა დაიმახეს —

ნულარა სდგათ, წაედითო, კვლა მოგვხედნა რისხვით ცამან (449).

როდესაც ინდოეთს მიმავალი გმირები იქიდან მომავალ ვაჭრებს შეხვდებიან —

მათ ჰკადრეს: ”ზეცით მოსრულა ინდოეთს რისხვა ზეცისა (1582),

ფარსადან მეფე გარდაცვალებულაო. და დაბოლოს, ოდეს ტარიელი ინდოეთში შედის, იქ შესეულნი ხატაელნი მას ემორჩილებიან და —

ამით დაესხნეს რისხვასა, ზეცით მოსრულსა ნაცარსა (1613)

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, ცა მწყალობელი და მრისხველია.

ფ). ცა — საფიცარი

ცა ვით ღმრთის გამოსახულება ვტნში გამოყენებულია ვითარცა საფიცარი, ფიცის სიმტკიცის დამადასტურებელი. ტარიელს მრჩვეველნი ხატაელთა შესახებ ეუბნებიან —

გულ მართლად იყვნენ, მიენდე, აფიცე ღმრთითა და ცითა (425).

აქ არის ფიცი ღმრთისა და ცის წინაშე, ორმაგი ფიცი ღმრთის წინაშე. ცის მიმართ ფიცი ქრისტიანული ჩვეულებაა, და იგი იხმარება სახარებაშიც —

მათე 23,22 და რომელმან ჰფუცოს ცასა, ჰფუცავს საყდარსა (საჯდომსა) ღმრთისასა, და რომელი ჰზის მას ზედა (ღმერთსა).

ტარიელი ნესტანის წინაშე თავს იმართლებს, შენთვის მოცემული ფიცი არ გამიტეხიაო და თან თვითონ ფიცულობს —

ცამცა მრისხავს, მზისა შუქნი ყოლა ჩემთვის ნუ შუქნია (531)

და იქვე უმატებს —

ღმერთმან აწვე რისხვა მისი ზეცით ჩემთვის გაამეხოს (532),

თუ შენთვის მიღალატიაო. ცა მრისხავი არის აქ ღმრთის მიერ დარისხვა.

თ). ცა — სასუფეველი

როგორც ბიბლიით ცნობილია, ღმერთმა აჯანყებულნი ანგელოზნი ციდან გაძევებით დასაჯა. ეს ციდან გადმოყრილნი ანგელოზნი გახდნენ სატანა, ეშმაკი, დემონი...

ტარიელი როცა უგზო-უკვლოდ მეფე როსტევანის წინაშე გადაიკარგება, ამის გამო მეფე ამბობს: ის უცხო მოყმე ვინმე ეშმაკი იყო —

ჩემად მტერად წარმოსული, გარდმოჭრილი ზეცით ზეო (118).

ეს ზეცით გარდმოჭრილი, რასაკვირველია, არის ეშმაკი, სატანა. და ამგვარად, აქ ქრისტიანული დებულებაა მოცემული.

სულის ცად ასვლის რწმენა ყველგანაა გავრცელებული. სულნი ზეცას მიფრინავენ და ზეცა, ღმერთი იძლევა ფრთებს სულთათვის აღსაფრენად. და ნესტანიც ამასვე ამბობს, ნუთუო ღმერთმა მომცეს ფრთენი აღსაფრენადო —

სული ჩემი შეივედრენ, ზეცით მომხვდენ ნუთუ ფრთენი (1303).

ცაში დამკვიდრებისათვის აუცილებელია რელიგიურ წესთა ზუსტი შესრულება, ცოდვათა აცილება და სიკეთით ცხოვრება, და ამ სიკეთეს ეკუთვნის აგრეთვე მეფეთათვის თავდადება, სიკვდილი —

ვინცა მოკვდეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას რბიან (1440)

(იხილეთ აგრეთვე ჩემი ”ღმრთისმეტყველება” და ”მზისმეტყველება”).

ი). ცის სიშორე

ცა ხმელეთიდან ძალიან დაშორებულია და ეს სიშორე როგორც ხალხურ, ისე მწერლობით ენაში ხშირად შედარებისათვის იხმარება, რათა ამით მოქმედების ძლიერება დაგვეხატოს და მისი გავლენა დიდად გვეჩვენოს —

დევთა ყვირილი, ზახილი ზეცამდის აიწოდა (655),

ავთანდილ მისი გაყრილი, ტირს, ხმა მისწვდების ცათამდის (952).

ამ შედარებით მოვლენისაგან შთაბეჭდილება ბუნებრივად იზრდება და ძლიერდება. მაგრამ ამათანავე ცა წარმოდგენილია სიკეთითა და არა ჩვეულებრივი, მიუღწეველი არსებებით სავსე. ამგვარი წარმოდგენა გამოყენებულია როგორც შედარება პოეტური თქმის გასაძლიერებლად. გაჯავრებული ნესტანი ტარიელს ეუბნება —

სხვა ჩემებრი ვერა ჰპოვო, ცათამდისცა ხელი აჰყო (528).

როსტევანი ტარიელს ეუბნება ავთანდილის შესახებ, თინათინმაო —

სხვა მისებრი ვერა პოოს, ცათამდისცა აღცაფრინდეს (1525).

ზეციერ მნათობთა და ძალთა ზეციერთა შესახებ ცალკე ნარკვევია, და მოთავსებულია იგი ”ღმრთისმეტყველება”-ში.

თავი 3. ზესთა, ზენა და ზესი

ზესთა, ზენა, ზესი და მათგან ნაწარმოებნი სიტყვანი ვტნში დიდი მნიშვნელობისა არიან და მათ განსაკუთრებული დანიშნულება აქვთ.

ზენა და ზესი ნიშნავს: ზეით, ზემოდ მყოფი. ის, რაც ზემოა, ზევითია, ზემოდ არის, არის ზემო, ზენა და ზესთა. ამ სიტყვებით დაპირისპირებულია ცა და დედამიწა. ს. ს. ორბელიანის განმარტებით, ზესთა არის ზენას უმეტეს უმაღლესი. ესე იგი ზესთა არის უფრო მაღალი ვიდრე ზენა. მაგრამ რა ადგილი უკავია მას ცაში და სად იმყოფება ზესთა, ამის შესახებ ს. ს. ორბელიანი აღარაფერს გვეუბნება და ამის გამოსარკვევად საჭიროა ცალკე კვლევა...

ა). ზესთა ზე

დაბრუნებულ ავთანდილს როსტევეანი და თინათინი მიეგებებიან. ავთანდილმა მზეთა-მზე თინათინს თაყვანი სცა, რომლის —

პირი უნათლეა სინათლისა ზესთა ზესა (685).

ზესთა ზე აქ არის ყველაზე უზემოესი, ყველაზე უმაღლესი ცა, რომელიც უხვ ნათელს აფრქვევს. რომელია ეს ცა? არის იგი მეცხრე ცა? ბროლის ცა? მაგრამ ეს ცა იმდენ სინათლეს არ იძლევა როგორც მეოთხე ცა, მზის ცა; ამიტომ მგონია, ეს ცა უნდა იყოს მეოთხე ცა, მზის ცა.

ავთანდილი თავის შესანიშნავ ანდერძში ამბობს:

მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა (790).

ეს მეტად რთული და ძნელი წინადადება, რომლის აზრი გაუგებარია, გარჩეული მაქვს დაწვრილებით ცალკე თავში ”შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა”.

ბ). ზენა

საყურადღებოა აგრეთვე ”ზენა”, რომელს ვეფხისტყაოსანში რამოდენჯერმე ვხვდებით. სიტყვას ზენა ორი მნიშვნელობა აქვს: 1. ზენა ვით ზემოთი, ზევითი და 2. ზენა — განგება, განგების გარდაწყვეტილება.

ავთანდილი ტარიელს აქებს, მას მზეს ადარებს და ეუბნება —

სახე ხარ მზისა ერთისა, ზეცით მნათისა ზენისა (297).

რასაკვირველია, ზენა არის აქ ზემოთი, მაღალი. ნესტანსა —

ფატმან სწერს: ”აპა, მნათობო, სოფლისა მზეო ზენაო (1270).

აქ "ზენა" არის ზემოთი, მზის ცა, მეოთხე ცა.

ასეთივე მნიშვნელობა აქვს სიტყვას ზენა შაირში 944 —

ცისა მნათობნი ზენანი...

უკვე გარკვეული არაა, რომელნი არიან ეს "ზენანი". აქ საერთოდ ეს სიტყვა "ზემოთს" ნიშნავს.

ავთანდილის შესახებ ნათქვამია —

მას დღეს ავთანდილ ხელმწიფედ ზის და ხელმწიფე ზენია (1549).

"ხელმწიფე ზენია" არის უმაღლესი, დიდი და მორჩმული მეფე, თუ გნებავთ კიდევ: ზეციური, რადგან ღმრთის ნება ნიშნავს, აწესებს მეფეს, როგორც ეს ვტნ-ში გამოთქმულია (იხილეთ ჩემი "ვტნის საზოგადოებათმეტყველება").

მაგრამ შემდეგ ლექსში სიტყვას ზენა სრულიად სხვა მნიშვნელობა აქვს. გაჯავრებული ნესტანი ტარიელს ჰკიცხავს —

მაგრა ნაცვალსა პატიჟსა მოგცემსო ზენამცა ცისა (523).

ეს ლექსი სხვა და სხვა გვარად იწერება. დ. კარიჭაშვილისეულ ვტნში —

მაგრა ნაცვალსა პასუხსა მოგცემსო ზენა მის ცისა (507).

ასევეა აბულაძესეულ ვტნშიც (შაირი 463).

ინგოროყვასეულში —

მაგრა ნაცვალსა პატიჟსა მიგცემსო ზენა, მი, ცისა (523).

მაგრამ სამაგიეროს (ნაცვალსა) შეწუხებას (პატიჟსა) მიგცემს შენ, ტარიელ, ზენა ანუ გარდაწყვეტილება, მიგცემს (მი) ცისაო.

აქ ზენა არ არის უბრალოდ მაღალი, ზემოთი. ზენა აქ ნიშნავს: ღვთიური, განგება და ამ ახსნით ამ ლექსს შემდეგი აზრი ეძლევა: სამაგიერო შეწუხებას ციური განგება ანუ ღმრთის გარდაწყვეტილება მოგცემსო, დაგსჯისო. რომ ეს განმარტება მართებულია, ამას ქვემოდაც დავინახავთ.

ავთანდილი თავის ანდერძში ამბობს —

არას გარგებს სიმძიმილი, უსარგებლო ცრემლთა დენა;
არ გარდავა გარდუვალად მომავალი საქმე ზენა (795).

მომავალი საქმე, რომელი ზემოდ არის გარდაწვეტილი, უეჭველად გარდაუვალია, არ გადავა უშედეგოდ, მას ვერ ასცილდებიო. აქ "ზენა" არის განგება, ღმრთის გარდაწვეტილება.

ავთანდილი ამ საკითხს კიდევ ეხება, როდესაც იგი ვაჭრებს ეუბნება —

ყმამან უთხრა: "ვინცა ჭმუნავს, ცუდია და ცუდად სცდების; რაცა მოვა საქმე ზენა, მომავალი არ აგვცდების (1035).

ცუდია ჭმუნვა, ანუ წუხილი და მწუხარება! ის, რაც მოვა საქმე ზენა, ჩვენ არ აგვცილდება, გარდაწვეტილი მომავალი ჩვენ არ აგვცდებაო. ეს "საქმე ზენა" არის განგების გარდაწვეტილება.

ტარიელიც ამგვარსავე შეხედულებას გამოთქვამს ზენას შესახებ —

კაცმანცა სოფელს ვით პოვა, რაც არა საქმე ზენია (1338).

რის შესახებ არის აქ ლაპარაკი? არის ეს ზენა — ცა, ვარსკვლავნი, მნათობნი ვითარცა ბედისა და მომავლის გარდამწვეტნი? თუ არის ეს ზენა — ღმერთი ანუ განგება? უფრო მეტი საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ აქ ზენა არის საღმრთისმეტყველო ცნება, თეოლოგიური ტერმინუს. და ამის საბუთს თვითონ ავთანდილი გვაძლევს, როდესაც იგი ამბობს —

რა მოვა ჩემთვის განგება, ზეცით მოსრულნი ზენანი (1475).

როდესაც ჩემთვის მოვა განგება (პროვიდენცია); როდესაც ჩემთვის მოვა ზეცით ზენანი ანუ გარდაწვეტილებანიო. ეს გარდაწვეტილება განგებას ანუ ღმერთს ეკუთვნის. სხვაგვარად ამ წინადადების გარკვევა მოუხერხებელად მიმაჩნია. ამ დასკვნას გვიმტკიცებს ისევ ავთანდილი თავისი თქმით —

მიჯობს მოლოდნა საქმისა მის განგებისა ზენისა (1477),

ანუ: მირჩევნია განგების გარდაწვეტილობას მოვუცადოო.

ამგვარად, მგონია, ვტნის იმ ლექსებში, სადაც განგებაზე, მომავალზე, ზენა-საქმეზე არის საუბარი, ყველგან სიტყვით ზენა იგულისხმება ან განგება თვითონ ან განგების გარდაწვეტილება.

(იხილეთ ჩემი "ვტნის ღმრთისმეტყველება", კარი მეორე: "უგანგებოდ ვერას მიზმენ").

გ). ზესი

სიტყვა ზესი ვტნში ორჯერ იხმარება და ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე მნიშვნელობით.

ავთანდილს ფატმანი მოუთხრობს, თუ ნესტანის წასაყვანად მოულოდნელად როგორ —

შემოდგა კარსა მეფისა მონათა უხუცესია,
თანა ჰყვა მონა სამოცი, ვით ხელმწიფეთა წესია;
მოვიდეს, დია გავკვირდი, ვთქვი: "საქმე რამე ზესია"! (1171).

აქ სიტყვა ზესი ორგვარად შეიძლება განიმარტოს: 1. ფატმანი ამბობს, მოვიდა მონათ უხუცესი და ვთქვი, — ალბათ საქმეა ზესიო ანუ რამე საქმე არის მაღალი, სახელმწიფო მნიშვნელობისაო. ლექსის ეს ადგილი ინგლისურად სწორედ ასეა ნათარგმნი (შაირი 1149). მაგრამ ცხადია, აქ ნესტანს სახელმწიფო საქმეებზე არ შეეძლო ეფიქრა, არამედ მან ბუნებრივად იფიქრა, მონათ უხუცესის მოულოდნელი მოსვლა უსათუოდ რამე საქმე ზესია ანუ განგებისაგან არისო, ღმრთის ნებითაა გამოწვეულიო. რომ ეს განმარტება სწორია, ამას მეორე მაგალითი მიგვითითებს. ფატმანს ესმის —

მონამან უთხრა: "ჰე, ძმანო, განგება რამე ზესია (1219).

მონა ამით ამბობს: განგება უმაღლესია, ღვთიურია, ციური არისო.

დ). ზე, ზედაღმა

ვტნში იხმარება აგრეთვე "ზე" —

დავხოცეთ მხეცი, ფრინველი, არცა ზე გარდაგვფრენია (203).

"ზე" აქ უბრალოდ სივრცითი მნიშვნელობისა არის და ნიშნავს: ზემოდ, ჩვენს თავზე, მაღლა. აქ არის მიმართულება ქვემოდან მაღლისაკენ. ხოლო "ზედაღმა" არის მიმართულება ზემოდან ქვემოთკენ, ანუ როგორც ფატმანი ამბობს —

ჩემნი ყმანი ზედადაღმა ჩაეპარნეს, ვითა ფრენით (1134).

ამგვარივე მნიშვნელობისაა "ზედათ", რაც არის ზევიდან, ზემოდან —

ღვარმან, ზედათ მონადენმან, გააწყალა ფიფქი თხელნი (1137).

ე). ზეგარდმო

თეოლოგიური მნიშვნელობისაა სიტყვა ზეგარდმო, რომელი ვტნის შესავალშია ნახმარი —

ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა სულით მონაბერთა (1).

ოღონდ ეს განსაკუთრებული საკითხია, რომელი ცალკეა განხილული "ვტნის ღმრთისმეტყველება"-ში.

ამგვარად, ამ მიმოხილვამ გვიჩვენა, რომ "ზესთა" და "ზესთა ზე" არის უმაღლესი ცა. "ზენა" არის მაღალი, ზევითი; "ზენა" არის ამას გარდა განგება, განგების

გარდაწყვეტილება, ღვთიური დადგენილება; "ზესი" არის განგება, ღვთიური. "ზე", "ზედალმა" და "ზედათ" არის ზემოთი, ზემოდან, ზევიდან; "ზეგარდმო" არის ციური.

თავი 4. ვარსკვლავნი

ვტნში სიტყვა ვარსკვლავი ხშირად არ იხმარება. პირველად ვარსკვლავს ახსენებენ ვაზირნი, როდესაც როსტევანს უპასუხებენ —

მთვარესა მცხრალსა ვარსკვლავმან ვითარცა ჰკადრა მტერობა (37).

დაკლებულ (მცხრალ) მთვარეს ვარსკვლავი თავისი სინათლით როგორ შეეტოლება? როგორ გაუწევს მტრობასო? (მცხრალი — გავსილი მთვარის დაკლება. ს. ს. ორბ.).

შემდეგ, ვარსკვლავთა რიცხვთან, ესე იგი, ურიცხვთან შედარებულია ლაშქართა რიცხვი —

იგი ვარსკვლავთა ურიცხვი მოკრბეს ინდოთა სპანია (402).

ავთანდილი თავის მოგზაურობისას ღამითაც არ ისვენებდა; და —

რა შეულამდის, ვარსკვლავთა ამოსვლა ეამებოდის,
მას ამსგავსებდის, ილხენდის, უჭვრეტდის, ეუბნებოდის (838),

ანუ: შელამებისას ავთანდილს ვარსკვლავთ ამოსვლა, გამოჩენა ეამებოდა, რადგან ამ ვარსკვლავთ იგი მას, ესე იგი, თინათინს ამსგავსებდა, და ამით ილხენდა, მხიარულობდა. ოდეს მათ უჭვრეტდა და ელაპარაკებოდაო. და დაბოლოს, სიტყვა ვარსკვლავნი მოხსენებულია ვითარცა ზოგადი სახელი მნათობთა —

აჰა, მმოწმობენ ვარსკვლავნი, შვიდნივე მემოწმებიან (964).

ეს შვიდი ვარსკვლავი არის შვიდი მნათობი.

დასკვნა

გავეცანით ვეფხისტყაოსანის ცას და ვნახეთ —

ასტრონომიული თვალსაზრისით, ვტნის ცა არის შუა საუკუნეთა ასტრონომიის ნიადაგზე წარმოდგენილი ცა: მრგვალი, მბრუნავი, შეუცვლელი, თავისი ბორბალით ეს არის შვიდი და ცხრა ცა.

რელიგიური თვალსაზრისით, ვტნის ცა არის თვითონ ღმერთის გამოსახულება; სასუფეველი ღმრთისა; მწყალობელი; მრისხველი; საფიცარი და კეთილ სულთა სასუფეველი.

ასტროლოგიური თვალსაზრისით, ვტნის ცა არის ბედისა თუ უბედურების მომანიჭებელი.

პოლიტიკური თვალსაზრისით, ვტნის ცა არის მეფეთა პატრონი და მეფე ცასთან არის შედარებული.

პოეტური თვალსაზრისით, ვტნის ცა არის მიულწველობის სიმბოლო სურათის გამლიერებისათვის და ძლიერი შთაბეჭდილების მოსახდენად.

რვეული მესამე

ვეფხისტყაოსანის მნათობთმეტყველება

კარი პირველი

ვტნის შვიდნი მნათობნი

თავი 1. მნათობნი საერთოდ

პირველი საუკუნედან მესამე ათასეულ წლამდე ბაბილონში

1). ღმერთი "ანუ" იყო უფალი ცისა, მომანიჭებელი წყალისა, რომელი აპოხიერებს და აცოცხლებს მიწას; ღმერთს "ანუ"-ს თაყვანსა სცემდნენ განსაკუთრებით ურუკ-ში, ლაგამ-ში და ახლად წარმოშობილ ასსირიაში.

2). ღმერთი "ენლილ", რომლის სუმერული სახელი გადაითარგმნა სემიტური სახელით "ბელ" — ღმერთი ჰაერისა, სარდალი ჭექა-ქუხილისა და ქარიშხალისა, დამადგენელი მეფეთა და კაცთათვის ბედის გარდამწყვეტელი;

3). "ეა" (ბატონი მიწისა და ქვესკნელის წყალთა, სუმერთა შორის ცნობილი სახელით "ენკი") — ადრიდანვე იყო უფალი წყალთა და ზღვათა, და განსაკუთრებით უფალი უფსკრულის წყალთა, რომელზე ტივტივებს დედამიწა თავისი ვარსკვლავური თალით, რომლის გადაღმა, უზენაეს ცაში ღმერთი "ანუ" სუფევს. "ეა" იყო ღმერთი მეცნიერებისა, სიბრძნისა, მოგვობისა, ხელოსნობისა, შელოცვით მკურნალობისა, მეჭურჭლე, რომელმა თიხისაგან შეამზადა კაცი.

შემდეგ ხანაში, როდესაც ქალდეან მღვდლებმა ღმერთები სამებად დააჯგუფეს, პირველ სამებაში იყვნენ: ანუ, ბელ და ეა.

4). სინ, ღმერთი მთვარისა, ბატონი დროისა და უძველესი კალენდარისა; იგი იყო სრული სიბრძნე, მეცნიერება და სიბრძნე (რაც ერთი და იგივე იყო); იგი იყო მზრდელი მცენარეულობისა; მომცემი ცვარისა და ცხოველთა მომამენებელი;

5). ღმერთი მზისა შამაშ (გათაყვანებული პალესტინაში, სიპპარა და ლარსა-ში) იყო ღმერთი სამართლიანობისა, რომლის ნათელი განამევებს წყვდიადს, სადაც დამნაშავე იმალება! იგი იყო მოწინააღმდეგე "ნერგალი"-სა; ეს ნარგალი კი იყო გვალვიანი მზე,

გამანადგურებელი მცენარეულობათა და ბატონი მკვდართა სამყოფელთა (ასევე ეგვიპტეში);

6. მარდუკი, ბაბილონის ღმერთი გარდაიქცა უზენაეს ღმერთად ბაბილონელ მღვდელთა მოძღვრებაში, როდესაც ქალაქმა ბაბილონმა ქალდეაში პირველი ადგილი დაიპყრო; ამას შემდეგ მარდუკს მიეწერა თვისებანი ”ბელ“-ისა (ენლილი-სა), კაცთა ბატონისა, რომელი მსოფლიოს ბედს გადასწყვეტს; მასში ბელი-ს ძეს ხედავდნენ. ეს მარდუკ არის არა მარტო მნათობი იუპიტერის ღმერთი, არამედ ღმერთიც მზიური მას შემდეგ, რაც მზიური კალენდარი დაწესდა; და მარდუკს მიეთვისა ნიშანი შამაშ-ისა, ღმრთისა მზისა და სამართალისა. მარდუკ იყო ბრძენი და მეცნიერი და ამიტომ მიმართავდნენ მას შელოცვებით სწულთა მოსარჩენად, ხოლო დაახლოებით ორი ათას წელს იგი ერთი მითოსის გმირი გახდა, როდესაც იგი მარტუკი ქაოსის ღმერთს ტიამატს, გველეშაპს ამარცხებს. ამით მარდუკი ხდება ქვეყანის შემქნელი და წესრიგის დამამყარებელი;

7. ბაბილონურ იმპერიაში, პირველ ათასეულ წელთა შუაში ქრისტეს წინ ნაბუ იყო ღმერთი მწერლობისა, ბედის სამწერლო დაფათა და გრიფელის მქონებელი და მემკვიდრე ნელილ-ის ძალაუფლებისა; იგი თითქმის თანასწორი ხდება თავისი მამა მარდუკისა და ქალაქ ბორსიპა-ში იგი პირველობას იპყრობს;

8. მეფე ჰამმურაბის ხანაში (დაახლოებით ორი ათას წელს ქრისტეს წინ) მნათობი იშტარ პირველ რიგში გავიდა და მთელს აღმოსავლეთში დიდად საპატივო ადგილი დაიჭირა; ის იყო ღმერთი-დიაცი სიყვარულისა, ხოლო გუდეა-ს ხანიდან (დაახლოებით 2400 წელს ქრისტეს წინ) იგი გარდაიქცევა დილისა და საღამოს მნათობად, ხდება ვენუსს, ვენერად, რომელი მზესა და მთვარესთან ერთად ითვლება.

ძველი სამება: 1) ანუ, 2) ბელ და 3) ეა ამ ხანაში შეიცვალა ახალი სამებით: 1. სინ (მთვარე), 2. შამაშ (მზე) და 3. იშტარ (ვენუსი).⁸³

საერთოდ, ბაბილონში და ასსურეთში სარწმუნოება მეტად რთული და დახლართული იყო.⁸⁴ მაგრამ ჩვენთვის ესეც საკმაოა ვიცოდეთ, თუ ამ ქვეყნებში მთავარი ღმერთები რომელნი იყვნენ.

შემდეგ ხანაში, ორ ათასეულ წელში ქრისტეს წინ, ასტრონომიისა და ასტროლოგიის პირდაპირი გავლენით მნათობ ღმერთებმა შესცვალეს ძველი ბაბილონური ღმერთები —

სატურნუს — ნინურტა — მკვდართა სამეფოს ღმერთი
იუპიტერ — მარდუკ — მწიგნობარი, ბედის გამგებელი
მარს — ნერგალ — ნინიბ — ომისა და ჭირის, ხანძარის ღმერთი
მზე — შამაშ — მოსამართლე და ღმერთი მეუფე
ვენუს — იშტარ (ნანა, ვითარცა დედოფალი ცისა) — სიყვარულისა და ღმერთის
ღმერთი
მერკურიუს — ნაბუ — ნებო — მწერალი ღმერთი
მთვარე — სინ — ქვეყანის სიცოცხლის ღმერთი.

ასტრონომიულ ნაწერებში ამ ღმერთთა ჩვეულებრივი რიგი შემდეგია: 1) მთვარე (სინ), 2) მზე (შამაშ), 3) მარდუკ (იუპიტერი), 4) იშტარ (ვენუსი), 5) ნინურტა (სატურნუსი), 6) ნაბო (მერკურიუსი), 7) ნერგალ (მარსი). მაგრამ იყო სხვა სიაც.

* *
*

თუ ჩვენ ცხოველთა წრის ვარსკვლავებს ანუ ზოდიაკოთა წრეს დავაკვირდებით, ადვილად შევნიშნავთ ზოგ ვარსკვლავთ, რომელნი სხვა ვარსკვლავთა მიმართ თავის ადგილს იცვლიან. თავის თავად ცხადია, ისინი ცის ყოველ დღიურ ტრიალში მონაწილეობას ღებულობენ; მაგრამ მათ აქვთ კიდევ საკუთარი მოძრაობა; მაშასადამე, ისინი უძრავნი, ურყევენი ვარსკვლავნი არ არიან, რადგან მათი საკუთარი მოძრაობა თანაბარი არაა. ისინი ხან სწრაფად, ხან ნელად მოძრაობენ; ხან თითქო გაჩერებულნი არიან; მათი მოძრაობს მიმართულება საერთოდ არის იგივე ცნობილი მიმართულება ზოდიაკოთა, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ; მაგრამ ისინი ერთი მომყოლი ზოდიაკოდან მეორე წინამყოფ ზოდიაკოში გადადიან; ამიტომ ამბობენ, ამ ვარსკვლავთა მოძრაობა არის ხან მარჯვნივ, ხან უკანო; ამგვარი მოძრაობის და სვლის ვარსკვლავებს უწოდებენ: — პლანეტა, მნათობი, ცთომილი. ქართულად "ცთომა" არის გზის გამრუდება, და ამ ვარსკვლავთ, რომელთაც მრუდე გზა აქვთ, ჰქვიათ "ცთომილი". ისინი ხან მზესთან არიან ახლოს, ხან მზის მოპირდაპირე მხარეზე იმყოფებიან; ზოგი ერთი კიდევ ამ უკანასკნელ ადგილზე არასოდეს არ მიდის. მნათობნი მოძრაობენ უძრავ ვარსკვლავთა შორის ზოდიაკოთა გზაზე საღამოდან დილაამდე.

ს. ს. ორბელიანის ლექსიკონში ცნება "მნათობი" ვარსკვლავთათვის საერთო სახელია და იგი მარტო პლანეტებს არ ეკუთვნის, რომელთაც აქ საკუთარი სახელი აქვთ: "ცთომილი". ცთომილნი იგი შვიდნი ვარსკვლავნი, — ს. ს. ორბელიანის განმარტებით, — უკვე ითქმიან ცთომილად, რომელნი შვიდთა მათ ცათა შინა თვითოეულნი არიან, რომელთა სახელები ესე არს ქართულად, არაბულად, იტალიურად-ო. [იხილეთ წინარი, გვერდი 9 (წიგნისა)].

ესენი არიან რომელნიმე განმანათლებელად ქვეყანისა, რომელნიმე დარებთა სასწაულებად, რამეთუ რომელსამე გაუპირდაპირდების მთოვარე, მით იქმნებიან გვალვა, წვიმა, სეტყვა, ქარნი და ყოველივე დარი-ო...

* *
*

მნათობნი ძველთა ძველ დროში წარმოედგინათ დასაბამითადაწვე შემქმნელად და შესაქმემი (გენესის) თანამონაწილედ. ისინი იყვნენ მრჩეველნი და შემწენი, — როგორც ნათქვამია "კორე კოსმოვ"-ში. შეხედულება მნათობთა შემოქმედების შესახებ, როგორც ამბობს ი. კროლლ, — არის აღმოსავლური და შემდეგ ხანაში უკვე გნოსტიკოსებისათვის დამახასიათებელი.

”კორე კოსმოვ“-ში მნათობთა რიგი შემდეგია: 1. ჰელიოს (მზე, სოლ), 2. სელენე (ლუნა, მთვარე), 3. კრონოს (სატურნუს, ზევესი), 4. არეს (მარს), 5. აფროდიტე (ვენუს, ვენერა), 7. ჰერმეს (მერკურიუს).

არის აგრეთვე მეორე გვარი რიგიც: 1) სელენე 2) ჰერმეს, 3) აფროდიტე, 4) ჰელიოს, 5) არეს, 6) ზევეს და 7) კრონოს.

სელენე (მთვარე) ამ სიაში არის პირველ ადგილზე. აგრეთვე ჰერმესის გალობაში, მაგრამ საერთოდ, ეს უკანასკნელი რიგი ნამალადევი არისო, — ამბობს ი. კროლლ.⁵³ გვ. 206.

* *
*

ძველ საბერძნეთში ჩვეულებრივ ითვლებოდა 5 მნათობი და ცალკე: მზე და მთვარე, სულ — შვიდი. ხუთ მნათობს სთვლიდა ფილოლაოს, არხიმედეს, პტოლემეაიოს, ვექტიოს ვალენს, სენეკა, სერვიუს და სხ. მნათობთა ასეთი განაწილება შეიძლება მზისა და მთვარის მნიშვნელობით აიხსნას, რომელნი გამოყოფილნი არიანო, — ამბობს ი. კროლლ. მაგრამ ასეთივე განაწილება ყოფილა, დიოდოროსის თქმით, ძველად ბაბილონურ რელიგიაში: მზე, მთვარე და ხუთნი მნათობნი; აგრეთვე ცნობილ გნოსტიკოსურ წიგნში ”პისტის სოფია“ ლაპარაკია ხუთი მნათობის შესახებ. პროფ. ბუსსეტის განმარტებით, ეს განაწილება წარმოსდგა ბაბილონურ და სპარსულ რელიგიათა შეზავების შედეგად, სადაც ეს ხუთნი მნათობნი დაემონებად (სატანად) ითვლებოდნენო; ეს შეხედულება შემდეგ გავრცელდა დასავლეთშიცო. (იქვე.⁵³ გვერდი 207).

მნათობთა რიგი საბერძნეთმა შეითვისა მეოთხე საუკუნეში ქრისტეს წინ, ბაბილონელთაგანო, — ამბობს პროფ. ფ. კუმონ, და ეს რიგია ბაბილონური, ანუ როგორც ჩვეულებრი უწოდებენ: ქალდეური. მნათობთა აქ აღნიშნულ ორ რიგში მნიშვნელოვანია მზის ადგილი. მეორე სიაში მზეს უკავია მეოთხე ადგილი. ეს შეხედულება საბერძნეთში გვიან გავრცელდა. მასზე ლაპარაკობს პირველად დიოგენეს ბაბილონელი და პანაიტიოს, — შეიძლება იგი ჰიპარხოსმაც იცოდაო და უეჭველია, ეს რიგი მნათობთა პოსეიდონოსმა უკვე ფართოდ გაავრცელაო.

მნათობთა სიაში მზის პირველ რიგში დგომა შეიძლება აიხსნას მზის დიდი მნიშვნელობით; ან აქ შეიძლება იყოს ეგვიპტური გავლენა; ეგვიპტეში, მნათობთა რიგის სწავლაში, მზე დედამიწასთან უფრო ახლო მდგომად წარმოედგინათ, ვიდრე მთვარეო. აქაც ხუთნი მნათობნი ცალკე ჯგუფდებოდნენო, და მზის პირველობა მნათობთა რიგში ცნობილი იყო უკვე ანაქსიმანდროსისა, მეტოდორეს ხიოსელისა და კრატესისათვისო, — ამბობს ი. კროლლ. (იქვე,⁵³ გვერდი 208).

აქ ჩემს წინარში უკვე იყო ბაასი მნათობთა მნიშვნელობის შესახებ ასტროლოგიაში საერთოდ, და კერძოდ ბედის საკითხის გადაწყვეტაში, და აქ ამის გამო სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

* *
*

ვეფხისტყაოსანში ცნება "ცთომილი" არა გვხვდება, არამედ "ვარსკვლავი" და "მნათობი", რომელი იქ 26-ჯერაა დასახელებული. ეს მნათობი არის პლანეტა (თუმცა ორ შემთხვევაში უბრალოდ "ვარსკვლავი" იგულისხმება).

ს. ს. ორბელიანის განმარტება ცთომილთა შესახებ სამ გვარად არის მნიშვნელოვანი. იგი შვიდ ცთომილს სთვლის; თითოეულ მნათობს ანუ პლანეტას თითო ცას მიაკუთვნებს; ეს შვიდი ცთომიმილი, რომელნიმე ქვეყანისა განმანათლებელნი არიან, რომელნიმე დარისა, ტაროსისა, ამინდისა და უამინდობის მომცემნი არიანო.

ეს განმარტება სავსებით დამყარებულია შუა საუკუნეთა ასტრონომიულ და ასტროლოგიურ სწავლაზე, რომელი მრავალ საუკუნეთა განმავლობაში განმტკიცებული იყო და ვეფხისტყაოსანშიც ცნობილია.

* *
*

ვეფხისტყაოსანში შვიდივე მნათობი არის მოხსენებული და ვტნის გმირნი მათთან შედარებული. მნათობებთან პოეტური შედარება შესავლშივე იწყება —

მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირს ერთმანეთის მონება (6).

ვითარცა მნათობთ, ამ სამ გვირს: ავთანდილს, ტარიელს, ფრიდონს, რომელნიც თვითონ არიან მნათობნი, ერთმანეთის მონება სჭირთ, ანუ არიან მნათობნი ერთი მეორეზე დამოკიდებულნიო. ეს არის ასტრონომიული შედარება და იგი სრულიად გამართლებულია ვტნში, რადგან მისნი გმირნი მართლა ერთმანეთის მონები არიან, ერთმანეთზე მინდობილნი, ერთი აზრით, ერთი მისწრაფებით ერთმანეთზე დამოკიდებულნი.

თავი 2. თინათინი — მნათობი

თინათინის აღწერისათვის ნათქვამია, იგი იყო —

სოფლისა მნათი მნათობი, მზისაგა დასთა დასული (33).

ამ ლექსის ჩვეულებრივად აღიარებული განმარტება ასეთია — თინათინი არის სოფლის ანუ ქვეყნიერების მანათობელი მნათობი; იგი არის მზის დასის, ანუ გუნდის დასელი, ანუ დასის წევრი. ეს მიღებული და გაბატონებული განმარტება არ არის სწორი. "დასული" აქ არ ნიშნავს "დასელი". დასელი არის დასის, ანუ გუნდის წევრი. ოღონდ "დასული" ამ სიტყვისაგან არ არის ნაწარმოები. "დასული" ნიშნავს — "სულის ჩამდგმელი", "მაცოცხლებელი". "მზისაგა დასთა დასული" არის — მზის დასთა, ვარსკვლავთა სულის ჩამდგმელი. (ამის შესახებ დაწვრილებით ჩემს "მზისმეტყველება"-ში). თინათინი არის სოფლის მანათობელი მნათობი ანუ მზე;

თინათინი არის მზისა და სულის ჩამდგმელი; მზის დასთა, ვარსკვლავთა გუნდთა მაცოცხლებელი, ვარსკვლავთათვის სიცოცხლის მიმანიჭებელიო.

ავთანდილი უცხო მოყმის ძებნაშია; სამი წელიწადი მან უკვე უშედეგოდ სძებნა იგი და ახლა იმას სწუხს, თინათინსო —

ჩემსა რა ვკადრო მნათობსა, ვიყავ რად დღეთა მღეველად (186).

მაშასადამე, თინათინი არის მნათობი, მნათობი მზე.

თავი 3. ნესტანი — მნათობი

ავთანდილი ფრიდონს ეახლა, რათა მას შემთხვევით ნახული ნესტანის ამბავი გამოკითხოს და —

ფრიდონ უამბობს ამბავსა მის მნათობისა ტყვისასა (1022).

მნათობი ტყვე აქ ნესტანია.

ფატმანი თავის სახოტბო წერილში ნესტანისადმი, მას მზეს ადარებს და სწერს —

მნათობთა შენი შეხედვა ტკბილად უჩნს, დასაქადებლად (1085).

შენ, ნესტან ხარ მზე და სხვა მნათობთ შენი დანახვა ტკბილად მიაჩნიათ, დასაქადებლადო. ეს არის ატრონომიული და ამავე დროს ასტროლოგიური თქმა: 1. მზე აცოცხლებს მნათობთ, 2. მზე არის ტკბილი და კარგი ბედის მომტანი.

ნესტანი ედარება მნათობს კიდევ მაშინ, როცა ფატმანი ამბობს, მელიქ სურხავი თავისი წულისათვის ნესტანს საცოლოდ ამზადებდაო —

მამა მისთვის ამზადებდა მას, მნათობთა დასაგვანსა (1186).

და ამ მზადებას ისიც ეკუთვნოდა, რომ ნესტანს სამეფო სამოსელი ჩააცვეს, რომელზე —

მას ზედა შუქი მრავალი ჩნდა მნათობისა თვალისა (1187).

თვალი პატიოსანი აქ მნათობთან არის შედარებული. შემდეგ კი ნესტანი მოხსენებულობს მზედ, რომელი არის —

... მზე მნათობთა უკეთესი (1201).

შემდეგ, ნესტანის შესახებ —

ფატმან იტყვის: ”მომეშორვა მზე, მნათობი სრულად ხმელთა (1214).

როდესაც გულანშაროდან გაპარული ნესტანი ქაჯეთის ლაშქარს გზაში გადაეყარა, მოლაშქრენი განცვიფრდნენ —

ვუჭვრიტეთ პირსა მნათობსა, ელვათა მოელვარებსა (1228).

ნესტანი ქაჯეთის ციხეშია და ფატმანი ავთანდილს უამბობს —

მუნ არის მარტო მნათობი, მისთა შემყრელთა მწველია (1242).

ეს ლექსი პავლე ინგოროყვას შეუსწორებია (ვ-ტ. 1953 წ.) რომელიღაც ხელნაწერის მიხედვით —

მუნ არის მარტო მნათობი მისთა შორს მყოფთა მწველია (7242)..

ხელნაწერის მიხედვით ასეთ შესწორებას პავლე ინგოროყვა ასე ასაბუთებს: ”რადგან ნესტან-დარეჯანი მ ა რ ტ ო ი ყ ო დატყვევებული ქაჯეთის ციხეში, მასზე ვერ ითქმოდა: ”მისთა შემყრელთა მწველია“-ო. ამასვე ედარებაო სტროფი 1270: ”შენთა შ ო რ ს მ ყ ო ფ თ ა ყველათა დამწველო...“. ძველი ხელნაწერის მიხედვით პ. ინგოროყვას ეს შესწორება მართებულად მიმაჩნია. ამ ლექსში მნათობი არის ნესტანი, ოღონდ იგი არის მნათობი მზე, რომელი მისგან შორს მყოფთაც კი თავისი შუქით სწვავს.

და ავთანდილი თხოვს ფატმანს —

ვუშველოთ, იგი მნათობნი ნუთუ მიეცენ შვებასა (1266),

ანუ: მოვეხმაროთ ტარიელსა და ნესტანს, ამ მნათობებს, იქნებ შვება ანუ სიხარული მიეცეთო.

ფატმანი ნესტანს ავთანდილის მოსვლასა და ტარიელს ამბავს აცნობებს და მას —

ფატმან სწერს: ”აჰა, მნათობო, სოფლისა მზეო ზენაო (1270).

გმირებმა ქაჯეთის ციხე აიღეს, ნესტანი გაანთავისუფლეს და ახლა ფრიდონის სახელმწიფოში მიდიან და თან ასმათს მახარობელს უგზავნიან —

მანდა მოვა, მოიმაღლებს, მზე მნათობთა მამაგრობლად (1449),

ანუ: ნესტანი მოდის ვითარცა მზე, რომელი ცაზე თავისი უმაღლესი ხაზით გადადის და ვინაიდან იგი მეტის მეტად ძლიერია თავისი მცხუნვარებით, იგი მეტ ძალას აძლევს მნათობებსო. ეს ასტრონომიული შედარება ეხება საერთოდ ვარსკვლავებს და აქ კერძოდ, ვტნის გმირთ.

ავთანდილს სურს ნესტანი და ტარიელი ინდოეთის ტახტზე მჯდომარენი იხილოს —

ინდოეთს გნახო მორჭმული, საჯდომთა ზედა მჯდომარე,

გვერდსავე გიჯდეს მნათობი პირი ელვათა მკრთომარე (1478).

ნესტანი ერთად შვიდ მნათობს ედარება —

ჰქონდეს შვიდნივე მნათობნი მის მზისა დასადარებლად (1539).

ინდოეთიდან წამოსული ვაჭრები ჩვენს გმირებს მოუთხორობენ ნესტანის შესახებ —

მას ესვა ქალი მნათობი, მზისაცა უფრო მზიანი (1583).

და ტარიელი ინდოთ აცნობებს —

თანა მყავს ჩემი მნათობი, პირი ელვათა მფენელი (1620).

ამგვარად, ნესტანი არის მნათობი, მნათობი მზე.

თავი 4. გმირნი ერთად — მნათობნი

ავთანდილმა ტარიელი მოძებნა. ისინი ერთმანეთს შეხვდნენ; მათი სილამაზე განსაცვიფრებელი იყო —

ჰგავდეს შვიდთავე მნათობთა, სხვადმცა რისად ვთქვი მე და რად (281).

ასმათი მიმავალ ავთანდილსა და ტარიელს მისტირის —

მზემან დაგწვნა და დაგდაგნა ცისა მნათობნი ზენანი (944).

მზე უძლიერესია თავისი სითბოთი. მის ახლო მყოფნი მნათობნი მის სხივებში იწვიან, იმალებიან, აღარა სჩანან. ეს ასტრონომიული შეხედულება გამოთქმული აქვს ასმათს, რომელი ტარიელსა და ავთანდილს ცისა ზემო მნათობებს ადარებს. მზე აქ, რასაკვირველია, არის ნესტანი, რომლის გულისათვის ეს ორი მნათობი იწვის და იდაგვის.

ავთანდილისა და ფრიდონის შეხვედრა მნათობთა მიერ მზესთან შეხვედრასთანაა შედარებული, რომლის დროს მნათობნი მზის სხივებში იკარგებიან, უჩინოდ ხდებიან —

მზე უჩინო იქმს მნათობთა, რა ახლოს შეიყრებიან (989).

ასტრონომიულად, მზის სხივებში იკარგება პირველად ყოვლისა მერკურიუსი; მაგრამ ამას გარდა ვარსკვლავნიც უხილავნი ხდებიან. ამგვარად, ამ ლექსში ნაგულისხმევი არიან საერთოდ ვარსკვლავნი.

ავთანდილი და ტარიელ ქვაბს სტოვებენ და მიდიან ფრიდონთან. აქ მათ შესახებ ნათქვამია —

იგი მიჯნური მნათობთა, სხვისა ვერვისგან სწრობილნი (1373),

ანუ: ავთანდილი და ტარიელი (თინათინისა და ნესტანის) მიჯნურნი არიან; მათ, ამ მნათობთ სხვა ვერავინ შეეძარება, ვერავინ გაუსწორდებაო. დ. კარიჭაშვილის განმარტებით: სწრობილი — შესწორებული, მიმსგავსებული. ეტლისა სწრობილი — ეტლის (ცთომილის ან ვარსკვლავის) მიმსგავსებული, სწორი, ვერვისგან სწრობილი, რომელს ვერავინ შეეძარება.⁷³

სამივე მეგობარი დაემზადა ქაჯეთის ციხეზე სამგერებელად და ეს სამი გმირი მზეზე უფრო ბრწყინავდა და მათ შვიდი მნათობი ჰფარავდა, იცავდა მათ ნათლისა სვეტითა —

მათ სამთა შვიდნი მნათობნი ჰფარვენ ნათლისა სვეტითა (1409).

შვიდი მნათობის ერთად მფარველობა ასტროლოგიური თქმაა: იგი არის ბედის მომანიჭებელი, კეთილი, და აქ, გამარჯვების წინასწარმეტყველი.

მაგრამ, მათ შორის ტარიელი ვითარცა მზე ყველა მეგობარს სჯობნის, ამიტომ პლეადანი, ანუ ხომნი ნათლად აღარა სჩანანო —

მზე მნათობთაცა დაჰფარავს, არცალა ნათლად ხომნია (1411).

დასკვნა

როგორც ვნახეთ, ზემოდ აღნიშნულ ლექსებში მნათობი არის ვტნის რომელიმე გმირი და ამ მნათობთა შორის უფრო ხშირად მზე ან დასახელებულია, ან ნაგულისხმევი.

ყველგან ვტნში მნათობი გამოყენებულია სიმბოლიურად ვტნის გმირთა ღირსების, აღმატებულობის და ბრწყინვალეების დასასურათებელად, მათი სილამაზის დასახატავად.

და თავის თავად ცხადია, მნათობნი აქ არიან მხოლოდ მეფენი ან მეფის წულნი და არც ერთი სხვა ვინმე. ეს მოვლენა, რასაკვირველია, ბუნებრივია, რადგან მნათობნი სხვა ვარსკვლავთა შორის უდიდესნი და უბრწყინვალესნი არიან ვითარცა მეფენი სხვა ადამიანთა შორის. მნათობნი არისტოკრატიულ წრეს ეკუთვნიან ვით მეფენიც.

* *
*

მნათობებთან ქალ-ვაჟის შედარებას ხშირად ვხვდებით აღმოსავლეთის მწერლობაში და კერძოდ ძველ ქართულ მხატვრულ სიტყვაობაშიც, როგორც მაგალითად, მოსე ხონელის ამირან-დარეჯანიანში, სადაც არა ერთჯერ სილამაზის საჩვენებელად მნათობია მოხსენებული — არიან შვიდნი მნათობნი ასულნი, მისნი, რომე არა ითქმის კაცის ენისაგან სიკეთე მათი... მათ მნათობთა ასულთა მეფისათა... დაისხნა ქალნი მნათობნი თვისნი...⁸⁵.

საერთოდ, ეს საკითხი მზესთან დაკავშირებით დაწვრილებით არის გარჩეული ჩემს "მზისმეტყველება"-ში.

კარი მეორე

ვეფხისტყაოსანის მზე და მთვარე

თავი 1. მზე

ვეფხისტყაოსანის ასტრონომია და ასტროლოგია, არა ერთჯერ აღვნიშნე, შუა საუკუნეთა მეცნიერების საფუძველზეა დამყარებული, როგორც იგი მრავალ საუკუნეთა განმავლობაში დადგინდა და იმჟამად უდავოდ აღიარებული იყო. არა მგონია ვეფხისტყაოსანში რომელიმე გარკვეული ასტრონომიური ან ასტროლოგიური თხუზულების გავლენა ჩანდეს, ვინაიდან მაშინდელი ეს მეცნიერება ყველასათვის საერთო იყო და ერთი რომელიმე ავტორი განსაკუთრებულობას ვერ დაიჩემებდა; ამიტომ ვტნის ასტრონომიული და ასტროლოგიური სახის გაცნობისათვის ჩვენთვის სულ ერთია რომელი თხუზულებით ვისარგებლებთ, და არა ერთს, არამედ მრავალსაც გავეცნობით. ასტრონომიული საკითხებისათვის კი აქ დავეყრდნობი უმთავრესად ჩვენი მეზობელის, ზაქარია ყაზვინელის კოსმოგრაფიას, და ასტროლოგიისათვის კი სხვას მრავალს მოვიშველიებთ.

* *
*

მსოფლიო მხატვრულ მწერლობაში ისეთ ნაწარმოებს არ ვიცნობ, რომელში მზე ისე ხშირად იყოს მოხსენებული, როგორც ეს ვეფხისტყაოსანშია. ეს უშესანიშნავესი თხუზულება არის მზის პოემა. მთელი ეს ეპოსი სავსეა მზით და მისი სხვა და სხვა გამოვლინებით.

მზე ვეფხისტყაოსანში დასახელებულია თითქმის ოთხასჯერ. ეს რიცხვი ძალიან დიდია ისეთი მცირე ტანის ნაწარმოებისათვის, რომელიც ასტრონომიული გამოკვლევა არაა. რით აიხსნება მზის ასეთი ხშირი ხსენება? პასუხი თვითონ ვტნში უნდა მოიძებნოს.

შევეცადე მზის სხვა და სხვა მნიშვნელობა ვტნში გამეცალკეებინა და ასე ცალკეულად დამელაგებინა. ამ ცდის შედეგად, ვტნის მზე რამოდენიმე მნიშვნელობის აღმოჩნდა —

1. მზე — სილამაზე, შვენება
2. მზე — პიროვნება, ანუ ნაცვალსახელი
3. მზე — პირი, სუბიექტი
4. მზე — ხატი ღმრთისა
5. მზე — სიმართლისა წარმომადგენელი
6. მზე — ზრდილობის სიტყვა

7. მზე — ასტროლოგიური თეოლოგიის ღმერთი
8. და სხვა და სხვა.

მზის საკითხი ვეფხისტყაოსანში ისეთი ფართო და ღრმაა, რომ იგი განსაკუთრებულ გამოკვლევას გვიბრძანებს და თავისათვის დიდ ჩარჩოს მოითხოვს. ამიტომ მზის საკითხი ცალკეა გამოყოფილი და მას მთელი წიგნი აქვს მიძღვნილი: — ”ვეფხისტყაოსანის მზისმეტყველება”.

თავი 2. მთვარე

მთვარე, მანათობელი და გუშაგი ღამისა, ბუნებრივად ღვთიურ გრძნობებს იწევდა და იგი, მართლაც, თითქმის ყველგან ღმერთად იყო ცნობილი —

სინ — მთვარე-ღმერთი ბაბილონელთა რელიგიურ ისტორიაში, ლაგაშთა ხანიდან
ნანნარ — მთვარე-ღმერთი ბაბილონელთა, აკკადთა ხანაში
ვარდდ — მთვარე-ღმერთი ძველ არაბეთში
ილმუყაჰ — მთვარე ღმერთი ქარანელთა
შაჰარ — მთვარე-ღმერთი სირიაში
ონკა, მენე — მთვარე-ღმერთი პალესტინაში
ტოთ — მთვარე-ღმერთი ეგვიპტეში
ხონსუ — მთვარე-ღმერთი აგრეთვე ეგვიპტეში
ჰაომა — მთვარე-ღმერთი სპარსეთში
მენ — მთვარე-ღმერთი ფრიგიაში
სელენე, მენე, აიგლე — მთვარე ღმერთი საბერძნეთში
ლუნა — მთვარე-ღმერთი იტალიაში და სხვა.

ღმერთთა ცნობილ სამებაში, ანუ ღმერთთა ტრიადაში (მზე, მთვარე და ვენუსი) მთვარე-ღმერთი მამაკაცი არის. მაგრამ ბევრ ხალხს მთვარე-ღმერთი დიაცად ჰყავს წარმოდგენილი და ორივე ეს მოვლენა: მზისა და მთვარის მამობა თუ დედობა ისეა გავრცელებული, რომ ზოგი მეცნიერი ხალხებს ამ რწმენის მიხედვით ანაწილებს —

1. ხალხნი, რომელნი მზეს მამაკაცად სთვლიან, და მთვარეს კი დედაკაცად,
2. ხალხნი, რომელნი მზეს დედაკაცად სთვლიან და მთვარეს კი მამაკაცად, და
3. ხალხნი, რომელნი ორივე მნათობს და-ძმად სთვლიან.

ვეფხისტყაოსანში ეს მოვლენა მზისა და მთვარის სქესის შესახებ სრულებით არა სჩანს, მაგრამ ქართული ზეპირსიტყვაობა კი გვიჩვენებს, ქართველი ხალხი საერთოდ მზისა და მთვარის დაძმობას აღიარებს, თუმცა მზე მთვარის მშობელადაც ითვლება; მხოლოდ მეგრულ სახალხო ლექსშია — მთვარე — მამაკაცი.

ერთ სახალხო ლექსში —

ნათელმა მთვარემა ბრძანა:
”ბევრით მე ვჯობივარ მზესა”;
დაჯდა დასწერა წიგნები,
ზენა ქარი მიათრევსა.

მზეს რომ კაცი მიუვიდა,
მზე ძალიან გაჯავრდესა:
”მე და ვარ და ის ძმა არის,
რად ვძულდებით ერთმანეთსა”.

ამ ლექსით აშკარად ჩანს, რომ მზე არის დიაცი, დად, ხოლო მთვარე კი მამაცი — ძმა.

მეორე ხალხურ ლექსში —

მზე დაწვა და მთვარე შობა, იავ, ნანინაო...
ხოლო მეგრული კილოს ლექსში —
ბჟა დია ჩქიმი (მზე დედაა ჩემი),
თუთა მუმა ჩქიმი (მთვარე მამაა ჩემი)...
მაშასადამე: ქართველი ხალხის შეგნებით, მზე საერთოდ დედობრივი სქესისაა, ხოლო მთვარე — მამობრივისა.

ძალიან საეჭვოდ მიმაჩნია და დაუსაბუთებელადაც ჩვენი დიდი ისტორიოგრაფოსის პროფ. ივ. ჯავახიშვილის მტკიცება, თითქო საქართველოში მთვარის კულტი მზისაზე წინ იდგა, ან მარტოდ მთვარის თაყვანება ყოფილიყოს გავრცელებული. მით უმეტეს შემცდარად მიმაჩნია ეს დებულება, რომლით პროფ. ივ. ჯავახიშვილი მთვარის ღვთაებას წმიდა გიორგის კულტს უკავშირებს.⁸⁷ ცნობილია: წმიდა გიორგის კულტი სწორედ მზის თაყვანებასთანაა გადაბმული და, სამწუხაროდ, პროფესორ ივ. ჯავახიშვილს ეს გარემოება გამოეპარა.⁸⁸

* *
*

მთვარე არის სილამაზის ხატი, თითქმის ყველგან და ამგვარი შეხედულება ფართოდ გავრცელებულია: ინდო-გერმან-სემიტურ ხალხებში. განსაკუთრებით შექებულია თეთრი, საყვარელი ელვარება მთვარისა, ან ბრწყინვალე შუქთა მფენი პირი. დედაკაცის პირი, მისი კანის ფერი, მისი თვალები მთვარეს შეედარება და მთვარის თვალის სილამაზე აგრეთვე კაცის თვალის სილამაზეს გამოსახავს. მთვარე — ღამის თვალისა, ღამაზი, მომხიბლველი; ასევეა ღამაზი დედაკაცის თვალებიც; მთვარის შუქთ ადარებენ აგრეთვე ქალის თმებს; თმანი ვით შუქნი მთვარისა, ღამაზნი და წარმტაცნი არიან. ამნაირად, მთვარეს დიდი ესთეტიური მნიშვნელობა მიეწერება.

მთვარე ყველა მწერლობაში გამოყენებულია სილამაზის დასახატავად. როდესაც ძველი ბერძენი მწერლები მთვარის ეტლს ახსენებენ, — ამბობს პროფ. ლეგრან, —⁸⁹ ესაა მხოლოდ ცაში მთვარის მსვლელობის აღნიშვნა, ხოლო როდესაც პოეტები, სავსე მთვარის ბრწყინვალეობას ცხენის ბრწყინვალე ფაფარს ადარებენ, ამით ისინი გულისხმობენ ჰელიოსის (მზის) ეტლს; როდესაც ლაპარაკია მთვარის ფრთებზე, ამით იხატება მისი სწრაფი სვლა ცაში; როდესაც მთვარის სილამაზეს დედაკაცის სილამაზეს ადარებენ, მის მოვანებას, მის სხივთა გვირგვინს, მისი სამოსელის ბრწყინვალე სითეთრეს, — ეს ფიზიკური სილამაზის გამოხატვა არისო. იქვე.⁸⁹

ბიბლიაშიც მთვარე არის შვენების ნიშანი, სილამაზის სიმბოლო. ქება-ქებათა (ძველ თარგმანში: კურთხევა კურთხევათაჲ) 18.10 — ვინაა იგი რომელი გამოიცილება როგორც ცისკარი. ლამაზია ვითარცა მთვარე, შვენიერი ვით მზე...⁹⁰.

ძველი ინდოეთის ხელოვნების ენციკლოპედიაში (პირველნი საუკუნენი ქრისტეს შემდეგ) "ნატიაშასტრა", პოეზიის გასარჩევად აღნიშნულია ზოგი მაგალითიც შედარებისათვის, სადაც ყვავილს "ლოტუს"-ს და მთვარეს ღირსეული ადგილი უკავიათ, ვითარმედ —

მთვარე ჰგავს მთვარეს; მთვარე ჰგავს მის პირისახეს; დედაკაცი მას სთვლიან სიყვარულად, მეგობარნი — მთვარედ, მტერნი — სიკვდილის ღმერთად. ამ წუთს რასაც ვხედავთ, არის არა მთვარე, არამედ ლოტოსი ციური განგისა; მთავრე ეტოქება ლოტოსს, უეჭველია, რათა შენს პირს შეეჯიბროს; თვით მთვარეც დამარცხდა შენი პირით, რაღა ვილაპარაკოთ ლოტოსზე? ლოტოსი და პირი ვნებიან დედაკაცთა დაიხურება აგრეთვე, როცა მთვარის დისკოსი თავის შუქთა კონით დასავალის მთას ჰკოცნის! მთვარე, ამოდი! მაგრამ, — არა! აქაა პირი ჩემი საყვარელისა!⁹¹.

ერთ წარწერაში ნათქვამია —

მას ჰქონდა სილამაზე მთვარისაო. (სილამაზე არის ცოლი ღმერთი-მთვარისა). იქვე,⁹¹. გვერდი 389-90.

მთვარის გამოყენება სილამაზესთან შესადარებელად ხშირია სპარსულსა და არაბულ მწერლობაშიც, მაგრამ ამის შესახებ აქვე, ქვემოდ.

როგორია ვეფხისტყაოსანის მთვარე?

* *
*

მთვარეს ვტნში მეორე ხარისხოვანი ადგილი უკავია. სიტყვა მთვარე აქ იხმარება მხოლოდ 53-ჯერ და აქედან მთვარე ვითარცა ციური სხეული, მარტო 6-ჯერ. დანარჩენ შემთხვევაში, მთვარე გამოყენებულია ესთეტიური მიზნით. მაგრამ ამას გარდა მთვარეს აქვს ასტროლოგიური მნიშვნელობაც — იგი ითვლება სიყვარულის მიმანიჭებელად, ასულთათვის სიყვარულში შემწედ, მშობიარობის ბეზიად, მკურნალად და სხვა.

ა) მთვარე — მნათობი

როდესაც ვტნის გმირები ქაჯეთს მიადგნენ —

მათ ლომთა ნახეს ქალაქი, მთვარე დგას მუნ ნათელია (1392).

ტარიელის დაკარგვის შესახებ ნათქვამია —

იგიცა წახდა, ინდოეთს გახდა მთვარე და მზე ბნელად (1586).

მაგრამ მთვარესა და მზეს აქ ასტროლოგიური მნიშვნელობაც აქვს — ტარიელის დაკარგვა მზისა და მთვარის დაკარგვას იწვევს; ეს არის წახდომა, დაკარგვა მნათობთა სიმპატიის ნიადაგზე.

მთვარეს პოეტური შედარებისათვის ხმარობს როსტევანი, ოდეს იგი სიბერეზე ლაპარაკობს —

მზე ჩაგვისვენდა, ბნელსა ვჭვრეტთ, ღამესა მას უმთვაროსა (35).

აქ მზე — სიცოცხლეა, ხოლო ბნელი და უმთვარო ღამე კი — სიბერე და მისი თანმხლებელი სიკვდილი!

აქ უნდა შევჩერდე და გამოვარკვიო, თუ ეს უკანასკნელი ლექსი როგორ იკითხებოდეს.

ყველა დაბეჭდილ ვტნში ნათქვამია ”ღამესა ჩვენ უმთვაროსა”; მაგრამ პავლე ინგოროყვამ ეს ლექსი ჯერ კიდევ თავის ”რუსთველიანა“-ში (1926 წ. გვ. 66-67) შეასწორა; მან ”უმთვაროსა” დამახინჯებულად გამოაცხადა და შესცვალა იგი სიტყვით ”უმთენაროსა”. ამ შემთხვევაში იგი რითმაში გასწორებას ეყრდნობა: რითმა არის ”ნ-აროსა” და ამიტომ აქ უნდა იყოს ”უმთენარესა“-ო. ერთ ხელნაწერშიც ყოფილა სიტყვა ”მომთენაროსა”, მაგრამ იგი ამ სიტყვას ამ სახით არ იწყნარებს, მასაც იგი დაზიანებულად სთვლის და ამიტომ თვითონ, თვითნებურად მას ასწორებს სიტყვით ”უმთენაროსა”, რაც ნიშნავს: ”გაუთენებელს, რაც არ გათენდება... ღამე, რომელსაც არ მოსდევს გათენება“-ო, ესე იგი, მუდმივი ღამე ანუ სიკვდილი. ”მხოლოდ ერთად ერთი ეს სიტყვა უდგება ამ ტექსტს თავისი მნიშვნელობით: ტექსტში საუბარია სიბერეზე და სიკვდილის შესახებ, ე. ი. ღამეზე, რომელსაც არ მოსდევს გათენება“-ო, — დაასკვნის პ. ინგოროყვა.

ასეთი განმარტება ამ საკითხზე სრულიად შემცდარია. თავის თავად, არც ქრისტიანობას, არც მაჰმადიანობას და არც სხვა რომელიმე განხრას სიკვდილი არ წარმოუდგენია ”ღამედ, რომელსაც არ მოსდევს გათენება”. არც როსტევანი ამბობს ამას. ასე რომ ეს საბუთი უვარგისია.

სიტყვა ”უმთვაროსა” უადგილოა და არღვევს ამ სტროფის სახეების შინაგან მთლიანობას“-ო, — დაასკვნის პ. ინგოროყვა. ამ საბუთით პავლე ინგოროყვამ თავისი საკუთარი შესწორება შეიტანა ვტნში.

რითმის მიხედვით იმის დასაბუთება, თითქო აქ უნდა იყოს ”უმთენაროსა”, რადგან წინა რითმები თავდება ”ნ-აროსა“-თი, შეუძლებელია, ვინაიდან მცირე გადახრა რითმისა ვტნში არა ერთჯერაა დაშვებული. არსებითად კი, როგორც აღვნიშნე, ”უმთენარო” მუდმივი ღამე არ შეიძლება იყოს. აქ იყო ლაპარაკი მზეზე: მზე რომ ჩასვენდება, ბნელსა ვჭვრეტთ, ღამესა ჩვენ უმთვაროსა. აქა ბუნებრივი სურათი, რომელიც ავსებს ბუნებრივ სურათს ვარდის დაჭკნობის შესახებ. ხომ არ შეეძლო როსტევანს ეთქვა: მზე ჩაგვისვენდა, ესე იგი, მოვკვდი მე, და ბნელსა ვჭვრეტ, ბნელსა შევცქერი, ღამეს უმთენაროს, გაუთენებელს ვუყურებო! როსტევანი სამართლიანად

ამბობს — მზე ჩაგვისვენდა და ბნელს ვჭვრეტო, უმთვარო ღამეს ვუყურებთო. მზე არის ახალგაზრდობა, რომელიც გარდასულია, ხოლო მთვარე კი — სიბერე, უმთვარო ღამე. ამ მოსაზრებით პ. ინგოროყვას საკუთარი შესწორება ვტნისა მართლა უადგილოა, და ეს ლექსი უნდა დარჩეს, როგორც იგი ყველა ვეფხისტყაოსანშია — ღამესა ჩვენ უმთვაროსა.

მეფე როსტევეანი ამტკიცებს, უმთვარო ღამე, ვარდის დაჭკნობა და გახმობა სიბერეაო, რაზედაც ვაზირნი მიუგებენ: ვარდი თუ გახმა, სუნი და სილამაზე მისი მაინც რჩებაო, და საერთოდ —

მთვარესა მცხრალსა ვარსკვლავმან ვითამცა ჰკადრა მტერობა (37).

როდესაც ფარსადან მეფეს ასული შეეძინა, ამ მოვლენამ სასახლეში დიდი სიხარული გამოიწვია და არამც თუ მარტო ხალხი, არამედ სრული ბუნება და მასთან ერთად მზე და მთვარეც, მთელი ცა განცხრებოდა, ლხინობდა და ზეიმობდაო —

მზე და მთვარე განცხრებოდეს, სიხარულით ცა ნათობდა (323).

აქ მთელი ცა გასულოვნებულია, გაცოცხლებული, და კაცის სიხარულში იგი დიდ მონაწილეობას დებულობს. ეს არის ასტროლოგიური გაგება ზემოთისა, რომელს შემდეგ ასტრონომიული ლექსი მოსდევს მთვარისა და მზის ურთიერთობის შესახებ —

მთვარე მზესა მოეშორვოს, მოშორვება განანათლებს,
რა იახლოს, შუქი დასწვავს, გაეყრების, ვერ იახლებს (830).

ანუ: როცა მთვარე შორსაა, იგი მზის ნათელით ივსება; ხოლო როცა ნათელი მზესთან ახლოსაა, იგი აღარა ჩანსო. და ამ ასტრონომიული პოეტური შედარებით დახასიათებულია სიყვარულის ბუნება —

ჩვენ ვერ-ჭვრეტა საყვარლისა ჭირსა ძველსა გაგვიახლებს (830).

როდესაც მზეზე მთვარე დაშორებულია, ეს მოშორება მას მეტად ანათებს, და როდესაც მთვარე მზესთან ახლო არის, იგი მზის სხივებში იწვის, აღარა ჩანს, მოშორდება და მაშინ კი ვეღარ იახლებსო; საყვარელის ნახვა კი ჭირს გაგვიადვილებსო.

ამნაირად, ვტნში მთვარე გამოყენებულია პოეტური შედარების ძალთა გადიდებისა და ხელოვნურად სურათთა შთაბეჭდილების გამძლიერებისათვის. ამასთანავე ასტროლოგიურადაც.

ბ) თინათინი — მთვარე

თინათინს —

უგავს პირისა სინათლე მთვარისა მოვანებასა (106).

თინათინის პირი მთვარის მოვანების მსგავსია. მთვარის მოვანება არის ამ მნათობის გავსება, როცა იგი მთელი თავისი ბრწინვალებით ანათებს და მის გარშემო ნათელის რგოლი ელვარებს.

თინათინმა ავთანდილი დაიბარა; მონა-ზანგმა ავთანდილს —

მოახსენა: ”გიბრძანებსო ტანი ალვა, პირი მანგი” (120).

პირი მანგი არის თინათინი. მანგ არის სპარსული სახელი მთვარისათვის. სპარსულ მანგ-მთვარესაგან, — ამბობს პროფ. გრიგოლ ფერაძე, — ნაწარმოებია ქართულად (ისე როგორც სომხურადაც) მანგალი (დღევანდელი ნამგალი), ესე იგი, ნახევარი მთვარე, ნახევარი წრე (ანუ ახალი მთვარე). საღმრთო წერილში იხმარება მანგალი, თარგმანებშიაც განურჩევლად, როგორც ნამგალისათვის, ისე ცელისათვის. ახალ აღთქმაში გვხვდება ეს სიტყვა მხოლოდ ორჯერ: მარკოსი 4,29, გამოცხადება 14,14. აღსანიშნავია, რომ ოპიზის სახარება (913 წლისა), ჯრუჭის (936 წ.) და ტბეთისა (995 წ.) სახარებანი, მარკოსისა 4,29 მანგალს ხმარობენ. უძველეს ქართულ სახარებაში, ადიშისა (897 წლისა) მანგალის მაგიერ ”მღული” არის ნახმარიო, — სწერს არქიმანდრიტი და პროფესორი გრიგოლ ფერაძე, უდროოდ ტრადიულად დაღუპული მეცნიერი თეოლოგოსი.⁹²

მაშასადამე, მანგი არის ახალი მთვარე; და არა საერთოდ მთვარე, როგორც ამას უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ (1937 წ.) ვეფხისტყაოსანის ლექსიკონში პროფ. ი. აბულაძის მიერ ცუდად განმარტებულია: მანგი — 120,4: მთვარე, მეტაფორა, მოელვარე თვალი, მარგალიტი.

ზემო ნათქვამიდან ირკვევა: მანგი არის ნამგალა მთვარე. ოღონდ აქ ისიც აღსანიშნავია, რომ მთვარე სპარსულად მარგალიტის სახელადაც იმხარება.

თუმცა მთვარე ლამაზი და მომხიბლველია, თინათინი მას მაინც სჯობია. თინათინი მოწყენილია და ქუშად (მწყრალად, მოღუშულად) ზის, მაგრამ მას ელვასავით შვენის ეს განწყობილება და —

მთვარესა მისთა შუქთაგან უკუნი გარდაჰვენია (122),

ანუ: თინათინის მიერ გამოცემულნი შუქნი ისე ელვარებენ, რომ მათთან შედარებით მთვარე ისე ჩანდა, თითქო მას უკუნი, ბნელი, წყვდიადი გარდაჰვენოდაო. ეს შედარება ასტრონომიულია.

ავთანდილმა თინათინს ტარიელის თავგადასავალი უამბო და თინათინი მეტად კმაყოფილია, რადგან მას მიუბრუნდა სატრფო ავთანდილი და ტარიელის ამბავიც შეიტყო, ამიტომ მისი —

განათლდა პირი მთვარისა, ვით ნათლად ნავანებისა (701),

ანუ: თინათინის პირი მთვარისა განათლდა ვით ნავანები, გავსებული და სინათლით შემორტყმული მთვარეო.

ავთანდილი ახლად დაქორწილებულია, მაგრამ მას სურს ტარიელს გაჰყვეს ინდოეთს სამეფოს დასაპყრობად, რაზედაც მას ტარიელი უპასუხებს —

ახალ შეყრილსა მთვარესა, მზეო ვით მოეშორები?

აქაც ასტრონომიული შედარებაა. მზე ავთანდილია და მთვარე კი თინათინი, რომელნი ახლად შეიყარნენ, ცის გზაზე ერთმანეთს ახლა შეხვდენ.

ოდეს ავთანდილი ინდოეთს სტოვებს, მას ტარიელი ეუბნება —

რათგან ისწრაფი, რაღა ვქმნა? მოგელის ლომსა მთვარეო! (1657).

მთვარე აქ თინათინია.

ამგვარად, თინათინი არის მთვარედ დასახული და მთვარის შვენიერების გამომსახველი, ოღონდ ის მთვარე არის ანუ სრული, მოვანებით, მთელი თავისი შუქის სიმპლიერით, ან ახალი მთვარე, მანგი მთვარე, ნამგალა მთვარე, რომელი აგრეთვე დიდი სილამაზის სიმბოლოა.

გ) ნესტანი — მთვარე

ნესტანი ოდეს შვიდი წლისა შეიქმნა, იგი მაშინვე, — ტარიელის სიტყვით, — იყო — მთვარისა მსგავსი... (327).

შემდეგ, როდესაც ტარიელმა მას სამიჯნურო წიგნი გაუგზავნა, მას ასე მიმართა —

პასუხად ვწერდი: ”მთვარეო, ... (381).

ასმათიც ნესტანს მთვარეს უწოდებს და ტარიელს ეუბნება —

... ”წამოვლე, მოგელის ლომსა მთვარეო” (407).

ხოლო როს ტარიელი ნესტანის სადგომში შევიდა —

გამოჩნდა მთვარე ნათლითა გარე შუქ-მონავანითა (408).

შემდეგაც ამბობს ტარიელი —

შეველ, ვნახე იგი მთვარე, ჭირმან ყველამ უკუმრიდნა (520),

ანუ: მთვარე-ნესტანის ნახვამ ტარიელს ყველა ჭირი გაურეკა, უკუუქცია. მაგრამ ოდეს ნესტანი ძალზე გაჯავრებულია, მას —

არცა მზე ჰგვანდა, არც მთვარე ... (522),

ვინაიდან იგი იყო წარბ-შერჭმით (მოღუშული), გამწყრალი და განრისხებული. ოღონდ როცა ნესტანი ღმობიერი, ტკბილი გახდა, იგი —

ანუ მზე იყო ამ ქვეყნად, ან მთვარე პირ-გავსებული (538).

ფრიდონისათვისაც ნესტანი არის მთვარე და მთვარეზეც უკეთესი —

მთვარე უჯდა კიდობანსა, ცა მეშვიდე მასცა ვეცი (625).

ნესტანი მთვარე იყო, მაგრამ მას მეშვიდე ცას, კრონოსის (სატურნუს, ზუალ) ცას მივაკუთვნებდით. კრონოსი ანუ ზუალი მეშვიდე ცაშია და ამას გარდა მზის შემცვლელი ატროლოგიურად. ამაზე ფრიდონს ტარიელი უპასუხებს —

იგი მთვარე ჩემი იყო, მით მედების ცეცხლი მდაგად (631).

და ფრიდონ-ტარიელ მენავეებს აგზავნიან, რათა მათ —

მოგვინახონ იგი მთვარე, ვისთვის ჭირი არ გვაკლია (638).

თავიდანვე ფატმანიც ნესტანს მთვარეს უწოდებს —

მოიყვანეთ ისი მთვარე, ჰქმენით კარგად, უცადენით (1134).

ნესტანი უკვე ფატმანის სახლშია, ოღონდ მარად მოწყენილი და მტირალი; ამიტომ ეკითხებიან მას —

გვითხარ, რა არის წამალი მთვარისა შუქ-ნამკრთალისა (1157).

გულანშაროში მელიქ-სურხავი ნესტანს მთვარეს უწოდებს —

მუნამდის მთვარე შუქ-კრთომით ჯდეს, მზისა მის მოშორებული (1185).

და შემდეგ ფატმანი ავთანდილს ნესტანის ამბავს მოუთხრობს —

მის მთვარისა სადაობა კვლა გაამბო ... (1204).

ნესტანი სასახლიდან გაიპარა და მას გზაში ქაჯეთის მოლაშქრენი წააწყდებიან, რომელნი შორიდან მის შესახებ მსჯელობენ —

ზოგთა თქვეს, არის ცისკარი; ზოგთა თქვეს: არის მთვარეო (1226).

ნესტანიც თავის თავს მთვარეს უწოდებს და ტარიელს ციხიდან სწერს —

შენმან მზემან, უშენოსა არვის მიჰხვდეს მთვარე შენი (1303),

ანუ: შენი მთვარე (მე თვითონ) შენს გარდა არავის მიჰხვდება, არ ერგებაო, არავის არ წავყვები ცოლადო.

მერმე ავთანდილი ფრიდონს აცნობებს ნესტანის ამბავს და უთვლის —

გზა-გზა ყოვნა აღარა მცალს, პატიმრად ა იგი მთვარე (1322).

ტარიელი და ავთანდილი ასმათთან მიიჩქარიან სამახარობლოდ და მას შესძახიან —

ვპოვეთ მთვარე დაკარგული, რაცა გვწადდა, იგი ვქმენით (1357).

და ასმათს წიგნი მიართვეს ნესტანისა —

აღვისა შტო-დამქნარისა, მთვარისა ფერ-მიხდილისა (1359).

როსტევანიც ნესტანს მთვარეს უწოდებს —

მზიანო და მთვარიანო ... (1537).

ნესტანი, მაშასადამე, არის მთვარე. იგი არის მთვარე სრული, ბადრი, ან მთვარე ნამგალა — ორივე სილამაზის გამომხატველი.

დ) ავთანდილი — მთვარე

თინათინი და ნესტანი, როგორც ვნახეთ, მთვარე არიან; მაგრამ მთვარე არის ავთანდილიც. და მის შესახებ დასაწყისშივე ნათქვამია: იგი იყო —

საროსა მჯობი ნაზარდი, მსგავსი მზისა და მთვარისა (40).

ავთანდილი თინათინს ეუბნება —

მზესა მთვარე შეეყაროს, დაილევის, დაცაქნების (126).

მზე — თინათინია; მთვარე — ავთანდილი. აქ გვაქვს ასტრონომიული შედარება: თუ მთვარე მზეს შეეყრება, შეხვდება, მაშინ მთვარე მცხრალია, ფერ დაკარგული. და შემდეგაც, ავთანდილი შედარებულია იმ მთვარესთან, რომელი მზისა შემყრელია, შემხვედრი —

ან მთვარე, მზისა შემყრელი... (214).

ასმათი ტარიელს გააცნობს ავთანდილს, რომელსაც ასმათმა —

ხელი მოჰკიდა, მიჰყავდა ვით მთვარე მოსავანებლად (280).

მოსავანებელი მთვარე — რომელიც ივსება, აღვსების ზრდაშია და მაშასადამე, გაბრწყინებული იქმნება.

როცა ავთანდილი ვაზირ სოგრატს ეწვია —

ცხენსა შეჯდა, წამოვიდა ვაზირისა სახლსა მთვარე (723).

და ავთანდილი როდესაც მგზავრობაშია —

ყმა მიმავალი მიუბნობს, მსგავსი მთვარისა სრულისა (1025)

საროსა მსგავსი ნაზარდი და მთვარე დღისა შვიდისა (1073).

შვიდი დღის მთვარე ცნობილია ვითარცა სილამაზის გამოსახულება, ისე როგორც სრული და ნამგალა მთვარე —

გამოემართა იგი მზე პირითა სავსე მთვარისა (1325).

და უკანასკნელად, ავთანდილის მთვარე გალეულია, დაკლებული თინათინ-მზესთან შესახვედრად გამზადებული, რათა იგი, დაკლებული მთვარე მისი მზისაგან შუქით კვლავ გაივსოს და გაბრწყინდეს. ეს ასტრონომიული შედარებაა.

ამგვარად, ავთანდილი არის მთვარე სრული და შვიდი დღის მთვარე — სილამაზის სიმბოლო.

ე) ტარიელი — მთვარე

ავთანდილი ტარიელს ხატაელთა შემწეობით პოულობს; ისინი მას ასწავლიან —

აგერა მივა, ნახეო, იგი მზეებრ და მთვარულად (210).

უკან მობრუნებული ავთანდილი წყალს გამოვიდა და ასმათ-ავთანდილმა —

მთვარე წყალსა გამოსრული ნახეს, შუქთა მოფინება (263).

ავთანდილი ტარიელს უამბობს, თუ მეფე როსტევანმა და მან თვითონ, როგორ იხილეს პირველად ტარიელი, რომელიც უცბად გადაიკარგა —

მუნღა ცნეს, ეტლი მთვარისა რომე არ დაბრუნდებოდა (994).

ეხლაო, დასძენს ავთანდილი, ტარიელი —

ვითა მთვარე დაუდგრომლად იარების, არ დადგების (1001).

აქ არის ასტრონომიული შედარება მთვარის მუდმივ სვლასთან.

ამგვარად, ტარიელი არის მთვარე და მთვარული სილამაზისა.

ვ) ფრიდონი — მთვარე

ორი მზე, ტარიელი და ავთანდილი და ფრიდონ — მთვარე —

ჰგვანდა, თუცა შეყრილ იყვნეს ორნი მზენი, ერთი მთვარე (1382).

ზ) ტარიელ, ავთანდილ, ფრიდონ — მთვარე

გმირთა ცალკეულ შედარებათა გარდა, ვტნში ჯგუფური შედარებაც არის. ტარიელ-ავთანდილ-ფრიდონის შესახებ ნათქვამია —

მას ჰგვანდეს, თუცა სამყაროს მზე უჯდა შუა მთვარეთა (1495).

მზე აქ ნესტანია, ხოლო დანარჩენნი — მთვარე.

წ) მთვარე — სიყვარულის მკურნალი

როგორც აღვნიშნე, მთვარე ღმერთად ითვლებოდა. ვეფხისტყაოსანის მთვარე ღმერთი არ არის. იგი თვით არის ღმერთზე დამოკიდებული და ღმრთის ქვეშევრდომი. ვეფხისტყაოსანის მთვარე არის ასტრონომიული და ასტროლოგიური, რომელი სიყვარულის საქმეებს განაგებს. ეს აზრი შესანიშნავადაა ვტნში გამოთქმული ავთანდილისაგან, რომელიც

მთვარესა ეტყვის: ”იფიცე სახელი ღმრთისა შენისა,
შენ ხარ მომცემი მიჯნურთა მიჯნურობისა სენისა,
შენ გაქვს წამალი მისისა მოთმინებისა თმენისა!
მიაჯე შეყრა პირისა შენგამო შენებრ მშვენისა! (930),

ანუ: მთვარემ თავისი ღმრთის სახელი უნდა დაიფიცოს და ავთანდილს დაჰპირდეს მისი აჯის, ესე იგი, თხოვნის შესრულება. ეს არის მთვარე, რომელი მიჯნურობის ანუ სიყვარულის მომცემია; მასვე, მთვარეს აქვს მისივე, სიყვარულის წამალი, რაც არის თმენის მოთმინება. რა წამალია იგი? თმენა არის ატანა ჭირისა, გამძლეობა, სიმძნელის მოჭირვება. მოთმენა არის მოცდა, თავის შეკავება, მოთმენა, დათმობა. თმენის მოთმინება არის, მაშასადამე, გაჭირვებაში გაძლება, ანუ სიმტკიცე, სიმზნე, იმედი. აი, ეს არის წამალი, რომელიც მთვარესა აქვს სიყვარულის სენის განკურნებისათვის. და ავთანდილი თანვე დასძენს: მთვარევ, მიაჯე, ანუ შემავედრე შენს ღმერთს, რათა თინათინს შევხვდეთ, რომელიც შენს მიერ შენსავით შვენიერი არისო.

ამგვარად, მთვარე აქ დასახელებულია სიყვარულის მომცემად. უიმედო სიყვარულში იმედის მომნიჭებელად. სიყვარულის სენის მომცემი და განმაკურნებელი მთვარე — ასტროლოგიური ცნებაა; ხოლო მთვარის მიერ შვენების მონიჭება — ესთეტიური დებულება: მთვარე — სილამაზის სიმბოლო.

* *
*

ამ შაირის პირველმა ლექსმა — იფიცე სახელი ღმრთისა შენისა — გაუგებრობა გამოიწვია. აქ ღმერთი მთვარის საკუთარ ღმერთად გამოაცხადეს.

რასაკვირველია, ასტროლოგიური თეოლოგიის მიხედვით, თითოული მნათობი ან თვითონ იყო ღმერთი, ან ღმრთის სახე. გაქრისტიანებულ, ან გამაჰმადიანებულ ასტროლოგიაში მნათობი ღმერთი არ არსებობს და არც არსებობს — მისი საკუთარი ღმერთი. ამიტომ ამ გამოთქმას: ”იფიცე სახელი ღმრთისა შენისა”, ის მნიშვნელობა არა აქვს, რომელს მას ვტნის მკვლევარი ზურაბ ავალიშვილი მიაწერს. იგი ამბობს —

”მნათობთ მსახურთა ”საქმეში” ისეთი დროის მოწმობაც არის შენახული, როდესაც თითო მნათობს უყურებენ როგორც ცალკე ღვთაებას და ამ მნათობთა ღმერთებს საკუთარი, თვით მნათობთა სახელთაგან განსხვავებული სახელებიც ჰქონდათ; ეს სახელებიც, თუმცა გადასხვაფერებული, არაბულ ნაწერებში მოიხსენება”-ო.

ეს სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ ზურაბ ავალიშვილი ამ სწორ აღნიშვნასთან დაკავშირებით, შემცდარ მოსაზრებას გამოთქვამს —

”ალბათ ამ ძველი მწიგნობრული გადმოცემის გამოძახილად უნდა ჩაითვალოს ავთანდილის ერთი მთვარისადმი მიმართვაც, რომელიც შვიდ მნათობთა ლექსს არ ეკუთვნის და სადაც ის — მთვარესა ეტყვის: ”იფიცე სახელი ღვთისა შენისა”-ო”.⁴⁸

მართლაც, ცნობილია, — ამბობენ დოზი-გოიე, — ჰარრანელთა სწავლის მიხედვით, თითოული მნათობი არის სასუფეველი ღვთაებისა ან ანგელოზისაო, რომელი მას განაგებს, ისე როგორც სული ადამიანის გვამს განაგებს. ეს ღვთაებანი ვარსკვლავთა სახელთ ატარებენ, რომელზედაც ისინი ცხოვრობენ, მაგრამ მათ აქვთ განსაკუთრებული სახელებიც, რომელი აქამდე დაცულია; მაგალითად, მთვარის ანგელოზის სახელია: სალლაელ; ვარსკვლავური სახელისა და ანგელოზის სახელის გარდა, მნათობის სულსაც (სპირიტუს) თავისი სახელი აქვსო და სხვა.⁹³

ვეფხისტყაოსანში, როდესაც ავთანდილი მთვარეს ეუბნება — იფიცე სახელი ღმრთისა შენისა — არ არის ღმერთი, მთვარის საკუთარი ღმერთი, ან ანგელოზი, არც მისი სული.

არც ქრისტიან და და არც მაჰმადიან მწერალს, და თუ გნებავთ, არც ასტროლოგოსს მწერალს, ასეთი აზრი თავშიაც არ მოუვიდოდა, რადგან როგორც მთვარის, ისე მზის და საერთოდ ყოველივესი ღმერთი ერთია და მისი სახელიც არის — ღმერთი, ერთი. რუსთაველის ამ ლექსის გასაგებად აქ მოვიტან დიდი სპარსელი მწერლის ფირდაუსის (941 — 1020) ამგვარსავე გამოთქმებს, რომელს შაჰ-ნამე-ში ვხვდებით —⁹⁴

კვი კაიუს მეფე კვი ხოსროვს ეუბნება — შენ დაიფიცე მზისა და მთვარის უფალზე, გვირგვინზე, ტახტზე და სხვა. ისკანდერი ამბობს — ვფიცავ უფალს ბრწყინვალე მზისა (წიგნი 5. გვ. 76). ან კიდევ — სახელითა ღმრთისათა (უფლისათა ცისა, რომელი

ტრიალებს), უფალისა მერკურიუსისა და მზისა (წიგნი 3. გვ. 295). ან კიდევ — სახელითა უფლისათა მზისა და მთვარისა (წიგნი 1. გვ. 477). ან — უფალ მზისა ნებას მომცემს (წიგნი 1. გვ. 537); ან — სახელითა ღმრთისათა, რომელი არს უფალი მზისა და მთვარისა (წიგნი 1. გვ. 477). ან — ღმერთი, რომელი არს უფალი მზისა და მთვარის ბრუნვისა (იქვე, გვ. 543) და სხვა ასე. აქ ყველგან უფალი ანუ ღმერთი მზისა და მთვარისა არის ერთად ერთი ღმერთი და არა მნათობის ღმერთი, ან მნათობი-ღმერთი, ან მისი ანგელოზი, ან მისი სული. აქ ყველგან ღმერთი არის ერთი და მხოლოდ. ანუ იმავე ფირდაუსის თქმით — ”ღმერთი, რომელმა შექმნა მზე და მთვარე, უფალი ქვეყანისა, განმანაწილებელ გვირგვინთა და ტახტთა” (იქვე, გვ. 255) და ამგვარად მრავალჯერ.

ვეფხისტყაოსანის ”მთვარის ღმერთი“-ც იგივე ერთი ღმერთია, ”რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა”. ”სახელი ღმრთისა შენისა” ვტნში აქ, ჰარრანული ასტროლოგიური შეხედულებების მიხედვით არაა ნათქვამი. აქ მთვარის ღმერთი, როგორც შედარებიდანა ჩანს, არ არის მნათობის საკუთარი ღმერთი, ან მისი სახელი, ან მისი ანგელოზი, არამედ ღმერთი ერთი.

თ) დაუსახელებელი მთვარე

ვტნში მთვარე პოეტური შედარებისათვის გამოყენებულია დაუსახელებელადაც

თინათინის შესახებ ნათქვამია —

რა გაიზარდა, გაივსო, მზე მისგან საწუნარია (34).

აქ, რასაკვირველია, გაზრდილი, გავსილი მთვარეა ნაგულისხმევი, რომელიც მზესაც კი იწუნებს.

როდესაც ავთანდილი პირველად ქვაბს მიდის, ასმათს —

ეგონა თუ, დაბრუნდაო პირი ვარდი, ბროლ-ბაკმული (230).

აქ ტარიელზეა ლაპარაკი: მისი პირი იყო ბროლ ბაკმული. ს. ს. ორბელიანის განმარტებით, ბაკმი ანუ ბაკი არის მოზღუდვილი, მომრგვალებული. არსებითად კი ეს სიტყვა არის სომხური და ნიშნავს: ნემბუს, ორეოლ, ანუ ქართულად: სინათლის რკალი, რომელი მთვარეს გარშემო ჩანს ხოლმე. მოვანება მთვარისა. მაშასადამე, ტარიელი პირ-ბაკმული არის ბროლივით მოელვარე და შუქ მფენი წრით, რაც აგრეთვე მთვარესა ნიშნავს.

ავთანდილი ასმათს ეკითხება ტარიელის შესახებ —

მისი რამ მითხარ, ვინ არის ტან-სარო, პირ-ბაკმიანი (233).

პირ-ბაკმიანი არის ტარიელი, საცხე მთვარე თავისი სხივოსანი რკალით.

როდესაც ტარიელი ფრიდონს შეხვდა, ეს უკანასკნელი პირველს ეკითხება, ვინა ხარ, რას გამსგავსო, და —

ანუ აგრე რამ დაგლია, ანუ პირველ რამ გაგავსო?...
ღმერთმან მისგან ანთებული სანთელიცა რად დაგავსო? (599).

დალევა ან გავსება აქ არის მთვარის დაკლება და ავსება, ანუ მთვარის ფაზები. ღმრთისაგან ანთებული სანთელი — მთვარე ამ ჟამად დავსებულა, ჩამქრალი.

ნესტანის შესახებ ნათქვამია —

ქალი რა ნახეს, სტრფიალობს შუქსა მას ბროლ-ბაკმათასა (1434).

ნესტანი როდესაც ნახა ზღვათა მეფემ, სურხავმა, იგი ეტრფიალება ნესტანის სავსე მთვარის მანათობელ რკალთა შუქსო.

როდესაც ფატმანმა ციხიდან განთავისუფლებული ნესტანი იხილა: მოეხვია, გარდუკოცნა ხელი, ფეხი, პირი, ყელი (1435) და თქვა —
ღმერთმან გული განმინათლა გახეთქილი, გაცამკრთალი,
აწ ეგრე ვარ გავსებული, წინას ვიყავ ვითა მცხრალი (1436).

როდესაც შენ, ნესტან-მზეს ვერ გხედავდი, ვიყავი დაკლებული ვითარცა მთვარე, ვიყავი მცხრალი, ხოლო ახლა, როდესაც შენ მზე-ნესტანი გიხილე, გავივსე, გავხდი სავსე მთვარეო. აქ შედარებისათვის გამოყენებულია ასტრონომიული მოვლენა: მთვარის გავსება სინათლით და დაკლება მზესთან ახლო და შორს ყოფნის მიხედვით.

როდესაც ნესტანი და თინათინი ერთმანეთს შორდებიან, ამ შემთხვევისა გამო ნათქვამია — მათი დაშორება მთვარისა და ცისკრის ვარსკვლავის დაშორებას ჰგავდაო და —

მათადვე სახედ, რომელსა ესენი დაუბადიან,
იგივე გაჰყრის, სიშორე არა თუ ნებით სწადიან (1570),

ანუ: ღმერთმა, რომელმა დაჰზადა ნესტანი და თინათინი, რომელმა დაჰზადა ისინი მათადვე სახით, ესე იგი, მთვარისა და ცისკრის ვარსკვლავის სახით, მათი შვენებით — ეს ღმერთი მათი დამზადებელი მათ გაჰყრის, თუმცა მათ ეს არა სურთო.

ყველგან აქ არის დაუსახელებელი მთვარე, პოეტური შედარებისათვის გამოყენებული.

დასკვნა

თუ უკმო თვალს გადავავლებთ და მთვარის ამბავს გადავხედავთ, ჩვენ წინ აღმოჩნდება მთვარე, რომელს ვტნში რამოდენიმე დანიშნულება აქვს მიბოძებული —

1. მთვარე — ასტრონომულად — მნათობი პოეტური შედარებისათვის

2. მთვარე — ესთეტიურად — სილამაზის სიმბოლო, გმირთა შვენიების დასახატავად
3. მთვარე — ასტროლოგიურად — მნათობი, სიყვარულის მომცემი და სიყვარულის მკურნალი.

ი). მთვარე სპარსულ-არაბულ მწერლობაში

მთვარე ვითარცა პოეტური შედარება სილამაზის დასახატავად და საჩვენებლად, რასაკვირველია, გამოყენებულია სპარსულ, არაბულ და ესპანურ-არაბულ მწერლობაში უმთავრესად.

ახალი სპარსული ენის პირველი ცნობილი პოეტი

რუდაკი (გარდაიცვალა 940 წ.) ერთ თავის ლექსში ამბობს ასულის შესახებ —

იგი პირით მთვარისა — დაჲ ჰური-სა! ⁹⁵.

მო'ეზი (მეთერთმეტე საუკ.) ერთ ასულს მთვარეს ადარებს. (იქვე, გვ. 52).

ანვარი (გარდაიცვალა 1189 — 1191 წელთა შორის) ასულზე ამბობს —

შენი ლამაზობის ალამი მთვარესა სჯობნის... (იქვე, გვ. 61).

სანაი (მე-12 საუკ.) —

(მისი ასულის) პირი მსგავსი სავსე მთვარისა... (იქვე, ⁹⁵. გვ. 95).

ყაზუს (დაიღუპა 1069 წ.) —

მას შემდეგ, რაც შენა ხარ შორს, შენ, ლამაზო ვითარცა მთვარე... (იქვე, გვ. 280).

ატტარ (გარდაიცვალა დაახლოებით 1222 წ.) ერთი შეიხის შესახებ ამბობს —

იგი იჯდა... პირით მორჩი ვითარცა მთვარე...

ჰყავდა ერთი ასული, რომელი მთვარეს შეედარებოდა (იქვე, გვ. 275, 189).

საად ედ დინ ვარავინი (მე-13 საუკ.) —

ამ ქალებთან მთვარის პირითა (იქვე, გვ. 291).

სულთან მაჰმუდ დაზნელი გარდაცვალებულ თავის მხევალს დასტირის —

ო, მთვარე! მას შემდეგ რაც მიწაში განისვენებ, მე მიყვარს მიწა უფრო მეტად, ვიდრე ცა... ⁹⁶.

ომარ ხაიამ (1020 — 1123) —

მეგობარი ქალი, ლამაზი ვით მთვარე... ⁹⁷.

მოსლიპ ედ-დინ სა'ადი შირაზელი (1180/84 — 1291/93) ასულს მთვარეს ადარებს —
ლამაზი იგი, ვით ახალი მთვარე! ⁹⁸.

ქმნილება ვითარცა მთვარე სავსე, ოდეს იგი გამოჩნდება ... (იქვე, გვ. 275).

მთვარე — პირი; მთვარისა პირი; პირი მთვარისა; (იქვე, გვ. 277, 280). მთვარესთან ეს შედარებანი ვაჟთა შესახებ არიან ნათქვამნი.

ამირ ხუსრავე (1253 — 1324) თავისი დედისა და ძმის სიკვდილს ლექსით გლოვობს —
ორი სავსე მთვარე ჩაესვენა და შესწყდა ნათება

პურ ი ით ჯამი (მე-13 საუკ.) ერთ თავის მეგობარს, რომელმა კბილი ამოიძრო, სწერს —

თუ კბილი დაიკარგა ძვირფასი კოლოფიდან, შენი ღირსება სილამაზისა ამით არ შემცირებულა! ასი მთვარე ანათებს შენს ღაწვთა კუთხეებიდან, რა ვუყოთ თუ ერთი ვარსკვლავი ჩამოვარდა პლეიადიდან...

აზერბეიჯანულ სახალხო პოეზიაშიც გვხვდება სილამაზის მთვარესთან შედარება —

*1. ო, ჩემო საყვარელო! არის ერთი მთვარე,
არის ერთი ვარსკვლავი, არის ერთი მთვარე;
მე ვხედავ ჩემს მეგობარს ყოველ დღე,
ოღონდ არის ერთი მთვარე (თვე), რაც არ მინახავს... ⁹⁹.*

* *
*

ამგვარად, სპარსულ პოეზიაში მთვარესთან შედარება დედა და მამაკაცისა ჩვეულებრივია, და ამნაირსავე მოვლენას ვხვდებით არაბულ პოეზიაშიც. მაგალითად:

გაბილ, არაბი მგოსანი მერვე საუკუნისა, რომელიც სიყვარულის მაგლობელი იყო და სიყვარულით მოკვდა, თავის სატრფოს ბუტაინას ასე აქვებს:

იგი სილამაზით არის მთვარე; სხვა ასულნი არიან ვარსკვლავნი. რა დიდი განსხვავებაა მთვარესა და ვარსკვლავთ შორის!! ¹⁰⁰.

ომარ ბენ ფარეთ (1199 — 1254) თავისი სატრფოს შესახებ ამბობს —

ბედნიერია ის ქარავანი, რომელი შენ მოგყვება ღამის მოგზაურობაში! პირისაგან შენისა გადმოსჩქეფს ბრწყინვალება განთიადისა, რომელი ქარავანს გზას უნათებს. ამ ბედნიერმა მგზავრებმა შენთა სურვილთა თანახმად უნდა იმოქმედონ; მათ თავიანთ შორის ჰყავთ მომხიბლველი სილამაზე: ვითარცა სავსე მთვარე, და მათ აღარ მოელის

საშიშროება... სიყვარული, რომლით მე ვიწვი, არის ისეთივე წმიდა ვით თეთრად ბრწყინვალე პირი ჩემი არჩეულისა... ¹⁰¹.

შესანიშნავ ათას ერთ ღამეში, "დალაქის მეხუთე ძმის" ამბავში ნათქვამია —

ჩემი ცოლი, ლამაზი ვითარცა სავსე მთვარე... სახელი ყამარალზამან არის აქ მთვარე დროთა, ანუ მთვარე საუკუნეთა... სპარსი სეფე წული, ვინაიდან იყო იგი სავსე და ბრწყინვალე სილამაზითა, იწოდებოდა ბადერ (ბადრი), ან სავსე მთვარე.

"ალადინ"-ის ზღაპარში მეფის ასულს ჰქვია — ბადრულბუდურ, ანუ სავსე მთვარეთა სავსე მთვარე (ბადრი, ბადრთა). ¹⁰².

ესპანურ - არაბულ პოეზიაშიც მზესა და მთვარეს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ, როგორც მაგალითად —

აბდალლა იბნ აშ შამრ (მე-9 საუკ.) მეფის სატროფოს შესახებ ამბობს —

რომლის ბრწყინვალეობა სჭარბობს მზისას და მთვარისას...

იბნ აბდ რაზბიჰ (860 — 940) ერთი ასულის შესახებ სწერს —

მე მირჩევნია აღარ ვიხილო მზე და მთვარე, რადგან შემძლია გიხილო შენ, რომელიც ხარ ორივე, მზეც და მთვარეც...

იბნ შუჰაიდ (922 წ.) ერთ ასულზე ამბობს —

მისი პირი ედარება ამომავალ სრულ მთვარეს...

იბნ დარრაჯ (958 — 1030) ერთ მეფეზე ამბობს:

ჰგავს მზეს და სავსე მთვარეს დიდებაში...

ალ მუტამიდ 'ლა 'ლლაჰი (1040 — 1070) ქალს უმღერის —

მთვარე არის იგი, რომელი მთვარეს მიეფარა, ოღონდ იგი დასადგურდა ჩემი გულის სიღრმეში.

იბნ სამმარ აბუ ბაკრ (1031 — 1084) —

მისი ბრწყინვალეობა სჭარბობს სავსე მთვარის შუქთ; პირი მისი შეარცხვენს მთვარის ცას...

ალ მუტანაზზი ალ ჯაზირი (გარდაიცვალა 1126 წელს) ერთ ასულზე ამბობს —

იგი, რომელი ვიხილე, იყო სავსე მთვარე წყვდიადიდან გამოსული...

ალ შმა ეტ ტუტ'ილი, ბრმა პოეტი (გარდაიცვალა 1126 წ.) ლამაზ პირს სავსე მთვარეს ადარებს:

დაპიკუნ, ან ჯუმან

საფირუნ, ან ბადრი... ანუ: სიცილი — მარგალიტებით (კბილნი), დაუფარავი ბადრი (სავსე მთვარე, ლამაზი პირი).. და სხვა. ¹⁰³.

* *
*

სპარსულ-არაბულ და ესპანურ-არაბულ პოეზიაში მთვარის პოეტური მნიშვნელობის საჩვენებლად აქამდე გამოვიყენე სხვა და სხვა ანთოლოგია, ან მწერლობის ისტორია, სადაც პოეტური შედარებანი მხოლოდ ნაწილობრივ არიან მოტანილნი, დაბეჭდილ ლექსთა შინაარსის მიხედვით, ამიტომ იგი სრულ სურათს არ იძლევა, ოღონდ ბოლოსათვის მოვიტოვე ორი უდიდესი სპარსი პოეტი: 1) აბუ'ლ ყასიმ ფირდაუსი (ფირდოუსი) და 2) ნიზამი განჯელი.

აბუ'ლ ყასიმ ფირდაუსი თავის შესანიშნავ შაჰ-ნამე-ში მთვარესთან შემდეგ შედარებებს ხმარობს — ⁴⁹.

შაჰ-ნამე-ს (მეფეთა წიგნის) **წინასიტყვაობაში**: წინასწარმეტყველი (მაჰმადი) არის მზე, მისი მხლებელი კი — მთვარე.

შაჰნამეს წიგნი პირველი: ფირდაუსი თავის სიზმარს აღწერს: იგი ხედავს მეფეს, რომელი მთვარესა ჰგავს და კითხულობს — არის ეს სამყარო და მთვარე? არის ეს ვარსკვლავიანი ცა? (აქ გვერდებს არ ვასახელებ).

სპარსეთის (ზღაპრული) მეფე ჯემშიდი — ბრწყინვალეა და ტახტიდან ვით ორი კვირის მთვარე ბრწყინვალეებს აყრდენილ ალვის ხეზე; ჯემშიდის (ქართული: ჯიმშერი!) ასული არნევაზის პირი იყო პირი მთვარისა; ფერიდუნის (ქართული ფრიდონ!) ტახტთან იდგა ქალი არნევაზ, მთვარისა სახით: ჩეჰრინაზ და არნევაზ არიან მთვარე; იემენის მეფე თავის სამს ასულს მთვარეს უწოდებს; ისინი არიან მთვარენი; იემენის მეფის ასულნი ჰგვანან ბრწყინვალე მთვარეს, რომელს ვერ გაუსწორებ თვალს; ისინი არიან მთვარენი; და კიდევ მთვარენი; ფერიდუნი მოხედს ეუბნება თავის შესახებ: ჩემი პირი იყო ვით მთვარე; ირეჯის ცოლნი იყვნენ მთვარის პირისა; ფერიდუნ ჰგავს მთვარეს; მინუჩერი (ქართული: მანუჩარი!) ბრწყინავდა ვითარცა მთვარე; მიჰრაბი (ქართული: მერაბი!) ეუბნება თავის ცოლს სინდოხტს — ო! მთვარის პირო! მისი ასული რუდაბეჰ არის მთვარე; ის არის მთვარე; ზალის (ქართული: ზაალი!) მონის პირი არის მთვარე; ამ მონის პირი მთვარეა; რუდაბეჰ არის მთვარე; მისი მსგავსი მთვარე ამ ქვეყანაზე არ არსებობს; მონა ზალისა არის მთვარე; მონა-ქალნი მთვარის პირისა არიან; მონა მთვარე არის; რუდაბეჰ არის მთვარე; მოდი, ნახე მთვარე, სავსე შვენებით; ო, ასულო, მთვარის პირითა; ზალმა შეხედა ლამაზს მთვარის პირითა; ზალი დაჯდა მთვარის გვერდით; მან უთხრა ლამაზს, მთვარის პირითა; ამ ქალს ეუბნებიან: ო, ახალო მთვარეო; სინდოხტ ეუბნება რუდაბეჰს: ო, მთვარე კეთილშობილო (წესნიერო) მოდგმისა; ო, ჩემო შვილო მთვარის პირითა; მიჰრაბ თავის მეუღლეს სინდოხტს ეუბნება: ო, ქალო მთვარისა პირითა; სამ სწერს

მინუჩერს: შენა ხარ ნადიმზე ვითარცა მთვარე დედამიწას რომ ანათებს; სინდოხტი თავისი ასულის შესახებ ეუბნება სამს: მე ვარ დედა რუდაბეჰისა, რომლის პირი მთვარეა; სინდოხტის პირი იყო ვით გაფითრებული მთვარე; ზაბულისტანის მეფე ზალი გახდება კაბულის მთვარის — რუდაბეჰის ქმარი; მიჰრაბი შეჯდა ცხენზე და იგი ჰგავდა ახალ მთვარეს; სამ-მა იხილა ასული მთვარის პირითა; ახალგაზრდა მეფე იყო ვით მთვარე; მაზენდარანში მონები არიან მთვარის პირითა; მთვარის პირისაა რუდაბეჰი; მეფე კვი კაუსმა რუსტემს (ქართული: როსტომი!) უბოძა ასი ქალი, მთვარის პირითა.

შაჰ-ნამეს მეორე წიგნი (პარიზი, 1842 წ.) — ჰამავერანის მეფის ასული რუდაბეჰი არის მთვარე; კუბოში ჯდა იგი ახალი მთვარე; ახალი მთვარე გამოვიდა კუბოდან; მძინარე რუსტემთან ფარულად შევიდა სამანგანის მეფის ასული ტეჰმინეჰი, პირითა მთვარითა; სიტყვა დაასრულა მთვარემ, და იგი (ის ასული) გახდა რუსტემის მეუღლე და ამიტომ რუსტემს ეუბნებიან: ამ ახალ მთვარესთან შენ მოგელის ბედნიერება; რუსტემმა გაატარა ღამე მთვარესთან; ამ კავშირიდან დაიბადა ზოჰრაბ (ქართული: ზურაბ!); იგი იყო ლამაზი ვით ბრწყინვალე მთვარე; ზოჰრაბმა დაიჭირა იგი (მეომარი ასული), გაქცეული ბრძოლაში და მას უთხრა: ო, მშვენიერო, პირით მთვარითა; ეს ასული (გურდაფერიდ) მიიმალა, ეს მთვარე ბრწყინვალე; ტყის ასულის პირი იყო მთვარე და თუსმა მას უთხრა: ო, მომხიბლველო მთვარე; ორი გმირი დავობს ამ მთვარის გამო და საქმის გასარჩევად მიჰყავთ იგი მეფე კაუს-თან; მეფე შეხედავს ამ ასულს და მას ეტყვის: შენ უნდა იყო დედოფალი დედაკაცთა, რომელნი არიან მთვარის პირითა; და იგი გახდება მეფის მეუღლე და შეეძინება ვაჟი — სიავუშ; სუდაბეჰი იყო მთვარის პირითა; სუდაბეჰი მთვარის პირითა; ჰარემში ასულნი იყვნენ მთვარენი; სუდაბეჰის სილამაზე შეემსგავსება მხოლოდ მთვარეს; ახალგაზრდას ღაწვი ჰგვანდენ მთვარეს; ტახტი ბრწყინავდა როგორც მთვარე; სამი ასული — მთვარე; მეფე აფრასიაბის (ქართული: აფრასიონ!) ასული ფერანგის მთვარის პირითა; მთვარე ფერენგის მთვარის პირითა; მთვარე (მეფე აფრასიაბის ასული ფერენგის, რომელი სიავუშს მითხოვდა) გახდა მთვარე, სამკაული სახლისა; იგი იყო ახალი მთვარე; სიავუშის მეუღლე ფერენგის ორი კვირის მთვარესა ჰგავს; მათ შეეძინათ ვაჟი, რომელი ლამაზია ვით მთვარე; მონა-ქალნი არიან პირით მთვარითა; ისინი დგანან მთვარე ფერენგისის წინაშე; სიავუშში ლამაზია როგორც მთვარე; ფერენგის ლამაზი ვით მთვარე; ყველა ლამაზნი პირით მთვარისა; ფერენგის არის მთვარე; აფრასიაბი ეუბნება თავის სარდალს, შვილს: შენა ხარ ჩემი მთვარე; ლამაზი, როგორც მთვარე; ეს ახალგაზრდა მთვარესა ჰგავს; ხოსროვ ბრწყინავდა ტახტზე ვითარცა მთვარე; ქალი ისპენჯი, პირითა მთვარითა; მეზრძოლთა ღაწვი ბრწყინავენ როგორც მთვარე; ფირუდის ლამაზნი ქალნი არიან მთვარის პირითა; ფირუდი არის ლამაზი ვით მთვარე; ქალი ისპენჯი იყო პირითა მთვარისა; მათრახის მოჭედილობა და ქვანი ბრწყინავდენ როგორც მთვარე.

შაჰ-ნამეს მესამე წიგნი (პარიზი, 1838 წ.) — პირი ბრწყინვალე ვითარცა მთვარე; თვით მთვარე ჰგავს გამარჯვებულ მეფე ფერუზის, ტახტზე მჯდომარეს; მეფე კვი ხოსროვის (ქართული: ქაიხოსრო!) დედა არის მთვარე; ო, მთვარე; იგი შეერთო მისმა გერმა ფერიბურზმა — ეს მთვარე; ჩინეთის ხაყანი ფერთუსი ლამაზია ვით მთვარე; დროშანი ბრწყინავენ ვითარცა მთვარე; დროშა ბრწყინვალე ვით მთვარე; მუსიკოსი — მთვარე; ო, მთვარის პირო; ბიჟანის (ქართული: ბეჟან!) პირი არის მთვარე; მენეჯეჰ — მთვარის პირი; შენ წამართვი... ჩემი მთვარე; ხოსროვ — ბრწყინვალე ორი კვირის

მთვარესავით; სვიან დროშაში ჩასმულნი თვალნი პატიოსანნი ბრწყინავდნენ როგორც მთვარე.

შაჰ-ნამეს წიგნი მეოთხე — ფეშანგი მთვარის პირითა; მეფე ლოჰრასპს (ქართული: ლუარსაბ!) ჰყავდა ორი ვაჟი, ლამაზი ვით მთვარე; კეისარის ასულს კიტაბუნს აქვს მთვარის პირი; კიტაბუნის მთვარის პირით; იგი სიზმარში ხედავს ვაჟს, ლამაზს მთვარესავით; კიტაბუნის ღაწვნი მთვარეს ემსგავსებოდა; ო, შენ პირო მთვარისა; ო, ასულო (კიტაბუნ) ჩემო, პირითა მთვარითა; კიტაბუნმა ჰშვა ორი ვაჟი, მსგავსი ბრწყინვალე მთვარისა; მხედარნი არიან პირით მთვარე; სარდალი ზერირი ბრწყინავს თავის ჯავშანში ვით მთვარე; გუმტასპ ამბობს: ჩემნი შვილნი, ლამაზნი ვითარცა მთვარე; მეფის შვილი არდეშირ, ლამაზი პირით, ბრწყინვალე ვით მთვარე; მეფის შვილი შიდასპი, გმირი, ბრწყინვალე მთვარესავით; მეფის ძმა ზერირ — მთვარე; მთვარე, რომელი ლაშქარს ანათებს; შენი მთვარე, მეფეო, დაიღუპა ბრძოლაში: იგი გაჰქრა როგორც ბრწყინვალე მთვარე ღრუბლებში; ო, ჩემო ბრწყინვალე მთვარე; გმირი მეფის შვილის ისფანდიარის პირი ბრწყინავდა მთვარესავით; ეს მთვარე გაჰქრა ზოდიაკო მშვილდოსანიდან; სიხარული... ვით მთვარე; სასახლის ყმაწვილთა პირნი მთვარისა; ისფანდიარი ლხინობდა ქალთა შორის, რომელთა პირნი იყვნენ მთვარისა; რუდაბეჰ — ზაბულისტანის მთვარე; ისფანდიარი — ლამაზი მთვარესავით; რუსტემი — მთვარე დიდებულთა ყრილობისა.

შაჰ-ნამეს წიგნი მეხუთე (პარიზი, 1877 წ.) — ბაჰმანის ასული ჩეჰრზად და მისივე მეუღლე ჰომი — ბრწყინვალე, მთვარესავით; მეფე დარაბის ცოლი ნაჰიდ — მთვარე; მან ჰშობა ვაჟი, მსგავსი ბრწყინვალე მთვარისა; შენ (ისკანდერ) ხარ ჩვენი მთვარე; რუშენეკ (დარას ასული და ისკანდერ, — ალექსანდრე მაკედონელის — ცოლი) — მთვარე; ინდოეთის მეფის კეიდის ასული — მთვარე, შეუდარებელი სილამაზისა; მთვარის პირისა; ისკანდერმა მას თავზე იმდენი ოქრო გადააყარა თავისი სალაროდან, რომ ამ მთვარემ ძლივს გაიკვლია გზა; ისკანდერმა დაიძინა უქალოდ, თვით მთვარის პირითა; მონაქალნი მთვარის პირითა; სასანის მეუღლე, მთვარის პირითა; არდეშირმა შთაბეჭდილება მოახდინა ამ მთვარეზე; მან ამ მთვარეს უთხრა; გულნარ არის მთვარის პირითა; გულნარ — პირით მთვარე, შეჯდა ცხენზე; ასულნი მთვარისებური პირითა; არდევანის ასული მთვარის პირითა; მე არ მოვკლავ ამ მთვარეს; მისი შვილი შაპური ჰგავს მთვარეს; არდეშირის მეუღლე — პირითა მთვარითა; მიჰრეკის ასული, ლამაზი მთვარესავით; ო. ასულო პირითა მთვარითა; გლეხს არასოდეს არა ჰყავს ასული პირითა მთვარისა, — ამბობს მეფის წული შაპურ; მე ვითხოვ ქალს, პირითა მთვარითა; ორმუზდი ბრწყინავდა მთვარესავით ბნელ ღამეში; მისი ერთი — ცოლთაგანი იყო ბრწყინვალე ვით მთვარე; მეფე ნერსის ასული მთვარის პირითა; მისი ლამაზი ასული მალიკეჰ — მთვარის პირითა; მალიკეჰ — მთვარე; იგია — მთვარის პირი; მოლარე ქალი-მონა — პირით მთვარე; იგი არის მთვარე; მეფის წულის ბაჰრამის მონა-ქალი იყო აზადეჰ — მთვარე; ო. შენ პირო მთვარისა; ბაჰრამმა გადმოაგდო აქლემიდან აზადეჰ, პირითა მთვარითა; ბაჰრამ — პირი მთვარისა; იგი ჰგავს შუა ღამის ორი კვირის მთვარეს; ასულთ ჰქონდათ პირი მთვარისა; ველი იყო მთვარეებით (ასულებით) სავსე; ბაჰრამ ჰგავს მთვარეს, ბაჰრამ სძებნიდა მთვარეს (ასულს); შაგირდის შეწუხებული სული საჩუქარის შემდეგ გახდა ბრწყინვალე ვითარცა მთვარე; ბაჰრამი ბრწყინავს მთვარესავით; ასულნი — პირით მთვარისა; ქალიშვილო, პირით მთვარეო; შენ ჰგავხარ მთვარეს ცაში; შენ, პირით მთვარე; ეს სამნი ასულნი — მთვარე; შენ გაძლევ ამ სამს ასულს, რომელნი მთვარეს

ემსგავსებიან; ეს სამნი ასულნი მთვარენი გაემგზავრნენ მეფის სასახლეს; ასული არზუ — მთვარე; არზუ — ეს მთვარე; ორმოცი მხლებელი ასული, ყველა მთვარის პირითა.

შაჰ-ნამეს წიგნი მეექვსე. (პარიზი, 1877 წ.) — ინდოეთის მეფის ასული სეპინულდ არის პირით — მთვარე; იგი — მთვარის პირითაა; იგია — მთვარე; სეპინულ — მთვარე; ასული — ლამაზი მთვარესავით; პირით მთვარითა; ეს მთვარე; პირითა მთვარითა. ამ მთვარის გამო მეფე კობადი ერთი კვირით დარჩა; მის ვაჟს კესრას მთვარესაგან ვერ გაარჩევდი; მიწა მთვარესავით ბრწყინვალე; ქრისტიან ქალს ჰქონდა მთვარის პირი; ნუშხად ვაჟი არის მთვარის პირითა; ჯაჯის მართველი ასული, პირითა მთვარისა; მთვარე ვერ შეედრება მეფის შეხედულებას; ნუშრივან (ქართული: ნოშრევან!) — მთვარე ნადიმზე; ჩინეთის მეფის ასული — პირითა მთვარითა; ეს — მთვარე; ჯემჭურის ცოლმა დაბადა ვაჟი, რომელს მთვარესაგან ვერ გაარჩევდი; ქალი — მთვარე; მეფე ორმუზდის შვილს მთვარესაგან ვერ გაარჩევდი.

შაჰ-ნამე. წიგნი მეშვიდე. (პარიზი, 1878 წ.) — დროშა ბრწყინვალე ვითარცა მთვარე; როცა მთვარის სახე გამობრწყინდა; ლამაზი ქალი მთვარის პირითა; ეს ქალი მთვარისა პირითა უსულოა; მხლებელი ორასი ქალი, პირითა მთვარისა; კეისარის ასული მარიამ არს მთვარე; ო, მთვარე, ასულო კეისარისა; ჩინეთის მეფის ცოლს ჰყავდა ასული მსგავსი მთვარისა, თუ მთვარეს ექნებოდა ორი შავი კულული, ორი წითელი ბაგე, ცხვირი ვერცხლის ღერო, ორი თვალი შავი ნარგიზისა; ხათუნის მეორე ასული გახდა მთვარესავით, ქვეყანას რომ ანათებს; ხოსროვ მეფე იყოს თქვენი მთვარე; წერილი — ბრწყინვალე მთვარესავით; როცა მეფის წერილი ნახეს, თითქო იხილეს მთვარე მიწაზე; ბაჰრაი ჩუბინეს და გორდიეს არიან მთვარისა მოვანებანი; იგი არის პირით მთვარისა; ხოსროვის ცოლმა მარიამმა, რომელიც მთვარეს ემსგავსება, დაბადა ვაჟი, რომელი მსგავსია მთვარისა; მეფე ხოსროვ იყო მთვარე; ხოსროვ ეუბნება თავის მეუღლეს შირინს: ო, შენ, პირითა მთვარისა; შირინმა მოიხსნა პირბადე და მისი პირი გამოჩნდა მთვარესავით ლამაზი; მეფე იეზდეგირ ბრწყინავს სავსე მთვარესავით; იგი არის ლამაზი მთვარესავით.

* *
*

ალბათ დიდად შემაწუხებელი იყო ამ ამონაწერთა წაკითხვა, მაგრამ ამ მსხვერპლის მიტანით ერთ მეტად მნიშვნელოვან მოვლენას გავეცანით: ფირდაუსის შესანიშნავ შაჰ-ნამე-ში მთვარე გამოყენებულია სილამაზისა და ბრწყინვალეების საჩვენებელად; მთვარე არის მამაკაცი; მთვარე არის დედაკაცი; მაგრამ ამასთანავე მთვარე არის: დროშა, მიწა, მხლებელი, ტახტი, სიხარული, წერილი, ძლიერება. მხოლოდ გლეხს არ შეიძლება ჰყავდეს ასული პირითა მთვარისა მსგავსი...

ჩვენ გავიგეთ, რომ შაჰ-ნამე-ში მთვარე სილამაზის დასახატავად ხშირად არის ნახმარი — 228-ჯერ!

დედაკაცის სილამაზის საჩვენებელად მთვარე გამოყენებულია **153-ჯერ**, ხოლო **მამაკაცის** სილამაზის დასახატავად მხოლოდ **75-ჯერ**!

აქედან თავისთავად დასკვნას ვღებულობთ: — შაკ-ნამეში დედაკაცი უფრო ხშირად მთვარეს შეედარება, ვიდრე მზეს. (ვეფხისტყაოსანში — წინაუკმოდ!).

თუ ამ საგულისხმო მოვლენას შაკნამეში, ვეფხისტყაოსანის ამავე მოვლენას შევადარებთ, ვნახავთ, რომ მათ შორის დიდი არის განსხვავება: — ვეფხისტყაოსანში მთვარეს უმნიშვნელო ადგილი უკავია: — სილამაზის აღსანიშნავად ვტნში მთვარე გამოყენებულია მხოლოდ 38-ჯერ! აქედან — თინათინია მთვარე — 6-ჯერ; ნესტანი — 22-ჯერ; ავთანდილი — 8-ჯერ; ტარიელი — 6-ჯერ; ტარიელ-ფრიდონ-ავთანდილ — 2-ჯერ.

ამგვარად, შაკ-ნამეში მთვარე სილამაზის აღსანიშნავად ნახმარია 228-ჯერ.

ვეფხისტყაოსანში მთვარე სილამაზის საჩვენებლად გამოყენებულია 38-ჯერ.

მაშასადამე, შაკ-ნამეში ფირდაუსი მიმართავს მთვარეს სილამაზის დასახატავად ექვსჯერ უფრო მეტად, ვიდრე ამას შვრება შოთა რუსთაველი.

(იქნებ გამოანგარიშებაში ცოტათი ვცდები, მაგრამ ეს შეცდომა არ შეიძლება იყოს უხეში, რომ ამით წარმოდგენა არსებითად შეიცვალოს).

აქედან ერთი დასკვნაა: — შაკ-ნამეში ბატონობს მთვარე ვითარცა სილამაზის გამომსახველი. (ვეფხისტყაოსანში ასეთი არის — მზე).

არ უნდა დავივიწყოთ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: შაკ-ნამეში ითვლება 60.000 დისტიკი (დისტიხონ — ორტაეპოვანი) ანუ 120.000 სტრიქონი ანუ ლექსი, რომელიც თავისი სიდიდით ჰომეროსის ილიადა-სა და ოდისეა-ს ერთად სჭარბობს ¹⁰⁴., ვეფხისტყაოსანში კი მხოლოდ 6676 ლექსია.

ამ ანგარიშის მიხედვით, შაკ-ნამეში დაახლოებით თითოეულ 526 სტრიქონზე მთვარე სილამაზის დასახატავად მოხსენებულია ერთჯერ, — ვეფხისტყაოსანში კი დაახლოებით თითოეულ 175 სტრიქონზე, ანუ ლექსზე. მაშ, ვტნში მთვარე სილამაზის წარმოსადგენად სამჯერ უფრო ხშირად არის გამოყენებული, ვიდრე ეს არის შაკ-ნამეში.

აქედან თავისთავადი დასკვნა გვეძლევა: —

ვეფხისტყაოსანში პოეტურად ჩვენება მთვარისა ადამიანის სილამაზის დასახატავად უფრო ხშირია, ვიდრე შაკ-ნამეში. მაშასადამე: ამ მხრივ ვეფხისტყაოსანის პოეტიკა შაკ-ნამისას სჭარბობს.

* *
*

ნიზამის (1141/45 — 1203/11) თავის პოემაში ”ხოსროვ და შირინ” ხშირად ”მზეს” სცვლის ”მთვარე”. მთვარე პირველად შედარებულია მარჩიელთან; შემდეგ — ლამაზი ასული (ჰური), და მისი წოდებაა: ახალი მთვარე; შირინი არის ტკბილი მთვარე; იგი

იმარჯვებს მთვარეზე; მისი მთვარისებური პირი მამაკაცთ აგიჟებს, გულთ ატყვევებს, ასეთია ასული შირინი, რომელს მოახლედ ჰყავს სამოცდაათი ასული, ყველა ლამაზი ვითარცა მთვარე; მათ მთვარებრივ პირთაგან მთელი ქვეყანა აღტაცებულია; ასული შირინი ნადირობს — შვენიერი, უკადრი, და მისი პირი არის მთვარე; მან, მთვარის პირმა მოისმინა; მთვარე იგი — მან მოხიბლა; მან დასტოვა მთვარე; მთვარე იყო მარტოდ; ნათელო მთვარეო! შენ — მთვარე; ვინ მოსთვალოს შენი სილამაზე; შირინ — მთვარე; შირინ — მნათობი მთვარე...

ასულთა გარდა მამაკაცნიც არიან მთვარე; ხოსროვ — მთვარე; ო, მთვარენო, მიესალმენით მას (ასულს შირინსო); შირინი მთვარის პირისაა; როდის იქმნება ჩემი ეს პირი მთვარისა? ეს მთვარე ასული შირინია და მისი შედარება მთვარესთან ზედიზედ განმეორებულია 84-ჯერ. მზესთან შედარებით ნიზამის ამ პოემაში მთვარე უფრო ხშირად არის გამოყენებული ვიდრე მზე. ¹⁰⁵.

* *
*

ნიზამის მეორე პოემაში ”ლეილა და მეჯნუნ”, კეისი შედარებულია მთვარესთან — ვით მთვარის ნამგალი, ჩავარდნილი აკვანში; თითქო სინათლე მისგან გამოდის; თვით ლეილა, წარმტაცი ასული, შვენიერია ვით მთვარე; ლეილა არის მთვარე; და მგოსანი მეჯნუნი გალობს — ვარსკვლავო ჩემო, ახალო მთვარეე! მე იმიტომ ვარ სნეული, რომ მიყვარხარ შენ ერთი, შენ, ჩემო მთვარე|... და ასე ლეილას სილამაზე დახატულია მთვარის სილამაზით კიდევ ხუთჯერ.

ნიზამის პოემაში ”შვიდი ლამაზი ასული” — შაჰის მონა-ქალი ფიტრა არის სილამაზით მთვარისა სწორი; იგი არის მთვარე; იგი არის ზაფხულის მთვარე; იგი არის ორი კვირის მთვარე; შაჰის შერიგება მასთან არის ქორწინება მთვარესთან; ზღაპრული სამოთხის ასული მთვარეა; ვიტყოდი, მთვარე ციდან ჩამოსულაო და მის გარშემო ას-ასობით ვარსკვლავნი ბრწყინავდნენო... და იგივე შედარება განმეორებულია აქ არა ერთჯერ... მოგცემ მოახლეს, რომელი არს ვითარცა მთვარე სავსე; სლავიანი ლამაზი ასული ბრწყინავს როგორც მთვარე. ზღაპარის ასულიც პირით ნათელი მთვარეა; პირით მთვარისა. მალრიბელი ასულის ზღაპარშიც ქალი მთვარესთანაა შედარებული: მიჰანი მივიდა მთვარესთან, რომელი მას ელოდა; მაჰანისათვის ასჯერ უფრო ძვირფასია იგი ასული მთვარე. რუმეელი ასულიც მთვარეა. და ვაჟიც მთვარის პირასაა.

ნიზამის პოემაში ”ესკანდერ ნამე”, ალექსანდრე მაკედონელის დედაზე ნათქვამია — ნათობდა ვითარცა მთვარე ღამის ცაზე! ადერბაგანის მეფე-ქალი ნუშაზე არის პირით მთვარე; მისი მოახლენი ბრწყინავენ ვით მზე და მთვარე ღამური; დედოფალი არის მთვარე, ნათელი და სავსე... და სხვა.

ისე ვით ფირდაუსის შაჰ-ნამეში ნიზამის პოემებშიც, როგორც ვნახეთ, მთვარე უფრო ხშირად იხსენება სილამაზისა და ბრწყინვალეების დასასურათებელად ვიდრე მზე.

* *
*

ამგვარად, შეიძლება საერთო დასკვნას დავადგეთ:

სპარსულ - არაბულ მწერლობაში მთვარეს ეძლევა უპირატესობა, ხოლო ქართულ მწერლობაში მთვარეს მცირე მნიშვნელობა ენიჭება. სპარსულ-არაბულ მწერლობაში ბატონობს მთვარე; ქართულ მწერლობაში კი მთვარეს მეორე ადგილი უკავია. ვეფხისტყაოსანის ტახტზე ბრძანდება — მზე!

თავი 3. გველი და მთვარე

ა). გველი საერთოდ

გველი, ხალხთა წარმოდგენაში ძველადაც და ახლაც გამოუცნობი, უცნაური და საოცარი ძალის მქონე ქვეწარმავალია. ხალხური რწმენით, გველში ჩაბუდებულია არაჩვეულებრივი დემონური ძალა და შხამი; მისი თვალი ავია, ცუდი, მლალავი და მტაცებელი და სხვა. გველის წინაშე შიშის ნიადაგზე გველის თაყვანება წარმოიშვა, რომელი უწინარესად თითქმის ყველგან იყო გავრცელებული; და ამ თაყვანებასთან ერთად დაიბადა გველის ძლიერება და ძალაუფლება და შეიქმნა მითოლოგიური გველი.

თითქმის ყველა თქმულების მიხედვით, ყველგან ქვეყნის წარმოშობა-შექმნის დროს გველი ერთ გვარ მოქმედებას ეწევა და ამ ქვეყნიერობის დაბადებაში მონაწილეობას ღებულობს. ყველა ამ თქმულებაში, რომელი მსოფლიოს შექმნას, ანუ კოსმოგონიას, დაბადებას ეხება, გველი და გველეშაპი მითოლოგიურად ერთი და იგივე არის, ერთნაირი და თანაბარი. ¹⁰⁶.

ასე რწამდათ ძველ ბაბილონში, ეგვიპტეში, საბერძნეთში და სხვაგანაც.

ჩრდილოეთ ბაბილონში, ნიპურ-ში, კოსმოგონიის ანუ მსოფლის შექმნის მოძღვრებაში მთავარი მნიშვნელობა ტიამატ-ს მიეწერებოდა. ტიამატ იყო დრაგონი ანუ გველეშაპი ქაოსის ქვესკნელ წყალთა, საიდანაც შემდეგ მთანი და ხმელნი ამოიწივნენ; ღმერთმა მარდუკმა (მზემ!) საშინელ ბრძოლაში ეს ტიამატი გააპო და ერთი მისი ნახევარისაგან მან შექმნა ცა, ხოლო მეორესაგან — ხმელეთი. მაგრამ ქაოსის ნაშთი მაინც არსებობს იქ, წყვდიადში, და იგი გველეშაპს და მასთან ერთად ღამის დემონებს უჭირავთ. ¹⁰⁷.

გველის წინააღმდეგ ბრძოლა გმირული ბრძოლაა და გმირები ხალხთა მხსნელები არიან: უმთავრესად ღმერთები და მეფეები. ასურეთში ღმერთი ანშარ დრაგონს ანუ გველეშაპს სპობს. მეფე ასურ-ბანიპალ გველეშაპს ებრძოდა და მოჰკლა იგი. ამ გამარჯვებას ყოველ ახალ წელს დღეობენ (მზის გამარჯვება!); ახალწლობა ხომ მარდუკის ანუ გაზაფხულის მზის-ღმერთის დღე იყო! ¹⁰⁸.

სუმერულ ნაწერებში გველი მოიხსენება აგრეთვე ღვთიურ ბატონად მკურნალისა — ნინაპუ, მის შვილთან ერთად — ნინგიძიდა. ამ უკანასკნელის სიმბოლო არის ჯოხი, კვერთხი, რომელზე გველის ტანია შემოხვეული. ეს კვერთხი ვით ჰერმეს - მერკურიუსის კვერთხი გადავიდა ელინნიზმში და იქედან ევროპაში. იმ შორეული ხანიდან დაწყებული დღემდე, ყველა აქიმი, ანუ მკურნალი გველის ნიშანს როგორც მკურნალობის სიმბოლოს ატარებს.⁷⁹

ხეთთა ხალხი მრავალ თავიან გველეშაპს პატივსა სცემდა და ათაყვანებდა.

ძველ ირანში, ახაემენიდთა ხანაში მეფე წარმოდგენილია გველეშაპთან მეზრძოლად.

ინდოეთში, საღმრთო წიგნში რიგვედა მოთხრობილია ღმერთი ინდრასა და გველეშაპის ბრძოლის შესახებ. ამ ომში ინდრა იმარჯვებს.

ჩინელთა წარმოდგენით მთელი მსოფლიო ოთხ მხარედ იყოფა; ჩრდილოეთის ნიშანია — კუ, ან შავი მეომარი; აღმოსავლეთისა — ლურჯი ვეშაპი; სამხრეთისა — წითელი ფრინველი; დასავლეთისა — თეთრი ვეფხი. ჩინური ლურჯი ვეშაპი შეიცავს შემდეგ ვარსკვლავებებს ანუ ზოდიაკოებს: ქალწული, სასწორი, ღრიანკალი. ეს იყო წელიწადის დამდეგი და იქ იყო დღეობა, როდესაც ჩინელები, ვეშაპებით მორთული დროშებით და ჭრელ სამოსელში გამოწყობილნი, ოქროს შუბზე წამოგებული ვეშაპის სახით, სასახლის წმიდა ადგილებისაკენ საზეიმო მსვლელობაში მონაწილეობას ღებულობდნენ.¹⁰⁹

ჩინური წარმოდგენა ამ ციურ ვეშაპზე სავსებით განსხვავდება დასავლეთ-აზიური და ევროპიული შეხედულებისაგან. ჩინურ ციურ ვეშაპს არავითარი ფრთები არ აქვს, მაგრამ იგია სხვილი გველი, და მას არა აქვს ნათესავობა არც სატანასთან, როგორც იგი დახატულია იოანეს სახარებაში; და არც წმიდა გიორგის ბრძოლაში დახატულ ვეშაპთან. სრულიად წინაუკმოდ. როცა ვეშაპის თავი, ანუ ის ვარსკვლავთა გუნდი, რომელსაც ეს ვეშაპი გამოხატავს, ცაზე გამოჩნდება, მაშინ იწყება ჩინური გაზაფხული და მასთან ერთად შემოქმედ ძალთა აღორძინებაც და ბუნების განაყოფიერება. ეს ვეშაპი არის დრაგონი, რომელიც ცაშია და მისი წარმომადგენელი კი ამ ქვეყანაზე არის ჩინეთის იმპერატორი, ანუ მიწიერი დრაგონი — ვეშაპი.¹¹⁰

ეს დრაგონი დაკავშირებულია აგრეთვე წყალთან და წვიმასთან და მითოლოგიურად იგი ბაბილონურ დრაგონთან ნათესავობაშია.

კონფუციუსის (521 — 478) სახელმწიფოებრივ რელიგიაში ჩამოთვლილნი არიან ღმერთდამი შესაწირავნი, და მესამე განყოფილებაში მოხსენებულია: მანდარინებმა (უმაღლესმა მოხელეებმა) ღმერთებს რა და რა მსხვერპლი უნდა შესწირონო. მეცხრე ადგილზე არიან დრაგონები, ღმერთები წყალთა და წვიმათა, რომელთათვის სატახტო ქალაქ პეკინთან, გარეთუბანში ტაძარი არსებობდა.¹¹¹ იაპონიაში დრაგონი მავნეა და მას ჰკლავს ეროვნული გმირი სუსანი, რომლის ხრმალს იაპონიის იმპერატორი თავისი ძლიერების ნიშნად ატარებს.

ეგვიპტური კოსმოგონიით, უწინარესი ღმერთი და შემოქმედი არის გველი-ღმერთი.¹¹² ეგვიპტეში მზე-ღმერთის გამოხატულებას: რგოლს, ბორბალს არტყია გველი და

ასე ადგია ეს სიმბოლო მზე-ღმერთს თავზე. ფარაოს თავზე დადგმული მზის რგოლი შემორტყმულია ორი გველის გამოხატულებით, და მეფის შუბლს აშვენებს აგრეთვე გველის სურათი, რომელი მეფის მტერთა წინააღმდეგ ცეცხლს აფრქვევს... ეგვიპტეში გველი ითვლებოდა აგრეთვე მკვდართა დამცველად, ვინაიდან გველი, ხალხის რწმენით, ქვესკნელს პყრობს.

ებრაელთა კოსმოგონით, ქვეყნის წარმოშობაში გველს ერთგვარი მონაწილეობა აქვს მიღებული. იობის წიგნით, უცნაურნი ცხოველნი მონაწილეობენ ღმერთთან ერთად ქვეყნის შექმნაში — 1 რაჰაზ, რომელი ზღვასთან, და 2. მფრინავი გველი, რომელი ცასთანაა დაკავშირებული. მას შემდეგ რაც ღმერთმა დაამხო ამ გველთა ძალა, მან შექმნა ეს ქვეყანა.

ესაიას წინასწარმეტყველებაში სამ უცნაურ ცხოველს ვხვდებით: 1. ლევიათან, მფრინავი გველი, და იგი ჰგავს იობის მიერ აღწერილ გველს, რომელი ცათა სფეროში ცხოვრობს და მზისა და მთვარის დაბნელებას იწვევს, 2. ლევიათან, კუზიანი თუ მოკუნტული გველი, რომელი დედამიწის გარშემო არსებულ ზღვაშია, და 3. დრაკონ, გველეშაპი, რომელი თვით ზღვის სიღრმეშია. ¹¹³.

ძველს ირანში, ზარათუშტრასა და მაზდეანიზმის რელიგიაში ორი მთავარი დებულებაა დამყარებული: 1. კეთილი და 2. ბოროტი. ამის მიხედვით ნაწილდება ყველაფერი, მთელი ქვეყანა და ცხოველები. კეთილმა ღმერთმა შექმნა კეთილი გველები, ხოლო ბოროტმა ღმერთმა შექმნა ბოროტი გველები. მან შექმნა აძი-დაჰაკა, სამ - თავიანი და მეტად ძლიერი... ფირდაუსის შაჰ-ნამეში აძი-დაჰაკა არის არაბი მეფე, რომელ დრაგონისებური სახე აქვს და მხრებზე ორი გველი, ეშმაკის ანუ იბლისის კოცნის ნაყოფი. ¹¹⁴.

ეს ირანული გველი აძი-დაჰაკა, ანუ აზი-დაჰაკა სომხეთის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობითაა აღჭურვილი. მოსე ხორენელი ამბობს — აძი-დაჰაკა სომხურად ვეშაპი არისო. ეს სიტყვა "ვიშაპ", ანანაკიანის აზრით, არის ძველი სპარსული საღმრთო წიგნიდან "ავესტა" ნასესხებო. აჰაქს ლეგომენონ ვიშაპა, ანუ: რომლის ნერწყვი არის შხამი, რაც ზედსართავია გველისათვის "აძი", "ნირანგა სტან"-შიო. ო. ეზნიკი ამბობსო: ვეშაპები არიან გველები და მათ ადამიანებად გარდაქცევა და ფრენაც შეუძლიათო. ¹¹⁵.

და მართლაც, "ავესტა"-ში სიტყვა "ვიშ", "ვიშა" ნიშნავს: გესლი, შხამი, ხოლო სიტყვა "ვიშოვაეპა", "ვიშა", "ვიშ" ნიშნავს: "რომელი შხამს, გესლს ისვრის". აქედანაა წარმოშობილი ქართული სიტყვაც "ვეშაპი". ⁹.

მაშასადამე, ძველ სომხურ ენაზე სიტყვა ვეშაპი (ვიშაპი) გამოხატავს გველს და ეს სიტყვა ნასესხებია ძველი ბაქტრიულიდან. ამ გველს-ვიშაპს ქართულად ეწოდება: ვეშაპი, ანუ გველეშაპი. ქართული ვეშაპი ან სომხური ვიშაპისაგან, ან პირდაპირ ირანულ-ბაქტრიულიდან არის გადმოღებული. არსებითად კი, სიტყვა "ვიშა" არის სანსკრიტული. ¹¹⁵.

ვეშაპი ბერძნულად არის დრაკონ, დრაკონტოს. აქედან ეს სიტყვა რომის გზით (დრაკო) გადასულია ევროპიულ ენებში.

ბერძნული ეროვნული გმირები: იასონ, პერსეოს, კადმოს დრაგონთა ანუ ვეშაპთა მკვლელნი იყვნენ.

დრაგონი იცავდა კოლხეთში ოქროს ვერძს, და მედეამ თავისი შვენიერი, წარმტაცი ხმით იგი მოხიბლა, მოაშინაურა, და იასონს ასეთი მოხერხებით ოქროს ვერძი მოატაცებინა...

ბერძენთა ეროვნულმა გმირმა პელეოსმა დრაგონი მოჰკლა. და აპოლომაც... ისტორიკოს ჰეროდოტეს სჯეროდა: მფრინავი დრაგონები არაბეთში ბუდობენო... საბერძნეთიდან დრაგონის შესახები რწმენა რომში გავრცელდა, მაგრამ, — შენიშნავს ვ. თომას, ჩვეულებრივ, თუმცა დრაგონის შესახებ რწმენას აღმოსავლეთის აზიის ხალხებს მიაწერენ, მაინც იგი არც ევროპაში იყო უცნობიო. დრაგონს ანუ გველეშაპს იცნობდნენ ევროპაში არა მარტო წმიდა გიორგის შესახები თქმულებით, არამედ "მაგინოგიონ"-ში, და აგრეთვე თქმულებას დრაგონზე, და ისეთ დრაგონზე, რომელს ძალაის კუნძულებზე ვეცნობითო. ევროპიულ ხალხურ თქმულებებში ძალიან ხშირია დრაგონი და ბევრგან ადგილობრივი დრაგონიც არისო. გერმანული მითოლოგია სავსეა დრაგონთა შესახები ამბებითო. ¹¹⁵. გვ. 513. ძველი გერმანული წარმოდგენა დრაგონზე მოდის საბერძნეთიდან რომის გზით და შემდეგ მაგრდება ქრისტიანობის გავრცელებითო, — ამბობს მაკენზენი. ¹¹⁶.

გმირი ბეოვულ მფრინავ დრაგონსა ჰკლავს. გმირნი: ზიგფრიდი, ლიტრიჰ ფონ ბერნ, რაგნარ ლოთბროკ გმირულ ხანაში, — და ვილაგუა, ტრისტან, ფროტო, ფრიდლერ რაინდულ ხანაში, დრაგონთა მკვლელნი არიან; დრაგონი მოჰკლა ინგლისელმაც: სერ ლენსელო-მ; კელტური, სლავური მითოლოგია სავსეა დრაგონთა შესახები თქმულებებით.

დრაგონს ანუ გველეშაპს, გველს და მასთან გაიგივებულ სატანას, დემონს, ეშმაკს ღირსმნიშვნელოვანი ადგილი უკავია დამუშავებულ და დადენილ მსოფლიო რელიგიებში... ძველი ირანული და ბაბილონური შეხედულება გველზე გადასული არის ბიბლიაში და აქედან ქრისტიანობაში და ისლამში. გამოცხადებაში (აპოკალიპსის) აღწერილია დრაგონთა ბრძოლა, სადაც დრაგონი არის გველი, სატანა, ეშმაკი, დემონი. ისინი იქ გაიგივებულნი არიან.

სამოთხეში გველი არის სატანის გამოხატულება. წინასწარმეტყველი დანიელი ბაბილონურ დრაგონსა ჰკლავს. იობის წიგნში აღწერილ დრაგონს პირიდან და ცხვირიდან ამოჰქრის ცეცხლი და კვამლი. დრაგონს საჭურველი პირს არ კიდებს, იგი არ იკოდება; იგი აზვირთებს წყალს ზღვებში; ანათებს გზებს, სადაც გაივლის; მისი გვამი ჯავშნიანია, მაგარი, უხეხელი კანით დაცული...

ქრისტიანულ ეკლესიას დრაგონი მიაჩნია სატანად; მას ებრძვიან: მთავარანგელოზმა მიქელმა დაამარცხა დრაგონი. განთქმული წმიდა გიორგი დრაგონს ანუ გველეშაპსა ჰკლავს. წმიდანები — კონსტანტინე, დიმიტრი, თეოდორე, ბეატუს, მანგოლდ, ადელფუს, ლუპუს, მაგნუს ნარცის, ულრიჰ, გეჰარდტ, ზერვან, ნიკოლოზ, პროკოფ, კლემენს, ურჟენ არმელ, რომენ და სხვანი კიდევ გველეშაპებთან მებრძოლნი და მათი მომკვლელნი არიან. ჟაკ დე ვორაჟინ (ეპისკოპოსი, 1230 — 1298) მის მიერ შეკრებილ

თქმულებებში (ლეგენდა აურეა) მაშინდელ წარმოდგენას გველემაპზე იძლევა და, სხვათა შორის, სწერს — დრაგონმა ისე მოწამლა ჰაერი, რომ ყველა იქ მყოფი სნეულად დავარდაო... ასე ცოცხლად წარმოედგინათ გველემაპი მეცამეტე საუკუნის ევროპაში. ¹¹⁷.

გველემაპთან მებრძოლ წმიდანთა ხატი ბევრია, როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ეკლესიაში, და განსაკუთრებით საქართველოში, სადაც წმიდა გიორგის ხატი ყველა ეკლესიის კუთვნილებას შეადგენს.

ქართული ზღაპარი სავსეა გველემაპებით; მაგრამ ამას გარდა, ქართულ საღმრთისმეტყველო მწერლობაშიც არა ერთხელ გვხვდება ვემაპი თუ გველემაპი. მაგალითად, დავით გარესჯელის ცხოვრებაში (მეათე საუკუნის თხზულება) — ”რომელსა შინა იმყოფებოდა ვემაპი დიდი და საზარელი, რომელსა ესხნეს თუაღნი ცეცხლის ფერნი და რქაჲ იყო შუბლსა და ფაჩარი ფრიად ქედსა მისსა”... ⁴². გვ. 164.

ბ) მთვარისა და მზის დაბნელებელნი

როგორც გავიცანით, გველს, გველემაპს, ვემაპს, დრაგონს, დრაკონს, დრახეს და სხვა ამგვარ სახელიან გველებს და მათთან გაიგივებულ სატანას, დემონს, ეშმაკს, იზლისს ყველა რელიგიაში დიდი ადგილი უკავიათ. ამ მავნე, ცუდი და ბოროტი არსების დანიშნულებაა კეთილისა და კარგის წინააღმდეგ ბრძოლა. ყველა ხალხურ და დამუშავებულ რელიგიაში ამ ბოროტ არსებებს ბოროტი ამოცანა აქვთ დაკისრებული. და ვინაიდან მზე და მთვარე კეთილით აღსავსე არსებანი არიან, ამიტომ მათ წინააღმდეგ ბრძოლაში სწორედ ეს ბოროტნი არსებანი იმყოფებიან. ამ რწმენათა მიმოხილვა გვაჩვენებს, რომ გველსა, გველემაპსა, ანუ დრაგონზე თქმულებანი თითქმის მთელს მსოფლიოში არიან გავრცელებულნი და ისინი ერთ რომელიმე განსაკუთრებულ მხარეს არ ეკუთვნიან. მაშასადამე, ის ცალმხრივი შეხედულება, თითქო გველის საკითხი შუა, ან აღმოსავლეთ აზიას მიეკუთვნებოდეს, სრულიად რიოშია.

* *
*

მთელს აზიაში საერთოდ გავრცელებულია ის რწმენა, რომ მზისა და მთვარის დაბნელებას ახდენს, იწვევს ან ადამიანური დემონი, ან პირუტყვი არსება: გველემაპი, გველი. ინდოეთის კულტურაში საამისო შეხედულება შეტანილია როგორც რელიგიაში (ბუდთიზმი), ისე მწერლობაში. ”რიგვედთა” არის უძველესი ინდური საღმრთო წიგნი, 1017 საგალობელით, რომელთა წარმოშობა იწყება მესამე ათასეულ წლებში და რომელიც დაწერილია ძველს, სანსკრიტულ ენაზე. ამ შესანიშნავ ნაწარმოებში მზის, ან მთვარის დაბნელების შესახებ ხშირად არაა ლაპარაკი; მაგრამ ეს მოვლენა მაინც აღნიშნულია, და დემონს, რომელიც ხან და ხან მზეს სჯობნის და მას აბნელებს, ჰქვია სვარბჰანუ.

მთვარისა და მზის დაბნელებას ეხება აგრეთვე ”ათარვა ვედთა”. ათარვა ვედთა, ანუ ბრაჰმა ვედთა, მეოთხე ნაწილი ვედთასი, შეიცავს ჯადოსნურ თქმათ და შელოცვებს. უფრო დაწვრილებით მზე და მთვარის დაბნელებას ეხება ”ვიშნუ პურანა” (ვიშნუ

არის ღმერთი, რომელიც ბრაჰმა და სივასთან ერთად ინდური სარწმუნოების სამეზას ეკუთვნის). ვიშნუ პურანა არის კოსმოლოგიური და თეოლოგიური ეპოსი, რომლის უმაღლესი განვითარება მოხდა მე-8 — 13 საუკუნეში. ვიშნუ პურანაში სურიას (მზე) და სანდრას (მთვარე) მისდევს რაჰუ და კეტუ (ღმრთის მიერ დასჯილი დიდი კაცის თავი და ტანი ცალცალკე), რომელნიც მათ დაეწევინ ხოლმე და შურითა სვრიან, თხუპნიან და ასე აბნელებენ მათ.

ინდოეთის ხალხური შეხედულებით კი რაჰუ მზესა და მთვარეს ჰყლაპავს, შთანთქმავს. ასეთივე რწმენაა გამოთქმული "სომადევა"-ში და "მაჰაბჰარატა"-ში (ძველ ინდურ ეპოსში). სხვა შეხედულებით კი, რაც "ვიშნუ პურანა"-ს კოსმოლოგიიდან მოდის, არსებობდა უზარმაზარი კაცი, რომელსაც ვიშნუმ თავი მოჰკვეთა, და ამას შემდეგ, ამ დასჯილი კაცის ორი ნაწილი, — თავი და ტანი, გველებად (ნაგუ) გარდაიქცნენ. ერთი მათგანი იყო შავი ფერისა (ირაკუ) და მეორე კი წითელი (კვატუ). ბოროტებით აღსავსენი და შურისძიებით შეპყრობილნი, ისინი დაეწევინ ხოლმე მზესა და მთვარეს და აბნელებენ მათ. აქ ვხვდებით მზისა და მთვარის დაბნელებას გველთა მიერ. ამ დაბნელებისას მთელი ხალხი გამოდის გარედ, ცემა-რაზუნით, ყვირილითა და ყიჟინით ყველანი ცდილობენ ეს გველები დააშინონ და მათ მზე ან მთვარე პირიდან გააგდებინონ. ეს ბრაჰმანული მითოსი მზე და მთვარის დაბნელების შესახებ შეითვისა ბუდთიზმმა და მასთან ერთად აღმოსავლეთისა და სამხრეთის ხალხშიც გავრცელდა იგი.. აქ იგი ადგილობრივ წარმოდგენას შეერია, რომლის მიხედვით დაბნელება ხდება გადაყლაპვის ანუ შთანთქმის საშუალებით. ამ უბედურების თვეში, ცხადია, აკრძალულია ქორწინება, სახლის აშენება და სხვა. ინდოელი სწავლული, მეშვიდე საუკუნეში, ბრაჰმაგუპტა ამტკიცებდა: დაბნელება გველის მსგავსი თავით ხდებაო. ეს ნაწარმოები მალე არაბულადაც გადაითარგმნა.

* *
*

ჩინელები მზისა და მთვარის დაბნელებას ეძახიან: ში-ში (სოლის დევორაცია) ანუ მზის შთანთქმა. ხოლო მთვარის დაბნელებას: იუში (ლუნაე დევორაცია), ანუ მთვარის შთანთქმა. მზისა და მთვარის მშთანთქმელნი არიან დრაგონნი ანუ გველეშაპნი. ასტრონომიული გამოანგარიშების შედეგად, დაბნელებამდე ექვსი თვით ადრე ჩინეთის იმპერატორის მესამე მოხელე უგზავნიდა ყველა უფროს მოხელეს მთელს იმპერიაში განსაკუთრებულ მიწერილობას: ამა და ამ დღეს მოხდება დაბნელება და "დაიხსენით მზე"-ო. ყველა მოხელე დ მთელი ხალხი შეიკრიბებოდა სამეფო დაწესებულებათა წინ; აქ აღმართავდნენ საკურთხეველს, რომელზე საკმეველს აკმევდნენ ხოლმე; გლოვის ნიშნად მოხელეებს ეცვათ შავი სამოსელი; დაარტყამდნენ სამჯერ დაფაზე და მთელი ხალხი ძირს დაემხობოდა: დაფაზე, ფიცარზე, ქვაბზე და ყოველ გვარ სარტყმევ-საცემზე ასტყდებოდა მთელს სახელმწიფოში ცემა, საშინელი ხმაურობა და მთელი ხალხის ყვირილი იმ მიზნით, რომ გველეშაპი შეეშინებინათ და პირიდან მზე გაეგდებინებინათ. კორეაში ბოლო დროს ამ მიზნით ზარბაზნებსაც კი ესროდნენ ხოლმე მნათობთა მშთანთქმელ გველს. ¹¹⁸. ჩინელი ხალხის რწმენით, თუ მეფე ცუდია, ამას ღმერთი აჩვენებს სხვა და სხვა გამოცხადებით და აგრეთვე მზის დაბნელებით. 775 წელს, ქრისტეს წინ, დაწერილ კანონში აღწერილია მზის დაბნელება, რაც სახელმწიფოს ცუდი მართვის მაჩვენებელია, და ამასთანავე ნათქვამია: მაგრამ ახლა მზე დაბნელდა, რა

საშინელებაა ეს! მეორე ნაწერში, ქრისტეს წინ 610 წელს, ნათქვამია: — პრინციბმა უნდა შესწირონ ქვეყნის სულთ აბრეშუმი და თავის ეზოში ცემა-რტყმევა-ხმაურობა ასტეხონ დაბნელებული მნათობის განსათავისუფლებელადო. ¹¹⁹.

* *
*

წყნარი ოკეანის კუნძულთა მცხოვრებნიც მზის და მთვარის დაბნელებას გველს მიაწერენ. ამიტომ დაბნელებას ჰქვია, მაგალითად პატანის ენაზე: ნაგანონ, ანუ გველი ჰყლაპავს. ¹¹⁸.

ბაბილონურ - ასირიული შეხედულებით, მთვარე გველეშაპთან ბრძოლაშია. როგორც ბნელი ძალები, ანუ გველეშაპები, საკალენდარო მითოსში გამოყვანილი არის შვიდი ბოროტი სული, რომელი გაზაფხულის ახალ მთვარეს აწუხებს და რომელს გაზაფხულის მზე (მარდუკ) ამარცხებს. მეორე შეხედულებით, მთვარეს შთანთქავს მზე სამი დღით (ეს ის სამი დღეა, როდესაც მთვარე არა ჩანს თვეში). მესამე შეხედულებით, მთვარეს ეფარება შავი დაფა. მეოთხე შეხედულებით, დაბნელებას იწვევს გველეშაპი და ამიტომ ამ დროს ეწოდება: — გველეშაპის დრო. რომ მთვარე გველეშაპის წინააღმდეგ მებრძოლია, ამას ადასტურებს ის საჭურველი, რომელს მთვარეს მიაკუთვნებენ: ნამგალისებური ხრმალი! ზემოდ აღნიშნული ის შვიდი სული, რომელთა მთვარის დაბნელება მიეწერებათ, წარმოდგენილნი არიან ვით გველეშაპნი. ⁷⁹. გვ. 361.

* *
*

ისრაელთა რწმენით, მზისა და მთვარის დაბნელება უფალი იეჰოვას (იაჰვე) საქმეა, მაგრამ ესაიას წიგნში არის აგრეთვე ნათქვამი — გველეშაპი, რომელი სამყაროს ზემოთ გადადმა ზღვებში ცხოვრობს, მზისა და მთვარის დაბნელებას იწვევსო.

* *
*

ძველ ბერძენთა შეხედულებით, მთვარისა და მზის დაბნელება დემონებს მიეწერება. საშინელი ხმაურობის ატეხით იქაც სურდათ დემონები გაერეკათ და ამგვარად მნათობნი გადაერჩინათ.

* *
*

რომში დაბნელების დრო მთელი ხალხი სპილენძის ქვაბს, რკინის ჭურჭელთ, დაფასა და ფიცრებს არახუნებდნენ. ეს წესი ქალაქ ტურინოში დიდ ხანს შემორჩა. ¹²⁰.

* *

*

შუა საუკუნეთა ევროპაში დაბნელებულ მთვარეს მთელი ხალხი შესძახოდა — ვინცე ლუნა! გაიმარჯვე მთვარე! 1844 წელს, — მოგვითხრობს ლუდვიგ როსს, — ერთ კუნძულზე როდოსთან, მთვარის დაბნელებისას ხალხმა შემადრწუნებელი და სასოწარკვეთილი ხმაურობა ასტეხა, სროლაც დიდი იყო და ხალხი, დიდპატარაიანად, მღვდლების წინამძღვრობით, ეკლესიისაკენ სწრაფად გაეშურაო.¹²¹.

* *

*

დაბნელების შემთხვევაში კელტთა ხალხები დიდად ჰყვიროდნენ. ფრანგულ-გერმანულ-სკანდინავური წარმოდგენით, მზეს ან მთვარეს შთასანთქმელად ორი მგელი მისდევს, მაგრამ მათ ყვირილითა და რახუნით განდევნიან. საერთოდ მიღებული შეხედულებით კი, დაბნელება განიხილება გველის, გველეშაპის ცდის შედეგად, რომელსაც სურს მთვარე ან მზე ჩაყლაპოს.¹¹³ გვერდი 408.

ამ შეხედულებასთან გადაბმულ მოქმედებათა მიზეზი ის არის, რომ ხალხთა წარმოდგენით, მზის ან მთვარის დაბნელებას თან ქვეყნიერების დასასრული მოჰყვება და ამიტომ ხალხმა გველეშაპი უნდა გააძევოს, რათა ამით ქვეყანა და თავისი თავი გადაარჩინოს.

* *

*

როგორც ვნახეთ, გველეშაპის, ანუ გველისა და მზე-მთვარის ურთიერთობა დაბნელების საკითხში მთელი მაშინდელი მსოფლიოს რწმენაშია აღიარებული და დამტკიცებული. საიდან წარმოსდგა ეს რწმენა, ამ საკითხს ეხება თავის საინტერესო თხუზულებაში — ”მსოფლიოთა დაჯახებანი” ამერიკელი მეცნიერი ემანუელ ველიკოვსკი და ამბობს: მთელს მსოფლიოში დიდად მნიშვნელოვანი ღირსების არის გველეშაპი: — ხალხთა ხელოვნებაში, მწერლობაში, რელიგიაში. ალბათ არ არსებობს არც ერთი ხალხი, რომელი ამ სიმბოლოს, ანუ უცნაურ ცხოველს ფრიად მნიშვნელოვან მოტივად არა ხმარობდეს, თუმცა ეს გველეშაპი სინამდვილეში არ არსებობს. ზოგი მეცნიერი ფიქრობდა, გველეშაპი ვით საშინელი რაღაც ცხოველი არსებობდა და იგი მოისპოო, მან კაცობრიობაზე მეტად ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა, და ამას ვხედავთ ჩინურ დროშაზე, ანგელოზ მიქელის და წმიდა გიორგის ხატზე, ეგვიპტურ მითოლოგიაში, მექსიკანურ იეროგლიფებში, და ასირიულ ქანდაკებებზე. მაგრამ, ამ ვითომდა მოსპობილი გველეშაპის ნაშთის ძვლები არსად არავის უპოვნია. ოღონდ ეს გველეშაპი იყო... და იყო იგი ვარსკვლავი კომეტა, ფრთოსანი სხეულით, მრავალი თავით, ცეცხლიანი პირით, ცეცხლიანი კუდით... დაბნელების ამბავი არის ბრძოლა მარდუკსა და ტიამატ გველეშაპს შორის, იზისსა და სეტს, ვიშნუსა და გველს, კრიშნასა და გველს, ორმუზდსა და აპრიმანს, ზევესსა და ტიფონს შორის.. და ყველაფერი ეს დამყარებულია იმ დიდ ისტორიულ ნგრევაზე, რომელიც გამოიწვია ახალი კომეტის გამოჩენამ და დედამიწასთან მიახლოვებამ 1700

— 1500 წ.წ. ჩვენ წელთაღრიცხვამდე, და რომელმაც წარმოშვა მზისა და მთვარის დაბნელება, დედამიწის ნგრევა, წარღვნა, ცეცხლის წვიმა, სისხლის წვიმა და სხვა აფორიაქება, რამაც თითქმის მთელი კაცობრიობა იმსხვერპლა, — საშინელი ამბავი, რომელიც ბიბლიაშია აღწერილი. ეს იყო მნათობ ვენუსის დაბადება. ამ უდიდესი ნგრევის შედეგად ვენუსი, იუპიტერისაგან ნატყორცნი, კომეტისაგან წარმოიშვა, და იგი წარმოდგენილი იყო ვითარცა გველეშაპი. ”იმტარ (ვენუს), საშინელი გველეშაპი”, — სწერს მეფე ასსურბანიპალ. აქ აღნიშნული მსოფლიოს ნგრევაზეა დამყარებული მთელს მსოფლიოში გავრცელებული თქმულება მზისა და მთვარის გველეშაპის მიერ დაბნელების შესახებო, — დაასკვნის ველიკოვსკი. ⁶⁷. გვერდი 94, 95, 193, 323. არ ვიცი, რამდენად დამტკიცებულია ეს მოსაზრება, მაგრამ იგი მაინც მეტად საინტერესოა.

* *
*

მახსოვს, ბორჯომის ბაღში იყო ქვაზე გამოჭრილი გველეშაპი. მას ალბათ საყურადღებო თავგადასავალი ექნებოდა...

* *
*

ძველ მეტეოროლოგიაში, ასტროლოგიასთან დაკავშირებით, გველეშაპი ვით მშანთქმელი გამოყენებულია სიმბოლოდ დაბნელებისა და აქედან არის წარმოდგარი ცნება — გველეშაპის თავი, გველეშაპის კუდი, რომელიც ეკლიპტიკის ანუ მზის გზის იმ ორ წერტილს ეხება, სადაც მთვარე გზას გადასჭრის, და სადაც დაბნელების შემთხვევაში მთვარე უნდა იმყოფებოდეს. ამ ჟამად ამ წერტილს აღმავლობისა და დაღმავლობის კვანძებს უწოდებენ.

მზისა და მთვარის დაბნელების შესახები ცხრილი უკვე შედგენილი და ცნობილი იყო ბაბილონში ქრისტეს წინ მეექვსე საუკუნეში. ასე რომ იმ ხანად უკვე ამ დაბნელებათა გამოანგარიშება იცოდნენ და, რასაკვირველია, ბაბილონურ-ქალდეური მეცნიერება დაბნელებას გველეშაპს არ მიაწერდაო, — ამბობს აკადემიკოსი რენე ბერთელი. ⁸³. გვერდი 12.

* *
*

ძველი კოსმოგრაფიის მიხედვით, მთვარე მოძრაობს აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და მისი მსოფლიო სფერო იყოფა ოთხ ცალკეულ სფეროდ, რომელთაგან სამი ხმელეთს არტყია, მხოლოდ ერთი პატარა, — არა. პირველ სფეროს, რომელი მიწას არტყია, ეწოდება: სფერო გველეშაპის თავისა და კუდისა... მთვარის დაბნელების მიზეზი, — ამბობს ზაქარია ყაზვინელი, — არის დედამიწის შესვლა მთვარესა და მზეს შუა. როცა მთვარე გველეშაპის, ანუ დრაგონის თავისა და კუდის ორივე წერტილის ერთ წერტილშია, ან მასთან ახლოსაა, მაშინ როცა მზე ოპოზიციაში სდგას, ესე იგი, როცა სწორედ სრული მთვარეა, მაშინ მიწა მთვარესა და მზეს შუა შედის და ხდება დაბნელება... მზის დაბნელება ხდება მაშინ, როდესაც მთვარე მზესა და ჩვენს შორის იმყოფება, როცა მთვარე მზეს უახლოვდება და იმყოფება, ან ახლოსაა

დრაგონის თავისა და კუდის ორივე წერტილის ერთ-ერთ წერტილთან. მაშინ იგი მზის ქვეშ გადის და ამიტომ ხდება დაბნელებაო. ¹²².

პირველი შეხედულება: მნათობთა დაბნელება გველეშაპის მიერ, არის ასტრალმითოლოგიური, რომელიც შემდეგ გამეცნიერებულია და კოსმოგრაფიაშია შეტანილი, არა მითოლოგიურად, რასაკვირველია, არამედ მეტეოროლოგიურ საფუძველზე, ასტრონომიაში მიღებული დრაგონის თავისა და კუდის სახელით, რომელიც დაბნელების სიმბოლოდ არის გამოყვანილი.

* *
*

ვეფხისტყაოსანში ჩვენ საქმე გვექნება: ან 1. ასტრალმითოლოგიურ შეხედულებასთან, ან 2. შუა საუკუნეთა ასტრონომიასთან, ან 3. ორივესთან ერთად. სხვა მოვლენა არ შეიძლება იყოს.

გ) ვეფხისტყაოსანის გველი

ხალხური რწმენით, როგორც გავიცანით ზემოდ, გველი ბრძენია; მისი თვალი ძლიერია; მტაცებელი ანუ მლაღავი. ყველა ეს ხალხური და მითოლოგიური, ასტრალმითოლოგიური რწმენა ვეფხისტყაოსანში გადმოცემულია.

ტარიელი ავთანდილმა ნახა, ლომ-ვეფხთან ბრძოლის შემდეგ, იმდენად გულშეწუხებული, რომ —

მას აღარა შეესმოდა, სოფლით გაღმა გაეზიჯა (868).

ანუ: ტარიელი სიკვდილის პირზე იყო მიმდგარი და ამ სოფლიდან, ქვეყნიდან გადიოდა. ავთანდილი ბევრს ეცადა იგი გონებაზე მოეყვანა მსჯელობით, დაჯერებით და ბოლოს დაიყოლია და წაიყვანა. გზაში ტარიელს ავთანდილი —

შეაქცევს და ეუბნების საუბართა შვენირთა,
მისთვის სძვრიდა სასაუბროდ მათ ბაგეთა ძოწის ფერთა (893),

და მთელი ამ შემთხვევის დასკვნად ნათქვამია —

გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი (901).

ეს ლამაზი პოეტური შედარება ხალხურ რწმენას გამოხატავს გველის მუსიკალობის შესახებ. ამგვარივე, თუმცა ასე ძლიერი შედარება არა, აქვს ფირდაუსს თავი შაჰ-ნამეში, სადაც ნათქვამია — მაგრამ სიტკბო ამოიყვანს გველს ხვრელიდან-ო. ¹²³. წიგნი 5. გვ. 189.

გველი მოხსენებულია ვტნში აგრეთვე პირდაპირი პოეტური შედარებისათვის. ფატმანი ამბობს ნესტანის შესახებ, მასო —

გველნი მოშლით მოეკეცნეს, ბალი შეღმა შერაშენდა (1158),

ანუ: ნესტანმა ბალი, ესე იგი, პირი შეღმა ანუ პირადმა მიიბრუნა და გველნი, თმის ნაწნავები, კავები მოშლით მოეკეცნენო. ამით აღნიშნულია ნესატნის თმების სისხო, სიგრძე, დაწნულობა და სილამაზე.

გველის მზერა ანუ თვალთ ლალვა არის აგრეთვე ხალხური რწმენა, გველის წინაშე შიშის ნიადაგზე შექმნილი. გველის მზერა ითვლება საძაგელ, შემადრწუნებელ, საშიშ მზერად, და სწორედ ეს აზრი სურდა გამოეთქვა ფატმანს, როცა იგი ჭაშნაგირის მოკვლის გამო ავთანდილს მადლობას მოახსენებს —

მუქაფა ღმერთმან შემოგზღოს, — მადლსა გკადრებდე მე რასა, —
რომელმან დამხსენ მშვიდობით იმა გველისა მზერასა (1210).

გესლიანი გველის კბენა მომაკვდინებელია და ამიტომაც დიდად საშიში. ვტნში ეს მოვლენა პოეტური შედარებისათვის არის გამოყენებული. ავთანდილი როდესაც აპირებს ფატმანს თავისი ამბავი გაუმჟღავნოს, მას აფრთხილებს —

დაჰკრთები ამა ამბავსა, მართ ვითა გველ-ნაკბენია (1261),
ანუ: ჩემი ცნობის შედეგად შეშინდები ისე, თითქო გველმა გიკბინაო.

დ) გველი და მთვარე

მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ვტნში გველისა, მზისა და მთვარის ურთიერთობის საკითხი, რომელს აქ წინასწარი განმარტება წარუმიძღვარე. პირველად ვტნში გვხვდება წინადადება მზისა და ვეშაპის დამოკიდებულების შესახებ —

მზე ვეშაპსა დაებნელა, ზედან რამცა გაგვითენდა (158),

ეუბნება ფატმანი ავთანდილს ნესტანის გამო. ნესტანი ისეთი მწუხარებით იყო შეპყრობილი და ბნელით მოცული, რომ პასუხი არ გაგვცა, მზე ვეშაპს დაებნელებიაო.

ვეშაპი, — ს. ს. ორბელიანის განმარტებით, — არის თევზი დიდი ზღვასა შინა უკეანესა (ოკეანესა), რომელმან იონა შთანთქაო. ეს ვეშაპი, რასაკვირველია, არის დღეს ცნობილი თევზი ვალფიშ, ბალენ, კიტ, რომელიც ძუძუმწოვარაა და ისეთი ვიწრო ყელი აქვს მას, რომ დიდი გვამის გადაყლაპვა არ შეუძლია. — ცხადია, ს. ს. ორბელიანის ვეშაპი არ არის ვეფხისტყაოსანის ვეშაპი, იგი მითოლოგიური ვეშაპია, რომელს ჩვენს მიმოხილვაში გავეცანით.

როგორც ვნახეთ, ძველთა ძველი დროიდან თითქმის ყველა ხალხი (გარდა აფრიკისა) ამ რწმენას ვეშაპის შესახებ აღიარებდა. უკვე ვიცით, რომ ვეშაპი, გველშაპი, გველი ერთი და იგივე მითოლოგიური ცხოველი იყო; რომ ქართული ”ვეშაპი” და სომხური ”ვიშაპი” იგივე სპარსულ-ბაქტრული გველია, დრაგონი. აი, ეს ვეშაპი-გველი მისდევს მზეს ან მთვარეს ჩასაყლაპავად, რათა მან მთელი მსოფლიო სიბნელებში ჩააგდოს და კაცობრიობა დაღუპოს. ამიტომაც მთელი ხალხი ყოველი ძალით და საშუალებით ხმაურობს, რათა გველ-ვეშაპი მნათობს მოაშოროს და ქვეყანა გადაარჩინოს. ეს

ჩვეულება სულ უკანასკნელ ხანამდე ჩინეთში იყო დარჩენილი და ამ სტრიქონთა დამწერიც თავის ბავშობისას საქართველოში (საჩხერე) მონაწილეობას ღებულობდა მზის გადასარჩენ საქმეში, როდესაც საჩხერის მთელი მოსახლეობა ქუჩაში გამოვიდა და ქვაბებზე, საინებზე, ფიცრებზე რახუნით და ყვირილით მოინდომა მზის ვეშაპის ჩაყლაპვისაგან გადარჩენა... თუ მე ამას მოვესწარი საჩხერეში, რამდენად იგი გავრცელებული იქნებოდა ძველ დროს მთელ საქართველოში და საერთოდ კავკასიაში!

ნესტანმა მოახერხა მელიქ სურხავის სასახლეში მოგუშაგე ქალთა მოსყიდვა და —

ერთმან ტანსა აიხადა, მისცა მისი ჩასაცმელი,
სხვანი კარნი გამოარნეს, იჯრებოდა დარბაზს მსმელი,
დარჩა მთვარე გავსებული, გველისაგან ჩაუნთქმელი (1198).

ერთმა მონა ქალმა ნესტანს გადააცვა თავისი ტანსაცმელი; მათ სხვა კარი გაიარეს, რადგან დარბაზში იჯრებოდა, მრავლად იყო მოგროვილი მსმელი, მონადიმე, და ამ სხვა კარით გაიპარნენო. და დარჩა მთვარე გავსებული, "გველისაგან ჩაუნთქმელი"-ო. მთვარის დაბნელება ხდება მთვარის გავსების დროს. მთვარის გავსებისას გველი, ანუ გველეშაპი მას გადაყლაპვას უპირებს ხოლმე. აქ კი ნესტანი, გავსებული მთვარე, გადარჩა, ესე იგი, ის დაჭერას გადაურჩა და უვნებელად გაიპარა; ამგვარად მთვარე-ნესტანი გველისაგან შთაუნთქმელი დარჩა. აქაც იგივე ასტრალ-მითოლოგიური ამბავია, პოეტური შედარებისათვის ნახმარი.

გაპარული ნესტანი ქაჯეთის მოლაშქრეებმა დაიჭირეს და მას დაკითხვა დაუწყეს მისი ვინაობის შესახებ, მაგრამ —

მან არა გვითხრა, გაუშვა წყარო ცრემლისა ცხელისა,
რა საბრალოა გავსილი მთვარე, ჩანთქმული გველისა! (1230).

აქაც ნესტანი არის მთვარე, ოღონდ ჩანთქმული გველის მიერ, დატყვევებული მოლაშქრეთა მიერ.

დატყვევებული ნესტანი, მთვარე ჩანთქმული გველისაგან, ქაჯეთის ციხეში გამომწყვდეული; მაგრამ გმირნი მას ანთავისუფლებენ. ციხის საკანი, სადაც ნესტანი იმყოფებოდა, თვით ტარიელმა დაიპყრო და როცა იქ ავთანდილი და ფრიდონი შევიდნენ, რა იხლეს მათ? —

ნახეს, მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა (1420).

მზე — ტარიელი. მთვარე — ნესტანი. გველი — ქაჯეთის ციხე. აქაც შესანიშნავი პოეტური შედარებაა, ასტრალ - მითოლოგიური რწმენის გამოყენებით.

განთავისუფლდა ნესტანი-მთვარე, და შეხვდა იგი მზე-ტარიელს. დამარცხდა საპყრობილე-გველი. და დასრულდა ეს დიდი ბრძოლა შვენიერი შედეგით — ნესტანსა და ტარიელს —

მკერდი მკერდსა შეეწება, გარდაეჭდო ყელი ყელსა (1420).

ესაა არსებითად მთელი რომანის მიზანი და დასასრული, და აქ უნდა თავდებოდეს იგი პოემის აღნაგობის მიხედვით.

აქაა გამარჯვება სიყვარულისა,
გამარჯვება თავისუფლებისა,
გამარჯვება მზისა,
გამარჯვება მთვარისა,
სიკვდილი გველისა,
სიკვდილი სიკვდილისა სიყვარულის ზეიმით!

* *
*

ამავე თქმულებასა და რწმენას გველისა და მზე-მთვარის შესახებ სპარსულ მხატვრულ მწერლობაშიც ვხვდებით. ფირადუსის შაჰ-ნამე ანუ მეფეთა წიგნში დრაგონი, ანუ გველეშაპი არის გველი საშინელი (წიგნი 4. გვ. 325). იქაც ვეშაპი ჰყლაპავს მთვარესა და მზეს, ანუ როგორც ფირიდუნი ეუბნება ერატოსტატს — მე ესე მინდა, მზესა სინათლე არ აკლდებოდეს და მთვარე ვეშაპის ხელში არ ჩავარდესო.

ვისრამიანშიც არის დაბნელების ამგვარი ამბავი (იხილეთ ამის შესახებ თავი: "მზე და ვეშაპი").

იგივე მოტივი გველისა და მთვარის შესახებ გამოყენებული აქვს ნიზამის თავის პოემაში "შვიდ ლამაზ ასულთა" შესახებ. ბაჰრამს სარდალი ეუბნება —

გველს ჩავაბარე მთვარე და მისი სისხლი ქვითინით გამოისყიდე!

ამ ადგილის განმამარტებელი პროფ. ბარტელსი ამბობს — ძველი რწმენით, მთვარის დაბნელებისას უზარმაზარი გველი შთანთქავს მთვარესო. მივეცი გველს მთვარე ნიშნავს — დავლუპე იგიო. ¹⁰⁶.

იგივე შეხედულება განმეორებულია შემდეგ ლექსშიც —

განა მე ვარ დამნაშავე, რომ მოფრინდა ციური გველეშაპი და დააბნელა სიყვარული მტრული ეჭვით? ¹⁰⁵.

ნიზამის პოემაში "ისკანდერ ნამე" ნათქვამია —

ვეშაპმა გადაყლაპა მთვარე, ცის სილამაზე! გმირმა ფერიდუნმა დაამარცხა ის გველი, ძალ უძდა მას კიდევ გველეშაპის ძალის გატეხა! ¹⁰⁵. გვერდი 523. და სხვა.

ნოდარ ციციშვილის მიერ სპარსულიდან ნათარგმნ პოემაშიც "შვიდი მთიები" (ბარამ - გური) მოხსენებულია ვეშაპის მიერ მთვარის გადაყლაპვისა და დაბნელების ამბავი

მთვარე ვეშაპმან შეიპყრას, სთქვა: მისგან დახსნა ძნელია... (შაირი 668).

მას შიგ იწვა, ნახეს, მნათობი, გვერდს უდგეს უფლის წულები,
მთვარე შეეპყრა ვეშაპსა, მნახთ, თქვი, ამოჰხდეს სულები... (შაირი 1449).¹²⁴.

* *
*

ეს ხალხური და მწერლობითი ასტრალ - მითოლოგიური ამბავი ერთმა მკვლევარმა სრულიად უსაბუთოდ თავისი აკინჭილებული აზრისათვის გამოიყენა. ზურაბ ავალიშვილი სწერს —

”აი, რუსთაველის გველიც, ვგონებ, თავდაპირველად აქ ბატონობდა, ამ გველებით სავსე ინდოეთში, სადაც მათ ხსენებას და სახეობას უაღრესად ცოცხალი, რეალური მნიშვნელობა ექნებოდა“-ო. ⁴⁸. გვერდი 85. მაგრამ საიდან მოვიდა ეს გველისა და მთვარის ამბავი ვეფხისტყაოსანში? და აქ ზურაბ ავალიშვილი უკვე მოძველებულ და სრულიად დაუმტკიცებელ მოსაზრებას მიმართავს და ასეთი გზით იღწვის — ვეფხისტყაოსანი გალექსილი რომელიდაც სპარსული მოთხრობა უნდა ყოფილიყო, რომელი ჯერ პროზით იქნებოდა ნათარგმნი და შემდეგ რუსთაველის მიერ გალექსილიო! აი, თურმე ამ დაკარგულ სპარსულ პოემაში უნდა ვეძებოთ ამ მთვარისა და გველის ამბავი!?

უცნაურია მეტის მეტად! რატომ დასჭირდა ვეფხისტყაოსანის დამწერს მაინც და მაინც ასე შორს წასვლა და სესხება? რატომ ასე ძლიერ გაუჭირდა მას და თავისი პოეტური შედარებისათვის მთვარე და გველის ამბავი შორეულ ინდოეთიდან სპარსული გზით გამოიტანა?! როცა ვიცით, დაბნელების თქმულება არამც თუ ინდოეთში, არამედ ჩინეთში, სპარსეთში, არაბეთში, სომხეთში, საქართველოში, ყველგან აღმოსავლეთში და ევროპაში (და ამერიკაშიც კი!) ფართოდ გავრცელებული იყო! ზურაბ ავალიშვილი ჩემი უფროსი თაობის კაცი იყო და მას უნდა სცოდნოდა, რომ საქართველოში ისევე ასტეხდნენ ხოლმე ხმაურობას, როცა გველეშაპი მზეს ან მთვარეს გადაყლაპვას უპირებდა, როგორც ჩინეთში და იტალიაში! აი, ზ. ავალიშვილის, ამ კარგი მკვლევარის ეს მოსაზრება არის წორედ მწიგნობრული და ხელოვნური, სრულიად გაუმართლებელი და მხოლოდ იმ მოსაზრებითი ნათქვამი, რომ ვ.ტყაოსანის დედანი სადღაც, ოდესღაც არსებობდაო, რითაც მან გაიმეორა პროფ. ნ. მარრის ერთ დროს გადმოსროლილი ნაცქაფავი დებულება..

* *
*

დაბნელების ამბავს ამ შენიშვნით ვასრულებ: ვეფხისტყაოსანის გველის მიერ მთვარისა და მზის შთანთქმის თქმულება რომელიმე განსაკუთრებულ ხალხის შემოქმედებას არ ეკუთვნის, და თუ მის აუცილებელ ავტორობაზეა ლაპარაკი, ეს უეჭველად ბაბილონს ეკუთვნის, — მაინც იგი საერთაშორისო არის როგორც სხვა მრავალი მითოლოგიური და ასტრალ - მითოლოგიური ამბავი, ხოლო ვეფხისტყაოსანში მისი არსებობა იმდენად ბუნებრივია, რამდენადაც აქ სხვა

მითოლოგიური და ასტრალური, ვარსკვლავთ შესახები ამბავი გვხვდება, რომელიც პოეტური მიზნებისათვისაა გამოყენებული.

* *
*

ვეფხისტყაოსანი თავისი ხანის, შუა საუკუნეთა კულტურის ამომწურავია და ვეფხისტყაოსანის შეხედულებანიც იმჟამადი მსოფლიო კულტურის წიაღში მოიპოვებინა. გველის საკითხიც ამ რიგის ამოცანას ეკუთვნის, როგორც ეს უკვე ვიხილეთ.

კარი მესამე

ვტნის ხუთნი მნათობნი

თავი 1. ცისკარი — ვენუს — ასპიროზი

ვენუსი ანუ ასპიროზი ასტრონომიული რიგის მიხედვით მესამე მნათობია და მესამე ცას ეკუთვნის. ს. ს. ორბელიანი ამბობს —

აფროდიტე (ვარსკ.), ასპიროზ მესამე ცაზედ არს. ეს აფროდიტი იგი არს, რომელსა ცისკრის ვარსკვლავსა უწოდენ. — ასპიროზ (ვარსკ.) ესე არს აფროდიტი და მთიები. (ესე არს ცისკრის ვარსკულავი, რომელ აფროდიტი და მთიები ჰქვიან. ცისკრის ვარსკულავსა ეწოდების და ქართულად აფროდიტი და მთიები ჰქვიან. — მთიები ესე არს აფროდიტი, რომელ არს ცისკრის ვარსკულავი; მთიები ითქმის განმამათლებელად (გინა მანათებელად)-ო.

ვენუსი სხვა და სხვა სახელით ძველეთში ღმერთად ითვლებოდა და ჯერ კიდევ ხუთი ათასი წლის წინად, იშტარის სახელით ღმერთთა სამეხას ეკუთვნოდა: სინ (მთვარე), შამაშ (მზე) და იშტარ (ვენუსი). ადრევე შეამჩნიეს, რომ ეს ვარსკვლავი ერთი და იგივეა დასავლეთით და აღმოსავლეთით. დასავლეთის ვენუსი არის საღამოს ვარსკვლავი, ხოლო აღმოსავლეთის ვენუსი კი — დილისა. ბუნებრივად აქედან ის დასკვნა გამოიტანეს, რომ საღამოს და ღამის ვენუსი დიაცი უნდა ყოფილიყო, ხოლო დილისა — მამაკაცი. ვენუსის ეს გაორება ძველმა ბერძნულმა შეხედულებამ აღიარა.

ძველ საბერძნეთში დილის ვენუსი ითვლებოდა ომის დიაც-ღმერთად, ხოლო საღამოს ვარსკვლავი ვენუსი ისევ სიყვარულის დიაც-ღმერთად დარჩა, რომლის სახელი იყო აფროდიტე, ლათინურად — ვენუს, არაბულად — ასპიროზ, რომელი სახელიც აგრეთვე ბერძნულიდან მოდის (ჰაესპეროს).

ამ დილის ვარსკვლავს, ვენუსს, ასპიროზს ქართულად ცისკრის ვარსკვლავი, ანუ ცისკარი ეწოდება. "ცისკარი", "ცისკრის ვარსკვლავი", "კარისა ვარსკვლავი" მას იმიტომ უწოდეს, რომ დილით იგი მზეზე ადრე ამოდის და ამგვარად, ცის კარს აღებს

მზის აღმოსავლისათვის. აი, სწორედ ამ სახელითაც ვხვდებით ვენუსს (ვენერა) ვეფხისტყაოსანში.

* *
*

პირველად ცისკარი მოხსენებულია, როდესაც ფარსადან მეფემ ტარიელი თავისთან დაიბარა, რათა მისთვის ეკითხა რამაზ მეფის შესახებ, — თუ როგორ მოქცეოდნენ მას, და ტარიელი გვატყობინებს —

მოვიდა კაცი მეფისა, — ცისკრობს, არ დანაღამია, — (473).

ოდეს ტარიელი ფარსადანს განუდგა და თავის ქალაქში გამაგრდა, მან თავის ერთგულთ დახმარებისათვის მოუწოდა; შფოთი და შეიძლება ომიც დაწყებულიყო და ტარიელი ფხიზლად უნდა ყოფილიყო, ამიტომ —

ცისკრად ავდეგ, შევეკაზმე, რა გათენდა ღამე დილაად (561).

ავთანდილიც ტარიელის შესახებ ამბავის მისატანად იჩქაროდა და —

ცისკრად შეჯდა, გაემართა, დღე რა მზემან განათენა (678).

როცა ავთანდილი და ტარიელი ერთმანეთს სცილდებიან —

ცისკრად ადგეს გასაყრელად, ერთმანერთსა მოეხვივნეს (949).

შემდეგ, ცისკარი ნახსენებია მაშინ, როცა ნესტანს ქაჯეთის ლაშქარნი გზაში შეხვდებიან და ამ განსაცვიფრებელი შევენების — ნესტანის — შესახებ მსჯელობენ —

ზოგთა ვთქვით: ”არის ცისკარი”; ზოგთა თქვეს: ”არის მთვარეო“-ო (1226).

ეს ამბავი ხდება, როდესაც მოლაშქრენი —

მინდორ-მინდორ მივდიოდით ჩვენ ღამესა დია ბნელსა...

ვთქვით, თუ, მზეა ნუთუ ზეცით ჩამოჭრილი ზედა ხმელსა! (1225).

აქედან ცხადია, ლაშქარმა ნესტანი იხილა ღამით; იგი დიდ სინათლეს აჩენდა თავისი პირით, რომლის ციმციმი გარემოს ეფინებოდა, და ამიტომ მოლაშქრენი მსჯელობდნენ — რა უნდა იყოს ესო და მათ ნესტანი შეადარეს: 1. ციდან ჩამოჭრილ მზეს, 2. მთვარეს და 3. ცისკარს. ეს შედარება ნახმარია მარტო ნესტანის სილამაზის დასახატავად. ასე რომ ცისკართან ვით ლამაზ ვარსკვლავთან შედარება, ისე როგორც მზესთან, ღამითაც სრულიად ბუნებრივია, იმის მიუხედავად, რომ მზე და ცისკარი არ არიან ღამის ვარსკვლავნი.

შემდეგ ცისკარი მოხსენებულია თავისი საკუთარი მნიშვნელობით, როდესაც არაბთა მეფის მიერ გამართულ ქორწილში —

ბინდით ცისკრამდის სმა იყო, გარდახდა ჟამი დილისა (1552).

დაბოლოს, ცისკარი მოხსენებულია უკვე ორი დობილის, ნესტანისა და თინათინის ურთიერთობის გამოსაჩენად. მათი დამოკიდებულება მთვარისა და ცისკრის ვარსკვლავის ურთიერთობითაა განსაზღვრული. როდესაც მთვარე ცის კარის ვარსკვლავს ცაზე გაუსწორდება, ისინი ერთ ხაზზე დადგებიან, ორნივე ნათობენ თანასწორად, ერთი სიძლიერით; როცა ერთი მათგანი ამ გასწორებას დაშორდება, მეორეც თავისი გზით მიდის და მას შორდება; მაგრამ მთვარესა და ცისკრის ვარსკვლავს ერთმანეთი ისე უყვართ, რომ მათ დაშორება არა სურთ, გარნა სინამდვილე მათ აიძულებთ ერთმანეთს გაშორდნენ. და რომ მჭვრეტელმა, მაცქერალმა ცისკარი და მთვარე დაინახოს, ამისათვის საჭიროა თავისი თავი (ქედი) მაღლა ასწიოს (გორასავით). ამ ასტრონომიული შედარებით დახატულია თინათინისა და ნესტანის დაშორება, როცა ნესტანი ინდოეთს მიემგზავრება —

მთვარე ცისკრისა ვარსკვლავსა რა თანა შეესწოროსა,
ორნივე სწორად ნათობენ, მოშორდეს, მოეშოროსა,
არა თუ იგი მოშორდეს, მართ ცამან მოაშოროსა,
მათდა საჭვრეტლად მჭვრეტელმან, ხამს, თავი იქედგოროსა (1569).

ამგვარად, ვენუს-ასპიროზ-ცისკარი ვეფხისტყაოსანში გამოყენებულია დროის აღმნიშვნელად, სილამაზისა და სიყვარულის სიმბოლოდ.

თავი 2. მარს — მარიხი

მარს, ანუ მარიხი მეხუთე მნათობია და მეხუთე ცას ეკუთვნის.

ძველთა ძველად სუმერ-ბაბილონელნი მარსს წითელ მნათობს უწოდებდნენ და ასტროლოგიურად იგი უბედურების მომტანად ითვლება. იგი არის შფოთისა, ხანძარისა, სისხლის ღვრისა და სიკვდილის მნათობი. იგი დაბოლოს გაიგივებულ იქმნა ჯოჯოხეთის ღმერთთან (ნერგალ) და ამგვარად მარსი განთქმული იყო ვით "სიკვდილით მამღარი". მას თავისი ძველი ასტროლოგიური მნიშვნელობა შერჩა და დღესაც იგი ბოროტ მნათობად ითვლება.

ვტნის შვიდთა მნათობთა აჯაში ანუ თხოვნაში მარსს თავისი სათანადო ადგილი უკავია, მაგრამ იგი ვით ცალკე მნათობი სხვაგან არსად არა მოხსენებული. გარნა ერთ ლექსშია აღნიშნული მარტოდ "მარიხიანობა". ავთანდილის შესახებ ნათქვამია —

შეწვის, ჭამის და წავიდის პირ-მზე, გულ-მარიხიანი (841).

თინათინთან ახლად დაშორებული ავთანდილი მეტის მეტად შეწუხებულია; იგი მგზავრობს მარტოდ; სტირის; სისხლის ცრემლებსა ღვრის; არის გულ-დაჭრილი, ანუ გულ-მარიხიანი. მარიხი-მარსი დამჭრელია, სისხლის მღვრელი და სწორედ ეს არის აქ აღნიშნული.

ამ ლექსში მნათობი მარიხი-მარსი გამოყენებულია ასტროლოგიურად: — ავთანდილის გულის უბედურების აღსანიშნავად.

თავი 3. იუპიტერი — მუშთარი

იუპიტერი ანუ მუშთარი მნათობთა რიგში მეექვსეა და მას მეექვსე ცა უჭირავს. იგი ითვლებოდა ქვეყნის შემოქმედ და მკვდრეთით აღმადგენელ ღმერთად. ამას გარდა იგი იყო მოსამართლე. იუპიტერი მეფური ვარსკვლავია.

ვტნში მუშთარი ნახსენებია, შვიდ მნათობთა გალობის გარეშე, მხოლოდ ორჯერ.

როდესაც ვტნის გმირებმა ქაჯეთის ციხე აიღეს, ამ ბრძოლის დროს მათ თვალთა ხედვიდან ტარიელი დაეკარგათ და ამიტომ მას ძებნა დაუწყეს. მათ ნახეს ტარიელი იქ, სადაც ნესტანი იყო პატიმრად. დიდი ხნის მონატრულნი და დატანჯულნი შეყვარებულნი —

ეხვეოდეს ერთმანერთსა, აკოცნეს და ცრემლნი ღვარნეს,
ამას ჰგვანდეს, ოდეს ერთგან მუშთარ, ზუალ შეიყარნეს (1421).

ტარიელისა და ნესტანის შეხვედრა აქ შედარებულია მუშთარისა და ზუალის ერთად შეყრასთან, ანუ შეხვედრასთან, და ეს შედარება სავსეა აზრით, და არის გარკვეული მიზნით ნახმარი, რათა აღნიშნულიყო ორი მონატრული შეყვარებულის ბედნიერი შეხვედრა.

ასტროლოგიაში მუშთარის (იუპიტერის) შეხვედრა ზუალთან (სატურნუსთან), ანუ მათი შეყრა დიდი ბედნიერების დიდი გამოხატულებაა და სწორედ ამ მნათობთა შეხვედრით არის ნესტან-ტარიელის შეხვედრის ბედნიერება დასურათებული, იქვე აღნიშნული დასკვნით —

აქანამდის ჭირნახულთა, ამას იქით გაიხარნეს (1421).

ინდოეთს მიბრუნებისას რამაზ მეფე და მისი ლაშქარი ტარიელს უსიტყვოდ დაემორჩილნენ —

თაყვანი სცეს და დალოცეს, ყოვლთა ხმა ერთად იერეს...
თავები დახსნეს სიკვდილსა... (1616) და —

ტარიას ნახვად მოსრული მუშთარი ახლოს მჭვრეტია,
რისხვისა ცეცხლი ტარიელს სიტკბოთა დაუშრეტია (1617).

ხატაელებმა ტარიელს თაყვანი სცეს; ყველამ ხმა ერთად აღიმალა; ტარიელმა მათ აპატივა და სიცოცხლე შეუნარჩუნა; მისი რისხვა სიტკბოთი შეიცვალა, და მის საჭვრეტელად მუშთარი ახლო მივიდა.

მუშთარი მეფური ვარსკვლავია; იგია მოსამართლე მართალი და კარგის ბედის მომტანიც.

მუშთარი აქაც ასტროლოგიური მნიშვნელობით არის გამოყენებული.

თავი 4. კრონოს — სატურნუს — ზუალი

კრონოსი ანუ ზუალი დედამიწიდან დათვლით ზემოთკენ, არის მეშვიდე მნათობი, მეშვიდე ცისა, უმაღლესი და უშორეულესი.

ასტროლოგიური თვალსაზრისით, კრონოსი ანუ ზუალი უბედურების შავი ვარსკვლავია, ჭირ-ვარამის დიდი ვარსკვლავი. მაშ, კრონოსი სად უნდა დასახელებულიყო, თუ არა ქაჯეთის ციხეზე თავდასხმის დროს!

არაბულ ასტროლოგიაში კრონოს - ზუალი ითვლება ვით "უდიდესი უბედური ვარსკვლავი" (ალ ნახს ალ აკბარ) და მისი უბედური გავლენა მარსზე უფრო ძლიერია; განადგურება, აღმოფხვრა, დამხობა, ჭირი და მწუხარება მას მიეწერება. ერთად სატურნუსსა და მარსს არაბული ასტროლოგია უწოდებს: "ორივე უბედური ვარსკვლავი" და მათ ორ ბედნიერ ვარსკვლავს უპირისპირებს: ვენუსი და იუპიტერი.² წიგნი 6. გვ. 1340.

არაბული და ვეფხისტყაოსანის "ზუალი" ქართულ უფროს თაობათა მწერლობაში არის "ზოალი" და "ზოჰალი", როგორც მაგალითად —

რადგან ცად ახვალ,
რა დგან ცადა ხვალ
ზოჰალი ეტლი,
მთვარე მცებარე (თამარიანი 10, 7).

შუქნის ჰკრთებიან,
ემუქმკებიან,
ზოალი ინებს
დაქადებულად (თამ. 12, 61)

მაგრამ ამასთანავე ეს "ზუალი" მოხსენებულია აგრეთვე ბერძნულ-ქართული სახელითაც "კრონოსი" —

ყაწვი მწყაზარი —
ა მულღანზარი!
უგავს ელობა
კრონოს ციერსა (თამ. 1,10)

არის კრონოს (თამ. 9, 5).¹²⁵

ზირაქს კრონოსად (აბდულ-მესია 15,1).

* *
*

სატურნუსი ანუ ზუალი (გარდა შვიდთა მნათობთადმი გალობისა) ვტნში მხოლოდ ერთჯერ არის დასახელებული და წარმოდგენილი ბერძნული სახელით: "კრონოს".

ტარიელი, ავთანდილ, ფრიდონ თავისი გმირებით ქაჯეთის ციხეს დასაპყრობად შეუტევენ და —

მაშინ ქაჯეთს მოიწია უსაზომო რისხვა ღმრთისა:

კრონოს, წყრომით შემხედველმა, მოიშორა სიტკბო მზისა,
მათვე რისხვით გარდუბრუნდა ბორბალი და სიმგრვალე ცისა,
ველნი მკვდართა ვერ იტევდა, გადიადდა ჯარი მტრისა (1415).

მსუქანი ასოებით დაბეჭდილი სიტყვები პ. ინგოროყვას ვტნის ერთი ძველი ხელნაწერის მიხედვით გასწორებული აქვს ასე: 1. მოიშორა — მოაშორა; 2. მკვდართა — მძორსა. ეს გასწორება მართებულია. ამ შაირის განმარტება შემდეგია:

მაშინ ქაჯეთს თავს დაატყდა ღმრთის განუსაზღვრელი რისხვა; კრონოსმა ანუ ზუალმა, წყრომით შემხედველმა, ქაჯეთს მზის სიტკბო მოაშორა; ქაჯეთის ლაშქარს რისხვით გადაუბრუნდა ბორბალი და სიმგრვალე ცისა; ველნი ბრძოლის შედეგად მძორს ვედარ იტევდნენ და სიმრავლე (ჯარი) მკვდარისა ფრიად მრავალი გახდაო (გადიადდა).

ამ შაირში რამოდენიმე წინადადება არის —

1. ღმერთი, რომელიც ქაჯეთს რისხვას ატეხს — რელიგიური დებულება
2. კრონოსი ანუ ზუალი, რომელიც ამას შემდეგ წყრომით შემხედვარეა — ასტროლოგიური დებულება
3. მზე, რომლის სიტკბო კრონოსმა ქაჯეთს მოაშორა — ასტროლოგიური დებულება და
4. ბორბალი და სიმგრვალე ცისა, რომელიც ქაჯეთს გადაუბრუნდა — ასტროლოგიური დებულება.

გავხსნათ ეს დებულება თითოულად:

1. პირველად ყოვლისა, ქაჯეთი ღმერთმა გასწირა. მან ამ ქვეყანას თავისი რისხვა მოუვლინა. ღმერთია განჩინების გამომტანი და ყოველივეს გარდამწყვეტი.
2. სატურნუს-კრონოს-ზუალი მოქმედებს ღმრთის გარდაწყვეტილების შემდეგ; მერმე, რაც ღმერთმა ქაჯეთს რისხვა მოუწია, ღმრთის ნებით, ამ მნათობმა ციხეს საშინელი ბედი არგუნა და იგი განადგურებას მისცა.
3. კრონოს, რათა ეს უბედურება შეესრულებინა, წინასწარ ქაჯეთისათვის მზის სიტკბო უნდა მოემორებინა, ვინაიდან მზე საერთოდ კეთილი გავლენის მოქმედია, რადგან კრონოსთან ერთად მზე დღისით ბედის, კარგი ბედის მომნიჭებელია;

ამიტომ, რადგან ღმრთისაგან იყო განწირული ქაჯეთის ციხე, კრონოსი მას მზის სიტკბოს ამორებს, მზეს სცილდება, შორდება და თავის საკუთარს, მრისხანე ბუნებას თავისუფლად ხმარობს, თავის შავ საქმეს ასრულებს. სატურნუს-ზუალ-კრონოს ხომ შავი ბედის შავი ვარსკვლავია!

4. ამას შემდეგ მთელს ცაზე საშინელი გადატრიალება ხდება: რისხვით გადაბრუნდა ცის ბორბალი და ცის სიმრგვალე; დაიშალა მთელი წყობა ცათა და მოხდა საშინელი, სასტიკი ნგრევა, და ეს არის შესანიშნავი ასტროლოგიური პოეტური შედარება.

რასაკვირველია, ასეთი ვეებერთელა აღრევისა და დაღწეის შემდეგ ქაჯეთის ციხეს კარგი დღე აღარ დაადგებოდა.

აი, ამ სრულიად მოკლე და სხარტული თქმით დახატულია უდიდესი სურათი დიდი ნგრევისა და განადგურებისა. აი, ამ მცირე სიტყვით და ასტროლოგიური შეხედულების გამოყენებით აღწერილია მკვეთრად და ძლიერად ქაჯეთის ციხის უბედურება და მისი ლაშქარის მოჟლეტა.

* *
*

შესადარებლად საინტერესოა: მეცამეტე საუკუნის სპარსი პოეტი პურ-ე-ბაჰა ქალაქ ნიშაპურის მიწისძვრისაგან დანგრევას ასტროლოგიურად ახასიათებს —

მიწის ძვრის დარტყმით ქალაქი ზემოდან ძირამდე ისეთი გახდა, რომ (ზოდიაკო) არკტურუსი დაემხო (ზოდიაკო) თევზს, რომელსაც დედამიწა უკავია, როდესაც ამ ვარსკვლავმა სამყაროს ზესთას მიაღწია. ამ მიწისძვრამ მოჰგლიჯა ყველაფერი თავისი საძირკველიდან...

იგივე პოეტი იმავე ქალაქ ნიშაპურის აშენებას აგრეთვე ასტროლოგიურად აღწერს —

ქალაქი იგი კარგი სახელისა კვლავ გაშენდა, მზე და ვენუსი იყვნენ (ზოდიაკო) კუროში; მთვარე — (ზოდიაკო) თევზ-ში; მერკურიუსი — ...კურთხეულ იყოს ქალაქი ახალი...⁶⁵ გვერდი 147.

რვეული მეოთხე

შვიდთა მნათობთადმი გალობა

კარი პირველი

გალობის დასაბუთება

თავი 1. გალობა და ვედრება მნათობთა წინაშე

მსოფლიო მწერლობაში ავთანდილის გალობა ანუ ვედრება შვიდთა მნათობთადმი უუშესანიშნავესი და უტოლო შაირია თავისი გრძნობით, აზრით, მუსიკით და იმჟამადი მსოფლმხედველობით.

ავთანდილი გალობს თავის აჯას ანუ თხოვნას, გალობით ამბობს თავის ვედრებას, როს იგი მარტოდ მიემგზავრება; იგი თავის მოწოლილ გრძნობებს ველარ იკავებს; მოზღვავებულ განცდებს კალაპოტს უძებნის; სიყვარულით დატვირთული მისი არსება აღმაფრენას იწყებს, — და ეს სიყვარული მისი მსოფლიურ და მარადიულ ბუნებას ამჟღავნებს.

ავთანდილი თითოულ შვიდ მნათობთაგანს ვედრებით-ხვეწნით-აჯით მიმართავს. იგი მათ თხოვს მას შემწეობა აღმოუჩინონ, თინათინთან სიყვარულის ურთიერთობაში დაეხმარონ. ამ თხოვნას იგი გალობით ამბობს და მნათობნი, მათ გარდა კიდევ: ხმელეთისა და წყალთა არსებანი და მთელი კაცობრიობა, — მთელი მსოფლიო ავთანდილს მის სიყვარულში თანაუგრძნობენ, მას სიყვარულს უმოწმებენ და უდასტურებენ, შემწეობას აღუთქვამენ.

წარმოიშვება ბუნებრივი სურვილი, გამოირკვეს: რატომ მიმართავს ავთანდილი მნათობებს? რა საფუძველზეა დამყარებული მისი ლოცვა?

* *
*

ადამიანს შეუძლია მნათობ-ღმერთებზე და ვარსკვლავთა სულზე თავისი ლოცვითა, მსხვერპლითა და წირვით გავლენა მოახდინოს. ლოცვა მზისადმი და საერთოდ ვარსკვლავისადმი დარჩენილია ეგვიპტეში პირამიდათა წარწერებში. ბაბილონური ლოცვანი და ფიცი მნათობთა წინაშე, და სპარსული გალობანი მნათობთა მიმართ ცნობილნი არიან. დიდ მასალას იძლევა საამისოდ ანტიური, არაბული და საერთოდ შუა საუკუნეთა ასტროლოგიური სამისნო ტექსტებიო, — ამბობს პროფ. ვ. გუნდელ.¹²⁶ ეს ვედრებანი ანუ ლოცვანი ორ დიდ ჯგუფად განიყოფებიან: 1. პირადული ხასიათის ლოცვანი, რომელთა შემწეობით მლოცველი მთელი თავისი შინაგანი განცტებით მნათობს ევედრება და რაიმე შემთხვევის გამო მის მოწყალებასა და შემწეობას ითხოვს. 2. მიუკერძოებელნი ლოცვანი. ამ სახის ვედრებანი არიან მნათობთა ქება-დიდებანი, მათთვის ხოტბის თქმანი და საერთო ხასიათის მიმართვანი, რათა მლოცველს წყალობა მიენიჭოს და საერთო დახმარება გაეწიოს.

პირადული ლოცვის დროს მლოცველი მნათობის ძალას მით გამოიწვევს, რომ იგი მნათობს შეჰყურებს, მას ჰხადის, ეძახის და მოუწოდებს, გამოუთქვამს მას თავის სურვილთ მოკლედ და გასაგებად, თითქმის ბრძანებითი კილოთი. მნათობი პასუხს იძლევა მისი სახელის ხსენებაზე, და ეს ხსენება მისი, ეს მოწოდება მის შინაგან არსს ხვდება.

მიმართვისა და მოწოდებს ეს წესი ასტრალურმა რელიგიამ გამოიმუშავა, განავითარა და განამტკიცა. მნათობთა სახელებს მიემატნენ კიდევ საიდუმლო მათი წოდებანიც, სახელები ზედმეტი, რიცხვი, ასოები, ანბანი და სხვა. განსაკუთრებული ქებით მნათობნი ნასიამოვნებნი უნდა დარჩნენ და ამით თავისი ძალა და გავლენა გაადიდონ, გაზარდონ. ამას გარდა მლოცველმა მნათობთა ბუნებისა და ხასიათის ნიშნები უნდა ჩამოთვალოს, და სხვა. ბაბილონ-ეგვიპტედან დაწყებული, ეს ლოცვა-ვედრებანი ორი ათასი წლის განმავლობაში იხმარებოდნენ და ამ ლოცვათა უკანასკნელი გამოძახილია გაქრისტიანებული მნათობისადმი ლოცვა მეჩვიდმეტე და მეოცე საუკუნის ჰერმეტულ ძმობისა ევროპაში.¹²⁶

თავი 2. ავთანდილის გალობა მნათობთადმი

ა). მზე

როდესაც ავთანდილი ტარიელს დაშორდა და მულღანზანზარს ფრიდონისაკენ გაემგზავრა, მას გზაში სიყვარულის სევდა შემოაწვა და მან მნათობთ მიმართა აჯით. პირველად იგი მზეს ევედრება —

მიმავალი ცასა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მზესა:
”აჰა, მზეო, გეაჯები შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა,
ვინ მდაბალთა გაამაღლებ, მეფობასა მისცემ სვესა;
მე ნუ გამყრი საყვარელსა, ნუ შემიცვლი ღამედ დღესა (957).

მზე არის უმძლესთა მძლეთა მძლე ანუ ყოვლად გამარჯვებული. ეს დებულება არის ასტროლოგიური.

მზე მდაბალთ გაამაღლებს; სვიან ანუ ბედნიერ მეფობას მისცემს. ეს დებულებაც არის ასტროლოგიური.

მზემ ავთანდილი თინათინს არ უნდა დააშოროს. მზე არის ვაჟთათვის სიყვარულში შემწე. ეს დებულებაც არის ასტროლოგიური. ბაბილონურ-ქალდეური დახასიათება მზისა აქ გამოყენებულია სიყვარულის განხორციელების მიზნისათვის. მაგრამ ეს საკითხი მზეს ეხება, იგი გამოძიებულია დაწვრილებით ჩემს ნარკვევში ”ვტნის მზისმეტყველება”.

ბ). ზუალი — კრონოს — სატურნუს

მზის შემდეგ ავთანდილი ზუალს მიმართავს, პირველს მნათობთა რიგიდან, ზემოდან ქვემოდ ჩამოთვლით. ასტროლოგიურად ზუალი არის ძალმომრეობის და დაცემის უფალი; ”უბედური დიდი ვარსკვლავი”. მისი ფერი არის შავი.

ავთანდილმა კარგად იცის ზუალის ბუნება და ამიტომაც მას სათანადო და შესაფერი თხოვნით მიმართავს: იგი ასახელებს ზუალის ბუნების თვისებებს, აღნიშნავს მისი ხასიათის ნიშნებს: — ცრემლი, ჭირი, სიშავე, კაეშანი —

მო, ზუალო, მომიმატე ცრემლი ცრემლსა, ჭირი ჭირსა,
გული შავად შემიღებე, სიბნელესა მიმეც ხშირსა,
შემომყარე კაეშანი, ტვირთი მძიმე ვითა ვირსა,
მას უთხარ თუ: "ნუ გასწირავ, შენია და შენთვის ტირსა" (958).

ზუალი უბედური ვარსკვლავია და მას შეუძლია ცრემლი ცრემლს, ჭირი ჭირს მიუმატოს; ზუალი "შავი" ვარსკვლავია და მას ძალუმს ავთანდილს გული შავად შეუღებოს და იგი სქელ სიბნელეში, წყვდიადში ჩააგდოს; ზუალი მწუხარების შავი ვარსკვლავია და მას შეუძლია კაეშანით, მძიმე მწუხარებით ავთანდილი დატვირთოს მძიმედ ვითარცა ვირი; და აი, ასეთ შავს, უბედურების ვარსკვლავს ავთანდილი ევედრება: თინათინს უთხარო, შენ ნუ გასწირავ ავთანდილს, ვინაიდან იგი შენი არის და შენთვის სტირსო. ამგვარად, ეს შავი და უბედურების ვარსკვლავი ავთანდილმა თავისი სიყვარულის ამბავში მოციქულად დააყენა.

ეს აჯა, რასაკვირველია, ასტროლოგიურია და დიდი პოეტური ხელოვნებით სიყვარულისათვის გამოყენებული.

გ). მუშთარი — იუპიტერ

ავთანდილი თავის გალობას განაგრძობს და შემდეგ მუშთარს ეხვეწება —

ასტროლოგიურად მუშთარი ითვლება დიდ ბედნიერ ვარსკვლავად, არაბულად "დიდი ბედის ვარსკვლავი" და იგი თავისი საბედნიერო გავლენით ვენუს-ასპიროზზე მაღლა სდგას. მუშთარი არის, ამას გარდა, მოსამართლე მიუდგომელი, ბრჭყე ანუ საჩივარისა და დავის მართალი გამსინჯავი, სრული სამართლიანი და უმწიკვლო.

ავთანდილი თავის მუშთარისადმი ხვეწნაში მას სახელით მოუწოდებს, მის ბუნებრივ თვისებებს აღნიშნავს: მართალი, ბრჭყე ღმრთული, სამართალის გადამწყვეტი, უმართლესის არ გამრუდებელი —

"ჰე, მუშთარო, გეაჯები შენ, მართალსა ბრჭყესა ღმრთულსა;
მო და უყავ სამართალი, გაებრჭობის გული გულსა;
ნუ ამრუდებ უმართლესსა, ნუ წაიწყმედ ამით სულსა,
მართალი ვარ, გამიკითხე, რად მაწყლულებ მისთვის წყლულსა! (959).

ავთანდილი ეხვეწება მუშთარს, რომელი არის მართალი, ანუ სამართლიანობის მომქმედი, ბრჭყე (ცილობათა გამსინჯავი. ს. ს. ორბ.) ღმრთული — ღმერთსავით მართალი და სამართლიანი. მიმართავს იგი მუშთარს, რათა მან მას სამართალი უყოს; გაებრჭობის გული გულს, ან გული გულს ურჩევს, გაამართლებსო: შენ მართალი ხარ და გაამართლებო; ამიტომ ნუ გაამრუდებ შენს სიმართლეს, მე უმართლესი ვარ,

მართალზე მართალი და შენი გამრუდებით შენს სულს ნუ წაიწყმედ, ნუ დაჰკარგავ; მართალი ვარ, გაარჩიე (გამიკითხე); მართალი ვარ ჩემს სიყვარულში და რად მაწყლულებ, რად მკოდავ, მჭრი მისთვის, ანუ თინათინისათვის წყლულსა ანუ დაკოდდისაო.

ამგვარად, მუშთარის მნიშვნელობა ასტროლოგიურია და მისი თვისებანი ერთი ხაზის მოსმით გამოხატული და ძლიერი ხელოვნებით შესრულებული.

დ). მარიხი — მარს

მარიხი უკვე სუმერთა ხანაში "წითელ" მნათობად ითვლებოდა და იყო ომისა, ხანძრისა, სისხლის ღვრისა და სიკვდილის მნათობი.

ავთანდილი ამ მარიხს მისი სახელით ევედრება და მისი ბუნების ნიშნებს ჩამოსთვლის: უწყალო, დამჭრელი ლახვართა, წითლად შემდეგი სისხლითა —

"მოდი, მარიხო, უწყალოდ დამჭერ ლახვრითა შენითა, შეცამდე და შემსვარე წითლად სისხლისა დენითა, მას უთხრენ ჩემნი პატიჟნი, მას გააგონენ ენითა, როგორ გასრულვარ, შენ იცი, გული არღა არს ლხენითა (960).

მარიხის საქმეა ლახვარი, დაჭრა და სისხლი, წითლად შეღებვა. და ავთანდილი სწორედ ამას ეუბნება მარიხს: მოდი, შენი ლახვართი უწყალოდ, შეუბრალებელად დამჭერი, შემსვარე წითლად სისხლის დენითო; ყველაფერი ეს მოიმოქმედე, მაგრამ მას, თინათინს მაინც უთხარი ჩემნი პატიჟნი, ანუ შეწუხებანი და სევდანი; მას გააგონე ეს შენი ენით, თუ როგორ გასრულვარ, გავთავებულვარ; შენ ხომ იცი, რომ ჩემი გული ლხენით აღარ არისო.

ამგვარად, მარიხი დახასიათებულია თავისი არსებითი ნიშნებით და, რასაკვირველია, მარსის მნიშვნელობა აქ ასტროლოგიურია და ერთი კალამის მოსმით შესანიშნავად ნახმარი.

ე). ასპიროზი — ვენუს

ავთანდილის მიმართვაში შემდეგი მნათობია ასპიროზი, ბერძნულად — აფროდიტე, ლათინურად — ვენუს, არაბულად — ზუჰარა, ბერძნულ-არაბული — ასპიროზი, ეოსფეროს, ესპეროს, წმიდა ქართული სახელით — ცისკარი, ცისკრის ვარსკვლავი, აგრეთვე — მთიები.

საბერძნეთში, ვითარცა ღამის ვარსკვლავი ასპიროზი იყო აფროდიტე, რომაული ვენუსი; ვით დილის ვარსკვლავი იგი იყო მადონა ათენე, ომის ღმერთი. ასტროლოგიური თვალსაზრისით, ასპიროზი არის, არაბულად, "მცირე ბედის ვარსკვლავი"; ბედნიერი გავლენის მიხედვით, იგი მუშთარის ზეგავლენაშია. იგია სიყვარულის დედოფალი და მკურნალი; იგი სიხარულს, ლხინს, სიამეს იძლევა. სწორედ ამიტომ უგალობს ავთანდილი მას ვით სიყვარულის დედოფალს და მკურნალს, მარგებელს —

”მოდი, ასპიროზ, მარგე რა, მან დამწვა ცეცხლთა დაგითა,
ვინ მარგალიტსა გარეშე მოსცავს ძოწისა ბაგითა,
შენ დააშვენებ კეკლუცთა დაშვენებითა მაგითა,
ვისმე, გლახ, ჩემებრ დააგდებ, გაჰხდი ცნობითა შმაგითა (961).

მოდი, ასპიროზ, მარგე რამე, მომეხმარე; თინათინის ცეცხლმა დამწვა, დამდაგა თინათინმა, რომლის მარგალიტებს ანუ კბილებს შემორტყმია, მოცული აქვს ძოწის ბაგენი, ანუ წითელი ტუჩებიო; კეკლუცთ შენ, ასპიროზ-ვენუს, დააშვენებ შენებური შვენებით (კეკლუცი — სახე უკლებელად გაწყობილი. ს. ს. ორბ.); შენს შვენეირებას, ვენუს, მათ მიანიჭებო; და თუ ჩემსავით ვინმეს დააგდებ, ასპიროზ, დასტოვებ, მას სიყვარულის შედეგად გაჰხდი ცნობითა შმაგითა, გააგიჟებ, გადარევო. ამიტომ ავთანდილი ასპიროზსა თხოვს: მოდი, მარგე რამეო.

ასპიროზი არის სილამაზის სიმბოლო; და მისი ბუნებით სიყვარულის მომანიჭებელი და სიყვარულის მკურნალი.

ვ). ოტარიდი — მერკურიუს

ოტარიდი, ბერძნულად — ჰერმეს, ერმი; ლათინურად — მერკურიუს; არაბულად ოტარად; გაქართულებული — ოტარიდი. ასტროლოგიურად ოტარიდი ითვლება ორპირ და პირმოთნედ, რადგან იგი ბედნიერ ვარსკვლავთან ერთად, ბედნიერ, და უბედურ ვარსკვლავთან ერთად — უბედურ გავლენას ახდენს. მაგრამ თავის თავად, ოტარიდი არის სიბრძნის მეფე, მოხერხებული ბატონი, მწერალი და ბედის გამგე.

ავთანდილი მას უმღერის —

”ოტარიდო, შენგან კიდე არვის მიგავს საქმე სხვასა;
მზე მაბრუნვებს, არ გამიშვებს, შემეყრის და მიმცემს წვასა;
დაჯე წერად ჭირთა ჩემთა, მეღნად მოგცემ ცრემლთა ტბასა;
კალმად გიკვეთ გაწლობილსა ტანსა ჩემსა, ვითა თმასა (962).

ამ შაირის პირველი ნაწილის განმარტება მხოლოდ ასტრონომიულად შეიძლება. ცნობილია, ოტარიდი (მერკურიუს, მერკური) სადამოისა და დილის ვარსკვლავია როგორც ასპიროზი; მისი მოქცევის წრე დღესაც არაა ზუსტად გამორკვეული, და ვინაიდან ოტარიდი მზესთან ძალიან ახლოს იმყოფება, მზის სხივებში ტრიალებს, ამის გამო მისი დანახვა მეტად იშვიათია და ძნელი. მზესთან ახლოს ყოფნა ოტარიდისა იწვევს მზესთან ერთად ბრუნვას, მის არ-გაშვებას, მასთან ხშირად შეყრას, მზის სხივებში დაწვასა და დაკარგვას. ამიტომ ამბობს ასტრონომიის მცოდნე ავთანდილი: ოტარიდო, შენს გარდა სხვას არავის არ მიაგავს ჩემი საქმე; როგორც შენ, ოტარიდო, გაბრუნებს მზე და არ გაგიშვებს, და თავისი სხივებით გწვავს, ისე მეც, ჩემი თინათინისადმი სიყვარული მაბრუნებს, არ გამიშვებს და მაძლევს წვასა და დაგვასო. ასეთი არის ამ ლექსის განმარტება, ასტრონომიული, შესანიშნავი პოეტური შედარებისათვის გამოყენებული.

შაირის მეორე ნაწილის განმარტება შეიძლება მხოლოდ ასტროლოგიურად. ოტარიდი არის მწერალი, და ამიტომ ეუბნება მას ავთანდილი: დაჯე ჩემთა ჭირთა მწერალად;

მელნად მოგცემ ჩემს ცრემლთა ტბას; კალამად გაგიკვეთ, გაგიჩენ ჩემს წვრილ ტანს, რომელი გაწლობილია ვით თმაო. გაწლობილი — წვრილი, ღეროსავით წვლილი, წველი.

ამგვარად, ოტარიდი მზესთან ახლოსაა და მუდამ მასთან ერთად ტრიალებს; მას მზე არ უშვებს და მარად სწვავს. თინათინი მზეა. იგი ეს მზე ავთანდილს უყვარს; ამ მზე-თინათინის სიყვარული მას აბრუნებს, არ უშვებს და მას სწვავს. ეს ასტრონომიული შესანიშნავი შედარება ასტროლოგიურად სრულდება — ოტარიდი მწერალია და მან ავთანდილის სიყვარულის ამბავი უნდა დასწეროს.

* *
*

მერკურიუსი-ოტარიდი, სპარსული — ტირია, ტირიდა ცნობილია სპარსულ მწერლობაში. ვისრამიანში ნათქვამია — მეფე მოაბადის ”მწერალი იყო მოძრავი მერკურიუს. მისგან მოდიოდა (მეფის) ბრძანებანი და აკრძალვანი“-ო. საადი შირაზელი თავის ”ზუსტან“-ში ამბობს — და მერკურიუსმა ჩააწო კალამი მელანში-ო და სხვა. ⁶¹. გვ. 16.

ზ). მთვარე

ბაბილონიდან დაწყებული, მთვარე არის დროს განმანაწილებელი, ქვეყანის სიცოცხლის გამგე და მომავალის პატრონი. თავისი ახალი სინათლით მთვარე ჯერ კიდევ როცა ნამგალს, რქის წვერსა ჰგავს, იწყება ”პატარა წელიწადი” ანუ ”თვე”, რომლის განმავლობაში იგი იზრდება, ივსება; შემდეგ კლებას იწყებს, მჭლევადება და ბოლოს, იმალება, კვდება და აღსდგება კვლავ სამი დღის მერმე. და ასეა მარადული ავსება და დაკლება, მუდმივი სიცოცხლე და მუდმივი სიკვდილი.

მთვარე დედამიწასთან ყველაზე უფრო ახლო მნათობია და მას პირველი ცა ეკუთვნის. მისი გავლენა დედამიწაზე მრავალგვარია და ძლიერი, ანუ როგორც ამბობს ზაქარია ყაზვინელი — იგი მოქმედებს თავისი ნამით, ნოტიოთი და ცხოველმყოფელი სითბოთი. მთვარესთანაა დაკავშირებული ზღვის მოქცევა; როცა მთვარე ივსება, ზღვაც ივსება და ნაპირისაკენ მიდის; როცა მთვარე გავსებისაკენაა, ყოველი სულიერიც ივსება, ზრდა იმატებს, სისხლი ძარღვებში დიდდება. მთვარის ნაკლებობის დროს ყოველი სულიერის გვამი სუსტდება, ზრდა კლებულობს, ძარღვებში სისხლი მცირდება; ახალ მთვარეზე თუ კაცი ავად გახდა, იგი სნეულებას ადვილად გადაიტანს. თუ დაკლებულზე — მაშინ სნეულება უძლიერდება, რადგან გვამი სუსტია მაშინ და ვეღარ იბრძვის. როცა მთვარე ზრდაშია, მაშინ იზრდება და სქელდება ცხოველთა თმა, ჯიქანში — რძე, ზღვაში თევზები მრავლდებიან, ქვეწარმავალნი მრავლად გამოდიან; მათი ნაკბენიც ამ დროს უფრო საშიშია; ხილი მსუქანია, ლამაზი და გემრიელი; ასევე პურეული, ყვავილნი და სხვა. დაკლებისას კი ყველაფერი უკუღმა ხდება. მთვარე არის თესლის, მშობიარობის, სიყვარულის პატრონი. ამ საკითხე ვტნში უკვე იყო საუბარი —

შენ ხარ მომცემი მიჯნურთა მიჯნურობისა სენისა,
შენ გაქვს წამალი მისისა მოთმინებისა თმენისა.

როგორც აღვნიშნე, მთვარე არის სიყვარულში დამხმარე; იგია სიყვარულში კერძოდ დედაკაცთა შემწე; მაგრამ საერთოდ სიყვარულისათვის მამა- და დედაკაცნი მთვარეს მიმართავენ. ეს შეხედულება გამოყენებული აქვს მეთვრამეტე საუკუნეში დავით რექტორსაც —

მო მთვარეო, შემიბრალე
სახმილს ვზი მწველსა...⁴⁵. გვ. 191.

იგივე აზრი გამოთქმული აქვს სხვა მგოსანს —

ახ, მთვარე მთვარევ,
მიჯნურთ იმედო,
შენ ჩემი ტანჯვა
ვით გაგიბედო...

ავთანდილის გალობაში ეს აზრი გარკვევით გამოთქმულია და ასტრონომიული დებადი მთვარის ავსება-დაკლებაზე, და ასტროლოგიური აზრიც.

”მო, მთვარეო, შემიბრალე, ვილევი და შენებრ ვმჭლდები,
მზე გამავსებს, მზევე გამლევს, ზოგჯერ ვსხვლდები, ზოგჯერ ვწვლდები;
მას უამბენ სჯანი ჩემნი, რა მჭირს, ანუ როგორ ვზნდები;
მიდი, უთხარ, ნუ გამწირავს, მისი ვარ და მისთვის ვკვდები (963).

ავთანდილი მთვარეს ემუდარება: შენ შემიბრალე, შენ — სიყვარულის მომცემო მთვარევ; მე ვილევი და შენსავით ვმჭლევდები, სიყვარულის შედეგად; როგორც მზე ავსებს მთვარეს და აკლებინებს მას თავისი სვლის შედეგად, ისე ჩემი მზე თინათინი გამავსებს და გამლევს; ზოგჯერ ვსხვილდები, ვარ სავსე; ზოგჯერ ვწვლდები, ვარ წვრილი ვითარცა ღერო (წველი — ღერო ჩალისა და ბალახისა). ავთანდილი სიყვარულის მფლობელს მთვარეს ავალებს: თინათინს უთხარი ჩემი სჯანი, შეწუხებანი, თუ რა მჭირს, რა დამემართა, როგორ ვზნდები, გული მიმდის; მიდი უთხარი, ნუ გამწირავს მე, რადაც მე მისი ვარ და მისთვის ვკვდებიო.

აქაც ისე ვით ყველა დანარჩენ შემთხვევაში, ავთანდილის ვედრება არის ასტრონომიული და ასტროლოგიური შინაარსისა, დაფუძნებული მნათობთა ასტროლოგიურ ბუნებაზე.

ამით სრულდება ავთანდილის გალობაში მოხსენებული შვიდი მნათობის სია და რიგი, ზემოდან ქვემოდ. ეს უებრო და უტოლო, შეუდარებელი და მსოფლიო მწერლობაში ერთად ერთი შესანიშნავი გალობა სიყვარულზე მნათობებთან დაკავშირებით, სრულდება ყველა ვარსკვლავის მოწოდებით და დამოწმებით, მათი თანაგრძნობით და სიყვარულში თანამონაწილეობით...

ფ). შვიდთა მნათობთა მოწმობა

შვიდი მნათობისადმი ავთანდილის მიმართვას სავსებით გარკვეული დასახულობა და დანიშნული მიზანი აქვს — მნათობთა მეშვეობითა და მეოხებით ავთანდილმა

თავისი დიდი და ღრმა სიყვარული უნდა განიმტკიცოს. როგორ უპასუხებენ მნათობნი ავთანდილს მის ვედრებაზე: —

აჰა, მმოწმობენ ვარსკვლავნი, შვიდნივე მემოწმებიან:
მზე, ოტარიდი, მუმთარი და ზუალ ჩემთვის ბნდებიან,
მთვარე, ასპიროზ, მარიხი მოვლენ და მოწმად მყვებიან;
მას გააგონე, რანიცა ცეცხლნი უშრეტნი მდებიან (964).

დიაჰ, ვარსკვლავნი იგი შვიდნი მნათობნი ავთანდილს ემოწმებიან, ანუ ისმენენ მის გალობას, იწყნარებენ მის ვედრებას და კიდევ მეტიც: მონაწილეობენ მის განცდებში, თანაუგრძნობენ მას ჩივილში და კიდევ ბნდებიან, მისთვის გული მისდით, თვითონვე გონება ეკარგებათ ავთანდილის თინათინისადმი განუსაზღვრელი სიყვარულისა გამო.

არა მარტო მზე, ოტარიდი, მუმთარი და ზუალი თანაუგრძნობენ ავთანდილს, მისთვის ბნდებიან, არამედ მთვარე, მარიხი, ასპიროზ მოდიან და ავთანდილს მოწმედ მიჰყვებიან და მის სიყვარულს ადასტურებენ. მთელი ეს დასტური ისევ თხოვნით თავდება: გააგონეთ მას, თინათინს, თქვენ, შვიდნო ვარსკვლავნო, თუ რა უშრეტი, დაუვსებელი და გაუქრობელი ცეცხლი სიყვარულისა მიკიდიაო.

ავთანდილის სიყვარულის ამბავში მთელი ცა, უდიდესნი და ადამიანთა ბედის წამყვანნი და ხელმძღვანელები მნათობნი მონაწილეობას ღებულობენ და ამგვარად ავთანდილის კერძო პირადული სიყვარული ზოგადი მარადული და მსოფლიური ბუნების მატარებელი ხდება, რადგან მნათობთა გარდა: მხეცნი, ქვანი, ყოველნი სულიერნი, ნადირნი, თევზნი, ნიანგნი, მფრინველნი, ინდო, არაბ, ბერძენი, ეგვიპტელი, — მამასადამე: მთელი კაცობრიობა და მთელი ბუნება თანაზიარობს —

რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან,
მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან,
ისმენდიან, გაჰკვირდიან, რა ატირდის, ატირდიან,
იმღერს ლექსთა საბრალოთა, ღვარისაებრ ცრემლნი სდიან (967).

მოვიდიან შესამკობლად ქვეყნით ყოველნი სულიერნი:
კლდით ნადირნი, წყალშიგ თევზნი, ზღვით ნიანგნი, ცით მფრინველნი,
ინდო- არაბ- საბერძნეთით, მაშრიყნი და მალრიბელნი,
რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით მეგვიპტელნი (968).

ციური ბუნება, მიწიერი ბუნება, კაცობრული ბუნება, მთლიანად მთელი მსოფლიო ავთანდილის სიყვარულს ამოწმებს, ეტრფის მას და ამკობს. ეს არის სიყვარულის გამარადისება, უზენაეს კვარცხლბეკზე მისი აყვანა და დამკვიდრება, მისთვის მუდმივობის დამტკიცება...

* *
*

მაგრამ ამ მოწმობისა და დამოწმების შაირში რატომ არის მნათობთა განლაგება სხვა გვარი ვინემ ეს მნათობთა გალობაშია?

ავთანდილი როდესაც მნათობებს მიმართავს, ამ მნათობთა რიგი ჩვეულებრივია, ზემოდან ჩამოთვლით, გარდა მზისა, რომელიც პირველ ადგილზეა, — 1. მზე, 2. ზუალი, 3. მუშთარი, 4. მარიხი, 5. ასპიროზი, 6. ოტარიდი, 7. მთვარე. მნათობთა დამოწმების შაირში კი ეს რიგი სავსებით შემოღობილია და შეცვლილი. რატომ?

ამ შაირში მნათობნი ორ ჯგუფად არიან განყოფილნი. მოწმობაში მნათობთა ჩამოთვლა შემდეგია: პირველი ჯგუფი: მზე, ოტარიდი, მუშთარი, ზუალი. მეორე ჯგუფი: მთვარე, ასპიროზი, მარსი...

1. მზე — არ არის თავის ადგილზე (ამის შესახებ იხილეთ ცალკე ნარკვევი: მზე შვიდთა მნათობთა გალობაში. "მზისმეტყველება").
 2. ოტარიდი — რიგის მიხედვით უნდა იყოს: ზუალი.
 3. მუშთარი — თავის ადგილზეა.
 4. ზუალი — თავის ადგილზეა.
- მეორე ჯგუფში —
5. მთვარე — უნდა იყოს ასპიროზი.
 6. ასპიროზი — უნდა იყოს ოტარიდი.
 7. მარსი — უნდა იყოს მთვარე.

რით აიხსნება ორ ჯგუფად დაყოფა და ადგილთა შეცვლა?

როგორც ვიცით, ასტროლოგია იმ მთავარ დებულებას ემყარება, რომ მსოფლიოს წონასწორობაში ვარსკვლავთ უპირატესი მდგომარეობა აქვთ, უპირატესი ქმედობა და გავლენა. ეს ქმედობა და გავლენა იწვევს განსაკუთრებულ დადებით, ან უარყოფით თვისებებს იმ არსებაში, რომელიც მას განიცდის და ეს ვარსკვლავნი გავლენას ახდენენ სხვა და სხვა მიმართულებით, და სხვა და სხვა სიძლიერით: და ხდება ეს იმის მიხედვით, თუ მათ ცაზე როდის, რა ადგილი უკავიათ. ვარსკვლავთა გავლენა არ განისინჯება განცალკევებულად, ვინაიდან იგი ყოველთვის დაკავშირებულია იმ ვარსკვლავთა ურთიერთობასთან, რომელიც მეტოქე, ან მტრულ, ან კეთილ გავლენას იწვევს. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ დღიურ ვარსკვლავებად ითვლებიან: მზე, მუშთარი (იუპიტერი), ზუალი (კრონოს, სატურნუსი). ეს ვარსკვლავნი თავიანთ საუკეთესო გავლენას ახდენენ დღისით; ხოლო ღამით კი ასეთი კარგისა და კეთილი გავლენის ვარსკვლავებად ითვლებიან: მთვარე, მარიხი (მარსი) და ასპიროზი (ვენუსი); ხოლო ოტარიდს (მერკურიუსს) სამუშალო მნიშვნელობა მიეწერება.¹²⁷

ვეფხისტყაოსანში ვარსკვლავთა ორ ჯგუფად დაყოფასა და სხვანაირ დალაგებას, მაშასადამე, თავისი ასტროლოგიური მნიშვნელობა აქვს და იქ ეს მნათობნი განზრახ არიან ამგვარად განაწილებულნი .

მნათობთა პირველი ჯგუფი: მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზუალი დღისით არიან ადამიანის ბედისათვის კეთილნი და მარგებელნი.

მეორე ჯგუფი: მთვარე, ასპიროზი და მარიხი მხოლოდ ღამით არიან ადამიანის ბედისათვის კეთილნი და მარგებელნი.

ოტარიდი საშუალო ადგილს იჭერს: კარგთან — კარგია; ცუდთან — ცუდი. ვტნში
ოტარიდი დღის ვარსკვლავთა შორის იმყოფება და ამიტომ კარგია. ამ კარგ
ვარსკვლავებთან ერთად, ისიც კარგი ბედის აღმთქმელია.

ამგვარად, ვტნის მნათობთა ეს ორი ჯგუფი ასტროლოგიური სწავლის მიხედვით ისეა
დალაგებული, რომ ორივე ჯგუფი სიკეთისა და ბედნიერების მომტანი არის:
პირველი ჯგუფი — დღისით (მზე, ოტარიდი, მუშთარი, ზუალი); მეორე ჯგუფი კი —
ღამით (მთვარე, ასპიროზი, მარსი). და სწორედ ამიტომ, ორივე ჯგუფის კეთილნი
მნათობნი ავთანდილისათვის ბნდებიან, და ყველა ერთად მას თინათინის
სიყვარულში თანხმობით ემოწმებიან, მას სიყვარულში ეხმარებიან და მისი
სიყვარულის მოციქულნი ხდებიან.

თავი 3. ავთანდილის გალობა

ყოველთვის მალიზიანებდა გამეგო, თუ რატომ **გალობს** ავთანდილი მნათობთა
წინაშე. მართალია, ავთანდილი კარგი მოგალობე იყო —

მიიმღერდის ხმას ტკბილსა, არ დასწყვედდის ცრემლთა რუსა,
მისსა ხმასა თანა ხმაცა ბულბულისა ჰგვანდის ბუსა (966),

მაგრამ ეს არაა საბუთი იმის გამოსარკვევად, თუ თავის ლოცვას, ვედრებას
ავთანდილი გალობით რატომ წარმოსთქვამს. მას შეეძლო ეს თავისი აჯა მარტივად
სიტყვით ეთქვა! არა. მან ეს სიტყვანი გალობით წართქვა.

გალობით ლოცვის თქმა ძველთა ძველი ჩვეულებაა და ყველა რელიგიაში
ხმარებული. ევლოგია, ანუ ქება ღმრთისა, ხოტბა უფლისა ყველგან განვითარებული
იყო და იგი დიდად ცნობილი კილო იყო. სულ ძველი ამბავი რომ დავტოვოთ, —
ესაია წინასწარმეტყველის ცად ასვლის ამბავით, — თითოულ შვიდ ცათაგანში
ანგელოზნი და წმიდანნი ორ გუნდად გალობენ და ღმერთს ადიდებენ. და ეს ისეთ
შთაბეჭდილებას ახდენს, რომ თვითონ ესაიაც გალობს. დავით მეფის ფსალმუნი,
გალობანი ისრაელთა სამლოცველოში, ქრისტიანთა საყდარში და ყველგან სხვაგან
ხომ ჩვეულებრივი მოვლენანი არიან. ამას საფუძველად უძვეს თეორია მსოფლიოს
მუსიკალური მოწყობის, ანუ მუსიკალური ჰარმონიის შესახებ. პლატონსაც აქვს ეს
ნაჩვენები სირენათა გალობით, რომლის შესახებ მაკრობიუსი ლაპარაკობს.

დინამეის, რომელნი გალობენ უმაღლეს ცათა შორის, არიან უეჭველად ისრაელი
ანგელოზნი, რომელნი მნათობურ ღმერთებან არიან დაკავშირებულნიო, — ამბობს ი.
კროლლ. სლავური წიგნი ჰენოხისა მოგვითხრობს, მეშვიდე ცაში ცხრა გუნდი
ანგელოზთა არის, და მესამე რიგში დინამეის არიანო.

ანგელოზთა გალობის შესახებ ხშირადაა ლაპარაკი ქრისტიანულ მწერლობაშიც, —
და ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ერთი ხმით გალობს. ანგელოზნი და
მთავარანგელოზნი, ქერუბიმნი და სერაფიმნი ღმერთს განუწყვეტელ დიდებას
უგალობენ: წმიდა არს, წმიდა არს უფალი, ღმერთი საბაოთ და სხვა.

ყველა ამ გალობას არა მარტო ღმერთის ქებისა და დიდების დანიშნულება აქვს, არამედ მსოფლიოს მუსიკალური ჰარმონიის აღნიშვნა და დამტკიცება და მისი დიდება. 53. გვ. 308, 328.

ავთანდილი, რასაკვირველია, შეგნებულად თავისი გალობით ღმერთთა შვიდთა მნათობთა წინაშე გალობს. იგი აგრეთვე ამით მსოფლიოს ჰარმონიის წინაშეც წართქვამს გალობას და თავისი სიყვარულისათვის შედის ამ ჰარმონიაში, და ამ ჰარმონიით თავის სიყვარულს თინათინს უკავშირებს.

თავი 4. შვიდთა მნათობთა ბუნება

მზე. შვიდთა მნათობთადმი გალობაში დახასიათებული მზის ბუნება არაფრით არ განსხვავდება იმ მზის ბუნებისაგან, რომელიც ბაბილონურ - ქალდეურ შვიდთა მნათობთადმი თაყვანებაში იყო აღიარებული. ამ ვარსკვლავურ სარწმუნოებაში მზის ბუნება იყო აგრეთვე, სხვა ნიშანთა გარდა: მძლეთა მძლე, მორიგი და მმართველი მსოფლიოსი, დამცველი და მფარველი სამართალისა, მომნიჭებელი ბედნიერებისა, სიყვარულში შემწე და სხვა.

ზუალი. ჯერ კიდევ სუმერთა ხანაში, მეოთხე ათასეულ წლებში ქრისტეს წინ, ზუალი "შავ" ვარსკვლავად ითვლებოდა, თუმცა სინამდვილეში იგი არის თეთრი სავსებით და ბრწყინვალე. მას უბედურებას მიაწერდნენ.

ბაბილონურ - ქალდეურ მნათობა სარწმუნოებაში (და დღესაც) ზუალი "შავი" ვარსკვლავია, უბედურობის მომტანი.

თავის თავად ცხადია, ავთანდილის გალობაში დასახელებული ზუალი არის ასტროლოგიური სამლოცველოს მნათობი.

მუშთარი. ძველად მუშთარი ღმერთთა რიგში იყო და მეფის ვარსკვლავად ცნობილი. ბაბილონურ-ქალდეურ ვარსკვლავთ თაყვანებაში მუშთარი იყო ყოველად მცოდნე და ბრძენი, მოსამართლე მართალი და სხ. სწორედ ასეთივეა ავთანდილის ვედრებაში დახასიათებული მუშთარი.

მარიხი. რასაკვირველია, მარიხი აქ ყველა თავისი თვისებებით ასტროლოგიურ სამლოცველოს ეკუთვნის.

ასპიროზი. ასპიროზი სუმერთა შორის მეოთხე - მესამე ათასეულ წლებში ღმერთთა სამების წევრი იყო, იმტარის სახელით: დიაცი ღმერთი სიყვარულისა, მკურნალი. ყველა ნიშანით, უეჭველია, ავთანდილის ასპიროზიც ასტროლოგიურ ტაძარს ეკუთვნის.

ოტარიდი. ბაბილონურ-ქალდეურ შვიდთა მნათობთა წევრია. ვითარცა მწერალი ღმერთი იგი საწერით არის აღჭურვილი. ავთანდილის ოტარიდიც ამ ასტროლოგიურ სალოცავ სახლს მიეკუთვნება.

მთვარე. ყველა თავისი ნიშანით არის აგრეთვე ასტროლოგიური ღმერთი.

* *
*

შვიდთა მნათობთადმი გალობის შინაარსის განხილვამ მეტად მნიშვნელოვანი ნაყოფი გამოიღო.

ავთანდილის გალობა, ანუ ვედრება შესრულებული არის ასტროლოგიური თეოლოგიის, ანუ მნათობთა ღმერთთათვის საჭირო და განმტკიცებელი წესით:

ავთანდილი მნათობთა ბუნების ნიშნებს ასახელებს; იგი მნათობთ მოუწოდებს; იგი მნათობთ თავის თხოვნას ეუბნება და მის შესრულებას ემუდარება; და მნათობნი ამ სამლოცველო წესის შესრულებით დაკმაყოფილებულნი, ვითარცა მნათობნი-ღმერთნი მლოცველს ვედრებას უსმენენ, მისი ხვეწნის საგანს იზიარებენ და მას შემწეობას ჰპირდებიან.

ვედრების საგანია — სიყვარული; მისი შენარჩუნება; მისი განმტკიცება და გამუდმივება; სიყვარულის განამდვილება.

ავთანდილის მთელი ეს თხოვნა შესრულებულია ასტროლოგიური წესით, რაც საჭიროა და აუცილებელი მნათობ-ღმერთებთან ურთიერთობისათვის.

მართალია, ავთანდილის მიერ ჩამოთვლილნი ნიშანნი მნათობ-ღმერთთა ბუნებისა და ხასიათისა — არსებითად ბაიბლონურ - ქალდეურნი — ასტროლოგიის განვითარების შემდეგ გზაზე აღიარებულ და შეთვისებულ იქმნენ ასტროლოგიურ მოძღვრებათა მიერ, მაგრამ ამ შემდეგი ხანის ასტროლოგიურ სწავლაში მნათობთა დახასიათებანი — ყველგან გავრცელებულნი, დაწვრილმანებულნი და დაქუცმაცებულნი არიან.

ავთანდილის გალობა არის საკუთარი გალობა, პირადად მისი გალობა. იგი არც ერთ ასტროლოგიურ სწავლას არ ეკუთვნის განკერძოებით. ავთანდილის გალობა შექმნილია ვეფხისტყაოსანის დამწერის მიერ და მისი მსგავსი გალობა არც ერთ სხვა თხუზულებაში არ არსებობს. ეს გალობა მხოლოდ და მარტოდ რუსთაველისეხურია და მიუწდომელი თავისი შინაარსით, აზრით, მიზანითა და მუსიკით.

დასკვნა

შვიდთა მნათობთადმი ავთანდილის გალობის განკითხვამ გვაჩვენა, რომ შვიდნი მნათობნი აქ ასტროლოგიურ ღმრთისმეტყველებას ეკუთვნიან; დაგვარწმუნა, რომ ყველა შვიდი მნათობი არის ვარსკვლავური ღმერთი.

ვთქვათ დასახელებით.

ვეფხისტყაოსანის შვიდთა მნათობთადმი გალობაში — 1. მზე არის ღმერთი; 2. ზუალი არის ღმერთი; 3. მუშთარი არის ღმერთი; 4. მარიხი არის ღმერთი; 5.

ასპიროზი არის ღმერთი; 6. ოტარიდი არის ღმერთი და 7. მთვარე არის ღმერთი. ყველა ეს ღმერთი არის ასტრალური, ანუ ვარსკვლავური ღმერთი, რომელიც ასტროლოგიურ თეოლოგიას ეკუთვნის.

მაშასადამე, შვიდთა მნათობთადმი გალობა არის ასტროლოგიური გალობა, შექმნილი ვტნის ავტორის მიერ და შესრულებული უსაკვირველესი ხელოვნებით. ოღონდ ვიყოს ფრთხილი და ვიკითხოთ: — იქნებ ვცდებით და ავთანდილის გალობაში ნაჩვენებნი მნათობთა დახასიათებანი სხვა რომელიმე ასტროლოგიურ სწავლაში მოიპოვებიან? განვიხილოთ.

* *
*

უკვე აღნიშნული მქონდა შვიდი მნათობის განაწილების ამბავი. უძველეს ბაბილონში შვიდი მნათობი ორ გუნდად იყო გაყოფილი: ერთი მხრივ მზე და მთვარე, ხოლო მეორე მხრივ დანარჩენი ხუთი მნათობი. მართალია, ყველა ღმერთად ითვლებოდა, გარნა უპირატესობა მათ შორის მაინც მზესა და მთვარეს ენიჭებოდა. ხოლო მას შემდეგ რაც ბაბილონური მნათობთა თაყვანების რწმენა სპარსულ მაზდეანურ რელიგიას შეეზავა მეხუთე საუკუნეში ქრისტეს წინ, აქ მოხდა ამ ხუთი მნათობის ჩამოქვეითება. ამ შენაზავებ რელიგიაში ეს ხუთი მნათობი ღმერთად კი აღარ ითვლებოდა, არამედ დემონად, სატანურ, ბოროტ ძალად. და როგორც ამბობს პროფ. ბუსსეტ, — ეს რწმენა შემდეგ უკვე საბერძნეთშიც გავრცელდა და მან გნოსტიციზმში ძირი გაიდგა.

თავის თავად ცხადია: ავთანდილს არ შეეძლო თავისი ვედრებით ამ სპარსული ხუთი მნათობის წინაშე ეგალობა, რადგან ეს ხუთი მნათობი სპარსულ რწმენაში ბოროტი ძალაა.

* *
*

გნოსტიკოსთა სწავლაში მსოფლიოს შესახებ დამახასიათებელია სოფლის შემქნელი შვიდი ძალა, რომელთა მატერიული ქვეყანა შექმნა და მას განაგებს. ეს შვიდი ძალა არის ნახევრად ბოროტი, ნახევრად მტრული ძალა; ეს შვიდი შემოქმედი ძალა არის ნამდვილი დემონური ძალა — შვიდი მნათობი. გარდაცვალებულის სულმა უნდა შეძლოს გზა გაიკაფოს ამ ქვემო ქვეყანიდან ზემო მხარესაკენ, ნათელის სასუფეველისაკენ, საიდანაც იგი, გარდაცვალებული სული ჩამოსულია. ამ სულმა უნდა გადალახოს ბოროტი შვიდი მნათობის მხარე და მან საამისოდ სათანადო საშუალებანი უნდა ისწავლოს: სახელნი, სიმბოლონი, თქმანი, რომელნი მნათობთათვის საჭირო არიან, — და ამას გარდა — აქ სააქაოში ღვთიური ცოდნის (გნოსის) გამოცხადების მიღებით და ნივთიერი ცხოვრების უარყოფით, ნათელის მხარესაკენ გზა გაიკვლიოს. აქედან არის წარმომდგარი ”გნოსის” მიმდევართა, ანუ გნოსტიკოსთა ხორცთა დათრგუნვისა და ასკეტიზმის შესახებ ქადაგება და მისი განამდვილება. ¹²⁸.

ანუ, როგორც ამბობს დრ. ს. პეტრემან —

გნოსტიკოსების აზრით, შვიდნი მნათობნი, რომელნი სუფევენ ერთი მეორეზე დამყარებულ შვიდ ცაზე, სულის ზეცად ასვლას ეწინააღმდეგებიან და ჩვენ ღმერთს გვაშორებენ, მისგან გაგვყოფენო. ისინი არიან აგრეთვე ძალნი, რომელნი მათ მიერ შექმნილ ქვეყანას განაგებენ. ამგვარად, შვიდნი მნათობნი თავიანთი ძალით ქვეყანას განაგებენ და ღმერთი არის უცხო ამ ქვეყანისათვის. ამნაირად, მნათობნი გნოსტიციზმში ბოროტი არსებანი არიანო. ⁵⁸ გვ. 152-153.

განა შესაძლებელია იფიქროს ვინმემ, ავთანდილი სპარსული შეხედულებისაა, ან გნოსტიკოსთა მიერ დასახულ მნათობებს მიმართავდა თავისი გალობით? ავთანდილს ამ ბოროტ მნათობთა წინაშე კრინტის დაძვრაც კი არ შეეძლო, არამც თუ ვედრების გალობის წართქმა.

* *
*

მაშ, იქნებ მითრაიზმის სწავლის მიხედვით წარმოდგენილ მნათობებს მიმართა სიყვარულზე მაგალობელმა ავთანდილმა?

თუ ადამიანს სული საიდან და რომელი მხარედან უდგება გვამში, — ეს საკითხი მრავალ ნაირად არის გადაწყვეტილი. სული მოდის ზემოდან, ციდან; მას აგზავნის ან თვითონ ღმერთი, ან ნუს = გონება, ან მსოფლიო სული, ან მზე და სხვა.

მითრაიზმის შეხედულებით, სული ჩამოდის ციდან და შედის დასაბადებელ გვამში. თუ სულის ცხოვრება აქ უცოდველი იყო, სული მაშინ ისევ ცას უბრუნდება და ვინაიდან ცა გაყოფილია შვიდ მხარედ, ამიტომ მან შვიდი მნათობის სარტყელი უნდა განვლოს, და რადგან მიწაზე ჩამოსვლისას თითოულმა მნათობმა სულს სათანადო თვისებანი მიანიჭა, ამიტომ მან, დაბრუნებისას ეს თვისებანი ისევ მნათობებს უნდა დაუტევოს და ამგვარად გაწმედილი, სულთა სამყოფელში, ნათელის ქვეყანაში, ანუ ემპირიუმში აბრძანდება.

- 1). სულმა მთვარეს უნდა დაუბრონოს ის თვისებანი, რომელნი მთვარეს ეკუთვნიან: ცხოვრებისა და კვების ძალა,
 - 2). მერკურიუსზე სულმა უნდა დასტოვოს მერკურიუსისაგან ბომბებული თვისებანი: სიხარბე და ანგარება,
 - 3). ვენუსს ერგება: სქესობრივი სურვილები,
 - 4). მზეს მიეცემა უკან: გონების ნიჭი,
 - 5). მარსზე დარჩება: მხედრული მამაცობა,
 - 6). იუპიტერი მიიღებს უკანვე: პატივ მოყვარულ სურვილთ და
 - 7). სატურნუსი ჩამოართმევს სულს: სიზარმაცისა და მცონარეობის თვისებებს.
- განიწმიდა ამგვარად სული და ავიდა ნათელის მხარეში.
ამნაირად: აქ ჩვენ მნათობთა თვისებებს ვეცნობით მითრაიზმის მოძღვრების მიხედვით. ¹²⁹.

ცხადია, არც აქ, მითრიაზმში დახასიათებულნი მნათობნი თავისი ბუნებითა და ხასიათით არ ემსგავსებიან ავთანდილის მნათობთ. მაშასადამე, შეუძლებელია ავთანდილის გალობა მითრიაისტული იყოს.

* *
*

იქნება ავთანდილის მიერ მოხსენებულნი მნათობნი მანიქეურნი არიან?

მანი-ს ანუ მანეს-ის (215/16 — 272/73) სწავლა, ანუ მანიქეიზმი ორადი, დუალისტურია. მსოფლიოში ორი არსება არის, თავდაპირველად ერთი მეორესაგან ცალკედ მყოფი — ნათელი და წყვდიადი. ნათელი, ანუ ნათელის სამეფო არის კეთილი პირველადი სული (ღმერთი) და შემდეგ ნათელის ცანი და ხმელეთი ნათელისა, თავიანთი გუმაგებით: დიდებულნი აეონნი, ანუ ანგელოზნი. წყვდიადი არის ზოროტი სულის სამეფო, რომელს მეთაურად "ღმერთი" არა ჰყავს; იგი შეიცავს ხმელეთს, დედამიწას, ბნელეთს. ნათელის დედამიწას აქვს ხუთი ნიშანი = სიმბოლო (ნაზი ზეფირი, გამაგრილებელი ნიავი, ფართო ნათელი, მღვივე ცეცხლი და წმიდა წყალი), ხოლო წყვდიადის დედამიწას აქვს აგრეთვე ხუთი სიმბოლო (ბურუსი, სიცხე, ცხელი ქარი, სიბნელე და ორთქლი). სატანა თავის დემონებთან ერთად დაიბადა წყვდიადის სამეფოსაგან. ეს ორი სამეფო (ნათელისა და წყვდიადისა) დაწინააღმდეგებული არის, — თუმცა ერთმანეთს ეხებიან, მაგრამ ერთმანეთს არ შეერევინან. მერმე მოხდა ბრძოლა. სატანა შეიჭრა ნათელის სამეფოში, ნათელის დედამიწაზე. ნათელის ღმერთმა გაგზავნა პირველადი კაცი, აღჭურვილი ხუთი წმიდა ელემენტით სატანას წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ სატანამ ამ პირველ კაცს სძლია, და თუმცა ნათელის ღმერთი ჩაერია თავისი ახალი აეონებით (სინათლის სულნი და სხვა) და დაამარცხა სატანა, განთავისუფლდა პირველადი კაცი, მაინც ამ უკანასკნელს უკვე წართმეული ჰქონდა ნაწილი ნათელისა წყვდიადის მიერ, და ხუთი ბნელი ელემენტი ნათელის თაობებთან უკვე შეერივა...

ასეთია მოკლედ ეს მოძღვრება მანისა დაბადების, შესაქმის შესახებ. თვითონ მანი თავის თავს "ნათელის მოციქულად" და "მაცხოვარად" სთვლიდა.

მანის ანუ მანიქეოსის ეს სისტემა მრავალ გვარ ზღაპრულ აღწერას შეიცავს, თუ წყვდიადის მიერ დაჭერილნი სინათლის ნაწილნი როგორ განთავისუფლდებიან და ნათელის ღმერთთან როგორ ადიან. ვინც თავისი სიცოცხლის გზაზე მანიქეიზმის წესებს არ ადასრულებს, იგი იძულებული იქნება სააქაოში მრავალი განწმედა გაიაროს, სანამ მას შეეძლება ნათელის ნეტარებთან შეერთება. როდესაც ნათელის ყველა ნაწილი განთავისუფლდება, მოვა ქვეყნის ბოლო. ყველა სახელოვანი სული შემოკრება, თვით ღმერთი ნათელისა გამოცხადდება, აეონთა და მართალთა მიერ თანხლებით, ხოლო ანგელოზნი, რომელთ მსოფლიო ხელთ ეჭირათ, მას ხელს გაუშვებენ, და ყველაფერი ჩაილეწება, ვეებერთელა ხანძარი მთელს მსოფლიოს შთანთქავს და სრული დაშორება ნათელსა და წყვდიადს შორის ერთჯერ კიდევ შესრულდება.

ამგვარ კოსმოსურ ფილოსოფიაზე დამყარებით, მანიქეანთა ზნეობაც (ეთიკა) არის ორადი, ანუ დუალისტური და ასკეტური. რასაკვირველია, ასეთი ზნეობის

მატარებელი შეიძლება მხოლოდ მცირე რიცხვი ყოფილიყო: რჩეულნი და სრულნი (ელექტი, პერფექტი) და მათ გარდა უბრალო მსმენელნი (აუდიტორეს); რჩეულთ არა ჰქონდა ნება: კერპის პატივისა, კუდიანობისა, სიძუნწისა, სიცრუისა და სხ. მათ არა ჰქონდა ნება რაიმე ცოცხალი არსება მოკლათ, ხორცი ეჭამათ და სხვა. ¹³⁰.

მანიქეიზმში, — ამბობს აკადემიკოსი რ. ბერთელო, — მორწმუნენი გაყოფილნი არიან "მსმენელებად" და "სრულყოფილებად" — ეს უდრის ბუდთისტურ დაყოფას: უბრალო მორწმუნეთა და ბერებად. პირველნი, "მსმენელნი" ვალდებული არიან "სრულყოფილთ" მიაწოდონ საკვები და სხვა, ცხოვრებისათვის საჭირო საგნები. "სრულყოფილნი" ვალდებული არიან სრულად თავი შეიკავონ (არავითარი სქესობრივი კავშირი) არ სჭამოს ხორცი და არ მიირთვან მათრობელი სასმელი, არ წახდინონ არავითარი მცენარე, არ იპყრონ ქონება: ეს არის ბუდთიზმის მიზანმიმართული მანისათვის ყოველი მატერია არის ბოროტი; და შემდგომად, კაცთა შორის სქესობრივი გზით თაობათა წარმოშობაც, ესე იგი, სიყვარული და ოჯახი არის ცუდი, სატანური. ¹³¹ა. გვერდი 329–330.

ამგვარ რელიგიაში, სადაც დაპირისპირებულია ორი დებულება: ნათელისა და წყვდიადის ბრძოლისა, გასაკვირველი არაა, მნათობებს დიდ ადგილი სჭეროდან სინათლის განთავისუფლების საქმეში, — ამიტომ შვიდი მნათობი თავის თავად მანიქეიზმში გადამწყვეტ კეთილ ძალად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, მაგრამ ეს ასე არაა.

მართალია, მზესა და მთვარეს მანიქეიზმში საპატივო ადგილი ეჭირათ (თუმცა არც ერთი არც ღმერთს და არც ღვთიურ არსებას არ წარმოადგენდა), მაგრამ დანარჩენი ხუთი მნათობი კი ბოროტ, დემონიურ ძალად იყო აღიარებული, და კიდევ მეტიც, — როგორც ამბობს ს. პეტრემან:

თუმცა მზე და მთვარე მანიქეიზმში კეთილ ძალად გარდაიქცნენ, ამის მიუხედავად, მანის მიმდევარნი მაინც განაგრძობდნენ ლაპარაკს შვიდი მნათობის (მამასადამე, აგრეთვე მზისა და მთვარის) დემონიური ძალის შესახებო. ⁵⁸. გვ. 200.

* *
*

განა ავთანდილს შეეძლო თავისი ლოცვა მანიქეიზმში წარმოდგენილ შვიდთა მნათობთა წინაშე ეგალობა? ეთქვა თავისი ვედრება მანიქეურ ბოროტ მნათობთა წინაშე? ასეთი ეჭვიც კი შეუწყნარებელი იქნებოდა!

მით უმეტეს გაუგებარია და გასაკვირველიც პ. ინგოროყვას მტკიცება რუსთაველის მანიქეანობის შესახებ. პ. ინგოროყვა ამბობს —

"ჩვენი ეს აღმოჩენა, — რომ შოთა მანიქეიზმის მოძღვრებას იზიარებდა (იზიარებდა?! აკი მანის ორდენის მეთაური იყო?! ვ. ნ.) — იძლევა ნამდვილ გასაღებს ვეფხისტყაოსანის პრობლემისას"-ო.

ეს "ნამდვილი გასაღები", უეჭველად, პავლე ინგოროყვას ფანტაზიაშია და ამ ოცნებით ვეფხისტყაოსანის არც ერთი "პრობლემა" არ გაიღება. მხოლოდ პ. ინგოროყვას ოცნება კი აიხსნება.

ავთანდილის გალობაში სიყვარულის ასეთი გადაიდებისა და გადიდებულესობის შემდეგ განა შეიძლება კაცმა ვეფხისტყაოსანში მანიქეანთა მოძღვრების რაიმე გადანაშთიც კი იპოვნოს? ვეფხისტყაოსანი სიცოცხლის, სიყვარულის, სიხარულის გამარჯვების გალობაა, და განა შეიძლება მისი შემთხუზველი მანის მიმდევარი ყოფილიყო, არა უბრალოდ მიმდევარი, არამედ მანი-ს ორდენის მეთაურიც კი?!

პავლე ინგოროყვას გამოკვლევით ვეფხისტყაოსანი დაწერილია 1196 — 1207 წელთა შორის. მისი დამწერი ყოფილა "კუპარ" შოთა და "მანის ფერი"; კუპარი არის განდგომილი; მანის ფერი არის მანის რელიგიური ორდენის მეთაური. ასე გვიმტკიცებს მკვლევარი ინგოროყვა. და აი, თურმე ამ მანიქეან შოთას, მანის ორდენის მეთაურს რუსთაველს დაუწერია დიდი სიყვარულის დიდი პოემა ვეფხისტყაოსანი!... განა ეს შესაძლებელი იყო? პასუხი მხოლოდ ერთია: მანის მიმდევარს, მით უმეტეს მანის ორდენის მეთაურს სიყვარულის, მიწიური სიყვარულის თხუზულება — ვეფხისტყაოსანი, — არ შეეძლო დაეწერა. რატომ? იმიტომ, რომ მანიქეანნი ორ გუნდად განიყოფებოდნენ: 1) მსმენელნი და 2) სრულყოფილნი. მსმენელნი უბრალო მორწმუნენი იყვნენ და მათ მკაცრად არ მოეთხოვებოდათ მანიქეური ზნეობის განამდვილება, მაგრამ "სრულყოფილნი", ანუ სრულადნი კი ვალდებულნი იყვნენ მკაცრად დაეცვათ მანიქეური ზნეობა. და ვინაიდან პ. ინგოროყვა გვასწავლის, შოთა რუსთაველი მანიქეური ორდენის მეთაურიც კი ყოფილაო, ამიტომ მას უეჭველად მოეთხოვებოდა მანიქეური მორალის დაცვა. სრულყოფილმა მანიქეანმა არ უნდა სჭამოს ხორცი, მას არ უნდა ჰქონდეს რაიმე საკუთრება; მას ეკრძალება ომი, ნადირობა, ვაჭრობა, მეურნეობა, და საერთოდ ყველა საერო მოქმედება; მას შეუძლია საჭმელი მხოლოდ ერთჯერ ჭამოს დღეში და წელიწადში ერთჯერ გამოიცვალოს ტანისამოსი; იგი ქვეყანას უნდა გაშორდეს და სხვა და სხვა ამგვარი ასკეტური მოთხოვნილება შეასრულოს; მაგრამ რაც მთავარია, მანიქეანთ სრულიად აკრძალული აქვთ სქესობრივი ცხოვრება, აკრძალული აქვთ სწორედ მანის ორდენტა მეთაურთ, ცოლქმრობა, აკრძალული აქვთ მიწიური სიყვარული და სხვა.¹³¹

და აი, შოთა რუსთაველს, ვითარცა მანის ორდენის მეთაურს ყველა ეს მოთხოვნილება უნდა შეესრულებინა, — და წარმოიდგინეთ — ვეფხისტყაოსანიც დაეწერა! არა! ყოვლად წარმოუდგენელია ვინმე მანიქეანთა ორდენის მეთაურს მიწიერი და ხორციელი სიყვარულისათვის ასეთი შესანიშნავი პოემა მიემღვანა, როგორცაა ვეფხისტყაოსანი! და ავთანდილისათვის ეგალობებინა შვიდ მნათობთა წინაშე სიყვარულის უდიდესი ჰიმნოსი!

* *
*

სიყვარულზე და სიყვარულის გამო ავთანდილის უშესანიშნავესი გალობის შემდეგ კიდევ უფრო უცნაურად უნდა გვეჩვენებოდეს, როცა ნ. მარრმა და შემდეგ, განუკითხავად, მისმა მიმბაძველებმა და გამმეორებლებმა შოთა რუსთაველი

”ნეოპლატონიკად” გამოაცხადეს და კიდევ უარესი: ვტნის სიყვარული — ”ნეოპლატონისტური სკოლის” სიყვარულად. და ვტნის სიყვარული თურმე ”მჭერმეტყველური საბუთი არის იმისა, რომ ჩვენი პოეტი ეკუთვნის ნეოპლატონიკურ სკოლას”-ო. იუსტ. აბულაძე გვაცნობებს —

”ნეოპლატონიკური იდეებით გაჟღენთილია ამ ნაწარმოების ყველა საუკეთესო ადგილი... ხოლო თვით გამოყვანილი სიყვარული, ამ დიდებული ნაწარმოების მთელი ჭახრაკის ამამოძრავებელი, განმაცოცხლებელი, ჭველად მიმდინარი მთელს პოემის შინაარსში, ყველაზე მჭერმეტყველური საბუთი არ არის იმისა, რომ ჩვენი პოეტი ეკუთვნის ნეოპლატონურ სკოლას?”...¹³².

ამ საკითხს გაკვირვებით ერთჯერ უკვე შევეხე (იხილეთ ჩემი ”ვტნის ფერთამეტყველება”, გვ. 181) და დაწვრილებით ამის გამო ”ვტნის ღმრთისმეტყველება”-ში არის საუბარი, ამიტომ ამ საკითხს აქ აღარ ვაფართოებ, ოღონდ ნეოპლატონიზმს დავახასიათებ იმ სიტყვათა განმეორებით, რომელნი აბერდინის უნივერსიტეტის პროფესორ ვილლიამ დევიდსონს უთქვამს —

”ნეოპლატონიანნი იყვნენ არსებითად რელიგიური ფილოსოფოსები და მისტიკოსები; და განწმედა სულისა და მისი თანისთანობითი დახსნა (გამოხსნა) გრძნობათაგან და მატერიისაგან, იყო მათი უმაღლესი მიზანი. ამიტომ, ისინი, ნეოპლატონიანნი დიდ მნიშვნელობას მიაწერდნენ პლატონის იმ სწავლას, რომელი კათარსის (განწმედას) ეხება, და შეუთვისეს რა თავიანთ სისტემას აგრეთვე ორფიზმი და პითაგორეიზმი რამდენად ესენი მათ მიზნებს ემსახურებოდნენ, იგინი ქადაგებდნენ ცხოვრების ისეთ წესს, რომელს, თუ დაჟინებით გასდევდი, მიგიყვანდა ქვეყნის უარყოფაზე და ღმრთიულობაში გათქვევამდე. ყველა ნეოპლატონიანის უდიდესი მიზანი იყო: განთავისუფლებულიყო სხეულის არტახებისაგან; გვამს განიხილავდნენ ვით ბუნებრივად უწმიდურსა და უკეთურს; სულისათვის დამჭერ სატუსალოდ, როგორც წყაროს ცოდვათა და მახინჯობისასო, — ამგვარად, ყველა სურვილი, და კერძოდ, სიყვარულის სურვილი ნეოპლატონიზმისათვის მისტიციზმშია ჩაღუპულიო. ¹³³. აბა, თქვით, ასეთ მოძღვრებას რა კავშირი აქვს ვეფხისტყაოსანთან, რომელიც თავიდან ბოლომდე სიყვარულის გალობაა?!

და თუ საქართველოში ვეფხისტყაოსანის სიყვარული ნეოპლატონურად გამოაცხადეს, ამისი მიზეზი მხოლოდ უცოდინარობა იყო...

* *
*

იქნებ მკითხველს მოსაბეზრებელად არ მოეჩვენოს, თუ შვიდთა მნათობთა შესახებ სხვა სწავლათაც გავიცნობთ და მას ვეფხისტყაოსანის შვიდთა მნათობთა ბუნების დახასიათებას შევადარებთ.

თავი 5. ქარრანული ვედრება

ვარსკვლავთა ბუნების დახასიათება ქარრანელთა ანუ საბიანთა სწავლის მიხედვით დღესაც კარგად ცნობილია. ტაბარი, არაბი მწერალი, ძვირფას ცნობებს გადმოგვცემს

საბიანთა ლოცვების შესახებ, რომელიც მოთავსებულია შესანიშნავ კატალოგში — კოდიკუმ ასტროლოგორუმ გრაეკორუმ. ¹³⁴. —

როდესაც შენ გასურს რომელიმე მნათობს ლოცვით მიმართო და მას რაიმე თხოვო, წინასწარ ყოვლისა ადავსე სული შენი შიშით უზენაესი ღმრთის წინაშე, განიჭმიდე გული ცუდ ფიქრთა გაძევებით, სამოსელთა გასუფთავებით, განსპეტაკდი სულით და გასინჯე, თუ რომელ შვიდ მნათობთაგანს უნდა მიმართო შენი თხოვნით, რაც უნდა იყოს თანხმობაში თვით თხოვნის ხასიათთან. მერმე ჩაიცვამ შესაფერ სამოსელს, უკმევ მნათობს საკმეველს და მიმართავ მას ვედრებით მას შემდეგ, რაც ეს მნათობი ცაზე იმ ადგილას გამოჩნდება, რომელსაც მიგითითებ. ყველაფერს ამას მოიმოქმედებ თუ არა, სურვილი შენი შესრულდება და შენ მოგენიჭება ის, რაც ითხოვეო, — ასე განუმარტეს ტაბარის ქარანელთა ტაძარის საბიანთა უფროსებმა მნათობთა მიმართვის წესი. (ქარანელნი ცხოვრობდენ სირიაში და იყვნენ მნათობთაყვანისმცემელნი).

სატურნუს. შეევედრე მას, რაც შენ გასურს მოგეცეს კეთილშობილ (წესნიერ) შეიხებისაგან, უფროსთაგან, ძველ გვარიან ხალხისაგან, სათნო კაცთაგან, მიწის მფლობელისაგან, მოხელეთაგან, რომელთაც აბარიათ გვირგვინის გამგებლობაში უმემკვიდროდ დარჩენილი ან ჩამორთმეული მამული, მოხელეთაგან, მეურნეთაგან, ხუროთმოძღვართაგან, მონათაგან, ქურდთაგან, მშობელთაგან, პაპათაგან და მოხუცთაგან. შეასრულე ეს ვედრება, როდესაც ხარ მოწყენილი, ან როდესაც გტკივა შენ შავი ნაღველი. მოთხოვე მას, სატრნუსს ყველაფერი ის, რაც მის ბუნებას შეეფერება, და მოიწვიე მერმე ამავე დროს იუპიტერი, რომელიც იმას, რასაც სატურნუს აფუჭებს, მას გამოასწორებს ხოლმე. ვინაიდან ზოგჯერ შეევედრები მნათობს შეცდომით და მაშინ ეს მნათობი მეორე მნათობსა თხოვს და სურვილი შესრულებული იქნება, მაგრამ უნდა თხოვო მნათობს ის მხოლოდ, რისი ბოძებაც მას შეუძლია.

იუპიტერს შეევედრე და თხოვე ის, რაც მის ბუნებასთან შესაფერია, რაც მას ეკუთვნის და მისი თვისებაა. იუპიტერს ეკუთვნიან: დიდებულნი, თავადნი, მეცნიერნი, მოსამართლენი, ღმრთისმეტყველნი, დიდი მოხელენი, მოწმენი, კეთილ გზაზე მავალნი, სიზმართა ამხსნელნი, სათნო პირნი, რომელნი კრძალულ არიან, ფილოსოფოსნი, მეფენი, ხალიფანი, კეთილშობილნი (წესნიერნი), გვარიანნი, ვაზირნი, ბავშნი, ყმაწვილნი, ძმანი. თუ გასურს იცხოვრო მშვიდობით, ივაჭრო, თხოვე ესეც მას...

მარსს შეევედრე ის, რაც შენ გასურს მიიღო მისი ბუნების თანახმად. მას ეკუთვნიან მხედარნი, მხედართმთავარნი, კარისკაცნი, ვაჟკაცნი, ჯარისკაცნი; ყველაფერი, რომელი სახლკარს ანადგურებს, მძლავრობს მასზე, რაც წმიდა უნდა იყოს; მას უყვარს კლვა და ხანძარი; მას ეკუთვნიან მჭედელნი საჭურველთა, მეომარნი, მეჯინიბენი, მწყემსნი, ავაზაკნი, ქურდნი, მოშურნენი და მაწყევარნი. თხოვე მას რაც შენ გასურს და რაც მის ბუნებაშია; აგრეთვე რაც შეეხება გვამის ქვემო ნაწილთა სნეულებას, სისხლის გახსნას და გვამთათვის ცხელი ქილების დადებას. მოგეხმარება და შემწეობას აღმოგიჩენს ამაში ვენუსი, ვინაიდან იგი იხსნის მას, რასაც მარსი ჰკარგავს და გამოასწორებს მას, რასაც ეს აფუჭებს.

მზეს შეევედრე, რაც შენ გსურს მოგენიჭოს მეფისაგან, ხალიფასაგან, გვირგვინოსანთაგან, მათგან, რომელთაც აქვთ ხელისუფლება და ხელმწიფება, გვარიანთაგან, ემირთაგან, მხნეთაგან, ღირსეულ კაცთაგან, სამართლის დამცველთაგან; უსამართლობისა, სიყალბისა და ცრუ საბუთთა მოწინააღმდეგეთაგან, საქებართაგან, მოსამართლეთაგან, მეცნიერთა- ღირსეულ კაცთა- დიდებულთა- წარჩინებულთა- სწავლულთა- ბრძენთა კაცთა, ჭირვეულ ხალხისაგან, ცრუპენტელა- კეთილგონიერთა- უფროს ნათესავთა- უფროსი ძმებისაგან გსურს. მოითხოვე მათთვის და მათგან, რაც შენ გსურს, მაგალითად: ფული, მაღალი პატივი, მთავრობა და სხვა.

ვენუსს შეევედრე ყველაფერი, რაც დედაკაცს შეეხება; რაც ვაჟთა და ასულთა ეხება: ხორციელ ურთიერთობას, შვილებს, საყვარლებს, აშიკობას, ტრფიალობას, ავხორცობას და მამათმავლობას, როსკიპებსა და მეძავებს, მემუსიკეთ და მოღერალოთ, დედაკაცთა მსგავს მამაკაცებს, ვაჟებს, რომელნიც ქალთა სამოსელს იცვამენ, საჭურისებს, მამაკაც და დედაკაც მონებს, საერთოდ ყველა არტისტს და ვისაც უყვარს სიამოვნებანი; ცოლებს, დედებს, ბიცოლებს, ახალგაზრდა დებს. მოიწვიე აგრეთვე მარსი დასახმარებლად, ვინაიდან ვენუსს აქვს მისდამი მიდრეკილება და სიყვარული.

მერკურიუსს შეევედრე ყველაფერი, რაც შეეხება მწერლებს, არითმეტიკოსებს, გეომეტროსებს, ასტრონომოსებს, მკითხავებს, მჭერმეტყველოთ, მოქადაგეთ, მეცნიერთ, ფილოსოფოსთ, ბრძენთ, პოეტებს, მეფის წულთ, ვაზირებს, მოხელეთ, თავისუფალ ხელობათა ხალხს, გადასახადთა ამკრებთ, ვაჭრებს, მექანიკურ მშრომელთ, მატყუარებს, მონებს, მტრებს, ქალად გადაცმულ ვაჟებს, ბიჭებს, მსახურთ, უმცროს ძმებს, ხელოსნებს, ოქრომჭედლებს, მღებავებს და სხვებს.

მთვარეს შეევედრე ყველაფერი, რაც კი შეეხება მეფეებს, მეფის მოადგილეთ, მეფის მემკვიდრეებს, სამამულო გადასახადთა ამკრებთ, ფოსტის უფროსთ, შიკრიკთ, მოგზაურთ, მოხეტიალე მცხოვრებთ, მუშებს, სოფლის მეურნეთ, სოფლის მამასახლისებს, მენავეებს, კუდიანებს, ხელისუფალთა ცოლებს, ორსულ ქალებს, მეფის მსახურთ, დედებს, ბიცოლებს და უფროს დებს. ოღონდ დაიმახსოვრე: არაფერი თხოვო მნათობს ისეთი, რაც მის ბუნებაში არაა. ეხლა მე გასწავლი და აგიხსნი, თუ თითოეულ მნათობს რა ადგილი უკავია და როგორი ბუნებისაა.

ყველაზე უმაღლესი და უახლოესი ზოდიაკოთა ნიშნებთან არის **სატურნუსი**. მისი თვისებაა სიცივე და გვალვა. მისი ბუნებაა დამანგრეველი და ჭირთა მომაცენებელი.

სატურნუსი არის: ბოროტი, მატყუარა, მეტად საშიში და საშინელი. თუ სატურნუსს სურს რაიმე, იგი ატყუებს, არისხებს, აჯავრებს და შიშსა ჰგვრის. მის ხელთა თხრილთა გაყვანა, ბალოსნობა, სოფლის მუშაობა, წყალთა მრავლობა, პალმათა სიმრავლე, სილატაკე, შფოთი, ძნელი და მძიმე მგზავრობა შორეულ ქვეყნებში. იგი მიუთითებს აგრეთვე სიყალბე, შურ, ზიან, ზარალზე და საერთოდ ყველაფერზე, რაც ბოროტებასთან არის დაკავშირებული. გაჯავრება, ჯიუტობა, მოხუცობა, ძალადობა, ტყვეობა, ციხე, დაღლილობა, მძიმე შრომა, მძიმე განცდა, მრისხანება, სისუსტე, სიზანტე, ქრთამობა, შეურაცყოფა, შიში, მწუხარება, იშვიათობა იმისა რაც კარგია, უსიამოვნება, უგემობა, სიძნელე, აღრევა, სიკვდილი, სიცრუე, ეჭვი, იჭვი, ძველი საგნები, გრძელი მოფიქრება, საიდუმლო ცნობა და ბნელ, შავ რამეთა ცოდნა.

როდესაც სატურნუსი უკან მობრუნდება, იგი გვიჩვენებს ბიწიერებასა და სისუსტეს, მაგრამ ამასთანავე სიმტკიცესა და ჯიუტობას; როდესაც იგი თავისი მობრუნებული მოძრაობის დროს არის ოპოზიციაში აგრეთვე რომელიმე სუსტ მნათობთან, იგი მას უფრო ასუსტებს და თუ ამ სვლის დროს მას თხოვ რამეს, ეს თხოვნა ძნელი შესასრულებელი იქნება.

იუპიტერის თვისებაა სიცხე და ზომიერი ნოტიო; მისი ბუნება არის ბედნიერი; იგი არის სატურნუსის ქვემოდ ხარისხითა და სიმაღლით; მის გამგებლობაში არიან: სიცოცხლე, ზრდაში მყოფნი გვამნი, არსებობა, სიმრავლე, გაზრდა, სამართლიანობა, ზომიერება ყველაფერში, სიმძიმე, ზნეობათა სიწმიდე, ჭეშმარიტების სიყვარული, სისუფთავე, კეთილმოწყალებობა, თავდაჭერა, კეთილრწმენა, შიში ღმრთისა, ქება და დიდება, მოთმენა, ზრდილობა, გონივრობა, სიბრძნე, გუნება-ამტანობა, გამძლეობა, დაცვა სიწმიდისა, უაღრესობა, მშვიდობა, პატივი, კეთილყოფა, გამარჯვება, მთავრობა, სიმდიდრეთა მოხვეჭის სურვილი, მემკვიდრეობანი, ხასიათის სიკეთე, წყალობანი, ქველმოქმედებანი, შემწეობანი ადამიანისათვის, სიყვარული განათლებისადმი და ბინისადმი, შეწყნარება, ხელშეკრულებათა დაცვა, ერთგულება, ლხინი, ხუმრობა და მასხარობა, სიცილი, ყბედობა, სიმჩატე, სიამოვნება იმ პირთა შეხვედრისათვის, რომელნიც მოგწონს, ხშირი ხორციელი კავშირი, ყველაფერის კარგის სიყვარული, სიძულვილი ყველაფერის ცუდისა, საქებურის მოწონება და გასაკილავის დაგმობა.

მარსის თვისებაა სიცხე და გვალვა მწველი. მისი ბუნება არის დამანგრეველი და დამამხოველი; მის ბუნებაშია: სიძულვილი, ნგრევა, გვალვა, წვიმის სიმცირე, ხანძარი, შფოთი, მკვლელობა, ყველაფერი რაც მოულოდნელია, მძლავრობა, მიმძლავრება, მწუხარება, ხოცვა-ჟლეტა, ომები, არეულობანი, დაშლანი, გაბნევანი, ქრთამობანი, უსიამოვნებანი, გვამობრივნი ტკივილნი, ტანჯვანი, ცემანი მათრახითა, მონათა გაქცევა, დავის მოყვარულობა, მოუფიქრებლობა, სიჩქარე, სისულელე, უპატივო სიტყვანი, სიხარულის იშვიათობა, სიცრუე, ცილის წამება, უსირცხვილობა, მოგზაურობა, ხეტიალი, სამშობლოდან შორს ყოფნა, განდეგილობა, გულის მოყვანა, მრისხანობა, ძალადობა ყოველივეზე რაც წმიდა უნდა იყოს, უცნაურობა, თავდაუჭერლობა, ორგულობა, უნიჭობა, ავობა, დაუნდობლბა, ფიცის გამტეხელობა, სიკეთის იშვიათობა, მეტად გრძელი ფიქრი, უწმაწურობანი, ვითარმედ: პირუტყვთმავლობა, გარყვნილება, მუცლის მოშლა, ჩანასახის მოკვლა, ვერაგობა, გაიძვერობა, მოტყუება, ქურდობა, ძალის დატანება მეზობელთადმი ცუდი მოპყრობა, გადაჭარბებული დაღლილობა, სნეულებანი, თავდასხმა, კართა შელეწა და ქალებთან შევარდნა, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც არ არის კარგი და მარგი.

მზის თვისებაა სიცხე და გვალვა. მისი ბუნება შერეულია — იგი კარგსაც შვრება და ცუდსაც. მის გამგებლობაშია: ცნობა, გონება, ვაჟკაცობა, სიმხნე, ცოდნისმოყვარეობა, სიმტკიცე, ძალა, გადაჭარბება, დაპყრობა, ფიცხელი თავდასხმა, მოწინააღმდეგეთა მიმართ მიმძლავრება, მოკავშირეთა მიმართ სამართლიანობა, სურვილი ცუდის ჩადენისა ახლობელთა მიმართ, და სიკეთის ქმნა ყველასათვის, რომელნი შორეულ არიან, დიდი სარგებლიანობა და დიდი ზარალი, სიტყვის სიმტკიცე, ქველმოქმედება, სიხარული, გამძლეობა, სიფიცხე სიტყვისა, სამაგიეროდ სწრაფი პასუხისგება, სიმდიდრის მოხვეჭის სურვილი, კარგი სახელი, პატივისცემა მათადმი, ვინც ამის ღირსია, თავაზიანობა, ყოველი ღირსება და ყოველი სათნოება, რომელნი მეფესა და მმართველს სჭირდებათ, რათა მათ მართონ და განაგონ, ძვირფას მეტალებზე

მუშაობა, გვირგვინთა დამზადების ხელობა, და დაბოლოს, ავისაგან კარგის გარჩევა, რომელთაც იციან მადანისაგან წმიდა ლითონთა გამოღება.

ვენუსის თვისებაა სიგრილე და ნოტიო. მისი ბუნება ბედნიერია; მის გამგებლობაშია: სისუფთავე, თავისი თავისადმი თავყვანება, ამპარტავნულად ფიქრი თავისი თავის შესახებ, მხიარულება, გემოვნება გალობისადმი და თამაშისადმი, სიცილი, სიამოვნება და ლხინი, გახარება, როკვა, სიმებიან საკრავებზე დაკვრა, ქორწილი, სურნელებანი, სუნნელნი, მუსიკალური თხზვა, ნარდისა და ჭადრაკის თამაში, ავხორცობა, გარყვნილება, ქეიფი, სურვილი, რათა ქალებმა შეგიყვარონ და მათ შენი ნდობა გამოუცხადო, თავაზიანობა, უხვობა, ქველმოქმედება, გულის სიკეთე, ხასიათის დიდებულება, სილამაზე, კეკლუცობა, უწესო სურვილნი, ფიცის გატეხა, წადილი სასმელებისა, თრობა, და ვენერიული მოქმედებანი სხვა და სხვა სახით, ვითარმედ: სოდომია, ცოდვა ბუნების წინააღმდეგ დედაკაცთა მიმართ, ბავშვის ყოლის სურვილი, მიდრეკილება სამართლიანობისა და თანასწორობისადმი, სიამოვნება, სიყვარული, სურვილი რომ უყვარდეთ, გულშემატკივრობა, გვირგვინისა და თაიგულთა თავზე დადების წადილი, ტკბილი ენა, სიამოვნება ყოველი სილამაზით, დაცინვა, ხასიათის სისუსტე, სიამოვნება ყოველი წარმტაცი რაიმეთი, რაც სურვილებსა სძრავს, მღებრობა, ოქრომჭედლობა, ვაჭრობა, სურნელობა, და დაბოლოს იგი იწვევს სურვილს: იცხოვრო სასახლეში, იყო რელიგიური, სათნო, მაგრამ ამასთანავე იგი იძლევა ვნებას, რომელიც ხელს გიშლის სრულ სიბრძნეში.

მერკურიუსი ძალიან ცვალებადია. მისი თვისება და მისი ბუნება მიდრეკილია ყველა სხვა მნათობის თვისება-ბუნებისადმი. მის გამგებლობაშია: გონიერება, მჭერმეტყველება, ენამზეობა, გაღრმავება, გამჭრიახობა, ჭკუამახვილობა, კარგის სწავლა, მწერლობითი კალამი, გეომეტრია, ასტრონომია, მკითხაობა, მარჩიელობა მფრინველთა ფრენისა და გალობის მიხედვით (ორნითომანსია), მომავალის გამოცნობა, ყველაფერში კარგი სახელის მოპოვება, წერა, ენაწყლიანობა, სწრაფი პასუხობა, წიგნთა ცოდნა, დავთართა და გადასახადთა ცოდნა, მეცნიერებათა და ენათა ცოდნა, ლექსების წერა, საიდუმლოთა და წინასწარმეტყველთა გამოცხადების ცოდნა, მოწყალეობა, გულშემატკივრობა, ღირსება და პატივი, გაცემა და მიღება, ცხარე კამათი, ლხინი, სიმდიდრის დაკარგვა, ვაჭრობა, მსჯელობა, ფიქრი, ხრიკოსნობა, მოტყუება, სიყალბე, მზაკვრობა, ცბიერობა, სიძულვილი, მტრობა, მტერთა შიში, აზრის დაუდგრომლობა, სხვა და სხვა ნივთის კეთების ხელოსნობა, ყველაფერში ოსტატობა და მოხერხება, სურვილი ფლობდე ყველაფერს, რაც ლამაზია და მიმზიდველი, მოქმედება სიმდიდრის მოსაპოვებლად, და მისი დაკარგვა, მოთმინება, სიცუდისაგან თავის დახსნის მოქმედება, და ავისაგან თავდაჭერა.

მთვარის თვისებაა სიცივე და ნოტიო; ბუნება მისი ბედნიერია; მის გამგებლობაშია: მუშაობათა დაწყება, ხშირი ფიქრი რამეზე, შეწუხება-მოუსვენრობა, გამჭრიახობა, მჭერმეტყველება, ენაწყლიანობა, სიკისკასე, კეთილყოფა დიდი შრომის დაუხარჯავად, ხასიათის სიკეთე, სასიამოვნო ურთიერთობა, თავაზიანობა, ხერხიანობა, მოქნილობა, გულკეთილობა, გაუმაძღრობის ჩვეულება, მომენება იშვიათი, რომელი პატივს არ აზიანებს, სიავისაგან თავის დაჭერა, ქების მიღების სურვილი, მხიარულება, სიამოვნება, შვენება, საიდუმლოთა ცოდნა, ქორწინება, აღზრდა, ოჯახის წევრთადმი კარგი მოპყრობა, ნაკლებად განყოფილება სიცრუისადმი, უნარიანობა ყოველ პირობებში, დავიწყება, რეგვენობა, სიბრძნის

სიმცირე, ცილის წამება, შური, სიძულვილი, სიცქაფე, მფლანგველობა, უგრძობლობა, სიამოვნებით, განცხრომით ცხოვრება.¹³⁴ ასეთი არის მნათობთა თვისებანი და ბუნება საბიანთა, ანუ ქარრანელთა ასტროლოგიური სწავლის მიხედვით. ამ სწავლის გაცნობამ ჩვენ აშკარად გვიჩვენა, რომ ავთანდილის გალობას მნათობთა წინაშე არავითარი კავშირი არა აქვს საბიანთა, ანუ ქარრანელთა აქ მოტანილ, არაბი ტაბარის მიერ გადმოცემულ ლოცვასთან და მნათობთა ბუნებასთან, რადგან ავთანდილის მნათობთა ბუნება ძალიან ნაკლებ შეეფერება ქარრანულ მნათობთა ბუნებას და რელიგიურ წესს ლოცვის აღსრულებისათვის.

* *
*

გავიცანით ბაბილონურ-ქალდეური, ინდურ-სპარსული, არაბულ-ევროპიული ასტროლოგიის დახასიათება მნათობთა; მერმე გავიცანით მითრისტული, გნოსტიკოსური და მანიქური წარმოდგენა მნათობთა შესახებ; წავიკითხეთ ამბავი საბიან-ქარრანულ ლოცვისა მნათობთადმი; შევისწავლეთ ავთანდილის გალობა შვიდი მნათობის წინაშე და ამის შედეგად სრული სიცხადით დავინახეთ —

მნათობთა ბუნების ზოგად ნიშანთა ერთობის მიუხედავად, არც ქალდეურ, არც სპარსულ-ინდურ, არც არაბულ და ქარრანულ, და არც რომელიმე სხვა სწავლას მნათობთა შესახებ ავთანდილის გალობას და მასში ნაჩვენებ მნათობთა ბუნების დახასიათებას პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვს. სულ სხვა სტილია გაბატონებული ასტროლოგიურ ნაირ სწავლაში მნათობთა შესახებ და სულ სხვაა სტილი ვეფხისტყაოსანის მნათობთა ავთანდილის გალობაში.

ავთანდილის გალობა შვიდთა მნათობთა მიმართ შოთა რუსთაველს ეკუთვნის. ამ გალობის დამწერი არის ვეფხისტყაოსანის შემომქმედი.

და ქვემოდ იმასაც დავინახავთ, რომ არც ერთ სხვა მწერლობის რომელიმე, მნათობთადმი ნათქვამი ლოცვა თუ გალობა ვეფხისტყაოსანის უჩინებულეს და უდიდებულეს გალობას ვერ მიუდგება და ვერ დაეტოლება.

კარი მეორე

შვიდთა მნათობთა ქება მსოფლიო მწერლობაში

თავი 1. მატერნუსის ლოცვა

თუ მსოფლიო მწერლობაში შვიდთა მნათობთა აღწერას, ვედრებასა, ან გალობას მოვძებნით, ბევრ ნიმუშს ვერ ვიპოვნით. არც რელიგიური, არც ხალხური და არც დამწერლობითი პოეზია შვიდი მნათობისადმი გალობით მდიდარი არაა. ბაბილონურ-ასირულ-ქალდეურ-ეგვიპტურ-ბერძნულ რელიგიურ მწერლობაში ხშირია გალობა და ლოცვა-ქება მნათობთა მიმართ, ოღონდ შვიდთა მნათობთა გალობა კი არსად შემხვედრია. მხოლოდ ლათინურ მწერლობაში არის დარჩენილი ფირმიკუს მატერნუსის (მეოთხე საუკუნე) მიერ შედგენილი ლოცვა იმპერატორისა და მისი ოჯახისათვის, რომლის სრული ტექსტი, სამწუხაროდ, ვერ მოვიპოვე და

ვსარგებლობ ნაწყვეტით, რომელიც ზურაბ ავალიშვილმა გამოაქვეყნა.⁴⁸ გვერდი 12.

—
მზე, ყოველთა უკეთესო, და უდიდესო, ცისა შუა მხარისა დამჭერო, სოფლის
გონებავ, ყოველთა ხელმძღვანელო და მეუფეო...

და შენ, მთვარეო... მზისა მეფური სხივოსნობისაგან ბრწყინვალე...

შენცა ზუალო... შენცა მუშთარ... და მარიხო...

და თქვენცა აგრეთვე ოტარიდ და ასპიროზ

(გვედრებით მეფის ოჯახისათვისო).

თავი 2. საბიანთა ლოცვა

კატალოგუს კოდიკუმ ასტროლოგორუმ გრაეკორუმ-ში დაბეჭდილია საბიელთა, ანუ
საბიანთა ლოცვა რომლის სახე ასეთია ¹³⁴. —

როდესაც გსურს რომელიმე მნათობს მიმართო, მაშინ უნდა შეასრულო ის, რასაც
გეტყვი. დავიწყოთ სატურნუსიდან.

სატურნუსი, ზუალი. ყველაზე უფრო ხელსაყრელი და სასარგებლო დროს ამ
ვარსკვლავისადმი მიმართვისათვის არის, როდესაც სატურნუსი თავის ამალღებაშია;
როდესაც იგი სასწორის ზოდიაკოშია; შემდეგ, ოდეს იგი თხის ზოდიაკოშია,
რომელიც არის მისი მეორე სახლი. აქ იგია- როგორც კარგ გუნებაზე მყოფი კაცი,
რომელიც ყველა თხოვნას ასრულებს. როდესაც სატურნუსი იმ ადგილზეა, რაც მე
დავასახელე, მაშინ იგი უნდა იყოს ბედის შემთხვევის მიხედვით, ან თავის
დასასრულში, ან ახლოს მასთან (ცის შუაგული ამ შემთხვევაში საუკეთესოა), ან იგი
უნდა ვიდოდეს სწორი ხაზით, ან ცენტრალურ კვადრატში იყოს; საუკეთესოა,
როდესაც იგი იმყოფება ბედნიერების რომელიმე შემთხვევაში, როგორც უკვე ვთქვი,
როდესაც იგი მიდის სწორი ხაზით და მასზე ცუდი ვარსკვლავნი გავლენას ვერ
ახდენენ, და მიდის აღმოსავლეთისაკენ, ცის შუაგულზე მყოფი. იყავ ფრთხილად,
რათა იგი არ იმყოფებოდეს ისეთ ადგილზე, რომელს უბედურება მოაქვს;
განსაკუთრებით ძალიან საშიშია, როდესაც იგი არის მარსის ტიტრაგონში, ან
მისთვის სამულველ ზოდიაკოში. რაც მთავარია, სატურნუსი უნდა იმყოფებოდეს
ლამაზ მდგომარეობაში, სასარგებლო ადგილზე, რომელიც ყველა დამანგრეველი
გავლენისაგან გამორიცხულია. მაგრამ თუ სატურნუსი სწვავს, ან თუ იგი არის
ზოდიაკოში, რომელი მას არ უყვარს, მაშინ იგი არის ვით განრისხებული კაცი,
რომელიც მარტო თავის თავზე უფრო ზრუნავს, ვიდრე სხვაზე.

როდესაც სატურნუსი იმ ადგილზეა, რომელიც გაგაცანი, და თუ გსურს მას რამე
თხოვო, მაშინ ჩაიცივი შავი ტანისამოსი და მოიხურე შავი მოსასხამი, — ესაა ბრძენთა
სამოსელი. და თუ იქვე კარავია, იგიც შავი უნდა იყოს. მიუახლოვდი იმ ადგილს,
სადაც შენ ლოცვა გსურს, დიდი მოწიწებითა და კაემანით, იყავ მოწყენილი, იარე
ნელა, თავდალუნული; მიდი იქ, ჩაცმული ებრაელსავით, ვინაიდან იგი ებრაელთა
მნათობია. ბეჭედი, რომელი ხელზე გაქვს, რკინისა უნდა იყოს, და აგრეთვე
საცეცხლურიც (საკმეველის ჭურჭელი). თვით საკმეველი უნდა შესდგებოდეს
შემდეგისაგან: — ხაშხაში, საკმეველის ხის კანი, ოფლი მატყლიანი პირუტყვისა,
ჩილი კოლონტინისა, შავი კატის თავისქალა. რაც შესაძლებელია, დანაყე ისინი
ერთად, აურიე მასთან შავი თხის შარდი; გააკეთე მათგან ჩხირები; შეინახე და

მოიხმარე ისინი, როცა ზუალს ლოცვით მიმართავ; მაშინ პირით მიბრუნდები სატურნუსისაკენ და შენ ეტყვი, ოდეს საკმეველი აბოლებს —

ო, უფალო, რომლის სახელი დიდებულია, ძლიერება — დიდი, სული — ბრწყინვალე! ო. ბატონო სატურნუს! სიცივე, სიმშრალე, სიბზნელე! შენ, რომლის სიყვარული არის წრფელი, და რომელი ხარ ერთგული თავისი სიტყვისა; პატრონი მარტოხელასი; ერთად ერთი დამცველი ხელშეკრულებისა; სიღრმე, რომლის აღთქმანი არიან უეჭველნი; მოთენთილო და დაღლილო, რომელსაც არა აქვს მწუხარება და ჭირი უფრო მეტი, ვინემ სხვა რომელიმეს; რომელი არ განიცდი ლხინსა და სიამოვნებას; მოხუცო ცბიერო, რომელმა იცი ყოველი მზაკვრობა; რომელი ხარ მოხერხებული, ბრძენი, გონიერი; რომელი ანიჭებ კეთილყოფასა და უბედურყოფას; ბედნიერი არის, ან უბედური ის, რომელს შენ ჰქმნი ასეთად; მე შენ გაფიცებ, ო პირველო მამავ, შენი დიდი ქველმოქმედებითა და შენი კეთილშობილი თვისებებით: გააკეთო ჩემთვის ესა და ესაო. ამას რომ იტყვი, მოწიწებით მოიხრები, მწუხარებით, კეთილი ქცევითა და სათნოებით, და შენი დახრის დროს გაიმეორებ შენს ლოცვას რამოდენჯერმე, და რაც შენ სათხოვარი გაქვს, შეგისრულდება. მაგრამ ყველაფერი ეს უნდა გააკეთო იმ დღეს და იმ საათს, რომელიც სატურნუსს ეკუთვნის, რათა შენი სურვილი წარმატებით შეგისრულდეს.

ზოგი სხვა საკმეველს ხმარობს და სხვა ლოცვას იტყვის —

სახელითა ღმრთისათა! სახელითა იშბილისათა, ანგელოზისა, რომელიც იმყოფება სატურნუსზე და რომელს შეეხება ყველაფერი, რაც სიცივესა და ყინვას ეხება; ო, უფალო მეშვიდე ცისა! მე შენ მოგმართავ ყველა სახელით: არაბულად — ო ზოჰალ, სპარსულად — ო კაივან, ლათინურად და ახალ ბერძნულად — ო, კრონოს, ძველ ბერძნულად — ო, კრონოს, ინდურად — ო შანაშარ! გთხოვ დაჟინებით მაღალი სამყაროს უფალის სახელით, ამისრულო ლოცვა ჩემი, მიიღო ვედრება ჩემი, რათა დავემორჩილო ღმერთსა და ვარსკვლავებს — გააკეთე ჩემთვის ესა და ესაო.

საკმეველი უნდა იყოს რკინის პატარა ქვაბში; როდესაც შენ ლაპარაკს დაასრულებ და კმევას გაათავებ, შენ უნდა ქმნა ის, რაც სატურნუსის ბუნებას შეეფერება — მოიხარო თავი მის წინაშე და ლოცვა რამოდენჯერმე გაიმეორე. მერმე შეაქებ და დალოცავ შემოქმედს და შესწირავ მას მამალ შავ თხას, რომელს ერთი ბეწვიც კი თეთრი ბალნისა არ უნდა ერიოს. შემდეგ დასწვავ ცეცხლში ამ თხის გვამს, რომლის კვამლი ცისაკენ უნდა წავიდეს. შეინახე მისი სისხლი, რათა გამოიყენო სატურნუსის საქმეებში და შესჭამე ღვიძლი მისი. მაშინ ყველაფერი, რაც სატურნუსს თხოვე, აგისრულდება შენი სურვილის თანახმად.

იუპიტერი, მუშთარი. თუ შენ გსურს მიმართო ლოცვით იუპიტერს, შენი ყველა სამოსელი უნდა იყოს თეთრი და ყვითელი; იყავ თავმდაბალი და ზომიერი; ჩაცმული ვით მოლოზანი და ქრისტიანი, ვინაიდან იგი მათი პატრონია. გააკეთე ის, რასაც ქრისტიანები აკეთებენ და ატარე მათი სამოსელი: წამოსასხამი ყვითელი, სარტყელი და ჯვარი; ამათ მიუმატე ბროლის ბეჭედი, ბურნუსი თეთრი და სუნნელთა ქვაბი. (აქ ჩამოთვლილია, თუ რა და რა სუნნელი უნდ მოიხარშოს და შეზავდეს). მიაპყარი პირი შენი იუპიტერისაკენ და თქვი —

სალამი, ო, კურთხეულო უფალო, შენ ბედნიერო, ცხელო, შვენიერო, მეცნიერო ჭემმარიტო, რომელი ჰვლობ: ჭემმარიტებას, სამართლიანობას, თანასწორობას, მოწყალებას; ბრძენო რელიგიაში; თავშეკავებულო, ძლიერო, სულგრძელო, უხვო, დიდებულო, დიადო, რომელი იმორჩილებ და რომელი აკეთილშობილებ; რომელი ხარ ერთგული შენთა აღთქმათა; რომლის სიყვარული არის ნამდვილი და რომლის ხასიათი არის კეთილშობილი (წესნიერი). შენ გვედრები მამაო, შენი შესანიშნავი და უხვი განზრახვებით, და ძვირფასი მოქმედებით, გააკეთო ჩემთვის ესა და ესაო. (აქ აღწერილია საკმეველის შემადგენლობა და მისი ხმარება და შემდეგ ნათქვამია) — მიმართე პირით იუპიტერს და უთხარ მას:

რაფიდაელ, ანგელოზო, რომელი სუფევ იუპიტერზე, ბედნიერო, სრულყოფილო, სავსებაო, განუყოფელო, შვენიერო, მძიმე, ჭკუამახვილო, რომელი შორსა ხარ უკეთურებისაგან და ცუდი განზრახვებისაგან; მე მოგიწოდებ შენ ყველა შენი სახელით: არაბულად — ო, მოშთარი, სპარსულად — ო, ბირდიტს, ბარბარულ ენაზე — ო, ჰორმოზ, ძველ ბერძნულზე — ო, ზეუს, ინდურად — ვაჰასფატ. გაფიცებ უმაღლესი სამყაროს უფალით, ქველობითა და წყალობით, ესა და ეს გააკეთე ჩემთვისო. ამას რომ იტყვი, დაიხრები მის წინაშე და შესწირავ თეთრ კრავს, დასწვავ მას, შესჭამ მის ღვიძლს, და აგისრულდება ყველაფერი, რაც შენა გსურს (და სხვა).

მარსი, მარიხი. როდესაც შენ გსურს მიმართო მარსს, უნდა ჩაიცვა წითელი სამოსელი, დაიხურო წითელი მანდილი, აღიჭურვო ხრმალითა და სხვა საჭურველით, აიღო ტანსაცმელი ჯარისკაცისა, ავაზაკისა, ბოროტმოქმედისა, კერპთ თავყანისმცემელისა; წამოიცვა თითზე სპილენძის ბეჭედი, ჩასდო სპილენძის ქვაბში სათანადო სუნნელებანი (და აქ აღწერილია მათი შემადგენლობა), და როცა გსურს მიმართო მარსს, გაიწევ მისკენ ვაჟკაცურად, თავხედად, მიაპყრობ მას პირს, როდესაც მარსი იქნება ცის შუაგულში... და ეტყვი მას —

ო უფალო დიდებულო, ცხელო, მშრალო, მამაკაცო, რომელი ღვრი სისხლს; რომელს გაქვს მძაფრი მახსოვრობა; დამაცხრობელო, გამმარჯვებელო ყველა ერზე, გულფიცხო, სასტიკო; რომელს გიყვარს ბოროტება, დასჯა, დარტყმა, დატუსაღება, სიცრუე, ცილისწამება, გაქელვა; უდარდელო, მკვლელო, ერთად ერთო ამგვარო, იარაღის მატარებელო, თავშეუკავებელო; რომელი ყოველთვის ფიქრობ ძალადობაზე და დაპყრობაზე; რომელი წარმოშობ ომს; რომელი ეხმარები სუსტს, ძლიერს; რომელი ასწორებ სიცუდეს და რომელი სჯი ბოროტმოქმედთ; გვედრები იმ მოძრაობითა და სიარულით, რომელი შენა გაქვს ცაში, მათი გამარჯვებითა და დევნით, ვისაც მიეც უპირატესობა; რომელნი შეჰქმენ შურისმამიებელად, ძლიერად, მომძლავრედ. — შეისმინო ლოცვა ჩემი, ყურად იღო ხვეწნანი ჩემნი, ადასრულო სურვილნი ჩემნი. რადგან შენგან მოველი ამასა და ამასო. სალამი მას, რომელი მფარველობს და უარჰყოფს სიკვდილს... და სხვა და სხვა...

ასეთია საბიანთა, ანუ ჰარანელთა მიმართვა მნათობთადმი. რა კავშირი აქვს მას ვეფხისტყაოსანის მნათობთა მიმართვასთან? თითქმის არავითარი...

(ჩემთვის მიუწოდომელ ”კატალოგოს კოდიკომ ასტროლოგორუმ გრაეკორუმ“-იდან ჰარანელთა მნათობთა შესახები სწავლისა და ლოცვის ფოტოკოპიის მოწოდებისათვის დრ. მ. ტულუმს ულრმეს მადლობას მოვახსენებ. ვ. ნ.).

თავი 3. გაბიროლის გალობა

შვიდ მნათობთა ლექსს ვხვდებით აგრეთვე ესპანურ-ებრაულ მწერლობაში და იგი ეკუთვნის სალომ ბენ იუჰუდაჰ გაბიროლს. ს. მუნკის მტკიცებით, ეს პიროვნება იგივეა, რაც ავენსებრო, ანუ ავისებროლ, ცნობილი ფილოსოფოსი.¹³⁵ ოღონდ შვიდთა მნათობთა ქება ცალკე არაა, არამედ ჩართულია იმ დიდ ნაწარმოებში (845 სტრიქონი), რომელიც ღმრთის ქება-დიდებას წარმოადგენს და ამგვარად, რელიგიურ გალობათა წრეს ეკუთვნის. რასაკვირველია, თითოეული მნათობის ხსენებისას განსაკუთრებულად აღნიშნულია, რომ ეს დასახელებული მნათობი ღმრთის მიერაა შექმნილი და მას ემსახურება, მის ნებას ასრულებს.

სალომო ბენ იუჰუდაჰ გაბიროლის (1035 — 1064) ეს თხუზულება შემდეგ სათაურს ატარებს: გვირგვინი მეუფისა.

ესპანურ-ებრაული პოეზიის მკვლევარი დრ. მიხეილ ზაკს გაბიროლის ლექსის შესახებ ამბობს — ცის აღწერაში გაბიროლ შუა საუკუნეთა მანძილზე გაბატონებულ ასტრონომიულ სწავლას მისდევს. ნაწარმოების ასტრონომიული ნაწილი იწყება დედამიწის აღწერით, რომელიც ვით უუმძიმესი ელემენტი მნათობთა შორის პირველ რიგზეა. მას ეკვრიან სარტყელნი, ანუ წრენი 1) წყალისა, 2) ჰაერისა, 3) ცეცხლისა, 4) ცეცხლის წრის შემდეგ გადაჭიმულია მთელი სამყარო თავისი მხარეებით, რომელთა ბრუნვის დრონი და დაბნელებანი აღწერილ არიან.¹³⁶

111. ვინ იტყვის (ღმერთო!) შენს დიდებას, რომელმან შეჰქმენ მიწის სიმრგვალე ორ ნაწილად, ნახევრად წყალის მდინარება, ნახევრად მყარი ხმელეთი? და წყალს ზემოდ მოათავსე შენ ჰაერის წრე... და ჰაერის ზემოდ მოათავსე ცეცხლის სარტყელი. და ოთხი ელემენტი — მათი საფუძველი არს — ერთი, მათი წყარო არს — ერთი; მისგან გამოდიან ისინი ვით ახალნი სახენი, განიყოფებიან და იქმნებიან ოთხ ძალად. ვინ გამოთქვამს (ღმერთო!) შენს ძლიერებას, რომ ცეცხლის სარტყელის შემდეგ მოათავსე შენ სამყარო მთვარისა?, რომელი თავის ნათელს მზისაგან ღებულობს? 29 დღის განმავლობაში ტრიალებს იგი თავისი ბორბალის გარშემო დ ზომავს თავის ბილიკს, ხან მერყევი კანონით, ხან სწორი წესით. 29ჯერ მცირეა ტანი მისი, ვიდრე ხმელეთისა. ყოველ თვიურად ზემოქმედებს იგი დედამიწაზე, გავლენას ახდენს მის მომავალზე, ბედზე და უბედობაზე, მისი შემქნელის (ღმრთის) სურვილით, რათა მისი სასწაული კაცისათვის ცნობილ ქმნეს.

120. ვინ იტყვის (ღმერთო!) შენს ქებას, რომ შეჰქმენ შენ მთვარე დროთა გადასაწყვეტად, უქმეთა, დღეთა, წელიწადთა სრბოლის დროთა საანგარიშოდ? მისი ბატონობა მართავს ღამეს, სანამ არ მოვა დრო მისი და თავის ბრწყინვალეობას არ დააბნელებს და შავ სამოსელში არ გაეხვევა. ვინაიდან მისი ნათელი მოდის მზის ნათელისაგან. და მეთოთხმეტე ღამეს, ოდეს იგი მთვარე სდგას გველეშაპის გზაზე და ისინი (მზე და მთვარე) ერთმანეთს უახლოვდებიან, მაშინ აღარ ბრწყინავს მისი ნათელი, გაწყვდიადებულია იგი, გარნა მიწის მოსახლენი ამას ხედავენ, რომ ისინი (მზე და მთვარე) მხოლოდ ქმნილებანი არიან ზესთაში და ბრწყინავენ დიდებულებით, და რომ მათ უდგას მსაჯული (ღმერთი), რომელი მათ ამაღლებს და

ამდაბლებს. მაგრამ დაცემის შემდეგ ცოცხლდება იგი მთვარე ისევ, დაბნელების მერმე კვლავ სინათლეს იწყებს. ოღონდ ხვდება იგი მზეს თვის თავში ერთ ხაზზე, და გველეშაპი ორივეს აშორებს; მაშინ იმყოფება მთვარე მზის წინაშე ვით შავი ღრუბელი და ჰფარავს თავის ნათელს ყველა ხალხისაგან, რათა ყველამ იხილოს, რომ სამყაროს ძალებს კი არა აქვთ მეუფება, არამედ მათ ზემოდ მმართველი, რომელი მათ ასე ბრწყინვალე ნათელს აყენებს, და ყველა სიდიდის ზემოდ, უფრო მეტ სიდიდეს აკეთებს. ისინი, რომელთაც რწამთ, რომ მზეა მათი ძლიერება, დარცხვენილ ხედავენ თავისი ზმანების მოსპობას და თავისი რწმენის ამავეობას. და ის, რომელი მათ აბნელებს, არის მეუფება; იგი აგზავნის თავის მსახურს, რომელი კეთილმყოფელია, რომ იგი აბნელებს და სპობს მის სამსახურს და განაგვირგვინებს.

163. ვინ აღწერს შენთა საქმეთ, რომ მთვარის ბორბალის ზემოდ მეორე მოგიმართავს, დაუბრკოლებელი და შეუჩერებელი, — სადაც კოხაბ-ს (მერკურიუსს) აქვს სადგომი? იგი არის 22000ჯერ პატარა, ვიდრე დედამიწა და უმტკივნეულოდ თავის ბრუნვას ათ თვეში (ათ მთოვარეში) ასრულებს. იგი ჰქმნის დედამიწაზე დავასა და შურს, ჩხუბსა და ალიაქოთს. იგი იძლევა ძალას მაღალი სამსახურისა და პატივისათვის; ქონებას ამრავლებს მისი ბატონის (ღმრთის) ბრძანებით, რომელს მან ვით მოწამ უნდა გაუგონოს. იგია ვარსკვლავი განჭვრეტისა და სიბრძნისა, რომელი რეგვენთ გაგებას ანიჭებს, გამოუცდელთ — შეგნებასა და ჭკვიანობას.

176. ვინ გაიგებს (ღმერთო!) შენს საიდუმლოებას, რომ მეორე სარტყელის ზემოდ გადაჭიმულია მესამე, სადაც ნოგაკ (ვენუსი) იმყოფება? ვით ქალბატონი დიაცთა შორის, შვენიერი — ვით პატარძალის სამკაული — გამოიყურება. თერთმეტ თვეში მისი გზა სრულდება და იგია 37ჯერ მცირე ვიდრე დედამიწა. იგი ჰქმნის ამ ქვეყანაზე მისი უფალის (ღმრთის) ნებით: სიხარულს, ლხინს და სიამოვნებას, მშვიდობას, გალობასა და სიმღერებს, სანადიმო საქორწილო ჰანგებს. იგი ამწიფებს ხილს და ავსებს მცენარეთა წვეს, მზის ნაყოფთ და მთვარის სიმწიფეს ძალას ანიჭებს.

190. ვინ შეიგნებს (ღმერთო!) შენს აზრს, რომ ნოგაკ-ს (ვენუსის) ზემოდ მოათავსე მეოთხე სარტყელი მზის ბორბალით?, რომელი ერთ წელიწადში გაივლის თავის ბილიკს, და 107ჯერ უფრო დიდია დედამიწაზე, როგორც ცნობილია ეს ბრძენთა საბჭოში! იგი უბოძებს ნათელს ვარსკვლავთ, ანიჭებს მეფეებს ძლიერებასა და ბრწყინვალეებას, და გამარჯვებას, და ჰქმნის დედამიწაზე სასწაულს მშვიდობაში და ომში, ამსხვრევს ტახტებს, ადადგენს მერმე სხვეებს (ტახტებს); მას ძალუმს მაგარი ხელით მოდრეკა და ამაღლება; ნებითა მისითა (ღმრთისათა), რომელმან იგი გააჩინა. ყოველ დღიურად ადის იგი თავის გზაზე, რომლის წინაშე მეფენი ქედს იხრიან; ამოსწევს თავს დილით, რომელს იგი საღამოთი დალუნავს; გაჰქრება ღამით, სანამ ადრიან ისევ არ გამოჩნდება.

ვინ შეითვისებს შენს სიდიდეს (ღმერთო!), რომ შენ იგი (მზე) აირჩიე, რათა დაითვალონ მისი მიხედვით დღენი, წელნი და წელიწადთა დრონი? რომ მისი წყალობით ხენი იზრდებიან და ყვავილდებიან, ორიონის საგრილობელნი და პლეადათა სათბურნი, წვნიანი და მწვანე. ექვსი მთვარის განმავლობაში იგი (მზე) მიმართულია ჩრდილოეთით და იქ ჰაერს, წყალს, ტყეს, ქვებს სითბოს უბოძებს. დღის სიგრძე იზრდება, რაც უფრო მეტად იგი ჩრდილოეთს უახლოვდება და არის ადგილი, სად დღე ექვს თვეს ჩერდება, როგორც ნამდვილ ცნობებს უსწავლებია.

ექვსი მთვარის შემდეგ მიდის იგი დადგენილ წრეში სამხრეთით, და იმ ადგილზევე ექვსი მთვარის (თვის) განმავლობაში ღამეა, როგორც მკვლევართ გამოურკვევიათ. მისი (მზის) მეოხებით ვგებულობთ მისი შემქნელის (ღმრთის) გზას; იგი ამჟღავნებს მის (ღმრთის) ნაწილს, მის სიდიდესა და ძლიერებას. მისი მსახურის (მზის) სიდიადე ჭკვიანთათვის მოწმობს უფალზე და შემოქმედზე (ღმერთზე). მსახურში (მზეში) იცნობება უფალის პატივი და სახელი; უფალის სიკეთე არს მის ხელში.

223. ვინ შეიცნობს (ღმერთო!) შენს ნიშანს, რომ შენ იგი (მზე) მოათავსე, რომლის ნათელი ზემო და ქვემო ვარსკვლავებსა და მთვარეს ანათებს? სდგას იგი (მთვარე) სწორად მზის ნათელის ქვემოდ, მაშინ იგი არის მხოლოდ ბნელი ადგილი; და რამდენად იგი (მთვარე) მას (მზეს) შორდება, მზე მას უფრო და უფრო მდიდრულად თავის ბრწყინვალეობას ანიჭებს. და ოდეს იმდენად მოშორდება, რომ იგი (მთვარე) მას (მზეს) პირისპირ უდგას, მაშინ მისი (მზის) ელვარება მთვარეზე ეფრქვევა; სანამ იგი მის წინაშე სდგას, განათებულია სისავსე და პირისპირ ნათობს ბრწყინვალეობაში; თვის ნახევარის შემდეგ მთვარე მზეს ისევ უახლოვდება, მოუხვევს და მოჰხრის თავის ბილიკს, შორდება და აღარა სდგას მის პირისპირ და მის გვერდით მიდის. მალე სჭკნება მისი (მთვარის) ბრწყინვალეობა, სანამ თავის სვლას განაგრძობს და უკიდურეს საზღვრამდე მიდის. მასთან (მზესთან) დაკავშირებული რჩება იდუმალ დამალვაში ერთი დღის დროზე უფრო ხანგრძლივად. გაყმაწვილდება — ახალი ბრწყინვისათვის ემზადება — ვით სასიძო, რომელიც სეფადან გამოდის.

245. ვინ გაიგებს (უფალო!) შენს საკვირველებას, რომ მზეზე მაღლა მეხუთე ბორბალი მოათავსე? იქაა მადიმ (მადიმ — მარს), ვით მეფე ბრწყინვალე კარავში, რომელს თვრამეტ მთვარეში (თვეში) თავისი ბრუნვა უჭირავს. ერთ და ხუთმერვეჯერ დიდია იგი ვიდრე სიმრგვალე დედამიწისა, ასე რომ მისი გარეგანი სიდიდე ცნობილია. გამბედავი გმირია იგი; ფერი მისი წითელი, როგორც სისხლი; მისი საქმეა ომი და მკვლელობა, დამლუპველობის მრისხანება, სენი, ხანძარი, ხრმალთა ბრძოლანი, მწველი სიცხე მშთანთქმელი, მოუსავლობა და გვალვა, ქუხილი, ელვანი და სეტყვანი, და ხვრეტს კაცთ ხრმალის წვეროთი და სულს ჰლევენ სიკვდილის მზვინვარე საჭურველის ქვეშ და ილუპებიან სწრაფად; უბედურებას ჰქმნის იგი.

259. ვინ გამოთქვამს (ღმერთო!) შენს სიდიადეს, რომ მადიმის (მარსის) ზემოდ მოაქციე მეექვსე ბორბალი თაღში? რომ იგი ბრუნავს წრეში, ფართოდ გაჭიმულ გზაზე, სადაც ცედეკს (იუპიტერს) აქვს თავისი სასახლე. 75ჯერ დიდია იგი დედამიწის სივრცეზე და თავის სრბოლას გზაზე ასრულებს იგი 12 წელიწადში. იგი არის სიყვარულისა და მეგობრობის ვარსკვლავი, რომელი ღმრთის შიშსა, ჭემმარიტებასა და კეთილ აზრს ჰქმნის და ყოველ სათნო თვისებას. იგი ჰკრძალავს სისხლსა და შიშიანობას, აბრკოლებს ომსა, სიძულვილსა და იჭვიანობას. სათნოებით ამრთელებს განხეთქილებასა და განყოფას. სამართლიან არს მისი მართვა დედამიწაზე.

274. ვინ განაცხადებს (ღმერთო!) შენს სიდიადეს, რომ ცედეკს (იუპიტერს) ზემოდ გადასჭიმე მეშვიდე წრე, სადაც შაბტაის (შამბეტაი — სატურნუს; აქედან: შაბათი!) მარტო უჭირავს თავისი წრიადი სრბოლა?, რომელი 91ჯერ მეტია ვიდრე დედამიწა, და 30 წელიწადში გაივლის თავის გზას. იგი ჰქმნის ომისა და მარცვა-გლეჯის საჭიროებას, ტყვეობასა და სიყმილით სიკვდილს. ვინაიდან ესაა მისი აღთქმა,

ქვეყანათა გამაპარტახებელი, სახელმწიფოთა დამლეწელი, მისი (ღმრთის) ბრძანებითა და ნებით, რომელიც მას უკარნახებს თავისი მძიმე მოვალეობა აღასრულოს.

285. ვინ მიაღწევს შენს სიმაღლეს (ღმერთო!), შაბტაის შემდგომ, ზემოდ მერვე წრე დასდევნი, რომელი თორმეტ სურათს (ზოდიაკოს) ატარებს თავის სარტყელზე? და სხვა. შემდეგ აღწერილია უძრავ ვარსკვლავთა ცა, ზოდიაკონი; მერმე მეცხრე ცა, რომელი ზოდიაკოთა ცის ზემოდ არის და რომელი ყველა ცის ვარსკვლავს და წრეს ამოძრავებს. შემდეგ აღწერილია ის მეათე ცა, სადაც თვითონ ღმერთი იმყოფება, მიუღწეველი ცა, ცა ცათა, სასუფეველი ანგელოზთა, მართალ სულთა...

ამ ქება-ლექსში ათი ცის არსებობა და აგრეთვე ს. ს. ორბელიანის ცათა აღწერაში წარმოდგენილი ათი ცა, იმით აიხსნება, რომ ზოგი ატსრონომოსი უძრავ ვარსკვლავთა ცას და ზოდიაკოთა ცას სხვა და სხვა, ცალკეულ ცად სთვლიდა.

გაბიროლის შვიდთა მნათობთა ქება-გალობას თუ განვიხილავთ, ვნახავთ, რომ მასში ორი მოვლენაა: 1. ასტრონომიული და 2. ასტროლოგიური. გაბიროლი აღწერს მნათობებს ასტრონომიულად და ამასთანავე ამ მნათობთა ასტროლოგიურ მნიშვნელობასაც გვაცნობებს. მაგრამ ყოველთვის გარკვეულად, განზრახ და შეგნებულად გვიმტკიცებს, რომ ყველა ცა, ყველა მნათობი, ყველა ვარსკვლავი ღმრთის მიერაა შექმნილი და ღმრთის ნებაში იმყოფება.

შვენიერია გაბიროლის ქება-გალობა მნათობთა, მაგრამ იგი განა ვეფხისტყაოსანის მნათობთა გალობას წაეტოლებათ? ან კი ახლო მიუდგება?!

თავი 4. ნიზამის გალობა

შვიდ მნათობთა ლექსს ვხვდებით კიდევ დიდი სპარსელი პოეტის ნიზამის პოემაში "ლეილა და მეჯნუნ"-ი. შეყვარებული მეჯნუნიც მიმართავს ლოცვით უზენაეს სასუფეველს —

როდესაც ცა აყვავდა ვით ნორჩი ბალი; როდესაც გაიხსნა ვარსკვლავთა გუნდების სვლა; მსხვილ ვარსკვლავთა მარგალიტის მძივნი იფერებოდნენ და ოქროდ იწვოდნენ; ბედნიერ ვარსკვლავთა სამაჯურით ხელზე, იქ ძოწეულ ხალიჩებზე, ღრუბლებში შემოქმედს მართალი ქება უგალობა ხმელეთმა და ესროლა დევს ისარი. და ესმოდა რა მრავალხმოვანი გალობა, შუადამე სუნთქავდა კეთილი მუშკით, და სუნნელოვანი ამბრით სუნთქავდა მსოფლიოს ექვსი მხარე. თითოულ წამში იცვლებოდა ცა, ჩნდებოდა ახალი სილამაზის რიჟრაჟში. ვარსკვლავნი ეტლებით მიჰქროდნენ და პოლიუსის ვარსკვლავის გარშემო ტრიალებდნენ. მაგრამ ჯავშნოსანი ვარსკვლავი არ შეჰკრთა და იყო ამაყი ვით რკინის სიმაგრე. ფარკადი მიერეკებოდა ვარსკვლავებს ქარავანსავით რძის სათავეებისაკენ, თაფლის ველებისაკენ; პლეიადებმა ააფრიალეს თავისი აბრეშუმის, ყვითელ-ლურჯად მორთული ალამი. მთვარემ დაჰვარა აბრეშუმის ჩალმით თავისი ბრუციანი და უტყვი პირი... იქ ოტარიდი ასრულებს თავის სრბოლას — ვით უკანასკნელი ისარი შაჰის კაპარჭიდან. და იქ ზუხრე (ასპიროზი) სასიამოა და ნათელი, ვით შაჰის უნაგირის ბრწყინვალეობა. და იქ მარიხი, გაჯავრებაში ასე ფიცხელი, მტერთა ბრბოებს უჩინრად გარდააქცევს; იქ

მუშთარი, ჩასმული ბეჭედში, შაჰის წინაშე ერთგულების ნიშნად, და შაჰის ხრმალს ლესავს ძლიერი სალესით ზუჰალი (ზუალი). უნათლესი ნათელი შუა ღამეში! აი, მეუფევ, როგორია დიდება შენი! დღეგრძელ იყოს ამ ქვეყანად შვენება მისი! და იდიდებოდეს ციური თაღი, მოკაზმული შენ სასახლეთა და კოშკთა ბრწყინვალეებით! შენდამი (ღმერთო!) სამსახურით ამაყოფს ნიზამი, რომელი ასე ამაღლებულია კაცთა შორის...

მეჯუნმა, რომელმა მთელი ღამე გაატარა მნათობთა მრავალრიცხოვან ციმციმის ჭვრეტაში, ოდნავ გაჰქრა რა ღამის ვერცხლი, ვარსკვლავებთან დაიწყო მოხერხებული საუბარი —

ზუხრეს (ვენუს, ასპიროზ) მიმართა მან: ”ყოვლად კეთილო, რომელი მომაკვდავ გულს ლხინს მოუვლენ, შენს ჰოროსკოპში ასი ათასი წლობით მთავარი ხარ ვითარცა ბედნიერების ამულეტი. შენა ხარ მართალი წყარო ქვეყანის ყველა სურვილისათვის, ხარ ღვინო ყველა მოჟღერიალე თასისათვის; ხარ ბეჭედი გვირგვინოსანი ბეჭედისა; ნუ მიიბრუნებ ჩემგან პირს; ნუგეში მეც მე და საყვარელისაგან მომიტანე ცნობა, — ხომ დრო მოვიდა ამისათვის!”

დადგა მუშთარი (იუპიტერი) ცისფერ ხმელეთზე და მეჯუნმა მის შუქთ მიმართა აჯით —

”ო, მუშთარო, რომელი ისმენ ყველა აღთქმას, და მიგყავს დამპყრობელნი გამარჯვებისაკენ, ყოველთვის შენ შთამოაგზავნი გამარჯვებას. ყველა წყალობის წიგნს ამტკიცებ შენ; შენ მიანიჭე ქვეყანას სიმყარე საკვირველი; წარმართავ საქმეებს გონიერად და სამართლიანად. მე ვარ მყარი განუსაზღვრელ სიყვარულში — შენგან, და ეს გული მართალია, — შენგან! მომხედე ნდობით, შემეწიე, მუშთარ! სადაც გზაა, მიმართე იქით ნაბიჯი ჩემი, მუშთარ!”

მაგრამ მან (მეჯუნმა) დაინახა, რომ ძლივ-ძლივს მოჩანს ვარსკვლავი, ნათლდება სილურჯე... და მიხვდა, რომ ვარსკვლავთაგან სამართალი არ ექმნება და მიმართა მას, რომელი ასამართლებს და განაგებს ყოველივეს, მნათობთა დაუხმარებლივ, ანუ ღმერთს —

”ჩემო კეთილო ჭერო! რატომ არ მოგმართე შენ პირველს ჩემი ვედრებით? მირრიხ, ზუხრე, ზუხალ მონანი შენნი არიან; სახელი შენი ყველა სახელზე უზენაესია; შენი დასაბამი — ყველა დროზე უფროსია; ცოდნა შენი — ფართო ყველა სივრცეზე; საუნჯე შენი — უხვი ყველა უხვობაზე; გამხსნელო გზათა კვანძისა; გამტეხო კლდეთა ზურგისა; დიდთათვის გზის მაჩვენებელი; იყავ ჩემ შემქმნელად საუკუნოდ! შვიდთა ცათა შენთა სილურჯე — შვიდკარიანი სიფართე — საზღვარი უძირო! თუ თვალნი ჩემნი მას მისწვდებიან, დაბრმავდება ცოცხლად პირი ჩემი. გზად მიმავალი მოგზაური დალოცე და წყალობა მცირე მას მიუვლინე”...

ასეთი არის ნიზამის მიმართვა მნათობთადმი და ღმრთისადმი.

თუმცა ლექსი ნიზამისა მართლა ჩინებულია, მაინც მას ვეფხისტყაოსანის შაირთ შვიდთა მნათობთა შესახებ ვერც კი შევადარებთ! ავთანდილის გალობა მიუწევნელია და თავისი პოეტური აღმაფრენით შეუდარებელია.

* *
*

როგორც იუსტინე აბულაძე გაკვრით მოიხსენიებს, არსებობს სპარსულ ერთ ნაწარმოებში შვიდი მნათობისადმი მიმართვაო. ეს ნაწარმოები ყოფილა ბაჰრამ-გულიჯანიანი, რომელი ქართულად ონანა მდივანს გაულექსავს. აქაც მოთავსებული ყოფილა შვიდი მნათობი, ანუ ი. აბულაძის თქმით: "შვიდი მნათობი, რომლებიც მოწმად ყვებიან ავთანდილს მისი მგზავრობის დროს, იგივეა ბაჰრამ-გულიჯანიანში"-ო. ¹³⁷.

დასახელებული თხუზულების დედანი თუ თარგმანი ჩემთვის მიუღწეველია და არ ვიცი, იქ მოთავსებული ლექსი მართლა იგივეა თუ არა, ხოლო ი. აბულაძის ზეპირი განცხადება კი ჩემთვის საკმაო არ არის. პროფ. კორ. კეკელიძე ამბობს:

"ჩვენ გვგონია, ეს აზრი მიუღებელია, სხვა რომ არა ვთქვათ, იმიტომაც, რომ ი. აბულაძის აზრით, ხაჯუ ქირმანელი (ამ თხუზულების ავტორი) მეთოთხმეტე საუკუნის მწერალია"-ო. ¹³⁸.

რვეული მეხუთე

ვეფხისტყაოსანის ეტლთამეტყველება

კარი პირველი

ვეფხისტყაოსანის ზოდიაკონი

თავი 1. ეტლნი ანუ ზოდიაკონი

შვიდ მნათობთა ცას მისდევს ეგრეთ წოდებული უძრავ ვარსკვლავთა ცა. ამ ცაში, შუა საუკუნეთა ასტრონომიის სწავლით, 1022 ვარსკვლავია და აქ წარმოდგენილ ვარსკვლავთა სურათს კაცთა და საგანთა სახელი აქვთ დარქმეული. ამ ცაში არიან ვარსკვლავთა გუნდნი, ანუ ვარსკვლავედნი, რომელთაც ზოდიაკონი, ანუ ეტლნი ჰქვიათ. ზოდიაკოთა რიცხვი თორმეტია. [იხილეთ გვერდი 10 (წიგნისა)].

გაზაფხული 21 მარტს იწყება და მზე, რომელიც ზამთრიდან მოტრიალდა, ამ დღეს შედის "ვერძი"-ს ზოდიაკოში, ანუ: ჯდება ვერძის ეტლზე. ერთი თვის შემდეგ მზე გადადის "კურო"-ს ეტლში; მერმე, ერთი თვის გასვლისას, მზე შედის "მარჩბივ"-ში, და ასე რიგრიგობით და ყოველწლიურად მზე იცვლის თორმეტ ეტლს ანუ ზოდიაკოს და მარტის 21-ს ისევ ვერძის ზოდიაკოს უბრუნდება. ამ თორმეტი ზოდიაკოს გასვლას, როგორც ვხედავთ, მზე ერთ წელიწადს უნდება. ვინაიდან მზე თითოეულ ზოდიაკოში მხოლოდ ერთი თვე რჩება. ამავე გზაზე მოძრაობს მთვარეც, რომელს ამ გზის შესრულებისათვის სჭირდება მხოლოდ ერთი თვე. მთვარე რჩება თითოეულ

ზოდიაკოში ორ დღეზე ცოტა მეტს, და ამ დროს თითოეული ზოდიაკო თავის გავლენის ძალას აფართოებს და ამ გავლენით ზემოქმედებას განსაკუთრებით აძლიერებს. ვით მნათობნი ზოდიაკონიც თანამონაწილეობენ ქვეყნისა და ხალხთა მართვაში, ადამიანის ბედის გარდაწყვეტაში. ზოდიაკოთა ურთიერთობა მნათობებთან, მათი ადგილი მნათობთა მიმართულებით და სხვა ვარსკვლავთა წინაშე დიდად მნიშვნელოვანია კაცის მომავალისა და მისი მოქმედებისათვის. ამიტომ ბავშვის დაბადების (ან ჩასახვის წუთში, — ზოგი ასტროლოგის შეხედულების თანახმად), ზოდიაკოს მიეწერება ბედის გადაწყვეტაში თანამონაწილეობა და ადამიანის აკვარგი, მისი მარგებლობა და ზიანი მათზედაცაა დამოკიდებული. ¹³⁹.

ამ ასტროლოგიურ შეხედულებას ზოდიაკოთა შესახებ ვეფხისტყაოსანშიც ვხვდებით და მას ვეცნობით იქ, სადაც ზოდიაკო, ანუ ეტლი ბედის მაჩვენებელი არის.

ს. ს. ორბელიანის განმარტებით — ეტლი არის ურმის მსგავსი კამაროსანი, დიდებულთ საჯდომელად; გარეშეთა (საერო) წიგნთა ეტლად აღუწერიათ 12 ზოდიაკონი (ზოდიანი) და შვიდნი ცთომილნი ვარსკულავნიც-ო. მაშასადამე, ამის მიხედვით ეტლი ეწოდება ზოდიაკოებს და აგრეთვე ცთომილთაც ანუ პლანეტებს. ამას ცალკეულ შემთხვევაში გარჩევა დასჭირდება.

ამ თორმეტი ზოდიაკოდან ანუ ეტლთაგან რა და რა ეტლს ვნახულობთ ვეფხისტყაოსანში? მხოლოდ რამოდენიმეს, და ზოგ შემთხვევაში კიდევ ეტლთა საკითხი ბუნდოვანია, გაუგებარი და განმარტების მომთხოვნელი. ეს გარემოება იმიტია გამოწვეული, რომ ვტნში "ეტლი" ზოგ შემთხვევაში დასახელებული არაა.

თავი 2. ეტლი — ლომი

ვტნში დასახელებულ ეტლთა შორის პირველად შეხვდებით ზოდიაკო ლომს, რომელი ზოდიაკოთა ანუ ეტლთა რიგში მეხუთეა.

როდესაც ნესტანი მელიქ-სურხავის სასახლიდან გაიპარა, მან სწრაფლ ფატმანს მიაშურა დახმარების სათხოვნელად. ფატმანმა ნესტანს ხელი შეუწყო გაქცეულიყო და ამის შესახებ იგი ასე მოგვითხრობს —

შევე ფიცხლად საჯინიბოს, ავხსენ ცხენი უკეთესი,
შევეუკაზმე, ზედა შევსვი მხიარული, არ-მოკვნესი.
ჰგვანდა, ოდეს ლომსა შეჯდეს მზე, მნათობთა უკეთესი! (1201).

ეტლი ლომისა შესდგება 27 ვარსკვლავისაგან და რვა ნისლოვანისაგან. ძველი ბერძნები ფიქრობდნენ, ვარსკვლავთა ლომი არის ის ლომი, რომელიც ჰერკულესმა მოჰკლა ნემეაეს-თანო, ამიტომ ლომის ეტლს ისინი ნემეაეს-ისაც უწოდებდნენ.

ლომი ითვლება მეფედ, ხელმწიფედ მხეცთა შორის, და ამას გარდა, აღმოსავლეთის მითოლოგიაში, თავისი ფაფარის გამო, ლომი მზის გამოხატულებაა.

ზოდიაკო ლომი არის მზის სადგური. ლომზე მზე ჯდება 23 ივლისს და ეს ამბავი აღნიშნავს მზის სიარულის უმაღლეს გზას, როდესაც მზე მთელ თავის ძალას

ანვითარებს და ამით დიდი სიციხე იწყება. მზე ამ დროს ულამაზესიც არის თავისი ბრწყინვალეობითა და ელვარებით.

ვტნში ნესტანის შედარება მზესთან, რომელიც ლომზე ჯდება, მზის სიძლიერისა და შვენების ჩვენებას გამოხატავს. ამგვარად, ნესტანი უბრალოდ მზე კი არ არის, არამედ მზე, რომელიც ზოდიაკო ლომის ეტლშია, ლომზე ზის, და მამასადამე, უძლიერესი და უშვენერესია თავის სითბოს ძალითა და თავისი სილამაზით, მზე, — ისედაც ყველა მნათობზე უკეთესი!

”ძველად ასტროლოგები, — ამბობს ზურაბ ავალიშვილი, — ლომის ”ზოდიას” ანუ ეტლს ხშირად მეფეთა და დიდკაცთა ჰოროსკოპში ათავსებდნენ, ე. ი. ვარსკვლავთა იმ სქემაში, რომელიც ადამიანის დაბადების წუთში ჰსუფევს და მის ბედს მოასწავებს.. მეტადრე სირიასა და მესოპოტამიაში ამგვარი სახეებით ფულებს და სხვა ძეგლებს ამკობდნენ ხოლმე. ცნობილია მაგალითად (ხელოვნების ისტორიაშიც!) გამოქანდაკებული ლომი და ცის მნათობნი, ანტიოქოს პირველ კომაგანელის (I საუკ. ქრისტეს წინ) ჰოროსკოპი... აწინდელი სპარსეთის სახელმწიფო ემბლემაც (ლომი და მზე)... ამავე სახეობას ეკუთვნის... ჩვენთვის უფრო ისაა საყურადღებო, რომ მე-13 საუკ. შუა ათეულებში რუმის ანუ იკონიუმის სელჩუკიანმა სულთანმა ყიასედინ ქაიხოსრო მეორემ (1236 — 1245) მოისურვა თავისი ცოლის სახე ფულებზედ ამოჭრილიყო. მაჰმადიანთა კანონით ეს შეუძლებლად ჩასთვალეს. სულთანი იმით დაკმაყოფილდა, რომ დირჰემებზედ (ფულზე) ამ მანდილოსანის ჰოროსკოპი ამოაჭრევინა — სწორედ მზე და ლომი. სულთნის ცოლი გახლდათ საქართველოს მეფე-დედოფლის რუსუდანის ღვიძლი ასული თამარ (დიდი თამარის ასულის ასული) გურჯი-ხათუნად წოდებული”-ო. ⁴⁸. გვერდი 78.

თავი 3. ეტლი: საროს ტანი, თუ სარატანი

ავთანდილი გულანშაროდან ბრუნდება, სადაც მან ფატმანის შემწეობით ნესტანის ამბავი შეიტყო, და ახლა ტარიელისაკენ მიიჩქარის, რომელს სწორედ ამ დროისათვის, ერთი წლის წინად, შეხვედრა შეჰპირდა, ანუ პაემანი დაუნიშნა. ოდეს იგი გულანშაროდან გამომგზავრებული, ზღვიდან ნაპირზე გადმოვიდა, ეს დრო იყო, როდესაც —

მოწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსლვა მწვანისა,
ვარდის ფურცლობის ნიშანი, დრო მათის პაემანისა,
ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა სარატანისა,
სულთქნა, რა ნახა ყვავილი მან, უნახავმან ხანისა (1328).

ეს შაირი დაბეჭდილ სხვა და სხვა ვტნში განსხვავებულია —

ვახტანგისეულ ვტნში, 1712 წ. —

მდწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნად ამოსლვა მწვანისა...
ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა საროს ტანისა...

ქართველიშვილისებურ ვტნში, 1888 წ. —

მიწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსლვა მწვანისა...
ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა საროს ტანისა...

აბულაძესეულ ვტნში, 1914 წ. —

მიწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსვლა მწვანისა...
ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა საროს ტანისა (1255).

კარიჭაშვილისეულ ვტნში, 1913 წ. —

მიწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსვლა მწვანისა...
ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა საროს ტანისა (1304).

კაკაბაძისეულ ვტნში, 1927 წ. —

მიწურვილ იყო ზაფხული, ქუეყნად ამოსვლა მწვანისა...
ეტლის ცვალება მზისა და შეჯდომა სარატანისა (1327).

ჭიჭინაძესეულ ვტნში —

მიწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნად ამოსვლა მწვანისა...
ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა სარატანისა (1392).

უნივერსიტეტისეულ ვტნში, 1937 წ. —

მიწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსლვა მწვანისა...
ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა სარატანისა (1328).

შანიძესეულ ვტნში, 1951 წ. —

მიწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსლვა მწვანისა...
ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა სარატანისა (1328).

ინგოროყვასეულ ვტნში, 1953 წ. —

მიწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსლვა მწვანისა...
ეტლის ცვალება მზისადა, შეჯდომა სარატანისა (1328).

ამგვარად, გვაქვს აღნიშნული შაირის ორი სახე:

- 1). "მიწურვილ იყო" და "მოწურვილ იყო";
- 2) "შეჯდომა საროს ტანისა" და "შეჯდომა სარატანისა".

ამ სიტყვათა განმარტებანიც შესაფერნი არიან: 1) მიწურვა — დაწვევა; ზომაზე მიყვანა; მიახლოება; მიწვევა (ი. აბულაძე); ბოლომდის მიყვანა, მიღწევა, მიახლოება (დ. კარიჭაშვილი).

2). მოწურვა — დაწვენა, მოახლოვება (ი. აბულაძე); მოწვენა, მოახლოვება (დ. კარიჭაშვილი).

3). სარატანი — კირჩხიბის ზოდიაკო (ი. აბულაძე); სარატანი — კირჩხიბი, მაისის ზოდიაკო (ს. კაკაბაძე); სარათანი — კირჩხიბი, მაისის ზოდიაკო (კ. ჭიჭინაძე).

განვიხილოთ ჯერ სიტყვა **სარატან**. ეს "სარატან არის არაბული "ელ-სერტან", ანუ უნაწევროდ — სერტან. სპარსულად — სარატან. ¹⁴⁰.

"ელ-სერტან" შესდგება ცხრა ვარსკვლავისაგან და ოთხი უსახო ვარსკვლავისაგან. მათ შორის უნათლესს ეწოდება: ელ.ნეთრა. ¹⁴¹.

ქართულ ენაში ეს სახელი **ელ-სერტან** შემოსულია სპარსული სახით: **სარატან**. ხოლო მისი წმიდა ქართული სახელია: **კირჩხიბი**, რომელიც ქართულ კაზმულ მწერლობაში უცნობი არაა — თამარ მეფე მზეს ედარება, რომელიც კირჩხიბსა ზის, ანუ მზე — თამარ კირჩხიბის ზოდიაკოშია —

სწორად არს მზისა,
კირჩხიბსა ზისა...

კირჩხიბის ზოდიაკოში ყოფნისას მზე ელვარეა და ლამაზი.

* *
*

შეუძლებელია უყურადღებოდ დავტოვო ერთი იქნებ უნებლიე შეცდომა. იუსტინე აბულაძე მის მიერ გამოქვეყნებულ შაჰ-ნამე-ს ქართული ვერსიის ლექსიკონში სიტყვისა "კირჩხიბი" შესახებ ასეთი განმარტება აქვს მიწოდებული — კირჩხიბი: კიბო. აქ კი მაისის ზოდიაკო. ¹⁴². სარგის კაკაბაძეც ამგვარადვე გვიხსნის — სარატანი: კირჩხიბი, მაისის ზოდიაკო. ასევე კ. ჭიჭინაძეც: სარათანი — კირჩხიბი, მაისის ზოდიაკო.

უეჭველია, სარატანი = კირჩხიბი მაისის ზოდიაკო არ არის. ყველა შეცდომა, მგონია, ს. ს. ორბელიანის ლექსიკონის უყურადღებო გამოყენებით აიხსნება.

ს. ს. ორბელიანს სიტყვა "სარატანი" თავის შესანიშნავ ლექსიკონში მოხსენებული არა აქვს, მაგრამ მას აქვს "სარატანის" შესატყვისი "კირჩხიბი", რომელი სიტყვაც ასეა განმარტებული: კირჩხიბი ეწოდების ზოდიაკოსა მაისისასა. დარწმუნებული ვარ ეს შეცდომა ს. ს. ორბელიან არ ეკუთვნის, რადგან მან კარგად იცის, რომ "კირჩხიბი" არ არის მაისის ზოდიაკო.

როდესაც ს. ს. ორბელიანი თორმეტ ზოდიაკოს ჩამოსთვლის, იგი ამბობს —

ზოდიაკონი ესენი არიან სახელნი და ნიშანნი სახეთა მათთანი და რომელთა თთვესა მიითუალავს მზე მათ...

კირჩხიბი ივნისსა 22.

მაშასადამე, მზე შედის კირჩხიბში ანუ კირჩხიბის ზოდიაკოსა ზედა ჯდება 22 ივნისს და რჩება იქ 22 ივლისამდე.

მველი ქართული აღნუსხვით (მეცხრე საუკუნისა) მზე კირჩხიბ-სარატანის ზოდიაკოშია 19 ივნისიდან 18 ივლისამდე; ს. ს. ორბელიანის სიის მიხედვით — 22 ივნისიდან 22 ივლისამდე; ჩვეულებრივი ზოგადი სიით — 21 ივნისიდან 22 ივლისამდე.

მაშასადამე, ყველა ის განმარტება, რომელიც ”კირჩხიბს” ”მაისის” ზოდიაკოდ სახავს, არის რიოში და უეჭველად გასასწორებელი.

* *
*

ამ ”საროს ტანი“-სა და ”სარატანი“-ს შესახებ ქართველ მკვლევართა შორის უცნაური და აღმამოთებელი ამბავი დატრიალდა.

პავლე ინგოროყვა თავის ზღაპრულ ”რუსთველიანა“-ში (1926 წ.), სხვათა შორის, სწერდა —

”ვახტანგს (მეფეს, ვტნის პირველ დამბეჭდავს, 1712 წ.) არ შეუცვლია არა თუ სტროფების რიცხვი, არამედ ცალკე სიტყვების შეცდომებიც კი, თუმცა კარგად სცოდნია, რომ ესა თუ ის სიტყვა დამახინჯებულად იყო წარმოდგენილი მის დედანში. ასე, ვახტანგის გამოცემაში არის ასეთი ადგილი:

მიწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნად ამოსვლა მწვანისა,
ვარდის ფურცლობის ნიშანი, დრო მათის პაემანისა,
ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა ს ა რ ო ს ტ ა ნ ი ს ა ... (სტრ. 1279. — კბ. 1304. — კრ.).

”უკანასკნელი სიტყვები: ”საროს ტანისა” აქ დამახინჯებას წარმოადგენს. უკვე გამორკვეულია (?! ვ. ნ.), რომ აქ უნდა იყვეს არა ორი სიტყვა ”საროსტანი”, ანუ ”სარატანი”1).

”1). არაბ. — (იხილ. ნ.მარრ — გრ. პოემა ვიტაზ ვ ბარს. შკ., 1917 გ. სტრ. 432 — შეადარეთ საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერი, ნ. 65, 13 ს., გვ. 364: ”კირჩხიბი, რომელსა არაბულად ჰრქვან სარატან”.

”სარატან ნიშნავს: მზის ეტლს (კირჩხიბის ზოდიაკოს) და სწორეთ ისეთი მნიშვნელობა უდგება აქ პოემის მოთხრობას.

”მაგრამ ვახტანგის კომენტარიებიდან სჩანს, რომ ეს კარგად სცოდნია თითონ ვახტანგსაც. მიუხედავად ამისა პოემის ტექსტში მას ეს ადგილი არ შეუცვლია”2).

”2). კომენტარიებში ვახტანგი ასე განმარტავს ამ დამახინჯებულ ადგილს: ”საროტანი კირჩხიბსა ჰქვიან”. (იხ. ვახტანგის გამოცემა, კომენტარი 1318 სტროფისა).“.

ასე სწერს პ. ინგოროყვა. ¹⁴³.

1927 წელს კრებულში ”მნათობი” პროფ. კორ. კეკელიძე ამის გამო სწერდა —

”რაც შეეხება ”საროს ტანისა“-ს შეუსწორებლობას, ვახტანგს აქ არაფერი ჰქონდა შესასწორებელი, ვინაიდან, ჯერ ერთი, ის აქ ორ სიტყვას კი არ ჰკითხულობდა და ჰგულისხმობდა, არამედ ერთს ”საროს-ტანისა“; მეორე — მას ”კირჩხიბის” შესატყვისად მიაჩნია ”საროს ტანი” და არა ”საროტანი” (”საროსტანი კირჩხიბსა ჰქვიანო”, გვ. 349). ¹⁴⁴.

შემდეგ პროფ. კ. კეკელიძე თავის წერილში — ”კიდევ ვეფხისტყაოსანის გარშემო” პავლე ინგოროყვასთან კამათის დროს სწერს კრებულში ”მნათობი”, 1927 წ. ¹⁴⁵. —

”იმის დასამტკიცებლად, რომ ვახტანგ მეექვსეს ვეფხისტყაოსანის გამოცემაში ისეთი სიტყვებიც კი არ შეუსწორებია, რომელთა დამახინჯებაში ის დარწმუნებული იყო, პ. ინგოროყვა გვარწმუნებს, რომ ვახტანგს კომენტარიებში ნათქვამი აქვს ”საროტანი კირჩხიბსა ჰქვიანო”. (რუსთ. გვ. 14). ამაზე მე შევნიშნე მას, რომ აღნიშნულ ადგილს სწერია არა ”საროტანი”, არამედ ”საროსტანი” (მნათობი 2, 184). პ. ინგოროყვამ საჭიროდ დაინახა ამის გამო დაეწერა: ”მკითხველი, რომელსაც სამვალეა აქვს შეადაროს მუზეუმში თვით ვახტანგისეული დედანი, დარწმუნდება, რომ აქ კ. კეკელიძეს ვახტანგის ტექსტი არ მოჰყავს სწორად. ვახტანგის კომენტარიებში, 349 გვერდზე, რომელსაც უჩვენებს კ. კეკელიძე, სწერია ”საროტანი”, როგორც ეს ჩვენ გვაქვს აღნიშნული რუსთველიანაში (გვ. 14) და არა ”საროსტანი”, როგორც ამას კ. კეკელიძე ასწორებს. აქ საკითხავი რჩება მხოლოდ, რაში დასჭირდა კ. კეკელიძეს ვახტანგის გამოცემის ციტატის ასე დამახინჯება?” (მნათობი 3, 205, შენ. 1). მართლაც რომ საკითხავია, რით არის გამოწვეული ასეთი უმსგავსო საქციელი? ვახტანგისეულ დედნის ერთად-ერთ ცალში, რომელშიაც სადავო ადგილი შენახულა და რომელიც წინათ წერაკითხვის მუზეუმს ეკუთვნოდა, ხოლო დღეს უნივერსიტეტის წიგნთსაცავშია მოთავსებული, 349 გვერდზე სწერია ”საროსტანი” და არა ”საროტანი” (”საროსტანი კირჩხიბსა ჰქვიან”), რის დასამტკიცებლად ”მნათობის” რედაქციას ვურდგენ ”ვეფხისტყაოსანის” ვახტანგისეულ დედანს“-ო).

ასე სწერს პროფ. კ. კეკელიძე და თავის მხრივ კრებულისა ”მნათობი“-ს რედაქცია დასძენს: —

”კ. კეკელიძის მოყვანილი ციტატის სიწორეს ვადასტურებთ. რედ.”.

ასეთი უცნაური და უხამსი დავა ერთჯერ კიდევ მოგვაგონებს იმ გადაუდებელ საჭირო საქმეს, როგორიცაა ვტნის აკადემიური ტექსტის გამოცემა!

* *
*

გარნა პირველსავე სიტყვასვე მოვიდეთ, განსახილველ საკითხს დავუბრუნდეთ და ჯერ თვით შაირის შინაარსი გავიგოთ.

ავთანდილმა გამოვლო ზღვა და ხმელეთზე გადმოვიდა. ამ დროს ”მოწურვილ” იყო ზაფხული, ანუ როგორც ამას ი. აბულაძის ლექსიკონი განმარტავს — მოახლოებული იყო ზაფხული, ქვეყნით მწვანის ამოსვლა, ვარდის მრავლად გაშლა, მათი (ტარიელისა და ავთანდილის) შეხვედის დრო; მზისაგან რომელიღაც ეტლის გამოცვლა და შეჯდომა ახალ ეტლზე, რომელიც არის ან ”სარატანი” ან სადავო ”საროს ტანი”.

მაშასადამე, ავთანდილი ხმელეთზე იმ დროს გადმოვიდა, როცა მზემ ერთი რომელიღაც ეტლი დასტოვა და მეორეში შევიდა. ეს მეორე ეტლი, ანუ ზოდიაკო არის ან ”სარატანი”, ან ”საროს ტანი”; ორივე სიტყვა, თუ მხედველობაში მათ შინაარს არ მივიღებთ, მუსიკალურად თითქმის თანახმოვანი.

* *
*

ზ. ავალიშვილი თავის ნაკვლევში ვტნის საკითხთა შესახებ, ამ ლექსს ასე განმარტავს —

”აქ ”ეტლის ცვალება” მზისაგან” იმას ნიშნავს, რომ მზე მარჩბივის ზოდიაქოს სტოვებს და კირჩხიბის (არაბულად — სარატანი) ვარსკვლავთ კრებულში შედის, რაიცა 21 ივნისს ხდება, და ზაფხულიც ხომ მაშინ იწყება”-ო. ⁴⁸. გვ. 20).

ყველა ერთსა და იმავეს იმეორებს: ”სარატანი” არაბული სიტყვააო. — ”სარატანი” არის არა არაბული, არამედ გასპარსულებული და მერმე გაქართულებული სიტყვა ”სარატან”. არაბულად მას ჰქვია ”სარტან”, ნაწევრიანად — ელ-სარტან.

მართალია: ზაფხული იწყება 21 ივნისს, მაგრამ იწყება ამ ზაფხულის დამდეგთან ერთად ”ქვეყნად ამოსლვა მწვანისა”? — აი საკითხი, რომელიც გადაუდებელ პასუხს მოითხოვს და სწორედ ამ პასუხს ვეძებ.

* *
*

”კირჩხიბი” ანუ ”სარატანი” ცაზე ამოსვლას იწყებს 21 ივნისს, მას შემდეგ რაც მზე ასრულებს თავის სვლას წინა ეტლში=ზოდიაკოში, რომელსაც ჰქვია ”მარჩბივი”, ანუ ”ტყუბი”. (მარჩბივი ცაზე იმყოფება 21 ივნისიდან 20 ივლისამდე). მაშასადამე, ზემორე შაირით, მზემ დასტოვა მარჩბივის ეტლი, და ეს არის ლექსის თქმა: ”ეტლის ცვალება მზისაგან”, გამოიცვალა ეტლი და შევიდა ახალ ეტლში, რომელიც არის სარატანი, 21 ივნისიდან 22 ივლისამდე.

ლექსის ამგვარი განმარტებით, ავთანდილმა თავისი საზღვაო მოგზაურობა დაასრულა და გადმოვიდა ნაპირს სწორედ იმ დროს, როცა მზე შეჯდა სარატანზე ანუ კირჩხიბზე, რაც **21 ივნისს** ხდება. აქედან იგი ტარიელთან ქვაბისაკენ უნდა წასულიყო და იქ მისულიყო იმ დროს, როდესაც ძალი დაიყეფებდა, ანუ ვარსკვლავი "სირიუსი" პირველად ცაზე გამოჩნდებოდა, **23 ივლისს**.

მივიღოთ ის დებულება, რომ ამ შაირში "სარატანია"? თუ არის "საროს ტანი"?

* *
*

ვტნის ინგლისურად მთარგმნელი მარჯორი უორდროპიც შეწუხებულა, თუ რომელი სიტყვაა ამ შაირში: "საროს ტანი", თუ "სარატანი". ამ კარგსა და კეთილსინდისიერ მთარგმნელს ხელთ ისეთი ვეფხისტყაოსანი ჰქონია, სადაც "საროს ტანი" ყოფილა დაწერილი, და ამ სიტყვას ასეც სთარგმნის იგი — "საიპერ ფორმ", ანუ საროს, კიპარისის სახეო. მაგრამ მას მოუწადინებია ამ სიტყვის განმარტება და ამბობს — ავთანდილმა გამოიცვალა თავისი მოგზაურობის საშუალება; აქამდე ნავით მოგზაურობდა, და ახლა კი ცხენით იწყებს მგზავრობასო.

მართალია, ვტნში ცხენი დიდად საქები და საპატივო ცხოველია, მაგრამ არც ისეთი, რომ პოემის დამწერს ცხენისათვის გაემეტებინა შედარება "საროს ტანი", რომლითაც მხოლოდ მაღალი გმირები აღიწერებიან! და ასეც არ იყოს, მარჯორი უორდროპის მოსაზრება შემცდარია, რადგან აქ ლაპარაკია ასტრონომიულ მოვლენაზე: მზისაგან ეტლის გამოცვლაზე და ახალ ეტლში შესვლაზე. ეს წინადადება უბრალო პოეტური შედარებაც რომ იყოს, (რაც, რასაკვირველია, არ არის) და ეს მზე ავთანდილად გვესახებოდეს, მაინც ძველი ეტლის გამოცვლა და ახალ ეტლში შეჯდომა მზისაგან წესისა და რიგის მიხედვით უნდა მომხდარიყო. აქ არც ნავი და არც ცხენი არაა, ცხადია. თვით მარჯორი უორდროპი აღნიშნავს თავის შენიშვნაში: — ვახტანგ მეფე ამბობს: "შეჯდომა კრაბ"-ზეო. ¹⁴⁶. (ინგლისური "კრაბ" — ქართული კირჩხიბი, არაბული — ელ-სარტან, სპარსულ-ქართული — სარატან).

* *
*

რათა ეს საკითხი გაირკვეს: არის ამ შაირში "სარატანი" თუ "საროს ტანი", ამისათვის საჭიროა დაწვრილებითი ანალიზი და თვით ლექსის გახსნა:

შაირის პირველი ლექსი —

მიწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსლვა მწვანისა...

ჩვეულებრივი განმარტებით ამ წინადადების აზრი შემდეგია — მოახლოებული იყო ზაფხული; მოახლოებული იყო "ქვეყნით" ანუ მიწიდან მწვანის ამოსვლაო.

* *
*

სიტყვა "მიწურვა" ვტნის სხვა შაირებშიც მოიპოვება —

მიეწურვა, იგონებდა, ახლოს შეყრა ვითა აგოს (215),
დაბნედასა მიეწურვა, ასმათ ასხა გულსა წყალი (322),
ყმა დაბნდა, რა სახელისა ხსენებასა მიეწურა (326),
მეტმან სევდამან მიმწურვა გულსა დაცემად დანისად (517),
აწ მივსწურვილვარ სიკვდილსა, დრო მომეახლა ლხენისა (881).

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, მიწურვა არის მიახლოვება. ამ განმარტებით, ყველგან ვტნის აღნიშნულ შაირებში "მიწურვა" არის: მიახლოვება, მისვლა. მაშასადამე: მიწურვილ იყო ზაფხული — მიახლოებული იყო ზაფხულიო. და მიახლოებული იყო "ქვეყნით ამოსლვა მწვანისა"-ო.

"ქვეყანა" ძველ ქართულ ენაში არი "მიწა". და ამ მნიშვნელობით ეს სიტყვა ძველს მწერლობაში ხშირად იხმარება.

* *
*

რა არის "მწვანე"? ს. ს. ორბელიანი განმარტებით, "მწვანე" არის "ბალახის ფერი"; "მწვანელი" არის "ყოველი ბალახი", ხოლო "ბალახი" არი "მოლი".

ძველ ქართულში "მწვანე" სხვა რამეს ნიშნავს. პირველად ყოვლისა "ბალახს" ეწოდება "თივა".

ფსალმუნი 36,2 რამეთუ ვითარცა თივა მსთვად (მოსაჭრელად, მოსაცელავად) განჰხმენ.

"თივა" აქ არის მოუჭრელი, მოუცელავი ბალახი.

ფსალმუნი 71,15 ვითარცა თივა ქვეყანისა... ანუ: ბალახი მიწისა.

ფსალმუნი 91,7 აღმოცენებასა ცოდვილთასა ვითარცა თივა (ბალახი)

ფსალმუნი 101,7 და დღენი ჩემნი ვითარცა აჩრდილი წარჰხდეს და მე ვითარცა თივა (ბალახი) განვხმე.

ყველგან აქ და სხვაგანაც "თივა" არის "ბალახი". ს. ს. ორბელიანის დროს (და ჩვენს დროშიც) "თივა" უკვე მოცელილ ბალახს, ხმელს ბალახს ეწოდება.

სიტყვისა "მწვანე" მნიშვნელობასაც ბიბლიიდან ვგებულობთ —

ფსალმუნი 89,5 განთიად ვითარცა მწვანე წარჰხდეს, აღჰყვავდეს და წარჰხდეს...

ფსალმუნი 103,14 რომელმან აღმოაცენა თივაჲ პირუტყვთა, და მწვანე სამსახურებელად კაცთა, გამოღებად პირი ქუეყანითა...

ანუ: ღმერთი აღმოაცენებს თივას = ბალახს პირუტყვთათვის; და მწვანეს კაცთა საჭმელად, რომელს მოიცემა, გამოიღებს ქვეყანითა ანუ მიწის პირით.

ფსალმუნი 146,8 რომელმან აღმოაცენის თივაჲ მთათა, და მწვანე სამსახურებელად კაცთა...

ცხადია, "მწვანე" არის ყოველი მცენარეული, რაც კაცს საჭმელად ემსახურება.

დროა გასარჩევ ლექსს დავუბრუნდეთ.

* *
*

მიწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსლვა მწვანისა... ესე იგი მიახლოებულ იყო ზაფხული; მიახლოებული იყო მიწიდან მცენარის ამოსვლაო!

იქ, სადაც ზაფხული ზაფხულს ეწოდება, იმ ქვეყანაში ზაფხულის მოსვლისას მწვანის, ანუ კაცის საზრდო, მარცვლეულთა ამოსვლა არამც თუ მიახლოებულია, არამედ დასრულებულია, და მწიფობის ხანაშია შესული. აქედან დასკვნა — განსახილველ შაირში არ შეიძლება იყო სიტყვა: "მიწურვილ იყო ზაფხული".

* *
*

ნათქვამია: მიწურვილ იყო ზაფხულიო... და ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა სარატანისაო. მაშასადამე: მიახლოებული იყო ზაფხული, მიახლოებული იყო მწვანე მცენარეთა ამოსვლა, როდესაც მზემ თავისი ეტლი გამოიცვალა და სარატანში შევიდაო. სარატანის ზოდიაკოში მზე შედის 21 ივნისს; ამ 21 ივნისს კი ზაფხული არამც თუ მიახლოებულია და არამც თუ მიწიდან მწვანის ამოსვლა იწყება, არამედ ზაფხული უკვე დაწყებულია და მწვანის ამოსვლა დასრულებული.

მაშასადამე: განსაკითხავ ამ შაირში არ შეიძლება იყოს სიტყვა "მიწურვილ იყო ზაფხული".

* *
*

განვიხილოთ შაირის მეორე სახე —

მიწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნად ამოსლვა მწვანისა...

როგორც ზემოდ აღვნიშნე, ყველა არსებული განმარტების თანამხად, "მოწურვა" არის — მოახლოება. მაშასადამე: ზაფხული როდესაც მოახლოვდება, მაშინ მოახლოვდება აგრეთვე მწვანის ანუ მწვანეულობის ამოსვლა! ასეთი განმარტება შეუძლებელია სწორი იყოს!

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, ზაფხული არის: თთუჰ სამი — მარიალისა, თიბისა და ქველთობისა, ანუ: ივნისი, ივლისი და აგვისტო. ესე იგი — კირჩხიბის, ანუ სარატანის თვე 21 ივნისიდან 22 ივლისამდე; ზოდიაკო ლომის თვე, ანუ 23 ივლისიდან 22 აგვისტომდე და ზოდიაკო ქალწულის თვე 23 აგვისტოდან 21 სექტემბრამდე.

როდესაც ვტნში ლაპარაკია ზაფხულის მოახლოებაზე, ამით უნდა ვიგულისხმოდ მოახლოება თვისა, რომელიც არის ივნისი, უფრო სწორად — ივნისი 21-დან, ზოდიაკო სარატანის ანუ კირჩხიბის თვე.

შესაძლებელია განა, რომ ივნისის მოახლოებისას ხდებოდეს მიწიდან მწვანის ამოსვლა? — ეს შეუძლებელია.

* *
*

შაირის მეორე სტრიქონია —

ვარდის ფურცლობის ნიშანი, დრო მათის პაემანისა... ანუ: მოწურვილ, მოახლოებულ იყო ვარდის ფურცლობის ნიშანი ანუ ვარდის, ყვავილების ფოთოლთა გამოღება, შეფოთვლა, გაფურჩქვნა; მოახლოებულია მათი პაემანის, დანიშნული დრო შესახვედრად.

ვიციტ, როდესაც ავთანდილი ნესტანის მოსამებნად წავიდა, ტარიელს მან ვადა დაუნიშნა, ერთი წლის შემდეგ მოვბრუნდებიო —

ამას ჟამსა ნიშნად მოგცემ, დროსა ამას ვარდ-იეფსა,
ვარდთა ნახვა გაგაკრთობდეს, მათ ვითამცა ძალლი ყეფსა (936).

მაშასადამე: ავთანდილის მობრუნების, ნუ შეხვედრის დრო იყო ვარდთა იეფობა, ანუ სიმრავლე, როდესაც ვარდნი, ყვავილნი ბევრნი არიან, და როცა ისმის ძალლის ყეფა, ანუ ცაზე პირველად ვარსკვლავი სირიუსის გამოჩენა, რაც 23 ივლისს ხდება.

აღნიშნული შაირით (1328) ნათქვამია — დრო მათი პაემანისა იყო მოახლოებული, ესე იგი მოდიოდა დრო ივლისის 23-ისაო. მაშასადამე, ივლისი არის, ამის მიხედვით, ყვავილთა სიმრავლის დრო.

ამგვარად, თუ "მწვანის" ამოსვლა ივნისში ხდება (22 ივნისიდან), ყვავილთა სიმრავლე არის ივლისში (23 ივლისიდან). ამგვარი განმარტებით, ცხადია, თიბათვის (ივნისის) ოცდამეორედ იწყება ზაფხული და "მწვანის" ამოსვლა და მკათათვის

(ივლისის) ოცდასამიდან იწყება ვარდთა ანუ ყვავილთა სიმრავლე! მაგრამ ყველა გეოგრაფიულ ნორმალურ სარტყელზე "მწვანის" ამოსვლა იწყება გაზაფხულზე და არა ზაფხულზე. ივნისში "მწვანის" ამოსვლა უკვე დასრულებულია. აქედან დასკვნა: "მოწურვილ იყო" არ შეიძლება ნიშნავდეს: მოახლოებული იყო!

* *
*

სიტყვა "მოწურვა" თვით ვეფხისტყაოსანშიც იხსენება, როდესაც ფრიდონი თავის საზღვაო შეტაკებას აღწერს —

არ მომწურვოდეს წინანი, ზურგით მესროდეს მე ოდეს (606).

ანუ: ის მოლაშქრენი, რომელნი წინ იმყოფებოდნენ, ჩემთან არ მოსულან, მხოლოდ ზურგით მყოფნი მესროდნენო.

ამ ლექსის აზრით "არ მომწურვოდეს" არ ნიშნავს: "არ მოახლოვებოდნენ". მისი მნიშვნელობაა: უარყოფითი: მსროლელნი ფრიდონთან არ მისულან, მათ თავისი მისვლის მოქმედება არც კი უცდიათ. ამგვარად. "მოწურვა" არის დასრულებული მოქმედება.

ეს სიტყვა "მოწურვა" გვხვდება კიდევ სიტყვით "წურვა". დაბნედილ ტარიელს ავთანდილი —

ხელითა ცრემლსა უწურავს, თვალთა ავლებდა სახელსა (871),

ანუ: ავთანდილი ტარიელს ხელით ცრემლებს უწურავს და თვალებზე სახელოს ავლებდა, უსვამდაო. და შემდეგ —

ცრემლნი მოსწურნა თვალთაგან, ცოტათი მოაცნობილა (872).

მამასადამე: "მოსწურნა" არის გათავებული მოქმედება — ცრემლნი უკვე ამომშრალნი არიან, მოწურვილნი. მერმე ავთანდილი ფრიდონს უამბობს, დავტოვე ჩემნი ლაშქარნიო —

გამოვეპარე, დავეხსენ სისხლისა ცრემლთა წურვასა (1003).

ს. ს. ორბელიანის ახსნით, წურვა არის გაწურვა, დაწურვა. ამ მხრივაც აღნიშნულ სიტყვას დასრულებული მოქმედების მნიშვნელობა აქვს.

* *
*

ეს საკითხი კიდევ სხვა მხრივაც უნდა გავარჩიო. მიმოვიხილოთ აღმოსავლეთის ქვეყანათა წელიწადის დრონი.

თავის შესანიშნავ ნაკვლევში მუსულმანთა ყოველ დღიურ ცხოვრების შესახებ, მათე საუკუნედან მეთოთხმეტემდე, ისტორიის ინტერნაციონალური აკადემიის წევრი ალი მაზაჰერი, სოფლის წლიურ მუშაობასა და მასთან დაკავშირებულ კალენდარს გვაცნობს. ¹⁴⁷.

ისლამური, ანუ ყურანული კალენდარი არის მთვარული, მაგრამ სოფლის მეურნეობა მზის კალენდარის მიხედვით ცხოვრობდაო.

აღმოსავლეთ ირანს ჰქონდა სოლდიური, ხვარაზმული, სეისტანური, თოხარული კალენდარი, და ყველა ეს, ზოგადად, ფარსის კალენდარს უდრიდა.

ინდოეთის ისლამური ახალშენები ხმარობდნენ ინდო-სკვითურ კალენდარს, ხოლო ეგვიპტეში იხმარებოდა კოპტური კალენდარი.

სოფლის მეურნეობაში წელიწადის პირველი დრო, სეზონი, ანუ არე იყო შემოდგომა. მას ეკუთვნის: სექტემბერი, ოქტომბერი და ნოემბერი.

სექტემბერი არის შემოდგომის პირველი თვე, აგრეთვე შემოდგომაზე დღე და ღამის გასწორების თვე, — დღე მოკლდება, ღამე იზრდება. ამ თვეში ჭილოფით შეახვევენ აღმოსავლეთის ზამთრიან მხარეებში ბანანის, ფორთოხალის, მირთის და სხვა ნაზ ხეებს; ბროწეული, ატამი, კომში (ბია) და სხვა მწიფდება; ზეთისხილი შავდება; აგროვებენ ბრინჯს და ჟუჟუბს, ხმელ ლობიოს, ორიგანის თესლს და სხ.; სწყვეტავენ, ჰკრებენ ინას, და ზოგ მხარეში, მიწას ხნავენ; მყნიან ვაზს; სთესენ ნიორს; ისპანახს, გადარგავენ კომბოსტოს, — ესაა საერთოდ, აღმოსავლეთის ქვეყნებში სექტემბრის განმავლობაში მუშაობა.

ოქტომბერში განაგრძობენ ხვნას; იწყებენ თესვას; აგროვებენ ზაფრანას, კამას და ანისულ ცერეცოს, კოლონოზს (ფისტამს), ზეთისხილს; სთესენ ხახვს და გვიან თალგამს.

ნოემბერში სთესავენ ხორბალს, ქერს, სელს და სხვა. აგროვებენ წაბლს, მირთის ნაყოფთ, რკოს და სხვა.

იწყება ზამთარი: დეკემბერი, იანვარი, თებერვალი.

ცივ მხარეთა დეკემბერში თოვლი მოდის; შინ ართავენ ბამბას; ტროპიკულ, ცხელ მხარეებში სთესენ ლობიოს (ე. წ. ღორის ლობიოს) და თეთრ ყაყაჩოს.

იანვარში თავდება დეკემბრის ”სიცივე ძველი”, რომელს ზოგ მხარეში ეწოდება ”ღამენი შავნი”.

იანვრის დასასრულს უკვე თბება და ჯეჯილი ამოდის; ფუტკრები მუშაობენ; ხალხი აგროვებს ფორთოხალს, ლიმონს; სჭრიან შაქრის ლერწამს; ამზადებენ ნიადაგს ბამბის დასათესად; ესაა აგრეთვე საუკეთესო დრო სელისათვის მორწყულ ნიადაგზე; მყნიან ატამს, ნუმს, კერატს (ენდრო ხვართქლა) და ვაშლს — ცივ მხარეებში.

თებერვალში დედაკაცნი აჯენენ აბრეშუმის-ჭიას; რგავენ სხვა და სხვა სუნნელოვან მცენარეთ; სწმენდენ ბოსტანსა და ბაღს; სთესავენ ბრინჯს და სხვა.

იწყება გაზაფხული: მარტი, აპრილი და მაისი.

მარტში ხდება დღე და ღამის გასწორება; დღე მატულობს ღამეზე; სთესენ სელს მოურწყავ მიწაზე; უვლიან ვენახს აღმოსავლეთის თბილ ქვეყნებში; სთესავენ სხვა და სხვა მწანილეულობას და მიერეკებიან პირუტყვს საძოვარზე; გადარგავენ ბრინჯს და სხვა.

აპრილის არის უმთავრესად თვე ვარდთა; დრო ვარდის წვენის გამოხდისა, ესენციათა და სიროპთა (ვაჟინი) დამზადებისათვის; სთესენ ინას, ნესვს, კიტრს; გადარგავენ ნორჩ ბადრიჯანს; ფუტკრები გამოდიან ახალ სკაში შესასვლელად და სხვა.

მაისში სჭრიან სელს; რწყავენ ხეებს; მიჰყავთ ძროხა დასამაკებელად; რგავენ ზაფრანის ძირებს.

შემდეგ იწყება ზაფხულის სეზონი, არე: ივნისი, ივლისი, აგვისტო.

ივნისშია: ნაადრევი ყურძენი; ქლიავი, საზამთრო და ლეღვი; ბოსტანში სთესენ სწრაფ მზარდ კომბოსტოს; დროა ფიქრისა ჭირნახულის მოწვენაზე, დროა თიბვისა, მოჭრა ღომისა.

ივლისში არის მთავარი მუშაობა: მოკრება ჭირნახულისა; აგროვებენ ხორბალს, ფეტვს, ლობიოს, ცერცვს და სხვა. ბროწეული, მსხალი, ყურძენი, ხურმა მწიფდება. ბოსტანში ყველა მწვანილი მზადაა; აგროვებენ ყოველგვარ ჩენჩოიან ნაყოფს; უბრუნებენ მიწას ზეთისხილის ხეს; ჯობებითა და კეტებით ჰბეგვავენ ზვარში მიწის კოლბოხებს, რათა მტვერი ადგეს და მტევნებს დაეყაროს; სჯერათ, ეს ძალიან უხდება ყურძენს და კარგად ამწიფებსო.

აგვისტოში სჭრიან ბრინჯის მცენარეს; აგროვებენ გუნჯუთს (სეზამი), ლილას (ინდიგო); ხურმა და ჟუჟუბიერი მწიფდება; ბოსტანში თესავენ სტაფილოს, ბოლოკს და ნაგვიანებ კიტრს; ღვინის მხარეებში რთველია.

იწყება შემოდგომა... ¹⁴⁷. გვერდი 225 – 228.

ასეთია წელიწადი აღმოსავლეთის ქვეყნებში; და ამ აღწერიდან ვტყობილობთ, რომ ზაფხულის მოახლოებისას "ქვეყნად ამოსვლა მწვანისა" არამც თუ ახლოვდება, არამედ დასრულებულია გადარგვა, და ამოსვლა ჯეჯილისა, და მაისში უკვე ბრინჯის მოსავალია, სჭრიან სელს რომ არ მოვიხსენიოთ ბოსტანისა და ბაღის მრავალი მცენარეულობა. აქედან ცხადია, "მოწურვილ იყო ზაფხული" არ შეიძლება იყოს "მოახლოება ზაფხულისა", არ შეიძლება იყოს მოახლოება მიწიდან ამოსვლა მწვანისა.

* *
*

ქართული წარმოდგენა წელიწადზე, მის თვეებზე და არეზე (სეზონზე) თითქმის არაფრით არ განსხვავდება აღმოსავლეთის აქ დახასიათებული კალენდარისაგან.

თამარ მეფის დროის ვანის სახარება ”შემკულია მოხატულობით... სვეტის თავები და მკვარცხლბეკები თვეების გამოხატულობით ასე —

მარტი — მხედარი

მაისი — სარკინოზი სვამს მინის წითელი ჭიქით

ივნისი — მომკელი

ივლისი — ამნიავებელი

აგვისტო — მიირთმევს ყურძენს

ენკენისთვეს — მოაქვს კალათა

ოქტომბერი — ქორით

ნოემბერი — ორკბილა ორთითით

დეკემბერი — მთესველი თხრის მიწას

იანვარი — ნადირობს

თებერვალი — თბება ცეცხლა პირას ნაბდით. ⁵⁰. გვერდი 81. მაშასადამე, ქართული კალენდარითაც, ”ქვეყნით ამოსლვა მწვანისა” ხდება გაზაფხულზე და არა ზაფხულის მოახლოებისას...

* *
*

მაგრამ არის კიდევ ერთი უცნაური სიტყვა — ”ზაფხული”! ეს სიტყვა ”ზაფხული” ნახმარია სახარებაში და იგი ყურადღებას იპყრობს —

მათე 24, 32 ხოლო ლეღვისაგან ისწავლეთ იგავი, ვითარცა იგი რა ჟამს რტონი მისნი დაჩჩვიან და ფურცელნი გამოვალნ, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს ზაფხული

მარკოსი 13,28 ხოლო ლეღვისაგან ისწავლეთ იგავი ესე: რა ჟამს იგი რტონი მისნი დაჩჩვიან და გამოვალნ ფურცელნი, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს ზაფხული

ლუკა 21,30 რა ჟამს გამოვალნ ფურცელი (ხეთა) თვით უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს ზაფხული...

რა არის ეს სიტყვა ”ზაფხული” და რას გვაუწყებს იგი? მოციქულნი ამბობენ —

ლეღვისაგან ისწავლეთ მაგალითი (იგავი): როდესაც ზაფხული ახლოს არის, მაშინ ლეღვის რტონი დალბილდებიან (დაჩჩვიან) და ფურცელნი ანუ ფოთოლნი გამოვლენო.

მაშასადამე: როდესაც ზაფხული ახლოვდება, მაშინ ხე (და აქ კერძოდ, ლეღვი) ფოთლებით იმოსება. ჩანს, თითქო ვტნის ლექსი ”მოწურვილ იყო (მოახლოებული

იყო) ზაფხული, ქვეყნად ამოსვლა მწვანისა” — სწორი უნდა იყო ამ განმარტების მიხედვით. მაგრამ ეს მხოლოდ პირველი შეხედვით გვეჩვენება ასე, რადგან ჯერ ერთი: აქ ლაპარაკია ხეთა შეფურცვლაზე, და მერმე ”ზაფხული” სახარებაში სულ სხვა რამეა.

იმ ქვეყნებში, სადაც ისრაელნი ცხოვრობდნენ და ბიბლიის წიგნები იწერებოდა; სადაც აგრეთვე დაიწერა სახარებაც, — პალესტინაში, — წელიწადის მხოლოდ ორი დრო, ორი არე, ორი სეზონი არსებობს: 1) ზამთარი, ანუ წვიმისა და თოვლის დრო — ნოემბრიდან აპრილამდე, — და 2) ზაფხული, ანუ მშრალი დრო, — მაისიდან ოქტომბრამდე. —

აქედან აშკარაა: პალესტინაში მარტო ზაფხული და ზამთარი არის. კიდევ მეტი: სიტყვა ”შემოდგომა” და სიტყვა ”გაზაფხული” ებრაულ ენაში არ არსებობს. ¹⁴⁹.

ამ მოვლენით, ჩემი ეჭვი ”ზაფხულის” შესახებ გაქარდა და უფრო გამიმტკიცდა ის შეხედულება, რომ ”მოწურვილ იყო” ნიშნავს ”დასრულებული იყო”. ანდა უნდა ვიგულისხმოთ, რომ ავთანდილი ისეთ მხარეს მივიდა, სადაც გაზაფხული და შემოდგომა არ არსებობდა, ოღონდ ამ მოსაზრებას ის ამბავი უარყოფს, რომ გულანშაროდან წამოსული ავთანდილი გადავიდა საზღვაო ნაპირზე და რამოდენიმე, ცოტა ხნის შემდეგ მივიდა ტარიელთან გამოქვაბულში, სადაც ტარიელი იდგა, და სადაც ყვავილთა სიმრავლე მხოლოდ ივლისშია, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი მთიან მხარეში ცხოვრობდა. ეს მოსაზრებაც იმას გვაფიქრებინებს, რომ ტარიელის საცხოვრებელი მხარე იყო ჩვეულებრივი ჰავისა: გაზაფხულითა და ზაფხულით. მაშასადამე, ”მოწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსვლა მწვანისა” არ შეიძლება იყოს: მოახლოებული იყო ზაფხულიო.

* *
*

ამგვარად, სადავო ლექსი ასე განიმარტება —

ლექსი პირველი: — მოწურვილ იყო ზაფხული, ესე იგი: დასრულებული იყო ზაფხული...

2) ქვეყნით ამოსვლა მწვანისა — დასრულებული იყო მიწიდან მწვანის ანუ მცენარეულობის ამოსვლა...

მეორე სტრიქონი — უკვე აღარ იყო, დასრულებული იყო ვარდის ფურცლობა, ანუ აყვავება და სიმრავლე ყვავილთა...

2) უკვე აღარ იყო, გათავებული იყო მათი პაემანის დრო; ავთანდილმა პაემანზე დაიგვიანა, ვინაიდან უკვე შესრულებული იყო სირიუსის პირველი გამოჩენა ცაზე — 23 ივლისი...

სტრიქონი მესამე — გათავებული იყო მზისაგან რომელიღაც ეტლის გამოცვლა. და უკვე მომხდარი იყო მზის შეჯდომა რომელიღაც ახალ ეტლზე. ცხადია, ამ

შემთხვევაში ეტლი სარატანი უკვე აღარ შეიძლება ყოფილიყო! რატომ? იმიტომ, რომ მზის შეჯდომა სარატანზე ხდება 21 ივნისს, და ამ ზოდიაკოში — სარატანი — მზე რჩება 22 ივლისამდე. შემდეგ მზე ჯდება ზოდიაკოზე "ლომი" და ეს არის ზაფხულის მეორე თვე, 22 აგვისტომდე. ხოლო 23 აგვისტოდან მზე შედის ზოდიაკოში, რომელს ჰქვია "ქალწული". და აქ იგი რჩება 21 სექტემბრამდე — დღე და ღამის გასწორების დღე, — როდესაც მზე ზოდიაკო "სასწორ"-ზე ჯდება.

ამგვარი განმარტებით, ვტნის სადავო შაირი შემდეგ აზრს გვაძლევს —

1. მოწურვილ იყო ზაფხული — გათავებული იყო ზაფხულის დრო,
2. ქვეყნით ამოსლვა მწვანისა — გათავებული იყო მიწიდან მცენარეულობის ამოსვლა,
3. ვარდის ფურცლობის ნიშანი — გათავებული იყო ვარდის ფურცლობა, ყვავილთა აყვავება და სიმრავლე,
4. დრო მათის პაემანისა — მათ მიერ დანიშნული შეხვედრის დრო,
5. ეტლის ცვალება მზისაგან — გათავებული იყო მზის მიერ ეტლის გამოცვლა,
6. შეჯდომა სარატანისა, ან: საროს ტანისა — გათავებული იყო სარატანზე, ან საროს ტანზე მისი შეჯდომა,
7. სულთქნა რა ნახა ყვავილი — გაუხარდა, როდესაც მან, ავთანდილმა ყვავილი ნახა ზღვიდან გადმოსულმა.
8. მან უნახავმან ხანისა — ვინაიდან მას ზღვაზე ყოფნის განმავლობაში ყვავილი არ ენახა.

გამორკვეულად მგონია, რომ აქ ზოდიაკო სარატანი არაა ნაგულისხმევი. მაშასადამე, მზემ გამოიცვალა ზოდიაკო ლომი. (მზე ხდება ლომზე 23 ივლისს და გადმოხტება 22 აგვისტოს), ანუ მზემ დასტოვა ლომის ზოდიაკო 22 აგვისტოს; შეჯდა მომდევნო ზოდიაკოზე, რომელსაც ჰქვია "ქალწული". ეს შესვლა მზისა ზოდიაკოში "ქალწული" ხდება 23 აგვისტოს და მისი იქ ყოფნა გრძელდება 21 სექტემბრამდე. აი, ეს ზოდიაკო ქალწული არის ვტნის ზოდიაკო **საროს ტანი**.

ყველამ იცის, ზოდიაკო "საროს ტანი" არ არსებობს! მაგრამ მაინც ვტნის **საროს ტანი** არის ზოდიაკო **ქალწული**!

რა კავშირი აქვს ზოდიაკო "ქალწულს" "საროს ტანთან"? — მათი კავშირი არის პოეტური გამოხატულება. "საროს ტანი" ვტნში საერთოდ ტანის დასასურათებელად იხმარება, მაშასადამე: "სარო" ვტნში არის ტანის სიმბოლო, და აქ გამოყენებულია ზოდიაკო "ქალწულის" გამოსახატავად.

ამგვარად: ვტნის შაირში 1328 — მოწურვილ იყო ზაფხული — არის არა ”სარატანი”, არამედ **საროს ტანი**.

* *
*

ჩემი მოსაზრება, რომლის თანახმად ”საროს ტანი” არის პოეტური გამოთქმა ზოდიაკოსათვის — ”ქალწული” — მსურს გავამაგრო ერთი მეტად მნიშვნელოვანი მაგალითით.

წინარში აქვე აღვნიშნე [იხილეთ გვერდი 25 (წიგნისა)], რომ პარიზის ღმრთისმშობელის (ნოტრ დამ დე პარი) ტაძარის ერთი კარის თავზე გამოწახნაგებულნი არიან ზოდიაკოთა ნიშანნი, ოღონდ ზოდიაკო ქალწულის ნიშანის ნაცვლად გამოხატულია ქალწული ღმრთისმშობელი მარიამი. უეჭველია, ქრისტიანულ ქვეყნებში მიღებული იყო ზოდიაკო ”ქალწულის” ნაცვლად ქალწული ღმრთისმშობელის გამოხატვა. და სწორედ ამ შემთხვევას ვხვდებით ჩვენ ვტნში, სადაც ზოდიაკო ”ქალწული” შეცვლილი არის სახელით ”საროს ტანი”; ეს ”საროს ტანი” კი ვტნში თუთხმეტჯერ მაინც იხმარება და ამ სახელით აღინიშნება: ტანი. სარო არის კვიპაროსი, კიპარისი, ციპრეს, საიპრეს — ტანი მაღალი, წერწეტა და ლამაზი. სწორედ ეს სიტყვა ”საროს ტანი”, რომელიც ვტნში ტანის ნაცვლად იხმარება, გამოყენებულია აქ ზოდიაკო ”ქალწულის” აღსანიშნავად.

ჩემი დებულება ”მოწურვის” შესახებ აგრეთვე ავთანდილის მგზავრობის დროის გამოანგარიშებით მსურს განვამტკიცო —

როდესაც ავთანდილმა ნესტანის წერილი მიიღო ტარიელისათვის ფატმანის მეოხებით, რასაკვირველია, იგი დიდად ნასიამოვნები დარჩა და ფატმანს უთხრა, შენს ჭირნახულს ვერ გადავიხდით და თან დასძინა —

წავალ, დგომად აღარა მცალს, დრო მოსრულა შარშანდელი (1312).

ამით ავთანდილი ამბობს: წელიწადი მისრულდება რაც ტარიელი დავტოვეო. როდის დასტოვა ავთანდილმა ტარიელი ერთი წლის ვადით? ავთანდილმა ტარიელი დასტოვა **ივლისის 23-ს**. ეს ცხადია თავის თავად, რადგან ავთანდილი ტარიელს ეუბნება: წელიწადის მსგეფს მოვალო, ანუ ერთი წლის შემდეგ ამავე დღეს მოვბრუნდებიო, — და ამ ერთი წლის გასვლის ნიშანი იყო ”მაღლის” ყეფა”, ესე იგი, ცაზე სირიუსის გამოჩენა, რაც **23 ივლისს** ხდება. აი, ამ **23 ივლისის** შესახებ ამბობს ავთანდილი — დრო მოსრულა შარშანდელიო. მაშასადამე: ავთანდილის ქვაბიდან წამოსვლის შემდეგ უკვე ერთი წელიწადი სრულდება. მართალია, ზმნით ”მოსრულა” წელიწადი უკვე შესრულებული არ არის, მაგრამ, უეჭველია, მის შესრულებას აღარაფერი არ უკლია. გულანშაროდან წამოსულმა

გამოვლნა ზღვანი ავთანდილ მგზავრითა რამე ნავითა (1327).

”გამოვლნა ზღვანი” — იმგზავრა ნავით ზღვებზე; არა ერთი ზღვა გაიარა, არამედ რამოდენიმე სახელის ზღვა. ზედმეტია იმაზე მსჯელობა, რომ ძველად ზღვაზე მოგზაურობა დიდ ხანს გრძელდებოდა, თუნდ მცირე მანძილზეც კი, განსაკუთრებით საბარგო ნავით, და ავთანდილი თავის ცხენთან ერთად იყო ნავზე! სასწრაფო ნავით მოგზაურობა, მაგალითად, არაბეთ-სპარსეთის ყურედან ინდოეთამდე გრძელდებოდა ერთი თვე; მალაკას ნახევარკუნძულამდე — მეორე თვე; ჩინეთის სამხრეთ ნაპირამდე: ორი თვე. ამ მხარეთა ნავთსადგურებიდან დასაბრუნებლად იგივე დრო იყო საჭირო, მაგრამ ამასთანავე აუცილებელი იყო სათანადო ამინდისა და ქარისათვის (მუსსონ) მოცდა. ¹⁴⁸. ყველაფერს ამას თუ მხედველობაში მივიღებთ, ავთანდილს არ შეეძლო ერთსა ან ორ თვეში სამგზავრო ნავით იმ მხარეს მიდგომოდა, სადაც ტარიელის ქვაბნი ეგულვებოდა. ამნაირად, ავთანდილს ერთ წელიწადზე მეტი დასჭირდებოდა უკან მისაბრუნებლად, და ნაპირიდან ქვაბთაკენ ცხენით სიარული ხომ კიდევ დროს მოითხოვდა?! მაშასადამე, ავთანდილს, სულ მცირე, ორ თვეზე მეტი უნდა დაგვიანებოდა — ავთანდილი ტარიელთან ვერ მივიდოდა ზუსტად ერთი წელიწადის შემდეგ, ანუ 23 ივლისს, და ვარაუდით მას მხოლოდ 21 სექტემბრამდე შეეძლო ქვაბს მისვლა. ეს ანგარიშიც გვიჩვენებს, რომ ”მოწურვილ იყო ზაფხული” ნიშნავს: ზაფხული დასრულებული იყო. ეტლის ცვალება და მზის ახალ ეტლზე შეჯდომა უნდა მომხდარიყო 23 აგვისტოს, ესე იგი, ეს ეტლი იყო ზოდიაკო ”ქალწული”, ანუ ”საროს ტანი”. ამ ჩემი მოსაზრების დასამტკიცებლად მე მეტი საბუთი აღარა მაქვს. და თუ ეს ჩემი განმარტება სიტყვათა ”მოწურვილ იყო” და ”საროსა ტანისა” სათანადო არ არის, მაშინ უნდა აღვიაროთ, რომ სიტყვა ”ზაფხული” ამ შაირში (1328) ნიშნავს იმ ”ზაფხულს”, რომელს ჩვენ სახარებაში ვეცნობით. ანუ უფრო გარკვეულად: ვეფხისტყაოსანის ”ზაფხული” აღნიშნულ შაირში (1328) არის ისეთი ქვეყანის ”ზაფხული”, სადაც ”გაზაფხული” არ არის, სადაც მხოლოდ ორი სეზონია: ზაფხული ცხელი და ”ზამთარი” თბილი. ეს მსჯელობა კი არ შემძლია შევიწყნარო, რადგან სუბტროპიკული გულანშაროდან წამოსული ავთანდილი უნდა მისულიყო ტარიელის ქვაბს, რომელიც უეჭველად მთიან და, მაშასადამე, გაზაფხულიან ქვეყანაში იმყოფებოდა, იმიტომ რომ, ავთანდილი ტარიელს ეუბნება: მოვბრუნდებიო 23 ივლისს, სირიუსის გამოჩენისას, როდესაც ყვავილთა სიმრავლე იქნებაო, რაც მხოლოდ მთიან ადგილს გულისხმობს.

ამგვარად, ამ ნარკვევის მიხედვით: ”მოწურვილ იყო” არის ”დასრულებული იყო”. ამ შაირში ”სარატანი” კი არ არის, არამედ **საროს ტანი**.

ამ დასკვნით გამართლებულია ვტნის ყველა ის ხელნაწერი, სადაც ნახმარია სიტყვა ”საროს ტანი”.

კარი მეორე

დაუსახელებელი ეტლი

თავი 1. პირველი უცნობი ეტლი

დასახელებულ ეტლთ გარდა ვტნში დაუსახელებელი ზოდიაკოც გვხვდება და ასე უსახელოდ ნაგულისხმევია იგი.

ტარიელი იზიარებს ასტროლოგიურ სწავლას ბედის შესახებ და თავის შეხედულებას იგი ასმათს აცნობს. ასმათი ტარიელს ურჩევს, ვინმე დაიმეგობრე, გაიამხანაგეო, ასე მარტოდ სიარული არ შეიძლებაო, და ამ დასაბუთებაზე ტარიელი მას უპასუხებს

ღმერთმან სხვადა ეტლსა ჩემსა სადმეცა კაცი რად დაბადა,
სიახლე და საუბარი თუცა მისი მე მეწადა (275)

ანუ: ღმერთს რად უნდა დაეხადებინა სადმე ისეთი კაცი, რომელიც ჩემი ეტლისა, ესე იგი, ჩემგვარი ბედის იქმნებოდაო, ჩემისთანა ჰოროსკოპი ექნებოდაო? ტარიელი ამ ლექსით თავის ასტროლოგიურ შეხედულებას გვაცნობებს: ღმერთია უზენაესი და შემოქმედი; იგი ადამიანს ბედებს და მიუჩენს მას მის ბედს, მის ვარსკვლავს, მის ეტლს, რომელიც ამ ბედს განაგებს. და ამ აზრს იგი იქვე ასაბუთებს, თუ ღმერთს ჩემი უბედობა სურს, მე ველარაფერს ვერ ვიზამ, რაც არ უნდა ვეცადო —

ღმერთსა ჩემი უბედობა უნდა, მემცა რას ვეცადე (277).

მამასადამე, ტარიელის მიერ აქ აღნიშნული ეტლი არის რომელიღაც ზოდიაკო, ან მნათობი, ან ორივე ერთად, ცუდი განლაგება ვარსკვლავთა, რომელზე ტარიელი, მისი თქმით, დაბადებულა.

თავი 2. მეორე უცნობი ეტლი

მეორე დაუსახელებელი ეტლი უკვე ბედის გამგე ეტლი არაა — იგია მარტივად ზოდიაკო, ეტლი მთვარისა.

როდესაც როსტევან მეფემ პირველად ტარიელი დაინახა, და იგი, მოხმობის მიუხედავად, მას გაეცა, მაშინ მან მონები მიუსია შესაპყრობად, მაგრამ:

მან უჭირველად დახოცნა, ომი არ მისჭირებოდა,
ზოგთა მხარ-თემო დაჰლეწნა, და ზოგთა სული ჰხდებოდა;
მუნდა სცნეს, ეტლი მთვარისა რომე არ დაბრუნდებოდა (994).

ამ ლექსის განმარტება ორ გვარადაა შესაძლებელი — 1. სიტყვა ეტლი აქ ნიშნავს მთვარის დამატებას, ანუ: ეტლი მთვარისა, ესე იგი, მნათობი მთვარე აღარ მობრუნდებოდაო. აქ ტარიელი შედარებულია ეტლს, ანუ მნათობს მთვარესთან; 2. ეტლი არის რომელიღაც ზოდიაკო და ამ მნიშვნელობით, ეს ლექსი ასეთია: ზოდიაკო,

ანუ ეტლი მთვარისა აღარ მობრუნდებოდა, მან თავისი გზა განაგრძო. ამ შემთხვევაში ტარიელის შედარება ხდება ზოდიაკოსთან და არა მთვარესთან.

ტარიელის ნახვა მოხდა ზაფხულში. ზაფხულის ზოდიაკონი არიან — კირჩხიბი (სარატანი), ლომი და ქალწული. მაშასადამე, ტარიელს წააწყდნენ 21 ივნისსა და 22 აგვისტოს შუა. უფრო ზუსტად ივნისის 21-დან ივლისის 22-მდე, რადგანაც მთვარის ზოდიაკო არის კირჩხიბი.

თავი 3. მესამე უცნობი ეტლი

ავთანდილი ფრიდონს ტარიელის შვიდი წლის თავგადასავალს მოუთხრობს და იგონებს რა თავის ძმობილ ტარიელს —

ფრიდონ მოთქვამს: ”რა შეგასხა, ვერ-საქებო, ვერ-სათქმელო ხმელთა მზეო, სამყაროსა მზისა ეტლთა გარდამსმელო, მოახლეთა სალხინოო, სიცოცხლეო, სულთა მდგმელო, ცისა ეტლთა სინათლეო, დამწველო და დამანთქმელო. (1007).

ფრიდონი მოთქვამს, ანუ ტირილით ჩივის — ტარიელო, რა შეგასხვა, ანუ როგორ შეგაქო, გადიდო,

შენ, რომლისათვის საქებ სიტყვათა ჰოვანა ძნელია, და რომლის ქება ძნელად გამოსათქმელია,

შენ, რომელი ხარ ხმელთა, ანუ დედამიწის მზე,

შენ, რომელიც ხარ სამყაროში,

შენ, რომელი ზოდიაკოთა ცაში მზის ეტლთა, ზოდიაკოთა გარდამსმელი, ანუ გადამსმელი, ადგილის გამომცვლელი ხარ,

შენ, რომელი მოახლეთა, ანუ მხლებელთა, ახლო მყოფთა სალხინო, სასიამოვნო, გასახარელი ხარ,

შენ, რომელი სიცოცხლე და სულთამდგმელი ხარ (იგულისხმება: ვარსკვლავთა),

შენ, რომელი ცისა ეტლთა სინათლე ხარ,

შენ, რომელი ვით ვარსკვლავთა სინათლე, დამწველი და დამანთქმელი ხარო...

ოხერ სიცოცხლე უშენოდ, სიცოცხლე გამარმებია, გამმწარებიაო.

ამ შაირის განმარტება შემდეგია —

1. სამყარო აქ არის ეტლთა ანუ ზოდიაკოთა ცა და მაშასადამე, ამ სტრიქონში მოხსენებულნი ეტლნი არიან სწორედ ზოდიაკონი, რომელნი, როგორც მზისა ისე მთვარისა და დანარჩენ მნათობთა სახლნი არიან. და ფრიდონის აზრით, ტარიელი, რომელი არის მზე, ყოვლედ შემძლე, შემძლებელია არა ჩვეულებრივისა — ზოდიაკოთა ცაში ეტლნი გადასვას და მათ გზა შეუცვალოს.

მაგრამ რანი არიან მეოთხე სტრიქონის ეტლნი?

ცისა ეტლთა სინათლეო, დამწველო და დამანთქმელო...

მზე არის ცისა ეტლთა სინათლე, ესე იგი მზე თავის სინათლეს აძლევს და ასულდგმულებს ეტლთ, ანუ ვარსკვლავებს საერთოდ, და მნათობთ, კერძოდ. — ყველა ეს შედარება ასტრონომიული ხასიათისაა, ნახმარია ტარიელის შესაქებად და შესამკობად.

თავი 4. მეოთხე უცნობი ეტლი

როდესაც ავთანდილი მსჯელობს, გაჰყვეს თუ არა ფატმანს სააშიკოდ, ამის გამო იგი ამბობს —

კვლა იტყვის: ”ვერვინ ვერას იქმს, თუ ეტლი არ მოსთმინდების (1094).

აქ სიტყვა ეტლს, ბედს ეხება. ავთანდილი გვეუბნება — ადამიანი ვერაფერს გააკეთებს, თუ ეტლი, ანუ ბედის მომანიჭებელი ვარსკვლავი მას არ დაუთმობსო. აქ ან თვით მნათობი იუგლისხმება, ან ზოდიაკო, ან ორივე ერთად, რადგან ბედის რაობა მნათობზე და ზოდიაკოზე, მათ ურთიერთობაზეა დამოკიდებული.

ამ თავის ასტროლოგიურ შეხედულებას ავთანდილი ამნაირად ასაბუთებს —

მით რაცა მინდა, არა მაქვს, რაცა მაქვს, არ მომინდების;
ბინდის გვარია სოფელი, ეს თურე ამაღ ბინდების,
კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოსდინდების (1094).
(საერთოდ, ბედის შესახებ იხილეთ აქვე ”ბედის მეტყველება”).

თავი 5. მეხუთე უცნობი ეტლი

ნესტანმა სურხავის სასახლიდან გაპარვის მიზნით თავისი მცველი ქალები მოისყიდა იმ საფასურით, რომელიც მას ფატმანმა აჩუქა, და ამ მოსყიდვის შედეგად იგი გააპარეს, და აქედან დასკვნა —

ნახე, თუ ოქრო რასა იქმს, კვერთხი ეშმაკთა ძირისა (1196),

და აქ განვითარებულია შეხედულება ოქროზე. ოქრო არასოდეს ღებენას არ აძლევს ოქროს მოყვრულთ, ვინაიდან იგი მათ სიხარბეს უვითარებს, იგი ოქრო —

შესდის და გასდის, აკლია, ემდურვის ეტლთა რბენასა (1197).

ოქროს შოვულობს კაცი (შესდის); ოქროს ხარჯავს კაცი (გასდის); ოქრო მუდამ აკლია მას და ამიტომ იგი ეტლითა რბენას ემდურებაო.

ამგვარად, ოქროს მოყვარულნი ემდურებიან მნათობთა და ზოდიაკოთა, ეტლთა სვლას, ემდურებიან ბედის მომანიჭებელ ვარსკვლავთ, რომელნი მათთვის ბევრი და გამოუღვეელი ოქროს შოვნისათვის და მათი დაუსრულებელი ხმარებისათვის გამოსადეგნი არ არიან. ცხადია, აქ ეტლნი ასტროლოგიური მნიშვნელობისანი არიან.

თავი 6. მეექვსე უცნობი ეტლი

ფატმანის თხოვნით ავთანდილმა მოჰკლა ჭაშნაგირი, და გახარებული ფატმანი მას მადლობას უხდის —

რომელმან დამხსენ მშვიდობით იმა გველისა მზერასა!
აწ ამას იქით ვნატრიდე ჩემსა ეტლსა და წერასა (1210).

აქ ეტლი და წერა არის აგრეთვე ასტროლოგიური მნიშვნელობისა; ეტლი — ბედის მომნიჭებელი ვარსკვლავნი; წერა — დაწერილი წინასწარ ბედი.

თავი 7. მეშვიდე უცნობი ეტლი

ეტლს ვხვდებით კიდევ ნესტანის წერილში ტარიელისადმი —

განაღამცა მას იახელ მისი ეტლი, არ თუ წბილი (130).

ეს ეტლი ამ ლექსში არის ზოდიაკო ლომი, რომელიც მზის სახლია.

თავი 8. მერვე უცნობი ეტლი

შემდეგი უცნობი ეტლია შაირში —

ეტლის ცვალება მზისაგან შეჯდომა საროს ტანისა (1328).

ჩემი გამორკვევის თანახმად, ეს ეტლი არის ზოდიაკო "ქალწული". [იხ. აქვე, გვ. 114 (წიგნისა)].

თავი 9. მეცხრე უცნობი ეტლი

როდესაც ავთანდილი გულანშაროდან ბრუნდება, იგი გზა და გზა ტარიელს ეძებს და მას უყივის, ეძახის ხმამაღლად. ტარიელმა იგი ხმაზე იცნო, მერმე დაინახა და მისკენ გაიქცა —

ხრმალი გატყორცნა ტარიელ, მიჰმართა მისაა ძმობილსა;
ყმა ცხენისაგან გარდიჭრა, ჰგვანდა ეტლისა სწრობილსა,
მათ ერთმანერთსა აკოცეს, ჰგვანან ყელ-გადარჭობილსა (1335).

პროფ. ი. აბულაძის განმარტების მიხედვით, ეს ლექსი ასე აიხსნება, რადგან იგი ფიქრობს, "სწრობილი" "გასწრებულს" ნიშნავსო — ტარიელის სირბილი "გასწრებულს" აღნიშნავსო.

დ. კარიჭაშვილის განმარტებით კი, "სწრობილი" არის "შესწორებული", "მიმსგავსებული"; "ეტლისა სწრობილი" — მიმსგავსებული, სწორი". რომ ეს განმარტება სწორია, ამას მეორე ლექსიც ადასტურებს —

იგი მიჯნურნი მნათობნი, სხვისა ვერვისგან სწრობილნი,
ორნივე გმირნი, მოყმენი, მამაცობისა ცნობილნი (1373).

მიჯნურნი მნათობნი არიან: ტარიელი და ავთანდილი; ხოლო ამ მნათობთ სხვა ვერავინ შეესწორება, სხვა ვერავინ მიემსგავსება გმრობაში და ყმობაშიო. ამგვარად, "ჰგვანდა ეტლისა სწრობილსა" ნიშნავს — ეტლის სწორს, ეტლის მსგავს სილამაზითო. აქ ეტლი, უეჭველია, არის მნათობი.

თავი 10. მეათე უცნობი ეტლი

როდესაც როსტევან მეფემ პირველად ნესტანი იხილა, განცვიფრდა მისი სილამაზით და მას ქება უთხრა, და სხვათა შორის ასე —

... მზიანო და მთვარიანო, ეტლად რაო და რიანო (1537).

ანუ: რა ეტლისა და როგორი ეტლისა ხარო! ესე იგი, რა და როგორი ბედის ვარსკვლავზე ხარ დაბადებული ასეთი შვენიერიო.

თავი 11. მეთერთმეტე უცნობი ეტლი

ოდეს ტარიელი ინდოეთს მიბრუნდა და იქ გამეფდა, მან თავისი დობილი და მეგობარი ასმათი არ დაივიწყა. ტარიელი ასმათს სამართლიანად ეუბნება —

რაცა შენ ჰქმენ, არ უქმნია არ გამზრდელსა, არცა ზრდილსა (1649),

ამიტომ ტარიელს სურს ასმათი დაასაჩუქროს —

აწ ინდოეთს სამეფოსა მეშვიდესა ერთსა წილსა,
ზედა დაგვამ, შენი იყოს, გემსახურებდი ტკბილი ტკბილსა, (1649),

ვინცა გწადდეს, ქმრად შეირთე, სამეფოსა ეპატონე (1650).

ტარიელი ასმათს მართლაც მეფურად ასაჩუქრებს, მაგრამ ასმათმა —

მოახსენა: "ხელმწიფეო, ვიკადრებ და ნუ გაწყრები:
თუ ხმელეთი სრულად მქონდეს, ვერცა მაშინ გაგეყრები,
მე მეყოფა შუქი თქვენი, ვარ მზის ეტლთა შენასწრები (1651).

სიტყვა ეტლი აქ ნახმარია მრავლობითი რიცხვით. ტარიელი არის მზე, რომლის შუქი ასმათს ეყოფა; ასმათი ამასთანავე ამბობს — ვარ მზისა ეტლთა შენასწრობიო, ესე იგი, მზის ეტლებზე უფრო ადრე ვარ შენ, მზესთან მოსული და ხლებულიო. მზეს აქვს მხოლოდ ერთი ეტლი. ეს არის "ლომი". აქ კი ეტლებზეა ლაპარაკი და ეს უსათოდ ნიშნავს — მზე არის ეტლთა გამგე და პატრონი.

დასკვნა

ამგვარად, როგორც დავინახეთ, ვტნში დაუსახელებელ, უცნობ ეტლთა შორის ჩვენ უმთავრესად საქმე გვაქვს რამოდენიმე ასტრონომიულ ეტლთა გარდა, ასტროლოგიურ ეტლთან, რომელიც არის ბედის გამგე და გადამწყვეტილი.

რვეული მეექვსე

კარი პირველი

ვარსკვლავდნი

თავი 1. ძალი — სირიუსი

ავთანდილმა გადასწყვიტა ფრიდონთან გამგზავრება, რათა ნესტანის ამბავი როგორმე გაეგო. ამ თავისი მგზავრობიდან დაბრუნებისათვის ავთანდილმა ტარიელს ვადა დაუდო, სწორედ ერთი წლის შემდეგ მოვბრუნდებიო —

ამა ჟამსა ნიშნად მოგცემ, დროსა ამას ვარდ-იეფსა,
ვარდის ნახვა გაგაკრთობდეს, მართ ვითამცა ძალი ყეფსა (936),

ანუ: ნიშნად მოგცემ ამ ჟამს, ამ დროს, როცა ვარდთა, ანუ ყვავილთა იეფობა, ანუ სიმრავლე იქნება და ვარდთა სიმრავლის დრო ისე გაგაკრთობდეს, შეგაშინებდეს, თითქო მოულოდნელად ძალს დაეყეფოსო.

როგორც უკვე აღვნიშნე ჩემს ”ფერთა მეტყველება“-ში, სიტყვა ვარდი ხშირად იხმარებოდა სიტყვისა ნაცვლად ”ყვავილი“. ყვავილი იყო აგრეთვე ვარდი, ვითარმედ ბიბლიაში —

სიბრძნისა 2,8 გვირგვინოსან ვიქმნეთ ვარდითა ნარგისითა, პირველ ვიდრე დაქნობამდე

ქება ქებათა 7,12 აღყვავდეს თუ ხილნი, აღყვავდეს თუ ვარდნი

ისო ზირაქისა 39,16-17 და აღმოაცენეთ ვითარცა ვარდი აღმოცენებული წინაშე ნაღვარევისა აგარაკისასა და აღყვავდის ყვავილი ვითარცა შროშანი...

ცნობილია, ბიბლია ვარდს არ იცნობდა. ყველგან აქ ”ვარდი“ არის უბრალოდ ”ყვავილი“. ⁷⁴.

რა არის ეს ”ძალი“ და რატომ არის იგი აქ დასახელებული? არის იგი უბრალო მიწიერი პირუტყვი, თუ ციური არსება?

ამ ლექსში რომ პირუტყვი ძალი ყოფილიყო, მაშინ ამ წინადადების ახსნა იოლი იქნებოდა — ვარდთა, ანუ ყვავილთა სიმრავლე ისე გაგაკრთობდეს, ვით

მოულოდნელი და უცბადი ყეფა ძაღლისაო. ოღონდ ასეთი შედარება ვტყნს მართლაც არ შეეფერება, და მეტისმეტად უგემურია. მაშ, უნდა ვიფიქროთ, აქ სხვა რომელიღაც ძაღლია და ეს ძაღლი შეიძლება მხოლოდ ციური იყოს. მაგრამ რა არის ეს "ციური ძაღლი"?

* *
*

ციური ძაღლი, ანუ ვარსკვლავთა განლაგება-დაწყობა, რომელიც ძაღლსა ჰგავს, და ამ სურათის მიხედვით ძაღლის სახელს ატარებს, არა ერთი და ორია. აქ, რასაკვირველია, საინტერესოა მხოლოდ ის "ძაღლი", რომლის გამოჩენა ცაზე ხდება იმ დროს, როცა ხმელეთზე, ტარიელის ქვაბოვანის მხარეში ვარდთა, ანუ ყვავილთა სიმრავლეა. ასეთი "ძაღლი" არის მხოლოდ ერთი. და იგი იმყოფება ეტლთა, ანუ ზოდიაკოთა წრის გარეშე, ჩამოთვლით: მეექვსე სურათი ვარსკვლავთა, რომელსაც ეწოდება "დიდი ძაღლი", ანუ უბრწყინვალესი ვარსკვლავი ეგრეთ წოდებულის "ძაღლის ვარსკვლავისა" ვარსკვლავედის პირზე. ვარსკვლავთა ამ სურათს არაბულად ჰქვია — ელ-ხელბ-ელ-ახბერ, ანუ "დიდი ძაღლი". იგი მისდევს ორიონის სურათს და მას ძაღლის ვარსკვლავთა სურათს უწოდებენ. ბერძნები მას ეძახიან — კიონ (ძაღლი). რომაელთა შორის მას ჰქვია — კანის (ძაღლი). გემინუსი და პტოლემეოსი ამბობენ — ის ვარსკვლავი, რომელი სურათის პირზეა, ძაღლად იწოდება, და ამიტომ მთელს ვარსკვლავედს ძაღლი დაერქვაო. და ვინაიდან ამ ვარსკვლავედის ამოსვლისას დიდი სიციხის დღენი იწყებიან, ამიტომ ეს დრო "ძაღლის დღეებად" მონათლეს და ეს სახელი ევროპიულ ენებში დღესაც არის შემორჩენილი, მაგალითად, გერმანულში — ჰუნდესტაგე, ანუ ძაღლის დღენი.

გერმანელი პროფესორი, ვილჰელმ გუნდელ ამბობს — ჩვენ, გერმანელები დღესაც სირიუსს აგრეთვე ძაღლის ვარსკვლავს (ჰუნდშტერნ) ვუწოდებთო, რომელს მველებური სახეობის მიხედვით დღესაც "ძაღლის დღენი" (დი ჰუნდესტაგე) მოაქვსო — დიდი სიციხის დღენი. ¹⁵⁰.

ს. ს. ორბელიანი ამბობს — ძაღლი არის ვარსკვლავიო.

დასახელებული ვარსკვლავედი შეიცავს 28 ვარსკვლავს და 11-ს თავისი სახის გარეშე. იგი დიდ ძაღლს წარმოადგენს, და რადგან იგი ორიონის ვარსკვლავედის შემდეგ ამოდის, ამიტომ მას უწოდებენ "ძაღლს ბუმბერაზისა". ამ ძაღლის პირში მყოფი დიდი ვარსკვლავი პირველი ხარისხისა, არის სირიუსიო, — ამბობს ეპისკოპოსი გრიგოლ აბულ ფარაჯი, ანუ ბარ ჰებრაეუს (1226 — 1286) თავის ასტრონომიაში, რომელიც დაწერილია 1279 წელს მარაღაში, ურმიის ტბასთან, სადაც მონღოლებმა ობსერვატორია მოაწყვეს. ¹⁵¹.

ბერძნები ამ ვარსკვლავს ჩვეულებრივ უწოდებდნენ: სირიოს (სირიუს), რაც ნიშნავს — ციმციმი, კიაფი, რადგან იგი მართლა ჰკრთის და ციმციმებს.

ფილისტინელნი მას ღმერთად აღიარებდნენ (ღმერთი — დაგონ).

არაბულად ამ ვარსკვლავს ჰქვია ელ- შირა ელ-აბურ, და წარმართობის ხანაში მას თაყვანსა სცემდნენ.

ძველ ირანში სპარსი ხალხისათვის სირიუსი, ანუ ტიმტრია (ტაშტერ) იყო წვიმისა და წყალის მზომებელი; ამიტომ იგი ღვთიური იყო და რადგან სირიუსის სურათი ძალს ემსგავსება, ამის გამო ძალდი ვითარცა მისი სიმბოლო, წმიდად ითვლებოდა — . მკვდარი ძალდი და მკვდარი ადამიანის გვამი ერთად ხშირად იხსენება საღმრთო წერილში, ვინაიდან ადამიანის სულს ცაში ასვლისას ძალდი თან მიაცილებსო. ¹⁵².

არ არის არც ერთი ისეთი ვარსკვლავი, — ამბობს რომაელი პოეტი მარკუს მანილიუსი, — რომლის პირველი გამოჩენა ცაზე ისე აშინებდეს მიწას, როგორც სირიუსი! მასზე დამოკიდებულნი არიან ხილთა სიმრავლე, ან სიმცირე, დროთა სითბო, სნეულებანი, რომელნი შეიძლება გავრცელდენ; ზაფხვი და კავშირნი, რომელნი უნდა შეიკრან; იგია გადამწყვეტი ომისა თუ მშვიდობისა; თუ გვმართავს ჩვენ ერთი შეხედვით და მას რომ ეს ძალა აქვს, ამას გვიჩვენებს მისი ფერი, სიფიცხე, ცეცხლადი აღტყინება; ყველა ვარსკვლავი ფითრდება მის წინაშე და მის ელვარებას ვერაფერი შეედარება, ვერაფერი შეედრებაო. ¹⁵³.

იმავე კანიკულა-სირიუსის შესახებ ლაპარაკობს პლინიუს მეორე — ვინ არ იცის, რომ თავისი ამოსვლით სირიუსი აფიცხებს მზეს, უმატებს მას მზვინვარებას და სიცხეს; კანიკულას (ძალდის) გავლენა მიწაზე მეტად ძლიერია — ზღვანი სდულან, ღვინო სდულს, ტბორე წყალი დელავს... ძალღები ამ დროს ფიცხდებიან, ხელდებიან და ცოფდებიან, — ყველაფერი ეს კანიკულას ბრალიაო. ¹⁵⁴.

ეს სიცხის დღენი, ძალდის დღენი ადვილად გასაგებნი არიან, რადგან სირიუსი ცაზე იმ დროს ჩნდება, როცა მზე ”ეტლზე ლომისა” ჯდება, ანუ მზე შედის ლომის ზოდიაკოში, რაც 23 ივლისს ხდება, როცა განსაკუთრებული სიცხე იწყება, და ამიტომ სირიუსი ამ სიცხის წინამორბედად ითვლება. და ვინაიდან შეიძლება ამ სიცხეს გვალვა მოჰყვეს, ამის გამო სირიუსი დიდ საშიშ ვარსკვლავად ირაცებოდა და ცაზე მის პირველ გამოჩენას (23 ივლისს), მაგალითად, ბერძნები ერთერთ კუნძულზე, მუქართა და ხრმალთა ტრიალით ხვდებოდნენ ხოლმე. ამის გამო მგოსნები ლომსა და ძალს ხშირად აიგივებდნენ.

ეგვიპტეში დიდ ძალს ”სირიუსს” დიდი პატივი ენიჭებოდა, რადგან მისი გამოჩენა ცაზე მდინარე ნილოსის წყალდიდობას აუწყებდა, რაზედაც ეგვიპტის მიწის მოსავალი და მთელი ცხოვრება დამოკიდებული იყო. ამის გამო სირიუსი ეგვიპტეში ღმერთად იყო აღიარებული — თოთ, სოთის.

სირიუსს გრძელი და საინტერესო ისტორია აქვს, ოღონდ ჩვენთვის საკმაოა ვიცოდეთ, რომ სირიუსი და ძალდი ერთი და იგივე სახელია იმ ვარსკვლავის სურათისა, რომელიც ლომის ზოდიაკოსთან ერთად ამოდის ცაზე, პირველად 23 ივლისს.

მამასადამე ავთანდილი ტარიელს პირდება ერთი წლის შემდეგ, აქვე ქვაბს დავბრუნდები სწორედ მაშინ, როცა —

ვარდთა ნახვა გაგაკრთობდეს, მართ ვითამცა ძალდი ყეფსა (936).

უქველია, ავთანდილი მთიან ადგილზე ცხოვრობდა, რადგან ყვავილთა სიმრავლე ივლისში შეიძლება მხოლოდ მთიან ადგილებში, და სირიუსის ანუ ძაღლის გამოჩენა სწორედ 23 ივლისს ხდება.

ამგვარად, ვტნის "ძაღლის ყეფსა" ნიშნავს — სირიუსის პირველ გამოჩენას ცაზე, 23 ივლისს.

თავი 2. ხომი

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, ხომი, ანუ ხომლი არის მრავალ ვარსკვლავედი. ეს განმარტება შეიძლება ორ გვარად გავიგოთ, 1) ან ხომი არის საერთოდ მრავალ ვარსკვლავედი, კონსტელაციო, ან 2) ხომი არის რომელიღაც ვარსკვლავედი. მრავალ ვარსკვლავედი საერთოდ, ანუ ვარსკვლავედი არის ვარსკვლავთა დაჯგუფება, რომელიც რაიმე სურათს გამოხატავს და მას საკუთარი სახელი აქვს მინიჭებული. რა არის ხომი?

ი. აბულაძის განმარტებით, სიტყვა ხომი წარმომდგარია სომხურისაგან — ჰოლ, ან ჰული, რაც ნიშნავს: კრება, გუნდი. ¹⁵⁵.

დ. ჩუბინაშვილს თავის რუსულ-ქართულ ლექსიკონში სიტყვა ხომლი გადათარგმნილი აქვს ბერძნულ-ლათინური სიტყვით, რომელიც რუსულშიც არის შესული — პლეიადი. ¹⁵⁶.

ვტნის ინგლისურ თარგმანში "ხომი" გადათარგმნილია სიტყვით — პლეიადს.

პროფ. რ. მეკელიანს ქართულ-გერმანულ ლექსიკონში "ხომი" გადათარგმნილია სიტყვით — პლეიადენ. ¹⁵⁷.

სიტყვა ხომი და ხომლი, როგორც ვთქვი, აღნიშნული აქვს ს. ს. ორბელიანს თავის ლექსიკონში, და მას მითითებული აქვს ბიბლიაზე, მეოთხე წიგნი მეფეთა 23,5. მაგრამ ქართულ ბიბლიაში, რომელიც (აუარებელი და უპატივო შეცდომებით სავსე, დაბეჭდილია 1884 წელს, თბილისში) ეს სიტყვა არ მოიპოვება.

"ხომი" უნდა ყოფილიყო ქართულ ბიბლიაში — იობი 9,9; იობი 38,31. და არ არის. ეტყობა გამოქვეყნებული ეს ადგილი, ბიბლიის ტექსტში ზუსტად არ იყო ნათარგმნი, მაშინ როცა ეს სიტყვა ნათარგმნია სხვა ბიბლიებში სიტყვით — პლეიად.

იობი 9,9 შექმნა ას, კესილ და ხიმა.

ასეთია ეს თარგმანი რუსულ ბიბლიაში, რაც შემდეგ ნაირადაა განმარტებული: ას — ძუ დათვის ვარსკვლავედი; კესილ — ორიონი და ხიმა — პლეიადა. ფრანგულ ბიბლიაში: 1) ლა გრანდ ურს — დიდი დათვის, 2) ლ'ორიონ და 3) ლე პლეიად. ასევე სხვა ბიბლიაშიც.

იობი 38,31 შეგძლია შენ გასკვნა კვანძი ხიმისა და გახსნა კვანძი კესილსა?

ხიმა — პლეიად; კესილ — ორიონ.

ებრაულად სიტყვა "ხიმა" ნათარგმნია სიტყვით "პლეიად", და რადგან ვტნის "ხომი" არის აგრეთვე "პლეიად", ხომ არ არის ეს "ხომი" ებრაული "ხიმა"? ოღონდ საამისო საბუთი არა მაქვს.

ს. ორბელიანს მეორე განმარტებაც აქვს მოცემული, იქ სადაც მოთავსებული აქვს სიტყვა პლეიადი. იგი ამბობს: პლეიადი — ხომი.

უეჭველია, ს. ორბელიანის "პლეიადი" არის იგივე "პლეიადა", იგივე "ხომი".

სიტყვა "ხომი" გამოყენებული აქვს იოანე შავთელს "აბდულ-მესია"-ში —

განათლდა არე
მისთვის ვით მთვარე,
როს განხმულ იყოს
ცანი ხომითა...

პროფ. ნ. მარრი ამ სიტყვას ასე სთარგმნის — სონმ, პლეიადა ზვეზდ.

ბერძნული თქმულების მიხედვით, პლეიადანი იყვნენ ასულნი ატლასისა. ატლასი იყო ტიტანი, ანუ უზარმაზარი კაცი, რომელს თავის ბეჭებზე ეჭირა ცის სიმრგვალე. იგი იმყოფებოდა აფრიკაში, სადაც მისი სახელით დღეს მთებია მონათლული: ატლას. ამ შვიდი ასულის სიკვდილის შემდეგ ღმერთმა ზევესმა ისინი ვარსკვლავებად გადააქცია და ამ შვიდ ვარსკვლავიან გუნდს დაერქვა პლეიადი.

ვტნში პლეიადი, ანუ ხომი დასახელებულია მხოლოდ ორჯერ. ფატმანმა ნესტანს ჰკითხა —

... "მითხარ, ვინ, მზეო, ანუ შვილი ვისთა ტომთა?
იმა ზანგთა სით მოჰყავდი შენ, პატრონი ცისა ხომთა? (1139).

ფატმანი ნესტანს მზეს უწოდებს, რომელიც, ცხადია, ცის ხომთა, ანუ პლეადათა პატრონიც არის.

ქაჯეთის ციხეზე თავდასხმის წინ ნათქვამია, აწი უყურეთ, რა ფიცხელი ომი იქმნება მოსალოდნელი და აუცილებელიო. ომის წინ გმირები არიან დახასიათებულნი —

თუცა ფრიდონ და ავთანდილ სიკეთე მიუწდომნია,
მაგრა ტარიას შებმანი არვისგან მოსანდომნია;
მზე მნათობთაცა დაჰფარავს, არცალა ნათლად ხომნია (1411).

თუმცა ფრიდონი და ავთანდილი სიკეთით, ანუ მებრძოლი თვისებებით ვერ-მისაწდომნი არიან, შეუდარებელნი არიან ომში, მაინც ტარიელის შებმანი, ანუ ომში მხნე ბრძოლანი ისეთნი არიან, რომ არავინ მოისურვებს მას შეებრძოლოს, მას მეტოქეობა გაუწიოსო; და ტარიელია ისე ვით მზე, რომელი მნათობთ დაჰფარავს, და აღარც ხომნი გამოჩნდებიანო. ამ პოეტური შედარებით გამოხატულია ავთანდილ-

ფრიდონის მნათობობა, ტარიელის მზეობა, ანუ მისი სიძლიერე მზვინვარებით, რაც ყველა მნათობსა და პლეიად-ხომსაც ჰფარავს, აჩრდილებს.

კარი მეორე

მსოფლიოს მწყობრის სხვა ნაწილნი

თავი 1. სამყარო

ს. ს. ორბელიანი თავის შესანიშნავ ლექსიკონში სავსებით შუა საუკუნეთა ასტრონომიის ნიადაგზე სდგას; ამიტომ მივმართავ ხოლმე მის განმარტებებს, მის ამ დიდებულ თხუზულებას, რომელიც ჯერ მეცნიერულად ხელუხლებელია და შეუსწავლელი, თუმცა იგი ქართული კულტურის დიდ საუნჯეს წარმოადგენს.

ს. ს. ორბელიანი სიტყვას სამყარო ასე განმარტავს — სამყარო ესე ცაჲ არს უძრავი გარეგან სხვათა ცათ (რომელსა ზედა არს სასუფეველი და მხედრობა ცათა)... ხოლო გარეგანი ცაჲ არს სამყარო, რომელი შეცულ არს სასუფეველისაგან. სასუფეველი არს სამყოფი ანგელოზთა, სადა წმიდანი არიან...

ამგვარად, ს. ს. ორბელიანი ორ გვარ სამყაროს განარჩევს — 1. პირველი სამყარო არის ცა უძრავი, ანუ უძრავ ვარსკვლავთა ცა, ზოდიაკოთა ცა, 2. ხოლო ამ ცის შემდეგ არის კიდევ ერთი ცა, გარეგანი ცა, რომელს აგრეთვე სამყარო ეწოდება და სადაც არის სასუფეველი. აშკარაა, ეს განმარტება არის გაქრისტიანებული ცა, სადაც ანგელოზნი და წმიდანი იმყოფებიან.

დანტეს (1265 — 1321) ”დივინა კომედია”-ში იქ, იმ უკანასკნელ ცაზე, ცხრა რიგი ანგელოზთა შემორტყმია ღმერთს, და ეს რიგნი ანგელოზთა სხვა და სხვა სარტყელზე მოძრაობენ, ვინაიდან თითოულ რიგს ანგელოზთა და წმიდათა თითო ცა ექვემდებარება...

უკანასკნელი ზემო ცა არის მყარი, რომელიც დანარჩენ ყველა ცას შეიცავს და ამიტომ ჰქვია სამყარო. და ეს სახელი სავსებით შეეტყვისება ლათინურ სახელს ”ფირმამენტს”-ს, რაც აგრეთვე არის სამყარო: ფირმ — მტკიცე, მყარი.

მაგრამ ამ სიტყვას აქვს კიდევ მეორე მნიშვნელობა და ამის მიხედვით ”სამყარო” იწოდება — მთელი ქვეყნიერობა, ყოვლადი მსოფლიო, ანუ სრულადი ყველაფერი რაც არსებობს, ზემოდ და ქვემოდ. ამ მნიშვნელობით ”სამყარო” არის დიდი მსოფლიო, მაკროკოსმოს, ყოვლადი მსოფლიო, — ლათინური — უნივერსუმ, გერმანული — ველტალლ, რუსული — ვსელენნაია.

რას წარმოადგენს ”სამყარო” ვტნში და რა მნიშვნელობითაა იგი ნახმარი?

ვტნის პირველი ლექსის პირველივე ბწკარი სამყაროს ეხება —

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...

აქ, რასაკვირველია, საუბარია დიდი მსოფლიოს შექმნაზე, ყოვლადობის გაჩენაზე, შესაქმნეზე, დაბადებაზე.

როსტევან მეფე თავის ასულს თინათინს მოუთხოვს თუ როგორ იხილა მან უცხო მოყმე —

უცხოსა და საკვირველსა ყმასა რასმე გარდვეკიდე,
მისმან შუქმან განანათლა სამყარო და ხმელთა კიდე (109).

ამ ლექსში ორი დებადია: 1. სამყარო და 2. ხმელთა კიდე. ტარიელის შუქმა განანათლა ერთი მხრივ სამყარო და მეორე მხრივ ხმელთა კიდეო. ხმელთა კიდე არის დედამიწის ნაპირი, ესე იგი, მთელი დედამიწა მის ნაპირებამდეო. აქედან ჩანს, ამ ლექსის "სამყარო" არსი უკანასკნელი ცა, ცა ცათა.

ფრიდონი ამბობს ნესტანის შესახებ, ოდეს მე იგი დავინახეო —
მან განანათლა სამყარო, გაცუდდეს შუქნი მზისანი (626),

ანუ: მზე არის სამყაროს განმანათლებელი, ხოლო ნესტანი მასზე უფრო ძლიერად და ისე, რომ მზის შუქნი მასთან შედარებით ცუდდებიან, სუსტდებიანო. ცხადია, აქ სამყარო არ არის ფირმამენტი, ცა ცათა, არამედ მთელი მსოფლიო.

როდესაც ავთანდილი ვაზირს ეწვია —

ყმამან სახლი განანათლა, ვით სამყარო მზისა შუქმან (730)

ამ შემთხვევაშიც სამყარო არის მთელი მსოფლიო, ცა და მიწა ერთად.

ტარიელის შესახებ ფრიდონი ამბობს —

ხმელთა მზეო, სამყაროსა მზისა ეტლთა გარდამსმელო (1007).

აქ სამყარო არის ცათა ცა.

ნესტან, ტარიელ, ავთანდილ, ფრიდონ და მათი მხლებელნი, გამარჯვებით დალხინებულნი ტარიელის ქვაბისაკენ მიემგზავრებიან და ამის გამო ნათქვამია —

მას ჰგვანდეს, თუცა სამყაროს მზე უჯდა შუა მთვარეთა (1495).

მზე — ნესტანი; მთვარენი — დანარჩენნი; სამყარო — ფირმამენტი, ცა ცათა. ამ შედარებით, რასაკვირველია, დახატულია ვტნის მომქმედ პირთა დიადობა, ბრწყინვალეობა და ლამაზობა.

ამგვარად, ვტნის სიტყვას სამყარო ორი მნიშვნელობა აქვს — 1. სამყარო — მსოფლიო მთელი, მაკროკოსმოს, ყოვლადი მსოფლიო და 2. სამყარო — ცათა ცა, ფირმამენტი.

თავი 2. ეთერი

ეთერი (ბერძნული — აეთერ = წმიდა ჰაერი) ძველი შეხედულებით იყო ის აუწონავი და ნაზი რამ, რაც მიწის ზემოდ ყველა სივრცეს ავსებდა, ხოლო ზოგი ფილოსოფოსის რწმენით, იგი იყო — მსოფლიო სული. მითოლოგიურად, ეთერი იყო თქმულებითი ღვთიურობა, რომელი ჰაერის იქითა მხარის, ცის სიღრმის განპიროვნებად ითვლებოდა; ხოლო ჰეზიოდოსის წარმოდგენით ეთერი იყო — ერებეს და ღამის ვაჟი.

მოგვიანო სტოელთა სწავლით, პირველადი, ანუ წინარი პნევმა = სული ელემენტაგან სავსებით არ იყო შთანთქმული, არამედ გადანარჩენი მისი იმყოფება, ეთერის სახით, მსოფლიოს უკიდურეს ბოლოში და იგი, ეს ეთერი ვითარცა ღმერთი, ან მსოფლიოს მპყრობელი მთელს ქვეყნიერებას მართავსო.⁵³ გვ. 7.

როდესაც ფილოსოფოსი პროკლოსი პარმენიდესის კომენტარიებში მზის საკითხს ეხება, იგი სხვათა შორის ამბობს — ”და აი სწორედ ამიტომ მზე, რომელიც არის შინაკოსმოსური მწვერვალი და რომელიც გამოდის ეთერის უფსკრულებიდან, ანიჭებს თავის ზესთა-ბუნებრივ სრულყოფილებას ხილულთ“-ო. აქ მზე ნაჩვენებია ”ეთერის უფსკრულებიდან” გამომავალად.¹⁵⁸

რასაკვირველია, ვტნის ”ეთერი” ბერძნული ფილოსოფიის ”ეთერი” არ არის, არც სტოელთა და არც პროკლოსისებური, რადგან ვტნის ”ეთერი” შუა საუკუნეთა ასტრონომიის ეთერია. ძველი ასტრონომიის თანახმად, დედამიწა გარემოცულია ჰაერით, რომლის შემდეგ იწყება ეთერის სივრცე. მაშინდელი წარმოდგენით, ეთერი არის ცეცხლი, რომელსაც ს. ს. ორბელიანის სიტყვით, ვერ მიუახლოვდება ვერც ქარი, ვერც ღრუბელი, და ვერც მფრინველი, ეშმაკთაც არ შეუძლიათ ეთერის სივრცე გადალახონო. მაშასადამე, ეთერი არის ცეცხლადი საზღვარი ცათა და ხმელთა შორის. სიტყვა ”ეთერი” არა ერთჯერ არის ნახმარი ”აბდულ-მესიაში” და ”თამარიან“-ში —

ეთერთ, სამყაროთ (აბდ. 28,2)

ეთერთა ელვა (აბდ. 76,3)

ელვაეთერი (თამარიანი 2,7)

შენ შუქნი ელვა-ეთერთა (თამ. 3,16)

ადამ ეთერთა (თამ. 4,3)

ფერო, ეთერსა (თამ. 5,4)

იყო ეთერი, მაგრა ეთერი (თამ. 5,21)

ეთერთა მთენნი

თქვენგან ნარცხვენნი

შენვე გეძებენ

ღონისა წვევად (თამ. 5,47)

თუმცა მზე ეთერს (თამ. 5,1) და სხ.¹²⁵

სიტყვა ეთერი ვტნში გამოყენებულია გმირთა პოეტური შედარებისათვის.

ავთანდილი ტარიელს ეუბნება, გამომავლავნა შენ სამებრად თინათინმაო —

...რომელსა ვერ მზე ჰგავს, ვერ ეთერია (280).

თინათინი ისეთი ბრწყინვალე და ლამაზია თავისი ზიმზიმით, რომ მას ვერ მზე ჰგავს, ვერ შეედრება და ვერც ეთერო.

ტარიელი უამბობს ავთანდილს ნესტანთან შეხვედრის ამბავს, მასთან დამორება მეძნელებოდაო, ვინაიდან —

ჩემად ჩნდა იგი სინათლე ეთერით მზედ ნაჩინისა (419).

იგი სინათლე ნესტანისა, რომელი ნაჩინი იყო, გამოჩენილი იყო ეთერიდან, ჩემად ჩნდა, ანუ ჩემი მეგონაო.

ამგვარად, ”ეთერი” ვტნში გამოყენებულია სილამაზის დასასურათებლად.

თავი 3. ჰაერი

აერი (ბერძნული სიტყვაა), ანუ ჰაერი, ს. ს. ორბელიანის განმარტებით, არის ერთი ოთხთა კავშირთაგანი; პირველსა დღესა დაბადებული. იგი არის ნივთი წვლილი, ნოტიო და მხურვალი, ცეცხლისა უმძიმესი და ქვეყანისა (მიწისა) და წყლისა უსუბუქესი, აღმოფშვინვისა და ხმაყოფისა მიზეზი, უფერული, ორსახე, ორსაჩინო, ნათლისა არს შემწყნარებელი და ბნელისა, მსახური სამთა გრძნობათა ჩვენთანი, რამეთუ მის მიერ ვხედავთ, გვესმის და ვცნოსავთ. ხოლო ესე ჰაერი განიყოფების სამად: 1) უქვემოესა ეწოდების (ჰ)არე, საშუალსა — აირი და უზემოესა — ნიავწულილი. ჰაეროვნება არის კეთილმოხდომილი სახოვნება, კეთილმოხდომილობა; ჰაეროვანი არის ლამაზი ანუ რომელი ხატკეთილობით მოხდომილი იყოსო.

სწორედ ამ მნიშვნელობით იხმარება სიტყვა ”აერი”, როდესაც ავთანდილის შესახებ ნათქვამია —

ავთანდილ მჭკრეტთა აშვენებს ტურფითა აერ-ფერითა (1009).

ავთანდილი თავის მაყურებლებს აშვენებს თავისი ლამაზი, კეთილი მოხდომილობითო (აერ ფერითა). მეორედ ”აერი” ნახმარია იმ შემთხვევაში, როდესაც ავთანდილი და ფრიდონი ერთმანეთს შორდებიან, სტირიან და ამ მომორებას გლოვობენ ხმამაღლად —

ხმა ზახილისა მათისა ჰგვანდა აერთა ქუხილსა (1021).

მათი ძახილი ჰაერში ატეხილ ქუხილსა, ჭექასა ჰგავდაო.

სიტყვა აერი ვტნში პოეტური შეადრებისათვის არის გამოყენებული.

”აერი” და ” ჰაერი” ძველ ქართულ მწერლობაში იხმარება, მაგალითად, შესხმა მეფისა თევდოსი —

აეროვნება პირისა შენისა... ⁸⁵. გვ. 111.

შენ არე მთენი:
შენ არე მთენი
არ გგვანდეს შუქთა
ჰაეროვნებად (თამარიანი 4,5)

შიშ ჰაერ პირი (თამ. 6,14)

მხნე, ლმოზიერი,
ქველი, ძლიერი,
ჰაეროვანი... (აბდულ-მესია 4,2).

* *
*

როგორც დავინახეთ, ვტნში ჰაერიც კი არ არის მივიწყებული, და დაწყებული დედამიწიდან, რომლის საგანთა და მოვლენათა სილამაზე აგრეთვე შვენების დასასურათებელად არის გამოყენებული, ყველაფერი: — ჰაერი, ეთერი, ცანი, მათნი სხეულნი და სამყარო — ნასარგებლებნი არიან ვტნის გმირთა სილამაზისა და სიკეთის დასახატავად.

ცათა და მის სხეულთა ასე სრული და ფართო გამოყენება მხატვრული მიზნებისათვის შუა საუკუნეთა მწერლობაში იშვიათია. მართალია, ფირდაუსის შაჰ-ნამეში და ნიზამის ხუთ პოემაში (ჰაფთ ფაიკარ) ასტრონომიასა და ასტროლოგიას დიდი ადგილი უჭირავს და ორივეს ამ დარგის ცოდნა ფართოდ აქვს გამოყენებული, ოღონდ ეს ასტრონომიულნი და ასტროლოგიურნი შეხედულებანი მათ ვეებერთელა ნაწარმოებებში გაბნეულნი არიან — და აქ კი, მცირე ტანის ვტნში ისინი მოკლე სიტყვით არიან ნათქვამნი და ჩინებულად: მხატვრული მიზნებისათვის.

უკმოხილვა

თუ უკან მივიხედავთ და ყველა იმ მოვლენას მოკლედ მიმოვიხილავთ, რაც ვტნში შეგვხვდა, აშკარა გახდება რამოდენიმე დებულება, რომელი ვეფხისტყაოსანის კულტურის დამახასიათებელად ჩაითვლება.

ნათელი, სინათლე, სინათლისა სვეტნი, ელვა, შუქი, სინათლის ყოველ გვარი გამოვლინება ვტნში გამოყენებულია ასტრონომიულად და ასტროლოგიურად, ოღონდ მხოლოდ პოეტური ხერხით, პოეტური მიზნისათვის — შვენიერების დასახატავად.

ვტნის ცა ნაჩვენებია ვით უზენაესი ძალა, ღმერთთან გაიგივებული, ან დამოუკიდებელი; იგი არის ღმრთის სასუფეველი; იგია მნათობთა სამყოფელი; იგია

პატრონი მეფეთა; მწყალობელი; ვტნის ცა ნაჩვენებია ასტრონომიული, ასტროლოგიური, რელიგიური და პოლიტიკური მნიშვნელობით.

ვტნის მზე არის შვენების გამოსახულება და ამას გარდა: ასტროლოგიურად გამოყენებული.

ვტნის მთვარე მნათობია პოეტური შედარებისათვის, შვენების აღსანიშნავად; ასტროლოგიურად კი მთვარე არის სიყვარულის მომნიჭებელი და სატრფოთა შუამავალი.

ცისკარი — ვენუს — ასპიროზი გამოყენებულია პოეტურად და ასტროლოგიურად, მისი ბუნების მიხედვით.

იუპიტერ — მუშთარი აღნიშნულია მისი ბუნების თანახმად, ასტროლოგიურად.

კრონოს — სატურნუს — ზუალი ასტროლოგიური მნიშვნელობითაა გამოყენებული.

შვიდთა მნათობთადმი გალობაში, რომლის შესადარი მსოფლიო მწერლობაში არ მოიპოვება, მზე არის თავისი ბუნებით ასტროლოგიური, ღმერთი ასტროლოგიური თეოლოგიისა.

სატურნუს — ზუალი — ასტროლოგიური, ვით კაემანისა და სიბნელის მომცემი, ასტროლოგიური თეოლოგიის ღმერთი.

უპიტერ — მუშთარი — ასტროლოგიური, ვით მართალი მოსამართლე, ასტროლოგიური თეოლოგიის ღმერთი.

მარს — მარიხი — ასტროლოგიური, ვით ლახვართ და მჭრელი და სისხლით შემღებავი, ღმერთი ასტროლოგიური თეოლოგიისა.

ვენუს — ასპიროზი, ასტროლოგიურად შვენეირების განხორციელება, სიყვარულის დედოფალი და შეყვარებულთა მკურნალი, ასტროლოგიური თეოლოგიის ღმერთი.

მერკურიუს — ოტარიდი — ასტროლოგიური, მწერალი, — ღმერთი ასტროლოგიური თეოლოგიისა.

მთვარე — ასტროლოგიური, სიყვარულით დამწვართა სიყვარულში შემწე — ღმერთი ასტროლოგიური თეოლოგიისა.

ყველა შვიდი მნათობის წინაშე წართქმული გალობა არის გალობა სიყვარულის გამარჯვებისათვის. და ეს სიყვარულია მსოფლური ჰარმონიის გამოხატულება.

ეტლნი — ზოდიაკონი გამოყენებულნი არიან: პოეტური შედარებისათვის, სილამაზის დასახატავად, და ასტროლოგიურად.

უფრო ასტრონომიულად ნახმარნი არიან — სამყარო, ეთერი, ჰაერი, სირიუსი და ხომნი, რომელნი პოეტურ ხერხთა სალაროს ეკუთვნიან.

ვტნის მთელი ზემოთი ბუნება თავისი აღწერითა და მნიშვნელობით ასტრონომიულია და ასტროლოგიური, ესთეტიურად გამოყენებული, უმთავრესად.

ძველი ასტრონომია - ასტროლოგია, ეს ტყუბი მეცნიერება, წამოწყებული და განვითარებული ბაბილონ - ქალდეელთა მიერ, გადასული ეგვიპტეში და ჰელას-საბერძნეთში, აქ უკვე ერთ მთლიან მოძღვრებად გადამუშავებული, ელლინიზმის ხანაში აღმოსავლეთს უბრუნდება და რომისაკენ ვრცელდება. ელლინიზმის მემკვიდრემ, ისლამურმა კულტურამ ერთი მხრივ, და ქრისტიანულმა კულტურამ, მეორე მხრივ, ასტროლოგია შეითვისა და ისლამური მეცნიერების მიხედვით დასავლეთიც დაიპყრო. ასტრონომია და ასტროლოგია ძველ განათლებულ რელიგიათა ნაყოფია; ძველ და შუა საუკუნეთა კულტურის ზოგადი ქმნილებაა; ყველა იმჟამადი კულტურული საზოგადოების მსოფლმხედველობის გამოსახულებაა და სწორედ ქართული უჩინებულესი პოემა ვტნი ამ კულტურის ასპარეზზე მოჩანს ბრწყინვალედ და ამით ქართული კულტურა დაკავშირებული თავის დროის კულტურასთან, მაღლად აწეული დრომით სხვათა შორის მკვარცხლბეკზე სდგას.

შუა საუკუნეთა კულტურა ვტნში სრულიად დამოუკიდებლად და თვითმყოფად ბრწყინავს, რამდენად ვტნი ამ კულტურას განსაზღვრულ დანიშნულებასა და მიზანს აძლევს, და მას მხატვრული მიღწევებისათვის საშუალებადაც იყენებს. სწორედ ამით გამოიხატება ვეფხისტყაოსანის ეროვნული ნიჭის უმაღლესობა და თვით ვტნის შემომქმედის უმწვერვალესობაში შეუდარებლობა...

≈≈

რვეული მეშვიდე

ვეფხისტყაოსანის ბედისმეტყველება

კარი პირველი

ბედის ამბავი

ადამიანი უძლური და უსუსურია. მის სურვილთა, განზრახვათა, წადილთა და მისწრაფებათა განამდვილება განსაზღვრულია და დაბრკოლებული. კაცი მას ვერ აღწევს, რასაც მისი ნება მოითხოვს. მაშასადამე, არის რაღაც უძლიერესი და უზენაესი, რომელი მის მისწრაფებას საზღვარს უდებს, მის მოქმედებას ფარგლავს და მას თავისუფალ გასაქანს არ აძლევს. და თუ კაცს თავის სურვილთა მიღწევის საშუალება შეფერხებული, ან მოსპობილი აქვს, იგი სწორედ ამ რაღაც გარეშე ძალაზე უნდა იყოს დაქვემდებარებული და მის გარეშე ყოველი ნატვრა მიულწეველია. ნატვრა არის ხომ შეუსრულებელი და გაუნამდვილებელი სურვილი! სურვილთა მიღწევა და ხორცთ შესხმა კი რაღაც გარეშე ძალის ხელშია, დამოკიდებულია ძალაზე, რომელს შეუძლია ისინი ადამიანს აღუსრულოს. ეს რაღაც გარეშე ძალა არის: ბედი.

ადამიანის ძალაში არაა, მის ხელთ არ იმყოფება მისი სურვილის განხორციელება, არამედ ყველაფერი დამოკიდებულია ამ გარეშე და უხილავ ძალაზე, რომელსაც ბედი ეწოდება. ამგვარად, ბედი არის წარმოდგენა იმის შესახებ, რომ გარეშე უხილავი არსება ყველა მოვლენას განსაზღვრავს, ბუნებისა და კაცის მომავალს გადასწყვეტს, განაგებს, მიმართავს და თავის ნებაზე აწამდვითებს. მაგრამ ამნაირი ძალა არის ღმერთიც! ღმერთია ყოვლადის შემქმნელი და დამბადებელი, უზენაესი შემოქმედი, ყოველივეს პატრონი და გამგებელი. ამიტომ საკითხი ღმრთისა და ბედის ურთიერთობისა თავიდანვე პირველ რიგზე იდგა და მის შესახებ ისტორიაში სხვა და სხვა ვითარებასა ვხედავთ.

ადამიანი ღმერთსა და ბედს ხან აიგივეებს, ორივე ძალას ერთად და ერთნაირად სთვლის; მათ ერთ არსებად აღიარებს. ხან ღმერთი მფლობელობს ბედზე, — ღმერთია ბედის პატრონი და გამგე. ხან კიდეც ბედი არის უზენაესი, ხოლო ღმერთი კი მისგან დამოკიდებული და დამორჩილებული. ხან კი ბედს სრულებით უარ ჰყოფენ. იმ შემთხვევაში, როცა ღმერთია ბედთან შედარებით უფროსი და უზენაესი, მაშინ ბედის იდეა არის დამოკიდებითი, პირობითი, რელატიური. ხოლო როდესაც ბედია ღმერთზე ბატონი და თვით ღმერთია ბედზე დაქვემდებარებული, მაშინ ბედის იდეა არის სრულყოფადი, თვითმყოფადი, აბსოლუტური.

ყველა ძველ ხალხში და თანამედროვე განათლებულ ხალხთა შორისაც, ბედის იდეა დღემდეა აღიარებული და გავრცელებული. ყველა ძველ რელიგიაში და დღესაც მსოფლიო რელიგიებში ბედის იდეა ან ამკარად, ან მალულად არსებობს; თუმცა მას ებრძვიან, იგი მაინც მკვიდრობს.

* *
*

ბაბილონურ რელიგიაში, სადაც მრავალ - ღმერთიანობა სუფევდა, ბედის გადამწყვეტ ღმერთთა რიცხვი იყო თექვსმეტი — 1) ანუ, 2) ენლილ, 3) ნინლილ, 4) ნინგურსუ, 5) ბაუ, 6) ნინა, 7) ნინტუ, 8) ეა, 9) სინ, 10) შამაშ, 11) ნუსკუ, 12) ნერგალ, 13) ნამტარ, 14) მარდუკ, 15) აშურ და 16) ნაბუ. ეს ღმერთები არსებობდნენ ბაბილონის სხვა და სხვა მხარეში, მისი კულტურის ისტორიის სხვა და სხვა ხანაში. შემდეგ, როდესაც ბაბილონური სარწმუნოება ვარსკვლავურ თაყვანებად გარდაიქცა, ძველმა ღმერთებმა ძველებური ძალა დაჰკარგეს და მათი შემცვლელი ვარსკვლავ-ღმერთები მათი ძალით აღიჭურვნენ, მაგრამ ამასთან ერთად ძველ ღმერთთა სახელნიც დარჩნენ, რომელნიც აგრეთვე ვარსკვლავ-ღმერთებს მიეკუთვნენ.

1. სინ — მთვარე-ღმერთი გარდაიქცა ღმერთ მთვარედ, რომლის ხელშია მთელი ქვეყანის სიცოცხლე; რომელიც შორეულ დღეთა ბედს განსაზღვრავს.

2. შამაშ — მზის ღმერთი გახდა მზე-ღმერთი, დიდი გმირი, რომელიც ბედს განაჩენს; მეფე ცათა და ხმელთა; უფალი ბედისა.

3. მარდუკ — ზოგადი ღმერთი ბაბილონისა (სუმმუს დეუს) გარდაიქცა იუპიტერ ღმერთად, რომელიც ღმერთთა ბედს განაგებს.

4. იშტარ — ძველ ღმერთთა სამეზიდან ერთი, გახდა ვენუს ღმერთად.

5. ნერგალ — ქვესკნელთა და სიკვდილის ღმერთი, კაცისა და ბედის უფალი, გარდაიქცა მარს ღმერთად.

6. ნაბუ — ბორჩპპას ქალაქის ღმერთი და მწერალი ბედისა, გარდაიქცა მერკურიუს ღმერთად. ბედის გარდაწყვეტის დღეს, გაზაფხულის დღისა და ღამის გასწორებისას, ნაბუ ხელს ჰკიდებს გრიფელს და დაფაზე მიმდინარე წლისათვის ყველას ბედს უწერს.

7. ნინიზ — გახდა სატურნუს ღმერთად.

როგორც ვნახეთ, შვიდი მნათობი შვიდ ღმერთად გარდაიქცა, ხოლო დარანჩენი ღმერთნი უბრალო ვარსკვლავებად შეიქმნენ.¹⁵⁹

ამრნაირად, საერთოდ ვარსკვლავნი და განსაკუთრებით კი კერძოდ, მნათობნი ღმერთნი ბედის გარდამწყვეტელად გახდნენ და ასტროლატრიასთან ანუ ვარსკვლავთ თაყვანებასთან ერთად გაბატონდა ასტროლოგია, ანუ ვარსკვლავთა მიერ ბედის გარდაწყვეტისა და განაჩენის გამორკვევის მეცნიერება, რომელიც დღესაც ჯანმრთელადაა და გავრცელებულია.

ცისა და ვარსკვლავთ ტრიალი, — ამბობს აკადემიკოსი ფრანს კაუმონ, — მათი მოძრაობა მუდმივი, უცვლელი და შეუცდომელი. მსოფლიო არის ვეებერთელა სხეული, რომლის თითოული ნაწილი ერთი მეორეზე მოქმედებს და გავლენას ახდენს. ვარსკვლავნი დედამიწაზე, მის ცხოვრებაზე, ადამიანზე და მის მომავალზე ზემოქმედებენ. ცისა და ვარსკვლავთ ტრიალი მარადიულია და უცდომელი. მათი გავლენაც არის მუდმივი და შეუცდომელი. ვარსკვლავნი მსოფლიოს განაგებენ და მათი ნების ყოფა არის ერთად ერთი უფალი და უდიდესი ბატონი. მთავარნი ვარსკვლავთა შორის არიან მნათობნი და ეს შვიდი მნათობია ყველაფერის გამგე და პატრონი. აქედანაა წარმოშობილი, — როგორც ამბობს ფ. კაუმონ, — პირველი მეცნიერული თეოლოგია. ამგვარად, ვარსკვლავებზე არის დამოკიდებული კაცის ნებისყოფაც. მნათობთა შორის მზე არის პირველი, ვინაიდან მას მიჰყავს მნათობთა მთელი ხროვა, ანუ როგორც ასტროლოგოსები იტყვიან — ხორო, გუნდი, დასი მნათობთა.

კაცს შეუძლია თავისი ბედი გაიგოს, მის შესახებ ვარსკვლავთ შეეკითხოს — ეს არის ასტროლოგოსების საქმე — ჰოროსკოპის გამორკვევა! აქ გზა ეხსნება მოგვობას, მაგიას, რომლის სწავლის მიხედვით, შესაძლებელია კაცის მომავლის შეცვლა. ადამიანი გრძნობდა, — ამბობს ბელგიელი აკადემიკოსი ფ. კაუმონ, — რომ მასზე ბატონობენ და მას იპყრობენ ძალნი, რომელთაც იგი მიჰყავთ იმგვარივე აუცილებლობით, როგორცაა ციურ სფეროთა ტრიალი. კაცის სული ეძებდა თავი გადაერჩინა მსოფლიო მექანიზმის წნევისაგან და მან გამოსავალია მაგიაში, მოგვობაში ნახა, ეს ასტროლოგიური შეხედულება შეიჭრა რელიგიებში და მან აზია - ევროპა დაიპყრო.¹⁶⁰

ბაბილონის იმპერიის დამხობის შემდეგ (539 წ. ძველი წელთაღრიცხვისა) გავრცელდა სახელი — ქალდეველი — ქალდეანი. ქალდეანთ მიეწერებოდათ ასტრონომიური და ასტროლოგიური სიბრძნე, და მართლაც, — ამბობს პროფ. იასტროვ, — ისინი იყვნენ, რომელნიც ამ მეცნიერებას ბეჯითად მისდევდნენ და შემდეგ საუკუნეებში დიდად განთქმულნი იყვნენო. ¹⁶¹.

ბაბილონელ-ქალდეანთა ასტროლოგიური თეოლოგია იმ სინამდვილეზე ემყარება, რომ ცანი და მათნი ვარსკვლავნი უცვლელ და შეუჩერებელ მოძრაობას წარმოადგენენ, და თუ ეს ცა, ეს ვარსკვლავი, მნათობნი ღმერთები არიან, უნდა არსებობდეს აუცილებლობა, გარდაუვალობა, რომელიც ღმერთებზე უზენაესი არის, ვინაიდან ვიღაც, ან რაღაც ამ ღმერთ-ვარსკვლავთა მუდმივ და უცვლელ მოძრაობას უნდა განაგებდეს. ეს აუცილებლობა, ეს გარდაუვალობა, მაშასადამე, ყველაფერსა და კაცსაც განაგებს. ამგვარად წარმოდგენილია მსოფლიური იდეა გარდაწყვეტილებისა, განჩინების შესახებ, — და ეს არის ბედი.

მაგრამ გარდაწყვეტილობის გარდაუვალობა თავის საბოლოო დასკვნამდე აღარ მისულა და არ უთქვამს — ვარსკვლავ ღმერთთა განაჩენი და ბედის გარდაწყვეტილება მარად ჟამს აუცილებელია და უცვლელიაო. მაშინ ხომ მორწმუნეს იმედი დაეკარგებოდა, ნუგეში გაუქრებოდა, ლოცვა უაზრო გახდებოდა!

ვარსკვლავთ მსახურნი კაცს უმხელდნენ გარდაწყვეტილებას მისი მომავლის შესახებ, უმჟღავნებდნენ მას ბედს, რომელიც მას ვარსკვლავებმა განუჩინეს, მაგრამ ამასთანავე ლოცვითა, განწმედითა, გალობითა და მსხვერპლით შეიძლებოდა მომავლის თუ მთლიანად შეცვლა არა, მისი შესუსტება მაინც, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ბედი ბოროტი და ავი იყო; შესაძლებელი იყო ავის აცილება და კეთილის გამომახება. ¹⁶².

* *
*

ძველი ჩინური რწმენით, ღმერთი — შემოქმედი და ხელმძღვანელი მსოფლიოსი — არის უმაღლესი ზნეობრივი ძალა, რომლისაგან ყველაფერი გამოვიდა; რომელიც მსოფლიოს მომავალსა და კაცის ბედს განაგებს, ქვეყნიერების წესს იცავს. ბედი, ანუ ”მინგ” (გზა ცისა) არის ბრძანება ცისა (ტაიენ მინგ); სხვა და სხვა ნიშანით, რომელიც მსოფლიოს ნაწილებში ხდება, კაცთ ეცნობათ მისი ნება და გარდაწყვეტილება; მარჩიელთა და სიზმრთა საშუალებით თავის ნებას აცხადებს ღმერთი. ¹⁶³.

* *
*

ძველი ინდოეთის რელიგიებში ბედი მთავარი მნიშვნელობისაა. ”რტა” არის ქვეყნიერების მართველი დებულება. იგი არის უფალი ბუნებისა, ბატონი ბუნების მოვლენათა; არა მარტო ბუნება, მისი ყოველი გამოსახულება, არამედ ადამიანიც ”რტა”-ს გამგებლობაშია და ღმერთებიც მას ექვემდებარებიან. თავის თავად, — ამბობს ენგელ, — ¹⁶⁴. ”რტა” არის ”კანონი”, რომელიც ბატონურად მთელს მსოფლიოს განაგებს; ამასთან ერთად იგია მოვალეობა, რომლის მიხედვით კაცმა უნდა

იმოქმედოს, რათა ეს კანონი გაანამდვილოს.. ამნაირად, ბედის იდეაში აქ ადამიანური მოქმედებაა ჩართული; უფრო მეტად, აქაა წმიდა მოქმედება, საკრალური ქმედობა, რომელიც თავის გამოსახულებას მსხვერპლში ჰპოვებს; მსხვერპლი კი ღვთაებას ეწირება (მსხვერპლი — შესაწირავი. ს. ს. ორბელიანი). ღვთაება ამ მსხვერპლით ლხინსა და სიამეს ღებულობს; ამის სანაცვლოდ კაცი ღვთაებისაგან სამაგიეროსა და მადლობას მოელის. ღმერთს უყვარს შემწირველი — ეს არის რწმენის მთავარი დებულება. ასეა ვედთიზმში, ასეა ბრაჰმანიზმშიც, სადაც მღვდელი არის მწირველი (მღუდელი — მწირველი. ს. ს. ორბელიანი). აქედან ის დებულება წარმოიშვა, რომ ბედი არის მსხვერპლთან დაკავშირებული. როგორც მწირველი, მღვდელი თვითონ ხდება ბედის პატრონი, რადგან მას ამ ბედთან უშუალო კავშირი აქვს მსხვერპლის მეოხებით, და ამიტომ მას, მღვდელს ყველაფერი შეუძლია — მღვდლის ხელშია კაცის ბედი! ¹⁶⁴.

* *
*

მაჰაბჰარატა არის ინდოეთის მწერლობაში დიდი ეპოსი, რომელი შედგენილია უკანასკნელ სამ საუკუნეში ქრისტემდე და პირველ სამ საუკუნეში ქრისტეს შემდეგ. ამ დიდ ნაწარმოებში მოთხრობილია დიდთა ომთა ამბავი, ნაწილობრივ ლექსებად. დედოფალი დრაუპადი, სხვათა შორის ამბობს:

ძველი თქმულება გვისურათებს იმ ამბავს, რომ ადამიანები უფალზე დამორჩილებულნი არიან და არა აქვთ ძალა თვით თავის თავს უპატრონონ. მსოფლიოს მომწესრიგებელმა და უფალმა (ბრაჰმან) დააწესა ბედნიერება და უბედურობა არსებათა, მათნი სიამენი და ჭირნი... ო, მეფე, გმირო კაცთა შორის, ქმნილებანი არიან ვით ხის ტიკინები, რომელთ ქალურად გამოაწყობენ და რომლის ნაწევართ ერთი მეორეზე ამოძრავებენ. ასეა სივრცე, რომელი შედის ყველაფერში; ამგვარადვეა უფალი, რომელი განაგებს აქ კეთილობასა და ბოროტებას... უვიცი, უსუსური ქმნილება, რომელი ფიქრობს განაგოს თავისი სიამე და თავისი ჭირი, წაყვანილია ღმრთის მიერ; მიდის იგი ცად ან ჯოჯოხეთს, ღმრთის ხელით. ისე ვით ბალახის გროვა მიდის ქარის ნებაზე, რომელი მასზე ძლიერ არს, ყველა არსება ამგვარადვე, მიდის მსოფლიოს მომწყობელის (ბრაჰმან) ნებაზე. ¹⁶⁵.

ინდოეთის ეპოსში "რამაიანა" ნათქვამია: კაცი აქ არ მოქმედებს თავის ნებაზე; იგი არ არის თავისი ბატონი; ბედი მას ისვრის ხან აქეთ, ხან იქით. ყველა ნაგებობა სრულდება დანგრევით, ამაღლებულნი ეცემიან, კავშირნი სწყდებიან დაშორებით, სიცოცხლე თავდება სიკვდილით. იქვე ¹⁶⁵. გვ. 125. ვერავინ ვერ ასცდება თავის ბედს... (იქვე, გვ. 126).

* *
*

მაგრამ ეს შეხედულება ერთად ერთი და სავსებით გაბატონებული არ ყოფილა ინდოეთში, რადგან ბედისა და კაცის ურთიერთობაზე ინდონი სამ პასუხს იძლეოდნენ — 1. ბედი ბატონობს, იგი ყველაფერს განაგებს. ამას ჰქადაგებდა ბუდთას მოწინააღმდეგე მახკალი გოზალა. 2. ყველა ადამიანი გადაბმულია ორ გვარ

მოქმედებასთან — ბედთან და თვით თავის მოქმედებასთან ცხოვრებაში. აქ არის ბედისა და კაცის ნების შეერთება, მათი ერთად მოქმედება. 3. წადილთა მიღწევას კაცი თავის საკუთარ მოქმედებას უნდა უმაღლოდეს და ის, რასაც შენ ბედს ეძახი, არის თვითონ კაცის თვისება, რომელსაც ”უცნობი” ეწოდება. ესაა კაუთილიას აზრი. ¹⁶⁴. გვ. 65.

ბუდთიზმში ადამიანის ნების თავისუფლება უარყოფილი არაა. ადამიანი უძალო არაა ბედის წინაშე; მან უნდა იბრძოლოს, იმოქმედოს, რათა მან დაჰგლიჯოს ის ჯაჭვები, რომლითაც ცხოვრება შებორკილია. ადამიანმა ტანჯვასა და ტკივილებს უნდა გადასძლიოს, რათა მან ნირვანა დაიმკვიდროსო.

* *
*

უძველესმა სპარსულმა რელიგიამ, ზარათუშტრას სწავლამ ბედის ცნება არ იცის. ზარათუშტრა კაცს ურდგენს არჩევანს კეთილისა და ბოროტის წინაშე, და ამგვარად, კაცს სრული თავისუფლება ენიჭება; იგი არავითარ გარეშე ძალაზე დამორჩილებული არაა და მას შეუძლია თავისი ნებით გაიკვილოს გზა სიკეთისაკენ, ან დაიჩოქოს ბოროტის წინაშე.

მაგრამ ძველ ირანში, ბაბილონურ-ქალდეურ მსოფლმხედველობასთან დაკავშირებით, წარმოიშვა ახალი, შენაზავები მიმართულება და სწავლა, რომელიც ცნობილია ზერვანიზმის სახელით.

ზერვანიზმის რელიგია, რომელი შეიქმნა არსაკიდების (არშაკიდთა) ხანაში (256 წ. ქრისტეს წინ და 226 წლამდე ქრისტეს შემდეგ, როცა დაარსდა სასანიდთა დინასტია), დაკავშირებული იყო ასტროლოგიასთან, და იგი შვიდ მნათობთა რელიგიას წარმოადგენს.

უსაზღვრო და დაუსრულებელი დრო — ზრვან აკარანა — აღიარებული იყო უზენაეს ღმერთად; იგი იყო უფრო უზენაესი ვიდრე აჰურა მაზდა, ანუ ოჰრმაზდ, ორმუზდ, მაზდა, მფლობელი ქვეყნიერებისა და უფალი მარადულობისა.

უკვდავება და მარადისობა ხდება უსაზღვრო და დაუსრულებელ **დროდ** (ჟამი). ეს **დრო** არის ბედის მმართველი, ვით უზენაესი ძალა, რომელს ცა, მნათობნი და ღმერთნი ემორჩილებიან. ამით, აშკარაა, უარყოფილ იქმნა მაზდაიზმის მიერ აღიარებული ნების თავისუფლება, და **დრო. ჟამი**, ეს უზენაესი ძალა გამოცხადდა ყველასა და ყველაფერის გამგებელად; ქვეყანათა, ხალხთა და ადამიანთა ბედის განმკარგუნებელად. სასანიდების სამეფო გვარმა ზერვანიზმი სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა და მით მოგვთა ძლიერებას დაეყრდნო. ¹⁶⁶.

* *
*

ძველ ბერძნულ და რომაულ მწერლობაში ბედის საკითხს თავისი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. სიტყვა ბედი (ტიხე) ჰომეროსისათვის უცნობია, მაგრამ ბედზე

შეხედულება მას აქვს. იგი ხმარობს სიტყვას მოირა, რაც ნიშნავს: რაღაც ძალამ კაცს მომავალი გადაუწყვიტა; იგივე მნიშვნელობა აქვს მეორე სიტყვასაც — აისა, რაც პირველს სცვლის ხოლმე; ამავე აზრით იხმარება სიტყვა — პეპროტაი, მოროს. კარ და კარეს არის ცუდი ბედი, სიკვდილი. ხოლო დაიმონი არის ხან კარგი ბედი და ხან ცუდი. აქვე ვეცნობით მითოლოგიურ პიროვნებას — მოირა, რომელი ბედსა რთავს, ართავს. ილლიადა და ოდისეოს-ში ღმერთები თვით ართავენ, ქსოვენ ბედს, როგორც მაგალითად — ზევესი.

ჰეზიოდოსს უკვე სამი მსთველი, ანუ მქოველი ჰყავს — 1. კლოთო, 2. ლახესის და 3. ატროპოს. პირველი ართავს სიცოცხლის ძაფს; მეორე — განჩინებას; მესამე — გარდაუვალობას, აუცილებლობას.

პინდარი უკავშირებს "მოირა"-ს "ელეთეია"-ს, რომელიც ბედის სხვა სახელია.

ევრიპიდესი მოირას უწოდებს: ლოხიას.

მაგრამ მთავარი მნიშვნელობა ბედმა მიიღო ბერძნულ ტრადედიებში. ბერძნული ტრადედიის გმირები ბედის მონები არიან და რამოდენადაც ისინი მას ებრძვიან, მისგან მაინც თავს ვერ აღწევენ.

"სრულებით ნუ ლოცულობ, — ამბობს სოფოკლესის "ანტიგონე"-ში ხორო, — ვინაიდან არ არსებობს ხსნა მომაკვდავთათვის წინარგანჩინებული უბედურებისაგანო. ბედის უმაღლესი გამოსახულება დახატულია "ოედიპოს"-ში. სოფლოკლესი ამბობს — საშინელია გაუგებარი ძალა ბედისა; მას ღმერთებიც ემორჩილებიანო.

აესხილოსი თავის განთქმულ ტრადედიამი "მიჯაჭვული პრომეთეოსი" თვით პრომეთეოსს ალაპარაკებს ბედისა და გარდაუვალობის შესახებ —

მაგრამ რას ვამბობ? რაც მეწერა — ადრეც ვიცოდი.

მოულოდნელად არა ჭირი არ შემეყრება.

უნდა გავუძლო ბედისწერის მოქნეულ უროს,

გადავიტანო მე ეს ხვედრი, რადგანაც ვიცი,

გარდუვალობის მბრძანებლობა უძლეველია...

ან კიდევ ხოროსა და პრომეთეოსის საუბარი —

ხორო: ნეტავ მესაჭედ ვინ ბრძანდება ბედისწერისა?

პრომეთეოსი: სამი მოირა, ხსოვნის სულნი — ერინიები.

ხორო: და ზევსი განა მათზედ უფრო უძლური არის?

პრომეთეოსი: რაც უწერია, მას ისიც კი ვერ გაექცევა...¹⁶⁷.

ნემეზის და მასთან დაკავშირებული ადრასტია მოირას ნათესავნი არიან. ნემეზის არის დიაცი ღმერთი, რომელიც ბედს ანაწილებს.

რომაელებს ბედის რწმენაში ახალი არაფერი შეუტანიათ. მათი ერთი დიაცი-ღმერთი მშობიარობისა "პარკა" გახდა ბერძნული სამ-სახოვანი მოირას გამომხატველი. ვარრო ასახელებს — პარკა, ნონა, დეციმა.

როგორ ესმოდათ ბერძნებს მოირა და რა ურთიერთობაში იყო იგი ღვათაებრივობასთან?

* *
*

თავდაპირველად სიტყვა მოირა, როგორც იგი გამოყენებულია ჰომეროსის მიერ, ნიშნავდა: წილი, ხვედრი. იგი ჰომეროსს არ ესმის ვით განყენებული პიროვნება — ღვთაება. ორივე: მოირა და ეიმარმენე, როგორც ახლა აღიარებულია, ნიშნავს: წილის მიღება, ხვედრის მიღება. მაგრამ მოირა შემდეგში გარდაიქცა ბედად, მომავალის გადამწყვეტ საათად, და ჰომეროსის თხუზულებებში სიკვდილის საათს დაუკავშირდა. ილიადაში და ოდისეიოსში მოირა (ბედი) და თანატოს (სიკვდილი) ერთად იხსენება, მაგრამ ამ სიტყვის განვითარებას (სიკვდილის გარდა) სიკეთის, ბედნიერების აზრიც ეძლევაო, — როგორც ამბობს ამ საკითხის მკვლევარი ბერრი.¹⁶⁸ მაშასადამე, მოირა შეიქმნა კარგი ბედისა და ცუდი ბედის გამომხატველად, ბედის ღმერთად.

ჰეზიოდოსის თხუზულებებში მოირანი უკვე არიან ბედის ღმერთნი — დიაცი, განპიროვნებულნი ღვთაებანი.

იონიანთა ხანის პოეტს არხილოხოსს ცნება მოირასთან ერთად შემოაქვს ცნება ტიხე, რომელიც კარგს ბედს აღნიშნავს; მაგრამ იგი მისთვის ღმერთი არ არის, არამედ ძალა, მომქმედი ძალა რომელი ადამიანის ბედს ხელმძღვანელობს. აქ მოირა არის საერთოდ ბედი, ტიხე — პიროვნების ბედი.

სოლონი მოირას ბედის ღმერთს უწოდებს (თეონ მოირა).

თეოგნისი მოირას და ტიხეს ისევ ერთად აყენებს; პირველია საერთოდ ბედი, ხოლო მეორე — კარგი ბედი.

პინდარისათვის მოირა არის ღმერთი, რომელიც კარგს ანიჭებს, მაგრამ შეუძლია ცუდიც დაატეხოს თავზე; იგი ცვალებადია ვით ტიხე, მაგრამ ღვთაებრივია. ასე რომ მოირა და ტიხე პინდარისათვის თითქმის თანაბარნი არიან.

აესხილოსისათვის მოირა არის ბედი გარდაუვალი, და ძნელია იმის თქმა, — ამბობს ბერრი, — თითქო იგი მისთვის ცალკეული ღმერთი იყოსო; მოირა არის მარადი და აუცილებელი. მოირა და ტიხე აქ ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან და ძნელად განირჩევიან. თუ ისინი ღმერთები არ არიან, არიან მაინც ისეთი ძალანი, რომელნი ღმერთებს უთანასწორდებიან, ან მათ სჯობნიან კიდევ.¹⁶⁸ გვ. 20. თავის განთქმულ

”პრომეთეოს“-ში კი აესხილოსისათვის მოირაზე თვით ზევესი არის დამორჩილებული.

სოფოკლესის ტრადედიებში მოირა მხოლოდ ერთჯერ არის ღვთაებრივ ძალასთან გადაბმული; იქ მოირა არის განპიროვნება კარგი ბედისა და დაემონისა, რომელთანაც ზევესი არის გაიგივებული; ტიხე კი არის ხვედრი, წილი, კარგი ფორტუნა, რომელიც არის ღვთაებრივი; ღმერთები არიან ტიხეს წყარო. ¹⁶⁸. გვ. 22, 25, 27. და სხვა.

* *
*

ბერძენ ფილოსოფოსთა შორისაც ბედის რწმენა გავრცელებული იყო და ბედის საკითხი საერთოდ ფილოსოფიაში შედიოდა, როგორც შემადგენელი მისი ნაწილი. ფილოსოფოსნი ბედს უწოდებდნენ — ეიმარმენე, ემარმაის. პირველად ამ სიტყვას ჰერაკლეიტოსი ხმარობს და ამბობს — ყველაფერს განაგებს ეიმარმენე.

სოკრატესის სწავლით, თეია მოირა არის ღვთაებრივი ძალა, ყველგან მომქმედი, როგორც მოვლენებში, ისე კაცის ხასიათში და პიროვნებაში, იგი არის ძლიერი, მალული, და მას ღვთიური საწყისი უნდა ჰქონდესო

პლატო (პლატონი) თავის ”ერ“-ში ბედის შესახებ ლაპარაკობს და მოირებს აღწერს ვითარცა მაღალ სკამებზე მჯდომარე დიაცთ, თეთრი სამოსელით. ისინი ართავენ, ქსოვენ აუცილებლობას, გარდაუვალობის საქსოვზე. ისინი გალობენ და მათი გალობა ციურ მუსიკას ეხმატკბილება; ლახესი გალობს წარსულზე; კლოთი — აწმყოზე; ატროპოს — მომავალზე.

პითაგორასის მიმდევარნი ბედის საკითხს უკავშირებენ ზომას, საწყაულს, საგანთა აზრს, აუცილებლობას, რომელი ყველაფერს იმორჩილებს და იმ გონებას, რომელი არსებათა არსში შედის. პლატონსაც ამგვარადვე წარმოედგინა ბედი, მაგრამ იგი ბედს არა მარტო სიკეთეს და ღვთიურ განგებას, არამედ ადამიანის ნებასაც უთანხმებდა. პლატონისათვის ბედი არის ის ძალა, რომელსაც ხმარობს სული გრძნობადი ქვეყანის ყველაფერზე; ეს არის წესი, რომლითაც სული ამ გრძნობად ქვეყანას ხელმძღვანელობს და მართავს.

არისტოტელესი ბედის შესახებ არსად არ ლაპარაკობს, ხოლო მისი მიმდევარი ალექსანდრე აფროდიასელი ფიქრობდა, ბედი არის თვითეული არსების ბუნება და კანონთა კრებული, რომელი მსოფლიოს მართავსო.

პლუტარხოსი განგების ძესა და სიტყვას ბედს უწოდებდა.

პროკლოსისათვის ბედი არის კანონი ნივთიერ ქვეყანათა და სულისა, რამდენად ეს სული სხეულისაგანაა დამოკიდებული; მაგრამ ეს კანონი დამორჩილებულია მარადული გონების გეგმებზე, რომელს დემიურგოსი გაანამდვილებს, — დემიურგოსი, რომელიც არის მსოფლიოს მოქმედი მიზეზი და განგება.

”ჰერმეს ტრისმეგისტოს“-ში და საერთოდ ჰერმეტულ, საიდუმლო ნაწერებში ჰეიმარმენე ანუ ბედი ღვთიურ სახეს ღებულობს. ჰერმესისათვის მნათობნი არიან მოქმედნი ძალანი, და ჰეიმარმენე კი არის მათი მოქმედებისაგან გამოსული მტკიცე კანონი. ¹⁶⁹.

(ჰერმეს ტრისმეგისტოს — სამჯერ დიდი ჰერმესი. ბერძნული ღმერთი ჰერმესი გაიგივებულია ეგვიპტურ ღმერთთან ტოთ, ანუ ტეუთ, რომელი იყო გამომგონებელი წერისა, წიგნისა და წიგნთსაცავთა, ზომათა ხელოვნებისა და საიდუმლო სწავლათა პატრონი და სხვ. ამ ჰერმესს ტრისმეგისტოს სხვა და სხვა საიდუმლო მოძღვრებასა და თავის დახსნის, ცხონების ცოდნას მიაწერდნენ, რომელი მან ამა თუ იმ პიროვნებას გაუძღვანა. ამ საიდუმლო სწავლათა კრებულთაგან ბევრი დაიღუპა; გადარჩენილია ”კორე კოსმოუ“ (ქალწული, ანუ მოწაფე მსოფლიოსი), ”ასკლეპიუს“, ”პოიმანდრეს“ და სხ.)

სტოას სკოლამ, რომელმაც უარჰყო პლატონის მიერ დადგენილი წესი ღმერთსა და მსოფლიო სულს შორის, აღიარა ბუნება ვითარცა სათავე, დასაბამი, პირველადი პრინციპი (საწყისი), ვით მხოლოდ წყარო წესრიგისათვის, მოძრაობისა და გონებისათვის; ამიტომ ბედს სტოელთა ფილოსოფიაში დიდი ადგილი დაეთმო.

ზენონი ბედს სთვლიდა განგებად და ბუნებად (ნატურა).

ხრიზიპოსის აზრით, ბედის არსება არის სულიერი ძალა, რომელი ყველაფერს საწყობს; იგი არის მსოფლიო გონება.

ზოგი კიდევ ღმრთისა და ბედის იგივეობას ამტკიცებდა: ზოგი უარჰყოფდა მას, როგორც მაგალითად ციცერო და კარნეადეს. ¹⁷⁰.

საერთოდ სტოელთა სკოლა იმ დებულებაზე იდგა, რომ ბედი = ეიმარმენე, ფაქტში არის მსოფლიო გონება; იგი არის შემომქმედი ყველაფერისა; იგია ღმერთი განგება (პრონოია, პროვიდენცია).

მაგრამ თუ ყოველივე ხდება ბედის მიზეზით, მაშინ როგორღა შეუძლია კაცს მოქმედება? თუ ადამიანი სნეულია, სულ ერთია, დაუძახებს იგი აქიმს თუ არა, რადგან ბედს მისი ბედი წინასწარ გადაწყვეტილი აქვს! ამ წინააღმდეგობას ჰქვია ”ზარმაცი გონება“.

ხრიზიპოსი ამაზე უპასუხებდა — ყველაფერი ერთმანეთზეა დაკავშირებული, და თუ ბედს გადაწყვეტილი აქვს ვიეთის სნეულებისაგან განკურნება, მას ისიც გადაწყვეტილი აქვს, რომ აქიმს დაუძახონო! მოვლენათა და საგანთა ერთმანეთზე დაკავშირება, რომელიც მსოფლიურ გონების მიერაა დამყარებული, მსოფლიოს ჰარმონიას წარმოშობს; ამ მხრივ იგი არის განგება. ¹⁷¹.

ყველა ადამიანისათვის სიკეთე არის თავის თავთან თანხმობაში, თავის ბუნებასთან შეთანხმებაში, ესე იგი, თავისი გონების თანახმად მოქმედებაში. ოღონდ თავისი გონების მიხედვით თანხმობა თავის თავთან იწვევს აგრეთვე თანხმობას მსოფლიოსთან, რომელიც აგრეთვე გონებაა, ვინაიდან კაცის გონება მსოფლიური

გონების ნაწილია, ანუ ბუნების (ნატურა) წილია. ცნობილი ზენონის ცნობილი თქმაა — იცხოვრე ბუნებასთან შეთანხმებით — კაცმა უნდა იცხოვროს თავისი ბუნების, ანუ გონების მიხედვით; ოღონდ ამ თავისი ბუნების, ანუ თავის გონების თანახმად ცხოვრებით, კაცი ცხოვრობს იმ დიდი კანონის მიხედვით, რომელიც მსოფლიოს განაგებს; სიკეთე, ბედნიერება კაცისათვის არის მსოფლიურ ბუნებასთან შეთანხმებით ცხოვრება, ანუ როგორც მარკუს აურელიუსი ამბობს — ყველაფერი რაც შენ გიხდება, მომიხდება მეც, ო ბუნებავ! არაფერი არ არის ჩემთვის ნაადრევი, არც ნაგვიანები, ის რაც შენთვის თავის დროზე მოვალს. ყველაფერი ნაყოფია ჩემთვის, რომელიც შენს დროს მოაქვს, ო ბუნებავ! ყველაფერი მოდის შენგან, ყველაფერი შენში არის, ყველაფერი გიბრუნდება შენ! ამიტომ შეუძლებელია ბედის წინააღმდეგ ბრძოლა; ბედი უნდა მიიღო, და უბედურებაც — მხნედ! ¹⁷¹. გვ. 229.

* *
*

ბაბილონელ-ქალდეანთა ასტროლოგიური თეოლოგია ელლინურ-ალექსანდრიული ხანიდან მთელ ბერძნულსა და რომაულ მსოფლიოს მოედო. ძველ რომაელებს მრავალი ღმერთი ჰყავდათ, მაგრამ მათ შორის ბედის ღმერთი არ მოიპოვებოდა; მხოლოდ მას შემდეგ რაც რომი აღმოსავლეთის გავლენამ შეიპყრო, ასტროლოგიასთან ერთად იქ ბედის რწმენაც დასადგურდა. ბედი — ფატა, ფორტუნა, ფორ, პარცენ არიან მოირა, ტიხე და მშობიარობის ღმერთნი-დიაცნი.

ბედის რწმენის მოწინააღმდეგენი ამტიცებდნენ — თუ ყველაფერი ვარსკვლავებზეა დამოკიდებული და მათგან გამომდინარე ბედი ყველაფერს განაგებს, მაშინ აღარ არის თავისუფალი ნება, ხოლო ამ თავისუფალი ნების არ-არსებობა ყოველგვარ პასუხისმგებლობას სპობს; ჯილდო და სასჯელი უაზროა, თუ კი კაცი გაბატონებული აუცილებლობის შედეგად მოქმედებს; თუ ადამიანი დაბადებულია გმირად, ან ბოროტმოქმედად, მაშინ ზნეობას ვერ შეაქებენ და უზნეობას ვეღარ გაჰკიცხავენო.

სუეტონიუსი ამბობს — იმპერატორი ტიბერიუსი (1 – 37), ვინაიდან დარწმუნებული იყო, რომ ყველაფერს ბედი (ფორტუნა) განაგებსო, რელიგიურ ცხოვრებას აღარ მისდევდაო.

ვეტტიუს ვალენს რელიგიას სრულიად უარჰყოფდა — შეუძლებელია მსხვერპლის შეწირვით დაამარცხო ის, რაც დასაბამიდან გაგებულია და გადაწყვეტილიაო. ჩვენ მხოლოდ უნდა ვეთაყვანებოდეთ იმ უზენაეს ძალას, რომელი მთელ ქვეყნიერებას განაგებს, ყოველი თხოვნისა და ლოცვის გარეშეო; ჩვენ უნდა დავკმაყოფილდეთ იმ სიამოვნებით, რომელს ვღებულობთ შემოქმედთან შინაგანი კავშირის შედეგადო. მაგრამ ეს იყო მაღალი აზროვნება, რომელი ხალხისათვის არ იყო საინტერესო და ალექსანდრე აფროდიასელი (მესამე საუკუნეში) ამბობს — ისინი, ვისაც დაბეჯითებით სჯერათ, რომ ბედი აუცილებელია და ყველაფერს მას მიაწერენო, სინამდვილეში ამ რწმენას არ ეყრდნობიან; ისინი განუწყვეტილ ღმერთს ევედრებიან, თითქო ამით ბედის წინააღმდეგ შეეძლოთ მოქმედებაო. მაგრამ ასტროლოგიას ჰქონდა გაორება, და რელიგიებმა საიდუმლო - მისტერიულმა მოძღვრებებმა ის დებულება მიიღეს, რომ შესაძლებელია ცუდი ბედის შესუსტება, მისი შეცვლაც კი... მსხვერპლით, გალობით, ვედრებით და სხვა წესებითო. ამნაირად,

ბედის რწმენა გარდაიქცა ზნეობრივობის საფუძველად და თაყვანისცემის წესთა, წირვა-ლოცვათა გამართლებად. ¹⁷².

რომაელი კეისარის ტიბერიუსის სასახლის ასტროლოგოსის, პოსეიდონიოსის მიმყოლი მანილიუსი ამბობს — მიწიერი მსოფლიო მხოლოდ გამოხატულებაა ციურისა და ყველაფერი უცვლელ კანონს ემორჩილება. კაცი ბედის მონაა. მას არ ძალუძს გარდა იმისა რაიმე ჰქმნას, რომ თავისი ბედის შესახებ ვარსკვლავთ შეეკითხოსო. მაგრამ, როგორც ვთქვი, ადამიანს არა სურდა ვარსკვლავთა ყურ მოჭრილი მონა ყოფილიყო და ამიტომ გამოგონებულ იქმნა შემდეგი დებულება — სიდერა ინკლინანტ, ნონ ნეცესსიტანტ — ვარსკვლავნი გვიჩვენებენ მიდრეკილებას და შესაძლებლობას, მაგრამ ისინი არ იწვევენ აუცილებლობასა და გარდაუვალობასო. ¹⁷³.

* *
*

ახალმა პლატონურმა, ანუ ნეოპლატონურმა ფილოსოფიურმა სკოლამ კაცისა და ვარსკვლავთ ურთიერთობის საკითხს ახალი გასაქანი მისცა. თუმცა პლოტინოსი, ნეოპლატონიზმის ნამდვილი შემქმნელი და სულის ჩამდგმელი, ასტროლოგიას უარსა ჰყოფდა, მაინც იგი იმ შეხედულებაზე უარს არ ამბობდა, რომ ციური მიწიურზე გავლენას ახდენსო. მეორე ”ენნეადას” მესამე წიგნში (§ 1, 2, 3) იგი ასტროლოგიურ სწავლას განიხილავს და მას არ იზიარებს. ცა და ვარსკვლავნი, — პლოტინოსის აზრით, შედგენილნი არიან ცეცხლისაგან; ცასა და ვარსკვლავთ აქვთ უკვდავნი სხეულნი, რადგან მათი მატერია გაუფუჭებელი ცეცხლისაგანაა და ისინი თავიანთ სახეს მსოფლიო სულისაგან ღებულობენ, რომელი მათ წმიდა მხარეში სრულყოფილ წრიად მოძრაობას უკარნახებსო. ვარსკვლავნი ყველაფერს არ წარმოშობენ; ვარსკვლავნი **ანიშნებენ**, მხოლოდ მიუთითებენ მომავალ მოვლენებზე მსოფლიოს ზოგადი წესრიგის წყალობით; ვარსკვლავნი გავლენას ახდენენ ფიზიკურად თავიანთი სხეულით, ან უგონო სულით. მზე მარტო იმით არ კმაყოფილდება, რომ იგი მიწიერ არსებებს ათბობს; რომ იგი მათ კიდევ თავის სულთან მონაწილეობას აღებინებს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ვინაიდან იგი, მზე ბუნებრივ სულს (ფისიკე ფსიხე) ფლობს, რომელიც ძლიერია. ამგვარადვე, სხვა ვარსკვლავებიც, განურჩევლად და განსხვივოსნების გზით გადასცემენ მდაბიურ არსებებს ცოტას იმ ძალიდან (ბუნებრივს), რომელს ისინი ფლობენო. (მეოთხე ენნეადას, წიგნი მეოთხე, §35). ამავე წიგნის §ში 41, პლოტინოსი ვარსკვლავთ საკითხს კიდევ ეხება და ამბობს — არც მზეს, არც სხვა ვარსკვლავთ საერთოდ, არ ესმით ის სურვილნი, რომლითაც მათ კაცნი მიმართავენო. და თუ ვარსკვლავნი ამ სურვილთ ყურად იღებენ, ეს მხოლოდ იმ საერთო სიმპატიის მეოხებით, რომელი მსოფლიოს თითოულ ნაწილს ერთი მეორესთან აქვსო. პლოტინოსის აზრით, მახსოვრობა უსარგებლოა, ზედმეტია ვარსკვლავთათვის; მაგრამ მათ აქვთ გრძნობა, ხედვა და სმენა, უნარი ვედრების მოსმენისა, რომლითაც ჩვენ მივმართავთ მზეს, და სხვანი კი სხვა ვარსკვლავთ მიმართავენო, რადგან კაცნი დარწმუნებულნი არიან, რომ მათ ვარსკვლავთაგან ბევრი რამეს მიღება შეუძლიათ; მათ სჯერათ, მიიღონ მათგან ყველაფერი ისე ადვილად, რომ ისინი მიმართავენ არა მარტო სამართლიანი საქმისათვის, არამედ ისეთი რამესათვისაც, რაც უსამართლოაო (§30). ვარსკვლავთ არა სჭირდებათ მახსოვრობა, რათა მოიგონონ ჩვენი ლოცვანი; თუ ისინი ჩვენ ლოცვებს შეიწყნარებენ, ეს მოხდება თავისუფალი გადაწყვეტით; მივმართავთ მათ

ჩვენი ლოცვებით თუ არა, ისინი ჩვენზე მაინც გავლენას ახდენენ და ერთგვარ ზემოქმედებას მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ნაწილნი არიან მსოფლიოსი, როგორც ჩვენ თვითონო. (§42). ¹⁷⁵.

ნეოპლატონიანი იამბლიხოსი (გარდაიცვალა 330 წელს) კი ბედის იდეას და ვარსკვლავთა ბედის გამგებლობას სავსებით აღიარებს. იამბლიხოსს რწამს ეიმარმენე, რომელს კაცი შეპყრობილი ჰყავს და რომლისაგან განთავისუფლება მხოლოდ ღმერთთა შემწეობით არის შესაძლებელი. ¹⁷⁶.

ნეოპლატონიანი პროკლოსი (412 — 485), როგორც ვთქვი, ამტკიცებდა, ბედი არის კანონი ნივთიერი ქვეყანისა და სულისაც, რამდენად ეს სული გვამისაგანაა დამოკიდებული; მაგრამ ეს კანონი მარადული გონების გეგმებზეა დამორჩილებული, რომელთაც დემიურგოსი გაანამდვილებს, დემიურგოსი, რომელი არის მომქმედი მიზეზი და განგება მსოფლიოსი.

* *
*

ძველი სემიტები ბედს ემახდნენ ”გად” (გენესის 30,11). ისრაელთ იგი წარმოედგინათ ვით არა-პიროვნული (იმპერსონალური). ”გად” აძლევს კაცს კარგსა და ცუდ მომავალს (იერემია 7,18; იეზეკიელ 44,17; 23,41).

ძველ აღთქმაში ბედის შესახებ ლაპარაკი არაა; სამაგიეროდ იქ არის საუბარი განგებასა და წინარგანჩინებაზე. ღმერთი იძლევა ჯილდოსა და სასჯელს; იგი ხელმძღვანელობს თავის ხალხს, და სხ. სიტყვა ღმრთისა ამ ბედს შეიცავს და მისი არსება მოცემულია არა მარტო ცნებით ”განგება”, არამედ ღმრთისა და კაცის ურთიერთობითაც.

ბედის საკითხის თეოლოგიური ინტერესი გამოიხატა პრაედესტინაციოს, ანუ წინასწარ განჩინების, წინარ გარდაწყვეტილების დებულებით და არჩევანით. აქ ღმერთი ისრაელთა ხალხს ირჩევს მესიის (ცხებულის) მატარებელად და ამნაირად მას, ამ ისრაელ ხალხს სოტერიოლოგიური, ანუ მაცხოვარობის მიზანი ეკისრება. ¹⁷⁷.

ფარისეელებმა ბედი აღიარეს, რომელს ღმერთი ახალ წელიწადს ანაწილებს; ისინი თუმცა ნების თავისუფლებას არ უარჰყოფდნენ, მთავარი მაინც ბედი იყო მათთვის. ¹⁷⁷.

სადუკველნი ბედის არსებობას სრულიად უარჰყოფდნენ და ამტკიცებდნენ — სიკეთე და ბოროტება კაცთა ხელთ არის, და მათ რომელიც სურთ, იმას აირჩევენო.

ესენიანნი თავის მხრივ ქადაგებდნენ, ბედი არსებობსო და მას თვითმყოფად სთვლიდნენ.

როგორც ებრაული ისე ქრისტიანული რელიგია არსებითად ბედს აღიარებს მთელ თავისი ცვალებადობით, მაგრამ ეს ბედი სავსებით ღმრთის ხელშია. ამის შესახებ ბიბლიაში, თუმცა იქ სიტყვა ბედი არ იხსენება, ხშირადაა ლაპარაკი და იგი, ბედი იგულისხმება განგებისა და წინარგანჩინების სახით (მეორე შჯულთა 6,10; 33,26 და

სხვ. იგავნი 16,33; საქმენი 1,24, 26; დავითნი 1,15; 33,6; იობი 1,6; იოანე 1,17; მეორე კორინთ. 12,7, 9 და სხ.). ყველგან აქ ღმერთი არის სიცოცხლის უფალი; მიწიერ ბედნიერებასა და უბედურებას ღმერთი ანაწილებს.

* *
*

ასტროლოგიური სწავლის ზეგავლენით, ისრაელებს სიტყვისათვის ბედი ჰქონდათ "მაზალ" და "მაზალ ტომ" ბედნიერებას აღნიშნავს; ყველას აქვს თავისი "მაზალ", მხოლოდ პირუტყვთ არა აქვთ იგი. (არ ვიცი თუ სხვაგან, მაგრამ ქუთაისში გავრცელებული იყო სიტყვა მაზალო, უეჭველად ქართველ ისრაელთა მიერ — რა მაზალო ვინმე არისო!).

რაბი ადიბა ამბობდა (აბ. 3 19) — ყველაფერი წინარგანჩინებულიაო, თუმცა იგი თავისუფალ ნებასაც აღიარებდა. ადამიანი შექმნილია, დაბადებულია, ცხოვრობს და კვდება, და ყველაფერი ეს ხდება წინასწარი გადამწყვეტი ნებითო. თითო ვერ გაიჭრი, — ესეც ზეცაში არის განჩინებული და გადაწყვეტილიო. ამას ქადაგებდნენ ბენ აზაი და სხვანიც. ამ საკითხის შესახებ "თალმუდის" შედგენის ხანაში დიდი დავა იყო, ამბობს ა. სუფრინი.¹⁷⁸

* *
*

წარმართ გნოსტიკოსთა შეხედულებით, ყველაფერს მართავს და განაგებს შეუწყვეტელი გარდაუვალობა, რომელი ვარსკვლავებზეა დამოკიდებული. ვარსკვლავებთან ერთად მთელი მსოფლიო არის ცუდი; იგი სისავსეა ბოროტებისა. თუ ეს მსოფლიო ცუდია და ბოროტი, თუ ვარსკვლავნი და მათ მიერ მოჭედილი ცა არის პირველადი მიზეზი საზოგადო ბოროტისა, მაშინ კაცის გნოსის, ანუ ცოდნა უნდა ცას გადასცილდეს, რათა მონახოს ღმერთი, რომელი არს კეთილ, — ღმერთი მალულ, ფარულ, საიდუმლო, უცნობი — აგნოსტოს. ცნობა, ცოდნა ღმრთის წყალობაა და მლოცველი სწორედ ამას მოითხოვს. ეს რწმენა გნოსტიკოსს ძალას აძლევს, რომლითაც იგი სიკვდილის შემდეგ, ცათა გადაღმა ღმერთს შეუერთდება. საიდან და როგორ გაჩნდა ეს ბოროტი და ავი ამ ქვეყანაზე? იგი ღმერთს — კეთილს — არ გაუჩენია; არც კაცს. მესამე დასაბამმა, ანუ მესამე პრინციპმა, ანუ სათავემ გააჩინა იგი; ესაა დემიურგოსი, შუამავალი, ან უფრო სწორად, ამ დემიურგოსის მიერ შექმნილმა ვარსკვლავთა ღმერთებმა, ამ დემონებმა შექმნეს ბოროტი. ეს ვარსკვლავნი — დემონნი კი როგორც მსოფლიოს ისე თვითეული კაცის ბედს აწესრიგებენ. აქედან დასკვნა — უარყოფა ქვეყანისა, ხსნა ღმერთთან გაერთიანებით.¹⁷⁹

* *
*

ქრისტიანები, — როგორც ამბობს რომის კათოლიკე თეოლოგოსი ანტონ ანვანდერ, — ამ სიტყვას "ბედი" ხალისით კი არ ამბობენ, რადგან ამ სიტყვის უკან ისინი წარმართულ, ვარსკვლავურ რწმენას ხედავენ და ამიტომ უფრო განგებაზე, და უფრო ხშირად სამართლიან მოწყალე ღმერთზე და იესო ქრისტეზე ლაპარაკობენო. მაინც ეს

წარმოდგენა ბედზე და განგებაზე ქრისტიანებს აქვთ. წმიდა გრიგოლ ნაზიანზელი ვარსკვლავურ ბედს აქრისტიანებდა, ხოლო ერთმა ქრისტიანულმა თხუზულებამ "ჰერმიპოს" ბედი ვარსკვლავებს მიაწერა და იგი ღმრთის გამგებლობაში მოაქცია.¹⁸⁰

ეპისკოპოს ნემესიოს ემესელის თქმით, კაცი არის თვითხელმწიფე, ანუ მისი ნება არის თავისუფალი. ის, ვისაც განჩინებული აქვს კვლა, ყოველთვის არ ჰკლავს და ამის მიზეზად ვიტყვით განგებასა და არა სვე-ბედსაო. სიტყვა სიტყვით, პეტრიწის თარგმანის მიხედვით — "არამედ, ვინაითგან არა ყოველი, განმაჩინებელი კლვად, დაუცილებლად კლავს-ცა, არამედ ოდეს-მე კლავს, ხოლო ოდეს-მე — არა, საქმეთა მოშლისაგან და არა მოვლენისა ჰაზრისაებრ, — განგებასა ვინაითვე ვიტყვით მიზეზყოფად ამისდა და არა თუ სუესა"-ო.¹⁸¹

* *
*

ახალი აღთქმა ხშირად ბედს = ფორტუნას, როგორც მორალურ მოვლენას აღნიშნავს. ღმრთის მოქმედება ბედ = ფორტუნას დარიგება-განაწილებაში მიუწოდომელია, გაუგებარი, რადგან ღმერთი კარგ ბედსა და უბედურებასაც იძლევა, და ადამიანი ამ მოვლენაში ვერ ერკვევა, — ეს ღმრთის საიდუმლოებაა. მაგრამ ზოგი ფიქრობს, ცუდი ბედის მიცემით, ღმერთი კაცს გამოსცდისო. მაგრამ ღმერთი არის ბრძენი და მოწყალე, და იგი ადამიანს სწყალობს, რომელმან თვითონ ხელი გაანძრიაო (ქართული თქმა — ხელი გაანძრე და ნაშველი იქნებიო!). ეს დებულება გარკვეულია იგავში ტალანტის (ქანქარის) შესახებ (მათე 25,15). და განმეორებულია კორინთელთადმი ეპისტოლეში (1 კორინთ. 12,11) — ხოლო ამას ყოველსა შეეწევს ერთი და იგივე სული, განუყოფს თვითოეულად კაცად კაცადსა, ვითარცა ჰნებავს... ან კიდევ — იოანე 3,27: ვერ ხელეწიფების კაცსა მოღებად თავით თვისით არცა ერთი რა, უკეთუ არა არს მოცემულ მისა ზეცით...

ბედის განაწილება და დარიგება ღმრთის ხელშია და არავის არა აქვს ნება მას შეეკითხოს, თუ ასე რატომ გაანაწილა და დაარიგა ფორტუნა. მაგრამ ღმერთი უმიზეზოდ არ მოქმედებს; იგი თვითეულ კაცს იმ ბედს ანიჭებს, რომელიც მას ზნეობრივად წინ წასწევს. რასაკვირველია, აქ კაცის მოქმედება, თანამოქმედება და თანამშრომლობა მისი ნებისა აუცილებელია. და კაცი ყურადღებას მიაქცევს ამას თუ არა, შემდეგ ამისა ღმრთის ნებაა, მან კაცს კიდევ გამოაცდევინოს, მისცეს ახალი გამოცდა თავის გასაუჯობესებლადო. იერემია 18,4; 7,10... და სხვა.¹⁸²

პროკოფიოს, სარდალი ბელისარიოსის მდივანი, ისტორიკოსი და ქრისტიანი მწერალი ისევ ლაპარაკობს ბედი-ტიხეს შესახებ, რომელი თავის გავლენას ახდენს ადამიანურ საქმეებშიო. ხოლო აგათიას მირრინელი, რომლის ისტორია 552 — 558 წლებს ეხება, ბედი-ტიხეს შესახებ აღარაფერს ამბობს, არამედ ღვთიურობაზე. მისი ღვთიურობაა: ბედი, გაქრისტიანებული ბედი. ღმერთია, რომელი ყოველივეს გადასწყვეტს, ბედსა თუ უბედობას ანიჭებს კაცს, თუმცა ამავე დროს კაცის ნების თავისუფლებას არ უარჰყოფს.¹⁸³

ქრისტიანული თვალსაზრისით, ბედი არის თვითონ ღმრთის ხელში და ღმრთის წყალობაზეა დამოკიდებული მისი, მორწმუნის კარგი თუ ცუდი მომავალი. სულხან

საბა ორბელიანიც, ვით ქრისტიანი თავის ლექსიკონში როდესაც ბედს ეხება, მას უარჰყოფს, მაგრამ მაინც ამბობს, — როგორც ეს ანვანდერმაც აღნიშნა [იხ. აქვე, გვერდი 133 (წიგნისა)]. — კაცი ვინმე ბოროტის ღირსი ღმერთმან შეიწყალოს და ბოროტი კეთილად შეუცვალოს, ესევითარი ბედად იწოდებისო. და ამით განმეორებულია ქრისტიანი ფილოსოფოსის ნემესიოს ემესელის შეხედულება — ზოგი ფიქრობსო, — ამბობს იგი, თავისუფალი ნება და არჩევა ქმნადთა, კაცის ხელშია, ხოლო მისი განხორციელება კი სვეს ანუ ბედს ეკუთვნისო; უმჯობესი იყო ეთქვათ: განგების ხელშია კაცის მიერ არჩეული საქმის დასასრულიო, ანუ სიტყვა სიტყვით — ”უღირდა მას, რათამცა განგებად ეთქვა მიზეზად საქმეთა აღსასრულისა; რამეთუ უფროის ხოლო ესე განგებისა არს საქმე, ვიდრეა რა და სუისა. არამედ განკუთვნიტ თვის განგებისა არს, რათა თვითეულსა ჩვენგანსა უმჯობესისაებრ თვითეულისა განუჩინებდეს; და ამისათვის ვინაითვე აღრჩეულთა დასასრულისა აღმოსლვად უმჯობესისა-მიმართ და თუ რამეთუ ოდეს-მე მოჰხდების და ოდეს-მე არა”-ო. ¹⁸¹. გვ.146.

არ შეიძლება ითქვასო, — ამბობს პროფ. დორნერ, — თითქო ბედის რწმენა ქრისტიანობაში, თუ გნებავთ დღევანდელ დროშიც, მოსპობილი იყოსო. იგი უკვე ძველი ხანიდან ქრისტიანობას შეეგუა და ბედის იდეას ჩვენ ვეცნობით ისეთ უდიდეს ქრისტიან მწერალთა შორის, როგორც იყვნენ ორიგენეს, აუგუსტინუს მამათა რიგიდან (პატრისტული ხანიდან), თომას აკვინელი და დონს სკოტუს (შუა საუკუნეებიდან), პროტესტანტიზმში, — კალვინი, და შლაიერმახერი (ახალი ხანიდან) და სხვა.

ქრისტიანულ ყოველ დღიურ ცხოვრებაში ხომ ”ბედის” რწმენას დიდი ადგილი უკავია და სვე — ბედი, კარგი და ცუდი ბედი, უბედობა და უბედურება ჩვეულებრივი გამოთქმაა, მწერლობაშიაც, განსაკუთრებით დრამაში, სადაც — დირა ნესესიტას — აუცილებლობა ბედი დიდი მნიშვნელობისა არისო. ¹⁸⁴.

* *
*

ქრისტიანულ გნოსტიციზმში ბედს დიდი მნიშვნელობა მიეწერება. ”გნოსის” არის ”ცოდნა”. გნოსტიკური სწავლით, ღმრთის შესახები სწავლის სისწორე და სიმართლე თავისი სისწორისა და სიმართლის ძალით მოცემულია დამსხნელი, მაცხოვარი ცოდნა. ამ გნოსისურ სწავლათა მიხედვით, ნამდვილი ღმერთი უცხოა ამ ქვეყანისათვის; ნამდვილი ღმერთი დაუსრულებელად დაშორებულია ჩვენი ქვეყანისაგან, — უაღრესად უცნობი; ამ ღმრთის შექმნილია არა ეს ქვეყანა, რომელი წარმოშობილია შეზღუდული და სუსტი ძალის მიერ, და ეს ქვეყანა არ იცნობს მას, ვინც არის მის ზემოდ; ნივთი, მატერია არაა შექმნილი; იგია პრინციპი დამოუკიდებელი, ძალა ბრმა, რომლის სახელია სიბნელე, წყვდიადი; სული ღვთიური წარმოშობისაა; იგია აგრეთვე უცხო ქვეყანისათვის, სადაც იგი ჩამოვარდნილია, დაბმულია, დამწყვდეული, ძილშია და დავიწყებაში; და ეს ქვეყანა იმ ზომად დაკეტილია, ისე გარშემორტყმულია გადაულახავი ცებით, რომ არავის არ შეუძლია შევიდეს მასში, ან გამოვიდეს მისგან, და რომ ეს ცები (ცანი) და გუშაგნი, რომელთ ამ ცათა კარები დაკავებულნი აქვთ, არიან გარდამწყვეტი კაცის ხვედრისა, — და ეს გუშაგნი ცათა არიან შვიდნი, მნათობნი შვიდნი. ¹⁶⁵.

ამიტომ გნოსტიკოსთ (ისე ვით მანიქეანთაც) რწამდათ ეიმარმენე, ბედი, რომელს ვარსკვლავნი განაგებენ. მნათობთ იგინი განიხილავდნენ ვითარცა არხონტეს (მმართველთ) და კოსმოკრატორეს (მსოფლიოს მპყრობელთ), რომელთაც ყველაფერი შექმნილი ექვემდებარება და ემორჩილება. მნათობთა გავლენით, — ქადაგებდნენ ისინი, — დაბადებიდანვე კაცი მათ მეთვალყურეობაში მყოფი, მექანიკური აუცილებლობის მიერ უღელ დადგმულია, თუმცა ეს კაცი მეცადინეა თავისუფლება მოიპოვოს. გნოსტიკოსნი ფიქრობდნენ, სული მნათობურ ძალებს ჰყავთ დატყვევებული და რათა მან თავი დაიხსნას, მან უნდა აიაროს ის ცანი, სადაც მნათობნი ბატონობენ და ყოველი ხრიკით და მოტყუებით, შესალოცი სხვა და სხვა თქმით და გასვლის სანებართვო სიტყვებით უნდა მოახერხოს გუშაგ დემონთ თავი დაახწიოს და ნათელის სამეფოში ავიდესო. ამ წესს თავის დახსნის შესახებ გნოსტიკოსები ასწავლიან. ამით მოხდება მატერიალური ქვეყანისაგან თავის დახსნა და თავისუფლების ქვეყანაში ცხოვრებაო. ამით ბედის აუცილებლობაც მოისპობაო. ¹⁸⁶.

* *
*

ისლამმა ბედის იდეა აღიარა და იგი თავისად გაიხადა, გააღრმავა და მტკიცედ შეითვისა, თუმცა ამ საკითხის შესახებ მაჰმადიანობაში დიდი დავა იყო, ბედის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის. თვით სიტყვა "ისლამი" დაქვემდებარებას, მინდობას ნიშნავს და ამით წინასწარ აღიარებულია მაჰმადიანური ღმრთის — ალლაჰ — წინაშე მონება. ასეთი ხასიათის რელიგიაში ბედს უსათუოდ მაღალი ადგილი უნდა დაეჭირა, და მართლაც, ბედი ანუ "ყადარ" ისლამში ერთ მთავარ დებულებად გარდაიქცა. "ყადარ" არის ბედის გარდაწყვეტილება და ეს გარდაწყვეტილება ალლაჰზეა დამოკიდებული. ყველაფერში ჰალაქის ხელია და ყველაფერს ის განაგებს — სიცოცხლესა და სიკვდილს, აწმყოსა და მომავალს, სიკეთესა და უკეთურებას, ბედსა და უბედურებას და სხვა.

ყურანი 27,14 თავისი ბედი კაცს მობმული აქვს კისერზე.

"ყურანი"-ს ფრანგულად მთარგმნელი მ. სავარი შენიშნავს — ყველა მუსლიმს რწამს პრადესტინაციო, ანუ წინარგანჩინებაო. ყველა მორწმუნე ფიქრობს, კაცის ბედი იწერება დაბადებისთანავეო. ეს შეხედულება მას გაჭირვებაში მოთმინებას აძლევს და საფრთხეში — მხნობასო. ¹⁸⁷.

როგორც ითქვა, ყველა მაჰმადიანი თეოლოგოსი ამ მკაცრ შეხედულებას არ იზიარებდა, და ამის გამო დავაც მძაფრი იყო, ოღონდ სწავლულ ღმრთის მეტყველთა დავა განგებისა და ბედის შესახებ თვით მუსლიმან ხალხს არ აწუხებდა. ხალხში თავიდანვე გავრცელებული იყო ასტროლოგიური შეხედულება ვარსკვლავური ბედის შესახებ. მუსლიმთა ამ რწმენას განსაკუთრებით აძლიერებდა სუფიზმის შეხედულება ღმერთზე მინდობის შესახებ (მეათე საუკუნედან). მოთმინება, კმაყოფილება, იმედი წყალობაზე ღმრთისა მხრივ — ეს იყო სუფიზმის დებულება, საიდანაც შემდეგ განვითარდა დებულება "ყისმეთი"-ს შესახებ. "ყისმეთი" ბედია, ოღონდ გარდაუვალი, უცვლელი ბედი.

მაგრამ მაინც "ყურან"-ში არა ერთი და ორი წინააღმდეგობაა ამ საკითხის შესახებ. ალლაჰ არის განუსაზღვრელი ხელისუფალი, უძლიერესი ბატონი. "არ შეიძლება მას შეეკითხო, თუ რას შერება იგი" (ყურ. 21,23). ადამიანი მის ხელში უნებისყოფო სათამაშოა. ალლაჰის ნება არ შეიძლება შეიკვეცოს კაცის განსაზღვრული ნებით, რადგან კაცის ნებას თვით ალლაჰ განსაზღვრავს. კაცს შეუძლია მხოლოდ ის ინებოს, რაც თვით ალლაჰს ნებავს. ეს ეხება აგრეთვე, რასაკვირველია, ზნეობრივ მოქმედებასაც, ეთიკას, — აქაც ალლაჰ თვით მიმართავს და განაგებს კაცის ნებისყოფას, რომელი ღმრთის მორჩილებაშია. ოღონდ ალლაჰ ძალადობას, მიმძლავრებას არ ეწევა; იგი არაა უსამართლო; არაა ძალდამტანე, "უსამართლობას არ ჩადის" (ყურანი 4,52), "არავის ისეთ ტვირთს არ დაადებს, რომლის ტარება მას არ შეუძლია" (სურაჰ 23,64). "და შეჰქმნა ალლაჰმა ცა და ხმელეთი სიმართლეში და თვითეულ სულს დაასაჩუქრებს იმის მიხედვით, თუ რა მოიპოვა მან და მას უმართებულება არ მოუვა" (სურაჰ 45,21). მაგრამ განა ამაზე მეტი უსამართლობა იქმნება? განა ამაზე მეტი უსამართლობა შეიძლება? — თუ ადამიანის ნებისყოფას თვით ალლაჰ განაგებს; თუ კაცის მოქმედებას თვით ალლაჰ განსაზღვრავს, როგორ შეუძლია კაცს პასუხი აგოს? ალლაჰმა წაართვა კაცს თავისუფალი ნება, დაიმორჩილა იგი, — ამას შემდეგ როგორ შეიძლება კაცს თავისი ცხოვრების შესახებ პასუხისმგებლობა დაეკისროს? რად უნდა აგოს პასუხი კაცმა თავისი ბოროტების გამო? იმიტომ, — ამბობს პროფ. ი. გოლდციჰერ, — არ არსებობს მართლა არც ერთი სწავლის ისეთი ნაწყვეტი ყურანში, რომლის შესახებ ასეთი ერთი მეორეს მოწინააღმდეგე აზრები მოიპოვებოდეს, როგორც ამ საკითხის შესახებო. ¹⁸⁸

ყურანი კაცს პასუხისმგებლობასაც აკისრებს და ეს აზრი არა ერთჯერაა გამოთქმული. "კაცისაგან არის დამოკიდებული, თუ იგი (ალლაჰის) ხელმძღვანელობას მადლობით ემორჩილება, ან თუ იგი უგუნურად მას უარჰყოფს" (ყურანი 76,3). "თვითეული მოქმედებს თავისი ნების მიხედვით" (ყურ. 17,86). "ღმერთმა გამოგზავნა სიმართლე: ვისაც ნებავს, იყოს მორწმუნე; ვისაც არ ნებავს, იყოს ურწმუნო" (ყურ. 18,28). "ალლაჰ ხელმძღვანელობს მას, ვისაც ეს ნებავს; იგი მიჰყავს მას სიკეთის გზაზე; ალლაჰ უყურადღებოდ სტოვებს მას, ვისაც არ ნებავს მისი ხელმძღვანელობა, ამიტომ შეცდომებისა და ბოროტების გზაზე რჩება იგი". ამიტომ მუსულმანი ლოცულობს — ო. ალლაჰ, მასწავლე მე სწორი გზა და დამიფარე მე ჩემი საკუთარი სულის ბოროტებისაგან!

ასეთი საწინააღმდეგო აზრებია ყურანში ნების თავისუფლების შესახებ. და ცნობილი მკველევარი ისლამურ ღმრთისმეტყველებისა ჰუბერტ გრიმმე და მასზე დაყრდნობით პროფ. ი. გოლდციჰერიც, ამტკიცებს, მაჰმადის შეხედულება ალლაჰისა და ნების თავისუფლების შესახებ ორ სხვა და სხვა ხანას ეკუთვნისო. როდესაც მაჰმადი თავისი ქადაგების დაწყებისას მეკვამი იმყოფებოდა, იმ დროს იგი ნებისთავისუფლებასა და პასუხისმგებას აღიარებდა; მედინაში კი მისი ამგვარი შეხედულება ნელნელა ჰქრება და სანაცვლოდ მტკიცდება სწავლა ნების დამორჩილების, ანუ უნებობის შესახებ. ღმრთისაგან დამოკიდებულების გრძნობა, ნების თავისუფლების უარყოფა, ყველაფერი რომ ღმერთზეა დაქვემდებარებული, — სიკეთე და ბოროტება, ჯილდო და სასჯელი რომ ღმრთის ნებაა, — ეს რწმენა უკანასკნელი იყო მაჰმადისათვის. მაგრამ ამ ორმა სრულიად დაპირისპირებულმა შეხედულებამ თავიდანვე მუსლიმთა წრეში გაუგებრობა გამოიწვია და უკვე მეშვიდე საუკუნედან მის გამოსწორებას შეუდგნენ, განსაკუთრებით გაისლამებულ სირიაში,

სადაც, — ალფრედ ფონ კრემერის აზრით, — ქრისტიანულმა ღმრთისმეტყველებამ ისლამზე თავისი გავლენა მოახდინაო. თვით ქრისტიანობაშიც იმ დროს ნების თავისუფლების გამო დავა შეწყვეტილი არ იყო და დამასკო, სადაც თავი მოიყარეს ისლამის მეცნიერებმა, ბედის წინარგანჩინებისა, განგებისა და ნების თავისუფლების საკითხი მსჯელობის ცენტრს წარმოადგენდაო.

”ყადარ” არს ბედის გარდაწყვეტილება. წარმოიშვა შეხედულება, რომლის მიხედვით კაცი თავის ზნეობრივ და კანონებრივ მოქმედებაში არ შეიძლება იყოს მონა გარდაუვალი, შეუცვლელი წინასწარ გარდაწყვეტილებისა, ანუ ყადარისა; პირიქით, იგი თავის მოქმედებას თვითონ ჰქმნის, და ამიტომ იგი თვითონვეა მიზეზი თავისი ცხოვნებისა თუ წაწყმედისაო, ამიტომ ყადარ უნდა შეკვეცილ იქმნას, შევიწროებულ. ამის გამო ამ მიმართულების მიმდევართ ”ყადარიტები” დაარქვეს. თვით ”ყადარიტები” კი თავის მოწინააღმდეგეთ ანუ მათ, ვინც ყადარს აღიარებდა, ეძახოდნენ — ”ზრმა იძულების ხალხი”, ანუ ჯაბრ, — ჯაბარიტები.

აღლაჰმა ადამის შექმნის შემდეგ გარდაწყვიტა წინასწარ: თუ ვინ წავა სამოთხეში, და ვინ — ჯოჯოხეთში. არის ორი ჯგუფი ადამიანთა: სამოთხისათვის — ნეტარნი და ჯოჯოხეთისათვის — წაწყმედილნი; ამიტომ არსებობს ორი ღვთიური წიგნი, სადაც ამ კაცთა სახელნი წინდაწინ იწერებიან; ერთია წიგნი სამოთხისა; მეორე — წიგნი ჯოჯოხეთისა. ინდური წარმოშობის თქმა — ადამიანს თავისი მომავალი შუბლზე აწერია! — გავრცელდა აგრეთვე მუსლიმთა შორისაც. ყადარიტები ამ რწმენას ებრძოდნენ, მაგრამ ხალხში ბედის შესახები წარმოდგენა ფესვმაგარი იყო. და ამაზე ეყრდნობოდა აგრეთვე ომაიადთა დინასტია, რომელი თავისი ტახტის სიმტკიცეზე ზრუნავდა და თავის მტრებს ამით იგერიებდა — ომაიადთა ხალიფას ბატონობა აღლაჰის მიერ წინასწარ არის გარდაწყვეტილიო, — გვაუწყებს პროფ. გოლდციჰერ.

ყადარის საკითხი მუსულმან მოაზროვნეთ მოსვენებას არ აძლევდა და მის გამო მსჯელობა შემდეგმა სკოლამაც განაგრძო. ეს არის განდევილთა, ანუ მუტაძილიტთა სკოლა. მუტაძილიტებმა ისლამში ადგილი გონებას (აყლ) მიანიჭეს და უბრალო მარტივ ისლამს ომი გამოუცხადეს. ეთიური თვალსაზრისით მუძალიტებმა უარჰყვეს აღლაჰის ყველა თვისება, რომელი სამართლიანობას ზიანს აყენებდა. მეტაფიზიკური თვალსაზრისით მათ უარჰყვეს აღლაჰის ყველა ის თვისება, რომელი ღმრთის ერთიანობას, მხოლოობას და მარადულობას რყენდა. ნებისყოფის საკითხში ისინიც ყადარიტებსავით ამტკიცებდნენ — კაცს აქვს სრული თავისუფლება ნებისა; თვით კაცი არის თავისი მოქმედების წყარო, თორემ უსამართლობა იქმნებოდა ღმერთს მისთვის პასუხი მოეთხოვაო. ღმერთი კი მხოლოდ სამართლიანია. და აქ მუტაძალიტები ყადარიტებს სცილდებიან — არის კაცის თავისუფალი ნებისყოფა; არ არის აღლაჰის იძულებაო. ამიტომ ღმერთი არის აუცილებელად, უსათუოდ სამართლიანი. ღმერთს არ შეუძლია იყოს უსამართლო. აქ არის აღლაჰზე წარმოდგენაში აუცილებლობის (ვუჯუბ, ”უნდა”, ”ხამს”) მომენტი შეტანილი, რომელთაგან აგრეთვე მიზანშეწონილებაც არის დაკავშირებული. ამგვარად, ახლა თვით ღმერთი ხდება ადამიანის წინაშე არა - თავისუფალი ერთგვარად-ო, — დაასკვნის პროფ. გოლდციჰერ. ¹⁸⁸ გვ. 83 და სხვა.

* *
*

სიტყვა "ყისმეთ" არაბულია და ქართულშიც შესული, ოღონდ არც მაინც და მაინც გავრცელებული. ყისმეთ არის: წილი, ხვედრი, ბედი. ეს სიტყვა ამ მნიშვნელობით ყურანში არ იხმარება, მაგრამ სხვა ნაწერებში და პოეზიაში მას ხშირად ხმარობენ. ზამახშარი ამ სიტყვას ასე განმარტავს — წყარო კეთილისა და ბოროტისა არის ღმერთი. და ეს არის შენი მომავალი ბედი (ყადარ), ანუ შენი ბედი (ყისმეთ): თუ ღმერთს სურს, იგი მოგანიჭებს მას; თუ მას სურს იგივე უარს გეტყვის.

ცნება "ყისმეთ" იხმარება თეოლოგიურად, როგორც მეორე ცნება ბედისა "ყადარი"-ო, — ამბობს კარრა დე ვო. მდიდარ კრებულში, სახელით "ალ მუსტაფარ" რამოდენიმე თავია სვისა და ბედის შესახებ — მე მიხილავს უვიცი, რომელს ცა სწალობს, და ბრძენი ვინმე ამ წყალობისაგან გამორიცხული; მაშინ მივხვდი, რომ კაცს ხელთ არა აქვს თავისი ბედის მოგვარება-ო. და სხვა. ¹⁸⁹.

შესანიშნავ "ათას ერთ ღამე"-ში და პოეზიაში ყისმეთის შესახებ ხშირადაა საუბარი. ცნობილი მგოსანი საად შირაზელი არა ერთჯერ ლაპარაკობს ყისმეთის შესახებ და აბუ საიდ, ანუ ხაიბამ ერთ თავის ლექსში ამბობს — თუ შენი მდგომარეობა კარგია, ეს არაა შენი ჭკვიანი ზომების შედეგი; და არც შენი ბრალია, თუ უბედურ მდგომარეობაში ხარ... იცხოვრე შენთვის, და, კმაყოფილად, რადგან კარგი და ცუდი ამ ქვეყანაზე შენგან არაა დამოკიდებული. ამ შეხედულებამო, — შენიშნავს კარრა დე ვო, — მუსლიმანური ხალხების განვითარება ძალიან დააბრკოლა, განსაკუთრებით სამეურნეო დარგშიო (!). ¹⁸⁸. გვ. 738.

სუფისტური მაგალითით, მჭერმეტყველებით, — ამბობს დიეც, — თითოეულ მუსულმანს თავში ჩაუნერგეს, რომ მისი სააქაო, მიწიური წარმატება თუ წახდომა, გამარჯვება თუ მარცხი, არის მისი ხვედრი, და მას იგი უწერია დიდი ხნით ადრე, სანამ დაიბადებოდა; რომ მისგან გაქცევა — სიკვდილისაგან გაქცევაა, იგი მას მაინც დაეწევა ყველგან! წინასწარ გარდაწვეტილია ყოველივე; ყველაფერი განგებითაა, ყველაფერი ბედა! ¹⁹⁰.

* *
*

ღმრთის გულწრფელი და ღრმა პატივისცემის გამო, — ამბობს ჩოდსკო, — სპარსელები ღმერთს არასდროს თავის უბედურებას არ აბრალებენო. ბედი (ყედერ, ყადარ, ტყედის) არის აგრეთვე წმიდა რამ, რომელს ხარდახან უჩივიან, მაგრამ აღიარებენ, რომ იგი არის უცვლელი და არსებობდა, არსებობს უწინარეს მათდა, რომელთაც იგი ეხება.

ბედის გამომწვევი და დამადგენელი, სპარსთა აზრით, არის ცა (ფელეკ) და სოფელი (დუნია). ამ სოფელს, დუნიას სპარსელები უწოდებენ აგრეთვე სახელს — დრო (ზემან) ანუ ზემანე, ხანა, ჟამი და საუკუნე (დეჰრ). რამდენად ღმერთი არის კეთილი, იმდენად ეს დემონები, დაუზოგავი მტრები კაცისა, ყოველთვის იყვნიენ ბოროტნი,

უმიზეზოდ დამაზიანებელი, გაუმაძღარი კაცთა ცრემლითა და სისხლითა. ზემანე, დრო სპარსელებს წარმოუდგენიათ ვითარცა დიაცი მახინჯი, უკბილო, ან მოხუცი მიხრწნილი, ბებერი როგორც ქვეყანა, სოფელი, მაგრამ ამასთანავე უკვდავი.

ფელეკ, ანუ ცა არის მნათობთა სისტემის განპიროვნება, ანუ გუმბეზ — თადი ცოცხალი (გაქართულებული: გუმბათი, თადი!); ეს ცა, ეს ფელეკი არის მარადი მოძრაობა, რომელს ჩვენ ზემოდ ვხედავთ; იგი ბრუნავს თავის თავზე და აბრუნებს ყველა ვარსკვლავს და ამიტომ უწოდებენ მას კიდეც — ”გუერდონ” — მბრუნავი, ანუ ”ჩერხ”, ქართულად — ჩარხი! ¹⁹¹.

ყისმეთი, — ნათქვამია ისლამის ენციკლოპედიაში, — რომელიც არაბულად არის ”ხვედრი”, წილი, ნიშნავს აგრეთვე: ბედი რომელიც თითოული კაცისათვის წინარგანსაზღვრულიაო. ეს მნიშვნელობა თურქული ენიდან გავრცელდა; მაგრამ მას თურქულში ისეთი ძლიერი თეოლოგიური წინასწარგანჩინებითი შინაარსი არა აქვს, არამედ ამით ნაჩვენებია მხოლოდ ბედის გარდაუვალობა და მისი ცვალებადობა. ამგვარივე აზრით, ეს შინაარსი სიტყვისა ყისმეთ სპარსელ მწერალთა მიერ გამოიხატება სიტყვით — ”ფალაკ” (ცა) და ”ჩარხ” (ბორბალი), ვითარცა გამოთქმა სფეროთა ბრმა და აუცილებელი გავლენისა. ¹⁹².

ვარსკვლავნი, რომელნი ადამიანთა ბედს განაგებენ, — ამბობს ჩოდსკო, — და რომელთა გავლენა ყველაფერს განაჩინებენ რაც უნდა მოხდეს, თვითონ არიან დამოკიდებულნი ამ ცა, ფალაკისაგან; არც ერთ მუსულმან ღმრთისმეტყველს არ უცდია გაემტყუნებინა ზემანე = დრო, ჟამი, ან ფელეკ, ცა, რომელნი თავისუფალ არიან ვისაც სურთ მათ უბედურება დაატეხონ. პროზაისტები და პოეტნი დროსა და ცის გარდაწყვეტილებას სიხარულით ხვდებიან, განსაკუთრებით რელიგიურ დრამათა დამწერნიო, როგორც მაგალითად —

ო, ცაო! შენ მოჰკვეთე თავი ჰუსეინს, და მოაცილე იგი მის გვამს! ო, დრო (ჟამო!), შენ გადაფურცლე წიგნი ჩემი ცხოვრებისა; ო, მბრუნავო ცა (იე ჩერხი ნაბეკარ) უმაქნისო!... შენი დამჩაგვრელი უსამართლობით... მიმიყვანე მედინაში, ო, სამაგელო ბორბალო... მე მივმართავ ღმერთს შენი უსამართლობისა გამო, ო! ცუდო სოფელო”... ¹⁹³.

* *
*

ქართველ ხალხსაც, რასაკვირველია, აქვს ბედის რწმენა. თვით სიტყვა ”ბედი” ქართული წარმოშობისა არ არის; იგი სპარსულია და მის შესახებ რამოდენიმე განმარტება გვაქვს.

ცნება ”ზად” ზარათუშტრას რელიგიაში არის ”იაზატა”, ანუ კეთილი ანგელოზი, ქარი, რომელი ჰქრის და მსოფლიოს ადელვებს. მეორე ახსნით, ”ზად” არის დემონი, ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარი, რომელი ირანს თურანიდან თოვლსა და ყინვას ჰყრის. ¹⁹⁴ ამას გარდა ”ზად” იყო ქართა ბატონი და მმართველი. ¹⁹⁵.

”ავესტა”-ში სიტყვისათვის ბედი იხმარება ”ზახტა”; სომხურში — ”ზაჰტ”. ფირდაუსის შაკ-ნამეში მოხსენებული აქვს ბედის სახელად — ”ზად”, ცუდი დღე — როზ-ი-ზად. ეს

სიტყვა "ზად", როგორც ცნება "ბედისა" შექმნილია "ავესტას" შემდეგ ხანაში, ამბობს პროფ. არლენი. ¹⁹⁶ ეს სიტყვა რუსულ ენაში დამკვიდრებულია ვით "ბედა" და ინგლისურში ვით "ზად", "ბედ", ორივე შემთხვევაში — ცუდი, ავი, ბოროტი. იგივე სიტყვა ქართულ ენაში შესულია ვითარცა "ბედი", რომელიც არის ზოგადი ცნება, ცუდისა და კარგი მნიშვნელობითაც. ახალ სპარსულ ენაზე არის სიტყვა — "ბედ", "ცუდის" მნიშვნელობით. ¹⁹¹. გვერდი 80.

ქართული ცნება "ბედი" ახალი სპარსულიდანაა ნასესხები, ისე ვით "ჩარხი", ცის ბორბალის მნიშვნელობით. და ქართულ შეგნებას ბედი გაეგებოდა სწორედ ქრისტიანული თვალსაზრისით. ღმერთია ყოვლისა შემქმნელი და ყოვლისა მპყრობელი; იგი განაგებს მსოფლიოს თავისი ცნობითა და სიბრძნით; მისი გამგებლობა, განგება არის ერთად ერთი და მხოლოდ კანონი მსოფლიოსათვის და ბედიც მას ემორჩილება. ანუ როგორც ამბობს ქრისტიანი თეოლოგოსი ანვანდერ — ქრისტიან მამებს ბედი წარმოადგინათ განგების სახით. ბედის იდეა ერთი მხრივ ეხება კანონს, აუცილებლობას; მეორე მხრივ — კეთილ ყოფას, შემთხვევას და ამასთანავე წინასწარ განჩინებას (პრადესტინაცია). ბედი არის ბრმა და ბრძენი, დაუზოგველი და კეთილი, მაიძულებელი და მერყევი, თავისუფლებისათვის ასპარეზის მიმცემი, პირადული და უპირადო, ღვთიური და დემონიური. ¹⁹⁸.

* *
*

ბედის იდეის მიმოხილვამ გვაჩვენა, რომ ბედის რწმენა საერთაშორისო მოვლენაა, და ცხადია, არც ქართული და არც ვეფხისტყაოსნური წარმოდგენა ბედის შესახებ აქედან გამორიცხული არაა.

როგორც ვნახეთ, ბედის იდეამ სამი ისტორიული საფეხური განვლო: 1. ბედი ვით განუსაზღვრელი, ბატონი ძალა, რომელი ყველაფერს ფლობს და იმორჩილებს; 2. ბედი ვით წესრიგი და კანონი ბუნებისა, მსოფლიო კანონთა კრებული და ძალა; ვით გონება და განგება და 3. ბედი ვით განგება, განგებაში შესული, და ამგვარად, თეოლოგიური. ¹⁹²; გვ. 373.

კარი მეორე

ბედის საკითხი ვტნში

თავი 1. რაცა ვის რა ბედმან მისცეს

ვეფხისტყაოსანის მსოფლმხედველობა იმ კულტურულ არეში იმყოფება, რომელიც საერთაშორისო იყო და ბედის არსებობასა და მის დიდ მნიშვნელობას აღიარებდა. ვტნის ყველა გმირი და მათთან ერთად თვით ამ პოემის დამწერი ბედსა სცნობს და მას კაცის ცხოვრებაში ადგილს უთმობს. ამ შეხედულებაზე ამ უძვირფასეს რომანში თავიდანვე იმ დებულებას ვეცნობით, რომელიც შემდეგ ყველა გმირის მიერ არის აღიარებული. ვტნის შესავალშივე გამოცხადებულია —

რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერეს და მას უბნობდეს:

მუშა მიწყვიტ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს;
კვლა მიჯნურსა მიჯნურობა უყვარდეს და გამოსცნობდეს,
არცა ვისგან დაიწყუნოს, არცა სხვასა უწყუნობდეს (11).

ბედმა ვის რა მისცა, მით უნდა იყოს დაჯერებული და მასზე საუბრობდეს; მუშა ყოველთვის (მიწყვიტ) უნდა მუშაობდეს, ხოლო მეომარი კი ყოველთვის მხნე, გულოვანი უნდა იყოს; მიჯნურს (შეყვარებულს) მუდამ უნდა უყვარდეს მიჯნურობა და მას სცნობდეს, აღიარებდეს (გამოსცნობდეს); ამ თავისი საქციელით (ისე უმწიკვლო უნდა იყოს იგი), არავის არ უნდა იწყუნებდეს, და სხვებიც ისეთი უნდა იყონ, რომ იგი მათ ვერაფერს უწყუნებდესო.

პირველი შთაბეჭდილებით, აქ თითქო ისეთი საზოგადოებრივი, სოციალური წყობაა დადგენილი, რომელიც ერთჯერვე დამყარებული მდგომარეობის შეცვლას ვერ ითმენს; თითქო ბედისაგან ერთხელ დაწესებული სოციალური ურთიერთობის რიგი გაშემშებულია; თითქო აქ კასტური წყობაა, სადაც მუშა მარად ჟამს უნდა მუშა იყოს; მეომარი — მუდამ მეომარი; მიჯნური — ყოველთვის მიჯნური! მაგრამ ასე ჩანს მხოლოდ პირველი შეხედვით და ზერელე შეხედვით.

აქ მოტანილი შაირით გამოთქმული შეხედულებით გამოხატულია პატრონყმური, ფეოდალური საზოგადოება, რომლის დამახასიათებელი არიან: მუშა, მეომარი და მიჯნური; ფეოდალური წესწყობილების ეს წესი უცვლელი არ ყოფილა არც საქართველოში და არც ევროპაში. ქართული და ევროპული ფეოდალიზმი, პატრონყმობა კასტურ, ანუ უცვლელ წესწყობილებას არ იცნობს, იგი მხოლოდ ინდოეთში იყო გაბატონებული.

გერმანიის ერთ ერთი მონასტერის წინამძღვარ მონაზონს ჰილდეგარდ ფონ ბინგენს († 1179 წ.) როდესაც შეეკითხნენ: თქვენს მონასტერში რატომ მართო უმაღლეს ფენათა და კეთილშობილ დედაკაცთ ღებულობთ, მაშინ როცა ქრისტემ აირჩია მეზადურნი, უქონელნი და ღატაკნიო, მან უპასუხა: ”ღმერთი ყურადიღებს თვითეულ კაცს (და მზრუნველობს მასზე), რათა მდაბიური წოდების (შტანდ) კაცი მაღალი წოდების კაცზე არ ამალდეს, როგორც ერთ დროს სატანამა და პირველმა კაცმა ჩაიდინეს, რომელთაც მოისურვეს თავის წოდებაზე მაღლა აწეულიყვნენ. და ვინ მოათავსა ყველა თავისი ოთხფეხი ერთ ბოსელში: ხარები, ვირები, ცხვარნი, თხანი? ყველანი ერთი მეორეში ცუდად აირეოდნენ! სწორედ ამიტომ ყურად უნდ იღონ, რათა მთელი ხალხი ერთ ჯოგად არ შეიყაროს... თუ არა, იქმნებოდა ზნის გაველურება, რადგან ისინი ერთი მეორესადმი მტრობით დაიგლიჯებოდენ, როცა უმაღლეს წოდებას მდაბიურამდე ჩამოაქვეითებ და მდაბიორს უმაღლესამდე აიყვან. ღმერთი განყოფს თავის ხალხს ქვეყანაზე სხვა და სხვა წოდებად, ისე ვითარცა ცაში ანგელოზნი მოწყობილნი არიან სხვა და სხვა დასებად, უბრალო ანგელოზებად და მთავარანგელოზებად! ქერუბიმებად და სერაფიმებად. და ღმერთს უყვარს ყველანი ისინი”-ო.

ამგვარად, ეკლესია (და სახელმწიფოც) გამართავდა წოდებაა წარმომშობასა და არსებობას, — მას ღმრთის ნებით დაწესებულად აღიარებდა. გლეხოზა, რაინდოზა, მოქალაქეოზა და სამღვდელოეზა, — ამბობს იოჰანნეს ბუეჰლერ, — ადამიანურ ერთობილებაში ღმრთის მიერ იყო დადგენილი და თითოულს მათგანს სავსებით

გარკვეული დანიშნულება ჰქონდა მიცემული, და ვინც რომელიმე წოდებაში იბადებოდა, მას თავისი პირადი მდგომარეობა და მოვალეობითი კრკალი შემდეგისათვის ღმრთის მიერ დავალებული ჰქონდა, თუმცა ამ ჩარჩოთა შორის, რასაკვირველია, ცდა თავისი წოდებიდან გამოსვლისა და უმაღლეს წოდებაში ასვლისათვის დაშვებული იყო; და როდესაც ვინმე ამას მიაღწევდა, ამაშიც ღმრთის ხელსა ხედავდნენ, და ცხადია, ზოგიერთ შემთხვევაში ეშმაკის ხელსაცო.

დღევანდელი თვალსაზრისით ცოტა გასაკვირველი ეს შეხედულება, იმაზე იყო დაფუძნებული, რომ წესრიგი სახელმწიფოში და ეკლესიაში იყო თვითმყოფი და არსებითად უცვალელებელი; ამას გარდა, თვითეული კაცის სული პირდაპირ თვით ღმრთისაგან არს შექმნილი; თვითეულისათვის ღმერთი არჩევს დედმამას, რომელიც მისი მომავალი დანიშნულებისათვის შესაფერნი იქმნებიან; თუ რომელიმე დაიბადა როგორც ძე ან ასული მიწისმოქმედისა (გლეხისა), ან ძლიერი თავადისა = ფუერსტისა, ამით უკვე აშკარა იყო, თუ რა ადგილი უნდა დაიჭიროს მან ამ ქვეყანაში, ღმრთის მნებლობითო. ¹⁹⁹.

რასაკვირველია, სახელმწიფო კანონმდებლობა კონსერვატორული იყო, და სახელმწიფოს ევალეობადა წესრიგი დაეცვა და თვითეული კაცისათვის "მისი" უფლება უზრუნველყო, რომელიც მას ღვთიური წესრიგის საფუძველზე ერგებოდა. ¹⁹⁹. გვ. 164. ამგვარად, მემკვიდრეობითი იყო არა მარტო მამული და ქონება-სიმდიდრე, არამედ ხელობაც, პროფესიაც და სოციალური მდგომარეობაც, წოდებაც. იქვე, ¹⁹⁹. გვ. 173.

ცნობილია, საქართველოში არავითარი კასტური წესწყობილება, ანუ შეუცვლელი წოდებრივი წესი არა ყოფილა. არც ევროპაში არსებობდა კასტა, — ესეც ცნობილია, მაგრამ მაინც მსურს აქ მოვიტანო კიდევ ერთი ამონაწერი ევროპის კულტურის ამავე ისტორიკოსის იოჰანნეს ბუეჰლერის თხუზულებიდან — კულტურა შუა საუკუნეთა — არ იყო შეუძლებელი უბრალო, მდაბიორი ხალხის შვილისათვის უმაღლეს წრეში ასვლა. მაგალითად, მესანთლის შვილი გახდა ფუერსტ = თავადი გერმანული ნაციის წმიდა რომაული სახელმწიფოსი; სოფლის მასწავლებლის შვილი სახელმწიფოს (რაიჰის) გრაფი შეიქმნა და სხვ. "რიტტერშპიგელ"-ის (რაინდთა სარკე) დამწერი იოჰანნეს როტჰე ამბობდა, ასეთი ამაღლება იოლი საქმე იყო, თუმცა ამ მოვლენას თვითონ მკვლევარი ბუეჰლერ გადაჭარბებულად სთვლის. მაინც მას შემდეგ, რაც სწავლულობამ და ვაჭრობამ მნიშვნელობა მოიპოვა, ძირა ფენებიდან მაღალ ფენებში შესვლა უვე ჩვეულებრივი იყო: სასახლეში ხშირად იყვნენ: ხელოსანნი, ხელოვანნი და ვაჭარნი, და სხვა. ¹⁹⁹.

* *
*

თავის ხელობაში დარჩენის შესახები შეხედულება, ნუ გაგიკვირდება, თვითონ ქრისტიანულ საღმრთო წერილზეა დამყარებული.

პავლე მოციქული თავის პირველ ეპისტოლეში კორინთელთადმი სწერს — ღმერთმა ვის რა მისცა წილად, ვინ რისათვის მოუწოდა, ანუ: კაცად კაცადი ვითარცა იჩინა უფალმან, ეგრეცა ვიდოდენ-ო. (7,17). თვითეული დარჩეს თავის ხელობაში,

რისთვისაც იგი მოწოდებულია (7,20); თვითეული, საყვარელნო ძმანო, რომელშიც იგი მოწოდებულია, დარჩეს მასში ღმერთთან (7,24), ანუ: კაცად კაცადი ჩინებითა მით, რომლითაც იჩინა, მას ზედა ეგენ (1,20) და კაცად კაცადი, რომლითა იჩინა, ძმანო, მას ზედა ეგენ ღმრთისა მიერ (1,24).

ასეთივე შეხედულება აქვს გამოთქმული დიდ სპარსელ მწერალს აბულ კასიმ ფირდაუსს თავის შესანიშნავ შაჰ-ნამე-ში. ფერიდუნს გამარჯვებაში მთელი ხალხი დაეხმარა; იგი სიტყვით მიმართავს ლაშქარსა და ხელოსნებს — არა ხამს ლაშქარი და ხელოსნები ეძებდნენ ერთსა და იმავე წარმატებას. ერთმა უნდა იმუშაოს, მეორემ უნდა იომოს. თვითეულს აქვს თავისი მოვალეობა საკუთარი; თუ ერთი მოიწადინებს მეორეს შრომა გასწიოს, მაშინ ქვეყანა არევიდარევიტ აივსებაო. ²⁰⁰.

* *
*

ამბობენ, ვტნის აღნიშნული შაირი ბედის შესახებ ყალბიაო. შეიძლება იგი ყალბი იყოს, ოღონდ ეს შაირი სავსებით ეთანხმება ვტნის საერთო აზროვნებას ბედის შესახებ და მის აზროვნებაში არეულობა არ შეაქვს.

ამ შაირში გამოთქმულ აზრს მაჰმადიანურ დებულებად აცხადებენ და მას ფატალიზმის წრეში აქცევდნენ. მაგრამ, ცხადია, ეს შეცდომაა. აქ მაჰმადიანური შეხედულება იმდენადაა, რამდენადაც იგი ქრისტიანულია. ბედის, განგების საკითხში როგორც გავიგეთ, ყველა რელიგია, და მათ შორის, მაჰმადიანობა და ქრისტიანობა ერთსა და იმავე სწავლას მისდევს, რომელიც თავისი ფესვებით ასტროლოგიურ თეოლოგიაში იმყოფება. ამიტომ იმის გამორკვევა, თუ ბედი, განგება, რომელიც ვტნში ფრიად მნიშვნელოვანია, ქრისტიანულია, თუ მაჰმადიანური, იოლი საქმე არაა.

როგორც ვიცით, მაჰმადიანური რწმენის მიხედვით, ღმერთმა თითოეულ საგანს თავისი დანიშნულება მიანიჭა, ანუ სიტყვა სიტყვით — თითოეულ საგანს მან (ღმერთმა) უკვე დანიშნულება დაუწესა (ყურანი, სურაჰ 65,3). ქრისტიანული რწმენით, იგივე შეხედულება არსებობდა მაჰმადიანობაზე გაცილებით ადრე. ²⁰¹. განსხვავება ბედის შესახებ წარმოდგენაზე მხოლოდ ხარისხშია: თუ რომელ სარწმუნოებას ბედი და განგება რა საფეხურზე აჰყავს, რომელი ერი მას როგორ ღებულობს და თავისი ხედვის საფუძველში მას რა ადგილს მიუჩენს. სწორედ ამ საკითხს გამოგვარკვევინებს ვტნის შაირთა გარჩევა.

ყოველ შემთხვევაში, შაირი 11: — რაცა ბედმან ვის რა მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს, — არ არის ფატალისტური, და არ არის არც კასტური; ეს აზრი თავსდება ქრისტიანულ მსოფლმხედველობაში და მით არის გამოსახული პატრონყმური, ფეოდალური საზოგადოების რწმენა, იმ საზოგადოებისა, რომელიც ვტნშია დახატული, და რაც ქართულ ფეოდალიზმს აშკარად გვიჩვენებს.

ვტნის დამწერი თვითონ გზა და გზა ეხება ბედის საკითხს და ამბობს —

ვაზირი გაწბილებული მივა ბედიტა შავიტა (763).

აქ საქმე გვაქვს შავ ბედთან, ანუ უბედურებასთან; მერმე კი კარგ ბედსა ვხვდებით —

კვლა უძღვნა ძღვენი ორთავე, მსგავსი მათისა ბედისა (1558);

თითქმის ამით ამოიწურება ვტნის ავტორის მიერ ბედის აღნიშვნა, და ეს ფრიად ცოტად მოგვეჩვენებოდა, რომ მისი გმირები გამუდმებით ბედზე არ ლაპარაკობდნენ ხოლმე.

თავი 2. თინათინი და ბედი

ვტნის პირთაგან ბედის შესახებ პირველად თინათინი ლაპარაკობს, როდესაც იგი თავის მამას, როსტევეანს ეუბნება —

ჰე მეფეო! რას ემდურვი ანუ ღმერთსა, ანუ ბედსა (113).

აქ მოჩანს, თითქო ღმერთი და ბედი ერთი მეორესაგან განცალკევებული იყო და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი. ასეთ მოვლენას კიდევ შევხვდებით, ოღონდ ეს დებულება ღმრთისა და ბედის შესახებ მხოლოდ ცალკე დასახელებაა, და არა განცალკევება მათი, რადგან ყველამ იცის ვტნში, რომ ბედი ღმრთის განკარგულებაშია და მისგანაა დამოკიდებული.

როდესაც თინათინი ფიქრობს, ავთანდილი ისევ ტარიელთან უნდა წავიდესო, ამის გამო ამბობს —

ჩემი თქვი, რა ვქმნა ბედ-ქმნილმან, მზე მიმეფაროს, მი, ცისა (706).

ბედ-ქმნილი არის უბედური. თინათინი უბედურია, რადგან მისი მზე ავთანდილი უნდა წავიდეს. მისი უბედობა მხოლოდ ესაა; სხვა მხრივ მას არაფერი აწუხებს.

თავი 3. ავთანდილი და ბედი

ავთანდილი პირველად ბედის შესახებ სიცრუესთან დაკავშირებით ლაპარაკობს —

რათგან თავია სიცრუე ყოვლისა უბედობისა (790).

ავთანდილი სიცრუეს უბედობის, ანუ უბედურების სათავედ სთვლის და ამიტომ მას გმობს. პირადად რაც მას შეეხება, იგი მის ცვალებადობას განიცდის და სატრფოსაგან დაშორებული, იგი მზეს, ვითარცა ბედის მნათობს ეხვეწება —

ბედსა ნუ მიქცევ, მიაჯე, შეყრამდის ჩემად და მისად (836).

შემივედრე, ისმინე ჩემი თხოვნა (აჯა): ბედს ნუ შემიცვლი (ნუ მიქცევ), ნუ ამაცილებ და შემყარე, შეახვედრე ჩემი თავი მას, თინათინსაო.

მზე აქ არის ბედის გამგე, ვაჟთათვის სიყვარულში შემწე. რასაკვირველია, ეს არის ატროლოგიური დეზადი.

ავთანდილი თავის თავად არც ისე უბედური უნდა იყოს, რადგან იგი ყველაფერით — ხელისუფლება, დიდება, სიმდიდრე, სიყვარული! — კმაყოფილია, მაგრამ მისი უბედობა გამოიხატება თინათინთან დაშორებით, ან მისი მეგობარის ტარიელის მდგომარეობით. ამის მიუხედავად, ავთანდილი მაინც წუწუნებს და ბედს ემდურება —

მაგრა ავის ბედისაგან ჩემი რამცა გამიკვირდა (846).

ავთანდილი ბედისაგან ავს მოელის და ეს მისთვის გასაკვირველი არაა, რადგან მან იცის, ბედი ცვალებადია და მისგან ავია მოსალოდნელი. მას როცა ტარიელი ქვავს არ დახვდა, უთქვამს —

ესე ყველაი ასრე მჭირს, დაო, ბედითა მისითა (858),

ანუ: ტარიელის შავი ბედი მეც უბედურებას მაყენებსო. ამიტომ ტარიელის საძებრად წასული, იგი ამბობს —

თვარა ბედი აზომ თურე მიკვეთს, ღმერთსა რაღა ვკადრო (859),

რადგან ბედს ჩემთვის ასე გარდაუწყვეტია (ან ვპოვო ტარიელი, ან მისი ძებნით ჩემი სიკვდილი დავაჩქარო), ღმერთს რაღა უნდა შევბედო, მას რა უნდა მოვახსენოო. აქ ღმერთი და ბედი დაშორებულად და განცალკევებულად მოჩანს, ოღონდ ეს დაშორება მხოლოდ ღმერთისა და ბედის ცალკეულად დასახელებით აიხსნება, თორემ ავთანდილმა კარგად იცის, ბედი ღმერთზეა დამოკიდებული.

ტარიელის ძებნის დროს ავთანდილი იქვე ამბობს და ბედს უსაყვედურებს —

”რად მიმეცო ამა ჭირსა?”, ბედსა ამას უზრახვიდა (860).

და შემდეგ განაგრძობს —

იტყვის: ”ღმერთო, რა შეგცოდე შენ, უფალსა, არსთა მხედსა, რად გამყარე მოყვარეთა, რად შემასწარ ამა ბედსა? (861).

აქ უკვე გარკვეულადაა ნათქვამი: ბედს ღმერთი იძლევა და ამიტომ საყვედურებს ავთანდილი: რად შემასწარ ამ ცუდ ბედსაო. ამ აზრს იგი ცოტა ხანის შემდეგ ისევ იმეორებს —

იტყვის: ”ღმერთო, რა შეგცოდე, ეგზომ დიდი რა გაწყინე, რად შემასწარ ამა ბედსა, რა სასჯელი მომივლინე!?” (865).

მაშასადამე, აქაც ავთანდილისათვის ბედი არის ღმერთზე დამოკიდებული.

მაგრამ როგორია თვით ავთანდილის ურთიერთობა ბედთან? ემორჩილება იგი თავის საკუთარ ვარსკვლავს, თავის ბედს?

განგებისა და ბედის შესახები მოძღვრების მთელი სიბრძნის დასკვნას ავთანდილ გვაცნობებს, როდესაც იგი ტარიელს აჯერებს —

არას გარგებს შეჭირვება, რომ სჭმუნვიდე, რა გერგების!
არ თუ იცი, უგანგებოდ არა კაცი არ მოკვდების?
მზისა შუქთა მომლოდინე ვარდი სამ დღეს არ დაჭნების;
ბედი, ცდა და გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მოცაგხვდების (903).

ავთანდილის შეხედულებით, ღმერთი, განგება ყოველივეს განაგებს და მის გარეშე არაფერი არ ხდება, თვით სიკვდილიც კი! განგება და ღმერთი ერთია. ბედი დამოუკიდებელი არაა; მას მარტოდ არ შეუძლია საქმის გადაწყვეტა. მართალია, ბედი კაცის მომავალს განსაზღვრავს, მის სიცოცხლესა და ცხოვრებას, მის გამარჯვებასა და დამარცხებას განაგებს; მაგრამ ამ ბედს არ უნდა დაემორჩილო, მაინც საჭიროა ცდა, ანუ გმირობა, თავისი ნების გამოჩენა და მოქმედება, ბრძოლა მიზნის მისაღწევად, გამარჯვების მოსაპოვებლად. (ცნება ”ცდა” ნიშნავს: გმირობა, თავის გამოჩენა ომში, როგორც ეს ვაჟა-ფშაველასაც აქვს ნახმარი: ”თქვენთან ძაღლურად სიცოცხლეს, სიკვდილი მიჯობს ცდაშია”. ვაჟას ცნობილი ლექსიდან: ”დამისხი დამალევინი”).

მაშასადამე, ავთანდილის შეხედულებით, ბედი არ არის ისეთი ძალა, რომლის გადალახვა არ შეიძლებოდეს; ბედი არსებობს, იგი განაგებს, მაგრამ საჭიროა ცდა-გმირობა, ბრძოლაც. ოღონდ ყოველივე ეს: თვით ბედი, თვით ცდა, გამარჯვება თუ დამარცხება არსებითად ღმერთზეა დამოკიდებული, და თუ ღმერთს სურს, იგი მოცაგხვდების, მოგხვდება, გერგებაო.

ამნაირად, პირველადი არის ღმერთი; იგია სათავე ყოველივესი; იგია ბედის გადამწყვეტილიც, მის ხელთაა ბედიც და უბედობაც; გამარჯვება და დამარცხებაც; სიცოცხლე და სიკვდილიც. ღმერთია ყველაფერი.

თავი 4. ფრიდონი და ბედი

ნურადინ-ფრიდონიც იმავე შეხედულებისაა ბედზე, როგორც ავთანდილი. ტარიელმა ავთანდილს უამბო, როცა ფრიდონმა ჩემი ვინაობა გაიგო —

მან მითხრა: ”ბედი ღმრთისაგან მიჯობს ღა ამას რომელი?
მოსრულხარ ჩემად წყალობად მეფე ინდოეთს მჯდომელი (636).

ამაზე უკეთეს ბედს ღმერთი რას მომანიჭებდა: შენ, ინდოეთში მეფედ მჯდომელი ჩემთან მოსულხარო! აქაც ბედი დამოკიდებული არის ღმერთზე, ბედს ღმერთი ძლევს.

თავი 5. მელიქ-სურხავი და ბედი

მელიქ-სურხავიც ლაპარაკობს ბედის შესახებ, როდესაც იგი ნესტანის გაქცევას ეხება და მას ახასიათებს —

ვით ზღაპარი, ასრე ესმის უბედობა, თუნდა ბედი! (1184).

ნესტანი ისეთი ხასიათისაა, რომ მას უბედობა და ბედი, ორივე ერთნაირად მიაჩნია, ორივეზე მაღლა სდგას, ორივეს გულგრილად და ცივად ხვდება, იგი ბრძენი არისო.

თავი 6. ტარიელი და ბედი

ბედი, ტარიელის რწმენით, ღმერთზეა დამოკიდებული —

ღმერთსა ჩემი უბედობა უნდა, მემცა რას ვეცადე (277).

რამდენიც მე არ უნდა ვეცადო, ვერფერს მივახწევ, რადგან ღმერთს ჩემი უბედობა სურსო! ეს არის დიდი სასოწარკვეთილი თქმა, უნუგემო და უიმედო სიტყვა, თორემ ტარიელი ბედის შეცვლას მაინც მოელოს. ტარიელს თავისი ბედი, ცხადია, ავად და ცუდად მიაჩნია —

თავსა ვსტიროდი, ვიტყოდი ბედითა მეტად ავითა (404),

და ეს ავი ბედი მაშინ იმით გამოიხატებოდა, ნახავდა იგი ნესტანს თუ არა, ხატაეთზე გალაშქრების წინ! ამიტომ იყო იგი დაღრეჯილ და მტირალი —
ბედი ჩემი უბედური, — ვთქვი, თუ —, ჯერთცა ვერ გამეფდა! (405),

ანუ: ჩემი უბედური ბედი ისევ არის ცუდი და ავი, ჯერ ის ვერ გამეფდა, კარგ ბედად ვერ მექცაო. და აქ იგი პოეტურ შედარებას მიმართავს —

ხელმან ვარდი რად იხელთა, რათგან ასრე ვერ მოჰკრეფდა! (405),

ანუ: ხელმან, გიჟმა ვარდი რატომ იგდო ხელთ, თუ იგი მას ასრე ვერ მოკრეფდა, ესე იგი, ნესტანი ჩემი არ იქმნებოდაო.

ტარიელი ავთანდილს მოუთხრობს, თუ როგორ ეძება მან ნესტანი ზღვაზე, სადაც მას ბევრი მხლებელი ამოუწყდა, ხოლო შემდეგ ნაპირს გამოვიდა და აქაც —

ყველაკაი დამეფანტა, დაჰრჩომოდა რაცა ჭირსა, —

მაგრამო, — ამბობს იგი —

კაცსა ღმერთი არ გასწირავს, ასრე მისგან განაწირსა! (589).

ამ სიტყვით "მისგან" ნაგულისხმევია ბედი-ჭირი; და ამით ღმერთი გამოცხადებულია მფარველად.

როცა ტარიელს წარმატება და გამარჯვება აქვს, მაშინ იგი ბედნიერია —

აწ გავხედით ბედისაგან ცეცხლთა შრეტით, ჭირთა ლხენით (1357),

ანუ: ტარიელი და ავთანდილი ამბობენ, ნესტანის აღმოჩენის შემდეგ, აწი ცეცხლი დაგვეშრიტა, წუხილი და ტანჯვა მოგვესპო, და ჭირი ლხინად შეგვეცვალა ჩვენი ბედისაგანო.

შემდეგ, როცა მღევთა კიდობანში მათ სამი აბჯარი აღმოაჩინეს —

თქვეს: "ესე ნიშნად გვეყოფის, ვართო კარგითა ბედითა;

ღმერთმან მოგვხედნა თვალითა, ზეგარდმო მონახედითა" (1371).

ღმერთმა ზემოდან წყალობის თვალთ გადმოგვხედა; მან ჩვენ კარგი ბედი მოგვანიჭა; ამ აბჯარის პოვნა სწორედ კარგი ბედის ნიშანიაო. "ნიშანი" აქ არის ასტროლოგიური ცნება.

როდესაც ტარიელი ინდოეთს ბრუნდება და გაიგებს, ინდოეთს ხატაელნი შეესივნენო, და ლაშქარს დაინახავს, თავისიანებს ეუბნება —

ადრე მოვიცლი იმათგან, ღმერთი და ჩემი ბედია! (1598),

ანუ: ხატაელებს ადრე მოვუღებ ბოლოს, ესაა ჩემი ღმრთისა და ბედის გარდაწყვეტილებაო.

ამგვარად, როგორც ვნახეთ, ტარიელისათვის ბედი არის ღმერთზე დამოკიდებული და ბედის შეცვლა ღმრთის ნებაა, იგი ღმრთის განგებაშია.

თავი 7. ნესტანი და ბედი

როგორღა ესმის ნესტანს ბედი? პირველად ნესტანი ლაპარაკობს ბედის შესახებ, როდესაც იგი ტარიელს შეუთვლის —

მოდო, სჯობს მანდა ტირილსა, საქმესა ბედით ვებულსა (406).

მოდო აქ ჩემთან, ესე სჯობს მანდა ტირილსა; ესე სჯობს საქმესა, რომლითაც ბედმა ვებულად, კაემანის მქონედ, მტირალად გაგხადაო.

ფატმანის შეკითხვაზე ნესტანი მას უპასუხებს —

ღარიბი ვინმე, შემსწრობი ვარ უბედოსა ბედისა (1141),

ანუ: ვარ უცხო, უთვისტომო მარტოდ მყოფი (ღარიბი) ვინმე და უბედო ბედისა, უბედურიო. ამ შეხედულებას იგი კვლავ იმეორებს —

ბედი უბედო ჩემზედა მიწყვი ავისა მქნელია (175).

და ნესტანი —

ქალი პირ-მზე თავსა ეტყვის: ”რა ბედი მიც ჩემი მკლველი!

სადაური სად მოვსრულვარ, ვის მივჰხვდები, ვისთვის ხელი,

რა ვქმნა, რა ვყო, რა მერგების, სიცოცხლე მჭირს მეტად ძნელი (1190),

ანუ: ქალი პირ-მზე ნესტანი თავის თავს ეუბნება —

როგორი მკვლეელია ჩემი ბედი (მიცს = მიძევს, მაქვს); სადაური სად მოვსრულვარ, ვის უნდა მივხვდე, ვერგო (სურხავის ვაჟს) მე, რომელი ვისთვის, ესე იგი ტარიელისათვის ვარ ხელი, გაგიჟებულიო. და აქ ნესტანს წინ უდგება საკითხი ბედის გადალახვის, ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვით რომ ვთქვა, ბედის საზღვარზე გადასვლისა, ბედთან შებრძოლებისა. ნესტანი ბედს არ ემორჩილება, თვითონ მოქმედებს იმ იმედით, რომ ღმერთი მას მტერს აარიდებს, ააცილებს —

ვეცადო რას, ნუთუ ღმერთმან მომარიდოს ჩემსა მტერსა (1191)

და აქედან დაასკვნის —

სიკვდილამდის ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა?
რა მისჭირდეს, მაშინ უნდა გონებანი გონიერსა (1191),

ანუ: როდესაც გაჭირვებაში ხარ, მაშინ უნდა გონიერმა გონებას მიმართოს და ბედს არ დაემორჩილოსო. აქ ვხედავთ მოქმედების გადაწყვეტილებას, გონებით მოქმედებას, ბრძოლის სურვილს და არა ბრმად ბედზე დამორჩილებას: და მართლაც, ნესტანი გონიერებას გამოიჩენს; იგი თავის ნებას უპირატესობას აძლევს და გადასწყვეტს, მეფის სასახლიდან გაიპაროს, რასაც კიდევ ასრულებს. მაგრამ იგი ახლა ქაჯეთის ციხეში მოხვდება! გაპარვამ მას ვერ უშველა, თუმცა ამით იგი ბედს შეებრძოლა!

ნესტანი ციხიდან ტარიელს თავისი რიდის ნაკვეთს უგზავნის, რომელიც შავია და თან სწერს: ეს შავი რიდე —

... ჩემთვის იგი ტურფა სანახავნია...

თუმცა თუ ფერად ბედისა ჩემისა მსგავსად შავნია (1291).

ნესტანის შავი რიდე მისი ბედის განმამარტებელია, ვინაიდან ნესტანის ბედიც შავია, ანუ უბედური!

შემდეგ, ნესტანი სწერს ტარიელს და სჩივის თავისი ბედის შესახებ —

არ დასჯერდა ბედი ჩემი მათ, პატიჟთა მრავალ გვართა (1299),

ანუ: ჩემი ბედი არ დასჯერდა მათ პატიჟთა, შეწუხებათა მრავალთაო, და ახლა ქაჯეთის ციხეში ვარ გამომწყვდეულიო, და ხედავ? —

ბედმან გვიყო ყველაკაი, ჩემო, რაცა დაგვემართა! (1299),

მაგრამო, — განაგრძობს ნესტანი —

რაცა ვიჩივლე ბედისა ჩემისა, კმა საჩივარად (1308).

და თუ ჩვენ ერთმანეთს ველარ შევხვდით, ბედმა ჩვენ ეს გვარგუნა, მაშინ —

ან თავსა კლდესა ჩავიქცევ, ანუ მოვიკლავ დანითა (1302).

ასეთია ნესტანის გარდაწყვეტილება: იგი ბედს არ ემორჩილება და უბედობისაგან თავის დასაღწევად სიკვდილსაც კი არ გაურბის, თვითმკვლელობას განიზრახავს, რაც, რასაკვირველია, აგრეთვე ბედის საქმე იქმნებოდა!

ამგვარად, ნესტანისათვისაც ბედი არსებობს; ეს ბედი ღმერთზეა დამოკიდებული; მაგრამ ნესტანი ბედს ებრძვის; და თუ მასზე ვერ გაიმარჯვებს, მას თვითმკვლელობით გასცილდება. ასეთია ნესტანის მტკიცე ნებისყოფა და მასში გონების გაბატონება.

თავი 8. ფატმანი და ბედი

ფატმანიც არაა გამონაკლისი ვტნის გმირთა შორის და მასაც ბედი რწამს, როცა იგი ნესტანს ეუბნება —

ვკკადრე: ”მზეო, ბედმან შავმან ვით მიმუხთლა, ჰხედავ, სრულად (1174)

და შემდეგ, როდესაც ფატმანი ნესტანს ციხეში წერილსა სწერს, ამ თავის წერილს იგი დაჰხარის —

ბედად შენ მჯობხარ, უსტარო, გნახვენ დამწველის თვალები (1275),

ანუ: შენ, წერილო, უსტარო უკეთესი ბედი გავქს, ვიდრე მე; შენ გნახვენ ნესტანის, დამწველის თვალნი, რომელნიც შენ წაგიკითხავენო.

თავი 9. ასმათი და ბედი

ასმათსაც რწამს ბედი, როდესაც იგი ტარიელის შესახებ ავთანდილს ელაპარაკება —

ამას მით ვაზრობ, მინახავს მე უბუდურსა შობილსა (849),

ანუ: ამას იმიტომ ვფიქრობ, რომ მე, უბედურ ვარსკვლავზე დაბადებულს, მინახავს ტარიელის მდგომარეობაო.

თავი 10. რამაზ და ბედი

ინდოეთში შექრილმა რამაზმა ოდეს გაიგო ტარიელი მობრუნდაო, შეშინდა, მასთან მოლაპარაკება არჩია და მან ტარიელს —

მოახსენა: ”შემიბრალე, მისსა ძალსა, ვინცა გხვეწა!
ნუ დამარჩენ, ნუ მაცოცხლებ და წამიღონ მკვდარი მე, წა!
გული თქვენი სასაკუთრო ბედმან ასრე დამილეწა (1609).

ანუ: შემიბრალე იმ ძალის სახელით, ღმრთის გულისათის, რომელმა შენ ასე გხვეწა, ასე დაგხვეწა, ასეთი შვენიერი ტანი მოგცა; მომკლან და წამიღონ მე მკვდარი; ჩემი გული, რომელიც შენი სასაკუთრო, თქვენი ერთგული უნდა ყოფილიყო, ბედმა ასე დამილეწა, შემაცდინა, ორგული გამხადა, ინდოეთს შევესიეო, მაგრამ ამასთანავე თავსაც იმართლებს —

დაიკარგენით, წახვედით თქვენ, წელნი მეთენია (1610).

რამაზს ბედიც რწამს და მისი ცვალებადობაც.

თავი 11. როშაქ და ბედი

როშაქ, ქაჯეთის ხელმწიფის ერთი სარდალთაგანი, ოდეს იგი ნესტანს დაიჭერს და მეფესთან მის მიგვრას გარდასწყვეტს, ამბობს —

ბედი მეფისა ჩვენიას არსთაგან სანატრელია (1232), ანუ ყველა არსება უნდა დანატრიდეს ჩვენი ხელმწიფის ბედს, ასეთ შვენებას მას მივუგვრითო!

თავი 12. ორისავ იყოს მხლებელი

და დაბოლოს სიტყვა ბედი მოიხსენება ვტნის დასასრულში —

ესე ასეთი სოფელი, არვისგან მისანდობელი,
წამია კაცთა თვალისა და წამწამისა მსწრობელი!
რასა ვინ ეძებთ, რას აქნევთ? ბედია მაყივნებელი,
ვის არ შეუცვლის, კარგია, ორისავ იყოს მხლებელი (1668).

ეს ქვეყანა ამგვარია, მას ვერავინ მიენდობა; ეს სოფელი, ეს ქვეყანა კაცის თვალის წამია და კიდევ მეტი, წამწამსაც კი უსწრებს მისი დრო, ისე მცირეა იგი. რას ვინ ეძებთ? ბედი არის მაყივნებელი, ანუ გამაწბილებელი, შემარცხვენელი. ესე იგი: შენ რაც გინდა აკეთო, ბედის გარეშე ვერაფერს მიაღწევ, და ვისაც ღმერთი ბედს, კარგ ბედს არ შეუცვლის, — ეს კარგია, და მას ეს ბედი აქაც, ამ ქვეყანაში, და იქაც, იმ ქვეყანაში, ორისავ ქვეყანაში თან გაჰყვება ეახლებაო. (დაწვრილებით ამის შესახებ

იხილეთ ჩემს "ვტნის ღმრთისმეტყველება"-ში, კარი: "საიქიო", თავი: "ორისავ იყოს მხლებელი").

დასკვნა

ვეფხისტყაოსანის შემომქმედი, მისი ყველა გმირი ბედის იდეას იზიარებს, მაგრამ არც ერთი მათგანი ამ ბედს გარდაუვალად არა სთვლის, იგი მათ შეუცვალელებლად და მარადად არ მიაჩნიათ, რადგან ყველასა რწამს, ბედის გარდამწყვეტელი ღმერთი არისო და ღმერთი კი მოწყალეა და მას შეუძლია კაცს მისი ცუდი ბედი შეუცვალოს.

ვეფხისტყაოსანის გმირთა აზრით, კაცს შეუძლია ბედს ებრძოლოს, ეცადოს, ანუ გმრობა გამოიჩინოს, იმოქმედოს, გაიმარჯვოს; ოღონდ ყველაფერი ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას ღმერთი მოისურვებს. ბედი ღმრთის ხელშია და მასზეა დამოკიდებული ბედის შეცვლა.

როგორც ვნახეთ, ვეფხისტყაოსანის ბედი არაა ფატალისტური. აქ ბედს არავინ ბრმად და უბრძოლელად არ ემორჩილება. და რომ ყველაფერი ღმრთისაგანაა დამოკიდებული, — ეს უკვე რწმენის, თეოლოგიის საკითხია.

კარი მესამე

ბედის მაჩვენებელი ვტნში

თავი 1. ჰოროსკოპი

სიტყვა "ჰოროს" ბერძნულია და ნიშნავს: დრო, ჟამი. "ჰოროსკოპი" არის დროის, ჟამის მაჩვენებელი; იგია ბედის, მომავალის ამოკითხვა ვარსკლავთა განლაგებისა და დაწყობის, მათ ურთიერთთან ყოფნა-მდგომარეობის მიხედვით, დაბადების, ან რაიმე მოვლენის წამში. ანუ სხვა გვარად —

იუდისიური ასტროლოგია, ანუ ჰოროსკოპი, ანუ შობა, ანუ დაბადება არის რუკა ცათა ბავშვის დაბადების წუთში, რომელი აჩვენებს, თუ რა ადგილი უჭირავთ ვარსკლავთ, რომლისაგან შესაძლებელია მიღებულ იქმნას დასკვნა მათი გავლენის შესახებ ბავშვის მომავალ ცხოვრებაზეო.²⁰⁰

იოანე პეტრიწონელი (მეთორმეტე საუკუნის დამდეგი) სიტყვისა "ჰოროსკოპი" ნაცვლად ხმარობს და ჰოროსკოპს უწოდებს "შობათმეტყველება", ანუ ვარსკლავებზე წინასწარმეტყველება ახლად დაბადებულის მომავალი ცხოვრების გამოსარკვევად.¹⁸¹ გვ. 144, 216.

"ჰოროსკოპის" ხსენებას სპარსულ მწერლობაში ხშირად ვხვდებით, ოღონდ ვტნში ეს სიტყვა ერთჯერაც არაა მოხსენებული, ოღონდ შეგვიძლია დავადგინოთ, რომ სამ ლექსში სწორედ ჰოროსკოპი იგულისხმება, პირველად წინასიტყვაობაში —

მო, დავსხდეთ ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობელი;
მისებრი მართ დაბადებით ვინმცა ყოფილა შობილი! (7),

ანუ: ვინ ყოფილა შობილი ისეთი დაბადებით, როგორც ტარიელიო. აქ სიტყვა "დაბადებით" ნიშნავს ჰოროსკოპს, ბედს, რომელიც ტარიელს ერგო ვარსკვლავთა მიერ. ეს "დაბადება" არის ჰოროსკოპი.

ტარიელი ასმათს ეუბნება —

ღმერთმან სხვადა ეტლსა ჩემსა სადმცა კაცი რად დაბადა (275),

ანუ: სად და რატომ უნდა დაებადებინა ღმერთს სხვა კაცი ჩემს ეტლზეო? დაბადება ეტლზე, ანუ ვარსკვლავზე თავის თავად ჰოროსკოპს გულისხმობს. აქ დიდად საინტერესოა ის აზრი, რომ ღმერთი ბადებს კაცს რომელიმე ეტლზე, ესე იგი ვარსკვლავურ ბედს თვით ღმერთი ანიჭებს კაცს.

ავთანდილს ასმათი ეუბნება, ტარიელიო —

ამას მით ვაზრობ, მინახავს მე უბედურსა შობილსა (849)

აქ სიტყვა "უბედური შობილი" არის ასტროლოგიური ცნება. ასმათი არის ცუდ ჰოროსკოპზე შობილი.

აღსანიშნავია აგრეთვე ნესტანის დაბადების შესახებ ტარიელის ნათქვამი; როდესაც დედოფალმა "შობა ქალი" ნესტანიო, მაშინ —

მზე და მთვარე განცხრებოდეს, სიხარულით ცა ნათობდა (323).

აქ შესანიშნავი ჰოროსკოპია მოცემული: სავსებით ბედნიერი დაბადების წამი, როდესაც მზე და მთვარე ნესტანის დაბადებისას განცხრებოდა, ლხინობდა და მთელი ცა სიხარულით ნათობდა!

როგორი ჰგავს ვტნის ეს ლექსი "ქართლის ცხოვრება"-ში აღწერილ ლაშა გიორგის, თამარის ვაჟის დაბადების ამბავს —

როდესაც თამარ მეფეს გიორგი შეეძინა... "იმვებდეს, იხარებდეს და იმოთხვიდეს სამოთხესა ამას საწუთოდასა... მანთობნი სცვევდეს მას და ენთებოდა სული ზენისა სფეროდსა მეტბედი ბედსა ზედა სუიანობა სუესა ზედა, მარჯვებანი უმეტესნი წარემატებოდეს"...²⁰³.

თავი 2. სუე, სვე

სიტყვათა: "ბედი", "სვე", "მერმენიო", განმარტებას გვაცნობს ს. ს. ორბელიანი. იგი ვით კარგი ქრისტიანი ბედის იდეას არ იზიარებს და თავისებურად გვიხსნის — ნუ ვინ ჰგონებთ ბედისათვის, თითქო არსებითად რაიმე იყოს, რომელსაც უმეცარნი იტყვიან და მას ღმრთის ნიჭსა (საბოძვარსა, საჩუქარსა) მიაჩემებენ. ბედი სახელი არს მეფეთა სიმაღლისა და გლახაკთა სიმკოდავისა (სიმდაბლისა) და ეგე ვითარნი-ო. კაცი ვინმე ბოროტის ღირსი რა ღმერთმან შეიწყალოს და ბოროტი კეთილად შეუცვალოს ესე ვითარი ბედად იწოდებისო.

სიტყვისა შესახებ "სვე", ს. ს. ორბელიანი ამბობს — სვე (სუე) არის მაიძულელებელი ძალი, რათა იძულებით მის მიერ აღესრულებოდეს ვარსკვლავთა ზედა შობისა მიერ-ო.

მაშასადამე, სვე ანუ სუე არის ჰოროსკოპი.

მარმენიოსის შესახებ ს. ს. ორბელიანი ამბობს — სვე (წარმართთაგან თქმული) არის ვარსკვლავთა მიერ კაცთათვის მიცემული ყოფა კეთილისა და გამარჯვებისა. მარმენიო კი სვე წილხდომით თვითეულზეო-ო, მაგრამ ჩვენ არ შევიწყნარებთო, დაურთავს იგი.

მაშასადამე, სვე ყოფილა კარგი ჰოროსკოპი, ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულის ჰოროსკოპი, ხოლო მარმენიო კი — წილი, ხვედრი, ანუ წილხდომილება.

* *
*

ჩემს შეკითხვაზე სიტყვისა "სვე" შესახებ მამა შალვა ვარდიძემ (ლიბანოში) მიპასუხა — სიტყვა "სუე" ქართულია და იგი არ მოიპოვება არც სპარსულ, არც არაბულ და არც სირიულ ენაშიო. და დასძენს — მისი მნიშვნელობა არის: "ბედნიერი", რაც შეეტყვისება ფრანგულს "წერიდო", ან რუსულს "სჩასტლივიდ". ასეთი განმარტება მართალია და მას ჩვენი მწერლობაც გვიდასტურებს —

"ქართლის ცხოვრება". ფარსმანს "მოსცა სვემან ძლევა, აოტნა ბანაკი მათი და მოწყვიდა ურიცხვი"; ²⁰³; გვ. 35. "ეყოფის (მირიანს) სვედ, რომელ მას მიხდომიან სამეფონი" (გვ. 51); იყო "სვიანი, ბედითა უმდიდრესი" (გვ. 278); თამარ მეფე "სვე დოვლათითა განმდიდრებულ" (გვ. 364); გიორგი "რუსი იგი ძნელ-ბედი და სვე უსვეო" (გვ. 434); დამარცხებული გიორგი რუსი "წარვიდა მასვე მისსა სვე უბედურსა გზასა გაემართა" (გვ. 203, გვ. 443). "მოთხრობად შეუძლებელ არს, თუ ვითარ ბედნიერებასა, სუიანობასა და დღეკეთილობასა " განიცდიდა ქვეყანა თამარის დროსო. ხოლო როდესაც მონღოლებმა ლაშა გიორგი დამარცხეს, ამის გამო ნათქვამია — "იქმნა უკუქცევა სვე, სვიანისა ბედისა სრულისა და საჩინოსა დავითიანისა დროშისა გამარჯვებულისა, რამეთუ ვინათგან მიეცა ღმერთსა დიდ სვესა და დიდ ბედისა და დავითის გამარჯვებისა; აქა ჟამამდე სვიანი იყო ბრძოლათა შინა დროშა დავითიანი და გორგასლიანი, ხოლო ამიერითგან იქმნა ცვალება სვიანობისა ქართველთა ნათესავისა, აღარა ძლევა თათართა ზედა"-ო. ²⁰³. გვ. 561.

სიტყვა სვე ხშირად იხმარება ძველ ქართულ მწერლობაში, სანიმუშოდ —

ურჩთა მკლავად მკოდი
სულტანთა მგოდი
ხალიფას სვისა (თამარიანი 7,3)

ბედ-დიდობს მრავლად,
აქვ სვე დიდ დავლად (თამ. 9,14)

და აბდულ-მესია-შიც —
დოვლათ-სვიანად
სუფევს მზიანად (18,1) და სხ.

”სვე” ხშირადაა გამოყენებული აგრეთვე ქართულ ”ვისრამიან“-შიც.

ბატონიშვილ ვახუშტისაც ”სვე” სწორედ ასე ესმის: ”სვე” ვით კარგი ბედი —
”შემდგომად ამისა განიხილა მეფემან დავით (1505 — 1524) სიმუხთლე სოფლისა და
უსვეობა თვისი, და დაუტევა მეფობა და იქმნა მონოზონ”.²⁰⁴ მაშინ კონსტანტინემან
(1449 — 1505) ”სცნა აქამომდე წარმატებე სვისა და აწ უკუ-ქცევა მისი”-ო. (გვ. 19) და სხ.

როგორც ვხედავთ, ”სვე” არის დაბადების კარგი წუთი, კარგი ჰოროსკოპი. და სწორედ
ამ მნიშვნელობითაა ეს სიტყვა ვტნშიც ნახმარი.

არაბეთის მეფე არის სვიანი, ანუ ბედნიერი, და ”სვე” მას მინიჭებული აქვს
ღმრთისაგან —

იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი (32)

თავის წიგნში ინდოეთის მეფისადმი, ხატაელებზე გამარჯვებული ტარიელი ამბობს —

წიგნი დავწერე: ”მეფეო, სვემცა არს თქვენი სვიანად! (463),

ანუ: თქვენი სვე არის სვიანი, ბედნიერიო. ხოლო როდესაც მეფე-დედოფალი
ტარიელს გამარჯვების შემდეგ აჯილდოებენ, ტარიელი მათ შესახებ ამბობს —

თაყვნი ვეც და დავლოცენ დავლათნი მათთა სვეთან (487).

”დავლათი” ან ”დოვლათი” არის არაბულად და სპარსულად: ბედი. მაშასადამე,
ტარიელი ამბობს: დავლოცე მეფე-დედოფალის ბედი სვიანი, ბედნიერიო.

ფატმანის მეზადე ავთანდილს ეუბნება სურხავის შესახებ —

მელიქ სურხავი ხელმწიფობს, სრული სვითა და დავლითა (1065).

”დავლა” არის არაბულ-სპარსულად: ბედი. მაშასადამე, მეზადე ამბობს: მელიქი არის
სრული ანუ სავსე სვითა (კარგი ბედითა) და დავლითაო. რაც აგრეთვე კარგი ბედია.

ავთანდილმა ფრიდონისადმი მიმართულ წერილში —

დასწერა: ”ფრიდონ მაღალო, სვე-სრულო, მეფეთ მეფეო (1318).

ავთანდილმა და ფრიდონმა მელიქ სურხავს დასაჩუქრებისათვის —

მოახსენეს: ”მაღლი რა ვთქვათ, სვიანმცაა დავლა თქვენი (1440).

როდესაც თინათინსა და ავთანდილს როსტევანი ტახტზე აიყვანს, მათ გაახელმწიფებს, დალოცავს მათ —

აწ, შვილნო, ღმერთმა თქვენ მოგცეს ათას წელ დღეთა გრძელობა, სვე- სვიანობა, დიდობა, კვლა ჭირთა გარდუხდელობა (1545).

ინდოეთიდან დაბრუნებულ ვაჭართაგან გვესმის, ფარსადან მეფე სვიანი ყოფილაო — ფარსადან, მეფე ინდოთა, იყო ხელმწიფე სვიანი (1583).

როდესაც ტარიელმა რამაზ მეფე შეიწყნარა და მისი ლაშქარი უვნებელად დასტოვა, მათ —

ღმერთსა შეჰვედრეს ძახილით, სვე მათი გააძლიერეს (1616),

ანუ: მოლაშქრეებმა ღმერთს მადლობა შესძახეს გადარჩენისათვის და ამით ტარიელის სვე, კარგი ბედი კიდევ უფრო გააძლიერესო.

ამგვარად, სვე არის კარგი ბედი; სვე არის ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულის კარგი ბედი. სვეს იძლევა ღმერთი.

თავი 3. ეტლი

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, ”ეტლი” ესე არს ურმის მსგავსი კამაროსანი, დიდებულთ საჯდომელად; გარეშე წიგნთა ეტლად აღუწერიათ 12 ზოდიანი და შვიდნი ცთომილნი ვარსკვლავნიცა-ო.

ამგვარად, ეტლი არის 1. ურმის მსგავსი საჯდომელად (და საბრძოლელადაც), 2. ზოგადი სახელი 12 ზოდიაკოსათვის და 3. შვიდნი მნათობნი.

ეტლი ვით საზიდი და საბრძოლო ურემი ხშირად არის ბიბლიაში მოხსენებული და ძველ ქართულ მწერლობაშიც — ”ხოლო ეწვია მუნ რისხვაჲ ერსა და ბანაკსა და ეტლებსა მის ზედა”, რომელნი ადიდებულმა მდინარემ შთანთქაო. ²⁰⁵. ან კიდევ: ”ხოლო მდინარე ცხენისწყალისაჲ მოექცა ეტლებსა და ჰუნებსა (ცხენებსა) ზედა და წარიღვნა ყოველივე... და დაედვა მდინარესა მას სახელი ცხენის წყალი”. (იქვე), და სხვა.

ამგვარად ”ეტლი” არის —

1). ურემი სამგზავრო, ფაეტონი, 2) საბრძოლო ურემი, რუსული: ”კოლესნიცა”, 3) მამა შალვა ვარდიძე მაცნობებს — ”ხანდისხან ძველად, მეომრები სიტყვა ეტლს ხმარობდნენ ციხის და მორგვალეული მთა-კლდის აღსანიშნავად, რადგან ამათ დასაპყრობელად, ირგვლივ იერიში მიჰქონდათ. ამ შემთხვევაში ”ეტლი” ფრანგულად უნდა ითარგმნოს: ტურ, როკ. ხოლო ძველადანვე მოისპო ეტლის ასეთი აზრით ხმარება თვით გლეხობაშიც, სიტყვა ეტლი უექველად ქართულია”-ო. 4) ეტლი არის თორმეტი ზოდიაკოს სახელი, 5) შვიდ მნათობთა სახელი, 6) ეტლის ბორბალთა და მათ ტრიალთა მიხედვით, ეს სახელი გადატანილია ვარსკვლავებზე, კერძოდ 12 ზოდიაზე და 7 მნათობზე; მაშასადამე, ეტლი არის ასტრონომიულად მნათობთა და

ზოდიაკთა სახელი და 7). ვინაიდან ასტროლოგიურად ეს ზოდიაკონი და მნათობნი ბედის დამადგენელნი არიან, ამიტომაც "ეტლი" აგრეთვე თვით ბედს ეწოდება.

ამგვარად, ასტროლოგიურად ეტლი არის ბედი, რომელს ვარსკვლავნი დაადგენენ; იგია ვარსკვლავური ბედი ადამიანთა, ერთა და მოვლენათათვის.

პროფ. ი. აბულაძეს ჰგონია "ეტლი" არაბული არისო, რაც ნიშნავს: ამოვიდა, გამოჩნდა. ტალიუ — ამომავალი; ბედის ვარსკვლავი, ბედი. ²⁰⁶. მაგრამ ამ აზრით ეს სიტყვა არაბულში არ იხმარება, და რა საბუთით გამოჰყავს ეს სიტყვა ეტლი სიტყვისაგან "ტალა, ტალუ", — გაუგებარია. ამგვარივე ხერხით შეიძლებოდა უკეთესად ამ სიტყვის ბერძნულში მოძებნა — "ტლაო" ან "ტლემი", რაც ნიშნავს: ატანა, მოთმენა, ჭირში მხნედ ყოფნა და ამ სიტყვის წარსული დროთი გამოთქმა: "ეტლენ", რომლის პოეტური თქმა: "ტლე", სიტყვისათვის: "ეტლე". ²⁰⁷. ოღონდ სიტყვის ასეთი წვალეა ზედმეტია!.

ზოდიაკოთა და მნათობებთან დაკავშირებით, ეს ეტლი არის ბედის ვარსკვლავი, ვარსკვლავური ბედი, და მას ძალიან, ძალიან ხშირად ვხვდებით სპარსულ შაჰ-ნამეში და მის ქართულ ვერსიებში, ვითარმედ — ეტლსა და ღმერთსა მივენდო (შაირი 2992); ვარ თუ ეტლით წახდომილი (შ. 2970); მაღალი ეტლი მოწმად მყავს (შ. 2992); ეტლს ვერ ძალუც შეცვალება (შ. 3077); მტკიცეა ეტლი მბრუნავი (3077); ჩვენ ეტლი აგვმალლებია (შაირი 3160); ეტლითა კვლავ ბედნიერი (შ. 3182) და სხვა ასე მრავალჯერ. ²⁰⁶.

მოსე ხონელის "ამირან-დარეჯანიან"-ში ეტლს ხშირად ვნახავთ: მე ეგეთსა ეტლსა ზედან ვშობილვარ, რომ მშვიდობა არს ჩემთანა. და სხვა.

ქართულ "ვისრამიან"-ში ხშირადაა აგრეთვე ეტლი მოხსენებული, — სანიმუშოდ: ყოველი კაცი ეტლისაგან იქმნების ბედნიერი და უბედური. ღმერთისაგან განგებისაგან მოვა კაცისა თავსა ზედა რაც მოვა, მით რომელ კაცთა სახელად მონა ჰქვიან... ღმერთისაგან ყველა ჩვენსა თავსა ზედა განგებაა დაწერილი და სიცოცხლის შიგან ვერ ავხდებით ღმერთისა განგებასა, და ჩვენგან არ იქცევის (არ შეიცვლების) წერილიო... ვინ დაბადებულა ჩემსა ეტლსა ზედა სხვა კაცი? და სხვა.

მართლა შესანიშნავია უბედობის ეტლთა აღწერა ვისრამიანში —

"მოყვარულთა გაყრა დია მწარეა. ცასა ზედა მთავრე და მასკვლავნი ადარა ჩნდეს, ქვეყანა ლილის ფერად ქმნილიყო, ცა შავსა ფარდაგსა ჰგვანდა მთვარისა საფარად ამოკრულსა; ჰაერმან, თუ სთქვა, საგლოველი შეიმოსა მისისა საქმისათვის; მზემან და მთვარემან თავისა ლაშქრითა დასავლეთისაკე ილაშქრეს, მუნვე დაიმაღლნეს, და უჩინო იქმნნეს; ეტლნი რკინისა კლდეთა გვანდეს და მასკვლავნი მათგან აბეზარ ქმნილთა; ვერძნი და მოზვერნი, დაღრეჯით დამალულნი, თრთოდეს ლომისა შიშითა და თვისა ადგილი დაეგდოთ; თუ სთქვა, ლომ უსულო დგას და მეტყუბარი ორთა მოყვარეთაებრ მწოლთა დაჭედით უძრავ ქმნილიყვნეს; კირჩხიბი გამწყრალი, კუდ-ამობზევილი, ლომისა ჭანგთა ქვეშე იყო; ქალწული დიაცისაებრ დგა, ხელთა ტევანი დაეჭირნეს; სასწორი დაშლილი და დახლათული უხმარ ქმნილიყო; ღრიანკალი ერთგან მოდრეკილიყო, ვითა გველი გაცივებული; მშვილდოსანსა, ვითა

კერპსა, მშვილდითა ომი არ შეეძლო; თხა ისრისაგან უშიშრად ქვე დაწოლილიყო; წყლის საქანელ ჭასა შიგან ჩაჭრილი და მისი მზიდავი ბედიტად მომცდარი; თევზნი ბადისაგან დაბმული და ვითა ხმელთა ზედა გაჭრილი დაღჩომისაგან უიმედო ქმნილიყო. ასეთითა ავითა ეტლითა და უბედურითა ნახა შაჰინ-შაჰ თავისი ცოლი. ღმერთმან სხვასა ნუვის ზედან მოიღოს ასეთი ეტლი”... 208.

უფრო შესანიშნავია კიდევ ქართულ მწერლობაში აღწერა ზოდიაკოთა, და ისიც ომის შემთხვევაში, რომელი დიდ მგოსანს ბესიკს ეკუთვნის —

რუხის ბრძოლა, ბესიკისა —

ვერძი მშვიდი რისხვით მრქენი სისხლის მსმელობს, ვითარ ღვინის,
კურო მედგრად მისეული დამთხვეველობს მათის ტვინის,
მარჩბივი რთავს ფათერაკთა, კალოს ლეწავს მკვდართა ზვინის,
ლომი ხმითა სასტიკობს და ტოტსა ჰკრავს ვისცა მიაწვნის;
კირჩხიბი სწლავს ოროლითა, შუა მუცლად გამპობელობს,
ქალწულს ღმობა შეშლოდა და ქვას ჰკრავს, სისხლით დამლტობელობს,
ღრიანკალი გესლთა წვიმდა, კუდის წერტით დამსწრობელობს,
თევზნი წყლისა მინაქონთა ბოლორტყმითა დამშობელობს,
საქანელმან ღრუბელთ ჯარნი სისხლის წვიმად გარდუქცივნა,
თხის რქას ვაქებ — გრძლად იბრძოდა — მიკვირს, თავი აეტკივნა!
მშვილდოსანმან ჯილდო ირგო: ტყვე ხუთასნი გარდირჩივნა,
სასწორი სწონს ნაალაფევს, სარგებლამდის მიაწვნა. 209.

* *
*

პირველად ეტლის შესახებ ტარიელი ლაპარაკობს —

ღმერთმან სხვაცა ეტლსა ჩემსა სადმცა კაცი რად დაბადა (275),

ანუ: ღმერთმა ჩემს ეტლზე, ჩემს ვარსკვლავზე, ჩემს ბედზე სხვა კაცი სად დაბადა, ჩემნაირი ჰოროსკოპი სხვას რად უნდა ჰქონდესო!

ავთანდილი როცა ფატმანთან აშიკობას გარდასწყვეტს —

კვლა იტყვის: ”ვერვინ ვერას იქმს, თუ ეტლი არ მოსთმინდების (1094),

ანუ: ვერაფერს ვერავინ იზამს, თუ ეტლი, ბედის ვარსკვლავი მას არ მოუთმენს, არ დაუთმობს, მას არ მიანიჭებსო.

შემდეგ, ოქროს შესახებ ნათქვამია —

შესდის და გასდის, აკლია, ემდურვის ეტლთა რბენასა (1197)

ოქრო ადამიანს მოსვენებას არ აძლევს; ეს ოქრო მას ემატება (შესდის) და აკლდება (გასდის) და ამიტომ კაცი ეტლთა, ბედის ვარსკვლავთა რბენას, მათ ცვლას ემდურებაო.

და ბოლოს ფატმანი ავთანდილს ეუბნება —

აწ ამას იქით ვნატრიდე ჩემსა ეტლსა და წერასა (1210).

ამგვარად, ვტნში ”ეტლი” არის ვარსკვლავური ბედი. ”ეტლი” დამოკიდებულია ღმრთის გარდაწყვეტილებაზე.

თავი 4. მოწევნადი და მოსაწევარი

ხამს ყოვლისა დაჯერება, ბრძენი სჯერა მოწევნადსა (1050),

ამბობს ავთანდილი — ყოველი უნდა დაიჯერო (რასაც გეუბნები, ტარიელ!), ბრძენსაც სჯერა მოწევნადი. მოწევნადი არის მომავალი; ის რაც მოვა, რაც მოიწევა. და ამნაირად, ეს სიტყვა ასტროლოგიურ დარგს ეკუთვნის.

ქართულ ვისრამიანშიც არის ასეთი გამოთქმა — ”ღმრთისა განგებასა ნუ ვინ ემკლავების, ამით რომელ მოწევნადსა ვერვინ შეაქცევს“-ო. აქაც მოწევნადი არის მომავალი.

როდესაც ტარიელმა სასიძო მოჰკლა —

ხმა დამივარდა, შეიქმნა ზახილი მოსაწევარი (559).

ჩვეულებრივ ამ სიტყვას მარტივად ხსნიან ასე — კვილი: ”დაიჭირეთ!"; ”არიქა"; დასაწევად დადევნება, კვილით და ხმაურობით-ო. (პროფ. ი. აბულაძე, ვტნის ლექსიკონი, თბილისი, 1937 წ.). ასეთი განმარტება რიოშია.

სიტყვა ”მოსაწევარი” დაკავშირებულია სიტყვასთან ბედი, და მას უბედურების მნიშვნელობა აქვს.

ს. ს. ორბელიანს აქვს სიტყვა ”მოწევნა” — ერთი რამ ავი იქნას (ერთი რამ მოიწიოს)-ო. მეორედ ეს ”მოსაწევარი” გვხვდება, როდესაც ნესტანი სასახლიდან იპარება, და ამის გამო ქალაქში ჩხრეკა-ძებნა ხდება. აქ ფატმანი ამბობს —

დღე მიიყარა, ხმა გახდა, მოვიდა მისი მდევარი,
მოიცვეს შიგა ქალაქი, შეიქმნა მოსაწევარი (1202),

ანუ: დღე დასრულდა, ხმა დავარდა (გახდა), მოვიდა მდევარი, ქალაქი მოიცვეს, დაიკავეს და შეიქმნა მოსაწევარიო.

ს. ს. ორბელიანი ამ სიტყვას ”მოსაწევარი” ასე განმარტავს — წარტყვევნა (სრულიად დატყვევება)-ო. ეს განმარტება თავის თავად სწორია და ერთი; მეორე მისი

მნიშვნელობაა — დასაწევი, მოსაწევი, მოწევა, დაწევა. მაგრამ ამ სიტყვას აქვს მესამე მნიშვნელობაც და იგი ბედთან, უფრო სწორად, უბედურებასთანაა დაკავშირებული. შეიქმნა მოსაწევარი ვტნში ნიშნავს — უბედურება მოხდა, შეიქმნა უბედურებაო.

რომ ეს განმარტება სწორია, ამას გვიდასტურებს "ქართლის ცხოვრება", სადაც ნათქვამია გიორგი მეფის, თამარის მამის სიკვდილის შესახებ — ესე ვითარი საგოდებელი და მოსაწევარი მოსაწევართა-ო. "მოსაწევარი მოსაწევართა" აქ არის უბედური ამბავი უბედურებათა, საშინელი საგოდებელი ამბავი, უბედურებათა უბედურება, ანუ ამბავი: — "საშინელება შთამოსაცვივარი მნათობთა და ვარსკვლავთა"-ო. მამასადაამე, "მოსაწევრი" არის ცუდი, უბედური ამბავი, ბედისაგან დამტყდარი ავი მოვლენა.

თავი 5. დავლათი და დავლა

"დავლათი" და "დავლა" (დოვლათი) ასტროლოგიური ლექსიკონიდან არის. არაბულ-სპარსული "დავლა" დ არაბული "დავლათ" (სპარსული დოულეთ) არის ბედი, და მასთან დაკავშირებით იგი ნიშნავს აგრევე — სიმდიდრე, ქონება, კეთილყოფა.¹⁹¹ სწორედ ამგვარივე მნიშვნელობით არის ეს სიტყვა ვტნში, როდესაც მეფე-დედოფალმა ტარიელი დაასაჩუქრეს, სამაგიეროთო, ამბობს ტარიელი —

თაყვანი ვეც და დავლოცენ დავლანი მათთა სვეთან (487),

ანუ: ვეთაყვანე და დავლოცე მათთა, მეფე-დედოფალის სვეთა, ანუ კეთილ ბედთა ბედნიერება — ქონება, სიმდიდრეო.

ავთანდილის ანდერძში, როდესაც იგი მეფე როსტევანს სწერს, წაველ ტარიელის სამეხნელად, თუ გადავრჩი, მოვბრუნდებიო, და — ,

თქვენვე გნახნე მხიარულნი დიდებით და დავლა მრავლად;
მას რა ვარგო, ესე ჩემთვის დიდებად და კმარის დავლად (796).

"დავლა" პირველ სტრიქონში არის — ბედნიერი, ყოველი სიკეთით სავსე; მეორე სტრიქონში — აგრეთვე არის: ბედნიერება, სიკეთე.

ფატმანის მეზალე ამბობს —

მელიქ-სურხავ ხელმწიფობს, სრული სვითა და დავლითა (1065)

იგივე ხელმწიფე თავის სტუმრებს ასაჩუქრებს, რომელთაც მას —

მოახსენეს: "მადლი რა ვთქვათ, სვიანმცაა დავლა თქვენი" (1440).

ეს სიტყვა "დავლა" იხმარება როგორც ისტორიულ, ისე პოეტურ მწერლობაში, მაგალითად —

ბედ დიდობს მრავლად,

აქვს სვე დიდ დავლად (თამარიანი 9,14).

დოვლათ-სვიანად

სუფევს მზიანად (აბდულ-მესია, 18,1).

თავი 6. ფათერაკი

სიტყვა "ფათერაკი" ფეჰლევეური წარმოშობისაა. ფეჰლვი, ფაჰლავი, ფეჰლევი, ქართულად ფალავი, ფალაური არის ძველი სპარსული ენა, რომელზეც დაწერილია ზარათუშტრას მოძღვრება. ამ ფეჰლევეური მწერლობის უძველესი ნიმუში, აღმოჩენილი დღემდე, არის მესამე საუკუნედან, სასანიდთა მეფის გვარის ბაჰრამ გურის (276 — 293) ხანიდან. ამ ენაზე წერა გრძელდებოდა ნაწილობრივ კიდევ მეცხრე საუკუნეში, ოღონდ იგი მალე შესცვალა მისგან წარმოშობილმა ახალმა სპარსულმა ენამა და მწერლობამ.

"ფათერაკი" ფეჰლევეურ ენაზე არის — "პატირაკ": წინააღმდეგი; მეორე მისი გამოთქმა: "პატირაკ" — წინააღმდეგობა, მტრობა ვისმეს მიმართ, ანუ განსაკუთრებული ქმნანი ანრო მაინიუსისა (აჰრირიმანისა, ბოროტების ძალისა), რათა დააზიანოს აჰურა მაზდა (სიკეთის ღმერთი). ზარათუშტრას სწავლაში "პატირაკ" არის ბნელ ძალთა უფალის აჰრირიმანის მუდმივი დაპირისპირება კეთილ ძალთა უფალის, აჰურა მაზდას წინააღმდეგ. სპარსთა ძველ საღმრთო წერილში "გათა", (არა უგვიანეს მეშვიდე საუკუნისა ქრისტეს წინ), ნათქვამია — რათა დაემხოს ეშმა (დევი მარცვა - გლეჯისა), უკუაგდე პატირაკი-ო. ²¹⁰. ეს სიტყვა ახალ სპარსულ ენაზე არის "ფატერა", "ფათერაგ", ანუ უბედური შემთხვევა, ჭირის ამბავი, ჭირში ჩავარდნა. სიტყვა "ფატერა", "ფათერაგ" შესულია არაბულ ენაშიც.

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, ფათერაკია — მოულოდნელად და უნებლიედ იქმნას რამ ანაზდად (უცხად). ოღონდ ამ სიტყვას სწორედ უბედური შემთხვევის მნიშვნელობა აქვს და იგი ბედის ცნებასთანაა დაკავშირებული.

ფათერაკი არის ბედის მოვლენა და ავი, ცუდი ხვედრი; უბედობის სინამდვილეში მოულოდნელად განხორცილება. სწორად ეს მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას ვტნშიც. ავთანდილი როდესაც სამი წლის ვადით ტარიელის საქმეზე და მიემგზავრება, იგი შერმადინს ეუბნება —

ფათერაკი სწორად მოჰკლავს ერთი იყოს, თუნდა ასი,
მარტოობა ვერას მიზამს, მცავს თუ ცისა ძალთა დასი (164).

ავთანდილი ამით ამბობს — თუ ცისა ძალთა დასი, ანუ ანგელოზნი მიცავენ, მარტოობა ვერას მიზამს იმის მიუხედავად, რომ ფათერაკი, უბედურება ერთსაც და ასსაც ერთნაირად, სწორად მოჰკლავსო.

მრჩეველნი ტარიელს ეუბნებიან ხატაელთა წინააღმდეგ ომის წინ —

აწვე თავსა არ ეწევი, ფათერაკსა შეგასწრობენ (434),

ანუ: თუ შენ თავს არ ეწევი, თავს არ მოუვლი, ფათერაკს შეგასწრობენ, უბედურებას შეგამთხვევენო. ფრიდონიც ლაპარაკობს ფათერაკის შესახებ, როდესაც იგი ტარიელს ნესტანის ამბავს მოუთხრობს და ამის შედეგად მოულოდნელად ტარიელს გული შეუწუხდება —

ვაგლახ მეო, რა გიამბე ფათერაკად, მცდარმან, შმაგად (631).

ავთანდილი ტარიელს ამშვიდებს და მას უმტკიცებს —

სდევს მიჯნურსა ფათერაკი, საწუთროსა დაანაღვლებს (915).

სდევს ფათერაკი მიჯნურსა, განჭვრიტეთ, გაიცადენით (930).

ამგვარად, როგორც დავინახეთ, ფათერაკი აქ ყველგან არის უბედური შემთხვევა.

სიტყვა ”ფათერაკი” ძალიან ხშირად იხმარება შაჰ-ნამე-ს ქართულ ვერსიებში, მაგალითად —

აწ ფათერაკსა დაბმულვარ (შაირი 2922); ფათერაკსა ჩავარდები (შ. 3078); თქვენ შეგასწრობს ფათერაკსა (შ. 3441) და სხვა.

ფათერაკს ვხვდებით აგრეთვე ქართულ ”ვისრამიან“-შიც — ”ცხადსა მიჯნურსა დია ფათერაკი სდევს“-ო. და სხვა.

თავი 7. წერა

”წერა” ”ციურ წიგნ“-თანაა დაკავშირებული, და საჭიროა მისი გაცნობაც.

ა). ბაბილონური ციური წიგნი

ძველ ბაბილონურ სარწმუნოებაში ნაბო (ნებო) იყო მწერალი ღმერთი და ამავე დროს ბედის ღმერთი. იგი თავის წიგნში სწერდა კაცის მომავალსა და ბედს, რომელს იგი მას გარდაუწყვეტდა. ამავე ციურ წიგნში იგი კაცის ყველა კეთილ და ბოროტ საქმესაც აღნიშნავდა. ეს ”ციური წიგნი” ამგვარად ”ბედის წერის” წიგნი იყო.

ღმრთის გამოცხადება მსოფლიოში, ამბობს არ. ალფრედ იერემიას, — დაინახება ვარსკვლავებით, კერძოდ, ვარსკვლავთა მოძრაობაში. ბაბილონური სახელი ამ მოვლენისათვის არის ”შიტირ შამე”, ”შიტირტუ შამე”, ანუ წერა ცაში. სენეკას თქმით, ბეროსუსი ამბობსო, ქალდეური მეცნიერების თანახმად, ყველაფერი ხდება ვარსკვლავთა მოძრაობასთან შეთანხმებით. ეს ვარსკვლავნი არიან გამომაცხადებელნი ღვთიური ნებისაო. ცის გამოცხადება ცნობილია სახელით: ”დაფანი ბედისა” (საწერი დაფა ბედისა). ეს დაფანი იბადებიან მსოფლიოს ბედის გამგეს მკერდზე, — ამიტომ წარმოსადგენია ორი ციური დაფა: 1) რომელზე დაწერილნი არიან ”ღმერთთა ბრძანებანი” და 2) ადამიანთა ცხოვრებანი. ღმერთ ”ნებო“-ს ეწოდებოდა ”დამტარებელი ბედის დაფათა”, ”დამწერი ყველაფერისა,

რომელს ხელთ აქვს გრიფელი ბედის დაფათა”; ამ ბედის გარდაწყვეტის დღე იყო ახალი წელიწადის დღე.

ბედის საწერი დაფის გარდა მოხსენებულია კიდევ სიცოცხლის ხანგრძლივობის, ან სიმოკლის დაფა, და ხალხთა ბედის დაფა. ბედის დაფებს ამზადებდა, როგორც ვთქვი, ნებო, და სწორედ მას მიმართავს დიდი მეფე აშურბანიბალ — ”ჩემი ცხოვრება დაწერილია შენს წინაშე”. მისი ძმაც ამგვარადვე მიმართავს მას: ”დეე, ნებომ დასწეროს თავის დაფაზე ჩემი სიცოცხლის დღეგრძელობა”-ო. ცნობილი დიდი მეფე ნებუხადრეცცარ (ნაბუხოდონოსორ) იტყოდა: ”ო, ნაბუ, გამოაცხადე შენს დაფაზე, რომელს გარდასწყვეტს პულუკკუ ცისა და ხმელეთისა, დღეგრძელობა ჩემი; დასწერე იგი ჩემთა შთამომავლობათათვის” და სხვა.

ასეთია ”ბედის წერისა” და ”სიცოცხლის წიგნის” წერის ისტორიის დასაწყისი. ²¹¹.

ვარსკვლავნი იყვნენო, — ამბობს პროფ. კალტ, — ”წერილნი (ნაწერნი) ცისა” და ვარსკვლავთა ნაწერით მომავალს, ბედს ამჟღავნებდნენ მცოდნენი ცისა და ვარსკვლავთაო. ²¹².

ბ). ეგვიპტური ციური წიგნი

ბაბილონური ზეგავლენით თუ არა, ეს სხვა საკითხია, ეგვიპტელებსაც ჰყავდათ ღმერთი მწერალი, სახელად თოტ, რომელიც ამასთანავე ბედის გამგე და ბედის მწერალი იყო.

გ). ისრაელი ციური წიგნი

ბაბილონური გავლენით ციური წიგნის არსებობა ისრაელებმაც აღიარეს; ისრაელი მწერლობაც აღნიშნავს სიცოცხლის, ანუ ცხოველის წიგნს, რომელში ყველაფერია ჩაწერილი, სანამ კაცი დაიბადებოდეს. წინასწარმეტყველი მოსე აცხადებს: — მე მსურს ცხოველი წიგნიდან ამივიფხიკო, რათა ჩემი ხალხი გადავარჩინო (გამოსლვათა 32,32), ან — და აწ, უკეთუ მიუტეობ ცოდვათა მათთა, მიუტევენ; უკეთუ არა, აღმოცე წიგნისა მისგან შენისა, რომელსა დამწერე. და ჰრქვა უფალმან მოსეს, უკეთუ ვინ შემცოდოს ჩემდა მომართ, აღვხოცო იგი წიგნისა მისგან (მეორე წიგნი, მოსე, 32,33).

ფსალმუნში დავითი ამბობს — აიხოცნედ იგინი წიგნსა მისს ცხოველთასა, და მართალთა თანა ნუ დაიწერებიდ (68,28); და წიგნსა შენსა ყოველნი შთაიწერნენ (138,16); ჯერ კიდევ დედის საშოში ვიყავ, ოდეს შემომხედა მე შენმა (ღმერთო!) თვალმა; შენს წიგნში შეტანილნი არიან ყველა დღენი; ისინი განსაზღვრულნი არიან, სანამ ჯერ ვინმე იყო ამ ქვეყნად (138,16). წმიდად იწოდებიან დაწერილნი ცხოვრებად იერუსალიმსა შინა (ესაია 4,3). და მას ჟამსა განერნეს ერი შენი, ყოველი პოვნილი დაწერილ წიგნსა შინა (დანელი 12,1); დაჯდა და წიგნი განეხვნეს (დან. 7,10). და სხვა.

სიცოცხლის ანუ ცხოველთა წიგნი არის ღვთიური წიგნი, რომელი ღმრთის წინასწარ ცნობასა და წინარგარდაწყვეტილებას, ღვთიურ განგებას აღნიშნავს.

ახალ წელიწადს ცაში გადაიშლება სამი წიგნი, რომელში ყველა პიროვნების მომავალი ჩაწერილი. პირველ წიგნში არიან მართალნი და კეთილნი; მეორეში — ბოროტნი; და მესამეში — საშუალონი, ნახევრად მართალნი და ნახევრად ბოროტნი, ან ცოტა ზედმეტობით. პირველი ორი წიგნი ახალწლის დღეს დაიხურება, ხოლო მესამე წიგნი რჩება მოულოდნელი შემთხვევისათვის, უღირსებისათვის და სხვა. ახალიწლის ჩვეულებრივი მისაღმებაა — ნეტავ ჩაწერო კარგი წლისათვის!

მკითხველი "მუსაფი"-ს ახალ წელს ამბობს — ამ დღეს განაჩენი მიეკუთვნება ყველა ყვეყანას, თუ რომელ მათგანს — ხრმალი, რომელს — მშვიდობა, რომელს — სიყმილი (შიმშილბა), რომელს — მდიდარი და უხვი მოსავალი ექმნება; და თვითეული არსება ჩაწერილია და მისი სიცოცხლე-სიკვდილის ამბავი განსაზღვრულია; ყველაფერი არის ღმრთის ხელში, გარდა ღმრთისადმი შიშისა (ბერ. 33; მეგ. 25); ცაში სწყდება ყველაფერიო, და აქ ნახსენებ მუსაფის ლოცვაში ნათქვამია: ღმერთი განაგებს ყველა თაობას აღსასრულამდე! ²¹³.

დ). ქრისტიანული წიგნი

ქრისტიანობამაც შეითვისა რწმენა ციური წიგნის შესახებ. ახალი აღთქმაც იცნობს სიცოცხლის, ანუ ცხოვრების წიგნს, ცხოველის წიგნს —

ლუკა 10,20 არამედ მიხაროდენ, რამეთუ სახელები თქვენი დაიწერა ცათა შინა
ფილიპპელთა 4,3 რომელთა სახელები წერილ არს წიგნსა ცხოვრებისასა
გამოცხადება იოანესი 3,5 და არა აღვხოცო სახელი მისი წიგნთა ცხოველთასა
გამოცხადება 13,8 და თაყვანი ჰსცეს მას ყოველთა მკვიდრთა ქვეყანისათა, რომელთა სახელები არა დაწერილ არს დასაბამითგან სოფლისათ წიგნსა მას ცხოვრებისასა
გამოცხადება 17,8 და დაუმკვიდრდა მკვიდრთა ქვეყანისათა, რომელთა სახელები არა წერილ არს წიგნსა მას ცხოვრებისასა
გამოცხადება 20,12 და წიგნი განეხვნეს და სხვა წიგნი განელო, რომელი არს ცხოვრებისა, და განისაჯნეს მკვდარნი წერილთა მათგან წიგნთა მათ შინა, საქმეთაგან მათთა... და სხვა.

გამოთქმა: სიცოცხლის, ცხოვრების, ცხოველთა წიგნი ღმრთის გარდაწყვეტილებას ნიშნავს. რასკვირველია, ღმრთისმეტყველნი ამ სახელს ისე ხსნიან, თითქო ადამიანური ენითა და გაგებით არის ეს სახელი ნახმარი, თორემ თავისთავად ცაში ასეთი წიგნი არ არსებობს და იგი მხოლოდ ღმრთის წინასწარ ცოდნას და ამით წინასწარ გარდაწყვეტილებას გამოხატავსო. ²¹⁴. ისიც აღვნიშნოთ, რომ ქრისტიანობის დიდი მოძღვარი ორიგენეს ფიქრობდა, კაცის მომავალი დაწერილია ცაში, სადაც დიდი წინასწარმეტყველური წიგნი არისო. ²¹⁵.

მაგრამ ამ სიცოცხლის, ანუ ცხოველთა წიგნს გარდა, დასახელებულია კიდევ სხვა ღვთიური წიგნებიც, რომლის მიხედვით თვითეული კაცი განისინჯება. ამ წიგნებში ჩაწერილია კაცის ყოველი მოქმედება. ეს წიგნები არის ჭეშმარიტების სურათი, რომელი ღვთიურ მსაჯულს არ გამოეპარება. ²¹².

დიდი იტალიელი მგოსანი დანტე, ვითარცა ქრისტიანი, ასახელებს ციურ წიგნს თავის "პარადისო"-ში (კანტი, გალობა 19).

ასეთივე ღვთიური წიგნი წარმოუდგენიათ მაჰმადიანებსაც, რომელთაც ეს რწმენა ისრაელთაგან და ქრისტიანთაგან შეითვისეს.

ე). მაჰმადიანური წიგნი

მაჰმადიანური რჯულის თანახმად, მთლიანობა და ერთიანობა უნდა არსებობდეს ამ ქვეყანაზე. ერთია ღმერთი, ერთია მისი მრევლი. სანამ ეს ერთობა დამყარებული არაა, სანამ კაცობრიობა ისლამის მიმდევარი არ გამხდარა, იგი ორ ნაწილად არის გაყოფილი. კაცობრიობის ერთ ნაწილს წარმოადგენს: დარ ალ-ისლამის მხარე, ხოლო მეორეს — დარ ალ-ჰარბი, ანუ არა ისლამის მხარე, ანუ ომის მხარე. ოღონდ არა-ისლამის მიმდევართა შორის არის ერთგვარი განსხვავება — წარმართნი და კერპთაყვანისმცემელნი დაუზოგავად უნდა მოისპონ, ხოლო ასეთი მკაცრი ზომა ისრაელთ და ქრისტიანებს არ ეხებათ და მათ უნდა მოეპყრან დაზოგვითა და მოწყალებით. რატომ? იმიტომ, რომ მათ აქვთ წმიდა წიგნი (აჰლ ალ-კიტაბ), რომელიც მოსესა და ქრისტეს ეკუთვნის, თუმცა ეს წიგნები შერყვნილი არის. ²¹⁶.

მაჰმადის რწმენით, ყველაფერი რასაც იგი წინასწარმეტყველებდა და ქადაგებდა, გადმოცემულია იყო მასზე; ანუ უკეთ: ალლაჰის მიერ იყო მისთვის წაკითხული, რათა იგი შემდეგ მსმენელთათვის ეუწყებინა. მაჰმადის წარმოდგენით, არსებობდა ღვთიური, ციური წიგნი, საიდანაც მას ღმერთი ნაწყვეტებს უკითხავდა, ან ანგელოზის, ან სულის მეოხებით მას აცნობებდა.

ყურანი, სურაჰ 18,26 მაჰმადს ციდან ესმის ის, რაც შენ ალლაჰის წიგნიდან გეცნობება; არავის ძალუძს მისი სიტყვის შეცვლა

ეს ციური წიგნი არის დედანი ყურანისა. ამ საღმრთო ციურ წიგნშია ყველაფერი: რაც მთელ მსოფლიოში ხდება და მოხდება. ამას გვიდასტურებს ხელით დაწერილი ყურანის სურაჰ (10, 62, 22, 69, 27, 77, 34), და სხვა. ²¹⁷.

მაჰმადიანს რწამს, თვითეულ მუსლიმს ორი ანგელოზი ჰყავს: ერთი — დღისა, მეორე — ღამისა. ერთი მათგანი მორწმუნის კეთილ საქმეებს, ხოლო მეორე — მის ბოროტ საქმეებსა სწერსო. ეს ანგელოზნი ყოველ 24 საათში იცვლებიან. კეთილსა და ბოროტ საქმეებს ისინი სწერენ იმ წიგნში, რომლის შესახებ თვით ყურანშია ნათქვამი —

ყურანი 6,59 არ არსებობს არც ერთი ხორბალის მარცვალი, არც ერთი მწვანე და დაგვალული ბალახის ღერო, რომელი სამარადისო წიგნში შეტანილი არ იყოს.

ამ წიგნში სწერია ყველაფერი რაც იყო, არის და იქმნება. ²¹⁸.

ქართველი მეცნიერი იოანე ბატონიშვილი (1772 — 1839) ამბობს თავის ”კალმასობა“-ში — მაჰმადიანებს ”ჰსწამთ აჯალი (რომელ არს წერა) და იტყვიან წერა არს კაცისა“-ო. ²¹⁹.

მიმოვიხილეთ ციური წიგნის მოკლე თავგადასავალი და აქედან გავიგეთ, რომ ციური წიგნი არსებითად არის ის ბაბილონური ხვედრის წიგნი, ბედის წიგნი, რომელი შემდეგ სხვა და სხვა სახით, სხვა და სხვა რელიგიაში დამკვიდრდა. წერა

არის იგივე ბედის წერა და არის ასტროლოგიური. აი, სწორედ ასეთი ბედის წერის შესახებ ლაპარაკობს ფატმანი.

ვ). ჩემსა ეტლსა და წერასა

როდესაც ავთანდილმა ფატმანის ხვეწნის შედეგად ჭაშნაგირი მოჰკლა და ეს ამბავი მან ფატმანს აცნობა, ეს უკანასკნელი დიდად კმაყოფილი დარჩა, რადგან ამით მან მოიშორა საშიში მტერი, და ამიტომ სიხარულით ამბობს —

მუქაფა ღმერთმან შემოგზღოს, — მადლსა გკადრებდი მე რასა, —

აწ ამას იქით ვნატრიდე ჩემსა ეტლსა და წერასა (1210),

ანუ: ავთანდილ შენ შემოგზღოს, გადაგიხადოს ღმერთმა სამაგიერო (მუქაფა); მე რა მადლობა უნდა გკადრო შენ, რომელმა გადამარჩინე იმა გველისა მზერასა; ამას იქით ვნატრი ჩემს ეტლს, ანუ დაბადების კარგ ვარსკვლავს და ჩემ ბედის წერასაო. აი, ეს ”წერა” არის ასტროლოგიური ბედის წერა.

თავი 8. წაღმართი

როდესაც ვაზირი სოგრატ სასახლეს მივიდა, მას იქ —

მეფე დაჰხვდა შეკაზმული, პირი მზეებრ ეწაღმართა (752).

ს. ს. ორბელიანი ამბობს უბრალოდ — წაღმართი არის უკუღმართის წინააღმდეგი-ო. დ. კარიჭაშვილის აზრით — ”პირი მზეებრ ეწაღმართა” ნიშნავს — ”მზის მსგავსად იცქირებოდა”-ო. წაღმართვა — პირდაპირ მიმართვა. პროფ. ი. აბულაძის განმარტებით — წაღმართვა: სწორად, მართლად და კეთილად გამოჩინება.

ნამდვილად კი ვტნში ეს სიტყვა ”წაღმართი” ასტროლოგიურ დარგს ეკუთვნის, მაგრამ როგორ დავამტკიცო ეს? ამ სიტყვის აზრი ბიბლიაში შემდეგია —

ლევიტელთა 22, 27 ხბომ, ანუ ცხოვარნი, ანუ თხაჲ, რომელი იშვეს, იყოს იგი შვიდი დღე დედისა თანა, ხოლო მერვით დღიდან და **წაღმართ** შეწიროს მსხვერპლად, ნაყოფად უფლისა.

ეს ”წაღმართი” გერმანულ ბიბლიაშია ”დანაჰ” — მერმე, შემდეგ; ინგლისურში: თენსფორთ — შემდეგ, მერმე; ფრანგულში: აპრე — მერმე, შემდეგ; რუსულში: დალეე — მერმე, შემდეგომ.

როგორც ვხედავთ, ”წაღმართი” არის — შემდეგი დრო, მერმე დრო, მომავალი.

ამას გარდა, სიტყვა წაღმართი იხმარება ქართულ ვისრამიანში და აქ კი უკვე მას გარკვეული ასტროლოგიური მნიშვნელობა აქვს. რამინი ამბობს — დავლა და წაღმართი იქმნება მაშინ ჩემი, ოდეს შენს სახეს შევხედავ.

”დავლა” არის ცნება ბედისა, კარგი ბედისა, ხოლო ”წაღმართი” არის მომავალი, კარგი მომავალი, მაშასადამე, კარგი ბედი.

იმავე ვისრამიანში მოაბადი თავის ძმას რამინს სწყევლის — ნუ გექმნება შენ წაღმართი და სიცოცხლე-ო. ამ წინადადებაშიც ”წაღმართი” არის მომავალი, კარგი ბედი.

როგორც ჩანს, ვტნში ”წაღმართი” ასტროლოგიური მნიშვნელობისაც არის და ზემოდ მოტანილ ლექსში, მზესთან დაკავშირებით.

”პირი მზეებრს ეწაღმართა” ნიშნავს — პირი მზესავით ბედნიერი ჰქონდაო; მზესავით მართალი იყო. მზე ხომ ბედნიერების გამოსახულებაა და აღსახვა სიმართლისა!

მეორედ სიტყვა ”წაღმართი” ნახმარია ტარიელის შესახებ —

ტარიელ მოტკბა, ღმრთისავე მსგავსად იგ წაღმართულია (1615),

ანუ: ღმრთისავე მსგავსად მართალი არისო.

როსტევანი მზესავით წაღმართულია, ანუ მზესავით ბედნიერი და მართალი. ტარიელი ღმრთისავე მსგავსად მართალია.

დარწმუნებული არა ვარ, თუ ეს ჩემი განმარტება სწორია, ოღონდ მას მაინც აღვნიშნავ.

კარი მეოთხე

სოფელი და ცა ვტნში

თავი 1. სოფელი და საწუთრო

ცნებას ”სოფელი” ს. ს. ორბელიანი ასე განმარტავს — სოფელი სამ სახედ ითქმის. საუკუნო იგი სოფელი და წუთისოფელი და კაცის ბუნებაც სოფლად ითქმის-ო. ხოლო მეორე ადგილზე იგი ამბობს — სოფელი ეწოდება სრულიად საწუთროსა (წუთის ხანისა). საწუთრო არის სოფელი-ო.

ს. ს. ორბელიანის ეს განმარტება ქრისტიანული თვალსაზრისია. და მას ჩვენ ბიბლიაშიც ვკითხულობთ —

მეორე კორინთელთა 4,17-18 რამეთუ საწუთო ესე... ხილული ესე საწუთო არს, ხოლო არა ხილული იგი საუკუნო...

დასახელებული ეპისტოლეს ფრანგული თარგმანი ამ სიტყვისა არის ”ტან პრეზან”, ახლანდელი დრო; ინგლისურში — ”ე მომენტ”; გერმანულში — ”ცაიტლიჰ”, დროებით, წუთით; რუსულში — ”კრატკოვრემენოე”. ყველა ამ თარგმანს ქართული ”საწუთო” შესანიშნავად გამოხატავს, და იგია შესატყვისი ცნებისა ”საწუთრო”.

მაშასადამე, "საწუთრო" არის უმოკლესი დრო, ამქვეყნიური მცირე ჟამი. და ქრისტიანული შეხედულებით ეს ქვეყანა, ეს სააქაო მხოლოდ წუთის ხანისაა.

მეორე კორინთელთა 5,1 რამეთუ უწყით, ვითარმედ, უკეთუ ქუჭყნიერი ესე სახლი ჩუწნი ჯორცისა, დაირღუწს, აღშენებული ღმრთისა მიერ მაქუს ჩუწნი, სახლი კელით უქმნელი საუკუნო ცათა შინა

ებრაელთა 11,13 რამეთუ სტუმარ და წარმავალ არიან იგინი ქვეყანასა ზედა

მაჰმადიანობაშიც იგივე შეხედულებაა ამქვეყნიურის გარდამავალობის შესახებ — სააქაოზე უფრო საიქიოა მოწონებული და იმქვეყნიური ფრიად ფასდება —

ყურანი სურაჰ 3,12 მიმზიდველია ადამიანთათვის სიყვარული ქალთადმი და ბავშვთადმი, დაგროვილ ოქროსა და ვერცხლისადმი, ცხენთა და ჯოგისათვის, და ყანისადმი. ასეთია სარგებლობა ცხოვრებისა აქ; მაგრამ ალლაჰ — მასთან არს უშვენიერესი მამული

ყურანი, სურაჰ 4,79 ქვეყანით სარგებლობა მცირეა, და საიქაო უკეთესია ღმრთის მოშიშართათვის

ინდოეთის რელიგიურ თხზულებაში "პურანა" (მეოთხე ან მეხუთე საუკ.) აღნიშნულია ინდოეთის სამეფო გვართა სია. ვერ მოვთვლი ყველა მეფის სახელსო, — ამბობს მწერალი, — ეს მეფენი და სხვანი კიდევ, რომელთაც აქვთ განხრწნადი გვამი, ამყარებდნენ მფლობელობას ამ განუხრწნელ მიწის წრეზე; ეს მეფენი, რომელნი გაგიჟებულ იყვნენ იმ აზრით, რომ "ეს მიწა ჩემია", ან კიდევ, "ეს მიწა ჩემი შვილისაა", "ჩემი გვარისაა", — წარვიდნენ. რომელნიც მათ წინად იყვნენ, სხვანიც მათ წინ და სხვანი, რომელნი მოვლენ, წარვლენ, და ისინიც, რომელნი მათ შემდგომ მოვლენ. ითქმის: მიწა იცინის, მხიარული ბრწყინვალეებით თავის შემოდგომის ყვავილთა, როცა ხედავს მეფეთ, რომელნი ღელავენ ამაოდ დაპყრობისათვის....²²⁰

* *
*

ძველ ქართულ მწერლობაში "სოფელი" არის მიწა-წყალის აღმნიშვნელი ცნება. დაახლოებით მერვე საუკუნედან ცნებისა "სოფელი" ნაცვლად იხმარება ცნება "ქვეყანა", რომელიც პროფ. ივანე ჯავახიშვილის თქმით, მალე გაბატონდა და საზოგადო ცნებად გარდაიქცა.²²¹

"ქვეყანის" მნიშვნელობა "სოფელს" უძველესი დროიდან მერვე საუკუნის დამლევამდე ჰქონდა, შემდეგ კი სიტყვისა "სოფელი" ნაცვლად იხმარებოდა სიტყვა "ქვეყანა"-ო, — ამბობს მეორე ადგილზე პროფ. ივ. ჯავახიშვილი.²²²

* *
*

თუ ს. ს. ორბელიანის განმარტებას დავუბრუნდებით, მაშ "სოფელი" ყოფილა 1. საუკუნო, ანუ უხილავი და მარადული, რომელიც საიქაოს ეკუთვნის, 2. "სოფელი", რომელიც არის სააქაო, ამქვეყნიური, და ამგვარად, წუთისოფელი, საწუთრო და 3. სოფელი ითქმის აგრეთვე ადამიანის ბუნებაზე, მისი ხასიათის შესახებ.

* *
*

ვეფხისტყაოსანში მოხსენებულ "სოფელს" არავითარი კავშირი არა აქვს სააქაო, იმქვეყნიურ სოფელთან. ვეფხისტყაოსანის "სოფელი" არის სავსებით ამქვეყნიური, სააქაო, საწუთო, საწუთრო, რომლისათვის ქართულ ენას მეორე ჩინებული და აზრით სავსე თქმა აქვს დამტკიცებული — წუთისოფელი! (წუთისოფლის სტუმრები ვართ, ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება... — ამბობს ქართველი ხალხი). მაგრამ ამ ცნობილი მნიშვნელობისა გარდა, ვეფხისტყაოსანის "სოფელსა" და "საწუთროს" სხვა, არა ჩვეულებრივი აზრი აქვს და სწორედ ეს არა ჩვეულებრივი "სოფელი" და "საწუთრო" გულისყურს იზიდავს.

მართლაც, ვეფხისტყაოსანში "სოფელი" და "საწუთრო" გამოყენებულია ვითარცა აღნიშვნა "ქვეყანისა", ხილულისა, სააქაოსი. ოღონდ ამასთან ერთად ვტნში "სოფელი" და "საწუთრო" არის არა "ქვეყანა", არა "ხილული სააქაო", არამედ "დრო", "ჟამი", რომელს ასტროლოგიური მნიშვნელობა აქვს.

ვეფხისტყაოსანის "სოფელი" და "საწუთრო" — უმრავლეს შემთხვევაში — არის ასტროლოგიური და როგორც ასეთი, იგი ბედთანაა გადაბმული, ანუ უფრო სწორად და ზუსტად, "სოფელი" და "საწუთრო" არის თვითონ "ბედი".

ვტნში "სოფელი" და "საწუთრო", რგვალი რიცხვით, იხმარება ასჯერ. და აქედან "სოფელი" და "საწუთრო", ბედის მნიშვნელობით, 50ჯერ მეტად არის ნახმარი. როგორ შეიძლება "სოფელი" და "საწუთრო" იყოს "ბედი"?

* *
*

რათა გავიგოთ, თუ რატომ არის "სოფელი" და "საწუთრო" "ბედი", ამისათვის უნდა გავიხსენოთ ასტროლოგიური სწავლა "დროს", ანუ "ჟამის" შესახებ, რომელიც მაზდეიზმის დიდ განხრაში, სახელდობრ, ზერვანიზმში არის დასახული.

ირანულ სასანიდთა ხანაში მაზდეანობამ ზერვანიზმის ხასიათი მიიღო ასტროლატრიასთან დაკავშირებით. ზერვან, ზრვან, ზარვან (დრო) აკარანე (განუსაზღვრელი) იყო უზენაესი ღმერთი, რომელი სიკეთისა (სახიერებისა) და ნათელის ღმერთი აჰურა მაზდა და აგრეთვე ბოროტისა და წყვდიადის ღმერთზე (მაინიუს) მაღლა იდგა და მათზე, ორივეზე ბატონობდა.²²³

ზერვან, ზარვან, ზრვან (დრო) არის უზენაესი ღმერთი, ანუ ღმერთი დრო, რომელი სხვა ღმერთებზე და კერძოდ, ბედზე უფლობდა. ეს დაუსრულებელი დრო არის ყველასი და ყველაფერის გამგებელი, იგი არის ბედის უფალი. როგორც უკვდავება და მარადისობა, ეს დაუსრულებელი დრო, ანუ ზრვან აკარანე არის ბედის მმართველი და მის მიერ ყველაფერი წინასწარაა გარდაწყვეტილი. ეს სწავლა ასტროლოგიურია.

ახალი სპარსული ენის ცნება "ჩარხ" (ქართული — ჩარხი!), განსაკუთრებით ფირდაუსის შაჰ-ნამეში, — ამბობს ედვარდს, — აღნიშნავს ერთნაირად "დროს" (ჟამს, წუთისოფელს) და ბედს. ამავე თხუზულებში ხშირად იხმარება ცნება "სიპიპრ" (ცანი) და "ჩარხ" ერთი და იმავე მნიშვნელობით — რაც მიუთითებს ზერვანისტული ვარსკვლავური რწმენის მიდრეკილებაზე. ²²⁴.

აქედან ნათელი გახდა "სოფლისა" და "საწუთროს" მნიშვნელობა, როდესაც იგი "ბედს" გამოხატავს. საწუთრო არის სამყოფელი სააქაო და წუთის სამყოფელი არის "სოფელი". "საწუთრო" და "სოფელი" ვითარცა "დროის" გამოსახულება "ბედის" გამოსახულებაც არის, და ამგვარად, "საწუთრო" და "სოფელი" ბედიც არის.

მე, რასაკვირველია, იმის დამტკიცება არა მწადია, თითქო ვტნის "სოფელი" და "საწუთრო", ბედის მნიშვნელობით, ზერვანიზმისაგან გამომდინარეობდეს. ეს სწავლა აქ მოვიტანე "სოფლისა" და "საწუთროს" იოლი გაგებისათვის, ვითარცა მაგალითი, თორემ "სოფლისა" და "საწუთროს" გაგება, როგორც "დროისა" და ბედისა" საერთო ასტროლოგიურია, თუმცა არც გავლენაა გამორიცხული.

სიტყვა "საწუთრო" "ბედის" მნიშვნელობით ქართულ ვისრამიანში ხშირად გვხვდება, სანიმუშოდ —

მოაბად საწუთროსა მუხთლობისაგან შეშინდა... საწუთრომ მეცნიერობასა და ძმასა მომწყვიდა... მოყვარეთა რა საწუთრო გაჰყრიდეს, წინასვე დაუწყებს მუხთლობასა, ეძებს მიზეზსა და გამოაჩენს-ცა... გაიქეც, გულო, საწუთროსა ფათერაკისაგან... საწუთრო ესრე ამშფოთებია... საწუთრო ესრე ამშლია... საწუთრო მიღმართ-მოღმართია, ნუ მოზიდავ მოყვარეთა ზედა მტერობისა მშვილდსა, ნუ თუ ანაზდა გატყდეს და შენვე გეცეს... ვისაც მტერი არ ესვას, რა გაიცადოს, მტერად თვით საწუთრო ეყოფის... და სხვა ასე მრავალჯერ.

"სოფელი" — ბედის მნიშვნელობით — იხმარება დავით რექტორის მიერ (მე-18 საუკ.) ერთ მინაწერში "ომანიანის" ხელნაწერის შემდეგ (1782 წელს) —

სევდიანი საწოლთა ვსჯე ნუგეშთაგან ყოლე მოკლებული. ურვანი გულთა მიღამებდა და კაემანთა განმრავლებანი ტყვე მყოფდეს. სოფელსა არა ვემუდროდი, მარა უბრალო დასჯასა ჩემსა ვკვირობდი, და ესეცა სოფლისაგან, რომელ არცა მე მიტევა თვისისა მზაკვრისა მშვილდისაგან მტერობის ისარ განწონასა მიუცილებელი. მარმენიოსმან ჩემმან დამსვა საგნად: და ესდენთა ჭირთა განმრავლებამან-ო. ²²⁵.

აქ "სოფელი" არის "მარმენიოსი", ეს კი არის ბედი, ვარსკვლავური ბედი.

ქვემოდ განვიკითხავთ და გავარჩევთ ვტნის "სოფელსა" და "საწუთროს", რომელს "ბედის" მნიშვნელობა აქვს, რადგან სოფელი და საწუთრო ვითარცა ქვეყანის და სააქაოს აღმნიშვნელი აქ თავისი მნიშვნელობით მდიდარი არაა. მაშასადამე, განვიხილავთ "სოფელსა" და "საწუთროს" ვით ბედს, და დავიწყებთ თინათინის შეხედულებით.

თავი 2. თინათინი და სოფელი-საწუთრო

თინათინმა ავთანდილისაგან დიდი ყურადღებით მოისმინა ტარიელის თავგადასავალი; ავთანდილსაც გამოჰკითხა ძეგნის ამბავი და ყველა ამას შემდეგ თქვა —

საწუთრო კაცსა ყოველსა ვითა ტაროსი უხდების;
ზოგჯერ მზეა და ოდესმე ცა რისხვით მოუქუხდების;
მაშინ ჭირი ჩნდა ჩემზედა, აწ ასე ლხინად უხვდების,
რადგან შვება აქვს სოფელსა, თვით რად ვინ შეუწუხდების? (705),

ანუ: საწუთრო-ბედი კაცს ისე უხდება ვით ამინდი (ტაროსი); ზოგჯერ მზეა და ზოგჯერ ცის ქუხილი (უამინდობა). მაშინ როცა ავთანდილი წასული იყო, ჩემთვის ეს ჭირი იყო, შეწუხებული ვიყავი; აწ კი ლხინად მერგებაო, და დაასკვნის — მაშ რატომ უნდა შეწუხდეს ვინმეო, რადგანაც სოფელს, ბედს აქვს შვება, აქვს მხიარულებაც. თინათინმა იცის ბედის ცვალებადობა, მისი ტრიალი; იცის, იგი ხან სიკეთეს, ხან ბოროტებას ანიჭებს კაცს; ოღონდ მარტო უბედობა არ ბატონობს და ბედი = სოფელი ბედნიერების მომცემიც არის ხოლმე. ესაა ოპტიმისტური ფილოსოფია ბედის = სოფელის შესახებ.

თავი 3. ავთანდილი და სოფელი-საწუთრო

ავთანდილი სოფელი = ბედის შესახებ პირველად თავის თავს ებაასება —

თქვის: "ჭირი ჩემი სოფელმან ოთხმოცდაათი ანასა (179),

ან, ინგოროყვასეული ვტნის მიხედვით —

თქვის: "ჭირი ჩემი სოფელმან აოთხმოცა და ან ასა (179).

ბედმა = სოფელმა ჩემი ჭირი 90ჯერ გაამრავლა გაფუჭებითო (ანასა). ან: ბედმა = სოფელმა ჩემი ჭირი 80ჯერ, ან 100ჯერ გაამრავლა გაფუჭებით, წახდენითო. (ნასი — მახინჯი, უსახო, ცუდი შესახედავი).

თინათინის შეკითხვაზე: დიდი მწუხარება გამოსცადე ტარიელის ძეგნის დროსო, ავთანდილმა —

ჰკადრა: "რა კაცსა სოფელმან მისცეს წადილი გულისა,

ხსოვნა არა ხამს ჭირისა ვით დღისა გარდასრულისა (696),

ანუ: ოდეს სოფელი = ბედი კაცს მისცემს გულის წადილის, სურვილის ასრულებას, მაშინ საჭირო არაა, არ უნდა (არა ხამს) მისი ხსოვნა ვით გასული დღისაო.

ავთანდილი როცა თინათინს ტარიელის ამბავს მოუთხრობს, დაასკვნის —

საწუთრო და სოფელს ყოფა, კაცი უჩნსო ვით ნადირსა (698),

ანუ: საწუთრო = ბედი და ამ სოფლად, ამ ქვეყანად ყოფნა, ისე მიაჩნია ვით ნადირსაო; იგი გაურბის მასო. და ავთანდილი ამის გამო სწუხს —

ვა, სოფელმან სოფელს მყოფი ყოვლი დამსვა ცრემლთა დენად (700),

ანუ: ვაი, სოფელმა = ბედმა ამ სოფელში, ამ ქვეყანაზე მყოფი ყველა კაცი და მეც ცრემლთა მდენად გამხადაო. აქ ავთანდილი სოფელი = ბედისა და კაცის ურთიერთობას ანზოგადოებს და ყველა მას ბედისაგან დაჩაგრულად მიაჩნია. ამ დაჩაგრვას იგი თავის თავზე გამოსცდის, როცა იგი თინათინს შორდება —

იტყვის: ”ვერ გაძღა სოფელი, ვა, ჩემთა სისხლთა ხვრეტითა (712),

ანუ: ბედი = სოფელი ჩემთა სისხლთა დაღვევით (ხვრეტითა) ვერ გაძღა, ესე იგი, ისევ უბედურებაში ვარო. და შემდეგ განაგრძობს —

ვინ უწინ ედემს ნაზარდი ალვა მრგო, მომრწყო, მახია,
დღეს საწუთრომან ლახვარსა მიმცა, დანასა მახია,
დღეს გული ცეცხლსა უშრეტსა დაბმით დამიბა, მახია,
აწღა ვცან საქმე სოფლისა, ზღაპარია და ჩმახია (715),

ანუ: ვინც (დმერთმა) მე უწინ როგორც სამოთხეში (ედემში) გაზრდილი ალვა (კვიპაროსი, კიპარისი) დამრგო, მომრწყო და ხედ მაქცია, ხედ გამხადა (კარგი, ლამაზი, წერწეტი ტანისა შემქნაო) დღეს ბედმა = საწუთრომ ლახვარს მიმცა, დამჭრა, დანას მახია, დანა დამჭრა, მას შემახიაო; და დღეს დაუშრეტელ, დაუქრობელ ცეცხლს (სიყვარულისას) მისცა ჩემი გული; დაბმით მახეში გამაბაო (მახია); აწ კი გავიგე (ვცან), რომ სოფლის ან ქვეყანის საქმე ჩმახი, უაზრობა ყოფილაო. ავთანდილის აქ გამოთქმული შეხედულებით, საწუთრო = ბედი ცვალებადია და ქვეყნის საქმე კი ზღაპარია და ჩმახი. ეს არის მხოლოდ პოეტური პესიმისტური თქმა სასოწარკვეთილ მდგომარეობაში.

როდესაც ავთანდილი ტარიელის მოსაძებნად მიდის, იგი შერმადინს აჯერებს, თან ვერ წაგიყვანო და მას ეუბნება —

მაგრა საქმე არ მოხდების ჟამი ასრე დამემტერა! (783).

ეს საქმე არ მოხდება, ვერ წაგიყვან, რადგან ჟამი ასე გადამემტერაო. აქ პირველად არის ნახსენები ჟამი ანუ დრო ვით ბედი. აქ ცნებას ჟამი პირველად ვხვდებით

როგორც სუფთა, წმიდა სახეს ”ბედის” აღმნიშვნელად და არა მარტო საწუთროსთან და სოფელთან გადაბმულობით.

შემდეგ ავთანდილი თავის თავზე ამბობს —

თუ საწუთრომან დამამხოს ყოველთა დამამხოზელმან (802).

საწუთრო = ბედი არის ყოველის დამამხოზელი; იგი ყველაფერს ამაოდ და ფუჭად ხდის. ამიტომ შემწე და მფარველი არის მხოლოდ ღმერთი და ავთანდილი მისგან შველას მოელის —

ღმერთო, ღმერთო, გეაჯები, რომელი ჰფლობ ქვენათ, ზესა,
შენ დაბადე მიჯნურობა, შენ აწესებ მისსა წესსა,
მე სოფელმან მომაშორვა უკეთესსა ჩემსა მზესა,
ნუ აღმოფხვრი სიყვარულსა, მისგან ჩემთვის დანათესსა (810),

ანუ: უკეთეს ჩემს მზეს (თინათინს) მე მომაშორა ბედმა = სოფელმა, და, ღმერთო, რომელი ჰბადებ სიყვარულს და აწესებ მის წესს, მისგან (თინათინისაგან) ჩემთვის დანათეს სიყვარულს ნუ ამომიფხვრიო. შემდეგ კი ავთანდილი კვლავ ბედს = საწუთროს მიუბრუნდება და ახლა მას ეხვეწება —

მას ნუ გამყრი, საწუთროო, ჩემი ლხინი გარდასრულა (862).

როდესაც ავთანდილი ტარიელს აწყნარებს, მას ურჩევს —

რად ემდურვი საწუთროსა, რა უქმნია უარაკო?! (879),

ანუ: საწუთროს = ბედს რატომ ემდურები, მას რა უქმნია უმაგალითო, უარაკო?! ლხინს, მხაირულებას ვინ მოიმკის, ვინ მიიღებს, თუ პირველად ჭირი არ გაიარეო? ჭირს არ უნდა გაუდრკე, არ უნდა შეუშინდე, არ უნდა დაემორჩილო, რადგან —

ნეტარ მამაცი სხვა რაა, არ გამლოს, რაცა ჭირია!
ჭირსა გადრეკა რად უნდა, რა სასაუბრო პირია!
ნუ გემის, ღმერთი უხვია, თუცა სოფელი ძვირია (931),

ანუ: ნუ გემინია, ღმერთი არის უხვი, მწყალობელი, თუმცა სოფელი = ბედი ძვირია, ბოროტიაო (ძვირი — ბოროტი. ს. ს. ორბელიანი. აქედან — ძვირის თქმა, ბოროტის ლაპარაკი).

ავთანდილის ფილოსოფია ბედ = სოფელზე შესანიშნავი ოსტატობითაა ნათქვამი განთქმულ შაირში, ოდეს ავთანდილი ფრიდონისაკენ მგზავრობას შეუდგება —

ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!
ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა!
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა!
მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა. (951),

ანუ: ვაი, სოფელო = ბედო, როგორი ხარ შენ, (რაშიგან ხარ), რა ზნე-ჩვეულება გჭირს ეს, სოფელო = ბედო? ყოველი ვინც შენ მოგენდობა, მუდამ (ნიადაგმცა) ჩემსავით სტირის; სად წაიყვან შენ, სოფელო = ბედო, სადაურსა სად წაიყვან; სად აღუფხვრი სადით ძირსა, სად დაასამარებ, მოსპობ მას?! მაგრამ ღმერთი შენ მიერ, სოფელო = ბედო, დასაღუპავად განწირულ კაცს არ გასწირავს, არ დაღუპავსო!

აქ ცნება "გვაბრუნებ" გარკვეული ასტროლოგიური სიტყვაა. "გვაბრუნებ", "ბრუნვა" არის იგივე ტრიალი, ბედის ტრიალი, რომელიც ცის ტრიალს, "ჩარხის", "ბორბლის" ტრიალს, ანუ ვარსკვლავთა ბედის ცვალებადობას გამოსახავს.

ამგვარად, სოფელი = ბედი არის უკუღმართი, დაუზოგავი, მაგრამ ღმერთი არის მოწყალე, რომელს შეუძლია სოფელ = ბედისაგან განწირული კაცი გადაარჩინოს.

თინათინის მოგონებაზე ავთანდილი —

იტყვის: "მოგშორდი, სიცრუვე, ვა, საწუთროსა კრულისა!
შენ გაქვს წამალი ჩემისა მამრთელელებელი წყლულისა (1025),

ანუ: მოგშორდი შენ, თინათინ! ვაი დაწყევლილო, კრულო საწუთრო = ბედის სიცრუე!
ბედი კაცს ატყუებს ხოლმე, ვინაიდან იგი ცვალებადია.

ამ ქვეყანაზე მისთვის გამწარებას, ამ სოფლის გასამსალებას ავთანდილი, რასაკვირველია, საწუთრო = ბედს აბრალის და იქვე ამბობს —

შენ ხარ მიზეზი სოფლისა ასრე გასამსალებისა (1026).
და დაბოლოს, როდესაც ავთანდილი ტარიელსა და ნესტანს ემშვიდობება და ინდოეთს სტოვებს —

ავთანდილ იტყვის: "მომკლაო სოფლისა მე სამსალამა! (1660),

ანუ: ბედი = სოფელის ჭირმა და წამებამ მომკლაო.

ამგვარად, ავთანდილისათვის ბედი, სოფელი, საწუთრო არის შავი, უბედური, და თავშესაფარი კი არის — ღმერთი.

თავი 4. ნესტანი და სოფელი - საწუთრო

ნესტანის აზრითაც საწუთრო არის ბედი და ამას იგი არა ერთჯერ აღნიშნავს. ტარიელთან დავის შემდეგ, როდესაც იგი ტარიელს მოუღობა, დაუტკბა, ნესტანმაო, — ამბობს ტარიელი, —

მიბრძანა თუ: "გონიერი, ხამს, აროდეს არ აჩქარდეს,
რაცა სჯობდეს, მოავგაროს, საწუთროსა დაუწყნარდეს (539),

ანუ: გონიერი კაცი არასდროს არ უნდა (ხამს აროდეს) აჩქარდეს; რაცა სჯობს, ჯერ ის უნდა მოაწყოს, მოაგვაროს, და საწუთრო = ბედს დაუწყენარდეს, იყოს წყნარად ბედის წინაშე, არ აღელდეს, და ისე იმოქმედოსო.

დიდ გაჭირვებაში მყოფი და ციხეში გამომწყვდეული ნესტანი ფატმანსა სწერს —

მისგან ტყვე-ქმნილსა სოფელმან რა მიყო, ამას ხედაო?
მე, გლახ, მათ ჩემთა პატიჟთა სხვაცა დამერთო ზედაო (1285).

ბედმა = სოფელმა, რომლის ტყვე მე ვარ, რა მიყო, ხედავ ამასო? მე, საწყალს, სხვა შეწუხებათ (პატიჟთა) კიდევ მომემატა, დამერთო ზედმეტი პატიჟი, შეწუხებაო. და თავის წერილში ტარიელისადმი იგი ამბობს —

”ზხედავცა, ჩემო, სოფელი რათა საქმეთა მქნელია!...
ბრძენნი იცნობენ, სწუნობენ მით, მათგან დასაწუნია (1294).

ხედავ ჩემო, სოფელი = ბედი რათა (მრავლობითი რიცხვი ”რასა”. კითხვაა. ს. ს. ორბელიანი), რაგვარ საქმეთა მქმნელია... ბრძენნი იცნობენ მას, სოფელს = ბედს, არ მოსწონთ მით, რომ იგი დაუდგრომელია, ცვალებადი, და ამიტომ სწუნობენ მასო. და კიდევ —

ზხედავ, ჩემო, ვით გაგვყარნა სოფელმან და ჟამმან კრულმან,
ვეღარ გნახე საყვარელი მხიარული მხიარულმან (1295).

აქ ”სოფელი” არის ბედი, მაგრამ ამასთანავე ”ჟამი“-ც არის აგრეთვე ბედი თავისი წმიდა სახით — ვით ბედი. და რადგან ნესტანისათვის ეს სოფელი = ბედი და ჟამი = ბედი მწარეა და კრული, ამიტომ იგი იმეორებს —

აწ კვლა ქმნა იგი სოფელმან, რაცა მას შეეფერების (1295)...

აწ სოფელმან უარესი ჭირი ჭირსა მიმისართა,
არ დასჯერდა ბედი ჩემი მათ პატიჟთა მრავალგვართა,
კვლაცა მიმცა შესაპყრობად ქაჯთა, ძნელად საომართა,
ბედმან გვიყო ყველაკაი, ჩემო, რაცა დაგვემართა (1299).

აქაც ყველგან ”სოფელი” და ”ბედი” ერთი და იგივეა.

ამგვარად, ნესტანის აზრით, ”სოფელი”, ”საწუთრო” და ”ჟამი” არის ბედი, და ცუდი ბედი.

თავი 5. ტარიელი და სოფელი-საწუთრო

ტარიელი როდესაც ავთანდილს თავისი მამის, სარიდანის ამბავს მოუთხრობს, გაიხსენებს, მამა —

ნადირობდის და იშვებდის საწუთრო გაუმწარავი (312).

სარიდანი ნადირობდა, ლხინობდა (იშვებდა) და მისი საწუთრო = ბედი გაუმწარავი, ანუ ბედნიერი იყო. აქ საწუთრო არის ბედი. ეს უფრო გარკვევით მოჩანს ტარიელის შემდეგი ნათქვამიდან, როდესაც იგი სჩივის, აქამდე მუდმივ ვლხინობდი, ვნადირობდი, ვბურთობდი, ანუ პოლოს ვთამაშობდი (იხილეთ ჩემი ნარკვევი: "ზნენი სამამაცონი"), საერთოდ ვიყავ ბედნიერი და ახლა კი —

აწ საწუთროსა გამყარა პირმან ბროლ-ბადახშეულმან (333),

ანუ: ბედს = საწუთროს, კარგს ჩემს ბედს გამყარა და დამაცილა ნესტანმა, რომლის პირი არის ბროლი და ბადახშანური ლალიო, ესე იგი, თეთრ-წითელიო. ნესტანის სიყვარულის გამო უბედური შევიქმენიო.

როდესაც ტარიელი მამაზე გლოვას იგონებს, ამბობს —
მე წელიწადამდის ბნელსა ვჯე საწუთრო-გაცუდებული (335).

ერთი წელიწადი გლოვის გამო ბნელსა ვიჯექ, საწუთრო, ანუ ბედ გაცუდებულიო. და აქ ტარიელი ზოგად დასკვნას გვაცნობებს —

ცრუ და მუხთალი სოფელი მიწყვი ავისა მქმნელია (339).

"სოფელი" აქ ბედია და ავის მქმნელი ბედი. სწორედ ეს სოფელი = ბედი არს ცრუ და მუხთალი, მოღალატე. ოღონდ ტარიელის ნამდვილი უბედობა იწყება, ოდეს იგი პირველად ნესტანს იხილავს და იგი მას გიჟურად შეუყვარდება —

მაშინ დავიწყე გარდახდა მე საწუთროსა ვალისა (342),

ანუ: მაშინ დავიწყე საწუთრო = ბედისაგან წუხილი და მწუხარებაო. (ვალი — წუხილი, მწუხარება). საწუთრო აქ ბედია, რომლის წინაშე ტარიელი ვალს, მწუხარებას იხდის, იგი უბედობის მსხვერპლი ხდება. ამ აზრს იგი ისევ იმეორებს —

მაშინ დავიწყე გარდახდა სოფლისა ლხინთა და ვალთა (361).

სოფლის ლხინი და ვალი არის ბედის მიერ მონიჭებული ლხინი (ნესტანის სიყვარულისა) და შეწუხება-ვალი (ამ სიყვარულის მიუღწევლობისა გამო). მაგრამ როდესაც ტარიელმა უკვე იცის, რომ თურმე ნესტანსაც უყვარს იგი, ზეიმობს, მას დამწველი ცეცხლი სიყვარულისა დაევსო, გაუქრა —

მაშინ სოფელმან საწუთრო მიუხვის, რაცა ვინები (389),

ანუ: ნესტანის ამ სიყვარულით ბედმა = სოფელმა საწუთრო = ბედი უხვად მომცა, ყველაფერი მქონდა, რასაც ვინებები, ვისურვებდიო; და ახლა —

აწ ხელ-მქნა, რომე საახლოდ მხეცთაცა მოვეწყინები (389),

ანუ: ახლა კი გამაგიჟა, გადამრია (ხელ-მქნა) და მხეცთ რომ ვახლავარ, მათთან რომ დავიარები, ესეც კი მათთვის, მხეცთათვის მოსაწყენიაო. ასე შეიცვალა ჩემი ბედი = საწუთრო, — გულისხმობს ტარიელი. გარნა მაშინ კი ნადიმობდა, მხიარულობდა,

როცა ნესტანი მასთან ახლო იყო და მისი სიყვარულის სრული იმედი ჰქონდა, თუმცა იმ ხანად მაინც, გაურკვეველი ვითარებისა გამო, —

მაგრა დამშლიდეს ლხინთაგან სურვილთა დიადობანი,
ზოგჯერ შემცვიან სევდათა, ვთქვი საწუთროსა გმობანი (390),

ანუ: ჩემთა სურვილთა სიმრავლენი (დიადობანი) ნესტანის სიყვარულში მიშლიდნენ ლხინს, მხიარულობას, ზოგჯერ სევდანი შემიპყრობდნენ ხოლმე (შემცვიან) და ვამბობდი ბედის = საწუთროს გმობასაო.

ტარიელის ბედი და უბედობა ნესტანისადმი სიყვარულით არის გამოწვეული და ამიტომ —

ვთქვი: ”საწუთროო, ვის წელან გული დარმანთა მთარე,
მაშინ მოგეცა იმედი, ლხინი რად გამიზიარე? (396),

ესე იგი: ჩემო ბედო = საწუთროო, რომელმან ამას წინად (წელან) გული სიყვარულის წამალით (დარმანით) მომირჩინე (მთარე, მომთარე), მაშინ მომეცი იმედი; შემდეგ კი რად გამინაწილე (გამიზიარე), შემიმცირეო. ხოლო ოდეს ნესტანთან ტარიელი პაემანზეა და იგი მასთან —

დავჯე, მივცენ გულსა ლხინი, საწუთროსა დამგმობარსა (410),

ანუ: გული, რომელიც აქამდე საწუთროს = ბედსა გმობდა, ახლა, ოდეს ნესტანთან იყო, ლხინს მიეცა იგიო. და —

მე გამიახლდა სოფელი, მქონდა სიმრავლე ლხინისა (419).

ბედი შემეცვალა და დიდი მხიარულება მქონდაო, მაგრამ შემდეგ, როდესაც ნესტანი —

აწ დავკარგე; რად არ გიკვირს, რად ცოცხალ ვარ, რად ვარ რეტად?
ვა, სოფელო უხანოო, რად ჰზი სისხლა ჩემთა ხვრეტად? (529),

ესე იგი: ვაი, სოფელო = ბედო! შენ უხანოო, დაუდგრომელო, ცვალებადო! რად ჰზი ჩემთა სისხლისა მსმელადო (მხვრეტად).

ტარიელმა გადაკარგული ნესტანი დიდ ხანს ეძება, გარნა ამაჟოდ. ამ ძებნაში მას მხლებელნი დაელუპუნენ, ოღონდ იგი მაინც თავს ინუგეშებდა —

კაცსა ღმერთი არ გასწირავს, ასრე მისგან განაწირსა (589).

”მისგან” აქ არის ბედი, საწუთრო, და ღმერთი შველის კაცს ბედის სისასტიკის წინაშეო. მერმე კი, როცა უკანასკნელი მონებიც დაეხოცნენ დევებთან ბრძოლაში, და იგი მარტოდ დარჩა ასმათთან ერთად, ამბობს —

საწუთრომან დამაღრიჯნა, ცქაფნი მისნი კვლა მეცქაფნეს (654),

ანუ: საწუთრო = ბედმა დამაღრიჯა (დიდად შემაწუხა) და მისნი სისწრაფენი ისევ სწრაფად დამეწივნენ. ესე იგი: უბედურება ზედიზედ თავს დამატყდაო. (ცქაფი — ხელფეხსწრაფი. ს. ს. ორბ.).

ბედის ეს ცვალებადობა ტარიელისათვის ახალი არაა და ამ მოვლენას იგი განსაკუთრებულად აღნიშნავს ასმათთან საუბარში —

საწუთრო ნაცვლად გვატირებს, რაც ოდენ გაგვიცინია,
მველი წესია სოფლისა, არ ახლად მოსასმინია (918),

ესე იგი: რაც გვიმხიარულებია, იმის სანაცვლოდ ბედი = საწუთრო გვატირებს; ეს მველი წესია ბედისა = სოფლისა და პირველად გასაგონი არააო. ბედი არის ცვალებადი, უხანო და არა მტკიცე, დაუდგრომელი.

როდესაც ტარიელს ავთანდილი მოთმინებასა და ჭირთა თმენას ასწავლის და იმედს განუმტკიცებს, ტარიელი მას უპასუხებს, მე რომ ცეცხლი მედება, შენ —

ვერ დაშრეტ, შენცა დაიწვი სოფლისა ქმნისა წესითა (927),

ამიტომ შინ მიბრუნდი, შენს მზე-თინათინთანო. აქ ”სოფლის ქმნის წესი” არის იგივე ბედი, რომელს თავისი წესი აქვს — ხან გაცინებს, ხან გატირებს. და ბოლოს, ოდეს ტარიელი ავთანდილს სცილდება, მას ეუბნება —

მოგშორდები, საწუთრომან ლხინი ასრე დამიშურვა (1655),

ანუ: საწუთრო = ბედს ჩემი შური აქვს, ამიტომ იგი მე შენს თავს მაცილებსო.

ამგვარად, ტარიელისათვის ”სოფელი” და ”საწუთრო” ბედის გამოხატულებაა.

თავი 6. ასმათი და საწუთრო-სოფელი

ასმათი ავთანდილს ეუბნება, თუ არ დამიჯერებ, არ მომისმენ —

მოგხვდების მდურვა სოფლისა, მოჰკვდები, გაცასწბილდები (254).

ასმათი როდესაც ტარიელს ნესტანის დაკარგვას აცნობებს, ამ ამბავით მეტად შეწუხებული იგი ტარიელსა თხოვს —

დამხსენ ჩემსა საწუთროსა, ღმერთსა შენსა მიავალე (571),

ანუ: ჩემს უბედურ ბედ = საწუთროს დამხსენ, მომაშორე, მომკალ, და ამით ღმერთს მიავალე, მის წინაშე ვალს მოიხდიო.

ასმათიც განიცდის სოფელ-საწუთრო-ბედის ცვალებადობას — ბედნიერებიდან უბედურებისაკენ; უბედურებიდან ბედნიერებისაკენ —

აწ გავეაძლო სოფელმან ასმათ, ადრითგან მშიერი (1354),

ესე იგი: ასმათ, რომელი ნესტანის და ტარიელის გამო დიდ ტანჯვაში იყო, აწ, როდესაც ნესტანის ამბავი გაიგო, დიდი ხნით მოშვიებული ამ ამბავით, ახლა გაძდა, სოფელმა = ბედმა მას სიხარული მიანიჭა. ბედი-სოფელი აქ ამბავით მშიერ ასმათს გააძღვს.

თავი 7 . ფატმანი და სოფელი-საწუთრო

ფატმანმაც იცის სოფელი = ბედის ამბავი, როდესაც ამბობს —

გულო, გაგსაჯა სოფელმან, არ ვიცი და, გლახ, რას ები (1243),

ანუ: სოფელმა = ბედმა გულო გაგსაჯა, შეგაწუხა, და აღარ იცი, აწი რას მოებმები, რა გაგამრთელესო. ფატმანისათვისაც ”სოფელი” არის ბედი.

თავი 8. რამაზ და სოფელი-საწუთრო

ხატაეთის მეფე რამაზ ინდოეთს შეესია, მაგრამ ტარიელმა მას მოკავშირეთა ლაშქარით მიუსწრო და რამაზ იძულებული იყო მას უომრად დამორჩილებოდა. რამაზი თავს იმართლებს და ტარიელს ეუბნება, ათი წელია გადაიკარგე, ფრინველნი უმეფოდ დარჩნენ, არწივს ფრთები მოტყდა და ამიტომ გავბედე ინდოეთს შესევაო, მაგრამო —

ადრე გამიტყდა სოფელი... (1610).

სოფლის გატეხა არის ღალატი.

თავი 9. ვტნის შემომქმედი და სოფელი-საწუთრო

ვეფხისტყაოსანის გმირთა გარდა, თვით ამ რომანის შემთხუზველი დიდი ყურადღებით ექცევა ბედისა და საწუთროს საკითხს და მას აფასებს —

მიმდონი საწუთროსანი მისთა ნივთთაგან რჩებიან,
იშვებენ, მაგრა უმუხთლოდ ბოლოდ ვერ მოურჩებიან;
ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა, რომელნი ეურჩებიან (347),

ესე იგი: ვინც საწუთრო = ბედს მინდობიან, მისი იმედით არიან, მისთა ნივთთაგან (მასალათაგან, სიმდიდრისაგან, კეთილყოფისაგან რჩებიან, იზრდებიან, მდიდრდებიან), მხიარულობენ, ილხენენ (იშვებენ), მაგრამ ბოლოს მაინც უღალატოდ, უმუხთლოდ მას ვერ გადაურჩებიანო. ამიტომ ბრძენთა ჭკუას ვაქებ, რომელნიც მას, ამ საწუთრო = ბედს ეწინააღმდეგებიან, მას ბრძნულად უყურებენ, ვინაიდან ბედი არის ცვალებადი, მუხთალი, მოღალატე და დაუნდობელი! და შემდეგ —

რა ჭირი კაცსა სოფელმან მოუთმოს მოუთმინამან,

ქაცვი ლერწამმან, ზაფრანა იმსგავსოს ფერად მინამან,
ავთანდილ, მისმან მხსენებმან, ლაწვი ცრემლითა მინამან (689),

ანუ: მოუთმინამან (რომელი არ ითმენს) სოფელმა = ბედმა რა კაცს ჭირი მოუთმინოს,
მოუთმოს, აპატივოს; მაშინ ლერწამი (რომელს ქაცვი, ეკალი არა აქვს) ქაცვს მიიღებს
და მინა (ფერადი მინანქარი, ემალი) ზაფრანას ემსგავსება, გაყვითლდება; ასე
ავთანდილმა, მისმა, ესე იგი, ტარიელის მხსენებელმა, ლაწვები ცრემლთ დანამა,
დაასველაო, როცა თინათინს მან მისგან (ტარიელისაგან) მონასმენი უამბოო.

აქ ბედი = სოფელი არის დაუნდობელი, მოუთმინარი, მკაცრი და შეუბრალებელი.

ავთანდილი თინათინს შორდება, მიდის და სტირის, ვინაიდან —

საყვარლისა სიახლესა მოშორვება გაამწარებს,
ვა, საწუთრო ბოლოდ თავსა ასუდარებს, აზეწარებს (716).

”სუდარა” არის ლათინური სიტყვა ”სუდარიუმ”, მკვდარის შესახვევი. ამავე აზრით
არის აქ ”ზეწარი”, აგრეთვე მკვდარის შესახვეველი. თვით ლექსის განმარტება
შემდეგია — საყვარელთან ახლო ყოფნას (სიახლეს, თანხლებას) მოშორება
გაამწარებს; ვაი, საწუთრო = ბედი ბოლოს და ბოლოს ადამიანს სუდარაში და
ზეწარში გაახვევსო. ესე იგი: ყველაფერი მაინც სიკვდილით სრულდებაო.

და შემდეგ —

ვჰგმობ მუხთალსა საწუთროსა, ზოგჯერ უხვსა, ზოგჯერ ძვირსა (948),

ანუ: ბედი ზოგჯერ უხვია, ზოგჯერ ძუნწიო.
ვა, საწუთროო, სიცრუვით თავი სატანას ადარე!
შენი ვერავინ ვერა ცნას, შენი სიმუხთლე სად არე;
პირი მზისაებრ საჩინო სად უჩინო ჰყავ, სად არე? (1213).

ვაი, ბედო = საწუთრო!, რომელი სიცრუვით სატანას შეედარები (ადარე); შენსას
ვერავინ ვერაფერს გაიგებს (ვერ ცნას); აი, შენი დაუნდობელი მოღალატობა-
სიმუხთლე სად არის (სად არე); მზესავით გამოსაჩენი პირი (ნესტანი), სად დამალე,
სად ჰყავ უჩინო, სად ატარე, სად წაიყვანე (სად არე); ამით ვხედავ, ამ სოფელში, ამ
ქვეყანაზე ბოლოს ყოველივე ოხრად ჩანს, სადაც კი იგი არ იმყოფებოდესო (სად არე).

ამ შემთხვევაში, ისე ვით ყველა დანარჩენში, ლექსთა შემომქმედი ბედს როგორც
დაუნდობელს, უხანოს, გარდამავალს, ცალეხადს, მოღალატეს და მუხთალს
უნდობლობას უცხადებს. მაგრამ ამ ნიადაგზე ვტნში არაა წარმოშობილი ამავობის
რწმენა, ცხოვრების უარყოფა, არამედ აქ არის იმ სინამდვილის აღნიშვნა, რომ
ყოველივე სუდარითა და ზეწრით სრულდება, სიკვდილით თავდება. ეს არის
ცხოვრების კანონი, სიცოცხლის საზღვარი, გარდაუვალი და უცვლელი — სიკვდილი.
დანარჩენი ყველაფერი იცვლება, ყველაფერი წარმავალია, სიზმარია ღამისა,
ყველაფერ წუთისაა, წუთისოფლურია.

სიცოცხლისა და ცხოვრების ურთიერთობა ბედთან დიდი ოსტატობით დასურათებულია კაცის გულის ამბავით —

ზამთარი ვარდთა გაახმობს, ფურცელნი ჩამოსცვივიან,
ზაფხულის მზისა სიახლე დასწვავს, გვალვასა სჩივიან,
მაგრამ მას ზედა ბულბულნი ტურფასა ხმასა ჰყივიან,
სიცხე სწვავს, ყინვა დააზრობს, წყლული ორჯერვე სტკივიან (1347).

აგრევე გული კაცისა მოსაგვარებლად ძნელია,
ჭირსა და ლხინსა ორსავე ზედა მართ ვითა ხელია,
მიწყვიწყ წყლულდების, საწუთრო მისი აროდეს მრთელია, —
იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მტერია (1348).

ზამთარი ვარდთ გაახმობს; ფურცელნი მათ ჩასცვივათ; ზაფხულის მზის ახლო ყოფნა (სიახლე) მათ სწვავს; გვალვას სჩივიან; მაგრამ ამის მიუხედავად, რომ ვარდნი გამხმარნი არიან, ბულბულნი მაინც მათზე ტურფა ხმას ჰყივიან, გალობენ; სიცხე სწვავს თუ ყინვა დააზრობს, გაყინავს, ორივე შემთხვევაში მათ წყლული ტკივათ. ამგვარივეა კაცის გულიც, ძნელად მოსავლელი (მოსაგვარებელი), რადგან ჭირში თუ ლხინში, ორივე შემთხვევაში, გული იგი არის გიჟსავით (ხელი); ყოველთვის (მიწყვიწყ) იკოდება, იჭრება; მისი საწუთრო = ბედი არასოდეს მრთელი, უნაკლებო, უნაკლო არ არის; და მხოლოდ იგი მიენდოს სოფელ = ბედს, ვინც თავისი მტერიაო.

საწუთრო-ბედი, სოფელი-ბედი არის მერყევი, ცვალებადი, უხანო, არა დიდ ხანს გამძლე; თუ ყველაფერი აქვს დღეს კაცს; თუ მას ბედი დღეს ყველაფერს ანიჭებს, — ხვალ იგი მასვე ყველაფერს უკანვე ართმევს. ამიტომ ბედზე დანდობა, საწუთრო-სოფელისაგან უშიშრად ყოფნა თავის თავის მტობა იქმნებოდაო.

ამგვარად, ვტნის შემომქმედი, მისი გმირები საწუთროსა და სოფელს ვით ბედს განიხილავენ.

იგივე აზრი ბედის ცვალებადობის შესახებ გამოთქმულია შაირში 1613 —

წაღმავე წაგრეხს სოფელი კვლა მისგან უკუ ნაცარსა... (დაგრეხილსა).

ეს შეხედულება ბედის ცვალებადობის გამო ზოგადია, ყველგან გავრცელებული, თუგინდ იმ ბერძნულ ლექსებშიც, რომელი პითაგორას მიეწერება. ეს, ეგრეთ წოდებული ”ოქროვანი ლექსები” დაწერილია მეორე-მესამე საუკუნეში. ასეთია მეთორმეტე ლექსი ოქროვან ლექსთა შორის —

ბედს უყვარს ცვალებადობა; იგი შენთან არის; იგი შენ გაგირბის. განიცადე უბედობა ისე, ვით ლხინი; იცოდე მისი ატანა მოთმინებით; ნუ განრისხდები შენი ხვედრის წინააღმდეგ. ნება დართულია ეძებო უბედურებათა გამოსწორება; მაგრამ გახსოვდეს, გრწამდეს, რომ ბედი კეთილ მოკვდავთ უბედურებას არ უგზავნის, რომელი მათ ძალას აღემატება. ²²⁶.

თავი 10. ცა და ცის ბორბალი — ბედი

ძველი კოსმოგრაფიის სწავლით, დედამიწა არის მსოფლიოს ცენტრი, რომლის გარშემო ცა ყველა თავისი სხეულით ტრიალებს. ამ სხეულთა შორის უდიდესი ადგილი მზეს უკავია და მზეც დედამიწას უვლის. მზე კი თავისი სახითა და მოძრაობით ბორბალსა ჰგავს, და ამიტომ ბორბალი მზის გამოსახულებაა. და რადგან მზე მთელს მსოფლიოში ღმერთად ითვლებოდა ძველ ხანაში, ამიტომ ბორბალი ყველგან მზის სიმბოლო იყო და ეს ნიშანი იმდენად გავრცელებულა, რომ ტაძართა და სახლთა მით შემკობის გარდა, კაცთა სამკაულთა შორისაც ითვლებოდა. ქრისტიანობამ ვერ მოსპო მზის თაყვანების ეს ნაშთი, პირიქით, ეს ბორბალი თვითონ შეითვისა. ხატებს რომ უკან რგვალი დაფა, ან შუქთა გვირგვინი აქვთ, ეს იგივე მზის ბორბალია და მზის ნიშანი. ეკლესიებში ჯვარი რომ ბორბალშია ჩასმული, ესეც მზის სიმბოლოა და სხვა. ამგვარად, ბორბალი უძველესი დროიდან დღემდე ხმარებაშია და მზის სარწმუნოების გადანაშთს წარმოადგენს იგი.²²⁷

ვტნშიც გვხვდება ბორბალი. ოღონდ შაირთა მიხედვით, ეს ბორბალი მზის სიმბოლო არაა. აქ იგი არის ასტრონომიული და აგრეთვე ასტროლოგიური. ჩვენ უკვე ვიცით, ცის ყველა სხეული ყოველ დღიურად მოძრაობს და თითოული მათგანი თავის სვლას ერთი წრით, წრის ერთი ნაწილით ასრულებს. ყველა ამ მოძრაობის წრე ეკვატორთან პარალელურია. ჩვენი დგომისა და ცქერის ადგილიდან გაყვანილ ხაზის ჩრდილოეთის პოლიუსის მიმართულებით ჰქმნის ცის ღერძს, რომელი ცის სიმრგვალებში გადის. ამ ღერძზე ტრიალებს ცა, რომლის ტრიალი არის ბორბალის ბრუნვა.

სპარსულ მწერლობაში, განსაკუთრებით, ფირდაუსის შაჰ-ნამე-ში ძალიან ხშირად იხმარება ეს გამოთქმა: "მზრუნავი ცა", "ცანი მზრუნავნი" (სიფირ ჩარხ), ჩარხი ცათა.. ეს თქმა "ცის ბორბალის" ანუ "ცის ჩარხის" შესახებ ყველგან გავრცელებულია და მას ასტროლოგიური მნიშვნელობა აქვს. ცის ბრუნვა ასტროლოგიურად ვტნშიც არის გამოყენებული.

პირველად ამ შეხედულებას ასმათი გამოთქვამს, როდესაც იგი ტარიელს ნესტანის გადაკარგვის შესახებ აცნობებს —

მითხრა: "ღმერთმან სიმგრგვლე ცისა ჩვენთვის წამოგრაგნა (569),

ანუ: ცის სამრგვალე ღმერთმა ჩვენთვის წამოახვია, ესე იგი, ცა თავზე დაგვემხო, დიდი უბედურება გვეწვიაო.

ავთანდილი ნესტანის მოსაძებნად მიდის და ტარიელს ეუბნება —

არ ვიცი, ღმერთი რას მიზამს, ანუ ცა მიწყევ მზრუნავი (938),

ანუ: მიწყევ, მუდამ მზრუნავი ცა არის ბედის მუდმივი ბრუნვა, მარადი სხვადასხვაობა მისი.

როდესაც ხელმწიფე სურხავის მონათ-უხუცესი ფატმანთან მივიდა და მას აცნობა ნესტანის სასახლეს წაყვანის შესახებ, ფატმანი შეძრწუნდა და ამ განცდას ასეთი სიტყვით გადმოგვცემს იგი —

ესე მესმა, დამტყდეს ცანი, რისხვით ეცა გორა გორთა (1172).

დამტყდეს ცანის ნიშნავს დიდ უბედურებას; და შემდეგ იგი კვლავ იმეორებს ასეთ თქმას, როდესაც ნესტანს ეუბნება —

ვკადრე: ”შუო, ბედმან შავმან ვით მიმუხთლა, ჰხედავ რულად,
ცა მობრუნდა რისხვით ჩემკე, იავარ-მყო, ამფხვრა სრულად,
შემასმინეს, მეფე გითხოვს, ვარ ამისთვის გულ მოკლულად (1174).

(რულად — როგორ). ცის რისხვით მობრუნება არის ასტროლოგიური თქმა შავი ბედის შესახებ.

ქაჯეთის ციხეში მყოფი ნესტანი ტარიელს წერილით ეუბნება: ჩვენ ასე უბედური გავხდით, ერთმანეთს დავშორდით; მე დამრჩენია მხოლოდ სიკვდილი და გავხდები ყორანთა დასაყივარად; და დაასკვნის —

რისხვით მობრუნდა ბორბალი ჩვენზედა ცისა შვიდისა (1309).

და თვით ვტნის ავტორი იმეორებს ასეთ განმარტებას უბედურების შესახებ, როდესაც იგი ქაჯეთის ციხეზე ლაპარაკობს —

მათვე რისხვით გარდუბრუნდა ბორბალი და სიმგრგვლე ცისა (1415).

ამგვარად, ვტნში ”ბორბალი”, ”სიმგრგვლე ცისა” და თვით ”ცა” არის ასტროლოგიური, ვარსკვლავური ბედის გამომხატველი.

კარი მეხუთე

ნიშანი და რიცხვი

თავი 1. ნიშანი

ა). ნიშანი — ომინა

სიტყვა ”ნიშანი” არის არაბულ-სპარსულ-სომხური, და იმასვე ნიშნავს, რაც ქართულად. ¹⁹¹. ამ სიტყვას ს. ს. ორბელიანი ასე განმარტავს: ნიში, გინა სასწაული. ნიში — ნიშანთ ნაწილი.

საერთოდ ღმერთები, და კერძოდ მნათობნი თავის სურვილს, კეთილ თუ მავნე განზრახვას ხალხთა და კაცთათვის განსაკუთრებული ”ნიშანით” აცხადებენ. ამ ნიშანთა მიხედვით, კაცმა უნდა გამოიცნოს თავისი მომავალი; იგი გაითვალისწინოს

და ამ ნიშანთა ჩვენებიდან თავისი ქმედობისა და ყოფაქცევის შესახები დასკვნა უნდა გამოიტანოს.

ასტროლოგიაში და რელიგიებში, ხალხურ რწმენაში ”ნიშანს” უდიდესი მნიშვნელობა აქვს და იგი მრავალ გვარად გამოიხატება. მაგალითად — მზის დაბნელება დიდ უბედურებას მოასწავებს; თუ მთვარე და მზე თვის მეთორმეტე დღეს ცაზე ერთად ჩანან, ეს ამბავი სამეფო გვარის აღსასრულს წინასწარმეტყველებს, ხალხთა ხოცვა-ჟლეტას აცხადებს და სხვა. ასეთ ნიშანს ეწოდება ომინა. ომინა დღესაც ფართოდ გავრცელებული რწმენაა.

* *
*

როდესაც ავთანდილი ვაზირს ეწვია —

ვაზირმა სცნა, გაეგება: ”ჩემსა მზეა ამოსრული,
ამას თურმე მახარებდა დღეს ნიშანი სიხარული! (729).

თუ ეს სიხარულის ნიშანი რით გამოიხატებოდა, აქ გარკვევით ნათქვამი არაა, მაგრამ ცხადია, ეს ნიშანი არის ომინა.

როდესაც ტარიელმა და ავთანდილმა ქვაბში მდევთა კიდობანი გახსნეს, მათ იქ მრავალი საჭურველი, საბრძოლო იარაღი იპოვნეს და ამის გამო —

თქვეს: ”ესე ნიშნად გვეყოფის, ვართო კარგითა ბედითა;
ღმერთმან მოგვხედნა თვალითა, ზეგარდმო მონახედითა (1371).

აქაც ”ნიშანი” არის ომინა — საჭურველის პოვნა. კარგი ამბავის მოსმენაც არის ”ნიშანი” ”ომინა”. ფატმანმა როს ნესტანის ამბავი გაიგო —

მე გავიგონე, შერემშრა ნაკადი ცრემლთა ფონისა,
მენიშნა, ყოვლი ნიშანი ვიცან ჩემისა ღონისა (1236),

ანუ: ნესტანის ამბავი გავიგონე თუ არა, შემიშრა ცრემლთა ფონიო (ფონი — მდინარის გასავალი; აქ — თვალნი); მენიშნა ყოველი ”ნიშანი” მისი, ნესტანის არსებობის შესახებო (ღონე — ნაწილი სიმხნისა და ძლიერებისა. ს. ს. ორბ.).

ამგვარად, ყველგან აქ ”ნიშანი” არის ”ომინა”. ამ ომინას გარდა ვტნში არის აგრეთვე ”სიცოცხლის ნიშანი”.

ბ). სიცოცხლისა ნიშანი რამ

”სიცოცხლის ნიშანი” არის ცნება იმ რაიმე საგანის აღმნიშვნელი, რომელი კაცის ჯანმრთელობასთან, სნეულებასთან, სიცოცხლესთან თუ სიკვდილთანაა დაკავშირებული. ამგვარ ”სიცოცხლის ნიშანს” ეწოდება კიდევ ”სიცოცხლის ინდექსი”.

ყველას და კერძოდ ბიზანტიელებსაც რწამდათ, რომ თვითეულ კაცს აქვს რაიმე მატერია, სტოიხეიონ, რაიმე უსულო საგანი, ქანდაკება, ან სვეტი, რომელთანაც მისი სიცოცხლე არის დაკავშირებული. თუ ქანდაკება დაზიანდა, ან დაინგრა, იგივე მოუვა მის პატრონსაც. ბულგარეთის მეფე სვიმეონი მოკვდა, რადგან მის საგანს, კონსტანტინეპოლში მდგარ ერთ სვეტს ზემო თავი გადაუტყდაო.²²⁸

შეხედულება "სიცოცხლის ნიშანის" შესახებ დამყარებულია, — როგორც ამბობს ე. ს. ჰარტლენდ, — მოწონებით მოგვობაზე, სიმპატიურ მაგიაზე. ამის მიხედვით: ცოცხალი არსების ყოველი ნაწილი, თუგინდ დაშორებული დიდი სივრცითაც, თავის "ნიშანთან" დაფარულ საიდუმლო კავშირში რჩება, და რაც "ნიშანს" დაემართება, იგივე ცოცხალ არსებას, ან მის ნაწილს გაუმეორდება, და წინაუკმოდ. ეს "სიცოცხლის ნიშანი" უფრო ადვილად რომ გავიგოთ, გავიხსენოთ ათას ერთი ლამის ზღაპარი: "ორი დად, რომელს უმცროსისა შემურთ".

ბაჰრამი მიდის, რათა მოლაპარაკე მფრინველი, ოქროს წყალი და მგალობელი ხე მოსძებნოს. თავის დას იგი სანადირო დანას უტოვებს; ამ დანის პირი იქნება სუფთა და ლაპლაპა, სანამ ბაჰრამი კარგად იმყოფება; ამ დანის პირი სისხლით მოითხუპნება, როგორც კი ბაჰრამს მოჰკლავენ... შემდეგ ბაჰრამს მისი ძმა გაედევნება და მან დასტოვა მარგალიტთა მძივი; ეს მარგალიტნი ძაფზე ცალ ცალკე ისრიალებენ, სანამ იგი ცოცხალია, ხოლო თუ დაიღუპება, მარგალიტნი ერთმანეთს შეეღებებიან და მიეწებებიან... აკაკი წერეთელსაც აქვს გამოყენებული ეს "სიცოცხლის ნიშანი" ერთ თავის პოემაში.

ამგვარად "სიცოცხლის ნიშანის" კარგად ყოფნა, თვით მისი პატრონის კარგად ყოფნას გვიჩვენებს, და პირიქით.

"სიცოცხლის ნიშანი" შეიძლება იყოს სამკაული, საჭურველი, იარაღი, მცენარე, ლითონი, პირუტყვი და სხვა ყოველი გვარი საგანი.

"სიცოცხლის ნიშანის" მეორე სახეა "ტალისმანი". ბერძნული "ტელესმა" = რელიგიური წესი, არაბული — "ტალესმა", სპარსული — "ტელესმ" და ქართული — "თილისმა". ოღონდ "თილისმა" გამოყენებულია უფრო კერძო და განსაკუთრებული შემთხვევისათვის. "თილისმა" არის ნიშანი, ხატი გამოწახნაგებული, ან ლითონისაგან გამოდნობილი, ან სხვა რაიმე საგანისაგან გაკეთებული, ციური სახენი, ფიგურები და სხვა, — ყველაფერი ეს არის დამცველი მისი მატარებელი პატრონისა. თილისმა იხმარება უმთავრესად კუდიანობაში, ჯადოსნობაში, ხალხურ მედიცინაში კეთილი, ან ბოროტი მიზნით, მტერზე შურის საძიებლად, კეთილმყოფელზე სიკეთის მისაყენებლად, ან თილისმის მქონე პირთან დამოკიდებულებაში მყოფზე გავლენის მოსახდენად.

ამგვარივეა "ამულეტი" — ნივთიერი რამ, რომელს ვიეთი ატარებს, ან ინახავს მოგვურ-რელიგიური მიზნით, სწეულების მოსარჩენად, სიმხნისა და ვაჟკაცობის მისანიჭებლად, მისი მქონებელის საბედნიეროდ, მის შემწედ და მფარველად, განსაკუთრებული საფრთხისაგან დასაცავად და სხვა.²²⁹ "სიცოცხლის ნიშანს" ჩვენ ვხვდებით არა მარტო ზღაპრებში, არამედ ყოველ დღიურ ჩვეულებაში და რწმენაში.

უფრო ხშირად "სიცოცხლის ნიშანს" ხმარობენ შორს მყოფთა კარგად თუ ცუდად ყოფნის გამოსაცნობად და სიცოცხლე-სიკვდილის გამორკვევისათვის. სამისო მაგალითი მრავალია, როგორც ინგლისში და გერმანიაში, ისე სხვაგანაცო, — ამბობს ჰერტლენ. და საქართველოშიც, — დავუმატებ.²³⁰

"სიცოცხლის ნიშანი" სწორედ ამ სახელითაა გამოყენებული ვტნში.

* *
*

როდესაც ავთანდილი ტარიელის საძებნელად მიემგზავრება, იგი თინათინსა თხოვს —

სიცოცხლისა საიმედო ნიშანი რა წამატანე! (709).

"სიცოცხლის საიმედო ნიშანი" აქ არის სწორედ ის "სიცოცხლის ნიშანი", რომელზე ამ წუთს იყო საუბარი.

ქალმან მისცა მარგალიტი, სრულ-ქმნა მისი საწადელი (710).

ეს მარგალიტი არის ერთი მხრივ "დაქორწინების აღთქმის ნიშანი" (იხ. ჩემი "ვტნის ფერთამეტყველება". ბუენოს აირეს, 1953 წ. გვ. 128). მეორე — "სიცოცხლის ნიშანი" და "საიმედო" ნიშანი. ეს მარგალიტი ავთანდილმა შინ წაიღო და —

პირსა დაიდვა, აკოცა, ცრემლი სდის ვითა ბისონი (719).

"სიცოცხლის ნიშანი" ამ შემთხვევაში არის თინათინის სიცოცხლის ნიშანი, რომელზე შემდეგ აქ უკვე საუბარი აღარაა.

რომანის შემდეგ მიმდინარეობაში ავთანდილი თავის მხრივ თავის "სიცოცხლის ნიშანს" ტარიელს აცნობს. როდესაც იგი ნესტანის მისაკვლევად მიემგზავრება ერთი წლის ვადით, იგი ტარიელს ეუბნება —

ამის მეტსა არას გნუკვე: წელიწადსა ერთსა მსგეფსა
აქა ქვაბსა მომნახვიდე მე, ამბავთა ყოვლგნით მკრეფსა;
ამა ჟამსა ნიშნად მოგცემ, დროსა ამას ვარდ-იეფსა,
ვარდთა ნახვა გაგაკრთობდეს, მართ ვითამცა ძალლი ყეფსა (936),

ანუ: ამის მეტს არაფერსა გთხოვ (გნუკვ. ნუკვა — თხოვნა. ს. ს. ორბ.): ერთი წელიწადის შემდეგ, წელიწადის სწორს (მსგეფსი — ამ დღით მის სწორამდე. ს. ს. ორბ.) აქ, ამ ქვაბში მომნახვიდე მე, რომელიც ყოველ მხარეში ნესტანის შესახებ ამბებს მოვკრებო; ამა დროს (ჟამს) "ნიშნად მოგცემ" — ეს ნიშანი იქნება ის დრო, როცა ვარდნი-ყვავილნი მრავალნი = იეფნი იქნებიან, და ამ ყვავილთა ნახვა ისე გაგაკრთობდეს, ვითამც მართლა ძალლი ჰყეფდესო.

ამ შაირში ავთანდილი ტარიელს "ნიშნად" აძლევს — ყვავილთა სიმრავლესა და ძალლის ყეფას, ანუ ცაზე სირიუსის გამოჩენის დროს: 23 ივლისს — ერთი წლის

შემდეგ. ამგვარად, ავთანდილის სიცოცხლე იდუმალად დაკავშირებულია აქ ყვავილთა სიმრავლესთან და ცაზე სირიუს = ძაღლის გამოჩენასთან. ეს არის ავთანდილის "სიცოცხლის ნიშანი". თუ ავთანდილი ამ დროს არ მობრუნდა, მაშინ იგი ცოცხალი აღარ იქნება —

ამა დროსა გარდავსცილდე, აქა ქვაბსავ არ მოვიდე,
ცან ცოცხალი არ თურე ვარ, უღონოდ მოვკვდე კიდე;
ეს ამისად ნიშნად კმარის, შენ თუ ჩემთვის ცრემლსა ჰღვრიდე (937).

ცხადია, ავთანდილის "სიცოცხლის ნიშანი" აქ არის "ყვავილთ სიმრავლე" "სირიუსის ცაზე გამოჩენა". ეს არის ავთანდილის "სიცოცხლეზე მათითებელი", მისი "სიცოცხლის ინდექსი".

ტარიელმა ხატაეთის დაპყრობისას, როგორც ეს ომის წესია, დიდი სიმდიდრე მოიპოვა და მრავალ ძვირფას საგანს შორის ნახა ერთი რიდე, მეტად საკვირველი ნაქსოვი —

იგი საძღვნოდ მისად დავდევ, ვისი შუქი მანათობდა;
მეფისათვის დავარჩივე საარმალნოდ, რაცა სჯობდა (462).

მრავალი ძვირფასი ნადავლი ტარიელმა მეფეს საჩუქრად (საარმალნოდ) გაუგზავნა, ხოლო რიდე კი (თავ-ზურგზე მოსასხამი) ნესტანისათვის გადაინახა. ეს რიდენი, რომელნი "მემოვნეს ქალაქსა ხატაელთასა, იგი მეხვივნეს, მშვენოდეს, ვახელებ (ვაგიჟებ) გულსა ხელთასა" (გადარეულთაო), — ამბობს ტარიელი. აი სწორედ ამ რიდეთა შესახებ ნესტანი ტარიელსა სწერს —

რომე წელან მოგეხვივნეს, იგი ჩემთვის არიდენო (495),

ანუ: ის რიდენი, რომელნი ამას წინ, წელან გეხვივნენ, ჩემთვის არიდენ, ჩემს რიდედ გახადე, მაჩუქეო —

იგი მომეც მე რიდენი, რომელნი წელან გშვენოდეს (496).

რად უნდა ნესტანს ეს რიდე? ამაზე ამბობს —

რა მნახო, შენცა გაიმოს, შენეულითა მშვენოდეს (496).

მაგრამ არსებითად, ეს რიდე ნესტანის ცხოვრებაში გარკვეულ მოგვურ-ჯადოსნურ ხასიათს ღებულობს. ტარიელის მიერ ნაჩუქარი რიდე ნესტანისათვის ხდება "ამულეტი" და "სიცოცხლის ნიშანი". ამას ჩვენ თვითონ ნესტანი გვაცნობებს: — იგი რიდეს აღარ იშორებს; მაშინაც კი ეხურა, როდესაც მას დავარი სცემდა —

შენეულივე რიდენი ებურნეს, ტურფად ჰშვენოდეს (577).

და ფატმანთან ყოფნისას ნესტანი —

მიწყვი იყვის რიდითა და მით ერთი ყაბაჩითა (1148).

და ფატმანი ნესტანსა სწერს ქაჯეთის ციხეში —

მერმე შენსა საყვარელსა ნიშანი რამ გაუგზავნე (1274).

რა იყო და რისთვის ეს ნიშანი საჭირო? ნესტანის მიერ რაიმე ნიშანი = საგანი ტარიელისათვის იქმნებოდა ნესტანის სიცოცხლის დამამტკიცებელი საბუთი, ანუ ”სიცოცხლის ნიშანი”, სიცოცხლეზე მათითებელი. ეს კარგად იცის ნესტანმა და ამიტომ ფატმანს უპასუხებს —

გეთქვა ნიშნისა გაგზავნა, აწ ესე განამჟღავნია (1291),

ანუ: ახლა ეს უკვე გამჟღავნებული, გამხილებული არის — ეს ნიშანი, მისი რიდე. და სწორედ ამ რიდის ნაკვეთს ვაგზავნიო. ეს რიდენი ჩემთვის მის გამო, ტარიელის სანახსოვროდ ტურფა სანახავნი არიან, თუმცა თუ ფერად ისეთივე შავნი არიან, ვითარცა ბედი ჩემიო —

მისეულთავე რიდეთა ნაკვეთი გამიგზავნია;
ესენი ჩემთვის მის გამო ტურფანი სანახავნია,
თუცა თუ ფერად ბედისა ჩემისა მსგავსად შავნია (1291).

ამგვარად, აქ ტარიელისეული ნესტანის რიდენი არიან ნესტანის ”სიცოცხლის ნიშანი”, — და ამიტომაც უგზავნის ნესტანი ტარიელს ამ რიდეთა ერთ ნაჭერს თავისი სიცოცხლის მათითებელად.

გ). ნიშანი — მოგვური ძალისა

როდესაც ასმათმა ტარიელს ნესტანის წერილი მიართვა და მოციქულობა გასწია, ტარიელმა ამ, მისი სიყვარულის მახარობელს —

ასმათს მივართვი რჩეული თვალი ოქროსა ჯამითა;
მან მითხრა: ”არა, არ მინდა, ვარ გამამდარი ამითა”;
ერთი აილო ბეჭედი, მართ აწონილი დრამითა, —
”ესე კმა ნიშნად, სავსე ვარ სხვად ხელის შესაბამითა” (385),

ესე იგი: ტარიელმა ასმათს რჩეული, საუკეთესო ძვირფასი ქვებით (თვალით) სავსე ოქროს ჯამი აჩუქა. ასმათმა ასეთ საჩუქარზე უარი თქვა: ამით გამამდარი ვარ, თვალნი პატიოსანნი მრავლად მაქვსო, სხვა ხელის შესაბამივ ბევრი მაქვსო; მაგრამ მან ერთი ბეჭედი აილო, რომლის წონა უმცირესი იყო, დრამის სიმცირისა და თქვა: ეს ამა ნიშნად მეყოფაო. რა ნიშანია ეს? ეს ბეჭედი არ არის ”სიცოცხლის ნიშანი”, ოღონდ იგი არის მოგვური ნიშანი, ჯადოსნური დანიშნულების ნიშანი, რომელიც ტარიელისა და ასმათის დამძობილების, დამეგობრების სიმბოლოა.

რიდეთა სამაგიეროდ ნესტანმა ტარიელს სამხრე ანუ სამკლავე გაუგზავნა და მიუწერა —

”ესე სამკლავე შეიბი, თუ ჩემი გადაგვლენოდეს,
ერთი ასეთი ცოცხალსა სხვა ღამე არ გაგთენოდეს (496),

ანუ: ეს სამკლავე = სამხრე შენ შეიბი, თუ ჩემი შენთვის საყურადღებოა, გავლენის
ღირსია; შენ სხვა ღამე ასეთი (სამწუხარო, — იგულისხმება: სიყვარულისა გამო) აწი
არ გაგთენებოდესო. აქ სამკლავე = სამხრე თავიდანვე რაიმე განსაკუთრებული
დანიშნულებისაა — იგია სიყვარულის ნიშანი. —

წიგნი რა ვნახე, მომართვა ესე საბამი მკლავისა.
მკლავსა შევიბი მაშინვე... (502).

რა და რისთვისაა ეს სამხრე? ტარიელმა —

თქვა: ”მე მაქვს სამხრე, რომელი კვლა წინას მკლავსა მას ების!”
იგი შეიხსნა, მოილო, თვალით არ დაიფასების,
პირთა დაიდვა, დაცაზნდა, ქვე მკვდართა დაედასების (497).

ეს სამხრე, რომელიც ტარიელს ახლა თან აქვს, წინად მას, ნესტანს ება მკლავზე;
სამხრე ნესტანისა იყო, ისე როგორც თინათინისეულნი იყვნენ მარგალიტნი —

მის მზისა მკლავსა ნაბამნი, მათ კბილთა შესატყვისონი (719).

აქ, ისე ვით მარგალიტთა შემთხვევაშიც, ნესტანისეული სამხრე ტარიელისათვის
არის ჯადოსნური ძალით აღვსილი მოგონება ნესტანზე და ნესტანის სიყვარულის
ცოცხალი ნიშანი. ისე როგორც ავთანდილმა პირსა დაიდვა თინათინისეული
”სიცოცხლის ნიშანი” და მას აკოცა, ტარიელმაც ნესტანისეული სამხრე პირზე
დაიდვა, ოღონდ ამასთანავე იგი თითქმის კვდება, ქვე მკვდართა დაემატება.
ამგვარად, ”სამხრე” სიყვარულის ტრადიული ნიშანია. და ავთანდილი სწორედ
შემდეგ ეკითხება მას ამ ძვირფასი სამკაულის, სამხრეს შესახებ —

ეგე სამხრე მისეული, შენ გაჩნია ვისგან წყლული,
რაგვარ გიყვარს, რაგვარ გიღირს? თქვი, დავილო მერმე სული (895).

სამხრე ნესტანისა, რომლისაგან შენ სიყვარულის წყლული გაჩნია, რაგვარ გიღირს, ეს
მითხარი და მერმე გავჩუმდებიო (სულის დაღება — გაჩუმება. ს. ს. ორბ.).

ტარიელს აქ უნდა გამოემყდვენებინა თავისი დამოკიდებულება სამხრესთან და ეთქვა
მისი დაფასება. და მართლაც —

მან უთხრა: ”სახე რა გითხრა მის უსახოსა სახისა!
ესეა ჩემი სიცოცხლე, ჩემი მომცემი ახისა,
მჯობნი ყოვლისა სოფლისა, წყლისა, მიწისა და ხისა;
არ-სასმენლისა მოსმენა არს უმჟავესი წმახისა (896).

ტარიელმა ავთანდილს უთხრა: რა სახე დაგისურათო (სახე რა გითხრა) მისი (სამხრეს) უმაგალითო (უსახოსა) სახის შესახებ! იგი სამხრე არის ჩემი სიცოცხლე; ჩემთვის ახის, ოხვრის მომცემი, ეს სამხრე სჯობია ყოველ სოფელს, წყალს, მიწას, ხეს, — ყველაფერს; ის, რაც არ გასურს მოისმინო, წმახზე უმჯავესი არისო (წმახე — პირველ მჯავე რაღაცა მომჯავდეს. ს. ს. ორბ.).

ამგვარად, თვით ტარიელის თქმით, ნესტანისეული სამხრე მისთვის არის მისი სიცოცხლე, მისი მომჯადოებელი სიყვარულის ჯადო. და აქ იწყება დავა ავთანდილსა და ტარიელს შორის.

ავთანდილი ტარიელს ეუბნება: მაგის თქმას მოველოდიო, მაგრამ —

სჯობს ასმათისა არ ლევა მაგა სამხრისა ლევასა (897),

ანუ: სჯობია ასმათს არ შეელიო, არ მიატოვო; სჯობია დავბრუნდეთ მასთან; და მაგ სამხრეს კი შეელიო. და ამ თავის აზრს ავთანდილი ასე ასაბუთებს —

სამხრე გაბია ოქროსა, ოქრომჭედლისა დნობილი,
უასაკო და უსულო, არ სიტყვიერი, ცნობილი (898).

აქ ვტყობილობთ, რომ ნესტანისეული სამხრე ყოფილა ოქროსი; სამხრე არის უსხეულო (უასაკო) და უსულო, უტყვი (არ სიტყვიერი); ეს ცნობილია, ან უგონო (არ-ცნობილი).

ამნაირად, ავთანდილმა სამხრეს დაფასება ტარიელისა მთლიანად გადააყირავა და გააფუჭა. ეს სამხრე, რომელიც ტარიელისათვის იყო სიცოცხლე და ჯადოსნური ნიშანი მისი სიყვარულისა, — მან, ავთანდილმა უსიცოცხლო, უსულო საგნად გამოაცხადა და მასზე მაღლად ასმათი დააყენა: არსება ცოცხალი, ტარიელის დობილი, ნესტანის გამზრდელი, გაზრდილი. ასეთი დაპირისპირების წინაშე ტარიელი ასმათს უპირატესობას ანიჭებს, მაგრამ, ცხადია, ამით სამხრის მნიშვნელობა ტარიელისათვის იგივე რჩება — იგია მისი სიცოცხლე, მისი სიყვარულის ნიშანი, ჯადოსნური ძალით შეკრული.

ამგვარად, ვტნში გამოყენებულია არა მარტო ”ბედი” — ძველი და ახალი კულტურის დამახასიათებელი რწმენა, — არამედ მაგიის, მოგვობის, სიმპათეტიური ჯადოსნობის მოძღვრებაც, მისი ”სიცოცხლის ნიშანით”-ა და ”ამულეტი”. ძველთა ძველი და ვეფხისტყაოსანის ეს შეხედულება არამც თუ ცოცხალია დღესაც, არამედ ყველგან ფრიად დამკვიდრებულია, როგორც ევროპის, ისე დანარჩენ ქვეყანათა ცხოვრებაში.

დ). ალმასი

ჯადოსნური ძალა აქვს აგრეთვე ალმასსაც. ცნობილია, ალმასი არის უმაგრესი და უმტკიცესი პატიოსანთა თვალთა შორის და იგი ჯადოსნობაში (ჯადო — ჯადეგი — გრძნეულობის მოქმედი. ს. ს. ორბელიანი) დიდი მნიშვნელობისა არის. ალმასი არის ამულეტი, რომელი მის პატრონს სიმაგრეს, სიმტკიცეს, ძალასა და გამარჯვებას

ანიჭებს; და აი, სწორედ ეს აღმასი მოთავსებულია იმ საჭურველთა, ანუ საბრძოლო იარაღთა შორის, რომელნი ტარიელმა და ავთანდილმა იპოვნეს დევთა კიდობანში.

როდესაც ტარიელმა და ავთანდილმა დევთა კიდობანი ნახეს —

ზედა ეწერა: ”აქა ძეს აბჯარი საკვირველიო,
ჯაჭვ-მუზარადი, აღმასი, ხრმალი ბასრისა მჭრელიო;
თუ ქაჯნი დევთა შეებნენ, დღე იყოს იგი ძნელიო;
უმისჯამისოდ ვინც გახსნას, არის მეფეთა მკლველიო (1368).

პირველი შეხედვით საკვირველია, რატომ უნდა ყოფილიყო აღმასი ჯაჭვ-მუზარად-ხრმალთან ერთად. ოღონდ თუ ვიცით, აღმასი არის ძლიერებისა, სიმაგრისა და სიმტკიცის მქონებული ნივთი, რომელი ჯადოსნურად ამ ძალას ატარებს, მაშინ იოლად გასაგებია აღმასის მოთავსება საჭურველთან ერთად. მაშასადამე, ამ შაირში ნათქვამია — აქ ამ კიდობანში ძევს საკვირველი აბჯარი (ესე ზოგადი სახელი არს ყოველთა საჭურველთა და უფროსად საცვამთა ჯაჭუთა და მისთანათა. ეს არის ჯაჭვი — საცემი, საბრძოლო იარაღი; მუზარადი — ზუჭი — თავზე დასარქმელი, წინა-უკან გრძელი რკინა. ს. ს. ორბელიანი) და ხრმალი, რომელი ბასრის ფოლადსა სჭრის. და მათთან ერთად: აღმასი. თუ ქაჯნი დევებს შეებმინ, შეებრძოლებიან, ეს დღე იქმნება ძნელი, ხოლო ამ კიდობანის გახსნა ნებადართულია მარტო ამ დღისათვის, თორემ ისე, მისი გახსნა ისეთივე დანაშაულობა იქმნება ვითარცა მკვლელობა მეფისაო. ტარიელი და ავთანდილი სწორედ რომ ქაჯებთან ბრძოლას აპირებენ, და ამ მხრივ ეს წარწერა მათ მოქმედებას ამართლებს. და აქ საჭურველთან მოთავსებული აღმასი, ამულეტი, ჯადოსნული ძალის მქონებული გამარჯვების მომასწავებელია. და ტარიელ-ავთანდილმა ამიტომ —

თქვეს: ”ესე ნიშნად გვეყოფის, ვართო კარგითა ბედია (1371).
ამ ჯადოსნობის რწმენასთან დაკავშირებით ზედმეტად არ ჩავთვლი აგრეთვე გრძნებისა და მისნობის საკითხსაც შევხვო.

ე). გრძნება და მისნობა

ძველთა ძველი დროიდან გადმოცემულია ის რწმენა ის რწმენა, თითქო მთელი სამყარო კეთილი და ბოროტი სულებითაა დასახლებული. ეს რწმენა დაკავშირებულია იმ წარმოდგენასთან, თითქო ბუნების ყოველ მოვლენასა და თითოულ საგანს თავისი ღვთიური არსება ჰყავს, თავისი სული, ანუ ანიმა აქვს. ამ ანიმიზმიდან დაწყებული თანამედროვე მსოფლიო რელიგიებამდე, ყველა სცნობს და აღიარებს კეთილსა და ბოროტ სულს. ზარათუშტრას რელიგიაში ეს რწმენა განსაკუთრებული სიმახვილითაა მოცემული და აქედან სხვა რელიგიებში დაბუდებული. სატანა, ეშმაკი, დევი, მავნე, ქაჯი და სხვა მრავალი ასეთი, მრავალივე სახელით ცნობილი, კეთილის მოწინააღმდეგენი არიან. როგორ უნდა დაიცვას კაცმა თავი მათგან, ამ უამრავ მტერთაგან? ამ შემთხვევაში კაცი შემწეობისა და მფარველობისათვის ღმერთს მიმართავს, მაგრამ მან სხვა გზაც გამოსძებნა და თვითონ ამ სულთა დამორჩილება, ან მომადლიერება დაიწყო. ყველა ხალხის წარმოდგენით, გარეშე, ზებუნებრივი ძალა, როგორადაც იგი არ უნდა ისახებოდეს და რა სახელიც მას არ უნდა ერქვას, ამ ქვეყნად განაგებს ბედს, მოუვლენს მას

უბედურებას, სიკვდილის საფრთხეში აგდებს მას და კაციც მათ დაწყნარებას, დამშვიდებას ცდილობს, მათ მრისხანებათა და მტრობის, თუ მოსპობას არა, შელბილებას აპირობს მოსყიდვით, მსხვერპლით, ლოცვითა და მსახურებით. ამავე გზით კაცმა თვითონ მიიღო ძალა ზებუნებრივზე ზეემოქმედა და იგი დაემორჩილებინა. მაგრამ ასეთი რამ ყველას ხომ არ შეუძლია? ვის ძალუძს ეს? მხოლოდ მას, რომელს ამ ზებუნებრივ ძალებთან ახლო დამოკიდებულება აქვთ, მათ ემსახურებიან და მათთან მჭიდრო ურთიერთობაში იმყოფებიან; მხოლოდ ესენი აღწევენ ხელოვნებას, რომლით ამ ზებუნებრივ ძალებს იმორჩილებენ და თავის სასარგებლოდ გამოიყენებენ. ეს ხელოვნება ცნობილია ბევრი სახელით, მაგრამ ზოგადი მისი სახელია — ოკულტიზმი (მაგია, მოგვობა, მაჟი, ცაუბერაი, მისნობა, კუდიანობა, გრძნება და სხვა და სხვა), რომელი დღესაც ფართოდ გავრცელებულია. სიტყვა "გრძნეული" უკვე ბიბლიაში იხმარება: მოუწოდა ფარაო(მ) მათ მეგვიპტელთა, და გრძნეულთა და ყვეს გრძეულთა მათ ეგვიპტისთა...

სიტყვა "გრძნეული" ნათარგმნია ფრანგულად — ანშანტაორ; გერმანულად — ცაუბერერ, რუსულად — ვოლშეზნიკ.

გრძნეულობასან დაკავშირებით აუცილებლობით "მისანი"-ც არის ნახსენები —

გამოსლვათა 22,18 მისანთა ცოცხლად ყოფად ნუ დაუტოვებ

მეოთხე მეფეთა 9,22 გრძნებანი მისნი მრავალ

მეორე შჯულისა 18,10 ნუ ვინ იპოვების შენ შორის, რომელი განწმედდეს ძესა თვისსა გინა ასულსა თვისსა ცეცხლითა, ანუ მისნობითა, ანუ ავსა აზმნიდეს ჰავითა ზმნითა, ანუ წამლობდეს წამლითა, ანუ გრძნეულ გრძნეულებთა.

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, გრძნება არის ეშმაკით მოქმედება, ეშმაკთ მოქმედება; გრძნეული — ეშმაკურობის მომქმედი; ძველად მას კუდური ერქვა. ამას მსოფლიონი გრძნეულს უწოდებენ და არცა თვით იციან, და არცა მჩემებელთა მისთა, თუ რა არს და ვითარ არს გრძნების მოქმედება და ტყუილსა რასმე შესწმასნიან-ო.

გრძნება-მისნობა არის არა-ბუნებრივ არეში, — ეკუთვნის იგი მაგიას, მოგვობას, ეგრეთ წოდებულ "შავ ხელოვნებას", რომელიც ოკულტიზმის დარგისაა.

შუა საუკუნეთა ქართული კულტურისა და სიტყვა-კაზმულობის გვირგვინი — ვეფხისტყაოსანი — თავისი "გრძნებით" და "მისნობით" გამონაკლისს არ წარმოადგენს იმ საერთო რწმენაში, რომელი ყველგან და ყველა ხალხში იყო და არის დღესაც გავრცელებული. ვტნის მკითხველი ამ ჩინებულ რომანში "გრძნეულსა" და "გრძნებას" ეცნობა, რომელს მოთხრობის განვითარებაში თავისი განსაკუთრებული დანიშნულება აქვს, რადგან მარტო გრძნებისა და გრძნეულის მეოხებითაა შესაძლებელი ქაჯეთის ციხეში გამომწყვდეულ ნესტანთან ურთიერთობის დამყარება.

მისნობა და მისანი ვტნში პირველად აღნიშნულია, როდესაც დავარ იხსენება. დავარ იყო ინდოეთის მეფის ფარსადანის დაჲ, რომელი ქაჯეთში ყოფილა გათხოვილი და

იქ მისწობა უსწავლია. ის იყო ნესტანის აღმზრდელი და როდესაც ტარიელმა სასიძო მოჰკლა, ფარსადანმა, რასაკვირველია, ეჭვი ნესტანზე მიიტანა და თავის დას დაემუქრა: მას მოვკლავ, ვინც ასე ცუდად გამიზარდა ასულიო. ვინც ეს მუქარა მოისმინა, —

მან უამბო დავარ ქაჯსა, ვინ გრძნებთა ცაცა იცის (575).

დავარი აქ გამოყვანილია გრძნების მცოდნედ, რომელმა ცაც კი ცის, თუმცა მას ნესტანისა და ტარიელის განზრახული მკვლელობის შესახებ არაფერი შეუტყვია.

ფატმანს ჰყავს ორი მონა, ორივე გრძნებაში გაწრთვნილი. ქაჯების ციხეში შესვლა და ნესტანის ნახვა მხოლოდ მათი გრძნების მეოხებით შეიძლებოდა —

მე ორნი შავნი მონანი მყვანან საკსენი გრძნებთა:

უჩინოდ წავლენ-წამოვლენ მათითა ხელოვნებთა (1238).

აქ დასახელებული ”ხელოვნება” არის სწორედ ”შავი ხელოვნება”. ამიტომ ნესტანთან კავშირის დასამყარებლად ამ გრძნეულ მონას აგზავნის ფატმანი —

მოვასხენ, ქაჯეთს გაგზავნენ, ვარქვი თუ: ”ნუ დასდგებთა, მაცნობეთ მისი ამბავი თქვენისა მოქმედებთა (1238).

ეს გრძნეული მონა ციხეს უჩინრად შევიდა, ინახულა ნესტანი, მას ფატმანის წერილი მიართვა და მისგან წერილებიც მოიტანა და თან ცნობაც, რომ ქაჯეთში იმ დროს გრძნების მცოდნენი არ იმყოფებოდნენ, წასულნი ყოფილან —

კაცნი გრძნებისა მცოდნენი, ზედან გახელოვნებულნი (1247),

რომელნი სხვას ავნებენ, აბრმავებენ, ქართ აღძრავენ, ზღვას აღელვებენ, ნავებს დაამხობენ, ზღვაზე ფეხით გაივლიან, წყალს დააშრობენ, ბნელს ანათობენ და დღეს აზნელებენ... ასეთია ქაჯეთის მგრძნებელთა ხელოვნება.

ავთანდილი მოსწრაფეა გაიგოს ნესტანის ამბავი და ამიტომ ფატმანსა თხოვს —

მომგვარე, ქაჯეთს გაგზავნო იგივე მონა გრძნეული, ქალსა ვაცნობოთ ყველაი ამბავი, ჩვენგან ცნეული (1267).

ფატმანი ავთანდილის თხოვნას ასრულებს —

მოჰგვარა მონა გრძნეული, შავი მართ ვითა ყორანი, უბრძანა: ”ქაჯეთს გაგზავნი, წა, გზანი გისხენ შორანი (1269).

და თან უმატებს —

აწ გამოჩნდება სახმრობა ჩემი შენისა გრძნებისა (1269),

ესე იგი: აწი ჩემთვის გამოჩნდება, სახმარია, გამოსადეგია თუ არა შენი ხელოვნებაო.
და —

ფატმან მისცა დაწერილი მას გრძნეულსა, ხელოვანსა (1276).

და რა ქმნა ამ შავმა ხელოვანმა მონამ? —

მან გრძნეულმან მოლი რამე წამოისხა ზედა ტანსა,
მასვე წამსვე დაიკარგა, გარდაფრინდა ბანი-ბანსა (1276).

წავიდა ვითა ისარი კაცისა მშვილდ-ფიცხელისა.
რა ქაჯეთს შეჰხდა, ქმნილ იყო ოდენ ბინდ-ბანდი ბნელისა,
უჩინოდ შევლო სიმრავლე მოყმისა, კართა მცველისა,
მას მზესა ჰკადრა ამბავი მისისა სასურველისა (1777)

ციხისა კარნი დახშულნი შევლნა მართ ვითა ღიანი,
შევიდა ზანგი, პირ-შავი, თმა-გრძელი, ტან-ნაბდიანი;
იგი მზე დაკრთა, ეგონა სამისო რამე ზიანი (1278).

მზეს ნესტანს, ცხადია, პირველად შეეშინდა მოულოდნელად და არა-ბუნებრივად
მის საკანში შავი კაცის გამოჩენისა, მაგრამ გრძნეულმა იგი დააწყენარა.

აქ საყურადღებოა ერთი მოვლენა — გრძნეულმა სწრაფი სვლისათვის და უჩინოდ
მყოფობისათვის ტანზე "მოლი" წამოისხა; ეს მოლი, ანუ ნაბადი არის შავი. თვითონ
მონაც არის შავი. და ეს არის "შავი ხელოვნების" დამახასიათებელი ნიშანი.
ნესტანსაც სჯერა გრძნებისა და იგი თავის მხლებელთ (როდესაც იგი ორ შავ მონას
ჩააბარეს) გრძნეულად სთვლის და ამიტომ ფატმანს მაღლობას ეუბნება —

შენ ორთა დამხსენ გრძნეულთა, გამიადვილე ჭირები (185),

და ამასვე აცნობებს იგი ტარიელს —

ფატმან წამგვარა გრძნეულთა, ღმერთიცა მას ეტერების (1293),

ანუ: ფატმანმა წაართვა ჩემი თავი (წამგვარა) გრძნეულებს, რომელთაც იგი
კიდობანში ტყვედ ჰყავდათ, და ამიტომ ფატმანს ღმერთი დაიფარავს, დაიცავს,
მოუვლის (ეტერების) სამაგიეროდ.

ავთანდილსაც სჯერა გრძნეულთა ხელოვნებისა. იგი ამბობს, ჩემს სატრფოს
თინათინსო —

არცა რა უმძიმს ქაჯთაგან, არცა გრძნეულთა გრძნებითა (1474).

და დაბოლოს, "მისანის" შესახებ ლაპარაკობს ტარიელი. იგი მას ახსენებს, როცა —

მან ჰბრძანა: ”მაგას არა ვიქმ, ამას არ უნდა მისანი (1480),

და დასასრულ დავარის შესახებ კიდევ განმეორებულია —

მამიდაი ქაჯი იყო, გრძნეულობა იცის კარგა (1585).

როგორც უკვე აღვნიშნე, მისნობა და გრძნეულება ყველა ხალხსა რწამდა და მათ შორის ქართველსაც. მაგრამ როგორც ყველგან, საქართველოშიც ებრძოდნენ მას, რადგან არსებითად ეს ”შავი ხელოვნება” მოტყუებაზე იყო აგებული. ჯერ კიდევ ათაბაგ ბექა-აღბულას (მე-14 — 15 საუკუნეში) კანონთა მუხლით 146 აკრძალულია გრძნეულება და იგი დიდ დანაშაულადაა ჩათვლილი. ვახტანგ მეფის კანონთა § 251 ეხება მკითხავეებს, მარჩიელებს, ჯადოსნებს, კუდიანებს და ჰკრძალავს მათ საქმიანობას, ხოლო ვინც ეწევა მას, იგი დაწყევლილია ღმრთისაგან, და კანონითაც დაისჯებაო. მეფე ერეკლე მეორეც იძულებული გამხდარა ამის შესახებ განსაკუთრებული განკარგულება გამოექვეყნებინა, რომელში ნათქვამია —

ჩვენ ერეკლე მეფემან, მპყრობელმან ქართლისა და კახეთისამან, ნებაყოფლობითა სრულ ერთიანად ჩვენის ქვეყნების თავადთა, აზნაურთა, დიდ ვაჭართა და გლეხთათა... ღმრთის მოწყალებით ამას ზედა დიად გულ დაჯერებულ ვართ, რომ ჩვენს ქვეყანაში არც ყოფილა და არც არის ამისთანა ავნი და ღვთის განმარისხებელნი საქმენი, მაგრამ ჩვენს ხალხს ვაბრთხილებთ... თუ ვინმე ამისთანა საქმის მქმნელნი გამოჩნდეს — ან მომწამვლელნი, ან კაცის შემკვრელნი, ან სიყვარულისა და საძულვარის წამლის მიმცემნი... ესენი უნდა ძალიანი და საანდაზოს ჯაჯაებით დაიხოცნენ-ო. (ჯაჯა — დამნაშავის კაცის ტანჯვა. ს. ს. ორბ.).

ასევე სასტიკად ექცეოდა გრძნეულობას და მისნობას ბიზანტიური და ფრანკო-გერმანული კანონმდებლობაც. მაგრამ ეს ”შავი ხელოვნება” თავის არსებობას მაინც განაგრძობდა და დღესაც არა აქვს მას მნიშვნელობა დაკარგული არამც თუ ჩამორჩენილ, არამედ განვითარებულ ხალხთა შორისაც.

ამგვარად, ვტნში ნაჩვენებია ხალხური და მასთან ერთად პირველყოფილი რელიგიური მსოფლგაგების ნიმუშიც. ეს მსოფლგაგება საერთოა ყველა ხალხისათვის, როგორც მოსეს, ისე ქრისტეს, ისე მაჰმადის და ბუდთას მიმდევართა შორის, და ამნაირადვე ვეფხისტყაოსანშიც.

თავი 2. შვიდი და ცხრა

ა). შვიდი — წმიდა რიცხვი

შვიდი ცა. შვიდი ღმერთი. შვიდი მნათობი. რიცხვი წმიდა — შვიდი.

ბაბილონ-ქალდეანთ ქვეყნიერება, ანუ კოსმოსი ერთ მთლიანად, ერთ სრულადად წარმოედგინათ, ესე იგი, რაც ზემოდ მყოფია, იგი ქვემოდ მყოფიც არის; არ არსებობს ცალკეულად ზემო და დამხე (ქვეითი); ამიტომ ერთი სრულიადია ყოველი და ერთი მეორეს შესატყვისი. ამ აზრის შედეგად, შვიდ ცას შვიდი ხმელეთი შეეტყვისება — არსებობს შვიდი ცა და შვიდი ხმელეთი. ამ მიწიურ შვიდ ხმელეთს შეეტყვისება

კიდევ ციური შვიდი ხმელეთი, ცაში მყოფი შვიდი დედამიწა, რომლის უმაღლესი, ზენა მიწა ღმერთ ენლილს ეკუთვნის. ქვემოთის, ანუ დამხის შვიდი მიწა კი ექვსას ანუნნაკი-ს სამფლობელოა და აქ მიწათა უკანასკნელ სართულში დემონები ცხოვრობენ. ამ შვიდ ცათა და შვიდ ხმელეთთა შეხედულებიდანაა წარმოშობილი ძველ ბერძენთა სწავლა შვიდი კლიმატის, და შემდეგ არაბული შვიდი იყლიმის, ანუ კლიმატის შესახებ. ²³¹.

ამგვრად წარმოსდგა რიცხვი შვიდი ვითარცა წმიდა. და მან მრავალ გვარი მნიშვნელობა მიიღო რელიგიაში და ცხოვრებაში. მაგალითად, ბაბილონურ-ქალდეურ-სირიულ ცხოვრებაში რიცხვს 7-ს განსაკუთრებული ადგილი ეჭირა — 7 მნათობი, 7 ღმერთი, 7 ცა, 7 ზღვა, 7 ქვესკნელი, 7 კლიმატი, 7 გალავანი, რომელი მკვდართა სამეფოს არტყია, 7 კარი ამ გალავანთა, შვიდი გუშაგი ამ 7 კართა, 7 სამოსელი, რომელთ იშტარი, ანუ ვენუსი იქ სტოვებს; 7 სახელი საშინელი დემონისა — ლაბარტუ, 7 ბოროტი სული, 7 გველეშაპი, 7 ვარსკვლავნი პლეიადისა (ეს 7 ებრაელთა ღმრთის იაჰვეს, ანუ იეგოვას შვიდი თვალია), 7 მთავარი ვარსკვლავი "დიდი სასწორისა", 7 ვარსკვლავი "პატარა დათვისა", 7 ვარსკვლავი "დიდი დათვისა", 7 ვარსკვლავი "ტყუბისა", 7 — "ჰიადისა", 7 — "ორიონისა", 7 ლოცვა, 7 ცოდვა, 7 განწმედა, 7-ჯერ შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა, 7 მსხვერპლი, 7 შელოცვა, 7 დაწყევლა, 7 შურისძიება, 7 მარხვა, 7 დაღუნვა ლოცვაში, 7 დღე კვირისა, 7-ჯერ ოთხი კვირა, ანუ ერთი თვე, 7 სხივი მნათობთა (3 — მაღლისაკენ, 3 — ქვემოთაკენ, 1 — პირდაპირ), 7 ფერი, 7 ლითონი, 7 კილო, ანუ ჰანგი, 7 მდინარე, 7 ქარი, 7 ბრძენი, 7 საფეხური ტამართა, 7 კოშკი სასახლეთა, 7 გალავანი ქალაქთა, 7 კალთა კოსმოსური სამოსელისა, 7 კულული გილმამეშისა, 7 შტო სიცოცხლის ხისა, 7 რიცხვი ქალაქ ურუკისა, 7 ტყუბი ასული, 7 ვაჟი ენმეარარასი, 7 დღე იწევს წყალი წარღვნისა, 7 დღე დაიწევს წყალი წარღვნისა, 7 წელიწადი წარღვნისა, 7 ჰასაკი, 7 ნაწილი სხეულისა, 7 თვისება სულისა, 7 წვენი, 7 ყვავილი, 7 ქვა, 7 ასო ანბანისა, 7 პირუტყვი, 7 სათნოება, 7 ხელოვნება, 7 მეცნიერება და სხვა და სხვა. ²³².

ცნობილი გერმანელი მეცნიერი ვ. ჰ. რომერი ამტკიცებს, რიცხვისა "შვიდი და ცხრა" სიწმიდის მნიშვნელობა ბოლოს და ბოლოს მთვარის მიერ განსაზღვრული დროით არის დამყარებული, რომელიც თავის მხრივ მთვარის შვიდსა და ცხრა ფაზიან მოვლენას ეყრდნობა; ²³³. მაგრამ ბევრი სხვა მკვლევარი მთავარ მნიშვნელობას ამ საკითხში მაინც შვიდ მნათობს მიაწერს.

თუ რა ფართოდ იყო გავრცელებული რიცხვისა "7" წმიდანობა, ამას დავინახავთ უბრალო ჩამოთვლით — საბერძნეთში: 7 იყო წმიდა რიცხვი აპოლონურ რელიგიაში, ჰელიოსის (მზის), სელენეს (მთვარის), ორფეოსის, დიონისიოსის კულტში; ფრიგიაში: მენ-ის (მთვარის) კულტში; ინდოეთის რელიგიებში, ბუდთიზმში, ზარათუშტრას სწავლაში, ეგვიპტურ რელიგიებში და მოსეს რჯულში; ქრისტიანობაში და მაჰმადიანობაში. ამ უკანასკნელში არის 7 ცა, 7 ხმელეთი, 7 ზღვა სინათლეთა, 7 ხარისხის ნივთიერებისაგან შემდგარი ურიცხვნი ეთერული სივრცენი და სხვა და სხვა. ²³⁴.

სოლონს თავის ელეგიაში ჩამოთვლილი აქვს კაცის წლოვანების საინტერესო განაწილება შვიდეულად — 1. შვიდი წელიწადი ბავში კბილთა გამოცვლას უნდება. 2. მეორე შვიდეულზე იწყება ყმაწვილობა. 3. მესამე შვიდეულზე — წვერ-ულვაში. 4.

მეოთხე შვიდია — წელი ფიზიკური დასრულებისა. 5. მეხუთეს განმავლობაში — ცოლი და ოჯახი. 6. მეექვსე შვიდეულში — გონებრივი მომწიფება. 7. მეშვიდედან და 8. შვიდეულში — სიბრძნე. 9. მეცხრედან — დასუსტებისა და დაცემის ხანა და 10. მეათე შვიდეულიდან — ადამიანი მიდის სიკვდილისაკენო. ²³⁵.

ქრისტიანულ საქმიანობაში და მწერლობაშიც შვიდს დიდი მნიშვნელობა აქვს — შვიდი საიდუმლო, შვიდი ცოდვა და სხვა. იოანე მოციქულის გამოცხადებაში (აპოკალიპსის) თავიდანვე ლაპარაკია შვიდ ეკლესიაზე და მერმე მოხსენებულნი არიან — შვიდნი სასანთლენი ოქროსი, ვარსკვლავნი შვიდნი, ანგელოზნი შვიდთა ეკლესიათანი, შვიდნი ლამპარნი ცეცხლისანი, შვიდნი იგი სულნი ღმრთისანი, ბეჭედნი შვიდნი, შვიდნი რქანი და შვიდნი თვალნი კრავისა, შვიდნი საყვირნი, შვიდნი ქუხილთა ხმანი მათნი, თავნი შვიდნი, გვირგვინნი შვიდნი, შვიდნი ლანკანნი ოქროსანი და სხვა.

ქართულ შემეცნებაშიც რიცხვი ”შვიდი” არის წმიდა — შვიდი ხელი ბოჩისა (კერპისა), შვიდი ნათესავი თარგამოსიანთა, შვიდნი ძმანი სოლომონისნი, რომელნი საქართველოს მოვიდნენ და რომელთა შთამომავალნი ვითომ ბაგრატიონნი არიან. ²⁰⁴. გვ. 233. შვიდი ნათესავი ქართლოსისა, შვიდი წლის შემდეგ რაც წმიდა ნინო ქართლს მივიდა, მეფე მირიანის გაქრისტიანება, შვიდი სვეტი კედლისა დამზადდა ეკლესიის ასაგებად, მეშვიდე სვეტი იყო სვეტიცხოველი, შვიდთა მთეულეთთა ანუ შვიდნი მთეულეთნი = ჟინვანი და მისი მხარე, შვიდი სადროშო და სხვა.

ქართულ ისტორიულ მასალებში ”შვიდი” წმიდა რიცხვად იხმარება ქართულ სამეფოთა აღსანიშნავად. მაგალითად —

გიორგი მესამემ იპყრნა შარავანდედნი მეფობისანი შვიდ სამეფოდ განწესებულისანი... შემყრელთა დიდებულთა შვიდთავე ამის სამეფოთათა... თამარ მორჩილებდა პირველსავე ბრძანებასა დიდებულთა შვიდთავე სამეფოთასა... შვიდთავე სამეფოთა სპათა და სხვა.

რიცხვი ”შვიდი”, — სამართლიანად ამბობს აკ. ივანე ჯავახიშვილი, — რასაკვირველია სინამდვილეს არ შეეფერება, საქართველოში შვიდი სამეფო არ არსებულა. ”შვიდი” აქ იმიტომ არის დასახელებული, რომ იგი ბედნიერ რიცხვად ითვლებოდა-ო. ²²¹. გვ. 5. ”შვიდი” წმიდა რიცხვი იყო, და ამგვარად: ბედნიერი.

აქედან ცხადია, რიცხვს ”შვიდი” მსოფლიო მნიშვნელობა ჰქონდა და იგი ვით წმიდა რიცხვი, ქვეყნიერების ყოვლადობისა და მთლიანობის გამომსახველი იყო. ”შვიდი” გახდა უმაღლესი ძალის გამოხატულებად და ბედნიერების აღმნიშვნელად.

ბ). ცხრა — წმიდა რიცხვი

წმიდა რიცხვი ”ცხრა” წარმომდგარია წმიდა რიცხვისაგან ”სამი” (სამჯერ სამი) და მასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რელიგიებში და ცხოვრებაში, როგორც მაგალითად საბერძნეთში — ცხრა წელიწადი სიცოცხლისა ტეირეზიასი, ორფეოსისა, ცხრაღლიანი დღეობა აპოლონ კარნიოსისა (სპარტაში), ცხრაღლიანი მშობიარობა, ოდეს ლეტო აპოლონოს ბადებდა, ცხრაჯერ ჩაყვინთა თრაკიის ტრიტონის ჭაობში აპოლონურ

გედად გარდაქცევისათვის. ცხრა აპოლონური თვე დელფოსის კულტში, ცხრა მუზა პარნასისა, ცხრა სიმი აპოლოს ჩანგისა, ცხრა მამაკაცი აპოლოს კულტისა, მეცხრე დღე თვისა ჰელიოსის (მზის) კულტში, ცხრა თვე მისდევს მინოსი ბროტომარტისს, ცხრა თვე მარხვისა ბაკხოსის მისტერიებში, ცხრა საკურთხეველი, ცხრად განაწილება მსხვერპლისა, ცხრა ჭიქა ღვინის დალევა, ცხრა დღე გლოვისა დემეტრეს კულტში, ცხრა დღე კვირისა, ცხრა განწმედის წესში, მკითხაობაში და სხვა და სხვა. ამგვარადვეა ინდოთა, სპარსთა, რომაელთა, კელტთა, გერმანთა და სხვა ხალხთა შორისაც.

ქართულშიც "ცხრა"-ს აქვს წმიდა მნიშვნელობა — ცხრა მთა, ცხრა ზღვა, ცხრა თვალი, ცხრა წყაროს, ცხრით დათვლა და სხვა.

მაგრამ წმიდა რიცხვთ — შვიდი და ცხრა — ედავებოდა რიცხვი თორმეტი, რომელი 12 ზოდიაკოს გამომხატველი იყო. ძველ ბერძენთა ღმერთების რიცხვი იყო 12, ოლიმპოსის ღმერთები; რომში მთავარ მღვდელთა რიცხვი იყო 12, ომის ღმერთის გამომხატველი 12 ფართი; ებრაელთა მთავარი მღვდელი ატარებდა თავის მკერდზე ფარს 12 პატოსანი თვალით მოოჭვილს და საზეიმო წირვის დროს მას 12 ზანზალაკი (ზარი) ჰქონდა. ქრისტეს 12 მოციქული ჰყავს. პასექზე ებრაელნი 12 უნდა ისხდნენ კრავის მისართმევად. მეფე არტური 12 რაინდითაა შემორტყმული. თორმეტი იყო ისრაელთა ტომი, აგრედვე ბერძენნი, გერმანი ხალხები 12 პროვინციად ჰყოფდნენ თავის ქვეყანას და სხვა.²³⁵

ყველა ეს რწმენა რიცხვთა სიწმიდის და ბედნიერების შესახებ ასტრალური, ანუ ვარსკვლავური მითოლოგიიდან გამოდის და იგი ასტრალური რელიგიის საფუძველზე შეიქმნა, რაც თავის მხრივ კალენდარულ მითოლოგიაზე ემყარებოდა.

გ). ვეფხისტყაოსანის შვიდი და ცხრა

რიცხვი შვიდი კეთილ და წმიდა, ბედნიერ რიცხვად ითვლებოდა და მას იგივე მნიშვნელობა დღესაც შერჩა. ამ რიცხვს ვხვდებით ქვეყნებთან და მხარეებთან დაკავშირებითაც — მეფის სახელწოდებაში ხშირად იხსენება მეფე ვითარცა შვიდთა სამეფოთა, ან შვიდთა მეფეთა მეფეთ-მეფე. საქართველოს შვიდთა სამეფოს უწოდებდნენ და ქართველ მეფეს შვიდთა სამეფოთა მეფეს, თუმცა იქ შვიდი სამეფო არ არსებულა. მაგრამ ეს "შვიდი" ბედნიერი რიცხვი იყო. ამავე მოვლენას ვეცნობით ვეფხისტყაოსანშიც, როცა ტარიელი ინდოეთის შესახებ მოგვითხრობს —

ინდოეთს შვიდთა მეფეთა ყოვლი კაცი ხართ მცნობელი (311).

მამა-ჩემი ჯდა მეშვიდე, მეფე მებრძოლთა მზარავი (312),

ტარიელს და ცოლსა მისსა მიჰხვდა მათი საწადელი, —

შვიდი ტახტი სახელმწიფო, საშვებელი გაუცდელი (1637).

უეჭველია, აქ რიცხვს მხოლოდ ასტროლოგიური მნიშვნელობა აქვს — შვიდი არის ბედნიერი რიცხვი და ეს ბედნიერება ამ სახელის ძალით: — შვიდი — უნდა თვით სამეფოზე გადასულიყო, და ესაა "სახელის" საშუალებით, "რიცხვით" მოჯადოება.

ვტნში ვხვდებით კიდევ სხვა გვარ "შვიდსაც". ავთანდილმა ასმათი გაარისხა ტარიელის ამბავის გაგების ცდის დროს და შემდეგ იგი მის წინაშე ბოდიშს იხდის —

უთხრა: "ვიცი, აღარ ვარგხარ, შენ აწ ჩემად დასადობლად,
გაგარისხე, დაგრჩომივარ ღარიბად და ამად ობლად,
აწ ეგრეცა თავი ჩემი დამიც შენთვის დასანდობლად,
ამად რომე შეცოდება შვიდ-გზის თქმულა შესანდობლად (246),

ანუ: ვიცი, რადგან ჩემზე გაჯავრებული ხარ, შენ ასმათ, აღარ ვარგხარ აწი ჩემ დად გასახდომად (დასადობლად), ესე იგი, შენ მე ძმად აღარ გამიხდიო; ამიტომ დავრჩი შენს წინაშე უცხოდ, უთვისტომოდ (ღარიბად) და ობლადო; ახლა კი ჩემი თავი დამიდვია შენთვის დასანდობლად, ანუ მისანდობელად, რადგან თქმულა: ცოდვა კაცს შვიდჯერ ეპატივებაო. "შვიდი" აქ არის რიცხვი მონანიებისათვის ცოდვათა, რაც რელიგიებშია მიღებული, ცხადია, ასტროლოგიურ საფუძველზე.

ვტნში არა ერთჯერ არის დასახელებული შვიდი მნათობი, მაგრამ ეს საკითხი ხომ ცალკეა გარჩეული აქვე. ამის გამო ვტნში "შვიდი" რამოდენჯერმეა აღნიშნული და რიცხვთან "რვა" გადაბმულობითაც.

ავთანდილი ტარიელს ეძებს და მთიდან —

გამოჩნდა მუნით მინდორი, სავალი დღისა შვიდისა (184).

ნესტანის შესახებ ნათქვამია —

შვიდისა წლისა შეიქმნა ქალი წყნარი და ცნობილი (327).

(ცნობილი — გონებიანი, გონიერი).

ზღვათა მეფემ ტარიელსა და ნესტანს ქორწილი გადაუხადა და ყველა შვიდი დღის განმავლობაში ანადიმა —

ზღვათა მეფე გარდაიხდის მუნ ქორწილსა მეტად დიდსა,
ქაჯეთისა დაუმაღლა, არ გაუშვა დღესა შვიდსა (1437).

"შვიდი" აქ ყველგან არის ბედნიერების რიცხვი და არა უბრალოდ ლექსისათვის ნახმარი სიტყვა: — სწორედ ამ შვიდი დღის სავალ მინდორზე იპოვნა ავთანდილმა ტარიელი ხატაელთა შემწეობით; შვიდი წლის ქალი ნესტანი გონიერია და ბედნიერი; შვიდი დღის ქორწილი — ბედნიერად დროს გატარება.

ტარიელი და ფრიდონი შვიდი წლის უნახავნი არიან და სწორედ შვიდი წლის შემდეგ ფრიდონი მის ამბავს გებულობს ავთანდილისაგან, და ეს სასიხარულო, საბედნიერო ცნობაა, ხოლო ამასთან დაკავშირებული მოთქმა — სიხარულის ნაყოფია.

ფრიდონ ტირს, მოთქვამს ხმა-მაღლად, გაყრილი წლისა შვიდისა (1006).

ავთანდილის შვენებას ფატმანს მებაღე ასე აუწერს —

საროსა მსგავსი ნაზარდი და მთვარე დღისა შვიდისა (1073).

შვიდი დღის მთვარე, როგორც ვიცით, სილამაზის სიმბოლოა და ამასთან ბედნიერების მაჩვენებელიც.

შვიდთან გადაბმით ვტნში იხმარება ”რვა”, რომელს მარტო ლექსის გაწყობისათვის აქვს მნიშვნელობა.

ფრიდონმა ნესტანის მოსაძებნად მენავენი გააგზავნა და დაავალა —

თავთა ჭირი უათასეთ, რადმც უშვიდეთ, ანუ ურვეთ? (639).

შვიდი და რვა ჭირი კი არა, არამედ ათასი ჭირი, გაჭირვება გამოაცდევინეთ თქვენს თავსო.

როდესაც ტარიელს სურს თავის მხლებელთ გამოემშვიდობოს, მაშინ —

მონათა და ამა ასმათს სიტყვა ვუთხარ შვიდი თუ რვა (650)

ვტნის ინგლისურად მთარგმნელმა მარჯორი უორდროპმა ყურადღება მიაქცია იმ მოვლენას, რომ ტარიელის სიტყვის პირველ სტრიქონშია — შვიდი და მეორეში — რვა, და მესამეში — ისევ შვიდი სიტყვა —

ვიცი, რომე დამირჯიხართ, დია გმართებს ჩემი მდურვა,
აწ წადით და მე დამაგდეთ, ეტერენით თავთა თქვენთა,
ნულარ უჭვრეტთ ცრემლთა ცხელთა, თვალთა ჩემთა მონადენთა (650, 651).

ყმამან ჰკადრა: ”სიახლითა შევრთე ჭირი შვიდსა მე რვა (707),

ერთმანერთსა შემოსტყორცნის, რვა ცხრასა და ცხრა ჰკრის რვასა (1189),

ფრიდონისგან უსაზომო ქორწილია დღესა რვასა (1468).

საერთოდ კი ”რვას” არავითარი სიმბოლიური მნიშვნელობა არა აქვს, ხოლო რაც რიცხვს ”ცხრა” შეეხება, მას აქვს სიმბოლიური მნიშვნელობა მხოლოდ იქ, სადაც იგი მარტოდ არის ნახმარი —

უბრძანა ცხრათა ხადუმთა დადგომა მცველად კარისად (1189),

ცხრა მარგალიტი, სიდიდით მართ ვითა კვერცხი ბატისა, (1465),

ფრიდონს უძღვნა ცხრა ტაბაკი მარგალიტი თავ-შედგმული (1559),

ყველა ამ შემთხვევაში "ცხრა" არის ბედნიერების სიმბოლო.

ამ რიცხვთ გარდა ვტნში დასახელებულია რიცხვი "ერთი", რომელს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, და იგი "ღმერთს" აღნიშნავს, ოღონდ ეს საკითხი ცალკეა გარჩეული ("ვტნის ღმრთისმეტყველება"). სხვა რიცხვებს: ორი, სამოცი, სამასი, ასი ათასი, ბევრი, და სხვა არავითარი სიმბოლური მნიშვნელობა არა აქვთ.

ამგვარად, ვეფხისტყაოსანში რიცხვთა მიმოხილვამ გვიჩვენა, რომ შეხედულება წმიდა და ბედნიერ რიცხვზე — შვიდი და ცხრა — იმავე ასტროლოგიურ წრეშია მოთავსებული, და შეთვისებული რელიგიათა და ხალხთა რწმენით, როგორც ყველგან.

დასკვნა

როგორც ვნახეთ, ბედის მოვლენის აღსანიშნავად ვეფხისტყაოსანში ხმარებულნი არიან შემდეგნი ცნებანი —

1. ბედი ვითარცა ბედი, კარგი ბედი
2. ბედი ვით უბედურება
3. სვე — ბედნიერება, კარგი ბედი
4. დაბადება — ვარსკვლავური ბედი, ჰოროსკოპი
5. ეტლი — ბედი ვარსკვლავთაგან, ჰოროსკოპი
6. მოწვენადი — მომავალი, ბედი ვარსკვლავთაგან გადაწყვეტილი
7. მოსაწევარი — ბედით დატეხილი უბედურება
8. დავლათი — ბედი, კარგი ბედი
9. დავლა — ბედი, კარგი ბედი
10. ფათერაკი — ბედის ავი სახე, უბედური შემთხვევა
11. წაღმართი — ბედნიერი, კარგი მომავალი
12. წერა — ბედის წერა
13. ნიშანი — ბედის ნიშანი
14. ჟამი — ბედის გამოსახულება
15. სოფელი — ბედი
16. საწუთრო — ბედი
17. ცა — ბედის გამომსახველი
18. ბორბალი ცისა — ბედის გამომსახველი
19. შვიდი — ბედნიერი რიცხვი
20. ცხრა — ბედნიერი რიცხვი

ბედის შესახები სწავლათა განვითარებიდან გავიგეთ — ბედი ყველგან და ყველა ხალხში რწამთ, და ამ ბედს არსებითად ორ გვარი მნიშვნელობა აქვს. 1. ბედი ღმერთზე უზენაესია და 2. ბედი ღმერთზეა დამოკიდებული. ვეფხისტყაოსანში ჩვენ ბედის მეორე სახეს ვეცნობით.

ბედი ვეფხისტყაოსანში (თუმცა ხან და ხან მოჩანს, თითქო განცალკევებული და თვითმყოფია, რაც ზერელე შთაბეჭდილებაა), ღმერთზეა სავსებით დამოკიდებული და, მაშასადამე, აქ ჩვენ საქმე გვაქვს დამოკიდებით, პირობით, რელატიურ ბედის იდეასთან.

ვეფხისტყაოსანში ღმერთი არის ბედის გამგე და უფალი.

თავის თავად ბედი არის უხანო, დაუდგრომელი, ცვალებადი; მას კაცი არ უნდა მიენდოს; მას არ უნდა დაეყრდნოს; თავი უზრუნველად არ უნდა ჩათვალოს, არამედ გონივრულად უნდა მიიღოს იგი — ბედნიერებით არ უნდა გაგიჟდეს, გაამპარტავნდეს, ზვიადი არ უნდა გახდეს; და უბედურებით არ უნდა გადაირიოს; საჭიროა მოთმინება; ხამს მოთმენა; საჭიროა ცდა, ანუ გმირობის გამოჩენა; საჭიროა ბრძოლა და გამარჯვება მოვა, რასაკვირველია, ღმრთის შემწეობით, უზენაესის წყალობით. ამნაირად, ადამიანი მიდის ისევე ღმერთთან.

სადავო არაა, ბედის იდეის პირობითი, რელატიური გაგება არ არის ფატალისტური და ვტნის ბედი არ უარჰყოფს კაცის თავისუფლებას; არ უარჰყოფს პიროვნების მნებელობას, არ შელახავს პიროვნების უფლებას; და ზნეობრივად მას არ ამდაბლებს და არ აზიანებს.

კარი მეექვსე

ბედის საკითხი აღმოსავლეთის მწერლობაში

თავი 1. ბედი ვისრამიანში

სპარსული ”ვისისა და რამის” სიყვარულის მიხედვით, ქართულ ვისრამიანში ბედის საკითხი იმავე სიმწვავეთაა წარმოდგენილი, როგორც საერთოდ შუა საუკუნეთა მწერლობაში.

თავიდავე ვისრამიანში განსაზღვრულია ბედის ხასიათი — ურიცხვია საქმე და ღალატი ბედისა. ბედი კვანძავს ნასკვს იმ გვარად, რომ მოხერხება და სიბრძნე ათასისა ვერ გახსნის მას; ღალატი ამ წუთისოფელისა, რომელიც არავის სრულ ვაებას ან ლხინს არ ანიჭებს; მისი ლხინი და ჭირი, ორივე ერთნაირად წუთიერია; იგი არის ბავშვივით; იგი იცინის რამეზე და გაძლევს რამეს; იგი ტირის, და თუ რამე ხელთ მოგცა, მას უკანვე მოითხოვს; როდესაც ვისის გათხოვება გადასწყვიტეს ვიროზე, მოიწვიეს ყველა მხარიდან მუნეჯიბნი (ასტროლოგოსნი), რათა დასაქორწილებელთა ბედი ვარსკვლავთა განლაგების მიხედვით გამოერკვიათ; ასტროლოგოსებმა აირჩიეს

კარგი დღე, შემოკრბნენ და იმსჯელეს, გამოარჩიეს კარგი, ბედნიერი დღე და ვარსკვლავთა ბედნიერი განლაგების მიხედვით საქორწილო დღე დანიშნეს; ზარდი ეუბნება მოაზადს: იყავ ბედნიერ ღმრთისაგან და ბედისაგან; ვიროს გაუკვირდა ბედისა, რომელი არს უხანო, ცვალებადი; შენ ვერ გაექცევი ღმრთის განგებას და რაც შენ კეთილმა ეტლმა მოგცა, მის შეცვლას ვერ შესძლებ. უეჭველია, არ ფიქრობ მოერიო ღმრთის განგებას! თუ ღმერთმა და ჩემმა ბედმა შენი თავი მომცა, ღმრთის განგებას ნუ ეურჩები: ღმრთის განგებამ მოიტანა ეს, და ეს დაწერილია შენს შუბლზე; ვარსკვლავედი, ეტლი არის ბედის გადაწყვეტი; ზოდიაკონი განაგებენ ბედს; ვისო სწყევლიდა თავის ბედს და მის ღალატს, რადგან ერთი წუთითაც ახალგაზრდობაში არ გაეხარებინა; ნუ ებრძვი ბედს; ნუ აიღებ საჭურველს ღმრთის განგების წინააღმდეგ; ვერავინ ვერ ასცდება მას, რაც უნდა მოხდეს; ვერც ტირილით შეაშინებ განგებას, ვერც მომავალს მოიშორებ. ო, დაწყევლილო ჩემო ბედო! რამინ მისჩერებოდა ვარსკვლავებს და ღმერთს ევედრებოდა, შეეცვალა მისი ბედი; ფილაქთა (ცათა) სამისოდ მოქცევისათვის ღმერთს ეაჯებოდის; ვისი გაიძახოდა თავისი ეტლისა და ბედის წინააღმდეგ; რატომ დავიზადე მე უბედური; ებრძოლე შენს თავს და ბედს; ყოველ დღე ახალი ჭირი მემატება ეტლთაგან; ვარსკვლავთაგან და თვით ეტლთაგან მომდის ეს ჭირი; ჩემი ბედი არის სამაგელი; აღარ მსურს სიცოცხლე; თვითეული არის ბედნიერი თუ უბედური თავისი ეტლით; რაც თვითეულის თავზე მოდის, მოდის ღმრთის განგებისაგან, ამიტომ სახელი კაცისა არის: მონა; ღმრთისაგანაა დაწერილი განაჩენი ყველა ჩვენთაგანის შუბლზე და ცხოვრებაში ვერ გავექცევი ღმრთის განაჩენს და ვერ შევცვლით ბედის წერას, გინდ ვიცინოთ, გინდ ვიტროთ; რაც მოგივა, წინასწარ ღმერთმა გადასწყვიტა; ეს განაჩენი არც გადიდდება, არც შემცირდება შენთვის; ყველაფერი კაცს ეწევა ბედისაგან, ოღონდ ცუდი მოგივა ცუდისაგან...რატომ უნდა ქმნა ცუდი და მერმე ამტყუნო ბედი?... შეიძლება ვიყო უბედური ჩემი ბედისაგან, მაგრამ რატომ უნდა ჩავდიოდე ცუდს?; თუ ღმერთი და ბედი მას მოეხმარება, არაფერი მას არ დაემართება ეტლისაგან და წუთისოფელისაგან... ღმრთისაგან ყველა სურვილის ასრულება შესაძლებელია, მისი სიტყვით შეიქმნა საწუთრო და ბედი; შენ ვერასოდეს ვერ შესძლებ აიცდინო ღმრთის განაჩენი და იბრძოლო ეტლთა და ბედის წინააღმდეგ; შაჰი მოაზადი კარგი ეტლის ქვეშ დაბრუნდა; ო, ჩემო ბნელო ბედო, უბედურო, რატომ დამტოვე უნუგემოდ და უსაყვარელოდ? ო, მოღალატე, უხანო ბედო, შენ ჩამაგდე ამა ჭირსა; შენ მომეცი ლხენა და მერმე შეგშურდა იგი ჩემთვის და უხეშად წამართვი იგი; უეჭველია, რაც ღმერთმა შენთვის გადაწყვიტა, მოხდება; ღმერთი და ჩემი ბედი დამსვამს ტახტზე; არ უნდა მიენდო ბედს, იგი ხან გატირებს, ხან გაცინებს; ნუ ამაყოფ ლხინით, განიშორე ზვიადობა და ნუ ენდობი ბედს; ნუ სჩივი ამავედ; ბედი არის ცვალებადი, ჭირს ლხინად შეგიცვლის; ეტლი, რომელი გაწუხებდა, შებრუნდა და შენდობას ითხოვს; მოვა დღე, ოდეს გული შენი განიხარებს, განთავისუფლდება ყველა შენი ჭირისაგან; ბედმა შესცვალა შენი მდგომარეობა, იგი შესცვლის თავის საქმესაც; ეტლი ბედი შენს მხარეზეა და ესეც შენი ბედისაგანაა. ღმერთმა და ჩემმა კარგმა ბედმა მიშველა; ღმერთია ჩემი მწყალობელი, იგი არასოდეს არ მტოვებს მე, იგია მოურავი ჩემი ბედისა; თქვენ იცით, ეტლი (ცა) ტრიალებს თვით დაბადებიდან კაცისა, ჩვენ კაცთ არ ძალგვიძს გავექცეთ ღმრთისა და ეტლის წინასწარ განჩინებას, როგორადაც არ დავიძალოთ, გარნა მართოდ ღმრთის ნებით. სიკვდილამდე იგი (ღმერთი) ბრძანებს ჩვენთვის; სვემ წინასწარ გადაუწყვიტა ჩემს გულს; ვისი როცა ავად გახდა, დაუძახეს ასტროლოგოსებს, მკურნალებს და თითოული სნეულების სხვადასხვა მიზეზს ასახელებდა: ზოგმა რა თქვა, ზოგმა რა, მიზეზია ის, რომ მთვარე

”სასწორ”-შია, ცუდ ეტლშიო; არა ვარ ღმრთისა და ბედისაგან იმედ გარდაწყვეტილი; ჰოი, ბედო, შენი საქმე ყოველთვის ასეა, შენ უმატებ ჭირს გაჭირვებულს, შენ აფუჭებ ლხინს შენსას და მათსას, რამეთუ შენ ამორებ ერთმანეთს საყვარლებს; ნუ ქმნას ღმერთმა სხვა კაცი ჩემებრ ბედისა და ჩემს ეტლზე ნუ დააბადებინოს დედაკაცს შვილი; დაბრუნდა ბედნიერ ეტლზე; ეტლთა და ცათა ტრიალის წყალობით; ღმრთის განაჩენი დაწერილია ადამიანის შუბლზე, ვერც სიბრძნეს შეუძლია შესცვალოს ღმრთის გარდაწყვეტილება, ვერც ჭაბუკობას, ვერც გონებას, ვერც სიგიჟე მოერევა უბედურებას; კაცი არ ირჩევს უბედობას თავისათვის; ღმერთმა და ჩვენმა ბედმა შეგვაერთა ჩვენ; როგორი ძნელი და გაჭირვებული საქმე არ უნდა იყოს, თუ ღმერთი და ბედი გშველის, ყველაფერი ადვილი იქმნება. ბედი და მისნი ეტლნი და ფილაქანნი (ცანი) მსურველ იყვნენ რამინის მეფობისა; შაბათს კარგს ეტლზე და გულითა მხიარულითა რამინი მივიდა ლაშქარში...³⁰⁴.

ასეთია ბედის იდეა ვისრამიანში. აქ ბედი არის ღმერთზე დამორჩილებული. და ღმერთია ყველაფერის გადამწყვეტელი. მაშასადამე, ბედის იდეა ვისრამიანში არის პირობითი, რელატიური.

თავი 2. ბედის საკითხი არაბულ-სპარსულ მწერლობაში

შუა საუკუნეთა მთელს განმავლობაში (და დღესაც) ბედის საკითხი ყველა მწერლობას აწუხებდა და ბევრი მგოსანი მას შეჰხებია. ჩვენ, რასაკვირველია, გვიანტერესებს არაბულ-სპარსული მწერლობა, რომელი ქართული განათლებული წრისათვის უცნობი არ იყო.

ფილოსოფოსი არაბი მგოსანი **მა'არრი** (937 წ.) თავის ლექსებში იმ რწმენას გამოთქვამს რომელიც იმ ჟამად გავრცელებული იყო და რომლის მიხედვით ბედის გამგენი ვარსკვლავნი არიან. ერთ თავის ლექსში იგი იმ საკითხსაც ეხება, აქვს თუ არა მნათობებს გონებაო, და ამბობს —

ციურ მხარეს, როგორც ეს ქვეყანას სჯერა, (ფილოსოფოსნი ამას ამტკიცებენ), შეუძლია გრძნობა და ცოდნა; ზოგიც გვეტყვის მნათობნი გონებით აღჭურვილნი არიან და საუბრობენ ხმა მაღლადო... მაგრამ მას თუ რწამს, რომ ბედს განაგებენ ვარსკვლავნი, მაინც ამბობს (და ეს ბუნებრივია მუსლიმისათვის) — მარსი და სატურნუსი არიან მოწანი, იძულებულნი (ღმრთის) სამსახურისათვისო.

განთქმული სპარსი მგოსანი **ანვარი** (მე-12 ს.) ერთ თავის ლექსში ბედის შესახებ ამბობს —

თუ ბედი არ განაგებს მთელს ჩვენს ცხოვრებას, რატომ არ გვისრულდებიან ჩვენნი სურივლნი? კეთილი თუ ბოროტი ამ ქვეყანაზე ხდება ბედის მეოხებით და ყველა განზრახვა ამავოა. დღითი დღე ათასი სურათი გაივლის, მაგრამ არასოდეს სიმართლე არ გამოჩნდება საკვირველების სარკეში. როგორ? რატომ? ამ ცვალებად სურათთა მხატვარი მუშაობს უმიზეზოდ, უსაშუალოდ. ჩვენნი ხელნი უძლურ არიან გავხსნათ, ან შევკვანძოთ. სიცოცხლის ლხინი და ჭირი ჩვენ გვენიჭება. ცის ლურჯ ტაძარში ჩამოკიდებულია ჩვენი ბედი ციური ბრძანებით. ო, დრო! დიდო უფალო ბუნებისა!...

ვერც ერთი გონება ვერ მისწვდება შენს ბრუნვას, მიზეზს! ვერავის თვალი ვერ აღმოაჩენს შენს საიდუმლო კანონებს! შენს ბნელ ბორბალთაგან ჭირი მატყდება თავზე. აჰ! ვჩივი და ეს ჩივილი ბევრს წელიწადს წაიღებს, რომ მოვყვე... 226.

ომარ ხაიამ (ხეიამ) (1017 — 1123), შესანიშნავი და განთქმული სპარსელი მგოსანი, ფილოსოფოსი, მისტიკოსი, მათემატიკოსი, ასტრონომოსი, მგალობელი და პოეტი ღვინისა, რომელიც მას ღმერთთან აერთიანებს, სუფისტური მოძღვრების თანახმად, იმავე ბედის რწმენას იზიარებს, რომელსაც ცა და ვარსკვლავნი კაცს ანიჭებენ. 238.

თავის რუბაი-ში (რუბაი არის ლექსი, რომელში პირველი, მეორე და მეოთხე სტრიქონი ერთნაირად რიფმოვანია. იგი შემოიღო პირველად სპარსელმა მგოსანმა აბუ საიდ ბენ აბულ კაინ-მა 1049 წელს). ომარი ამბობს —

ო, ბედის ჩარხო! ნგრევა შენი სასტიკი სიძულვისაგან მოდის. მიმძლავრება შენთვის არის სასიამოვნო მოქმედება, რომელს შენ ჩადიხარ საუკუნეთა დასაბამიდან (რუბაი 21).

რუბაი 31. — ყველაფერი აღნიშნულია შემოქმედის დაფაზე; ღმერთმა აღბეჭდა ბედზე, რაც აღსაბეჭდი იყო; ყველა ცდა, რომელსაც მივმართავთ, წმიდა ზარალია...

რუბაი 34. — მაგრამ ბედმა გადააყირავა ჩემნი განზრახვანი

რუბაი 40. — ამ ლურჯ ბორბალს შეუძლია ანაზდეულად შენი გადაგდება

რუბაი 41. — რადგან არაფერი არა ხდება ჩვენი სურვილის მიხედვით, რაღა საჭირონი არიან გეგმანი და ცდანი

ვინაიდან ცის ბორბალი და ბედი არასოდეს არა გწყალობდა, რაღად ღირს ჩამოსთვალო შვიდი ცა, ან გრწამდეს, რომ არსებობს რვა ცა? (და ვიმეორებ), არის ორი დღე, რომელზე მე არა ვზრუნავ: დღე, რომელი ჯერ არ დამდგარა, და დღე, რომელი გარდასრულია

რუბაი 96. — არ არის ფარი, რომელი ბედის მიერ ნატყორცნ ისარს გაუძლებს

რუბაი 110. — იმ დღიდან, რაც მსრბოლი ოქროს ვარსკვლავიანი ცისა შეკაზმულ იქმნა, ოდეს მნათობი იუპიტერი და პლუტონი წარმოშობილ იქმნენ იმ დღიდან ბედის წიგნმა დააწესა ჩვენი ხვედრი. რაღად ვართ დამნაშავე, რადგან ასეთია წილი, რომელი ჩვენ მოგვენიჭა?

რუბაი 195. — ბორბალი ცათა მხოლოდ ამრავლებს ჩვენ ჭირს

რუბაი 251. — (ბედო!) შენა ხარ უმადური და უპურმარილო!

ამიტომ უმღერის მგოსანი ხაიამ ღვინოს, რომელი მას ღმერთთან აერთიანებს; იგი ღმერთთან მისასვლელი საშუალება და ამავე დროს გამქარვებელი ჭირთა — სვი, სვი ღვინო, რომელი მარად სიცოცხლეს იძლევა; დალიე იგი, რამეთუ იგი ყმაწვილობის ლხინის წყაროა; იგი სწვავს ვითარცა ცეცხლი, მაგრამ... სპობს მწუხარებას; სვი ღვინო.

რუბაი 115. — როდესაც ჩემი არსებობის ხე ძირიანად აღმოიფხვრება, ეს ჩემნი ნაწილნი განიბნევიან, გააკეთეთ ჩემი მიწისაგან (ადამიანი მიწად იქცევა) ჯამები, გაავსეთ ისინი ღვინით, ამით ჩემი მიწა გაცოცხლდება

რუბაი 109. — როდესაც მოვკვდები, გამბანეთ ღვინით... ვაზისაგან გააკეთეთ ჩემი კუბო

რუბაი 136. — ოდეს მოვკვდები და ჩამასვენებთ, გაასწორეთ მაშინვე მიწა, დაე ვიქმნე მაგალითი კაცთათვის. მოასხით შემდეგ ღვინო ჩემი გვამის მიწას და გააკეთეთ მისგან ჭური...

ბედის შესახებ აქ მოვიტან მაგალითებს, რომელი ამოვწერე ამ. ჭელიძის თარგმანიდან "ირანელი ლირიკოსები".²⁴⁰

ფირდაუსი (935 — 1020) —

მარცხნივ და მარჯვნივ ყოველი მხრით თრთოლვით ვეძიე,
თავსა და ბოლოს ამ ქვეყნისას, ვერ მივაღწიე.
ერთი ცუდს შვრება, და იგი მას მადლად ექცევა,
ქვეყნის მონაა, მაინც დიდი ბედი ეწევა...
რას ვიტყვი მასზე, ეს გუმბათი რომ ჩქარა ბრუნავს,
ის არასოდეს არ ისვენებს თავის საზრუნავს.
ერთ ვინმეს — მეფის დიდებით და გვირგვინით წყალობს,
ერთი — ზღვის პირზე დღე და ღამე თევზისთვის წვალობს,
ერთი — შიშველი, არა რა აქვს ხელ მისაწდომი;
ვერ მოისვენებს, არც ადგილი აქვს დასაჯდომი;
ერთს აძლევს საჭმელს თაფლითა და რძით შეზავებულს,
აცმევს ქსოვილებს აბრეშუმს და ძვირფას ბეწვეულს.
ბოლოს ორივე შავი მიწის ქვეშ მოექცევა,
ბნელ უკუნეთში მათ ხრწნილება წამოეწევა...

ბაიზიდ ბესტამი (გარდაიცვალა 875 წ.) —

ჩვენ დღეს ყველა გზებს უსახელოდ ცუდად მივყევართ.
ბედით დამწვარნი ჩვენ ყველაზე უბედურს ვგვევართ...

ომარ ხადიამ —

როცა ვცდილობდი ცხოვრებაზე რამე მეფიქრა,
უწყალო ბედმა უნებურად ხელი შემიკრა...
ბედის მომცემი არ იქნება აწი სხვა რამის,
კვნესა, ოხვრისგან რა დარჩება გარდა ვარამის...
სცნობდე, ცხოვრება მოშურნეა და საზიზღარი,
მას ნუ ენდობი, ბასრი არის მისი ლახვარი,
თუ შენმა ბედმა ტკბილეული ჩაგიდო ხელში,

ფრთხილად, — მას პირში ნუ ჩაუშვებ, შიგ შხამი არი...
მე ღვინოს დავლევ, სანამდე კი მიდგია სული,
თუნდ ქვეყნის მაღლი მექნეს ცოდვად გადაქცეული,
ეჰ, სულო ქვეყნის, ჩვენ ამ ქვეყნად ვიცხოვროთ ტკბილად,
მე რა ვიცი, თუ იქ რას მომცემს ბედი წყეული...
ბედით მოგველის აწ მე და შენ დაღუპვა სრული,
მას მიზნადა აქვს ამოგვხადოს ორივეს სული,
დაჯექ მწვანეზე, შესვი ღვინო, ბევრი არ დარჩა,
მწვანე იქნება ამ ჩვენს მტვერზე კვლავ ამოსული.
გამხიარულდი, დრო ცნებაა უსაზღვროების,
ბედის ვარსკვლავთა დგება ჟამი დაახლოების,
აგური, შენი სხეულისგან რომ აკეთებენ,
ის აივანი და სასახლე იქნება სხვების...
ბევრი შენგვარი წასულა, და კვლავ ბევრი წავა;
რაც ერგოთ ბედის განაჩენით, მას მიიწყავენ...

ანსარი აბულ ყასიმ ბალხი (გარდაიცვალა 1039 — 1050 წელთა შუა). —
ბედის მორჩილი, მაგრამ მაინც ბედ მოღიმარი...

ფილოსოფოსი **იბნ სინა** (გარდაიცვალა დაახლ. 980 ან 1037 წ.). —

ოჰ, რომ ვიცოდე, რა და ვინ ვარ,
ვინმე მეტყოდეს,
საით მივყევარ ქვეყნის ტრიალს
როგორც ეული,
თუ ბედს მოველი — მოვისვენებ,
არა და მქონდეს
ცრემლი მდინარედ
თვალეზიდან გადმოქცეული...

ხაყანი (1106 — 1199). —

და შენ სათუთ სულს ბედისაგან
რომ ბორკილი აკრავს,
ბედს დაუბრუნე, გასწიე წინ, გასწი
სიმთ ჟღერით...

საადი (1184 — 1291). —

როცა კაცს მიდევს ზურგის უკან სულთამხუთავი,
ცხენებრ მარბენალს ფეხს შეუკრავს ბედი პირშავი.
ი, ვინც ბედისგან დღეს არ არის ხელგამართული,
თავის სოფელშიც უცხო არის და უჩინარი...
თუნდაც ყოველ ღერს შენი თმებისას
ორასნაირი ჰქონდეს უნარი,
არ გამოდგება იგი არაფრად

თუ იღბალი გაქვს დასაწუნარი...
ვისაც მზრუნავი საწუთრო თვით გაურისხდება,
კეთილი არ მოელის
მას თავის დღეში...

ჰაფიზი (1300 — 1389). —

ბედის ვარსკვლავი ჩემი ვერ ცნო ვარსკვლავმრიცხველმა,
დედა ქვეყნისგან რა ბედი მაქვს მონიჭებული. ²⁴⁰.

საადი შირაზელი ბედის შესახებ კიდევ სხვა ადგილზე ამბობს —

ბედნიერება არის ღვთიური სამართლიანობის ნიჭი (უფრო სწორი იქნებოდა თქმულიყო, ”ღვთიური თვითნებობისა”, იმ დამატებით, რომ კაცს არასოდეს არა აქვს უფლება ეს თვითნებობა ვით უსამართლობა განიხილოს). ხელმარჯვე მოისარი ჩვეულებრივ გახვრიტავს თავისი ისარით რკინის საგანს; ოღონდ როცა მას ბედი მიაგდებს, იგი ნაბდის, ან აბრეშუმის ნაჭერშიც კი ჭუჭრუტანას ვერ გახვრეტს. ღატაკი დაჰკარგავს მცირე ფულს და ეძებს მას ამავოდ; გულგრილი გამვლელი გაივლის და მაშინვე ამ ფულს იპოვნის. მაშ რა გამოსადეგია ბრძოლა ბედის ძალის წინააღმდეგ? — დაასკვნის იგი. ¹⁸⁹. წიგნი 7. გვ. 738.

* *
*

განგებ დავტოვე ბოლოსათვის ფირდაუსი და ნიზამი, რომელთა თხუზულებას ვეფხისტყაოსანს ვადარებ ხოლმე.

თუ ვეფხისტყაოსანის ბედის საკითხს შაჰ-ნამეს ბედის საკითხს შევადარებთ, ბევრ საერთოს ვნახავთ, მაგრამ დიდ განსხვავებასაც.

შაჰ-ნამეში ყველა სახელმწიფო საქმე, ყველა ომი, ყველა მგზავრობა, ყველა ქორწილი, საერთოდ ყველა მოქმედება ხდება ვარსკვლავთა შეკითხვით და მათი თანხმობით, ჰოროსკოპის მიხედვით. აქ ასტროლოგიური მკითხაობა არის სავალდებულო და მისი შედეგი უერველად აღსასრულებელი.

არავითარი ამისი მსგავსი ვეფხისტყაოსანში არ არსებობს.

ფირდაუსის შაჰ-ნამე სავსეა ასტროლოგოსებით, ასტროლოგიური ტაბულებით, ჰოროსკოპებით, კუდიანობით და მარჩიელობით.

ვეფხისტყაოსანში ამისი მსგავსი არაფერია.

შაჰ-ნამეში ძალიან ხშირადაა ლაპარაკი ვარსკვლავურ ბედზე და უბედობაზე და არც ისე მოსაწყენი იქმნება მისი გაცნობა. —

გუდერძი დღე და ღამე საბრძოლო ველზე იდგა და ეძებდა მზისა და მთვარის კარგ ნიშანს; იგი ეძებდა, თუ რომელი იყო ბედნიერი დღე, რომელი იყო წუთი, რომელსაც მას ომი უნდა დაეწყო. ²³⁷. გუდერძი (ქართული: გოდერძი!) ცის ტრიალს თვალს

ადევნებდა, რათა აღმოეჩინა კარგი თუ ცუდი ვარსკვლავი; და როდესაც ხელსაყრელი დრო დადგება, იგი ჩვენს მიწას მტერთაგან გაანთავისუფლებს... მეფე აფრასიაბი თავის სარდალსა სწერს — შენ მელაპარაკები ლაშქარზე, მზისა და მთვარის მიერ უბედურების მომტან ბრუნვაზე... ცა დიდებული ყოველთვის ერთი აზრით არ ტრიალებს, მას მოაქვს ერთი მეორეზე ხან ლხინი, ხან ჭირი... გუდერძი ეუბნება გივის (ქართული: გივი!) — ღმერთი და შენი ვარსკვლავი შენ გწყალობს... მეფე კვი ხოსროვ მეფე აფრასიაბს უთვლის — მე შენ გებრძოლები ჩემი კარგი ვარსკვლავის, მზისა და მთვარის ბრუნვის წყალობითა და შემწეობით... ასეთი იყო ცის ბრუნვა და არავის არ შეუძლია არჩევანი მოახდინოს ბედის წინაშე, — ამბობს გმირი რუსტემ. და მეფე გუმტასპი მას უპასუხებს — ვინ გადაურჩება ცის ბრუნვას?

და მთელი ამ ვარსკვლავური ბედის ფილოსოფია თვით ფირდაუსის თქმითაა დახასიათებული — ოდეს ცა შენ დაგიკავშირდება საიდუმლოდ, შენ ვეღარ მონახავ საშუალებას, მისი ბრუნვიდან გამოხვიდე; ხან გაძლევს იგი შენ გვირგვინებს, ტახტებს, ხელისუფლებას; ხან გაგდებს იგი შენ წყვილიადა და უბედურებაში; იგი ჰგავს ხან მტერს, ხან მეგობარს; ხან გაძლევს იგი ლებანს, ხან ნაჭუჭს; ვინაიდან სოფელი არის მოქნილი მოთამაშე, რომელი თავის თამაშს ყოველ წუთში სცვლის; და თუ შენი თავი თუნდ შავ ღრუბლებს აღწევდეს, საბოლოოდ ბედი გაძლევს ბინად მხოლოდ მიწას...

ეს აზრი ბედის ცვალებადობის შესახებ მრავალჯერ და მრავალჯერ არის შაჰ-ნამეში განმეორებული — ბედია უფალი კაცის სიცოცხლისა და სიკვდილისა; ბედი არ გაწითლდება გიყოს ცუდი; მას არავინ არ უყვარს; იგი სამარადისოდაა უფალი ბედნიერებისა და უბედურებისა; იგი არავის არ თხოვს მეგობრობას; ასეთია ჩვეულება ამ წუთისოფელისა, რომელს ჩვენ მივყევართ კეთილისა და ბოროტის გზაზე... არავინ არ მოკვდება, თუ მისთვის დრო არ მოსულა... რა შეგვიძლია ბედის წინააღმდეგ? დაბადების პირელი დღიდან იგი არის ჩვენი ბატონი, — ამბობს ფირანი (ქართული: ფირანი!)... ეს დაწერილია ზემოდ (ცაში), შენ უნდა დასტოვო ეს მხარე... ნუ გეშინია სიკვდილისა, ან სხვა რამესი, რადგან არავინ არ კვდება, სანამ მისი წამი მოსული არაა, და თუ კაცის ბედი უნდა შეიცვალოს, რა არის იმაზე უმჯობესი, რომ ბრძოლის ველზე მოკვდეს?... იცოდე, არავინ მოკვდება ამ ქვეყანაზე, თუ ეს ბედის ნება არაა... ო, მეფეო, — ეუბნება შაჰურს ასტროლოგოსი — ვინ არის, რომელს შეუძლია ან გმირობით, ან ცოდნით გადაურჩეს ცის ბორბალის მუდმივ ტრიალს, როგორი ბრძენიც, ან როგორი მეომარიც არ უნდა იყოს იგი? ის, რაც უნდა მოხდეს, მოხდება აუცილებელად, ნუ ვიბრძოლებთ ცის ბრუნვის წინააღმდეგ... ეს დაწერილი იყო და მოხდა, რაც უნდა მომხდარიყო... ბედნიერება თუ უბედურება, რომელი დააწესა ქვეყანის უფალმა, ასრულდება, და მას ჩვენი ზრუნვანი ვერ შესცვლიან... ცის ვარსკვლავებმა გარდასწყვიტეს და მას ვერ შესცვლის ვერც მხნეობა, ვერც ცოდნა. დაე, უფალმან ქვეყანისა დაგიფაროს შენ... ჰორმუზდის შვილო, მთავარსარდალი რუსტემი, რომელი არაბთა ლაშქარის წინაშე სდგას და ირანის ბედი სწყდება, ირანის უკანასკნელ მეფეს, სასანიდიან იეზდეგირსა სწერს — ბედის ბრუნვა ისეთი ბუნებისაა, რომ კაცს ჩააფიქრებს. მე ვარ ყველაზე უფრო ბრალიანი კაცი ამ დროში და აპრიმანმა ჩამიჭირა თავის ბრჭალებში, რადგან ეს გვარი (სასანიდთა) დასჯილია ტახტის დაკარგვით, ვინაიდან ჩვენ აღარა ვართ გამარჯვებისა და ბრწყინვალეების დროში. მეოთხე ცის სიმაღლიდან მზე ხედავს, რომ ამ ბრძოლაში უბედურება ჩვენ სისწრაფით გვიახლოვდება; მარსი და ვენუსი ჩვენთვის უკეთურნი არიან; ჩვენ ვერ

გამოვიხსნით თავს დიდებული ცის ბორბალისაგან; მერკურიუსი და სატურნუსი იმყოფებიან მარჩბივის ზოდიაკოში. ასეთია მდგომარეობა... დავტირი ირანელებს და მდაგავს ცეცხლი მწუხარებისა, როდესაც სასანიდებზე ვფიქრობ. ვაი! ეს გვირგვინი, ეს ტახტი, ეს სამართლიანობა. ვაი! ეს ძლიერება, ეს დიდება, ეს ბრწყინვალე სამეფო გვარი, — ყველაფერი დაიმსხვრევა არაბთა მიერ; ვინაიდან ვარსკვლავნი ბრუნავენ ჩვენს დასამხობად, და ოთხასი წელიწადის განმავლობაში, ჩვენი მოდგმის (რასის) მემკვიდრე ველარ იქმნება უფალი ჩვენის ქვეყანისა...

შაჰ-ნამეში, ისე ვით ვეფხისტყაოსანში, თითქო მხოლოდ და მხოლოდ ბედი არის ყველაფერის ბატონი და პატრონი, მაგრამ ეს მარტო პირველი შეხედვით, რადგან შაჰ-ნამეშიც და ვეფხისტყაოსანშიც, ბედი არ არის დამოუკიდებელი, აბსოლუტური; ბედი ბედია, ოღონდ იგი ღმრთის ხელშია. ეს აზრიც მრავალჯერაა მეფეთა წიგნში გამოთქმული — ასეთია ეს სოფელი მატყუარა, ხან აგწევს იგი მაღლა, ხან დაგცემს იგი. ასეთი იყო მას შემდეგ, რაც იგი არსებობს, რაც იგი ტრიალებს, ხან იძლევა თაფლს და გავსებს ალერსით, ხან გასმევს შხამსა და სიძულვილს. იგი აღამაღლებს ვინმეს ბრწყინვალე სამყარომდე, იგი დასცემს მეორეს და აავსებს სიავითა და ჭირითა; იგი ერთს წაართმევს სამეფო ტახტს, ხოლო მეორეს ამოიყვანს შავი მტვერიდან. ეს არაა არც წყალობით, არც შურისძიებით, რომ ასე მოქმედებ, ო, შემოქმედო (ღმერთო!), არამედ ღრმა სიბრძნით. შენგანაა (ღმერთო) ის რაც დიდია, და შენგანაა ის, რაც მცირეა ამ ქვეყანაზე. მე არ ვიცი, ვინა ხარ შენ; მაგრამ რაც არსებობს, ხარ შენ. შენგან მოდის ყველა ლხენა და ყველა ჭირი, გადიდება ერთისა, დამცირება მეორისა. შენ აღამაღლებ ერთს და გახდი მას მეფედ, მეორეს კი ზღვის თევზებს მისცემ; შენ მიეცი ერთს, მიეცი მეორესაც, და ნუ იწვევ შურს ორ კეთილშობილ გულს შორის (წიგნი 3. გვ. 201).

რუსტემი გამარჯვების შემდეგ ამბობს — ახლა ჩვენი მოვალეობაა, დავემხოთ და თაყვანი ვცეთ ყოვლად წმიდა ღმერთს; ვინაიდან მან მოგვანიჭა ჩვენ ძალა, ძლიერი ვარსკვლავი და წყალობა სატურნუსისა და მზისა; დაე, ჩვენი ბედი არ დაქვეითდეს... უბედურებანი, რომელთაც ცის ბრუნვა ჩვენს თავს დაატეხს ღმრთის ბრძანებით, გარდაუვალნი არიან და თუგინდ ხელიც გაანძრიო, არ წაიშლება, რაც გიწერია... ჩვენ ვერ გავექცევით ცას, რომელი ბრუნავს, და ვერც მზისა და მთვარის უფალის ნებას (ღმრთის ნებასო), ამბობს თვითონ ფირდაუსი.

ფაღფური, ანუ ჩინეთის მეფე (და აქედანაა წარმომდგარი ქართული სიტყვა "ფაიფური", ძვირფასი ჭურჭულის სახელი) რუმისა და მსოფლიო მეფეს ისკანდერს (ალექსანდრე მაკედონელს) ეუბნება — იცოდე, ეს არის ნიჭი (ბოდება) მზისა და მთვარის უფალისა (ღმრთისა) და არა შენი გმირობისა და შენი ლაშქარის მრავლობისა (რომ მსოფლიო დაიპყარიო). როცა მეფეთა ვადა (სიცოცხლისა) გარდასულია, რა მნიშვნელობა აქვს, მოჰკვდება იგი ნადიმზე, თუ ბრძოლაში? იმ დღეს, როდესაც შენ მათ თავს დაესხი, იყო მათი ვადა, რომელი მათ ბედმა დაუდო, და არ შეიძლება არც დააგვიანო, და არც დააჩქარო წუთი ბედისაო... ასეთი არის დიდებული ცის ბრუნვა, ხან აგვამაღლებს იგი, ხან დაგცემს; ხან გვამღევს ლხინს, ხან — ჭირს... შემოქმედი (ღმერთი) არის ჩვენი შემწე... რა შეგიძლია თხოვო შენ ცის შვიდ სფეროს? შენ ვერ გაექცევი მათ ბრუნვას; რაღა საჭიროა მათი თაყვანება? მიჰმართე ღმერთს და იგი იყოს შენი თავშესაფარი. იგი არის უფალი მზისა და მთვარისა, რომელნი ბრუნავენ... ასტროლოგოსს, რომელი შაპურს ეუბნება: ვერავინ

გადაურჩება ცის ტრიალსო, იგი უპასუხებს — ყველა უბედურებაში თავშესაფარია ღმერთი; იგია, რომელმან შეჰქმნა დიდებული ცა, რომელი ბრუნავს... კასრა ნუმრივანმა მიმართა შემოქმედს (ღმერთს) და თქვა — შენ, რომელი ხარ უზენაესი ბედის ტრიალზე... ხარ ხელმძღვანელი ბედნიერებაში და უბედურებაში... როდესაც ასტროლოგოსებმა მეფე ხოსროვ პარვიზის ვაჟის ჰოროსკოპი შეისწავლეს, მათ განუცხადეს მეფეს: იგი ცუდ ვარსკვლავზეა დაბადებული და მისგან ქვეყანა აირევას. მეფე ძალიან შეწუხდა, მაგრამ მას მოხედმა უთხრა — ღმერთია ყველაფერი, იგია ცოდნაზე მაღლა, როგორც არ უნდა იყოს ის. თუ ეს ცა, რომელი მის კანონებს ემორჩილება ბრუნვაში, ცუდ სახეს აჩვენებს მათ, რომელნიც მას ეკითხებიან, თავისი გულკეთილობით, მოწყალებით ღმერთს შეუძლია ეს უბედურება შესცვალოს. როგორ შეუძლია რომელიმე მეცნიერს ასე ილაპარაკოს (შენი შვილის ჰოროსკოპზე?). ნუ უგდებ მათ ყურს. დაე, ვარსკვლავნი იყვნენ შენნი მეგობარნი...

თვითონ ფირდაუსი თავისი ბედის, ანუ უფრო სწორად, უბედობის შესახებ ცას შესტირის და მას აბრალებს, რად მომანიჭე ასეთი ხვედრიო?! ცა მას უპასუხებს — მიმართე ღმერთს, მას, რომელმან შეჰქმნა დღე და ღამე, მზე და მთვარე, რომელი არს არსება მხოლოდ, რომლის არსებობა არაა საიდუმლოება, რომლის ქმედობას არც დასაბამი აქვს, არც დასასრული, და რომლის ბრძანებით იბადება ის, ვისი დაბადებაც მას სურს... მე (ბედი) მონა ვარ, შექმნილი მის მიერ, მე ვარ მსახური შემოქმედისა (ღმერთისა); მე არაფერს ვშვრები გარეშე მისი ბრძანებისა... მიბრუნდი ღმერთისაკენ, იგია ერთად ერთი თავშესაფარი, თხოვე მას ზომიერად, რაც შენ გსურს. იცოდე, არავინ სხვა არ არს უფალი ცისა, გარნა ღმერთი, რომელი აბრწყინვებს მთვარეს, ვენუსს და მზესო...

აღუნიშვნელად ვერ დავტოვებ იმ შეხედულებას, რომ კაცს ბედი საიქიოსაც მიჰყვება, როგორც ეს არის შაჰ-ნამეში ერთჯერ ნათქვამი — უბედურება და ბედნიერება, რომელსაც ისინი (დახოცილნი მეომარნი) განიცდიან, ახლა არის მეორე ქვეყანისა (საიქიოსი), ღმერთი მათ ადგილს მიანიჭებს მართალთა შორისო (წიგნი 3. გვ. 593). ისე ვით შაჰ-ნამეს შემთხვევაში, თუ ნიზამის, ამ დიდებულ მგოსანის (1141 — 1203/11) ნაწარმოებთ ვეფხისტყაოსანს შევადარებთ, მათ შორის ვნახავთ ბევრს საერთოს, ოღონდ დიდ განსხვავებასაც.

ვეფხისტყაოსანში ასტროლოგია ისე სქემატიურად, ღიად და პირდაპირ არაა გამოყენებული, როგორც ეს ნიზამის აქვს თავის ხუთ პოემაში.

ასტროლოგია ვეფხისტყაოსანში არის ნახმარი, როგორც დავრწმუნდით, მხოლოდ პოეტური მიზნებისათვის, მხატვრული დახასიათებისათვის, ესთეტიურად; ნიზამის პოემებში, ისე როგორც ფირდაუსის შაჰ-ნამეში, ასტროლოგია თვით მოქმედების განვითარების სახეა; იგი ერევა ყველაფერში და მითაა განსაზღვრული ყველა მოქმედება. ეს დიდი განსხვავება ქართულ და ირანულ მწერლობის შორის.

ნიზამის პოემაში "ხოსროვ და შირინ", ხოსროვის დაბადების გამო ნათქვამია — მისი ჰოროსკოპი იყო კარგი და ტახტი მისი კეთილი; ვარსკვლავთა ნებართვით მიიღო მან თავისი სამეფო ტახტი. მამა მისმა იცოდა მისი დანიშნულება და ამიტომ დაარქვა მას ხოსროვ პარვიზი.²³⁹ მაგრამ შემდეგ, ხოსროვის ვარსკვლავი დაექანა ციდან, შაჰი მასზე გამწყრალია. უშველე თავს... შეიძლება ამოვიდეს ისევ შენი ვარსკვლავი, დაუბრუნდი მშობელ მხარეს. ხოსრო კი კვნესის და მასთან ერთად ცაც, რომელმა მას

უბედურება მიანიჭა. ბედია, რომელი თითოულ ჩვენს ნაბიჯს გვინიშნავს; იგი ხანდახან თავს ირთობს თავისი თამაშით... ერთი ბერი ხოსროვს მნათობთა მიხედვით უკითხავებს მომავალს; ბუზურ-უმიდს ხელთ ასტროლაბი აქვს; იგი საზღვრავს ვადას და ხოსროვს ეუბნება: იჩქარე! ბედნიერია ჰოროსკოპი. ერთბაშად გადაწყვიტე ყველაფერი! და ხოსროვმა ამ რჩევით გაიმარჯვა ბრძოლაში. ბაჰრამი დამარცხდა. ლურჯ ცხენზე (ცა) მოჰქრის ბედი, იგი მოულოდნელად დაგეჯახება; მისგან შიშით გარბის გონება. შენ ყოველთვის სხვაზე იმედოვნებ. გაიგე, ყველაფერი ცვალებადია; სოფელი კაცთან მშვიდობაში არაა; ბაჰრამზე გამწყრალი იყო ცა და ხელახლა ხოსროვი მან ზეიმით ტახტზე აიყვანა. დაჰმუნვებული ბაჰრამი მან ჩინეთს მიიყვანა. შუბლის ნაოჭი აცხადებს: ყველაფერი დაგინიშნა ბედმა. რა ვქმნათ! ცას არა ერთჯერ წაურთმევია გვირგვინი. მისი ფარდის ქვეშ ასეთი თამაში ცოტა არაა... როცა მთვარემ თევზთა ზოდიაკოდან თავისი პირი გამოაჩინა, პავრიზ ხოსროვის მთვარე მეფობის ნიშანში შევიდა და კეთილმყოფელთა ვარსკვლავთა წყალობით იგი ფირუზის ტახტზე ავიდა. ხოსროვმა თავისი ტახტი პლეიადამდე აღამაღლა, ზღვას მისცა — მარგალიტები; ხმელეთს — ალმასთა საუნჯე... ვით ნათელი იყო შაჰინშაჰი, ოდეს იგი ტახტზე ავიდა; მან განამრავლა თავისი ელვარება... გაიხსნა ფირუზის ფერი თალი (ცა), ქვეყანას ეუწყა გამარჯვება და იგი ხარობდა... კარგი წინასწარი ცნობებით აიწია ვარსკვლავთა ჭერმა, ოდეს ბრწყინვალე თავისი ტახტი აღამაღლა ხოსროვმა... სამოთხის ხემდე ამალდა კარავი; კარავის ფარჩას ცის კიდენი იჭერდნენ... ჩუბინეს სახლი აღარ იცნობს ბედნიერებას... გამორდი ნახევარ ნეგრს (ცას, რომელის ნახევარი მარად ბნელშია); შეხედე — შავ-თეთრი ცხენი (დღე და ღამე) მის ქვეშაა; იგი ორპირია; იგი ფოცხვერია; მას ხელს ნუ ახლებ, ანუ ბედს ნუ შეეჭიდებიო... ღამეთა და დღეთა რიგით რაში მოჰქრის; დროის სრბოლისაგან თავს ვერ დაიფარავ... სიკვდილს შეხვდი უშიშარი თვალებით...

პოემაში შვიდი ლამაზი ასულის შესახებ ნიზამი ამბობს: რასაც ვარსკვლავნი მიკარნახებდნენ, იგი დავწერეო.

პირველ ზღაპარში: მეფემ ვარსკვლავებს შესჩივლა: შეხეთ, ცა როგორ დამატყდა თავზე... და შავები ჩამაცვა!

სლავიანი ასულის ზღაპარში მეფის ასულმა ციურ მნათობთა საიდუმლოებანი იცის და მათ კითხულობს... მან იცის, თუ ვარსკვლავნი კაცთ რას უბოძებენ... რუმეილის ასულის ზღაპარში, შაჰის შეკითხვაზე, მისი ასულის განმაკურნებელი უპასუხებს: ხეირ მქვია მე; ასე დამარქვა ოდესღაც ვარსკვლავმა ჩემმა... ბედის იდეა ნიზამის ამ პოემაში ისე სასტიკად არის წარმოდგენილი, რომ ბედის გარდაწყვეტილებით, ბოროტმოქმედი თავის დანაშაულს ამით ამართლებს: სხვა და სხვა სახელით მოგვნათლეს ჩვენ ვარსკვლავებმაო. შენ გქვია ხეირ (მართალი); მე მქვია — ცრუ. ჩემი ბოროტმოქმედება მოხდა, მაგრამ ეს უკვე ჩემი სახელისაგან იყო წინასწარ გარდაწყვეტილიო... გინდ ათასჯერაც მოხერხებულად გაითამაშო, სულ ერთია, იმაზე მეტ მიწიურ სიკეთეს ვერ მიიღებ, რაც წინასწარ გარდაწყვეტილი არაა... შაჰი ბაჰრამი სიცოცხლის დასასრულსა გრძნობს; იხილა: არსებობის ხალიჩას ახვევენ ვარსკვლავნი, ნაგავად აქცევენ კოშკთა ოქროს თალებს — და თვითონ მიდის სხვა თაღში...

პოემაში "ლეილა და მეჯნუნ", ნიზამი თავისათვის საკითხს არდგენს: ვხედავ ვარსკვლავი მოჰქრის. იგია ჩემი ხვედრი. რას მომიტანს იგი მე?

პოემაში "ესკენდერ-ნამე" ალექსანდრე მაკედონელის დაბადებისას ასტროლოგოსები მის ჰოროსკოპს არდგენენ და არკვევენ: ზოდიაკო ლომისა ამალდა და ისეთი იყო მისი სინათლე, რომ მტერს დააბრმავებდა. და მზე მიუახლოვდა ზოდიაკო ვერძს, მერკურიუსი მივიდა გვერდით ზოდიაკო მარჩბივთან, ზოდიაკო სასწორში იყო სატურნუსი და მარსი ილიმებოდა მეექვსე სახლიდან, მზად სამსახურისათვის ერთგული. ასეთ ჰოროსკოპს რა განმარტება სჭირდება! თვალი არ ეცემა დაბადებულს. კეთილი მას. ისეთი ნიშნებით დაიბადა, რომ ნორჩისაგან მთელი წალკოტი გაიშალა. როდესაც ჰოროსკოპი საკმაოდ გამორკვეულ იქმნა, ფილიპემ მას ალექსანდრე დაარქვა. იმ ღამეს შვიდმა მნათობმა იწინასწარმეტყველა, რომ მთელი მსოფლიო მისი იქნებოდა. ასტროლოგოსმა ასეთ ბედნიერებაზე ილაპარაკა... ადამიანის ბედს წინასწარ ვარსკვლავნი გადასწყვეტენ... დრო ვის მოეხმარება, და მნათობნი ვის გაათამაშებენ, ყველასათვის ცხადი არაა... და იქვეა ლაპარაკი გამარჯვებისა და დამარცხების ცხრილის შესახებ. ეს ცხრილია დაფა, რომელიც დაყოფილია უჯრედებად; თითოეულ უჯრედში სწერია არაბული ასო, ნაწილი — შავი, ნაწილი — წითელი, და ნაწილი — მწვანე ფერით. აქ ამით ანგარიშობენ რიცხვთა მიხედვით, მოპირდაპირეთა ბრძოლის მოსალოდნელ შედეგებს. წითელია — გამარჯვება; შავი — დამარცხება; ხოლო მწვანე — უშედეგო, გადაუწყვეტელი ბრძოლა...

ალექსანდრე მაკედონელის თითოეული ყლაპი ღვინისა, ასტროლოგოსის აზრით, კეთილ ნიშნებს იძლეოდა. მეცნიერნი ვარსკვლავთ შესცქეროდნენ და ალექსანდრესათვის მათგან კეთილ სურვილებს გამოსცნობდნენ. და მთელი ამ ლექსის დასკვნაა: კაცს არ ექმნება წარმატება, თუ სხვაგვარად გარდასწყვიტა განგებამ. იჩქარებ, თუ არ იჩქარებ, ბედს ვერ წაეკიდები, იჯექ და გამარჯვება თვითონ მოვა (გვერდი 613)... ყველას ამ ქვეყანაზე თავისი დანიშნულება აქვს... კეთილი მოაქვს ჩვენთვის ბედს, თუ ბოროტი, მის წინაშე ჩვენ ქედს ვიხრით — ამათ უბოძებს ღმერთი და არა ვკითხულობთ: რატომ და რისთვის? განსაჯე ეს სოფელი, გაიგე იგი: ბედი არავის არ ზოგავს; თუ გვმტრობენ ცანი, და ვარსკვლავედნი, მზეც და მთვარეც შურისძიებას მიგვცემენ; ეს სოფელი ცბიერია; ნუ დაუმეგობრდები მას, ნუ ენდობი მის ალერსს, იგი — მალული მკვლელია.

როგორც ვხედავთ, ნიზამის თხუზულებათა და ვეფხისტყაოსანის შორის ბედის საკითხში ერთგვარი მსგავსებაა — ორივეში ბედი არის რელატიური, ბედი ღმრთის ხელშია. მაგრამ განსხვავება მაინც დიდია: ასტროლოგიას ვეფხისტყაოსანში არსად ისეთი დიდი და გარდამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც ნიზამთან და ფირდოუსთან.

ვეფხისტყაოსანში ჩვენ გვაქვს — ომი ხატაეთთან, ომი მდეგებთან; ომი საზღვაო ავთანდილისა, და დაბოლოს უძნელესი ომი ქაჯეთის ციხის ასაღებად. მაგრამ არც ერთ შემთხვევაში არავინ ვარსკვლავთა და მნათობთ არ ეკითხება; არავინ ასტროლოგოსებს არ ეძახის და მათ არ არკვევინებს ბრძოლის დღესა და წუთსა.

არ დავივიწყოთ არც ფრიდონის ლაშქრობა კუნძულზე; არც ავთანდილის მრავალი მგზავრობა და არც სამი ქორწილი და არც ტახტზე აყვანის ორი ამბავი.

არსად არავინ არც ერთ ამ შემთხვევაში ვარსკვლავთ არ ეკითხება და ჰოროსკოპს არ ამზადებენ.

ამ მხრივ დიდი განსხვავებაა რუსთაველსა და ფირდაუს - ნიზამის შორის.

როგორც არა ერთჯერ ვთქვი, ვტნში ასტროლოგია გამოყენებულია მხოლოდ პოეტური მიზნებისათვის, სურათოვანი ენისათვის, ესთეტიურად და ფსიქოლოგიურად, სულიერ განწყობლებათა დახასიათებისათვის.

კარი მეშვიდე

ჭირი და ლხინი

ირანულ, სპარსულ მწერლობაში ბედის საკითხის ამ მიმოხილვამ გვაჩვენა, რომ სპარსული რწმენა ვარსკვლავური ბედისა არის ღრმა და მკაცრი, ოღონდ იგი, ამის მიუხედავად, მაინც ფატალისტურად არ ჩაითვლება, რადგან ხშირად ბედის მკაცრი დახასიათება არის მხოლოდ პოეტური ხერხი მდგომარეობისა, თუ განცდის სიძლიერის დასახასიათებლად.

ვეფხისტყაოსანში ამ მხრივ, ბედის იდეის სუფთა ქართული შეგნებაა გამოხატული. ვეფხისტყაოსანში მოცემულია ბედის იდეის რელატიური გაგება, რაც აგრეთვე სპარსულ მწერლობაშიც არის, ოღონდ ვეფხისტყაოსანში გაბატონებულია იდეა ბრძოლისა... ბედს აქ ებრძვიან ბოლომდე... გამარჯვებამდე, ან დამარცხებამდე. ვტნი სწორედ ამ დიდ ბრძოლაზე დაშენებული და აქ საქმე გვაქვს მხოლოდ ბრძოლასთან, რასაკვირველია, ღმრთის შემწეობითა და მფარველობით, რადგან ღმერთი კაცსა არ გასწირავს, რადგან ბედი ღმრთის ხელშია. ამგვარად, ვტნში კაცი მიდის ღმერთთან ბრძოლით და თავის თავს მის მფარველობაში აყენებს.

საქართველოს მთელი თავგადასავალიც სწორედ ბედთან ბრძოლას გვიხატავს მთელი თავისი სიმძაფრითა და თავდადებით, აქ ყოველთვის ბედის საზღვარის გადალახვას სცდილობდნენ და სასოებას ღმრთის შემწეობაზე არა ჰკარგავდნენ... ასევე ვეფხისტყაოსანშიც...

* *
*

ამიტომ გასაკვირველად მომეჩვენა პროფ. კორ. კეკელიძის, ამ მხცოვანი მოღვაწისა და დიდად დამსახურებული მეცნიერის განმარტება ვეფხისტყაოსანის ბედის შესახებ. იგი ბრძანებს —

”როგორც ვხედავთ, პოემაში მძლავრად ისმის გმობა და მდურვა წუთისოფლისა და საჩივარი იმის შესახებ, რომ ის არის სისხლის მსმელი, უხანო, ცრემლთამდენი, ცვალებადი, დაუნდობელი, მუხთალი ცრუ, მტერი და გაუტანელი. როგორ შევათანხმოთ ასეთი აზრები და შეხედულებანი წუთისოფლის შესახებ თამარის დროის ლაღს, ცხოველმყოფელს და ოპტიმისტურ მსოფლმხედველობას — როდესაც ყველა (უმაღლესი არისტოკრატიულ — ფეოდალური წრე —) თავს ბედნიერად

სთვლიდა, ყველა შესტრფოდა ცხოვრებას, ყველა ჰმადლობდა თავის ბედს, ყველგან ისმოდა ქება თამარისა? ვერაფრით! დასკვნა თავის თავად ცხადია: პოემა დაწერის თარიღით არ ემთხვევა თამარის დროს“-ო.

და პროფ. კეკელიძე კიდევ იმეორებს —

”როგორ უნდა შევუთანხმოთ ასეთ საქმიანობას, მოქმედებას და რწმენას თამარის დროისას ის პირწავარდნილი ფატალიზმი, რომელიც პასივობამდეა დაყვანილი პოემაში?...

”განგებაა, დღესცა მომკლავს, ქვემცა სადა დავემალე!” (352).

”რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების (618) და სხვა”.

”რასაკვირველია, თამარის ლალი და აკტიური დროის ამსახველად ვერ ჩაითვლება ისეთი პოემა, სადაც ამგვარ აზრებს აქვს ადგილი.

”ამნაირად, პოემის პესიმისტური სულისკვეთება და ფატალისტური განწყობილება მაჩვენებელია იმის, რომ ის თამარის დროს უშუალოდ არ ეკუთვნის“-ო. ²⁴¹.

* *
*

უწინარეს ყოვლისა: ვეფხისტყაოსანი რომ დაწერილიყო იმ შინაარსით, როგორც ჩვენ ვეფხისტყაოსანს ვიცნობთ, ბერძენ ძველ მგოსანის, ჰეზიოდოსის მიერ წარმოდგენილ ”ოქროს ეპოქა“-ში, ან სამოთხეში, მაშინაც კი თვალ წინ გვექნებოდა: ”გმობა და მდურვა წუთისოფლისა და საჩივარი იმის შესახებ, რომ ის არის სისხლის მსმელი, უხანო, ცრემლთამდენი, ცვალებადი, დაუნდობელი, მუხთალი, ცრუ, მტერი და გაუტანელი”... ყველაფერი ეს გამოწვეულია ვეფხისტყაოსანის გმირთა მდგომარეობით და მათი სულიერი განწყობილებით, და ამასთან არავითარი კავშირი არა აქვს თამარის დროის ლალობას და აკტივობას, კარგს ბედსა და ცხოველმყოფელ მსოფლმხედველობას... ეს მართლაც თავის თავად ცხადია. ხოლო პროფ. კეკელიძის ”დასკვნა” კი ”თავის თავად” ცხადი სრულებითაც არაა, თითქო აღნიშნულ მიზეზთა გამო ”პოემის დაწერის თარიღით არ ემთხვევა თამარის დროსო”. ასეთი ხასიათის პოემა შეიძლება დაწერილიყო თამარის დროსაც და მონღოლთა ხანაშიც და მერმეც. ოღონდ აქ არ მსურს უყურადღებოდ დავტოვო პროფ. კეკელიძის მტკიცება, თითქო ვეფხისტყაოსანში ”ოპტიმისტური შეხედულება” არ იყოს, თითქო იქ ”პირწავარდნილი ფატალიზმი” იყოს, ”რომელიც პასივობამდეა დაყვანილი პოემაში”... ოღონდ გავიგოთ ერთჯერ და სამუდამოდ: რა არის ეს ფატალიზმი?

ფატალიზმი არის სწავლა, რომელი კაცის ნების თავისუფლებას უარჰყოფს. ფატალიზმის მიხედვით, ყველა მოვლენა და მოქმედება შეუცვლელი და შეურყეველია თავიდანვე, და თვითეული პიროვნების მომავალი არის განსაზღვრული და შეუცვლელად გარდაწყვეტილი, — ამიტომაც ბედის წინააღმდეგ ბრძოლა არც შესაძლებელია და არც სასურველი.

ფატალიზმი, — ამბობს ვ. დანჟენ, — კაცს ართმევს მისი პირადი ღირსების გრძნობას და მას ზარმაც და განუძრეველ საგანთა რიგში აგდებსო.²⁴² ნების თავისუფლების უარყოფა, ბრძოლის უარყოფა, არა-სასურველობა ბრძოლისა ბედის წინაშე, — აი, ეს არის ფატალიზმი. და თუ ღმერთთა ყოველივეს გამგე და თუ განგებაა უფალი ცისა და ხმელეთისა, ადამიანისა და მფრინველისა, მხეცისა და თევზისა, პირუტყვისა და მწერისა, ყოველი სულიერი და უსულო არსებისა, — ეს დებულება რელიგიურია და მას ფატალიზმთან არავითარი კავშირი არა აქვს, რადგან რელიგიებში, განსაკუთრებით ქრისტიანობაში და თვით ისლამშიც კი კაცს ნების თავისუფლება მინიჭებული აქვს ღმერთისაგან, ნებისყოფის თავისუფლება აღიარებულია. ”ვით მფრინველს არ შეუძლია იფრინოს უჰაეროდ, არც თევზს — იცურაოს უწყლოდ, აგრეთვე არც კაცს შეუძლია ერთი ნაბიჯიც კი გადადგას უესოქრისტედ“-ო, ნათქვამია, ოღონდ ეს სრულებით არ გულისხმობს იმას, რომ ამით კაცის ნების თავისუფლება შებორკილია, მისი ნებისყოფა დამონებულია. ასეთი რამ არ არსებობს არც ქრისტიანობაში და არც ისლამში, სადაც ღმერთი კაცს თავისუფლებას არ ართმევს, მას არ შეუბოჭავს. ეს კარგად უნდა იცოდეს ყოფილმა სასულიერო პირმა, პროფესორმა კორ. კეკელიძემ, როდესაც მას განგების, ანუ ღმერთის საკითხი ფატალიზმის არეში შეჰყავს, სრულიად უსაფუძვლოდ.

ვეფხისტყაოსანი არც ფატალისტურია, არც პესიმისტურია, არც უსიცოცხლოა და არც სიკვდილის მოტრფიალეა.

პირიქით და წინაუკმოდ: ვეფხისტყაოსანი არის ბრძოლის ამბავი, იმედის, სასოების, გამარჯვების რწმენაა...

წინააღმდეგ და პირუკმოდ: ვეფხისტყაოსანი სიცოცხლეზე გალობაა და სიკვდილის დაგმობაა, ბოროტის დათრგუნვაა და კეთილის გამარჯვებაა.

პირიქით და წინაუკმოდ: ვეფხისტყაოსანი ბრძოლისა და ომის რომანია, და ამ ბრძოლისა და ომის გარეშე ეს რომანი არ იარსებებდა...

და თუ ამ რომანში არის ბედის შესახებ წუწუნი, რომ ბედი ”არის ცვალებადი, დაუნდობელი, მუხთალი მტერი, ცრუ და გაუტანელი”, რომ პოემაში ”მძლავრად ისმის გმობა და მდღურვა წუთისოფლისა”, — ეს არის ჩვეულებრივი რწმენა კაცისა ბედის შესახებ, რწმენა, წარმოშობილი მსოფლიო კულტურის განვითარების შედეგად, რომელს ქმედითი მნიშვნელობა არა აქვს, და მხოლოდ სულიერ მძიმე განწყობილებას გამოხატავს, ამ რწმენით ხასიათდება ყოველი საზოგადოება, — ქრისტიანული და არა-ქრისტიანული, არის იგი თამარ მეფის დროისა, ან უფრო ადრინდელი, ან უფრო მოგვიანო, აწმყო, თუ მყოობადი...

ამიტომ საგულისხმოა, გამოირკვეს აგრეთვე ბედის პრაქტიკული განხორციელების საკითხი ვეფხისტყაოსანში; საკითხი, თუ ბედი რით გამოიხატება და როგორ განიცდება ცხოვრებაში, და რა ითვლება აქ მის მატარებელად. ესაა საკითხი ჭირისა და ლხინისა.

ჭირი არის არა-სასიამოვნო განცდა: წუხილი, გოდება, ვაება, რომელიც გამოწვეულია შექმნილი ვითარებისა გამო, ოდეს იგი კაცს სურვილთ, მოთხოვნილებას არ

უკმაყოფილებს და ცუდ მდგომარეობაში აყენებს. ჭირი არის უარყოფითი განცდა გრძნობისა, რომელიც ზნეობრივსა და სულიერ აფორიაქებას იწვევს, ტკივილსა და ტანჯვას იძლევა. ჭირი არის სულიერი დაუკმაყოფილებლობა, რომელიც სწეულებად იქცევა ხოლმე. ჭირი არის აგრეთვე სენიც.

წინაუკმოდ: ლხინი არის შვება, სიამოვნება, მხიარულება. ლხინი არის ზნეობრივი დაკმაყოფილება, სურვილთა და წადილთა მიღწევის სიამე — გრძნობა, გახარება და მოლხენა, სულიერი სრული დაკმაყოფილება.

ჭირი და ლხინი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულნი არიან, — ერთი მეორესა სცვლის და არასოდეს ისინი მყარნი არ არიან.

მსოფლიო მწერლობაში ჭირისა და ლხინის საკითხი ყოველთვის მთავარი იყო და არის დღესაც. ამ საკითხის გარეშე რომანი არ იწერება. და ვეფხისტყაოსანში მას სათანადო ადგილი უკავია: აქ არის ბრძოლა ჭირის წინააღმდეგ, ლხინის გასამარჯვებლად...

რა მიზეზითაა გამოწვეული ჭირი?

პირველი ჭირი, რომელს ვეფხისტყაოსანში ვეცნობით, არის ”სიბერე”, მოხუცებულობა. ეს ჭირი არის ბუნებრივი, საყოველთაო და გარდაუვალი, და სწორედ ამიტომ ამბობს მეფე როსტევან —

მე გარდავსრულვარ, სიბერე მჭირს, ჭირთა უფრო ძნელია,
დღეს არა, ხვალე მოვკვდები, სოფელი ასრე მქმნელია (36).

ასეთი არის აუშორებელი ჭირი, ჭირთა უფრო ძნელი, რომლის კანონი უცვლელია. ამგვარი ჭირი უექველად სიკვდილით დასრულდება.

* *
*

მაგრამ ამ ”ძნელი ჭირის” გარდა არის სხვა ჭირიც. ესაა სიყვარულის ჭირი. ოღონდ ეს ჭირი შეყვარებულმა ლხინად უნდა ჩასთვალოს, როგორც ეს ვტნის წინასიტყვაობაშია ნაბრძანები —

მისთვის ჭირი ლხინად უჩნდეს, მისთვის ცეცხლსა მოიდებდეს (28).

სიყვარულის ეს ჭირი შეყვარებულმა უნდა სიამოვნებად მიიღოს, უნდა მოითმინოს, დამალოსო, როგორც გვასწავლის ავთანდილი —

ვერ ვაჩენდი აქანამდის ჭირსა ჩემგან დაფარულსა (152).

ლხინი უნდა იყოს შეყვარებულისათვის თვით სიკვდილიც კი, გვარწმუნებს ავთანდილი —

შენთვის სიკვდილი მეყოფის ლხინად ჩემისა თავისად (181).

ავთანდილი ასმათსაც ეუბნება თინათინის შესახებ —

მისთვის ხელმან, გამოჭრილმან, ლხინი ჩემი ვაალქატე (251),

ესე იგი: მისთვის გიჟმა (ხელმა), გამოვიჭერ, წამოველი საძებნელად, და ჩემი ლხინი გავაცუდე, გავაფუჭეო.

სატრფო დაკარგული ტარიელი, რასაკვირველია, ჭირშია ჩავარდნილი და ფრიდონი აგზავნის მენავეებს, რათა —

მოგვინახონ იგი მთვარე, ვისთვის ჭირი არ გაკლია (638).

ოღონდ ტარიელისათვის ლხინი აღარ არსებობს და მას მიუტოვებია ყოველი ლხინი, და ჭირი მის გულს მოზმია —

დახსნილვარ ლხინსა ყოველსა, მით გული ჭირსა მოების (643).

და ტარიელი იმასაც ნანობს, რომ უნესტანოდ —

უმისოდ ლხინი მინახავს, ამა დღისათვის მრცხვენოდეს (640),

და იქვე დასძენს —

მაგრა ლხინი უმისობა ჩემგან ძნელად გაიძლების (646).

* *
*

სიყვარულის ჭირსა გარდა არსებობს მეგობრობის ჭირი, გამოწვეული მეგობართა დაშორებისა გამო. და ამის შესახებ ფრიდონი ლაპარაკობს ტარიელთან —

მითხრა თუ: ”ძმაო, დღესითგან ცუდ ჩემი ლხინი ყოველი (644).

ავთანდილმა როდესაც თავისი სპა მიატოვა და გაიპარა, ამის გამო სპათა შორის დიდი გლოვა იყო, ახლა ავთანდილი მიბრუნდა და მისნი ახლობელნი ამბობენ —

მოვიდაო, აქანამდის ვისთვის ლხინი გაგვემწარნეს (673).

და ავთანდილიც ამბობს ტარიელთან დაშორებისა გამო —

აჰა, მაქვსცა უმისობა ლხინი არმად, თავი ფლიდად (703).

* *
*

ჭირი მრავალ გვარია და ულევია. ჭირი არის ისიც, რომ უცხო მოყმემ მეფე როსტევეანის კაცებს ხმა არ გასცა, მათი ჭირი ცნობის მოყვარეობისა არ განკურნა —

სხვა მხარესა გაემართა, მათი ჭირი არ განკურნა (93).

ჭირი არის აგრეთვე ავთანდილის მიერ ტარიელის ძებნა, როდესაც —

თვე ერთ კაცსა ვერა ნახავს, ვერა შვილსა ადამისსა,
იგი ჭირი არ უნახავს არ რამინს და არცა ვისსა (183).

ჭირი არის აგრეთვე ის მოვლენაც, რომ ტარიელმა ხატაელთაგან ერთი ძმა დაჰკოდა,
და შეხვედრისას ისინი ავთანდილს მიუგებენ —

ვერა გვარგო, მოგვიმტკივნე, ჭირნი ჭირთა მოგვისავსენ (198).

ავთანდილი ტარიელს მალულად დაედევნა და თან —

ავთანდილ იტყვის: ”ეზომნი ჭირნიცა რად ვაცუდენი,
რაცაღა არის, არა არს, თუმცა არ ედგენს ბუდენი (217),

ანუ: მას სადგომი, ბუდე უნდა ჰქონდესო.

ასმათიც, ცხადია, ჭირით სავსეა —

რად რა გითხრა, სადამდისცა ვიყო ჭირთა უნახავი? (240).

და როდესაც ავთანდილი ასმათს ემუდარება, ტარიელის ამბავი მითხარიო, მას ეუბნება —

მისი სახე გულსა ჩემსა ხატად ასრე გამოვხატე,

მისთვის ხელმან, გამოჭრილმან, ლხინი ჩემი ვაალქატე;

ორისაგან ერთი მიყავ: ტყვე მქმენ, ანუ მათხატე,

ან მაცოცხლე, ანუ მომკალ, ჭირი ჭირსა მომიმატე (251).

ავთანდილი ამბობს: თინათინის სახე ჩემს გულზე ხატად გამოვხატე; მისთვის (თინათინისათვის) გადარეულმა (გიჟმა), სახლიდან წამოსულმა, გამოჭრილმა, ლხინი ჩემი დავაგლახე (ალქატი — გლახაკი. ს. ს. ორბ.); ორისაგან ერთი რამ მიყავ: ან ტყვედ გამხადე, ან მათხატე, განმათავისუფლეო. ან მაცოცხლე, ან მომკალი, ჭირი ჭირს მომიმატეო. სიტყვა ”ათხატი” არის ძველი სპარსული, ”ავესტა“-ს ენიდან და ნიშნავს: კეთილშობილი, ანუ: წესნიერი, თავისუფალი. ქართულშიც ამ სიტყვას აქვს მნიშვნელობა: თავისუფალი.

დაბოლოს, ასმათი ავთანდილს ჰპირდება, ტარიელს დაგიმეგობრებო —
გეახლოს და არ გაშმაგდე, თუცა ჭირი არ გაკლია (273).

* *
*

როსტევან მეფემ როდესაც უცხო მოყმის, ტარიელის კვალი ვერა ჰპოვა, —
მეფემან ბრძანა: ”ვნახეო მიზეზი ლხინთა ლევისა (98)

და თავის ასულს, თინათინს განუმარტავს ამ ამბავს —

გითხრა ჩემი სამიზეზო, მე თუ ლხინთა რად დავლეო (105),

და მოუთხრო უცხო მოყმესთან შეხვედრის შემთხვევის შესახებ. და ამასთანავე
როსტევანი თინათინს ეუბნება —

შენი ჭვრეტა და სიახლე ლხინადვე დამისახია (108).

როდესაც ტარიელმა პირველად ნესტანის წერილი მიიღო, მეო —

ლხინმან ბნელი განმინათლა; დაშრტეს, ცეცხლნი რომე მწვიდეს (386).

და როდესაც ნესტანმა იგი თავისთან მიიწვია —

ლხინმან ბნელი განმინათლა, ამიფოლხვა ჯაჭვთა მანა (392),

ანუ: მომიშვა, შემიმსუბუქა (ამიფოლხვა) ჯაჭვების პალო, სარჭობი კარავის
ფარდებისათვისო, (მანა), რომლითაც ჯაჭვებია დაბმულიო.

და ოდეს ტარიელმა ნესტანი იხილა —

გულსა ბნელი განმინათლდა, ზედან ლხინი ადგა სვეტად (409),

და როდესაც ტარიელი ნესტანთანაა —

დავჯე, მივეც გულსა ლხინი, საწუთროსა დამემობარსა (410).

ახლა კი, როცა ნესტანი დაკარგულია —

ტირილი მიჩნდეს ლხინად და მდინდიან ცრემლთა ფონანი (590).

ლხინმაც, სიხარულმაც იცის ტირილი და ამას ჩვენ ვხედავთ, ოდეს ავთანდილი და
ფრიდონი ერთმანეთს შეხვდნენ —

ერთმანერთსა გარდაუხდეს, ლხინმან ცრემლი აფრქვევინა (987).

* *
*

ამ მიმოხილვის შემდეგ იჭრება საკითხი, თუ ვისგან მოდის ეს ჭირი და ლხინი? ვინ არის ის, ან რა არის ის, რომელი ჩვენ ლხინს გვანიჭებს, რომელი ჩვენ ჭირს დაგვატებს თავზე? ეს "ვინ" არის ღმერთი. ეს "რა" არის "ზედი".

ავთანდილი ღმერთს საყვედურით მიმართავს —

გულით ჩემით სიხარულნი აღჰვხვრენ, ჭირნი დააბუდენ (189).

ღმერთია მომცემი ლხინისაც და ჭირისაც; მასვე შეუძლია ჭირი შესცვალოს ლხინზე, და არაოდეს შეგაწუხოს, როგორც ამას ფრიდონი ტარიელს ეუბნება, იგი (ღმერთი) —

ჭირსა ლხინად შეგვიცვალე, არა ოდეს შეგვაწუხებს (633).

და —

ნუთუ ქმნას ღმერთმან გარდახდა მაგ შენთა ჭირთა და ვალთა (637),

და ვინაიდან ჭირიც და ლხინიც ღმრთის ხელშიაო, ამბობს ავთანდილი, ამიტომ —

თუ ლხინი გვინდა ღმრთისაგან, ჭირნიცა შევიწყნაროთა (726).

ოღონდ, არსებითად ღმერთი არის ჭირთა მომაღხენელი, — და ავთანდილმა —

თქვა: "ღმერთო, გმადლობ, რომელი ხარ ჭირთა მომაღხენელი (1250),

და შემდეგაც კიდევ —

ღმერთი იწადებს, მომივლენ გულის სახმილთა ლხენანი (1475).

და ღმერთს, ცხადია, მადლობა ეკუთვნის —

ღმერთსა ჰმადლობდეს შეცვლასა ლხინად ჭირისა დღეთასა (1497).

ეს მადლობა ჭირის დამარცხებისათვის, და ლხინის გამარჯვებისათვისაა.

* *
*

ჭირის მომგვრელია ზედი, სოფელი და ავთანდილმა —

თქვის: "ჭირი ჩემი სოფელმან ოთხმოცდაათი ანასა (179).

"რად მიმეცო ამა ჭირსა?" — ბედსა ამას უზრახვიდა (860).

აწ სოფელმან უარესი ჭირი ჭირსა მომისართა (1299).

ოღონდ ეს ბედი, ეს სოფელი ჭირსაც იძლევა და ლხინსაც —

მაშინ ჭირი ჩნდა ჩემზედა, აწ ესე ლხინად უხვდების,

რათგან შვება აქვს სოფელსა, თვით რად ვინ შეუწუხდების? (705).

ჰკადრა: "რა კაცსა სოფელმან მისცეს წადილი გულისა,
ხსოვნა არა ხამს ჭირისა, ვით დღისა გარდასრულისა (696).

აწ გავხედით ბედისაგან ცეცხლთა შრეტით, ჭირთა ლხენით (1357).

* *
*

მაგრამ ჭირი ხვდება კაცს აგრეთვე თავისი თავისაგან, თავისი ცნობისაგან, ანუ გონებისაგან, თავისი უგუნური მოქმედებითაც, როგორც ამბობს ავთანდილი —

თავისისა ცნობისაგან ჩავარდების კაცი ჭირსა (875).

მაშასადამე, ლხინსა და ჭირს კაცს აძლევს ღმერთი, ბედი, და ამას გარდა თვით კაციც ჩავარდება ჭირსა თავისი გონება-ცნობისაგან. ამგვარად, ამ ლექსით გამოთქმულია დებულება ადამიანის ნების თავისუფლების შესახებ სრულიად გარკვეულად.

* *
*

ჭირი არსებობს; იგია სინამდვილე. როგორ უნდა შეხვდეს მას კაცი? ავთანდილი ამბობს —

ხამს, თუ კაცი არ შეუდრკეს, ჭირს მიუხდეს მამაცურად (154),

ანუ: უნდა, საჭიროა (ხამს), კაცი ჭირს არ შეუშინდეს (არ შეუდრკეს), მის წინ არ დაიხიოს, და მას მამაცურად, მამაკაცურად, მხნედ შეხვდესო.

აქ სრული სიცხადით წარმოდგენილია დებადი ჭირთან ბრძოლის საჭიროების შესახებ და ამით დამტკიცებულია აგრეთვე კაცის ნების თავისუფლება მოქმედებაში.

ჭირი უნდა დათმო, აიტანო, გაუძლო მას, როგორც ასმათი ავთანდილს ეუბნება —

ხარ ვინათგან აქანამდის მაგა ჭირთა დამთმობარი (258).

ფრიდონიც თხოვს ტარიელს —

მუნადისცა მოიჭირვე, — გონებამან არ დაგლია,
ყოლა ჭირი არ ეგების, თუმცა ლხინმან არ დასძლია (638),

ანუ: ცოტა ხანს გაიჭირვე (სანამ მენავენი მობრუნდებოდენ და ნესტანის შესახებ ამბავს მოგვიტანდენო), თუ გონებამ არ დაგლია, თუ მან არ მოგსპოო; ყოლა, ყოველთვის ჭირი არ შეიძლება იქმნეს, არსებობდეს (ეგების); მას ლხინმა უნდა დასძლიოს, აჯობოსო. აქ, როგორც ვხედავთ, ნათლად დახატულია იმედი, მოცემულია სავსებით ოპტიმისტური გაგება; ოღონდ საჭიროა სიმტკიცე, არდაღონება, როგორც ამას ავთანდილი შერმადინს ეუბნება და ურჩევს —

ხამს, მამაცი გაგულოვნდეს, ჭირსა შიგან არ დაღონდეს (785).

აქაც წარმოდგენილია დებულება ბრძოლის შესახებ, ნების მოქმედების დებადი.

და ამის შესახებ ავთანდილი თავის ანდერძშიც სწერს —

წესი არის მამაცისა მოჭირვება, ჭირთა თმენა (795).

(მამაცი — მამაკაცი. ს. ს. ორბელიანი).

ამ შეხედულებას იგი ტარიელსაც უხსნის —

ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა ვით ქვითკირსა (875),

და კიდევ უმეორებს მასვე —

ნეტარ მამაცი სხვა რაა, არ გაძლოს, რაცა ჭირია!

ჭირსა გადრეკა რად უნდა, რა სასაუბრო პირია! (931).

ავთანდილი თავის თავსაც აჯერებს —

მაგრა თუ ჭირსა არ დასთმობ, ლხინი რა დასათმობია! (965),

ანუ: ჭირს თუ ვერ გაუძლებ, ვერ აიტან (არ დასთმობ), ლხინი რა დასათმობიაო, მით უმეტეს, რომ ჭირი და ლხინი ერთმანეთს სცვლიან —

კაცსა მიჰხვდეს საწადელი, რას ეძებდეს, უნდა პოვნა,
მაშინ მისგან აღარა ხამს გარდასრულთა ჭირთა ხსოვნა (211).

ჭირი და ლხინი ცვალებადია. ეს ნესტანმა იცის, და ოდეს მან ტარიელის ამბავი შეიტყო, თავის საყვარელსა სწერს —

აწ რა მესმა, შემოქმედი ვადიდე და ღმერთსა ვჰმონე,
ჩემი ყველა აქანამდის ჭირი ლხინსა შევაწონე (1296).

და ავთანდილი ფრიდონს სწერს —

ჭირნი ვნახენ და მოცამხვდა ნაცვალი ჭირნახულისა (1319),

ესე იგი: ბევრი ჭირი ვნახე, გამოვიარე და ახლა მერგო, მხვდა სანაცვლო
ჭირნახულისა, გავიგე ნესტანის ამბავიო. და, რასაკვირველია, როცა კაცი ჭირს
გამოივლის, მაშინ მისთვის ლხინი სასიამოვნოა და მრავალჯერ გასახარი —

მაშინ ლხინი ამო არის, რა გარდიხდის კაცი ჭირსა (1533),

რადგან კაცი ლხინს გემოს ვერ გაუგებს, ვერ იამებს, თუ მან ჭირი არ გამოიარა.
ტარიელი და ნესტანი ინდოეთის ტახტს აბრძანდნენ და —

და მათ პატიჟთა დაავიწყებს ლხინი ესე აწინდელი,
ყოლა ლხინთა ვერ იამებს კაცი ჭირთა გარდუხდელი (1637).

ასეთია ჭირისა და ლხინის ფილოსოფია ვეფხისტყაოსანში, და სრულიად უეჭველია,
რომ იგია სავსებით ოპტიმისტური.

* *
*

დამრჩა კიდევ ორი რამ, რაც ჭირის საკითხს ნათელსა ჰფენს.

ჭირში ჩავარდნილი კაცი, როდესაც მას იგი მეტის მეტად აწუხებს, გულს იოხებს,
თავის მწუხარებას იმსუბუქებს, თუ იგი თავისი ჭირის შესახებ ლაპარაკობს და
მსმენელისაგან თანაგრძნობას პოვულობს. სწორედ ეს დიდი ფსიქოლოგიური
მოვლენაც არის აღნიშნული ვტნში —

ამოა, რომე კაცი კაცს ამოსა ეუბნებოდეს;
მან გაუგონოს, რაცა თქვას, არ ცუდად წაუხდებოდეს,
ცოტად ეგრეცა დაუვსებს, ცეცხლი რაზომცა სდებოდეს,
დიდი ლხინია ჭირთა თქმა, თუ კაცსა მოუხდებოდეს (924).

არამც თუ ჭირთა თქმა, კაცს თუ მოუხდება, ანუ ამის საშუალება ექმნება, მიეცემა,
არამედ სასიამოვნოს, საამოს თქმაც დიდად დამაკმაყოფილებელია კაცისათვის, ოდეს
სხვა მას იზიარებს.

ჭირში ჩავარდნილი კაცი არა მარტო თანაგრძნობას ეძებს, არამედ დახმარებასაც; ეს
დახმარება მეგობრობაში აუცილებელია და სავალდებულო —

ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად;

კვლა მიჯნურსა მიჯნურისა ჭირი უჩნდეს ჭირად დიდად (703).

დასკვნა

ჭირი და ლხინი, ორივე ღმრთის ნებაშია და იგი განაგებს მათ. ჭირსა და ლხინს იძლევა აგრეთვე ბედი, რომელიც აგრეთვე ღმრთის ხელშია. ჭირი ცვალებადია; იგი ლხინით შეიცვლება; და ლხინს გემო აქვს, ოდეს ჭირი გარდახდილია. ჭირს გაძლება უნდა. ლხინი მოდის.

ამგვარად, ვეფხისტყაოსანის ფილოსოფია ჭირის შესახებ არის სავსებით ოპტიმისტური; იგი გულისხმობს ბრძოლას, მოქმედებას, როგორც ნების მიმართულებით, ისე ზნეობრივადაც. ნება აქ თავისუფალია და მეზრდოლი.

აი, ასეთ ფილოსოფიას, მართლაც თავის თავად ცხადია ფატალიზმთან არავითარი კავშირი არა აქვს და იგი სრულოვანად ოპტიმისტურია, რასაც ზედმეტად კიდევ ვეფხისტყაოსანი გვიმტკიცებს —

ლხინი მოგვცა, მოგვმორდა ყოველი ჭირი ძნელია...
ბოროტსა სძლია კეთილმან, — არსება მისი გრძელია...

ჭირი მარცხდება! ბოროტი მარცხდება! ლხინი იმარჯვებს! ბოროტი მარცხდება!
კეთილი იმარჯვებს!...

* *
*

ესპანურ-ამერიკულ დიდ ენციკლოპედიაში, სხვათა შორის, სიტყვისა "ფატალიზმი" შესახებ ნათქვამია —

ფატალიზმი არის სწავლა, რომლის თანახმად, ყველაფერი რაც ხდება ფატალობას მიეწერება, რომლის გარდაწყვეტილება გარდაუვალია. ძველად ფატალობას იმ უმაღლეს, უზენაეს ძალას უწოდებდნენ, რომელი ყველა მოვლენას წარმოშობდა და ეს ფატალობა იყო ნადვანო ფატუმისა, ანუ ბედისა. ეს ფატალიზმი არ არსებობს ქრისტიანთათვის, რომელთა სარწმუნოება ასწავლის, რომ არის ერთი ღმერთი ყოვლად მცოდნე, ყოვლად ბრძენი, რომელიც მსოფლიოს მართავს და რომლის ერთი თვისებათაგანია — სამართლიანობა.

მაჰმადიანობაში უნდა გაირჩეს ხალხური, ფილოსოფიური და თეოლოგიური შეხედულება. მაჰმად არსად მტკიცედ და გარკვევით არ ლაპარაკობს, თითქო კაცის მოქმედებანი წინასწარ იყვნენ ღმრთის მიერ გადაწყვეტილნი, ოღონდ ნათქვამი აქვს, რომ ღმერთი ვინმეს აიძულებს გააკეთოს ბოროტი, ხოლო ვინმე კი დანიშნულია სამოთხისათვის. მაგრამ ეს თქმანი სიტყვა სიტყვით არ უნდა გავიგოთ, რადგან მაჰმადი ლაპარაკობს როგორც მოქადაგე, ვით პოეტიც კი, და არა მკვეთრი და გამოკვეთილი ცნებებით მეცნიერსავითო. ²⁴³. ეს დაფასება შესაწყნარებელია, რადგან გადაჭარბებულად შეიძლება ჩაითვალოს ფართოდ გავრცელებული შეხედულება მუსულმანთა ფატალიზმის შესახებ. თუ ფატალიზმი არის ხელის გაუნძრევლად

გაჩერება, ბრძოლის უარყოფა და უსიტყვოდ სამარეში ჩასვენება, მაშინ ფატალიზმი არ არსებობს, თუგინდ მარტო იმიტომ, რომ სიცოცხლის ძალა და არსებობისათვის თანდაყოლილი აუცილებელი სურვილი სიცოცხლისა ამგვარი ფატალიზმის ბუნებრივი მოწინააღმდეგეა.

კარგად აქვს ნათქვამი ერთ აფრიკელ მარაბუს, სიდი მაჰომედ ზეროკს — ყველა კაცის სიცოცხლე ღმრთის ხელშია, და როცა დრო მოგივა, უნდა მოკვდე... მაგრამ მაინც განგებას სურდა შავი ჭირისაგან გადაერჩინა ზოგნი, რომელნი დილაობით, სანამ ეს სენი გრძელდება, ამა და ამ აბს (ჩამოთვლილია წამლები) ღებულობენო...²⁴⁴.

დიდად ცნობილი არაბი პოეტი ალ-მუტანაბბი (915 — 965) სიცოცხლე-სიკვდილის საკითხს ბუნებრივად განიხილავს და ერთ თავის ლექსში ამბობს —

ყველა მოკვდავია; ის, ვინც წამალი გამოგიწერა,
ის, რომელმან წამალი მიიღო; ის, ვინც მოიტანა;
ის, რომელმან იგი გაჰყიდა და ისიც,
ვინც იყიდა იგი...²⁴⁴. გვ. 182.

ასე უთქვამს ვოლტერს 800 წლის შემდეგ, და ასევეა ნათქვამი ვეფხისტყაოსანშიც.

ბედის წინაშე უსიტყვოდ და უმოქმედოდ დამორჩილება წმიდა ფატალისტური გაგებით არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს, არც ერთ მსოფლმხედველობაში იგი განმტკიცებული არ არის: არც ბუდთიზმში, არც ქრისტიანობაში, არც მაჰმადიანობაში... და არც ვეფხისტყაოსანში.

რასაკვირველია, ხშირია წუწუნი, გოდება და ვაება ბედის გარდაუვალობაზე, უბედურებაზე, მაგრამ ეს არის თქმა, გოდება, წუწუნი და ვაება მიუღწეველ სურვილთა განუხორციელებლობით და ნების დამარცხებით წარმოშობილი. თუ ამას ფატალიზმი ეწოდება, მაშინ იგი არის ზოგადი კანონი, ყველასათვის აუცილებელი და სავალდებულო. ასე არ ესმის ეს ფატალიზმი პროფესორ რეჟის ბლანშერს, როდესაც იგი არაბის, ბედუინის ფსიქოლოგიას განიხილავს —

ცხოვრების ჭირნი და გამოცდილებანი, რომელთა მიხედვით, ეს არიან ბუნების ძალნი უდაბნოში რომ იმარჯვებენ, არაბთა შორის ღრმა ფატალიზმს განავითარებენ. არა იმიტომ, რომ არაბი ჰგავდეს იობს, რომელიც უბედურებასა და სიკვდილს მორჩილებით ღებულობს; არაბი მეომარია, ცხოვრების გაუტანლობას იგი ხელ გაუნძრეველად არ ემორჩილება, პირიქით: მის წინაშე თავის პირველ მოვალეობად ბრძოლასა სთვლის, ოღონდ თუ იგი გარდაუვალს ეხეჩება, ქედს იხრის, რადგან წამსვე გრძნობს ბრძოლის ამავეობას ამ უმაღლესი მჯობნი ძალის წინაშე, რომელსაც ეწოდება საშიშარი სახელი "დაჰრ" — ხვედრი. და ეს საბოლოო დამორჩილება მას მარტივ სიტყვებს უკარნახებს (და ამ სიტყვებს არ აკლია დიდობა) და უეჭველად ერთგვარ თეატრალობასაც იწვევს, ხშირად ამაღელვებელს...²⁴⁵.

ცხადია: არაბიც და ფრანგიც, სპარსელიც და გერმანელიც, ინდოც და ინგლისელიც, ჩინელიც და რუსიც, ქართველიც და იტალიელიც, — ქრისტიანიც და მაჰმადიანიც, კონსერვატორიც და კომუნისტიც, — ყველა კაცი თავის მიზანთა

განხორციელებისათვის იბრძვის, ომობს — ოღონდ დამარცხების წინაშე ყველა, — რწამს თუ არა ბედი, აღიარებს თუ არა ღმერთს, — ქედს იხრის და აუცილებელი სინამდვილის წინაშე იჩოქებს. თუ ეს ფატალიზმია, მაშინ მთელი კაცობრიობა ფატალისტური ყოფილა, გარნა ეს აზრი შეუწყნარებელია.

საბოლოო დასკვნა

ვეფხისტყაოსანში —

- 1). ბედი არ არის თვითმყოფადი, აბსოლუტური. ესე იგი: ბედზე არ არის ღმერთი დამოკიდებული;
- 2). ბედი არ არის არც მსოფლიო კანონთა კრებული, არც ბუნების წესრიგი, და არც გონება;
- 3) ბედი არ არის არც სტოელთა და არც ნეოპლატონიანთა ფილოსოფიით წარმოდგენილი ბედი;
- 4) ბედი არის დამოკიდებითი, პირობითი, რელატიური. ესე იგი, ბედი ღმერთზეა დამოკიდებული;
- 5) ბედი არ არის ფატალისტური; ბედი არ არის კაცის ნების მომსპობელი; კაცი იბრძვის ბედის წინააღმდეგ;
- 6) ბედი არის ოპტიმისტური, ლხინის მომცემი საბოლოოდ;
- 7). ვტნში არა ვხედავთ ასტროლოგოსებს, და არც ასტროლაბიას, არც ვარსკვლავურ ცხრილებსა და აღმანახებს; არც არავინ მოქმედებს ვარსკვლავთა მკითხაობის მიხედვით, ისე როგორც ეს სპარსულ მწერლობაშია.
- 8) ვტნში სიცოცხლის ლხინის დამტკიცებაა და ეს არის ქართველი კაცის შეგრძნობა ბედისა.

~~~~~

### ბეჟოას ქალის მოსახსენებლად

გასარკვევად: — სომეხ ბეჟოას ქალს 1702 წელს ვეფხისტყაოსანი გადაუწერია. ეს მისი ხელით გადაწერილი ვტნი დაცულია პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში, და როგორც ექვთიმე თაყაიშვილი ამბობს ამ ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა აღწერაში, დასახელებული "სომხის ქალი ვერ ყოფილა დახელოვნებული ქართულში" და "ხელიც უშნოა"-ო. და დასძენს: "ამიტომ სამართლიანად მიუწერია ვიდაცას პირველ გვერდზე წიგნისა: — დიად ცუდი ვეფხისტყაოსანია. — არც მეთვრამეტე საუკუნეში ყოფილა მოსაწონი ეს ვეფხისტყაოსანი: მე-12 ფურცლის აშიაზე მერმინდელის ხელით ასეთი მინაწერია: მე. იოანემ. სარდლის. შვილმა. ვნახე. მინდა. მეყიდა. და. აღარ. ვიყიდე. 1723. იოანე.

"ამ რიგად ეს ვეფხისტყაოსანი გადაწერილია შემახიას უვიცი სომხის ქალის მიერ 1702 წელსო"- — ასრულებს შენიშვნას ექვთიმე თაყაიშვილი და თან ასწორებს თარიღს: თუმცა ხელნაწერს აწერიაო 1619 წელი, მაგრამ ცუდად წაუკითხავთო.

ყველაფერი ეს მართალი უნდა იყოს, ოღონდ ეს მოვლენა სხვა შეფასებას მოითხოვს.

რომ სომეხ ბეჟოას ქალმა, შემახაში მყოფმა, ქართული კარგად არ იცოდა, — მართალია;

რომ მისი ხელით ნაწერი ცუდია, — ესეც მართალია,

რომ ეს ვტნი საყიდელად დაიწუნეს, — ესეც მართალია (თუმცა, უეჭველია, ბეჟოას ქალს იგი გასაყიდად არ გადაუწერია);

მაგრამ მთავარი ეს არ არის.

მთავარი და დიდად მნიშვნელოვანი ის მოვლენა არის, რომ 1702 წელს, ქალაქ შემახაში, ქართულის ცუდად მცოდნე სომხის ქალს ვტნი გადაუწერია!

წიგნის გადაწერა იოლი საქმე არაა. ჯერ ერთი: ბეჟოას ქალს უნდა სცოდნოდა თუ რა იყო ვტნი. მეორე: მას ეს ვტნი უნდა მოეპოვებინა, რაც ადვილი საქმე არ იყო. მესამე: მას იმდენად უნდა მოსწონებოდა და შეყვარებოდა ვტნი, რომ გადაეწყვიტა მისი გადაწერა იმის მიუხედავად, რომ იგი ”ვერ ყოფილა დახელოვნებული ქართულში”...

როგორი სიყვარულითა და რაოდენი შრომით უნდა შეესრულებინა მას ეს მძიმე ამოცანა!

ვეფხისტყაოსანმა მთელი მისი არსებით: — მუსიკითა და აზრით, შინაარსითა და მოქმედებით, სიყვარულითა და სიცოცხლის ლხინით მოაჯადოვა შემახაში მყოფი ბეჟოას ქალი, ისევე როგორც იგი ხიბლავდა და აჯადოებდა ქართველ ქალსაც. აი ეს გვაჩვენა ჩვენ ბეჟოას ქალმა, — თუ რაზომ დიდი იყო ვტნის გავლენა და სიყვარული აგრეთვე სხვა ერის შვილთა შორისაც.

ეს ამბავი სათანადო დაფასებას მოითხოვდა, და ვტნის თაყვანისმცემელის ბეჟოას ქალის პატივით ხსენებას მიკარნახებდა. ამიტომ ვუძღვნი მე მას ამ ნარკვევს: ”ვტნის ბუნებისმეტყველება”.

## ვეფხისტყაოსანის ბუნებისმეტყველება

### წინარი

ჩემი მღვივე განზრახვა იყო: "ვეფხისტყაოსანის ბუნებისმეტყველება"-ც იმავე მეთოდით დამემუშავებინა, ვით ეს წინამდებარე ნარკვევი და უკვე დაბეჭდილი 1953 წ. "ვტნის ფერთამეტყველება", და ცალკე წიგნად გამომეცა, გარნა იძულებული ვარ ამაზე უარი ვთქვა, რადგან ასეთი ფართო შრომისათვის არც ხანი, მისი ჭირით, და უფრო მეტად კიდევ, მდგომარეობა ხელს არ მიწყობს. ამიტომ ამ ნარკვევს მკითხველს იმ სახით ვაწოდებ, როგორც იგი 1947 წ. იყო დაწერილი; გზა და გზა შემდეგ მცირე რამ თუ მივუმატე; და ნურავინ დამემდურება, თუ რომელიმე საკითხი სრულად დამუშავებულად არ მოეჩვენოს.

≈≈≈

ბუნება არის არსება, ყველაფერი ის, რაც არსებობს, რაც მყოფობს.

ცნებას ბუნებას ყველ ენაში და ქართულშიც რამოდენიმე მნიშვნელობა აქვს:

1) ბუნება ვითარცა მოვლენათა და ნივთთა ჩვეულებრივი წესი ღმრთის მიერ მოწესრიგების მიხედვით —

**რომაელთა 1,26** ამისათვის მიჰსცნა იგინი ღმერთმან ვნებასა მას გინებისასა, რამეთუ დედათა მათთა გარდაჰსცვალეს ბუნების იგი წესი არა ბუნებად;

**რომაელთა 1,27** ეგრეთა მამათა მათთა დაუტევეს უნებისა იგი წესი დედათა, განჰხურდეს გულის თქმითა მათითა ურთიერთარს, მამანი მამათა თანა სარცხვინელსა იქმოდეს, და კვალად საგებელი იგი, რომელი ჯერ არნ საცთურისა მათისა ურთიერთარს მიიღიან.

2) ბუნება არის აგრეთვე ჩვეულება, გრძნობა საკუთრებისა, ზოგადი გაგება, ან შეგრძნობა, საერთო ადათი —

**რომაელთა 2,14** რამეთუ წარმართთა, რომელთა ჰსჯული არა აქვნდა, ბუნებითსა მას ჰსჯულსა ჰყოფდეს, ამათ, რამეთუ ჰსჯული არა აქვს, თავისა თვისისა თვის ჰსჯულ არიან;

**1 კორინთელთა 11,14** არცაღა თვით იგი ბუნება გასწავებს თქვენ, რამეთუ მამაკაცმან თუ გარდაუტეოს თმაღ გრძელად, უშვერება არს მისა; 15: ხოლო დედაკაცმან თუ გარდაუტეოს, დიდება არს მისა; რამეთუ თმა იგი სამკაულად მოეცა მას

3) ბუნება როგორც დაბადება, ჩამომავლობა —

**გალატელთა 2,15** ჩვენ ბუნებით ურიანი ვართ, და არა წარმართთაგანი ცოდვილნი;

4) ბუნება ვით არსება, არსი —



**გალატელთა 4,8** არამედ მაშინ, არა იცოდა ღმერთი და ჰმონებდით მათ, რომელნი იგი არა იყვნეს ბუნებით ღმერთ;

5) ბუნება როგორც გონების, ჭკუის თვისებანი —

ა) ბუნება — თვისება გონებისა სიკეთისაკენ —

**2 პეტრე 1,4** რომელთაგან დიდ-დიდნი და პატივოსანნი აღთქმანი ჩვენ მოგვანიჭნა, რათა ამის მიერ იქმნეთ საღმრთოდასა მის ბუნებისა და ევლტოდეთ სოფლისა ამის გულის თქმისა ხრწნილებასა;

ბ) ბუნება — თვისება გონებისა ბოროტისაკენ —

**ეფესელთა 2,3** რომელსა შინა და ჩვენცა ყოველნი ვიქცეოდით ოდესმე გულის თქმათა შინა ხორცთა ჩვენთასა, ვჰყოფდით ნებასა ხორციელთა და გონებათასა, და ვიყვნით ბუნებით შვილნი რისხვისანი ვითარცა იგი სხვანი...

ბიბლიის მიხედვით დახასიათებული "ბუნება" ჩვეულებრივ აღიარებულა ისრაელ და ქრისტიან ხალხთა შორის; ხოლო "ბუნების" განხილვა ფილოსოფიური თვალსაზრისით მეტად რთული საქმეა და ამ საკითხის გაღრმავებაზე უარს ვამბობ. აქ შევისწავლით ბუნების იმ მოვლენებს იმდენად, რამდენად მკითხველი მათ ვტნში ეცნობა.

## კარი პირველი

### ამბავი მიწისა

#### თავი 1. მიწა

დღეს რომ სიტყვასა "მიწა" საუბარში ვხმარობთ ნიადაგისა და ადგილის გამოსახატავად, ძველი ქართველისათვის ეს სიტყვა მარტივი არ იყო, რადგან მისთვის "მიწა" იყო "დედა", ღმერთი მეურნობისა და ნაყოფიერებისა.

უძველეს დროში "მიწა" იყო სათაყვანებელი არსი, ღვთიური მშობელი ჭირნახულისა და მომცემი ნაყოფთა, ისე როგორც ბერძნებისა და რომაელთათვის, და ყველა სხვა ხალხისათვისაც. ამ ნაყოფიერებისა და ჭირნახულის ღმერთ-მიწას ბერძნები — "დემეტრა"-ს და რომაელნი — "კერეს", ან "ცერესუს"-ს უწოდებდნენ; მათთვის აგებულნი იყვნენ სამლოცველონი და ტაძარნი, და დაწესებულნი საღმრთო მსახურებანი და დღეობანი. ამავე მიწასთან დაკავშირებული იყო "ფალოს"-ის კულტიც, და ფალოსი ხომ ნაყოფიერების ღმერთად ითვლებოდა...

"მიწის" საკითხის მკვლევარი პროფ. ა. დიტრიხს ამბობს: მიწისაგან მოდის კაცის სული და მიწასვე უბრუნდება იგი; მიწა ბადებს მას სიცოცხლისათვის და მასვე მიაქვს იგი უკანვე. სიკვდილით მიწას თავისი შვილი — სიცოცხლე უკანვე მიჰყავს და მოითხოვს იმ სიცოცხლეს, რომელი მან მას მიანიჭა. ამიტომ არის "მიწა" დედა.

თავიდან სემიტებს მიწის შესახებ ასეთი შეხედულება არა ჰქონდათ, მაგრამ ეზრას წიგნში ასეთი ადგილი უკვე მოჩანს (5,4). ოღონდ ამგვარი შეხედულება უკვე ნაგვიანები გავლენისაა.

”მიწა” ვით დედა-ღმერთი მოხსენებულია ძველ ინდურ საღმრთო წერილში (ვედა) და საერთოდ იგი არიელ ხალხთა მსოფლმხედველობას ეკუთვნისო. ამ მკვლევარს რომ სცოდნოდა, რომ ქართულ ენაში დღესაც ”მიწას” ჰქვია ”დედამიწა”, უეჭველად ამას საგანგებოდ აღნიშნავდა და არიელ ხალხთა შორის ქართველებს პირველ რიგში დააყენებდა.

ძველი ქართული ისტორიიდან ”დედამიწის” თაყვანებისა და მის წესთა ასრულების შესახებ, მგონია, არა ვიცით რა, ოღონდ თვით სიტყვა ”დედამიწა” გვიჩვენებს, რომ ქართულში შერჩენილია ამ თაყვანების გამომხატველი სიტყვა ”დედა — მიწა”. ეს მოვლენა აშკარად გვიმჟღავნებს, რომ რომელიღაც ხანაში ქართველთათვის ”მიწა” იყო ღმერთი, და ფიცი დედამიწაზე, ამას გარდა: კოცნა მიწაზე ამის გადმონათშიც უნდა იყოს.

#### ა). ფიცი მიწაზე

არაბეთის მეფე როსტევან და მისი სპასპეტი ავთანდილ კამათობენ იმის შესახებ, თუ რომელი მათგანი უკეთესი მშვილდოსანია; სპასპეტი მეფეს ეუბნება —

ნუ მოჰკვებ მშვილდოსნობასა, თქმა სჯობს სიტყვისა წყნარისა (66)...

მიწამცა თქვენი ავთანდილ თქვენს წინა მშვილდოსანია (67),

ანუ: ვფიცავ მიწას, თქვენს წინ საუკეთესო მშვილდოსანიაო.

ავთანდილი თავის დიდებულთ მიუწერს —

მიწაცა თქვენი ავთანდილ ისმნეთ გიწერ მე რასა,  
თვით ვიქმ ხელითა ჩემითა ამა წიგნისა წერასა (166),

ანუ: ვფიცავ მიწას, მე ავთანდილი, თვითონ ჩემი ხელით ვწერ ამ წიგნსო და მისმინეთ, რასაცა გწერთო.

ორივე ამ შემთხვევაში, მგონია, საქმე მიწაზე დაფიცებასთანა გვაქვს.

#### ბ). მიწა — თაყვანებისათვის

აქ მხედველობაშია მიწამდე დავარდნა, დაჩოქება, კოცნა მიწისა, მუხლთა მოყრა, ქედის მოდრეკა და სხვა ამგვარი წესი, რაც მეფისა და საერთოდ უფროსის წინაშე თაყვანებასა და პატივისცემას გამოხატავს. ასეთი წესი ყველგან არსებობდა და ნაწილობრივად არსებობს დღესაც; იგი წარმოშობილია რელიგიიდან, მიწის ღმერთობიდან და აგრეთვე სხვა ღმერთთა თაყვანებიდან.

როდესაც ტარიელ და ავთანდილმა ფრიდონს მიაართვეს ძღვენად ძვირფასი აბჯარი —

მან დასდვა პირი მიწასა, არ დააყოვნა ხანია (1384),

ანუ: ფრიდონმა მიწას აკოცა, პირი დასდვა მიწას. ამით გამოხატულია ძველთა ძველი წესი მიწის წინაშე თაყვანებისა, რომლის მნიშვნელობა, უეჭველია, ფრიდონს არ გაეგებოდა, და მას მხოლოდ უდიდესი პატივისა და ღრმა გრძნობათა გამოხატულების წესად მიაჩნდა.

რამაზ მეფემ ტარიელს —

მან თაყვანი სცა, პირსა ქვე მიწამდის დამდებარია (1648).

აქაც მიწაზე კოცნაა თაყვანების გამოსახატავად.

ამგვარივე თაყვანებაა მეორე სახე — მიწაზე დავარდნა და მუხლთა მოყრა.

არაბეთის მეფე როსტევანმა —

რა ტარიელ მუხლ-მოყრილი ნახა, მეფე შეუზარდა,  
შორს უკუ დგა, თაყვანი სცა, ქვე მიწამდის დაუვარდა (1524).

ყველა ამგვარი წესი, რომელიც ზრდილობისა და საზოგადოებრივი ყოფაქცევისათვის სავალდებულო იყო და ვეფხისტყაოსანის ზნეობას ეკუთვნის, როგორც ვთქვი, მიწისადმი თაყვანებისაგანაა წარმომდგარი.

### გ). მიწა — სამარე

მიწა სამარედ, ანუ საფლავად არის აღნიშნული. ღმერთმაო —

ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი (8).

ავთანდილს შერმადინი ეუბნება, უშენოდ სიცოცხლე არად ღირსო —

შენ მარტოსა გიგონებდე, მემცა მიწა ვიაკვანე (161).

მიწა აქ არის სამარე — აკვანი.

იგივეს ეუბნება ასმათს ტარიელი —

მკვდარი მნახო, დამიტირე, სულთქმა გაათანისთანე,  
მე სამარე გამითხარე, აქა მიწა მიაკვანე (307).

ნესტანი ტარიელს სიყვარულს ეფიცება —

გეცრუო, ღმერთმან მიწა მქმნას... (413),

რაზედაც ტარიელი მას უპასუხებს —

შენი ვიყო დამიყოფდეს მიწა პირსა... (416).

მგონია, ყველა ამ თქმას მიწაზე ფიცის ხასიათიც აქვს, აგრეთვე სურხავის თქმასაც —

მეფემან ბრძანა: არა მშურს სამიწოდ თქვენად თავიო (1446),

და ასეთივეა ავთანდილის ნათქვამიც

ღმერთმან მუნამდის მიწა მყოს, ვირ მეფე იყო ცნობილი (1476).

ვაზირი ავთანდილს ეუბნება —

შენი ოქრო შენვე დაგრჩეს, მე, გლახ, მიწა მესამაროს (743),

და თავის ანდერძში ავთანდილი სწერს —

ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მცხოვანი (800),

და ტარიელი სასოწარკვეთით ამბობს —

მო, მოყვარენო, დამმარხეთ, მიწანი მომყარენით (882),

და კიდევ —

სიკვდილი მახლავს ხელ-ქმნილსა, სიცოცხლე არის წამისად,  
მუნ მეცა მივალ, ცრემლისა მიწად სად გამდის ლამი სად (885),

ანუ: მეც იქ მივდივარ, სადაც ცრემლი მიწაში გადის ვით ლამი, ღვარო.

და ბოლოს, როსტევეანი თავის ასულსა და სიძეს ასე დალოცავს —

თქვენნი ხელითა მეღირსოს მიწათა შემომყრელობა (1545),

ანუ: თქვენის ხელით მომეყაროს მიწა, თქვენ მე დამმარხეთო.

მიწას ვითარცა სამარეს, ვით განსასვენებელ აკვანს რელიგიური მნიშვნელობა აქვს —  
ღმერთისაგან მიწით შექმნილი კაცი მიწასვე უბრუნდება და მიწადვე იქცევა.

#### დ). დამიწება

ეს გამოთქმა შედარებისათვის იხმარება —

ვითა მკვდარი უსულო ქმნა, ვითა მიწა დაამიწა (209),

და ტარიელი თავის შესახებ ამბობს —

ოდენ დავმიწდი, დავნაცრდი, გული მი-და-მო კრთებოდა (512).

ორივე შემთხვევაში ”დამიწება” არის დადუმება, გაჩუმება, სიცოცხლის წართმევა.

### ე). მიწა — ქვეყანა

როგორც დღევანდელ ქართულში, ვტნშიც ”მიწა” იხმარება აგრეთვე ქვეყანის აღსანიშნავად.

ავთანდილი როსტევეანს უთვლის —

ყოველი პირი მიწისა თქვენ ხრმლითა დაგიმონია (142),

და ტარიელიც როსტევეანს ეუბნება —

მაშინ თქვენ ჩემი გეწყინა ნახვა მიწისა შენისა (1505).

ორივე შემთხვევაში აქ სიტყვა ”მიწა” არის ქვეყანა. მხარე.

### ვ). მიწა — მიწა

მიწა ჩვეულებრივი აზრით, ვით ადგილი ვტნში ხშირად არ იხმარება. მაგალითად, ტარიელი —

დაჯდა და მწარედ სულ ითქვნა, ცრემლი მიწასა გარია (346).

ავთანდილი ვაჭრებს ეუბნება საზღვაო ბრძოლის შემდეგ —

მე, გლახ, რა ვარ, მიწა ცუდი, თავით ჩემით რაცა ვქმენი? (1051),

ანუ: მე ვარ ცუდი, უბრალო მიწა და ჩემით კი არ გამიმარჯვებია, არამედ ღმერთმა მომანიჭა ეს გამარჯვებაო.

### ზ). მიწა — კავშირი

თავის შესანიშნავს წერილში ნესტანი ტარიელს აცნობებს —

ღმერთსა შემვედრე, ნუთუ კვლა დამხსნას სოფლისა შრომასა,  
ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომასა (1304).

ცეცხლი, წყალი, მიწა და ჰაერი არიან კავშირნი, რომლითაც ყველა სხეული შესდგება.

ამგვარად, ვტნში სიტყვა "მიწა" სხვა და სხვა მნიშვნელობისაა, მოყოლებული უძველესი "მიწის ღმერთობისაგან" უბრალო პოეტურ შედარებამდე:

1. მიწა — საფიცარი
2. მიწა — სათაყვანებელი
3. მიწა — სამარე, აკვანი
4. მიწა — ქვეყანა
5. მიწა — ელემენტი, კავშირი

## თავი 2. წყალი

ს. ს. ორბელიანი "წყალის" შესახებ ამბობს — წყალი არს ერთი ოთხ კავშირთაგანი, კეთილად დაბადებული ღმრთისაგან პირველსა დღესა. წყალი არს ნივთი ნოტიო, გრილი და მძიმე და ქვემზიდველი და ადვილად დასათხეველი. ქვეყანა უმძმეს არს წყალთა, ჰაერი უსუბუქეს და ცეცხლი უსუბუქეს ჰაერთა. წყალი ეწოდების ზღვასა, მდინარესა, წყაროსა, ფშასა, ჯურღმულთა, წვიმათა და თოვლის ნადნობთა...

### ა). წყალი — მდინარე

ვით დღეს ვტნში "წყალი" მდინარესაც ეწოდება —

მინდორსა იქით წყალი სდის და წყლისა პირსა კლდენია (78).

### ბ). წყალი — წყურვილისათვის

გამოვჭრილვარ სახლით ჩემით, ვით ირემი ძებნად წყლისად (855),  
სწყუროდეს, წყალსა ვინ დაღვრის კაცი უშმაგო, ცნობილი (919),  
შენთვის ასრე მომწყურდების, წყაროსათვის ვით ირემსა (1656).

### გ). წყალი — გამკურნებელი

როდესაც ტარიელს გული წაუვიდა —

დაბნედასა მიეწურა, ასმათ ასხა გულსა წყალი (322),  
ქალმან სულად მოაქცია, მკერდსა წყალი დააპკურა (326),  
ასმათმან წყალი დაასხა, ცნობად მოვიდა ტარია (346).

### დ). წყალი — დამაშრეტელი

წყალი იხმარება ვით დამაშრეტელი, ჩამქრობი ცეცხლისა, როგორც შედარება ძლიერი გრძნობისა და ღრმა განცდათა, სიყვარულის საქმეში —

მერმე სულად მოაქცია, ცეცხლნი წყლითა დაუშრიტნა (499),  
წყალი სწრაფად რად დავასხი ცეცხლსა, ძნელად დასაშრეტსა (1343).

## ე). წყალი — ცრემლი

წყალი ცრემლთა დასახატავადაც არის გამოყენებული —

თვალთა ვითა წყაროს თვალი, ცრემლი ველთა მოადინეს (949),  
მუნ ვარდსა წყლითა ცხელითა რწყვენ, ტევრთა საგუბართა (1005).

## ვ). ვარდისწყალი

ვარდის წყალი ძველად დიდად ფასობდა ვით სუნნელება, და თუ ვტნში ვარდის  
წყალი მოხსენებულია როგორც საბანაო წყალი, ამით აღნიშნულია მხოლოდ დიდი  
ფუფუნება, რომელი ნესტანისათვის იყო დანიშნული —

კარზედა ბაღჩა, საბანლად სარაჯი ვარდის წყალისა (329),  
მრავლად იყო სარაჯები ვარდის წყლისა აბანოსა (341).  
(სარაჯი — ღარი ხისა, ან ქვისა წყაროსათვის. ს. ს. ორბელიანი).

## ზ) წყალი — გასართობი

მეფე როსტევან, ავთანდილ და მათნი ლაშქარნი ნადირობის დასასრულს —

თამაშობდეს და უჭვრეტდეს წყალსა და პირსა ტყეთასა (83),  
ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა (357);  
ავთანდილმა მგზავრობის დროს —

რა წყალი ნახის, გარდახდის, უჭვრეტდის ჭავლსა წყლისასა (840);

(ჭავლი — ს. ს. ორბელიანის ახსნით არის წყალის ჩანადენი, ჩანაგრები; სხვილი  
ნაწნავი თმა, და მასთან შედარებით აგრეთვე წყალის ჩქერა. ეს არ არის ”წყალის  
ციმციმი; წყლის კამარა”, როგორც ეს ახსნილი აქვს პროფ. ი. აბულაძეს, თუმცა  
”ჭავლით” ესეც შეიძლება იგულისხმოს).

ყველა ეს შემთხვევა ორ მოვლენაზე მიგვითითებს — 1. წყალისა პირს გარდახტომა  
და 2. ჭვრეტა წყალისა.

ცნობილია, ძველად წყალი ღმერთად ითვლებოდა და მას თაყვანსა სცემდნენ: მასთან  
მიდიოდნენ; მას მსხვერპლსა სწირავდნენ; დაწესებულ წირვას ასრულებდნენ;  
ოღონდ ამ მოვლენას ვტნში არა ვხედავთ; აქ წყალსა და მდინარეს სხვა მნიშვნელობა  
აქვს. მდინარის ნახვა და მისი ჭვრეტა არის დამშვიდებისა და დაწყნარების  
საშუალება, გულის გადაყოლება, თვალისათვის წყალის დაღევივნება.

## წ). წყლიანი

ს. ს. ორბელიანი გვასწავლის — წყლიანი არის მოხდომილი, შვენიერიო.

არაბეთის მეფე როსტევან არის —

თვით მეომარი უებრო, კვლა მოუბარი წყლიანი (32);  
და მისი —

ვაზირი ლაღობს ენითა, წყლიანად მოუბნარითა (59);  
ავთანდილიც წყლიანია —

ესე სიტყვა დაასრულა წყლიანმა და სიტყვანაზმა (170);  
ავთანდილ და ფატმან —

ერთგან დასხდეს და დაიწყეს კოცნა, ლაღობა წყლიანი (1099);  
ავთანდილი —

რა ფატმანისას შევიდა ლომი, მზე, მოყმე წყლიანი (1118);  
ფატმანი ნესტანსა სწერს —

სიტყვა-მჭევრო და წყლიანო, ტურფაო, ლამაზ ენაო (1270),  
თუმცა ნესტანს ორიოდე სიტყვა თუ უთქვამს, მაგრამ ამ გამოთქმას აქ აქვს  
ზრდილობის წესის აღსრულების მნიშვნელობა: წყლიანი, ლამაზ-ენა!  
ტარიელ, ფრიდონ, ავთანდილ —

ამაზედან გაიცინნეს მათ წყლიანთა, სიტყვა - ბრძენთა (1407);  
ვაჭარი ტარიელს —  
თვით მათვე მათსა ამბავსა უამბობს, არის წყლიანი (1583).

ყველა ეს გამოთქმა: მოუბარი წყლიანი, ენა - წყლიანი, სიტყვა წყლიანი, ლაღობა  
(ხუმრობა) — წყლიანი საუბარის სილამაზეს, მჭერმეტყველებას, სიტყვის  
მოხდენილობას, თქმის შვენიერებას შეეხება. ლამაზ-ენაობა, ენა-წყლიანობა ძველად და  
ახლაც, და ვეფხისტყაოსანშიც დიდად ფასდება.

სიტყვის მოწონება, ენაწყლიანობა ბევრ ქვეყანაში მოთხოვნილება იყო და ბერძნულმა  
ფილოსოფიამ მჭერმეტყველების მთელი დარგი შეჰქმნა. ცნობილი გერმანელი  
მწერალი და მკვლევარი გუსტავ ფრაიტაგ "სიტყვის" შესახებ სწერს — იმ ხანად, როცა  
კაცთა შორის ურთიერთობა სიტყვით იყო განსაზღვრული (და არა წერითა და  
წიგნით), სიტყვას წყლიანს, მოხდენილს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ნათქვამი  
სიტყვა იყო ქმედობის, სულიერი ურთიერთობის ერთი ნაწილი. გერმანელი დიდი  
პატივით ექცეოდა კარგად გაწყობილ სიტყვას, მჭერმეტყველებას; ერთგვარი  
მოწიწებითა და შიშით ისმენდა მას, ვინაიდან მასში გამჯდარი იყო ძველი რწმენა,  
რომლის თანახმად, ზეიმით წარმოთქმული სიტყვა და კეთილი სურვილები  
საიდუმლო ძალებით იყო გაჟღერებული. <sup>252</sup>. ყველა მნიშვნელოვანი მოქმედება  
გერმანელისა გადაჯაჭვული იყო განსაზღვრულ სიტყვასთან, ქცევასთან, და მასთან  
სიმბოლიურად დაკავშირებული. <sup>252</sup>. გვ. 413.

ასეთივე წმიდა მნიშვნელობა აქვს სიტყვას დღეს არაბეთში, სადაც კარგად  
მოლაპარაკე კაცი, მჭერმეტყველი დიდად ფასდება და ღრმა პატივისცემაში არისო, —  
ამბობს ინგლისელი მკვლევარი დოთ. <sup>253</sup>.



მგონია, "სიტყვის" ეს მნიშვნელობა იმით აიხსნება, რომ ხალხთა რწმენით, ღმერთმა მსოფლიო სიტყვის წარმოქმნით შექქმნა. ასეთი იყო შეხედულება სპარსთა, ასირიელთა, არამაელთა, ეგვიპტელთა, ისრაელთა, ჰერმესისა და ზოგ ფილოსოფიურ სკოლაში, განსაკუთრებით გნოსტიკოსთა შორის; მაგალითად მანდაერნი იტყოდნენ — "სიტყვითა შენითა (ღმერთო!) წარმოიშვა თითოული არსება"!

ეგვიპტური ღმერთის ("პტაჰ") ქანდაკებას ვეებერთელა ენა აქვს პირიდან წინ გადმოგდებული.

აქედანვე, უეჭველად, წარმომდგარი "სიტყვის" ჯადოსნური მნიშვნელობა, რაც ჩვენს დროში აგრეთვე მისალმებითა და დალოცვით არის გადმოცემული. კეთილ სურვილთა გამოთქმა (ან დაწყევლა) სიტყვის ჯადოსნურ ძალაზე მიგვითითებს.

ქრისტიანული თვალსაზრისითაც, ღმერთმა შექქმნა ყოველივე არაფერისაგან (ექს ნიჰილო) მხოლოდ "სიტყვით" (აქედანაა წარმომდგარი ცნება — "სიტყვა", ლოგოს: პირველითგან იყო სიტყვა და იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყვა იგი — იოანე 1,1).

საქართველოშიც ეს პატივი ენაწყლიანობისადმი, ისე ვით საბერძნეთში და რომში, სავალდებულო იყო, ვინაიდან "სიტყვას" საიდუმლო მნიშვნელობა ჰქონდა და იყო წმიდა; და ამიტომ კარგად მოლაპარაკე კაცი დიდ ღირსებისად ითვლებოდა. ამიტომ ვტნშიც ენაწყლიანი არის დიდი ღირსების მატარებელი და იგი საგანგებოდაა აღნიშნული.

აქ მახსენდება ჩემი მეგობარის, უდროოდ გარდაცვალებულის ვლასა იმნაძის მონათხრობი: გურიიში ბავშვს, რომელი წერაკითხვას იწყებს, მდინარეზე წაიყვანებენ, წყალში შეიყვანებენ, იქ ან ქვაზე დააყანებენ, სამჯერ მოატრიალებენ და პირველ ანბანს იქ ასწავლიან, რათა "წყალივით" იკითხოს.

### თ). წყალ-ჯავარი

სიტყვას "წყალი" აქვს კიდევ ერთი განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელი ძვირფას ქვებთან, ანუ თვალთა პატიოსანთან არის დაკავშირებული. "წყალი" ჰქვია ქვათა, თვალთა პატიოსანთა სისუფთავესა და ბრწყინვალებას და ითქმის — წმიდა წყალის, პირველი წყალის არისო, ესე იგი ზედმიწევნით სუფთა და მოელვარეაო.

"ჯავარი" არის სპარსულ-არაბული სიტყვა და ნიშნავს — სილამაზე, შვენება, ელვარება, წყლიანობა თვალთა პატიოსანთა (იხილეთ ჩემი "ვტნის ფერთამეტყველება", ბუენოს აირეს, 1953. გვერდი 90).

ნესტანი სწერს ტარიელს და მის წიგნში —

ეწერა: "ვნახე სიტურფე წყალ-ჯავარისა შენისა (493).

ნესტანის თქმით, ტარიელს ჰქონდა სიტურფე წყალ-ჯავარისა — ელვარება, სილამაზე, შვენება ძვირფასი ქვისა, ან მარგალიტისა.

მეფე როსტევეანი ავთანდილის შესახებ ამბობს —

ველარ გიჭვრეტ ნაბურთალსა, ტანსა მჭევრსა, ჯავარ-სრულსა (823),

ანუ: ველარ შეგხედავ ნაბურთალსა (პოლოს ნათამაშევსა); ტანსა მოხდენილსა, შვენიერსა (მჭევრსა) და ჯავარ-სრულსა, წყლიანს, ლამაზს, სრული შვენებით ძვირფას ქვას, ან მარგალიტსაო.

### ი). წყალი — პატივი, სახელი, დიდება

როსტევეანი თინათინის შესახებ ამბობს —

ჩემი ლხინი და ჯავარი, ჩემი სოფლისა წყალიო (104).  
ავთანდილიც ამგვარადვე ხასიათდება —

ყმა სოფლისა ხასიათი, ჯავარ-სრული, მრავალ წყალი (693).

”სოფელი” აქ ნიშნავს — კაცის ბუნება; ხასიათი — ნიშატი, ანუ მხიარულება; ჯავარი — ბრწყინვალეობა; მრავალ წყალი არის დიდად სახელოვანი, დიდად განთქმული, დიდად ღირსებიანი. როგორც ვხედავთ, ”წყალი” ნიშნავს კიდევ შემდეგს — ღირსება, პატივი, სახელი, განთქმულობა. რომ ეს ასეა, ამას გვარწმუნებს მგოსანი ნიზამი, რომელს სიტყვა ”წყალი” სწორედ ამ მნიშვნელობით აქვს გამოყენებული. პოემაში ”ისკანდერ ნამე” ნათქვამია — მომეცი წყალი და ქვა საპასუხოდ, და შენს ქვას ჩემი ხელით წყალში ჩავაგდე-ო. ამ წინადადების განმამარტებელი პროფ. ბარტელს ამბობს — ”ქვა” არის ”სიმშვიდე”, ”სიმტკიცე”; ”წყალი” არის ”სახელი”, ”დიდება“-ო.<sup>80</sup> გვ. 527. შენ. 60.

მაშასადამე, ვტნში სიტყვას ”წყალი” აქვს მნიშვნელობა, როგორც ეს თვით ლექსიდანაც ჩანს, ”ღისრებისა”, ”პატივისა” და ”სახელისა”.

### ია). წყალი — კავშირი

ვტნში სიტყვას ”წყალი” აქვს კიდევ ერთი მნიშვნელობა: ფილოსოფიური. ”წყალი” აქ არის, სხვა დანარჩენ სამ ელემენტთან ერთად, მეოთხე კავშირი, ანუ ელემენტი, რომლისაგან ყველაფერი შესდგება. ეს აღნიშნულია ნესტანის წერილში —

ღმერთსა შემვედრე, ნუთუ კვლა დამხსნას სოფლისა შრომასა,  
ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომასა (1304).

ამგვარად, ვტნში ”წყალს” მრავალგვარი მნიშვნელობა აქვს, და ჩვეულებრივ გაგებათა გარდა, მას ფილოსოფიური და ესთეტიური გამოსახვაც არ აკლია, არც განთქმულობისა და სახელისა.

## კარი მეორე

### ვეფხისტყაოსანის მცენარენი

#### თავი 1. ხე საერთოდ

”ხეს” ვეფხისტყაოსანში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დაკისრებული. ისტორიულად, ”ხე” ისე, როგორც ”ტყე” ღმერთად ითვლებოდა, ბუნების ძალთა გაღმერთების ხანაში; ხოლო მერმე ”ხე” იყო სიცოცხლის სიმბოლო, როგორც მაგალითად ძველ სპარსელთა შორის. ხე ყოველ გაზაფხულზე მწვანით იმოსება, ჰყვავის; შემოდგომაზე განიძარცვება და ზამთარში თითქო ჰკვდება, ოღონდ გაზაფხულზე კვლავ ცოცხლდება. ამიტომ არიულ ხალხთათვის ”ხე” იყო წმიდა.<sup>254</sup>

ვტნში ”ხეს” ეს წმიდა მნიშვნელობა არა აქვს; გარნა იგი გამოყენებულია ვით პოეტური შედარება და განმარტება.

#### ა). ხე — მცენარე

”ხე”, როგორც საერთო სახელი მცენარისა, ვტნში 38ჯერ არის დასახელებული —

ხე დიდრონი, თვალ-უწვდომი, მაღლა კლდემდის ანაყრდენი (219),

ავთანდილ ცხენსა გარდახდა, მონახნა დიდი ხენია (220),

ავთანდილ სჭვრეტს გაკვირვებით, მალვით ხესა მოეფარა (228),

ჩამოვიდა ცხენი ასხნა, მისგან ხესა გამობმული (230),

დიდთა ხეთა მოერევის, მცირე დასწავს ნაპერწკალი. და სხვა და სხვა.

#### ბ). ხე — პოეტური შედარებისათვის

”ხე” გამოყენებულია პოეტური შედარებისათვის — ანუ: ტანი ვით ხე, მაღალი, წვრილი, წერწეტი, მაგარი, მტკიცე...

ავთანდილის შემხედველთა: ”ჰგავსო ალვას, ედემის ხეს (77).

ტარიელი მისტირის დაკარგულ ნესტანს —

ვინ მოგკვეთა, არა ვიცი, ხეო, ედემს დანერგულო (309),

და ტარიელი იმავე ნესტანის შესახებ ამბობს —

არცა მზე ჰგვანდა, არც მთვარე, ხე ალვა, ედემს ხებული (522).

ფრიდონი გაკვირვებულია ტარიელის მოყვანილობით —

გამიცადა, ღმერთსა ჰკადრა: ”შენ ასეთნი ხენი ვით ხენ (596),

ანუ: შემხედა (გამიცადა) და თქვა: ღმერთო, ასეთი ტანი (ხე ტარიელისა) როგორ შეჰქმენი ასეთ ხედ, ესე იგი, ხისებრ მოყვანილებისაო.

ფრიდონის შესახებ ნათქვამია —

იბრძვის ლომი და პირად მზე, იგი ალვისაც ხენია (616)

ტარიელი ნესტანს ისევ ხეს ადარებს და ფრიდონს ეუბნება —

ვუთხარ: ”მომკალ, უჩემოსა ენახამცა ვისცა ისც ხე (629).

ავთანდილიც ხეს ედარება —

ფატმან ზის წყენით; შევიდა ავთანდილ მარტო ხე ვითა (1098).

ნესტანისაგან —

მჩქეფრად სისხლისა ნაკადი მოსდის ალვისა ხისაგან (1147).

ფატმანიც ავთანდილს ხეს ადარებს —

იტყოდა: ”მომკლავს უცილოდ ტანი ალვისა მო, ხისა (1260),

ანუ: აუცილებელად მომკლავს ალვისა ტანი, მო, (მომკლავსო. განმეორებაა შემოკლებით), ხისა ტანიო და სხვა.

ყველგან ამნაირ შემთხვევაში ტანი არის შედარებული ხესთან, ესე იგი, ტანი არის მაღალი, მაგარი, წერწეტი, შვენიერი, მოყვანილი, მოხდომილი და სხვა ასეთი.

### გ). ხე — მფარველი

ხე არის მფარველი; ხის ქვეშ კაცი განისვენებს; მზეს თავს აფარებს, უამინდობისაგან იფარება, ღამეს ათევს მის ქვეშ და სხვა.

როსტევან და ავთანდილ ნადირობის შემდეგ —

იგი ორნივე საგრილად გარდახდეს ძირთა ხეთასა (83).

ტარიელი ხის ქვეშ ისვენებს —

მუნ გარდავხე მოსვენებად, დამხვდეს რამე ხენი ლაღნი (591),

ხეთა ძირსა მივიძიე, მათ მონათა ჭამეს პური (592), და ფრიდონს —

მე ვუთხარ: ”დადეგ, დაწყნარდი, გარდავხდეთ ძირსა ხეთასა (597).

ავთანდილ და ტარიელ —

მას ღამესა ერთად იყვნეს, ერთგან მიწვეს ხეთა ძირსა (948).  
ამგვარად, "ხე" ვტნში გამოყენებულია პოეტური მიზნებისათვის.

## თავი 2. ალვა

ვტნში ხშირად იხმარება სიტყვა "ალვა", რომელსაც "ტანი" ედარება. ყველა ლექსიდან გარკვეულად მოჩანს, რომ "ალვასთან" შედარებით დახატულია: ტანი მაღალი, წერწეტა, მაგარი, შვენიერი, და ამას გარდა, სუნნელოვანი. რა უნდა იყოს ეს "ალვა"?

მარჯორი ურდროპს ვტნის ინგლისურ თარგმანში "ალვა" ნათარგმნი აქვს სიტყვით — ალოე — და შენიშვნაში ამბობს: ალვა ნათარგმნია სიტყვით "პოპლარ", "პლეინ ტრიი" (ალვის ხე), "საიპრეს" (კიპარისი), "ალოე".<sup>255</sup> და მართლაც, იგი სიტყვას "ალვა" ხშირად თარგმნის სიტყვით "ალოე", რაც სწორად არ მიმაჩნია. ამ ნარკვევის მიზანია გამოიკვეს, თუ არა არის ვტნის "ალვა".

≈≈

ვტნში სიტყვას "ალვა" ორგვარი მნიშვნელობა აქვს: 1. ალვა — კიპარისი, კვიპაროსი და 2. "ალვა" — ალოე.

"ალვა" სპარსული სიტყვაა. სირიულად მას ეწოდება — ალვაი; არაბულად — ალვი; ბერძნულად — ალოე, თუმცა იმნაირადვე გამოითქმის ვით "ალვა", მაგრამ იგი სულ სხვა მცენარეა.<sup>256</sup>

სახელი "ალვა", რომელი სპარსულ - არაბულ მწერლობაში ძალიან ხშირად იხმარება, ევროპიულ ენებზე ითარგმნება სიტყვით "კიპარის", "კვიპაროს". ამ ბერძნული სიტყვით "კვიპაროს" აღინიშნება ის ხე, რომლის სამშობლოდ ავღანისტანი და ჩრდილოეთი სპარსეთი ითვლება. ეს ხე გავრცელებული იყო კილიკიაში, სირიაში, და შემდეგ საბერძნეთის კუნძულებზე, სიადანაც იგი ევროპაში გადანერგეს და გაავრცელეს. ეს ხე არის სწორი და მაღალი (20 — 50 მეტრამდე), წვეტიანი წვეროთი (ფორმა პირამიდალის) და ცოცხლობს ორი ათას წელიწადამდე. ეს ხეა მარად მწვანე; იგი წიწვიანი ხეა; ფოთლები აქვს მუქი მწვანე. ეს აღნიშნული ხე ჰგავს პირამიდულ ალვის ხეს, (რომელი საქართველოში ხშირია), მაგრამ ის არ არის "ალვის" ხე. აღნიშნულსა და აღწერილ ხეს მრავალი ნათესავური სახე აქვს და ამ ჟამად თითქმის ყველგანაა გავრცელებული.<sup>257</sup>

როგორც ყველა ხე, ისე ალვა-კიპარისი (კუპრესო, კვიპაროს, სიპრეს, საიპრეს) ფალოსური მნიშვნელობისაა და ამავე დროს თაობათა მოშენებისა, სიკვდილისა და უკვდავების სიმბოლოაო, — ამბობს პროფ. ა. გუბერნატის.<sup>258</sup>

აღმოსავლეთის ზღაპრებში "ალვა" წარმოადგენს შეყვარებულ ვაჟს, ვარდი კი — საყვარელ ასულს. კუნძული კრეტოსის მცხოვრებნი საქორწილო გალობებში სასიძოს "ალვას" ადარებენ, ხოლო სარძლოს კი — ნარგისს.

რომში ჩვეულება იყო — როდესაც ასული შეეძინებოდათ, ალვა-კიპარისს ბაღში დარგავდნენ ხოლმე, და მას "მზითევის ხეს" უწოდებდნენ. ამას ფალოსური მნიშვნელობა ჰქონდა: სურვილი ასულისათვის — გაზრდილიყო და ქმარი ჰყოლოდა.

მშვილდის ისარი სიყვარულის ღმრთისა "ეროს", სკიპტრა, ანუ კვერთხი იუპიტერისა, ზევესის ელვა მფრქვევი სკიპტრა, ჰერკულესის კომბალი, ინდური ღმრთის ინდრას ელვაც ალვისაგან იყო გაკეთებული.

ძველ სპარსეთში "ალვაში" ხედავდნენ მცენარულ წარმომადგენელს წარმომშობი ცეცხლისათვის. ფირდაუსის "მეფეთა წიგნში", "ალვა" იყო პირველი ხე ირანულ სამოთხეში (პარადის); ზარათუშტრამ გადმონერგა იგი მიწაზე, რადგან იგი ამ ხე "ალვაში" ღმერთ აჰურა-მაზდას ხატს ხედავდა. ამიტომ ყველა ტაძარის წინ, მეფის სასახლის ეზოში და სალხინო წალკოტებში (ბაღებში) ალვასა ჰრგავდნენ, და ეს იყო სუსტი მოგონება დაკარგულ სამოთხეზე. აქ, სხვათა შორის, მსურს აღვნიშნო, რომ საქართველოში "ალვა"-კვიპაროსი აღარ მოიპოვებოდა და ვფიქრობ, ეს ხე მოსპეს ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად, რადგან "ალვა" მაზდეიზმის წმიდა ხე იყო, და აგრეთვე მზის სიმბოლო.

ამიტომ არის ვეფხისტყაოსანში რომ "ალვას" "სამოთხის ხე" ეწოდება.

როგორც უკვე აღვნიშნე, აზიიდან "ალვა" გადანერგეს ბერძნებმა პირველად კუნძულ კიპროსზე (კიპრ) და ამ ხეს დაერქვა ევროპიულ ენებზე ამ კუნძულის სახელი (კუპარისუს, კიპარისუს, კიპროს, კიპრეს, სიპრ, ციპარის, საიპრეს) და ქართულად — კვიპაროსი, კვიპაროზი, კიპარისი.

თვით ამ კუნძულზე ეს ხე ცნობილი იყო მისი ფინიკური სახელით "ბეროთ". და იგი ხოთონური (ქვესკნელის) ღმრთის გამოსახულება იყო. ამიტომ "ალვას" დიდი პატივი ჰქონდა აგრეთვე გლოვაში და დასაფლავებაში, როგორც უკვდავების ხეს, ვით მარად მწვანეს; ამ რწმენის შედეგად "ალვას" სასაფლაოებზე ჰრგავდნენ; ამ მხრივ მას საბერძნეთში წმიდა მნიშვნელობა ჰქონდა — ვენუს მილანის, ბელეფონის; აესკულაპოსის ტაძარი, ლაისის სამარე გარშემორტყმული იყო დარგული კიპარისებით.

ლათინი მწერლები "ალვას" იხსენიებენ ვითარცა მწუხარების ხეს, როგორც მაგალითად ჰორაციუსი, ვირგილიუსი და სხვ. დიოდორეს სიცილიელი, პლატონი, სოლინუს გადმოგვცემენ, რომ კიპროსზე ალვას თაყვანსა სცემდნენო.

აქ აღნიშნული მნიშვნელობის გარდა, "ალვას" კიდევ ერთი მნიშვნელობა ჰქონდა სირიაში — იგი იყო მზის ხე. იქ "ალვა" წმიდა ხედ ითვლებოდა, რომელი მზე-ღმრთისადმი იყო მიძღვნილიო, ამბობს აკადემიკოსი ფ. კაუმონ.<sup>259</sup>

ალვა-კვიპაროსის შესახებ ბერძნულ თქმულებებში სხვა და სხვა მოთხრობაა: ალვანი იყვნენ ეთეოკლესის ასულნი; ისინი დიაც-ღმერთებმა აიტაცეს და თავიანთ დაუსრულებელ სრბოლათა დროს ტბაში ჩაცვივდნენ; გაეასს (მიწას) შეებრალა ეს ახალგაზრდა ასულნი და გადააქცია ისინი ხეებადო... კვიპაროსის იყო შვილი ტელეფასი, რომელმა უყურადღებობის გამო მოჰკლა თავისი საყვარელი ირემი; ამ

შემთხვევამ იგი ისეთ მწუხარებაში ჩააგდო, რომ თვითონ კიპარისის ხედ გარდაიქცაო. ამის შესახებ რომელი დიდი მგოსანი ოვიდიუსი ლაპარაკობს (მეტამორფოსე 10,121).

კუნძულ კიპროსზე განვითარებული იყო ვენუსის კულტი; ვენუსს აქ უწოდებდნენ — კიპრის, კიპრია. ეს კულტი იქ შეიტანეს ფინიკიელებმა.<sup>260</sup>

≈≈

ს. ს. ორბელიანი თავის ლექსიკონში სიტყვას "ალვა" ასე განმარტავს — კვიპაროზი = ალვის ხე = სარო; სარო = კვიპაროზი; ალვა გარეშეთა წერილთა (საერო მწერლობაში) სუნნელ აღუწერიათ, საკმეველად-ო. როგორც ჩანს, ს. ს. ორბელიანისათვისაც "ალვა" არის კვიპაროსი. ანუ სარო, და ამას გარდა — საკმეველის ხე. ეს უკანასკნელი განმარტება, (თუმცა მიღებული და აღიარებული) არ არის სწორი.

როგორც ვთქვი, კვიპაროზი, კიპარისი, ანუ ალვა არის მწვანე ხე, რომელსაც ჰქვია მეცნიერულ ენაზე "კუპრესუს სემპერ ვირენს". იგი არ არის ჩვეულებრივი ალვის ხე, რომელი საქართველოში ყველგან გავრცელებულია და რომლის სახეა "პოპულუს პირამიდალის". ჩვენებურ "ალვის ხეს" ალბათ ძველთაგანვე "ალვა" დაერქვა, თუმცა მათ შორის ნათესავობაც კი არ არის. ვეფხისტყაოსანის "ალვა"-ც არ არის ალვის ხე, ანუ "პოპულუს პირამიდალის"; ვეფხისტყაოსანის "ალვა" არის "კუპრესუს სემპერ ვირენს", ანუ ჩვეულებრივი სახელით: კვიპაროსი, კიპარისი.

ბიბლიაში "ალვა" ორი სახელის მატარებელია: 1. ერეს (კედრის ხე) და 2. ბეროშ. და ამას გარდა მოხსენებულია "ალვა", "ალოე" შესაქმე, 30,37; გამოსლვა 15,25; ფსალმუნი 44,5. ნეემია 2,3; ეზეკია 9,2 და სხვა. ხოლო ქართულად ეს "ერეს" და "ბეროშ" ხშირად ნათარგმნია სახელით: "კედრის ხე", ან "ნაძვი" —

**ფსალმუნი 29,5** შემუსრეს ნაძვნი, და შემუსრნეს უფალმან ნაძვნი ლიბანისანი

**ფსალმუნი 103,17** ნაძვნი ლიბანისანი, რომელი დანერგენ

მაგრამ აღნიშნულნი სახელნი თარგმნილ არიან აგრეთვე სიტყვით "კვიპაროსი" —

**იეზეკიელი 27,25** ნავთა შინა კვიპაროსისათა

ამ ნარკვევმა გვიჩვენა, რომ "ალვა" არის "კვიპაროსი".

≈≈

მაგრამ არსებობს მეორე გვარი "ალვა", რომელი სახელის შერევის ნიადაგზე, აგრეთვე "ალვა" იწოდება. ეს არის ბიბლიის: "ალოეჰ, ალოჰე, ალოეს, ალოი, ალოდ ალვაჰ" და იგი დასახელებულია ბიბლიის შემდეგ წიგნებში: რიცხვთა 24,6; იგავნი 7,17; ქება ქებათა 4,14. —

**ქება ქებათა 4,15** იქ ყოველი მფშველი მცენარეს მირონი და ალოი გრევიან სუნნელოვან ნერგებს.

პროფ. კაულენის განმარტებით, ეს "ალოი" არის სუნნელოვანი ხე, რომელსაც ცნობილ ცხიმიან ხესთან მხოლოდ საერთო სახელი აქვს; ამ "ალოე"-ს დიდი ზრუნვით რგავდნენ და უვლიდნენ. მოჭრილ ამ ხეს საკმევლად ხმარობდნენ და აგრეთვე გვამის ბალზამიზაციისათვისაცო. თუ რომელი ხე აღნიშნებოდა ამ სახელით ჯერაც გამორკვეული არ არისო. <sup>261</sup>.

"ენსიკლოპედია ბრიტანნიკა" ამ "ალვა-ალოეს" შესახებ შემდეგ ცნობას გვაწვდის — ალოეს (ალოი) ნახმარია ბიბლიაში, მაგრამ დღემდე გამორკვეული არაა, თუ რა ხეს ნიშნავდა იგი. ეს ხე სირიაში არ მოიპოვება. დიოსკორიდესი ამბობს — იგი "აგალომონი"-ს ხეა, რომელიც მოჰქონდათ არაბეთიდან, ან ინდოეთიდანო. ეს ხე იყო სუნნელოვანი, მაგრამ მწარე გემოსი. ეს ხე შეიძლება იყოს "აკვილარია აგალომა", აღმოსავლეთის ინდოეთისა და ჩინეთის ხე, საიდანაც მოდის ეგრეთ წოდებული "არწივის ხე" და "ალოეს ხე", რომელი ბევრ რეზინასა და ზეთს შეიცავსო. <sup>262</sup>.

როგორც ვხედავთ, მეორე გვარი "ალვის" შესახებ დღესაც გაუგებრობაა. ყოველ შემთხვევაში ფიქრობენ, "ალვა" არის "აკვილარია აგალომა", ხე, რომელი ინდოეთში იზრდება (35 მეტრისა და 3 მეტრის სიმრგვალით). ამ ხისაგან სუნნელს ღებულობენ და სწორედ ამ სუნნელს ჰქვია აგრეთვე — ალვა, ისრაელად — "აჰალიმ"; ბერძნულად — "ალოეს" და ქართულად — "ალოი", "ალოდ". ეს "ალვა" ბიბლიაში მოხსენებულია ვით ღმრთის მიერ დარგული და მის შესახებ ლაპარაკია ბალაამის წინასწარმეტყველებაში —

**რიცხვთა 24, 5-6** როგორნი ლამაზნი არიან შენნი კარავნი, ო, იაკობ!

შენნი ფანჩატურნი, ო, ესრაელ!

როგორ ჩრდილიანნი არიან შენნი ჭალანი,

როგორნი არიან შენნი წალკოტნი მდინარეთა ნაპირებზე,

როგორნი არიან აჰალიმ, რომელი იაჰვემ დანერგა და როგორნი არიან კედრნი წყალთა ახლო... <sup>263</sup>.

ქართულ ბიბლიაში ეს თარგმანი არის შემდეგი: ვითარ ეგე კეთილ არიან სახლნი შენნი იაკობ, და საყოფელნი შენნი ისრაელ. ვითარ მთანი მაგრილობელნი, და ვითარ სამოთხენი მდინარეთა ზედა, და კარავნი რომელ აღმართა უფალმან, და ვითარცა ნაძენი წყალთა ზედა...

როგორც აშკარად ჩანს, ქართული ბიბლიის ეს თარგმანი ძლიერ განსხვავდება სხვათა ბიბლიის თარგმანისაგან...

ამ "ალვას" ხშირად ახსენებს ფირდაუსი — მეფის ძემ, ნესტურმა აღაშენა ტაძარი ცეცხლისათვის და სწვავდა იქ ინდოეთის ალვის ხეს; იგი მოაგო ხალასი ოქროს იატაკით, და ხის ყველა ნაწილი იყო ალვისა. <sup>264</sup>. სასახლეში აკმევდნენ (დაწვით) ალვის ხეს. <sup>264</sup>. გვ. 439.

ამ ინდოეთის ხეს "ალვას" ძალიან ხშირად ვხვდებით არაბულ ზღაპრებში — ათას ერთი ღამე —, სადაც იგი ძვირფას სავაჭრო ნივთადაა დასახელებული.



ამგვარად, გამორკვეულად უნდა ჩაითვალოს: — არის ორგვარი "აღვა": 1. აღვა — კვიპაროსი, კიპარისი და 2. აღვა — სუნნელი ხე, ინდური ხე, საკმეველის ხე, "აკვილარია აგალოშა".

≈≈

სიტყვაკაზმულ მწერლობაში უკვე ძველთაგან "აღვა" ძალიან ხშირად იხმარება პოეტური შედარებისათვის. უკვე "ქება-ქებათა"-ში, რომელიც სოლომონ მეფეს (1017 — 987წ. ქრ. წ.) მიეწერება, და ნამდვილად კი სხვა და სხვა მგოსანთა გალობას წარმოადგენს და შედგენილია მესამე საუკუნეში ქრისტეს წინ, აღვასთან შედარებას უკვე ვხვდებით. საყვარელი ვაჟი აღვა-კვიპროსს შეედარება.

აღმოსავლეთის მწერლობაში დიდად გავრცელებულია პოეტური შედარება ტანისა აღვასთან, მაგალითისათვის —

**ფირდაუსის** მეფეთა წიგნში (შაჰ-ნამე) — აბულ მანსურ იყო მაღალი ვით აღვა წალკოტის ხეთა შორის; მეფე ზოჰაკი სიზმარში ნახულობს სამს ვაჟს, რომელთაგან უმრწმესი აღვასა ჰგავდა; ზოჰაკის მეუღლე არის მოვერცხლილი აღვა; მეფის წული ფერიდუნი იზრდებოდა ვით აღვა ანაყრდენი; ფერიდუნი ტახტზე იჯდა ვით მაღალი აღვა; ერთ მხარეზე იდგა ასული, აღვის ხის ტანით... და სხვა და სხვა ასე მრავალჯერ: ეს აღვა მოტანილია სამოთხედან და იგი დარგეს ტაძრის წინ...

**მუზიმში** (გარდაიცვალა 1150 წ.) ასულის ტანს აღვას ადარებს. <sup>265</sup>.

**ხამაი მერველი** ასულის ტანს აგრეთვე აღვას ადარებს. <sup>265</sup> გვ. 26.

**ანვარი** აღვას ადარებს ტანს. <sup>265</sup> გვ. 29.

**იმამი ჰერატელი** ტანს ადარებს აღვას...

**ომარ ხაიამ** — წყალობის წამში ასე ფიცხლად შენი მკლავებით ეხვევი მერხევ აღვას ნაზი შემოქდომით... <sup>266</sup>.

**საადი შირაზელი** ვაჟის ტანს აღვას ადარებს — ეს სწორად გაზრდილი აღვა წარმოსდგა ჩემთა თვალთა წინ. <sup>267</sup>.

ესპანელი არაბი მგოსანი **ჩაჰურ აბჰარ** ამბობს — რა არის უფრო წერწეტი, შენი ტანი თუ წერწეტი აღვა, თუ ჩემი სიყვარულის სიტყვა?

ესპანელი არაბი მგოსანი **მინუჩერ** მღერის — და იმ გზაზე, რომელს მიჰყევხარ ზვარისაკენ, დაინახავ ბევრ აღვას შავი ფეხსაცმელებით და თეთრი პერანგით (ასულნი!).

იაპონელი მგოსანიც კი, **ოსაკი** — როგორ გეზარები შენ, აღვა (ასულო!) <sup>266</sup>.

**ნიზამი განჯელი** "ხოხნოვ და შირინ"-ში ტანს აღვას ადარებს — როდესაც იგი ექვსი წლისა გახდა, გაიზარდა ვით აღვა. შირინის მხლებელნი ასულნი არიან აღვათა

გროვა. თვით ასული შირინი არის ალვა; ო, ალვა! იგი არის ალვისხე; ალვათა ბაღი არის ასულ მსახურთა გროვა, რომელთა გულში გაზაფხული ჩქროლავდა; შირინის უგაწყობილესი ალვა ცახცახებს ვით ვერხვის ფოთოლი; ვაი ჩვენ, ოდეს ეს ალვა გადატყდა ქარიშხალით... გაზაფხული სასაფლაოზე წასვენეს... და ალვას მიეყარა მიწა...<sup>80</sup>.

ნიზამის პოემაში: "ლეილა და მაჯნუნი", ასული ლეილა იყო ვით ალვა; პოემაში შვიდ ლამაზ ასულთა შესახებ: ფურაკის ტანი ალვის ხეა; ასული ფიხნე ალვაა; ასული არის ალვის ხე და სხვა. პოემაში "ისკენდერ ნამე" ალექსანდრე მაკედონელის დედა არის ალვა და თვით ალექსანდრე არის ალვა და სხვა და სხვა.

ქართულ ვისრამიანში არა ერთჯერ იხმარება კიპარისი, კვიპაროსი და ალვა. და რა გასაკვირია, ეს შედარება ალვასთან საერთოდ ქართულ მწერლობაშიც შესულიყო. იოანე შავთელი "აბდულ-მესია"-ში დავითის შესახებ ამბობს — ალვის ხე ტანი (49,1); ალვა მოზარდი (81,3) და სხვა.

ალვასთან შედარება გაგრძელდა მეთვრამეტე საუკუნის დასასრულამდე. ქართველ მგოსან მეფეს, თეიმურაზს ხშირად აქვს დასახელებული ალვა და კვიპაროზი — . კვიპაროზისგან უმაღლე... ალვა რგული ედემს რწყვითა... ალვისა ხისა ქება ვთქვი... ტან სარო, ალვის ხისასა... და სხვა.

მეფე პოეტი არჩილიც — ვნახე ედემს ალვა რგული, რომე მზეებრ შუქსა ჰვენდა და სხ.

ალვას ვხვდებით აგრეთვე სასულიერო პოეზიაშიც. დიმიტრი მეფე (1125 — 1154) ერთ თავის საგალობელში ღმრთისმშობელისადმი ამბობს —

შენ ხარ ვენახი, ახლად აღყვავებული,  
მორჩი, კეთილი, ედემში დანერგული,  
ალვა სუნნელი, სამოთხით გამოსრული...

უეჭველია, დიმიტრი მეფის საგალობელში "ალვა" არის არა ალვა-კვიპაროზი, არამედ ალვა-სუნნელი ხე.

≈≈

როგორც აღვნიშნე, ტანის შედარება ალვა-კვიპაროზთან უკვე ბიბლიაშია გამოყენებული, მაგრამ არა მგონია, ეს პოეტური შედარება ბიბლიის გავლენით იყოს გავრცელებული. ქება-ქებათა სახალხო მგოსანთა და მომღერალთა შირების კრებული არის, მესამე საუკუნეში შედგენილი, და ეჭვს გარეშეა, რომ ტანის სილამაზის შედარება ალვასთან ხალხური პოეზიიდანაა მიღებული; ეს ხალხური პოეზია კი, რომელმაც ალვასთან ტანის შედარება გამოიყენა, უსათუოდ ირანული უნდა ყოფილიყო, რადგან ეს ხე ირანში მაზდეურ რელიგიაში ღვთიურობის სიმბოლო იყო; რელიგიურ მწერლობიდან "ალვა" შემდეგ გადასულია ხალხურ საერო ზეპირსიტყვაობაში და შემდეგ აქედან საერო მწერლობაში, ხოლო ამ სპარსული პოეზიიდან იგი მერმე ყველგან გავრცელდა. ასე წარმომიდგენია სიტყვისა "ალვა" სამწერლობო საუნჯეში შესვლა.

ამ მცირე მიმოხილვის შემდეგ ისევ ვტნს მივუბრუნდეთ.

#### ა). ალვა — ედემის ხე

თავიდანვე, როდესაც ალვას ვტნში ვხვდებით, ვეცნობით მას ვით ხეს, რომელიც ედემშია დარგული. როსტევეან მეფე თავის ასულს თინათინს ასწავლის —

მეფეთა შიგან სიუხვე ვით ედემს ალვა რგულია (50).

მეფეთა სიუხვე ისე დიდი უნდა იყოს, ვით ედემში დანარგავ ალვათა რიცხვიო. აშკარაა, ედემი წარმოედგინათ ისეთ წალკოტად, სადაც მრავალი ალვა იყო დარგული ღმრთის მიერ...

#### ბ). თინათინი — ალვა

ჩვეულებრივ, ალვასთან შედარებულია ტანი, მისი სიმაღლის, წერწეტობის, სილამაზისა და მოხდენილობის დასასურათებელად. თინათინის შესახებ ნათქვამია —

მოახსენა: ”გიბრძანებსო ტანი ალვა, პირი მანგი (20),

წყლად ეფრატსა უხვად ერწყო ედემს რგული ალვა მჭევრი (694),

ვეჭვ, ღმრთითა ადრე შეგყარო მზესა მას, ტანად ალვასა (1512).

#### გ). ნესტანი — ალვა

ვჭკითხე თუ: ”ნეტარ მისრულა მორჩი ალვისა ხე მისად? (491),

არცა მზე ჰგვანდა, არც მთვარე, ხე ალვა, ედემს ხებული (522),

მოვიყვანე შინა ჩემსა იგი პირ-მზე ტანით ალვით (1144),

მჩქეფრად სისხლისა ნაკადი მოსდის ალვისა ხისაგან (1147),

ჩემი თქვა, სხვასა მიჰხვდაო იგი ალვისა ტანითა (1302),

ალვისა შტო-დამქნარისა, მთვარისა ფერ-მიხდილისა (1359),

მას ადრე ვპოებ, ვისიცა მოგვკლავს ალვისა, მო, ტანი (1387).

ყველგან აქ ნესტანის ტანი არის ალვა-კვიპაროზი, კიპარისი.

#### დ). ავთანდილი — ალვა

... ჰგავსო ალვას, ედემის ხეს (77),

მე ნუთუმცა შემოვბრუნდი, ალვა ჩემი არ დაჰნა ხე (157),  
ღმერთმან ქმნას და კვლაცა გნახო ალვა მორჩი, განაზარდი (666),  
ვინ უწინ ედემს ნაზარდი ალვა მრგო, მომრწყო, მახია (715),  
მარტო მოთქმიდის, ტიროდის ტანად ალვისა ხიანი (841),  
ვარდი ჭნებოდა, ღრებოდა, ალვისა შტო ირხეოდა (954).

#### ე). ტარიელი — ალვა

ჩემნი სწორნი წავიტანენ, ჩემსა დავჯე, მთქვიან ალვად (369),  
წიგნი მომართვა, ეწერა: ”ვინ სჩან ალვისა ტანისად (517),  
ჩემი თქვეს თუ: ”ღმერთსა მადლი, ვინ ალვისა ხენი ასხნა (619),  
მაგრა მან ყმამან ცეცხლითა დამწვა, ალვისა სახემან (738),  
ალვასა წყარო ცრემლისა მორწყავს, ნაკადი ბევრები (1336),  
ტარიელსცა უსალამეს, მას ალვისა მორჩსა ვით ხეს (1424).

#### ვ). ფრიდონი — ალვა

იბრძვის ლომი და პირად მზე, იგი ალვისაც ხენია (616).

მაშასადამე, ვტნის გმირები: თინათინ, ნესტან, ავთანდილ, ტარიელ, ფრიდონ —  
ყველა ალვის ტანისაა: მაღალი, წერწეტი, ლამაზი და სხვა. ყველა ზემორე ლექსში  
”ალვა” არის კვიპაროზი, კიპარისი. ციპრეს.

≈≈

ოღონდ ორ შემთხვევაში ”ალვა” უკვე კიპარისი კი აღარ არის, არამედ ”ალოე”,  
სუნნელოვანი ხე. ინდური ხე, რომელიც მიჩნეულია სახელით ”აკვილარია  
აგალლომა”.

#### ზ). ალვა — ალოდ, ალლოე

როდესაც ავთანდილმა ტარიელი იხილა, მას —

ეყნოსა სული ალვისა, ქართაგან მონატანისა (227),

ანუ: ტარიელის ტანი, რომელიც ”ალვა-ალლოვ” იყო, მის ”სულს”, ანუ ”სუნნელს” აფრქვევდა და ეს სუნნელება ალვისა ქარს მიჰქონდა ავთანდილის ყნოსამდეო.

ნესტანის შესახებაც ნათქვამია —

თავ-მოხდილსა დაუშვენდა სისხო, სიგრძე, თმათა ფერი,  
ალვისაგან სული მოქრის, ყორნის ფრთათათ მონაბერი (1310).

და დაბოლოს, ალვა ნახსენებია ვით სუნნელი — საკმეველი —

დღე და ღამე მუჯამრითა ეკმეოდის ალვა თლილი (330),  
ანუ: საცეცხლურში (მუჯამრითა) ეკმეოდა ალვა, სუნნელი ხის მონათალიო

### ფ). ორი ალვა

მაშასადამე, ვეფხისტყაოსანში, და საერთოდაც ძველ მწერლობაში ხშირად მოხსენებული ”ალვა” არის კვიპაროზი, კიპარისი — ”კუპრესუს სიმპერვირენს”. იგი არ არის ჩვეულებრივი ”ალვის ხე”, — ”პუპულის პირამიდალის”, საქართველოშიც გავრცელებული.

მეორე გვარი ”ალვა” არის სუნნელოვანი ინდური ხე — ”აკვილარია აგალოლომა”.

პირველი ”ალვით” სურათდება ტანი მაღალი, წერწეტი, მოხდენილი, ლამაზი. მეორე ”ალვით” გვენიჭება ტანის სუნნელება, რაც აგრეთვე დიდი სილამაზითი შეგრძნობაა.

### თ). ალვა ქართულ პოეზიაში

ძველ ქართულ პოეზიაში, როგორც გაკვრით ვთქვი, ალვა ხშირად აქვს გამოყენებული იოანე შავთელსა და ჩახრუხაძეს —

ალვა მოზარდი (აბდულ-მესია 81,3),

ალვისა რტოო  
ყოვლად მარტოო,  
მჭვრეტთ სასურველო  
მოსარხეველად (აბდულ-მესია (100,2).

ალვის ხე ტანი  
მსგავსად შემტანი  
აქს კოწოლ-დაყრით  
კვიპაროზისა (აბდულ-მესია 54,1),

და სხვა მრავალჯერ — 9,3; 54,1; 68,3; 49,1;...

ცისკრობს მოხედვა:  
მოკლის, მო ხედ ვა!

აღვისა მორჩთა  
რტოთა მრხველად (თამარიანი 5,10)

ვინ ჩნდეს სამყაროს  
აღვა აყაროს  
ან თამარ სჩნდების  
გამთვარებული (თამარიანი 12,10<sup>1</sup>)

შენ გაეგებო  
სუნნელთა კმევად  
მუჯამრი გქონდეს  
აღვა იწოდის (თამარიანი 6,16).

”აღვა” აქ არის სუნნელი ხე საკმევლისათვის.

### თავი 3. სარო

ცნობილი გერმანელი მეცნიერი-მკვლევარი ვიკტორ ჰეჰნი ამტკიცებდა სიტყვა ”კიპაროსი” ესრაელის სიტყვისაგან ”გოფერ” წარმოსდგაო. მაგრამ ეს შეხედულება სხვებმა არ გაიზიარეს და ამბობდნენ — ეს სიტყვა არც კუნძული ”კიპროსისაგან” არის წარმოშობილიო. ამ კუნძულს ერქვა ეგვიპტურად — ალაშია, ასირულად — მატ იატნანა, ებრაულად — კიტტიმ. სახელი ”კვიპროზი” დაერქვა ამ ბერძნულ კუნძულს იმ გემთაგან, რომელთა ეს ხე ამ კუნძულზე მოჰქონდათო. არა კუნძულს ერქვა ”კვიპროსი”, ანუ კვიპაროს, არამედ თვითონ ხესო. და ეს სახელი რომელიმე მცირე - აზიური ენიდან უნდა იყოს გავრცელებულიო. ეს დავა არ არის ჩვენთვის დიდად მნიშვნელოვანი, იგი მეტად განსაკუთრებული საკითხია. ჩვენთვის საკმარისია ვიცოდეთ, რომ არსებობს ”კვიპაროსის” ორი სახელი: 1. აღვა და 2. სარო.

აღვის ერთი სახელი არის სუმმერული — შურმე; ასირიული — შურმენუ; სირიული — შურბინა; ფეჰლევური — სარუ. სპარსული — სარუ, სომხური — საროი, <sup>268</sup>., ქართული — სარო.

სპარსულად კიპაროსს ჰქვია სარო და კიდევ ნომ, ნოზ, ნოჯ; სომხურად ნომ, ნომ. და შეიძლება ვიფიქროთ, ქართულ ბიბლიაში რომ კვიპაროზი სახელით ”ნამვი” ითარგმნება, ეს წარმომდგარი იყოს აქედან. ეს სხვათა შორის.

კვიპაროსი, ანუ სარო გავრცელებული იყო აღმოსავლეთის ბაღებში, განსაკუთრებით ირანში, სადაც მის მოყვანილობას და მარად სიმწვანეს დიდად აფასებდნენ და თვით მას, — ამბობს ალი მაძარი, — მხიარულ მცენარედ სთვლიდნენ წინააღმდეგ დასავლეთისა, სადაც კვიპაროსს სამგლოვიარო ხედ რაცხავდნენო, და ასეთი შეხედულების დასაწყისი მოდის ბიზანტიური სასაფლაოებიდან; იქ ამ ხეს სასაფლაოებზე რგავდნენო. <sup>147</sup>. გვ. 82.

მაშასადამე, გამორკვეულია: სომხური ”საროი” და ქართული ”სარო”, რაც აგრეთვე კიპაროს, აღვას ჰქვია, არის ძველი ფეჰლევური და ახალი სპარსული სახელი, რასაც ფრანგი დიდი მეცნიერიც, პროფ. დე არლეზი-ც გვიდასტურებს — სიტყვა ”სარო”

წარმოშობილია ფეჰლევეურიდან, სადაც მას ჰქვია: "სარუ"; ახალ სპარსულზე მას აქვს სახელი: სარუ, სარვ, სარო; ეს არის ხე, რომელსაც ევროპულ ენებზე ეწოდება: კვიპაროზი, კიპარისი, ციპრესსე, სიპრ, საიპრეს. <sup>269</sup>.

როგორც ვხედავთ, მართალია ს. ს. ორბელიანი, როდესაც განმარტავს: სარო — კვიპაროზი. ალვის ხე — სარო.

≈≈

სიტყვა "სარო" იხმარება ბიბლიის თარგმანშიც და ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სხვა ენებზე "სარო" გადმოცემულია სიტყვით: კვიპაროზი, ფიჭვი და ნაძვი. ქართულ ბიბლიაშიც ამ სახელით გადმოთარგმნილია სახელი ხისა "კედრ", მაგრამ უფრო ხშირად იხმარება სახელი ნაძვი, როგორც ეს სხვა ენათა ბიბლიაშია. ქართულში იგი მოიხსენება ქება ქებათა-ში და სხვაგანაც, მაგალითად —

**იოზი 40,12** მართა კუდი ვითარცა სარო

**ქება-ქებათა 1,16** სართულნი სახლისა ჩვენისა ნაძვისანი და ფიცარნი ჩვენი საროსანი

**ისო ზირაქი 24,13** ვითარცა ნაძვი ავმაღლდი ლიბანს შინა, და ვითარცა სარო მთასა ზედა აერმონისათა

**ისო ზირაქი 24,17** ვითარცა სარო და ფჩხილნი

**ისო ზირაქი 50,11** ვითარცა სარო ამღებელი ღრუბელთადმდე

**ესაია 60,13** და დიდება ლიბანისა შენდა მოვიდეს, საროდსა მიერ და ფიჭვსა და ნაძვსა, ერთბამად დიდებად ადგილი წმიდა ჩემი.

"სარო" აქ სხვა ბიბლიებში ნათარგმნია სახელით: კიპარის, რაც იგივე ალვა არის.

≈≈

"სარო" ტანის სიმაღლის, წერწეტობისა და საერთოდ სილამაზის დასახატავად იხმარება ძველ ქართულ პოეზიაში —

კისკასად მქცევსა, ტანად საროსა (აბდულ-მ. (7,2),

სარდარ სარო ხით (აბდულ-მესია 8,3),

ტანად საროსა (აბდულ-მესია (11,2).

საროს ერმონით (აბდულ-მესია 7,2). შეადარეთ ეს თქმა ისო ზირაქისას: "საროს ერმონით"...

ჩახრუხადე თავის თამარიანში ამბობს —

ლერწამ-ტანისა საროსა მიმგავსებულხარ განკვირვებულად (12,9).

საროსთან ტანის შედარება ხშირია სპარსულ პოეზიაში, მაგალითად —

**ყატრან** (მეთერთმეტე საუკუნეში) ამბობს —

თმანი შენნი აგვირგვინებენ შენ ლამაზ ტანს, სწორს ვითარცა სარო...

**მოეზი** (1048 — 1147), წოდებული ”თავადი მგოსანთა” ერთ თავის ყასიდაში ამბობს ასულის შესახებ —

სარო ბროწეულის ბაგენით

**სანაი** (მე-12 საუკ.) —

მისი ასული, ახალგაზრდა ქალი აყრდენილი ვითარცა სარო

**ჰომამ თავრიზელი** —

ჩემი ლამაზი მიდის ვით სარო. <sup>95</sup>. გვ. 48, 52, 95, 152.

შაჰ-ნამედან ქართულად გადმოღებულ სიაოშის ამბავში —

ბანოვანთ თავი, ტან-სარო.

ქართულ ვისრამიანში სარო ხშირად იხმარება —

სარო დავინახო, ხარ მთვარისა სახე და საროს ნაკვთი. და უფრო გვიანაც, თეიმურაზ პირველი ამბობს —

ტურფა ხარ შევნიერებით, ტანი მიგიგავს საროსა...

ტან-სარო აღვის ხისასა...

მირიან ბატონიშვილიც —

ტანით საროვ, აღვა, ლამაზ სახეო... და სხვა.

იოანე ბატონიშვილი ამბობს — სვეტიცხოველისათვის. იოანე: ეგე სწორეთ, საღმრთო წერილებშიაც, რომ ჰსწერია სარო, რომელსა კიპაროზს უწოდებენ ის ხე, საღმრთო განგებით აღმოსრული აქა... <sup>219</sup>. გვ. 140.

≈≈

ვტნში საროს თავისი სათანადო ადგილი უჭირავს და აქაც ტანი შედარებულია საროსთან.



#### ა). ავთანდილი — სარო

საროსა მჯობი ნაზარდი, მსგავსი მზისა და მთვარისა (40),  
ტანად სარო და პირად მზე, მამაცი მსგავსი გმირისა (296),  
შეკრა წითელი ათასი პირად მზემან და ტანად სარომან (771),  
აქადაღმა ათ დღე მიხვალ ნაკვთად სარო, ფერად ლალი (973),  
ვისი ჰგავს ტანი საროსა, და ვისი გული რკინასა (975),  
მონა ფიცხლად მოეგება, ნახა სარო, მორჩი ტანი (983),  
საროსა მსგავსი ნაზარდი და მთვარე დღისა შვიდისა (1073).

#### ბ). ტარიელი — სარო

მისი რამ მითხარ, ვინ არის ტან-სარო, პირ-ბაკმიანი (233),  
კვლაცა მითხრა: ”ვისცა ღმერთი საროს მორჩსა ტანად უხებს (633),  
მითხრა: ”ჰხედავ, პირი მზისა თქვენ საროსა ეგეც ხენი (647),  
ანუ: პირი მზისა გაქვს და ეგ თქვენი საროს ტანი ვითარცა ხეო.

#### გ). ნესტანი — სარო

იგი რა ნახა მეფემან, საროსა მსგავსი ნარები (1179),

#### დ). სურხავის ვაჟი — სარო

მაშოროს ღმერთმან მამაცი, პირად მზე, სარო ტანია (1193).

როგორც ვხედავთ, ვეფხისტყაოსანში სახელი ”სარო” გამოყენებულია ტანის სილამაზის საჩვენებლად: მაღალი, წერწეტი, მოხდენილი, შნოიანი...

#### თავი 4. ნარინჯი

ნარინჯის სამშობლო არის ინდოეთი; სპარსეთში იგი გავრცელდა სახელით ”ნარენჯ”; არაბებმა იგი გადაიტანეს დიდ დაპყრობათა შემდეგ მცირე აზიაში და თან წაიღეს მისი სახელი — ნარენჯ. არაბი ისტორიკოსი მასსუდი ამბობს — ნარინჯი შემოტანილ იქმნა აგვისტოში 912 წელსო. პირველად იგი გააშენეს ომანში (არაბეთი), მერმე ირანში და სირიაშიო; მაგრამ ნარინჯმა დაჰკარგა აქ თავისი პირველადი სუნი, შვენიერი ფერი და გადაგვარდა, რადგან სამშობლო მიწა და ჰავა აკლდაო. ეს ხილი შემდეგ შეიტანეს ესპანეთს და იქიდან გავრცელდა იგი ევროპის ზომიერ სარტყელში,

სადაც მან თავისი სახელი მიიტანა: ფრანგულად — ორანჟ, ესპანურად — ნარანხა და სხვა. <sup>268</sup> გვ. 452. გერმანულად მას ჰქვია — აპფელსინ, ანუ ჩინური (სინ) ვაშლი (აპფელ).

ვეფხისტყაოსანში "ნარინჯი" მხოლოდ ერთჯერ არის ნახსენები და მხოლოდ ფერის აღსანიშნავად. ნესტანსო —

მას მზესა ტანსა ემოსნეს ნარინჯის ფერნი ჯუბანი (480).

ნარინჯი სუფთა ყვითელი ფერისაა და ეს ფერი არისტოკრატიულ ფერად ითვლებოდა (იხილეთ "ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველება").

### თავი 5. ნუში

ნუში, მეცნიერული სახელით "ამიგდალუს კომმუნის", ხის-გვარი ხეხილიანი და ფართო, გაწვრილებული ბოლოში, ნაყოფით, მოიხსენება ბიბლიაში —

**ეკლესიასტე 12,5** აღყვავნეს ნუში

ვტნში ეს სახელი, ისე ვით სპარსულ-არაბულ პოეზიაში, გამოყენებულია თვალთან შესადარებლად. ნესტანმა —

ნუშნი გააპნა, შეიძრნეს სათნი გიშრისა წნელითა (1280),

ანუ: ნესტანმა თვალები გააღო, შეიძრნენ შავი გიშერის წნელითა სათნი, ესე იგი, წარბ-წამწამებიო.

### თავი 6. ლერწამი

ლერწამი არის მცენარე მაღალი, წვრილი, მოქნილი, მერხავი, ნაზი, მტკიცე. სიტყვა "ლერწამი" ხშირად იხმარება ბიბლიაში და მისი ბერძნული შესატყვისია: კალამე, კალამ.

ვტნში ლერწამს გმირთა ტანი შეედარება.

#### ა). ავთანდილი — ლერწამი

ვის ბადაღში არა ჰგვანდეს და ლერწამი ტანად ეზროს (177),  
ნახვა მჭვრეტელთა ახელებს, ტანი ლერწამობს რხევითა (979).

#### ბ). ტარიელი — ლერწამი

აწ მეცა მიჯობს მონახვა მის მზისა ლერწამ - ტანისა (863),

ლერწმისა სარსა დასდრეკდა, გიშერსა დააკარვებდა (891).

(ლერწამისა სარი — ტანი; გიშერთა კარავი — წარბწამწამნი).

### გ. თინათინი — ლერწამი

მოგშორდი ედემს ნაზარდო, ტანო ლერწამო და ხეო (725).

ამგვარად ვტნში ”ლერწამით” დახატულია ადამიანის ტანი.

### თავი 7 . ლელი

ტარიელს —

მუზარადი მოეხადა, ჰშვენის აკვრა თმისა ლელსა (1420).

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, ლელი არის — წვრილი ლერწამი (ლელწამი, ლენცოფა). ლელწამი — ყანის ნაწლევარი, გინა ჩალა. ლერწამი — სხვილი ლელი (მათე 12,20).

### თავი 8. ვერხვი

ვერხვი (პოპულუს ტრემულა) არის სუსტი, მოცახცახე, მოქნილი და მთრთოლავი ხე. ვტნში მას ავთანდილი ედარება წუხილისა და ტირილისას —

ვითა ვერხვი ქარისაგან ირხევს და იკეცების (140).

### თავი 9. ძეწნა

როდესაც გაჯავრებულმა როსტეევანმა ვაზირს სკამი ესროლა, ნათქვამია —

დააცდუნა, მაგრა მისთვის აალმასნა, არ აძეწნა (760).

ძეწნა არის წვრილ ფურცელიანი ხე (სალიკს), რომელი მრავალგვარია, მაგრამ ყველა სახისათვის დამახასიათებელია მათი სილბილე, მოქნილობა და ამიტომაც ნათქვამი — არ აძეწნაო, ესე იგი, მაგრად უნდა ვაზირისათვის სკამი მოერტყა (აალმასნა) და არა ძეწნასავით შემოეკრაო.

### თავი 10. ნა

ნა, ნაი არის სპარსულად ”ლერწამი” (ბამბუს), რომელი კალმადაც იხმარებოდა. და ამას გარდა კიდევ სალამურის გასაკეთებელადაც. ამიტომ ვტნში ”ნა” დასახელებულია, როგორც ”კალამი” და როგორც ”სალამური”. —

მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული (4).

(იხილეთ ჩემი ”ვტნის მუსიკა”).

## თავი 11. ეკალი და ქაცვი

”ეკალი” ნახსენებია ვტნში ვარდთან დაკავშირებით —

არ იცი, ვარდი უეკლოდ არავის მოუკრებიან? (877).

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, ეკალი არის საჩხვლეტელი შამბთა; ხოლო ხეთა ეკალთა ქაცვი ეწოდებისო. და ეს ქაცვი ეკალთან ერთადაა ხსენებული —

ვარდსა ქაცვი მოაპოვებს, ეკალთაცა რად ვეფხანე! (709).

## თავი 12. წნელი

წნელი არის ს. ს. ორბელიანის თქმით, ღულერჭი მოგრეხილი, ან ხის შტო დაგრეხილი. ”წნელი” ვტნში გამოყენებულია წარბთა დასახატავად — ნესტანმაო: ნუშნი გააპნა, შეიძრნეს სათნი გიშრისა წნელითა (1280). გიშრის წნელი — წარბები გადაწნული.

## თავი 13. ნარი

ს. ს. ორბელიანის ახსნით, ნარი არის ეკლიანი ბალახი. და სწორედ ამ აზრით იხმარება ეს სიტყვა ვტნში —

... არ გასვია გულსა ნარი (393).

## თავი 14. კენარი

პროფ. ი. აბულაძე ამბობს: კენარი არის სწორი და ლამაზი ტანის ხეო, მაგრამ რომელი — ამას აღარ გვაცნობებს. ს. ს. ორბელიანის განმარტებით, კენარი არის კეთილ სანახავი და მოხდომილი. —

ადგეს სოგრატ და ავთანდილ ტანითა მით კენარითა (59).

## თავი 15. ჩალა

ვტნში ”ჩალა” რამოდენჯერმეა ნახმარი, და, რასაკვირველია, ეს არაა ის ”ჩალა”, რომელს დღეს ჩვენ ვიცნობთ; ”ჩალას” ამ ჟამად ეწოდება სიმინდის ტანს, რაც ვტნის ხანაში არც ევროპაში და არც საქართველოში ცნობილი არ იყო.

”ჩალა” ეწოდება სამხრეთ ამერიკის ძველ მცხოვრებთა ენაზე 1) იმ ფურცელთ, რომელნი სიმინდის ტაროს ახვევია და 2) თვით სიმინდის ღეროთა კრებულს, მოჭრის შემდეგ ერთად შეკრულს. არგენტინელ ძველ მცხოვრებთა სიტყვით, ”ჩალა” არის სიმინდის ღერო, ნედლი თუ ხმელი, სულ ერთია.

ჭანურად ”ცელას” ”ონჩალუ” ეწოდება. ჭანურად ”ჩალა” სიმინდის ხმელ ღეროს, ფუჩქისა და თივასაც ეწოდება. ”ონჩალე” — სათივე, საჩალე. ”ჩალა” საბას

განმარტებით ყანის ნაწლევარია, ესე იგი, რაც პურეულ-ქრთილეულის წუელი ანუ ღერო იყო და მოჭრილი თავ-თავ-მოცილებულია. ამგვარად, ირკვევა, რომ ამ სიტყვის ჭანური მნიშვნელობა ძველ ქართულისას უდგება, მხოლოდ ჭანეთში სიმინდის შეტანისა და გავრცელების შემდგომ, პურეულის გამხმარი ღეროს აღმნიშვნელი სიტყვა სიმინდის ღეროს აღსანიშნავადაც გამოუყენებიათ, — ამბობს პროფ. ივ. ჯავახიშვილი. (იხ. მისი საქ. ეკონ. ისტ. წ. 2. გვ. 90).

ამგვარად, "ჩალა" არის ყანის ნაწლევარი, ღერო.

### კარი მესამე

#### ვარდ-ყვავილნი

ვარდ-ყვავილთა საკითხი უკვე ერთჯერ განვიხილე ჩემს წიგნში: "ვტნის ფერთამეტყველება", ბუენოს აირეს, 1953 წ. კარი მეოთხე, გვ. 136 — 153; და აქ აღარ გავიმეორებ, ცხადია.

### კარი მეოთხე

#### ვტნის ცხოველნი

##### ა). ჯორი

ვტნში ცხოველთა რიცხვი საკმაო რაოდენობით არის წარმოდგენილი, ხან პოეტური შედარებისათვის, ხან სამეურნეო საჭიროებისათვის.

ვტნში პირველად გვხვდება ჯორი, რომელი იქ ექვსჯერაა მოხსენებული და მათ შორის ერთჯერ პოეტური თქმისათვის, როგორც შედარება ჯიუტობის დასახასიათებლად —

"ჩემი სჯობსო", უცილობლობს ვითა ჯორი (15). დანარჩენ შემთხვევაში ჯორი დასახელებულია ვით ტვირთის მატარებელი.

##### ბ). თხა

პირველად თხა გვხვდება ნადირობის დროს. მაშასადამე, იგი გარეული თხაა. მეორედ უკვე შინაურ თხასთან გვაქვს საქმე, რომელიც ხატაელთა დიპლომატიურ სიტყვაშია მოხსენებული —

ჩვენთა მგელთაცა დასჭამენ, ინდონო, თქვენი თხანია (421),

ანუ, ინდონო, თქვენ ისეთი ძლიერნი ხართ, რომ თქვენი თხებიც კი ჩვენს მგლებს დასჭამენო! მერმე კი თხა აღნიშნულია თავისი ნამდვილი ბუნებით, ვითარცა სუსტი პირუტყვი. ფრიდონი ამბობს თავის მტერთა შესახებ —

იგი მტერნი გამილომდეს, აქამდისცა რომე ვითხენ (596),

ანუ: ჩემი მტრები, რომლებიც აქამდე თხასავით სუსტი იყვნენ, ახლა ლომებად გარდაიქცნენო.

შემდეგ ვხვდებით გარეულ თხასა და ირემს ერთად —

სახლად სამყოფად მიმაჩნდეს თხათა და მათ ირემთან (653).

ტარიელი ამით გვაცნობებს, მისი ბინა არის თხათა და ირემთა, ესე იგი, ველი და კლდენიო, რითაც იგი თავის ”გაჭრაზე” და გარედ ყოფნაზე მიგვითითებს.

ტარიელი ავთანდილს პირდება, ქვაბში მოგიცდი მოსვლამდეო და ჩემი —

გული მინდორს არ გაიჭრას, არ იირმოს, არცა ითხოს (667),

ესე იგი, არ გავიჭრები მინდვრად ვით ირემი და თხაო, რომელიც აქ, რასაკვირველია, გარეულია. ამავე გარეულ თხაზე ნადირობენ ავთანდილი და ტარიელი —

თხა მოკლეს და მიითრიეს, ცეცხლი შექმნეს ზღვისა პირსა (948).

შემდეგ თხა მოხსენებულია ვით სუსტი და უსუსური. ავთანდილი მეკობრეთა ხომალდზე —

მათ ლაშქართა გულ-უშიშრად ასრე ჰხოცდა ვითა თხასა (1044).

ამავე მნიშვნელობით თხა და შველი ქაჯეთში ომის დროს —

თავნი მათნი გაალომნეს, მათნი მბრძოლნი იშვლეს, ითხეს (1424),

ანუ: ქაჯეთში ჩვენი გმირები ლომებივით იბრძვიან, მტერნი კი შველად და თხად გარდაიქცნენო. და დაბოლოს, თხა აღნიშნულია მგელთან ერთად სოციალური ურთიერთობის, საზოგადოებრივი შეხმატკბილების დასახასიათებლად. ტარიელის, ავთანდილის და ფრიდონის სამეფოში ისეთი სიკეთე იყო დამყარებული, რომ —

შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთგან სძოვდეს (1664). ამის შესახებ იხილეთ ჩემი: ”ვტნი და ბიბლია”.

ამას გარდა დასახელებულია ”ვაცი” — მამალი თხა. პირველად ახლო ნახვის დროს ავთანდილზე ტარიელმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, თითქო —

ასრე უჩნს მოკლვა ლომისა, მართ ვითა ლომსა ვაცისა (227).

ვაცის შესახებ ლაპარაკობს ფატმანი და მას იგი ჭაშნაგირს ადარებს —

მე, გლახ, ვიყავ მისი ნეზვი, იგი იყო ჩემი ვაცი (1204),

ანუ: მე, უბედური, ვიყავი მისი ნეზვი (დედალი თხა) და იგი იყო ჩემი ვაცო (მამალი თხა).

### გ). აქლემი

აქლემი ნახსენებია ვტნში მხოლოდ ხუთჯერ და ყოველთვის ვით ტვირთმზიდველი და არა სალამჭრო ძალა.

### დ). ძაღლი

ძაღლი ვტნში ყველგან სანადირო ცხოველია. ნადირობის დროს —

მზესა ქორნი აბნელებდეს, ძაღლთა სრბოლა მიდამოსა (721).

მაგრამ აღსანიშნავია კიდევ ერთი ძაღლი, რომელიც ჩვეულებრივი ცხოველი კი არ არის, არამედ სახელია ვარსკვლავედისა: სირიუსი. ამის შესახებ იხილეთ აქვე, წინა გვერდი 118 (წიგნისა).

### ე). ვირი

ვირი პირველად გვხვდება, როცა ნესტანი ტარიელს ეუბნება, სასიძო მოჰკალი, მაგრამო —

მისთა სპათაცა ნუ დაჰხოც, ზროხათა ვითა ვირთაო (543).

აქ ლაპარაკია გარეულ ვირზე, რომელზე ნადირობა ძალიან ხშირია შაჰ-ნამეში და ნიზამის პოემებში.

შემდეგ ვირი გამოყვანილია შედარებისათვის, ვით უწრთველი, უსწავლი. ავთანდილი ტარიელს ეუბნება —

რაცა მიწვრთიხარ, იწვართე; გკადრო, უწრთველი ვირია (931).

შემდეგ ვირი მოხსენებულია ვით ტვირთმზიდავი ცხოველი —

თვარა ღამითვე ტვირთები შენი წაილე ვირითა (1108).

და აგრეთვე პოეტური შედარებისათვის —

მართლად თქმულა: ”არა ჰმართებს ყვავსა ვარდი, ვირსა რქანი (1166).

### ვ). რემა

ამილახორო, მოასხი რემა, ჯოგი და ცხენია (54), რომელიც თინათინმა ტახტზე ასვლისას სტუმრებს დაურია. ამ სიტყვის შესახებ დიდი გაუგებრობაა.

ს. ს. ორბელიანის განმარტებით: რემა არის უხედი ცხენი, უმწყსო ანუ გაუწრთვნილი. უმწყსო პირუტყვთათვის არის სახელი რემა. უმწყსა ცხენსა ჰქვია რემაო. ამას გარდა, სახელოვანი ლექსიკოგრაფოსი კიდევ ასეთ განმარტებას გვაწოდებს: ცხენის ჯოგსა ეწოდება რემა-ო.

თუ ასეთი განმარტებით ვტნის აღნიშნულ ლექსს წავიკითავთ, უცნაურ შედეგს მივიღებთ —

მოასხი რემა, ანუ ცხენის ჯოგი, ჯოგი (ცხენის ჯოგი) და ცხენია. ერთ ამ სტრიქონში ზედიზედ სამჯერაა დასახელებული ცხენი — 1. რემა — ცხენი, 2. ჯოგი ცხენისა, ანუ რემა და 3. ცხენი.

პროფ. ი. აბულაძე სიტყვას "რემა" ასე განმარტავს: რემა — ჯოგი. რისი ჯოგი, რა ჯოგი, ამაზე უკვე არაფერს ამბობს.

ვტნის ინგლისურ თარგმანში (შაირი 54) "რემა" ნათარგმნია — დროვ ოვ ასსეს: ვირთა ჯოგიო. და მარჯორი უორდროპ შენიშვნაში ამბობს — აბულაძე ასე კითხულობსო: რემა — ჯორი და ცხენია.

ვირსა ჰქვია ასურულად — იმერუ; ძველ სპარსულად — კათვა; ებრაულად — ჰამორ; არაბულად — პურიმუ; არამეულად — ჰიმარ (ხამორ); ინდურ და ირანულ ენებზე ვირსა და ჯორს ერთი და იგივე სახელი აქვთ; ავესტა-ში მათ ჰქვია — ხარა, ვედა-ში — გარდაბჰა და რასაბჰა; ახალ სპარსულში — ესტერ; ქურთულში — ისტირ; თურქულ-თათრულში — ემიკ, ეშეკ. ცხენის სახელია ასირულად — სისუ; ებრაულად — სუს; არიულ ენებზე — ასვა; კერძოდ, სპარსულში — ასვა.<sup>268</sup> გვ. 138. ძველ-სპარსულ, ანუ ფეჰლევურ ენაზე რამაკ არის ჯოგი; ახალ-სპარსულზე — რამაკ.<sup>269</sup> გვ. 201, 246. ხოლო ებრაულად რემ არის ხარი, კურო, მოზვერი.

"ქართლის ცხოვრება"-შიც იგივე ამბავს ვხვდებით. იქ რემა და ჯოგი ცალცალკეა დასახელებული — "სიმრავლისათვის ჯოგისა და რემისასა" (მარიამ დედ. გვ. 449), ან კიდევ: "და ჯოგისა და რემაებისა მათისა იავარ ქმნილთა"-ო (ზ. ჭიჭ. გამ. გვ. 434).

"რემა" ბიბლიაშიცაა მოხსენებული —

**1 მეფეთა 15,21** და აღილო ერმან ნატყვენავი სამწყსოსაგან, და ხართა რემათანი აქ რუსულად ნათარგმნია — ცხვარნი და ხარნი.

**1 მეფეთა 27,9** მოიყვანდა სამწყსოსა და ხართა რემათა, და ვირთა, და აქლემთა "რემა" აქ რუსულად არის — ცხვარნი და ხარნი.

**2 მეფეთა 12,3** და რემაკები ხართა მრავალი ფრიად... რუსულში: ერთი თიკანი.

**2 მეფეთა 12,4** ხართა რემათაგან თვისთა...

რუსულში — ცხვარნი ან ხარნი.



**3 მეფეთა 10,26** და იყვნენ სოლომონისა ორმოცი ათასი ხრდალნი რემანი ეტლთა შინა ...

რუსულ ბიბლიაში სრულიად არ არიან ”ხრდალნი რემანი”. ასე რომ ამ შედარებით სრულებით არაფერი არ ირკვევა. ქართული თარგმანის აზრით კი ”რემა” არის ჯოგი ხართა.

”რემა” მოიხსენება კიდევ ერთ ძნელად გასაგებ შაირში. როდესაც მეფე როსტევანი ავთანდილს შეხვდა —

მოეხვია, გარდაკოცნა მან პირისა არე-მარე;  
”დამივსეო ცეცხლი ცხელი, მაგრა არემარე;  
ვინ გიშერი დააჯოგა და წამწმისა არემა რე,  
გვალე, შეგყრი, ლომო, მზესა, თავი მისკე არე მარე” (1532).

1) მეფე ავთანდილს მოეხვია და გადაუკოცნა მას პირის არემარე, ანუ გარემო მთელი პირისა — ”არე-მარე”;

2). და უთხრა: დამივსე, ჩამიქვრე ცხელი ცეცხლი (მარე = მალეო. ”არე” — წყალის გადასხმა, გადარება. რომ ”არე” გადასხმა, გადარებაა, ამას გვიდასტურებს ნოდარ ციციშვილი სპარსულიდან ნათარგმნ ”შვიდ მთიებ”-ში — მოიღე წყალი, მომმადლე, დამწვარსა წყალი მარეო. — (ლექსი 1212. თბილისი. 1930 წ.).

3). მას, რომელმა (თინათინმა) გიშერი დააჯოგა, ანუ, რომელს წამწამები მრავლად აქვს დაჯგუფებული, და წამწამთა სიმრავლე აქვს, ვითა რემასი, ჯოგისაო, ანუ რემად, ჯოგად გახადა წამწამებო (რე — აქ არის სიტყვის ”რემა”-ს პირველი მარცვალის განმეორება);

4). გვალე, იარე, წა და შეგყრი, შეგახვედრებ, შენ ლომო. მზეს (თინათინს), თავი მისკენ არე ანუ ატარე (არე) მალეო (მარე).

აქ სიტყვა ”არემა” არის ”რემად” გადაქცევა, — პოეტური შედარება წამწამებთან.

### **ზ). ზროხა**

ზროხა მოხსენებულია ორჯერ (შაირი 543) და მეორედ, ქორწილშიო —

ზროხა და ცხვარი დაკლული არს უმრავლესი ხავსისა (1550).

### **წ). ცხვარი**

ზემო აღნიშნულის გარდა (შაირი 1550), ცხვარი მოხსენებულია, როდესაც ნათქვამია: ტარიელის, ავთანდილის და ფრიდონის სამეფოში ისეთი წესიერი ცხოვრება დამყარდა, რომ —

ავთა მქმნელნი დააშინეს, კრავნი ცხვართა ვერა სწოვდეს...

ასეთია ეს ლექსი არა ერთ დაბეჭდილ ვტნში, ხოლო სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემულში კი იგი შემდეგია —

ავის მქმნელნი დააშინეს კარვნი კრავთა ვერ უწოვდეს (1664).

რომელი ლექსია სწორი და ნამდვილი, ამის გამორკვევა შეუძლებელია, სანამ ვტნის ყველა ხელნაწერი ერთმანეთან არ იქნება შედარებული.

პირველ ლექსშია: "კრავნი ცხვართა ვერა სწოვდეს"; მეორეშია: "კრავნი კრავთა ვერ უწოვდეს". ორივე შემთხვევაში სიტყვა "კრავნი" რჩება. რა არის ეს "კრავნი"?

ძველთა ამბავთა კარგ მცოდნე, ვტნის მოყვარულ ნიკოლოზ (კოკი) დადიანთან საუბარის დროს, პარიზში, მან მიაშო: ჩემი უფროსებისაგან გამიგონია — "კრავნი" არის მწერიო, სისხლის მწოველიო. მაგრამ მე მაშინ, ჩემს ახალგაზრდობაში, კვლევა - ძიებისათვის არ მეცალა, და აღარ გამოვიკითხე დაწვრილებით, თუ რა და როგორი შეიძლება იგი ყოფილიყო.

განსვენებული ნ. დადიანის განმარტება ლექსს კარგად უდგება, მხოლოდ, სამწუხაროდ, იგი მაინც დაუსაბუთებელია. მე შევეცადე ეს "კრავნი" მომენახა ბერძნულ ლექსიკონში, და იქ წავაწყდი სიტყვას "კარაბიონ", "კარაბოე".<sup>272</sup> "კარაბოე" ნიშნავს: მწერი კოლეოპტერთა ჯიშისა, რომელთა რიცხვი 300.000 სახეს აღემატება. ზოგი მათგანი უვნებია, ზოგი — მავნებელი. ამ ბოროტ ჯგუფს ეკუთვნის მაკროპოკოპროს, რომელი ცხოველის ტანს აჯდება და მას სისხლს უწოვს.<sup>273</sup>

ეს მხოლოდ ცნობისათვის მოვიტანე, რადგან ვეჭვობ, "კრავნი" მართლა ბოროტი მწერი უნდა იყოს, და ამ მნიშვნელობით ლექსი იოლად განიმარტება — "კრავნი", სისხლის მწოველნი მწერნი კრავთ, ან ცხვართ ვერა სწოვდნენო. ოღონდ ამას დამტკიცება სჭირდება.

### თ). შველი

შველი დასახელებულია ვტნში ორჯერ, უკვე ზემოდ მოტანილ სტრიქონებში.

### ი). ჯიქი

ჯიქი დასახელებულია ვტნში მხოლოდ ერთჯერ —

იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია (19). ს. ს. ორბელიანის განმარტებით, ჯიქი ვეფხსა ჰგავს, უდიდესია, რომელსა სპარსნი "ზაბრს" უწოდებენო; ერთ თემსაც ჰქვია აფხაზეთის მოსაზღვრეთა-ო. პროფ. ნ. მარრი ერთ დროს ფიქრობდა, ჯიქი ვეფხი არისო, მაგრამ შემდეგ მან უარჰყო ეს განმარტება და "ჯიქად" ამ სახელის მატარებელი ხალხი დასახა. ამ ხალხის შესახებ — ჯიქნი, ზიკნი — პროფ. ნ. მარრს ცნობა მოაქვს "ანდრია მოციქულის მიმოსვლიდან", რომელიც დაბეჭდა საბინინმა ("საქართველოს სამოთხე", პეტერბურგი, 1882. გვ. 36 და "ქართლის ცხოვრება" ბროსეს გამოცემა, წ. 1. გვ. 46). "ხოლო კაცნი იგი მის ქვეყნისანი იყვნეს ფიცხელ გულითა და

განფრდილ საქმეთა შინა ბოროტთა, უძღებნი და ურწმუნონი“-ო. ამის მიხედვით, პროფ. ნ. მარრი დაასკვნის: ვტნის ჯიქი არის ამ ხალხის სახელიო. (ნ. ტექსტი ი რაზ. პეტ. 1910. წ. 12. გვ. 24).

არავითარი საბუთი არა გვაქვს, და არც ნ. მარრს ჰქონდა, ვიფიქროთ, რომ ვტნის ჯიქი ხალხის სახელი იყოს. ჯიქთა ასეთი მკაცრი დახასიათება იმ მოვლენიდან გამომდინარეობს, რომ ჯიქნი ურწმუნონი იყვნენ, ესე იგი, არა-ქრისტიანები, და ასევე არიან დახასიათებულნი ქართველნიც, როდესაც ისინი "ურწმუნონი" იყვნენ. ამიტომ მგონია, ჯიქი ვტნში არის არა ხალხის სახელი, არამედ ცხოველისა, რომელს მეცნიერულად ეწოდება: "ლეოპარდუს პარდუს ტულიანუს ვალენკ", რომელიც თავისი ბუნებით მართლა არის "უწყალო", დაუზოგველი და ფიცხელი, როგორც ეს ლეონტი მროველის თხუზულებაშია დახასიათებული — და მივიდა ხართა მათ შინა ვითარცა ჯიქი სიფიცხლითა, ვითარცა ვეფხი სიმხნითა, ვითარცა ლომი ზახილითა. <sup>69</sup>. გვ. 726.

### ია). ირემი

ვტნში ირემი მოხსენებულია შვიდჯერ და უმთავრესად ნადირობის შემთხვევაში და მხოლოდ ორჯერ პოეტური თქმისათვის —

გამოვჭრილვარ სახლით ჩემით, ვით ირემი ძებნად წყლისად (855),

შენთვის ასრე მომწყურდების, წყაროსათვის ვით ირემსა (1656).

ეს შესანიშნავი შედარება თუმცა ბიბლიიდანაა ამოღებული, მაგრამ თავისი მკვეთრი გამოთქმით მასზე უფრო მაღლა სდგას. (იხილეთ ჩემი: "ვტნი და ბიბლია").

### იბ). კანჯარი

კანჯარის შესახებ დიდი გაუგებრობაა. ს. ს. ორბელიანი ამბობს — კანჯარი ველური ვირია-ო. ი. აბულაძე ამბობს — კანჯარი გარეული ვირია-ო. ამავე დროს იმავე ი. აბულაძეს ეს სახელი "შაჰ-ნამე"-ს ლექსიკონში ასე აქვს განმარტებული — კანჯარი სპარსული სიტყვაა და ნიშნავს მამალ სპილოს-ო. მამალ სპილოსა და გარეულ ვირს შორის დიდი განსხვავებაა. ს. კაკაბაძე ამბობს — კანჯარი არის სპარსული კინჯარა — დიდი სპილო.

ქართულ ბიბლიაში უფრო ხშირად დასახელებულია გარეული ვირი, ოღონდ კანჯარიც არის მოხსენებული, ვითარმედ —

**წიგნი სიბრძნისა ისო ძისა ზირაქისა 13,19** სანადირო ლომთა კანჯარი უდაბნოსა შინა **ფსალმუნი 103,11** ჰსვან იგი ყოველთა მხეცთა ველისათა, განჰსძღენ კანჯარნი წყურვილსა მათსა

ინგლისურ ბიბლიაში "კანჯარი" ნათარგმნია სახელით "გარეული ვირი"; რუსულში — გარეული ვირი. უეჭველია, ქართულში "კანჯარი" იხმარება გარეული ვირის სახელად, თუმცა არსებითად სპარსულში "კანჯარი" არის სპილო.

ვტნში ”კანჯარი” მხოლოდ ერთჯერაა დასახელებული —

მოვიდა ჯოგი ნადირთა ანგარიშ მიუწთომელი,  
ირემი, თხა და კანჯარი, ქურციკი მაღლა მხლტომელი (75).

თვით ლექსიდან ჩანს, რომ ”კანჯარი”, ირემსა და თხასთან დასახელებული, გარეული ვირი უნდა იყოს.

### იგ). ქურციკი

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, ქურციკი არის გარეთხა, გარეული თხა. ქურციკი დასახელებულია ბიბლიაში —

ისო ზირაქი 27,2 განივლტო ვითარცა ქურციკი მახისაგან

ესაია 13,14 ვითარცა ქურციკი მლტოლვარე

ნეშტა 12,8 მსუბუქ ვითარცა ქურციკი მათათა ზედა სიმსწრაფლითა

გერმანულ ბიბლიაში ”ქურციკი” არის რეჰ; ინგლისურში — როე; რუსულში — სერნა. იგი ეკუთვნის ირემთა გვარს — სერვუს.

ვტნში ”ქურციკი” დასახელებულია ზემო მოტანილ ლექსში (75).

### იდ). ავაზა

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, ავაზა ვეფხსა ჰგავს, მცირეა. იგი არის სანადიროდ გაწრთვნილი ვეფხა-ძაღლი. და ვტნში მას სწორედ ეს მნიშვნელობა აქვს —

შევეკაზმე, დარბაზს მიველ, დამხვდა ჯარი ავაზისა (474),

ესე იგი, სიმრავლე (ჯარი) მონადირე ავაზისაო.  
ფატმანი ამბობს ნესტანის შესახებ —

ვეფხი-ავაზა პირ-ქუშად ზის, წყრომა ვერ ვუგრძენითა (1159).

### იე). აზავარი

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, აზავერი, ანუ აზავირი არის საკიდარი ხარ, გახედნილი მოზვერი, უღლის ხარი.

ვტნში ნათქვამია —

ვერ მოვეყავ აქლემითა, აზავრები ვააზავრე (464), ანუ ქონებას ვერ მოვერიე წამოსაღებად აქლემებითო, აზავარნი, ანუ საკიდარნი ხარნი ვააზავრე, ტვირთის მზიდველად გავხადეო.

### ივ). მელა

მელა მოხსენებულია ორჯერ და ორივე შემთხვევაში შედარებისათვის. როდესაც როსტევეანმა თავისი ვაზირი გალანძლა და ბოლოს სკამიც ესროლა, ვაზირი —

გამოდრწა და გამომელდა... (761),

ანუ: მელასავით გაიპარაო.

ფატმანი ამბობს, ნესტანის გაპარება ჭაშნაგირს ვუამბეო —

ჩემსავე მოსლვა მის მზისა და გაპარება მელურად (1206).

### იზ). მგელი

მგელი ვტნში ნახსენებია ორჯერ —

ჩვენთა მგელთაცა დასჭამენ... (421),

შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს (1664).

### იწ). ყარყუმი

ყარყუმი არის გორნოსტაი, რომლის ტყავი ძვირფას სამოსელთა გამოსაკრავად იხმარება და სამეფო მოსასხამია. თინათინს —

გამრცვილსა ტანსა ემოსნეს ყარყუმნი უსაპირონი (123),

ანუ: შემკულ-მორთულ (გამრცვილსა) ტანზე ჰქონდა მოსხმული უსაპირო, ესე იგი, ორივე მხარეზე — შიგნით და გარეთაც — ყარყუმით გამოკერილი, ყარყუმის ბეწვის მოსასხამიაო.

### ით). ვეფხი

ვეფხისტყაოსანი ნიშნავს ვეფხის ტყავის მატარებელ კაცს, რომელს ვეფხის ტყავი აცვია. ტარიელს, ვეფხისტყაოსანის მთავარ გმირს, ვეფხის ტყავი კაბაზე ზემოდ აქვს გადაცმული, ხოლო ქუდად ვეფხის ტყავის სარქმელი, ანუ სახურავი აქვს. მაგრამ რატომ ატარებს ტარიელი ვეფხის ტყავს?

≈≈

ვეფხის სამშობლოა აზიის დასავლეთი, სახელდობრ — კასპიის ზღვის სანაპიროთა სამხრეთი, სპარსეთი და წინა-ინდოეთი. შტაიერი ფიქრობს, ვეფხი ახლანდელ კავკასიაში არ ბუნაგობდაო და დასძენს — თუ რომელი პოეტები და მწერლები ლაპარაკობენ "კავკასიური ვეფხის" შესახებ, ეს იმას არ ამტკიცებს, თითქო ვეფხი ახლანდელ კავკასიაში ყოფილიყო. კავკასიას ძველად ეძახდნენ უფრო ინდოეთის კავკასიას, რაც არის აღმოსავლეთ ირანულ საზღვართა მთები, რომელიც ჰინდუკუშსა და დასავლეთ ჰიმალაიას მთებს შეიცავსო. რომელთა მიერ დასახელებული "კავკასიური ვეფხი" ან პოეტური თქმაა, ან ინდოეთის "კავკასიური ვეფხი" იგულისხმებაო. <sup>274</sup>.

საქართველოს, მეზობლად, — ნათქვამია ესპანურ-ამერიკულ ენციკლოპედიაში, — სპარსეთში, კასპიის ზღვის მხარეზე, მაზანდერანის გაუვალი ტყე სავსეა ვეფხებითო. <sup>270</sup>.

იმავე ეგებისობით, — როგორც ამბობს შტაიერი, — მეც უფლებას ვაძლევ ჩემ თავს ვიფიქრო: თუ ვეფხის სამშობლო კასპიის ზღვის სამხრეთი ნაპირიც არის, მაშინ ჩვენ კავკასიაშიც უნდა ყოფილიყო იგი გავრცელებული, და რომელ მწერალთა კავკასია ჩვენებული კავკასია იქნებოდა, რადგან რომელიც ახლანდელ კავკასიას უფრო იცნობდნენ, ვინემ ინდოეთის კავკასიას, რომელზე მაშინაც და ახლაც კი ბუნდოვანი წარმოდგენა არსებობდა და არსებობს.

ვეფხის ევროპიული სახელი "ტიგრ", "ტიგერ" წარმომდგარია ბერძნულისაგან, რომელიც თავის მხრივ წარმოშობილია ძველი ირანული, ანუ უფრო სწორად: ძველი ბაქტრიული, ბახტრიული სახელისაგან: ტიდრა (მკვეთრი, მწყვეტი, მჭრელი, გამმახული), ძველი სპარსული — ტიდრი.

ბერძნებმა გაიცვინეს ვეფხი მხოლოდ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის დროს (333 — 323 წ. ქრისტეს წინ). თვით ალექსანდრე მაკედონელმა ვეფხი საჩუქრად მიიღო ერთი ინდო მთავარისაგან. ვეფხი ათინაში პირველად იხილეს მაშინ, როდესაც მეფე სელევკოს პირველმა (355 — 323 წ. ქრისტეს წინ) ქალაქ ათინას იგი საჩუქრად გაუგზავნა. რომის იმპერატორმა აუგუსტუსმა 19 წ. ქრისტეს წინ, ინდოეთიდან ძღვნად ლომი მიიღო, და რვა წლის შემდეგ ქალაქმა რომმა გაიცნო ვეფხი. მაინც იმის მიუხედავად, რომ ვეფხი საბერძნეთში გვიან გაიცვინეს, ვეფხთან მითოლოგიურად დაკავშირებულია დიონისიოსის, ბაკხოსის კულტი. ბახუსი, ანუ ბაკხოსი მიემგზავრება ეტლით, რომელში ვეფხები არიან შებმულნი და თვითონ ბახუსსაც ვეფხის ტყავი აცვია. <sup>274</sup>. გვ. 948.

ინდოეთში ვეფხი არის შივა-ს ცხოველი და თვითონ შივა-ღმერთი ვეფხის ტყავს ატარებს. <sup>275</sup>.

≈≈

ძველთა ძველ ხანაში, რომელიც ნადირობით მეურნეობას ეკუთვნის, ღმერთთადმი მსხვერპლის მიტანა ჩვეულებრივი იყო; და ამის შედეგად დაიბადა თვით მსხვერპლის წმიდად აღიარება; ამ უკანასკნელის მოვლენა ის იყო, რომ დაკლულის ტყავის ჩაცმა

თვით კაცს ხდიდა წმიდანად; მერმე და მერმე კი ტყავის ჩაცმის ნაცვლად დაკლულის ნიღაბს, მასკას ატარებდნენ. დაკლულის ტყავს ენიჭებოდა არსებითი ღირებულება. კაცი, რომელსაც ეცვა ძაღლის, მგელის, ლომის, კუროს, გველის, ფრინველის და სხვა ტყავი, აღარ იყო კაცი მეტად; იგი იყო გადაქცეული წმიდა პიროვნებად, რომელს შეთვისებული ჰქონდა ზებუნებრივად ღვთიური ძაღლის, მგელის, ლომის და სხვ. თვისება; იგი აღარ იყო უბრალო კაცი, არამედ არსება მაღალი და სხვა კაცთაგან განსხვავებული, ამიტომ როცა მას რომელიმე ტყავი ეცვა, იგი ამ ტყავის პატრონის ხმას გამოსცემდა. თუ მას ეცვა ლომის ტყავი — ბუხუნებდა; თუ იგი ატარებდა ძაღლის ტყავს — ჰყეფდა; თუ ეხურა კუროს ტყავი — იგი ღმუოდა; თუ ცხენისა — ჭიხვინებდა და სხვა და სხვა ასე. ეს კაცი-პირუტყვი იყო ღვთიური, — ბრინჯაოს ხანაში; ყოველი დიდი საქმე მისი პირუტყვის ძალას მიეწერებოდა, და ამნაირად წარმოიშვა ამ ნიადაგზე პირუტყვთა თაყვანება, ზოოლატრიაო, — ამბობს პიერ გორდონ. <sup>276</sup>.

მაგრამ ამასთანავე, უწინდელ ადამიანს რწამდა, რომ მხეცის დამორჩილება, დაჭერა, ან მოკვლა ადვილადაა შესაძლებელი, თუ მასზე საიდუმლო, ჯადოსნურ ძალას იხმარებ. ამ საიდუმლო ძალის მიღება შეგიძლია, თუ თვით მხეცის ტყავს ჩაიცვამ. თვით მხეცის ტყავი იძლევა იმ იდუმალ ძალას, რომლითაც მხეცის დაპყრობა, ან მოკვლა შეგეძლება. მხეცის ნიღაბის დანიშნულება იყო: კაცს მისი შემწეობით ღვთიური, ან დემონური ძალა შემატებოდა, და ამით მხეცთან ბრძოლაში გაემარჯვა. ამგვარად, მხეცის ტყავს ჯადოსნური ძალა მიეწერებოდა და რომელიმე ტომის მეფე, ან ღვთისმსახური, ან ჯადოსანი და მისანი მხეცის ტყავს ამ განზრახვით ატარებდა. მაგრამ ეს ცოტაა. ყველაზე ძლიერი არსება არის ღმერთი. ამიტომ კაცს ეს ღმერთი მხეცად, ან საერთოდ ცხოველად წარმოედგინა, ან ფრინველად, ან თევზად. ეგვიპტეში ღმერთები ცხოველებად ჰყავდათ დასახული. სეხმეტ იყო განხორციელებული ლომში; ხატორ — ძროხა; ბასთეთ — კატა და სხვა. ვეფხის ტყავს ატარებდნენ ვით საზეიმო სამოსელის ნაწილს ეგვიპტის უმაღლესნი მღვდელნი და ნუბიელნი დიდებულნი. <sup>277</sup>.

სუმმერულ-ბაბილონურ რწმენაში ცხოველი, ან თვითონ იყო ღმერთი, ან იყო მისი ნაკვეთის მატარებელი, ან ღმერთს მიმჩნეული ჰყავდა თავისი ცხოველი, როგორც მაგალითად: იშტარს — ძაღლი, სინს — კურო, ყოვლად დედას — ძროხა და სხ. ბერძნულს, აპოლონურ რელიგიაში, კაცნი - ღმერთნი შემკულნი არიან პირუტყვთა სხეულის ნაწილებით. ჰერას აქვს ძროხის თვალი; ზევესი არის კურო; აპოლონი არის მგელი, ხან ვერძი; დიონისიოს არის კურო, ვაცი; პანი და ფსიხე არიან სულთა წამყვანნი ფრინველნი, და სხვა. <sup>278</sup>.

ხალხური რწმენით, ღმერთებს ეცვათ მხეცთა ტყავი, — არტემისს, დიონისიოსს, პოსეიდონისს; ლეონტეს და სხვას, მითრაიზმში. ბერძნული მითოსის გმირები: იაოსონი ატარებს ვეფხის ტყავის სამოსელს; ჰომეროსის გმირი პარისი ვეფხის ტყავითაა შემოსილი; არგოსს ეცვა კუროს ტყავი; ზევესს, ათენეს და აპოლოს — თხის ტყავი და სხვა და სხვა. <sup>279</sup>.

როგორც უკვე აღვნიშნე, ინდოეთის ერთ-ერთ ღმერთს შივას (სადასივას) ვეფხის ტყავი აცვია. <sup>280</sup>. ირანულ პირველ მითოლოგიურ კაცს "გაიომართ"-ს ვეფხის სამოსელი აქვს და ვეფხის ტყავის ქუდი. აგრეთვე ბაბილონურ შესანიშნავ ეპოსის გმირს — გილგამეშ-ს.

ფირდაუსის შაჰ-ნამე-ში ირანის პირველი მეფე არის საიუმორს. დასაწყისში მან თავისი მეფობა მთებში დაამყარა. მან ჩაიცვა და მასთან ერთად მისმა ხალხმა — ვეფხის ტყავი. <sup>281</sup>. ნეტარი სეროში ვეფხის ტყავის მატარებელია; მეფის შვილმა, სიამეკ, ჩაიცვა აგრეთვე ვეფხის ტყავი; გმირნი ატარებენ ვეფხის ტყავს ტანთ საცავად; უნაგირნი ვეფხის ტყავისა არიან და სხვა.

აღსანიშნავია ერთი მოვლენა: საადი შირაზელი არც ერთ თავის ნაწარმოებში ვეფხს არ იხსენიებს, მაშინ როცა ყველა თხუზულებამი სხვა მხეცებზე და ნადირებზე ხშირად ლაპარაკობს. <sup>282</sup>. აგრეთვე ვტნში: სპილოს ხსენება არაა. ფირდაუსს სპილო ხშირად ჰყავს დასახელებული ომში, და პოეტური შედარებისათვისაც.

≈≈

ვეფხი ვით შედარება მამაკაცთან არა ერთჯერ არის მოხსენებულ ინდოეთის ძველ მწერლობაში, მაგალითად ”პურანა“-ში: ვეფხო მამაკაცთა შორის, ო მეფეო! <sup>280</sup>. გვ. 14. ქართულ მწერლობაშიც არა ერთჯერ არის ვეფხი ნახსენები შედარებისათვის, მაგალითად —

აბჯარ-ხრმალითა  
ვეფხებრ მკრჩხალითა  
მეხ ექმნა მტერთა (აბდულ-მესია 34,1).

ქართლის ცხოვრებაში — ვითარცა ვეფხი სიმხნითა, ვითარცა ლომი ზახილთა და სხვა.

≈≈

პროფ. ნ. მარრის განმარტებით, სახელი ავთანდილ ორი სიტყვისაგან შესდგება: 1. ხავთან და 2. დილ. ”ხავთან“ არის ვეფხის ტყავის აბჯარი, — მკერდის დასაცავი, ვეფხის ტყავის სამკერდე; ხოლო დილ — გული, მკერდი. ამგვარად, ავთანდილი არის — ვეფხის ტყავით დაცული გული.

≈≈

აქვს რაიმე კავშირი ისტორიულად აქ განხილულ ვეფხის ტყავს ტარიელის ვეფხის ტყავთან?

აქ არავითარი პირდაპირი კავშირი არ არსებობს, რადგან ვეფხის ტყავი ტარიელისა გამოყენებულია არა მითოლოგიურად, ან რელიგიურად, არამედ სრულიად გარკვეული მიზნით: ვეფხის ტყავი არის ტარიელისათვის — ნესტანის სიმბოლო, და ამას გარდა, ვეფხის ტყავი არის რაინდთა წესების ერთი მოვლენათაგანი.

ველად გაჭრა და ტყავის ჩაცმა შუა საუკუნეთა ევროპაშიც იყო ცნობილი რაინდთა (რიტტერთა, კავალეროთა, შევალიეთა, ნაიტთა) შორის, ოღონდ ამის შესახებ



დაწვრილებით საუბარი მაქვს ”სიყვარულთმეტყველება“-ში; გარნა აქ მხოლოდ ერთ ისტორიულ ამბავს მოვიტან.

ფრანგმა პოეტმა და რაინდმა (შევალთ) პიერ ვიდალ-მა (მე-12 საუკუნეში) შეიყვარა ლუვ დე პონტიე და მისი გულისათვის ”გაიჭრა“ ტყეში. მან ჩაიცვა მგელის ტყავი და ასე დაეხეტებოდა. ერთ დღეს მწემსებმა ამ ”მგელს“ შორიდან თვალი მოჰკრეს და მას ძაღლები მიუსიეს, რომელთაც ეს ”მგელი“ დაგლიჯეს და დაასახიჩრეს. ყვირილზე მწყემსები მიხვდნენ, რომ ეს ”მგელი“ არ იყო და იგი სიკვდილს ძლივს გადაარჩინეს. დაგლეჯილი რაინდი, მისივე თხოვნით, ლუვ დე პონტიეს სახლთან მისვენეს; აქ თავისი სატრფოს სასახლეში ეს ”მგელი“ მოარჩინეს. როგორც მისი თავგადასავალი (მას სხვა ამბებიც გადახდა თავს), ისეთი ორიგინალური არ არის მისი პოეზიაო, — ამბობს ბერრი. <sup>283</sup>.

≈≈

სავსებით ბუნებრივია მოველოდეთ, ვეფხისტყაოსანში ვეფხის შესახებ ხშირად იყოს ლაპარაკი, ოღონდ ეს მოლოდინი არ გამართლდება. ვტნში ვეფხი არც ისე ხშირადაა მოხსენებული, როგორც ლომი. ვეფხი ნახსენებია 24ჯერ, მაშინ როცა ლომი 72ჯერაა აღნიშნული. ეს ცოტა გაკვირვებას იწვევს, ოღონდ მას თავისი ასახსნელი მიზეზი აქვს.

ვეფხისტყაოსანი, ანუ ვეფხის ტყავის ჩამცმელი და მატარებელი არის ინდოეთის ამირბარი და ფეოდალი-მეფე: ტარიელი. მკითხველი მას თავიდანვე ”უცხო მოყმის“ სახით ეცნობა, რომანის დასაწყისშივე იგი იჯდა მდინარის პირას და —

მას ტანსა კაბა ემოსა, გარე თმა ვეფხის ტყავისა,  
ვეფხის ტყავისა ქუდივე იყო სარქმელი თავისა (85).

რატომ ატარებს ტარიელი ვეფხის ტყავს? იყო ვეფხი ტარიელის ტოტემი, ანუ ღმერთი-მხეცი? ანუ მისი ჩამომავლობის ღმერთი? ან ჯადოსნური ძალის გამომსახველი? რასაკვირველია, არა! საამისო არავითარი საბუთი არაა. მაშ რატომ ატარებს ტარიელი ვეფხის ტყავს? ამ საკითხზე განმარტებას თვითონ ტარიელი იძლევა. იგი ავთანდილს უხსნის — მას შემდეგ რაც გადაკარგული ნესტანის კვალს ვეღარ მივაგენი და კაცთა სამყოფელს მოვშორდი, ასმათთან ერთად შევეხიზნე ამ გამოქვაბულს, და —

აჰა, ძმაო, მაშინდლითგან აქა ვარ და აქა ვკვდები,  
ხელი მინდორს გავიჭრები, ზოგჯერ ვტირ და ზოგჯერ ვზნდები;  
ესე ქალი არა დამაგდებს, არს მისთვისვე ცეცხლ-ნადები,  
ჩემად ღონედ სიკვდილისა მეტსა არას არ ვეცდები (656).

რომე ვეფხი შვენიერი სახედ მისად დამისახავს,  
ამად მიყვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად მომიწახავს,  
ესე ქალი შემიკურავს, ზოგჯერ სულთქვამს, ზოგჯერ ახავს,  
რათგან თავი არ მომიკლავს, ხრმალი ცუდად მომიმახავს (657).

როგორც აქედან ნათლად ჩანს, ტარიელს ვეფხი ნესტანის სახედ დაუსახავს, თავისი საყვარელის სიმბოლოდ დაუდგენია. ტარიელის შეგნებაში, და საერთოდ პოეზიაშიც, ვეფხი არის შვენების გამოსახულება. ამ ვეფხს — შვენების სიმბოლოს — ტარიელი ნესტანს ადარებს და მასთან აიგივებს. ამით ვეფხი ნესტანის სრული სიმბოლოა.

≈≈

ტარიელი არამც თუ ვეფხის ტყავითაა შემოსილი, არამედ ვეფხის ტყავის ქუდსაც ატარებს და საჯდომიც ვეფხის ტყავისა აქვს —

მან ქალმან ქვეშა დაუგო ვეფხის ტყავისა ნატები (267).  
(ნატა არის მოქნილი ტყავი. ს. ს. ორბ.).

დაუგო ტყავი ვეფხისა, რომელ კვლა მიწყვივ ჰგებოდა (922).

≈≈

ტარიელი თავიდანვე ნესტანს ვეფხს ადარებს. როდესაც მან გაჯავრებული ნესტანი იხილა, მას იგი წარმოუდგა პირგამეხებულ, გამწყრალ ვეფხად —

ქვე წვა, ვით კლდისა ნაპრალსა ვეფხი პირგამეხებული (522).

ეს პირველი შთაბეჭდილება ნესტანის ვეფხოვობის შესახებ ტარიელს ღრმად შთაებეჭდა და ნესტანის დაკარგვის შედეგად კიდევ უფრო გაუძლიერდა, აკვიატებულ სურათად გადაექცა.

ვეფხი არის ტარიელისათვის არამც თუ მარტოდ შვენება და მასთან შედარება, არამედ სიყვარული მისი. ამიტომ ნესტანის ამ სიმბოლოს ტარიელი მუდამ ატარებს და ამით თავისი თაყვანების გრძნობას გამოხატავს. ამ მხრივ შესანიშნავია ტარიელის მოქმედება, როდესაც იგი შემთხვევით (და პოეტისათვის: განზრახ!) ლომისა და ვეფხის ბრძოლას წააწყდება —

ერთი ლომი, ერთი ვეფხი შეკრბეს, ერთად შეიყარნეს,  
ჰგანდეს რათმე მოყვარულთა, მათი ნახვა გამეხარნეს,  
მათ რა უყვეს ერთმანერთსა, გამიკვირდეს, შემეზარნეს (907).  
ტარიელის წარმოდგენით, ვეფხი და ლომი მოყვარულნი არიან (პარალელი: ვეფხი — ნესტანი და ტარიელი — ლომი!), და ამიტომ მათი ნახვა გამეხარდაო. მაგრამ შემდეგ რაც მოხდა, ამან ტარიელი არამც თუ გააკვირვა, არამედ გააბრაზა კიდევ, რადგან ვეფხი და ლომი —

პირველ ამოდ ილალობდეს, მერმე მედგრად წაიკიდნეს,  
თითო ტოტი ერთმანერთსა ჰკრეს. სიკვდილსა არ დაჰრიდნეს;  
გამოჰრიდნა ვეფხმან გული, დედათამცა გამოჰრიდნეს,  
ლომი მედგრად გაეკიდა, იგი ვერვინ დაამშვიდნეს (909),

ანუ: ლომი და ვეფხი ჯერ საამოდ თამაშობდნენ; მერმე წაიკიდნენ; ერთმანეთს თითო ტოტი ჰკრეს, დაარტყეს და სასიკვდილოდაც ერთმანეთი არ დაზოგეს; მერმე გამოჰრიდნა ვეფხმა გული, ანუ ვეფხი შეიპყრო შიშმა, გული წაუვიდა, გული დაჰკარგა ვით დედაკაცმა (დედამთაცა გამოჰრიდნეს) და ლომი მას გაეკიდა გაბრაზებული, მას ვერავინ დაამშვიდებდაო. და მე, ამბობს ტარიელი:

ლომსა და ვეფხე ნაქმარი; ვარქვი: "არა ხარ ცნობასა,  
შენ საყვარელსა რად აწყენ, ფუ მაგა მამაცობასა!" (910),

და განრისხებული ტარიელი ლომს გაეკიდა (გავუხე) და იგი ლახვართ მოჰკლა —  
ხრმალ-ამოწვდილი გავუხე, მივეც ლახვართა სობასა,  
თავსა გარდავკარ, მოცაკვალ, დავჰხსენ სოფლისა თმობასა (910)  
და შემდეგ კი —

ხრმალი გავსტყორცნე, გარდვიჭერ, ვეფხი შევიპყარ ხელითა;  
მის გამო კოცნა მომინდა, ვინ მწვავს ცეცხლითა ცხელითა,  
მიღრინავდა და მაწყენდა ბრჭალითა სისხლთა მღვრელითა,  
ვეღარ გავუძელ, იგიცა მოვკალ გულითა ხელითა (911),

ანუ: ტარიელმა ვეფხი ხელით დაიჭირა და მისი კოცნა მოუხდა მის გამო, ესე იგი, ნესტანისა გამო, ვინც მას, ტარიელს ცეცხლითა სწვავს მარად; მაგრამ ვეფხი ტარიელს არ დანებდა, უღრინავდა, ბრჭალებით მას ავნებდა; ამას ტარიელმა ვეღარ გაუძლო და გახელებული გულით მან ვეფხი მიწას დააწყვიტა, მოჰკლა.

ტარიელი ვეფხის კოცნით ნესტანის კოცნას ლამობდა; თავისი მიულწეველი სიყვარულის სიმბოლიურ მოქმედებას ასრულებდა, მაგრამ ვეფხმა მას ამისი საშუალება არ მისცა —

რაზომსაცა ვამშვიდებდი, ვეფხი ვერა დავამშვიდე,  
გავგულისდი, მოვიქნიე, ვჰკარ მიწასა, დავაწყვიდე;  
გამახსენდა, ოდეს ჩემსა საყვარელსა წავეკიდე,  
სული სრულად არ ამომხდეს, რას გიკვირს, რომ ცრემლსა ვჰღვრიდე! (912).

ვეფხის მოკვლამ ტარიელზე საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა და მას თვითონაც კინაღამ არ გადაჰყვა. რადგან ვიცით, ავთანდილმა —

რა ტარიელ დაინახა, განაღამცა დაებღნიჯა...  
საყელონი გარდებინეს, თავი სრულად გაეგლიჯა,  
მას აღარა შეესმოდა, სოფლით გაღმა გაებიჯა (868).

ამ შესანიშნავი სურათით გადმოცემულია სიყვარულის ნიადაგზე დაუკმაყოფილებელი გრძნობის გაომხატულება; უიმედოდ შეყვარების სიმბოლიური ქმედობა; ფროიდიზმის ცნებით — ლიბიდო.

ამგვარი მოქმედება სიყვარულის გამოსახატავად მოცემული აქვს ნიზამის თავის პოემაში: "ლეილა და მაჯნუნ", სადაც მაჯნუნი მის მიერ მონადირეთაგან ნაყიდ ქურციკს შავ თვალეებში ჰკოცნიდა, ვითომ ლეილასი ყოფილიყო და არა თხისა!

თეიმურაზ პირველის მიერ ნათარგმნ ”ლეილ-მაჯუნუიან“-შიც არის ამგვარი სურათი დახატული, როცა შეყვარებული ჰკოცნის გოშია ძაღლს! მაგრამ ეს სურათები ვეფხისტყაოსანის სურათთან შედარებით არარაობას წარმოადგენს თავისი პოეტური მხატვრობით და გრძნობის გაქანებით.

≈≈

ვტნში ვეფხი პოეტური შედარებისათვის მხოლოდ შვიდეჯერაა გამოყენებული. ავთანდილზე ნათქვამია —

სპათა სპასპეტი ჩაუქი, ვითა ვეფხი და ლომია (57);

ჩაიცვა ტანთა აბჯარი ქცევითა ვეფხებრ მკრჩხალითა (1041)

(მკრჩხალი— ჭანგ მახვილი; ჩაუქი — ცქვიტი და შემძლე. ს. ს. ორბელიანი). მისთა მჭვრეტთა დაუსახეს ვეფხსა ტოტი, ლომსა თათი (1074)

თვითონ ტარიელი ვეფხთან მხოლოდ ერთჯერ არის შედარებული —

ვითა ვეფხსა წავარნა და ქვაბი აქვსო სახლად, მენად (700).

ნესტანი ვეფხთან სამჯერაა შედარებული —

ქვე წვა, ვით კლდისა ნაპრალსა ვეფხი პირგამეხებული (522),

ვეფხი-ავაზა პირ-ქუშად ზის, წყრომა ვერ ვუგრძენითა (1159),

ადგა ასე გულ-უმიშრად, ვეფხი იყო, ანუ გმირი (1176).

დანარჩენ შემთხვევაში ვეფხი მოხსენებულია ვითარცა მხეცი-ცხოველი. ამგვარად, ვეფხი ტარიელისათვის არის ნესტანის სიმბოლო. ვეფხისტყაოსნობა არის რაინდობის წესის შესრულება. და ვინაიდან რომანის გმირი არის ტარიელი, ამიტომ ვეფხის ტყავის მატარებელის სახელი ამ რომანს სათაურად დაერქვა და ამით თვით ამ რომანის აზრი და შინაარსი მკვეთრად გამოიხატა, ხოლო ეს მუსიკალური, ლამაზი სათაურიც სასიამოვნოდ აჟღერდა ქართველი ხალხის ყოველი თავობისათვის...

### კ). ლომი

ლომის სამშობლოა სამხრეთი აზია და აფრიკა. მითოლოგიაში და სარწმუნოებაში ძველად ლომს დიდი ადგილი ეჭირა. ლომი ევროპამ გვიან გაიცნო. პირველი, რომელმაც რომს ცირკში ლომთა ბრძოლა აჩვენა, იყო სკაევოლა; სულლამ პირველად ასი ლომი გამოიყვანა ცირკში, ხოლო პომპეიუსმა — 600. ლომი იმდენად უცნაურ ცხოველად ეჩვენებოდათ, რომ რომაელი მწერალი კაიუს იულიუს სოლინუს (მესამე საუკუნეს შუა) სწერდა — ლომები კასპიის ზღვის მხარეში ცხოვრობენ და ამ ლომებს კაცური პირი აქვთ! <sup>275</sup>. წიგნი 2. თ. 13.

ლომი ხშირადაა ღმერთის განსახიერება, მეფე ღმერთთა ინდოეთში "ინდრა" ლომის სახითაა წარმოდგენილი; შემომქმედი სახეთა "ტვამტარ" — არის ლომი; მზე არის ლომი. ლომი არი მზის ზოდიაკო, მზის სახლი. ლომი არის მეფის გამოხატულება; ლომი არის ძლიერების, ცეცხლის, მხნეობის და სილამაზის გამოსახულებაც და სხვა. ამიტომ ლომს ყველა მწერლობაში ვხვდებით ზემოაღნიშნულ ნიშანთა დასახატავად.

## 1. ლეკვი ლომისა

ვტნში ლომი არის მეფე, გმირი და მისი ლეკვებიც ლომნი არიან. ისინი თანაბრად ლომობას იმკვიდრებენ; ამგვარადვე თანაბრად იმკვიდრებენ მეფობას მეფის შვილნიც; ლომის ლეკვნი — ძუ თუ ხვადი, დედალი თუ მამალი — თანასწორნი არიან, ორივე ლომია; მეფე-ლომის შვილნიც — ვაჟი თუ ასული — თანასწორნი არიან. როსტევანი თავის ვაზირებს ეუბნება, ხელმწიფედ ჩემი ასული თინათინი დავსვათო, რაზედაც ვაზირნი მას უპასუხებენ —

თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაზადია;  
არ გათნვეთ, იცის მეფობა, უთქვენოდ გვითქვამს კვლა დია;  
შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზებრ განაცხადია;  
ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია (39).

აქ სამი საბუთია წარმოდგენილი: 1. რელიგიურ-პოლიტიკური — ქალიც მეფისა ღმრთისაგანაა დანაზადი მეფედ; 2. თინათინმა იცის მეფობა, — საქმიანობის საბუთი; 3. ძუ და ხვადი ლომისა სწორია.

მაშასადამე, აქ მოტანილია საბუთი ასულისა და ვაჟის, მამაკაცისა და დედაკაცის თანასწორობის შესახებ. განა აქედან იმის დასკვნა შეგვიძლია, რომ აქ ლაპარაკია ზოგადად თანასწორობის შესახებ? ანუ ახლანდელ დემოკრატიულ დებადზე მამაკაცისა და დედაკაცის უფლებათა თანასწორობის შესახებ? რასაკვირველია, არა. აქ საუბარია მხოლოდ ლომის ლეკვთა, ანუ მეფის ძეთა, მეფის ასულთა და ვაჟთა თანასწორობაზე.

ზოგი ფიქრობს (და სწერენ კიდევ!) ვეფხისტყაოსანში სქესთა თანასწორობაა გამოცხადებული, და მეთორმეტე საუკუნის საქართველომ მამაკაცთა და დედაკაცთა დემოკრატიული თანასწორობის დებულება აღიარაო! ეს დიდად შემცდარი შეხედულებაა, როგორც ის შეხედულება, თითქო ამ მხრივ ვტნში ბერძნული ფილოსოფიის გავლენა ყოფილიყოს, რომლის მიხედვით მამათა და დედათა თანასწორობა იყო გამოცხადებულიო! (რაც თვითონ საბერძნეთში არ არსებობდა!).

ალექსანდრე მაკედონელის მიერ დასავლეთი და ცენტრალ აზიის დაპყრობას თან მოჰყვა ბერძნული, ანუ ელლინური კულტურისა და აღმოსავლეთის კულტურის შეზავება, რომლისაგანაც წარმოიშვა შეთხუზული კულტურა, სახელით ელინიზმი, ჰელენიზმუს. სტოელთა ფილოსოფიურმა სკოლამ ამ კულტურას განსაკუთრებული ბეჭედი დაასვა და დიდი იმპერიისა და ფართო პოლიტიკის გაქანების მიხედვით, ძველი ვიწრო ფარგლები გაარღვია — ადამიანი — ბერძენი (ელინი) და სხვა, ანუ არა-ელინი (ბარბაროსი), ყველა ამ ვეებერთელა ორგანიზმის თანასწორ წევრად (მელოს) გამოაცხადა, სადაც ეს წევრები ერთი მეორეზე შინაგანი

სიმპატიით არიან გადაბმულნი. ერასთოტენის აზრით, ადამიანები განიყოფებიან არა მოდგმის, არამედ ხასიათის მიხედვით; სტოელთა სკოლის მიმდევარნი ქადაგებდნენ არა მარტო მამაკაცთა თანასწორობას, არამედ მამაკაცისა და დედაკაცის თანასწორობასაც აღიარებდნენ და თავის იდეალურ სახელმწიფოში, მათი წარმოდგენით, დედაკაცებს მამაკაცური სამოსელიც კი უნდა ჰქონოდათ, და სხვა. <sup>282</sup>.

რა კავშირი აქვს სტოელთა ამ მოძღვრებას ვეფხისტყაოსანთან? სრულიად არავითარი. ვტნში წარმოდგენილი თანასწორობა მამა და დედაკაცთა, ასულთა და ვაჟთა, მხოლოდ და მარტოდ მეფის შვილთ ეკუთვნის. ეს თანასწორობა მხოლოდ მეფის ოჯახშია აღიარებული. მეფე-ლომის შვილნი ვით ლომის ლეკვნი, ძუ და ხვადი, თანასწორნი არიანო! ასეთი შეხედულება ზოგადი იყო მეფურ წესწყობილებაში, და, ნუ გაკვირდებით, თუ ასეთი რამ მაჰმადიან მწერალსაც გამოუთქვამს, თუმცა ისლამურ ქვეყნებში ასეთი დებულება არასოდეს განხორციელებული არა ყოფილა.

შირვანელი პოეტი **ხაყანი** (მეთორმეტე საუკუნეში) შირვანის დედოფლის სეფვეტ - ოდ- დინასამდი მიძღვნის ერთ ლექსში ამბობს —

სახელმწიფო საქმეებში მეფენი, მამაკაცია თუ დედაკაცი, ვით ლომნი ბრძოლაში, ვით ძუ და ხვადი...

უეჭველია, ეს ლექსი საკარისკაცო პოეზიის ნაყოფია და დედოფალის შექებისათვისაა ნათქვამი, ოღონდ თვით აზრი ლექსისა ამით არ იცვლება.

ამიტომ მართალია აკადემიკოსი ნ. მარრი, როდესაც ამბობს — რუსთაველის ამ ლექსს მახინჯად იყენებენ, რათა დაამტკიცონ, თითქო რუსთაველი მამა და დედათა თანასწორობის მომხრე ყოფილიყოს; ამ ლექსში ლაპარაკია მხოლოდ სამეფო ოჯახის წევრთა, ვით ლომის ოჯახის წევრთა თანასწორობაზე. (ტექსტი ი რაზ. გვ. 421).

## 2. ვტნის გმირნი — ლომნი

ვტნის მოქმედნი პირნი ხშირად არიან შედარებულნი ლომთან: ძლიერი, უძლვევი, მამაცი, მხნე, ფიცხელი, მეფე მხეცთა...

### ა). ავთანდილი — ლომი

სპათა სპასპეტი, ჩაუქი, ვითა ვეფხი და ლომია (57),

მისთა მჭვრეტთა დაუსახეს ვეფხსა ტოტი, ლომსა თათი (1074).

ორივე შედარება სიძლიერისა და მკვირცხლობის გამოხატულებაა.

### ბ). ტარიელი — ლომი

ტარიელი თავის თავზე თვითონ ამბობს —

მოვიწიფე, დავემსგავსე მზესა თვალად, ლომსა ნაკვთად (319),

ძალად ლომსა, თვალად მზესა, ტანად ვჰგვანდი ედემს ზრდილსა (332),

გარდახდა და თაყვანი სცა მას უკადრსა, ლომებრ ჯანსა (1514).

აქაც ლომი არის: ძლიერება და მხნეობა.

### **გ). ფრიდონი — ლომი**

ლომისა მსგავსო ძალ-გულად, მზეო შუქ-მოიეფეო (1318).

### **დ). სარიდანი — ლომი**

ტანად ლომი და პირად მზე, ომად მძლე, რაზმთა მწყობელი (311).

### **ე). ლომი — მეფე**

ლომთან გმირების შედარება ვტნში ხდება მხოლოდ ერთ შემთხვევაში: თუ გმირები საზოგადოების მაღალ ფენას ეკუთვნიან. ლომები არიან — მხოლოდ მეფენი, მეფეთა სწორნი და რაინდნი. და არავინ სხვა. შერმადინი, უსენი, ვაჭარნი და სხვანი, საზოგადოების შუა, ან დაბალი ფენის ხალხი ვტნში არასოდეს ლომს არ შეედარებიან. და ეს მოვლენა იოლი განსამარტებელია, რადგან ლომი არის მეფე ცხოველთა შორის, ისე ვით მეფე არის მეფე კაცთა შორის, ორივე ერთი და იგივე ღირებულებისაა. ლომისა და მეფის თანასწორობა ბუნებრივია.

### **ვ). ლომი და დედაკაცი**

დედაკაცი არის ვეფხი და არასოდეს ლომი. ლომთან დედაკაცი ვტნში არც ერთჯერ არაა შედარებული, და არა იმიტომ, რომ დედაკაცს ლომის ზოგი თვისება მაინც (მხნეობა, სიფიცხე) არა ჰქონოდა, არამედ იმიტომ, რომ ლომი არის სიბერწის ნიშანი. ძველად რწამდათ კიდევ, თუ ნორმალური დედაკაცი, რომელს შვილები ჰყავს, დედალ ლომს შეხვდებოდა, იგი უეჭველად გაბერწდებოდა და შვილოსნობის უნარს დაჰკარგავდა, და უშვილობა ძველად დიდი უბედურება იყო, — აქედანაა წარმომდგარი უშვილობის წამალის ძებნა. რადგან ლომი ბერწობის ნიშანია, ამიტომ მას დედაკაცს არ შეადარებენ.

### **ზ). ლომი — მწერლობაში**

ლომი არის ძლიერების გამოსახულება და ამიტომ მასთან გმირის შედარება ჩვეულებრივია ჯერ კიდევ ბიბლიაში — შეხე, ხალხი აღსდგა ვით ბოკვერი ლომი და აღსდგება ვით ლომი (4 მოსე 23, 24) დ სხვა.

ფირდაუსის შაჰ-ნამეში ლომი ხშირადაა ნახსენები — ო, მხნენო; ო, ლომნო მეფისანო! მეგრძოლნი არიან ლომნი; ბრძოლაში ხარ შენ, ვითარცა ლომი! ზალი ჰგავდა მხნე ლომს; რუსტემი დაემსგავსა ლომს და სხვა და სხვა.

ფირდაუსის შაჰ-ნამეში ლომი არის მეფობის, მამაცობა-მხნეობის, გულოვნობის, ძლიერების სიმბოლო, ხოლო ზრდილობის სიტყვად იგი ჩვეულებრივ არ იხმარება, თუმცა მიმართვა: ლომო! მეფეთა წიგნშიაც გვხვდება. იქ გმირნი უფრო ხშირად შედარებულნი არიან დევებთან, კროკოდილ-ნიანგთან, სპილოსთან და სხვა.

ლომთან გმირების შედარება და სიტყვით ლომი გმირთა დახატვა არც ნიზამისათვისაა უცხო, მაგრამ ნიზამს ეს შედარება მხოლოდ რამოდენჯერმე აქვს გამოყენებული. და ამ სიტყვას მასთან ესეთი დიდი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც ეს ვეფხისტყაოსანშია, სადაც სიტყვა ლომი ზრდილობის წესსა და ზნეობას ეკუთვნის.

ქართულ საგმირო და საკარისკაცო მწერლობაში და ისტორიულ ნაწერებშიც ლომთან შედარება ჩვეულებრივია, მაგალითად —

იოანე შავთელი — აწ ესე ლომი... შერისხდა ლომი... თვით ლომი გმირი... გალომებულო და სხვა.

მოსე ხონელი — ლომი ჭაბუკი... ლომთა ლომი... სამნივე ლომნი და სხვა...

ჩახრუხაძე — გტრფიალობს ლომი... რომე სჩანს ლომებრ და სხვა.

მაგრამ ამ საერთო შედარებას გარდა ვტნში კიდევ სხვა განსაკუთრებული დანიშნულება აქვს სიტყვას "ლომი", რომელს სხვა ნაწარმოებში ასეთი ხასიათი არა აქვს. ვტნში "ლომს" ზრდილობის მნიშვნელობა აქვს, და იგი არის საზოგადოებრივი ეტიკეტის გამომხატველი.

### 3.ლომი — ზრდილობის სიტყვა

ლომი ვით ადამიანის აღმნიშვნელი, მისი სახელის მატარებელი ვტნში 43ჯერ არის დასახელებული და ესეც გასაგებია და ბუნებრივი, რადგან ლომი მეფის გამოხატულებაა და ამავე დროს გამოხატულება მზისა; ხოლო მეფეც მზის გამოხატულებაა.<sup>283</sup>

თანახმად ამისა ადვილად გასაგებია ის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომ ურთიერთ მიმართვაში, საუბარში ვტნის გმირები ერთმანეთს სახელით არასოდეს არ მიმართავენ, ერთმანეთს სახელით არ იხსენიებენ და ერთმანეთს სახელს არ ეძახიან. ამის მიხედვით იმ დებულების დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ, რომ ვტნის საზოგადოებაში სახელით მიმართვა, სახელის დამახება დიდი უზრდელობა ყოფილა! და ზრდილობის წესს კი ეკუთვნის არა სახელის თქმა, არამედ წოდება — ლომო! სიტყვა "ლომი" ამ შემთხვევაში არის სავალდებულო ეტიკეტის წესი.

თინათინი ავთანდილს ეუბნება —

მერმე მოდი, ლომო, მზესა შეგეყრები, შემეყარე (31).

როსტევანი ავთანდილს უთვლის —



ებრძანა: ”ლომო, არა გჭირს შენ ომთა გარდუხდელობა (144).

ავთანდილს —

მას ლომსა ნახვა უხარის მის მზისა მოკამათისა (679).

და მიგებებულ როსტევანს —

მან ავთანდილ თაყვანი სცა ლომთა ლომსა მზეთა მზემან (685).  
ვაჭრები ავთანდილს ასე მიმართავენ —

ლომო და მზეო, ესეა მიზეზი აქა დგომისა (1034). საზღვაო ომში ავთანდილმა —

კეტი ჰკრა. ძელი მოსტეხა, ლომს მკლავი არ უდრკებოდა (1042).

ავთანდილს ფატმანმა —

დიაცმან უთხრა: ”ჰე, ლომო, ხელი ვარ ცრემლთა დენითა (1105),

ლომო, ქებანი შენიმცა ჩვენ ვითა ვადიადენით (1120),

ხათუნმა უთხრა: ”ჰე, ლომო, ცეცხლი აწ უფრო ცხელდების (1313) და სხვა.

ტარიელს ნესტანი სწერს —

... ნუ დაიჩნევ, ლომო, წყულულსა (376).

ასრე ჰქმენ, ჩემო ლომო, და მჯობო ყოველთა გმირთაო...

ასმათმა —

სიცილით მითხრა: ”წამოვლე მოგელის ლომსა მთვარეო (407).

ტარიელი თავის თავზეც ამბობს —

ლომმან მივმართე ხატაეთს... (420).

ავთანდილი ტარიელის შესახებ ამბობს —

ლომი მინდორს ლომთა თანა მინდორს რული, ფერ-ნამკრთალი (693).

ტარიელი ფრიდონს უთვლის —

შევსთვალე: ”დადეგ, მიჩვენე, ლომსა ვინ გაწყენს. რომელი? (594).

და მისი მეომრობის შესახებ ამბობს —

იბრძვის ლომი და პირად მზე... (616).

ავთანდილ და ლომი ფრიდონ შიგნით ერთგან შეიყარნეს (1417). და სხვა.

გმირები ერთად —

მას ღამესა ერთგან იყვნეს იგი ლომნი, იგი გმირნი (925).

ასმათ ტირს, მოთქვამს: ”ჰე, ლომნო, ვისნი ვით მოგთქმენ ენანი (944),

ფრიდონისით გაემართნეს იგი ლომნი, იგი მზენი (1493).

და სხვა და სხვა.

მაშასადამე, ვტნს გმირები არამც თუ ლომთან არიან შედარებულნი, არამედ სიტყვა ”ლომი” მათ სახელს გამოხატავს, მათი ნაცვალსახელია. ურთიერთისადმი მიმართვის დროს ისინი ერთმანეთს სახელს არ უწოდებენ, არამედ მიმართავენ ზრდილობითი სახელწოდებით: — ლომო!

#### 4. სისხლი ლომისა

პირველყოფილი კაცის რწმენით (და ეს შეხედულება ძალიან დიდ ხანს გაგრძელდა), თუ ადამიანს სურდა თავისი ძალა გაემდიდრებინა და გაემრავლებინა, მას ამ განზრახვით იგი უნდა მოეპოვებინა და იგი სხვისაგან შეეძინა. ვის ჰქონდა ძალა და ძლიერება? რასაკვირველია: ღმერთებს, მხეცებს, ძლიერ ცხოველებს. როგორ უნდა მიეღო კაცს მათგან ეს ძალა? ძალას შეიცავს სისხლი. ამიტომ კაცი ფიქრობდა: ხორცის შეჭმითა და სისხლის დაღევით ძალა შეეძინა. აქედანაა წარმომდგარი ღმერთების ჭამა, ანუ თეოპაგია, რომელიც დღეს რელიგიებში მხოლოდ სიმბოლიურადაა წარმოდგენილი (მაგ. ზიარება!). მაგრამ ამ ძალის მიღება კაცს შეეძლო აგრეთვე ხელის შეხებით, ან მისი ხატის კოცნით. ყველა ამ მოვლენას ვხვდებით თანამედროვე რელიგიებში, და მათ უწოდებენ: ”საიდუმლოებანი”. ამ საიდუმლო მოქმედებით მორწმუნე მაგრდება, მტკიცდება, ჰქმნის შინაგან განწყობილებას უმაღლეს არსებასთან, იძენს ღვთიურ ძალას და უერთდება მას.<sup>284</sup>

სისხლი დასახული იყო სიცოცხლის ძალად; სისხლში იმყოფებოდა სული და სისხლის დასხმა იყო არა მარტო განწმედის, არამედ სიცოცხლის ძალის მინიჭების საშუალება. ამით აიხსნება ავთანდილის მოქმედება, როდესაც იგი გულწასულსა და სიკვდილის პირზე მიმდგარ ტარიელს სისხლს ასხამს და მას მოასულიერებს. (ამის შესახებ უფრო დაწვრილებით, იხილეთ ჩემი ”ვტნის საზოგადოებათმეტყველება”).

სისხლი არის სიცოცხლის ძალა. მკვდარი სისხლს მოითხოვს, რათა იგი გაცოცხლდეს; და რადგან ტარიელი მკვდარის მსგავსია, ამიტომ მისთვის საჭიროა სისხლის ძალა სიცოცხლესაკენ მის მოსაბრუნებლად —

ავთანდილ ადგა, გამოვლნა შამბნი საძებრად წყალისად;

მან ჰპოვა სისხლი ლომისა, მოაქვს სავსებლად ალისად.  
მკერდსა დაასხა, გავეხდა ლაჟვარდი ფერად ლალისად (1345).

ავთანდილმა პირველად წყალს დაუწყო ძებნა, მაგრამ როდესაც მან ლომის სისხლი დაინახა, წამსვე მოიგონა სისხლის მნიშვნელობა, აიღო იგი პეშვით და ტარიელს მკერდზე დაასხა. სისხლის შეხებისას გალურჯებული (ლაჟვარდი) ტარიელი გადაიქცა (გავეხდა) ლალის, წითელ ფერად, მას სისხლმა სული დაუბრუნა და ძალა მისცა.

ლომის სისხლის შემწეობით სიცოცხლის მობრუნებისათვის მოქმედება სისხლის შესახები რწმენის ნაშთია, ვტნში ასე შესანიშნავად გამოყენებული.

## 5. ლომი და კატა

ვით გარეული ცხოველი ლომი ვტნში აღნიშნულია მხოლოდ 12ჯერ, და უმთავრესად ვეფხთან ერთად —

ერთი ლომი, ერთი ვეფხი შეკრბეს, ერთად შეიყარნეს (507),

მერმე კიდევ ტარიელი ამბობს —

ჭირად არ მიჩნდა ლომისა მოკლვა, მართ ვითა სირისა (320),

ანუ: არ მიჭირდა, არ მეძნელებოდა ლომისა მოკვლა ისე, ვით ფრინველისაო (სირისა).

ვბურთობდი და ვნადირობდი, ვით კატასა ვხოცდი ლომსა (328).

ქედსა გარდავდეგ, ლომ-ვეფხი მოვიდეს ერთად რებულნი (908) და სხვა.

ტარიელი თავისი ძალის საჩვენებლად ამბობს —

ხუთისა წლისა შევიქმენ მსგავსი შლილისა ვარდისა (320).

ხუთი წლის ბავშვის ნადირობა მაინც და მაინც დიდ გადაჭარბებად არ უნდა ჩაითვალოს. ძველი აღზრდის წესით, ხუთი წლიდან ბავშვები უკვე საომრად იწვრთნებოდნენ, როგორც ამას ძველი ისტორიკოსი სტრაბონი ამოწმებს — უმთავრესი საგანი სწავლისა სპარსთა ხუთი წლიდან 24 წლამდე იყო: ისარის სროლა, შუბის ტყორცნა, ცხენზე ჯდომა და სხვ. (იხ. ტექსტი ი რაზ. წ. 12. გვ. 18).

ამირან-დარეჯანიან-შიც, შვიდი წლის ჯიმშერი ნადირობს.

შუა საუკუნეთა ევროპაშიც იცოდნენ: თუ ვაჟი ბავშვობიდან არ დაიწყებს ვარჯიშს, იგი არასოდეს კარგი მეომარი არ გახდებაო.<sup>285</sup>

ევროპაში უკვე ათი წლის ბავში საომარ მზადებაში იყო და როდესაც მას 14-15 წელი უსრულდებოდა, იგი მიჰყავდათ სასახლეში, რათა იქ მას სასახლური წესები და კავალერობა ესწავლა.<sup>285</sup>

≈≈

არავის ეჭვი არ შეპარვია, ეს კატა, რომელს ტარიელი ხოცავს, არ არის კატა შინაური, ან გარეული. პროფ. ნ. მარრი რუსულად ამ სიტყვას თარგმნის "კოშკა" , და ზოგს ჰგონია, იგი შინაური კატა, ან გარეული კატაა. გარნა ვფიქრობ, ვტნში დასახელებული "კატა" რომ შინაური, ან გარეული კატა იყოს, მართლა დიდი უგემური პოეტური შედარება იქნებოდა იგი!, რადგან არც შინაურ და არც გარეულ კატას ლომივით არც ტარიელი და სხვა ვინმე არა ხოცავს. მაშ რა არის "კატა"?

≈≈

ამირან დარეჯანიან-შიც იხმარება სიტყვა კატა — ოდეს ესე ჯიმშერ შეიქნა შვიდისა წლისა, ნადირობა უყვარდა მეტად, სადაცა ანუ ლომი, ანუ ჯიხვი ნახის, მან ცოტამან ყმამან ვითა კატა მოკლის-ო. საცა ვეფხ-ლომნი, მხეცნი, ანუ ნადირნი გარდამეკიდის, ვითა კატა, ეგრე მოვკლიდი-ო.

ჯერ გავიგოთ, საიდან მოდის "კატა" და სახელი მისი "კატა".

≈≈

კატის სამშობლოა ეგვიპტე. კატა ცნობილია ეგვიპტეს ისტორიაში უკვე მეხუთე-მეექვსე დინასტიის დროს (დაახლოებით ხუთი ათასი წლის წინად). კატა იყო წმიდა ცხოველი ღმერთ-დიაცისა "ბასტ", ანუ "ბატეტ", რომელი ქვეყნისა, მშობიარობისა და ბავშვთა ღმერთი იყო, და შემდეგ კიდევ იგი ბერძნულ "ელიეთია" და "არტემისს" უდრიდა. ამ დიაც-ღმერთის გამოსახულება და მისდამი მიკუთვნებული ცხოველი იყო სწორად "კატა". "ბასტის" ყოველ წლიურ დღეობაზე იკრიბებოდა აუარებელი მორწმუნე, რომელიც დიაც — ღმერთს კატის გამოსახულებას სწირავდა. მეოთხე საუკუნედან ქრისტეს წინ დარჩენილია ეგვიპტური ლოცვა კატისადმი —

ო, წმიდაო კატა!  
თავი შენი არს თავი ღმერთი მზისა!  
ნესტონი შენნი არიან ნესტონი თოთისა,  
ჰერმოპოლისზე ორჯერ უფრო დიდი უფალისა!  
ყურნი შენნი არიან ყურნი ოზირისისა,  
რომელნი ისმენენ ყველას,  
რომელნი მას მიმართავენ!  
ბაგენი შენნი არიან ღმერთისა ატმუ.  
სიცოცხლის უფალისა!  
გული შენი არს გული ღმერთისა ფტაჰ...  
კბილნი შენნი არიან კბილნი ღმერთისა შუნსუ...  
და სხვა. <sup>286</sup>.

კატა როცა მოკვდებოდა, ოჯახში დიდი გლოვა იწყებოდა და ყველანი გლოვის ნიშნად წარბებს იპარსავდნენ ხოლმე. კატის მკვლეელი სიკვდილით ისჯებოდა. თვით დიაც-ღმერთს "ბასტ"-ს ნამდვილი თავის მაგიერ კატის თავი ჰქონდა!

მველ ეგვიპტეში არსებობდა კატებისათვის განსაკუთრებული სასაფლაო. მაგალითად, ბენი-ჰასან-ში აღმოაჩინეს უკანასკნელ დროს კატათა მრავალი სასაფლაო, მრავალი ათასი კატის ჩონჩხით. თანამედროვე "უწმინდურმა" მრეწველობამ კატათა ეს ჩონჩხები გადაფქვა და სასუქად გაჰყიდა. <sup>287</sup>.

როგორც აღვნიშნე, კატა ეგვიპტური წარმოშობისაა, და მაშასადამე, აფრიკულია. ისრაელნი უეჭველად იცნობდნენ კატას, მაგრამ ამ კატის შესახებ ბიბლიაში ერთი სიტყვაც არააო, ნათქვამია ბიბლიის ენციკლოპედიაში. <sup>288</sup>.

≈≈

კატა ევროპაში გავრცელდა მეოთხე - მეხუთე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ, და მეექვსე საუკუნის დასასრულს მას უკვე ინდოეთ-ჩინეთ-იაპონიაში ვხედავთ, მთელს ევროპაში და აზიაში.

მაგრამ საიდან წარმოსდგა სახელი "კატა"?

მველ ბერძნულად კატას ერქვა: "აილოვროს", "ასელოვროს"; ლათინურად: "ფელეს", "ფელის" ან "ფაელის". ეს სახელი დიდად არ გავრცელდა, და კატას დაარქვა თვით ხალხმა "კატტუს", "კატა". ბერძნულად — კატტოს, კატტა, გატის. ამ ლათინურ სახელს მწერლობაში პირველად ხმარობს პალლადიუსი. და ეს ლათინური სახელი "კატტა" შემდეგ მთელს ევროპაში გავრცელდა, აზიაში გადავიდა და თვითონ მის სამშობლოს აფრიკასაც მისწვდა. <sup>288</sup>.

≈≈

ქართული ნამდვილი სახელი "კატისა" არის: — ფისუა, ფისო, ციცა, ციცუნია. ს. ს. ორბელიანი განმარტავს: კატა ფრანგულია (სხვათა ენაა), ციცა ჰქვიან-ო. ს. ს. ორბელიანის განმარტება სწორია; ფრანგულად (ამით იგულისხმება: ლათინური) მას კატას უწოდებენ. ქართულში სახელი — კატა — უეჭველად ბერძნულიდანაა შემოსული და აქ დამკვიდრებული, ალბათ, იმავე ხანაში, როდესაც კატა ყველგან გავრცელდა: მეოთხე-მეხუთე საუკუნეში.

≈≈

ინდოეთში კატა კარგ და კეთილ ცხოველად მიაჩნიათ და მისი მოკვლა დიდ ცოდვად ითვლება. ასე რომ ყოვლად შეუძლებელია, ტარიელს კატები დაეხოცა.

მაჰმადიანურ ქვეყნებში კატას წმიდა ცხოველად სთვლიან, რადგან წინასწარმეტყველ მაჰმადს კატა უყვარდა, და ერთხელ, როცა კატას მის წამოსასხამზე ეძინა, მაჰმადმა, რადგან იგი სასწრაფოდ უნდა წასულიყო, მან კატა არ გააღვიძა და მოსჭრა თვითონ ის ნაწილი მოსასხამისა, სადაც კატა ტკბილად განისვენებდა და ხრუტუნებდა!..

ცხადია, ისლამის მიმდევარნი კატას არა ჰკლავენ.

ქრისტიანულ ქვეყნებში კატას საერთოდ პატივით ექცევიან და არსებობს ხალხური რწმენა, რომლის მიხედვით, კატის მკვლელმა საიქიოში ცხრა ეკლესია უნდა ააშენოსო.

მაშასადამე: ვეფხისტყაოსანის კატა შინაური კატა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს. მაგარამ ეს კატა იქნებ გარეული კატა არის?

≈≈

ს. ს. ორბელიანის თქმით, გარეულ კატას ეწოდება "კატუნი". ილია ჭყონიას "სიტყვის კონა"-ში (პეტერბურგი, 1910 წ. გვ. 30) ფშავურად გარეულ კატას ეწოდება "ღადუნი", რაც იგივე "კატუნი" არის. ოღონდ შინაურ კატასა და გარეულ კატას შორის საერთო ანატომია და ფიზიოლოგია არ არსებობს. ბევრი მეცნიერის შეხედულებით: გარეული კატა შინაური კატისაგან არ არის წარმოშობილიო.

გარეულ კატათა შორის ცნობილნი არიან — მთის კატა (გატო მონტეს), რომელიც გავრცელებულია ევროპაში და კავკასიაში; აფრიკული გარეული კატა (ფელის ლიბკა, ფელის ლიბიკა ოკრეატა, მანიკულატა, მაურიტანია, მარგარიტა, კაფრა); ციმბირული კატა (მანულ). ეს მანულ-კატა გავრცელებულია ცენტრალ აზიაში და კასპიის ზღვის მხარეებში; იგი შინაურსა წააგავს. პრიონაილურის ჯიში გავრცელებულია აღმოსავლეთ აზიაში და მალაის კუნძულებზე. ამ ჯიშს ეკუთვნის კატა ლეოპარდი ინდოეთისა (პი ბენგალესის). ეს კატა არის ტყის მცხოვრები, მფრინველებზე და თავგებზე ნადირობს. მეორე ჯიში ინდოეთის კატისა არის: პარდოფელის, და კიდევ მეთევზე კატა (ზ. ვივერრინუს). იგი ნამდვილი მხეცია, სისხლის მოყვარულიც, ცხვარსა და ძაღლს ებრძვის, თუმცა შინაურ კატაზე დიდი არაა.

≈≈

წარმოსდგება საკითხი: ნუ თუ ტარიელი ამ კატებზე ნადირობდა? კატაზე ნადირობა არასოდეს მიღებული და გავრცელებული სპორტი არა ყოფილა და არც დღეს არის. თავის თავად, კატაზე ნადირობა ძალიან საშიშია, უფრო საშიში, ვიდრე ლომზე ნადირობა. კატას თუ ებრძვიან, იგი დიდად მხეცდება; იგი ადის ხეზე და მალულად იქედან პირდაპირ თავზე ახტება მონადირეს და ყელს უღადრავს. ამიტომ კატაზე არავინ ნადირობს, და ამას გარდა, გარეული კატა ჩვეულებრივ უვნებელია, რადგან იგი თავისა და მფრინველის დაჭერით ცხოვრობს, უმთავრესად. ყველა ეს ამბავი დიდად ეჭვებსა სძრავს იმის შესახებ, თითქო ტარიელი ტყეში დაეხეტებოდა ბავშობისას კატათა დასახოცად. აქ უნდა სხვა "კატა" მოიძებნოს...

≈≈

"კატა", ანუ "ყატა" არაბული სიტყვაა და მას უწოდებენ ფრინველს, რომელიც არის უდაბნოს ქათამი. ბერძნულად მას ჰქვია "პტეროკლეს".

"კატა" არის "პტეროკლეს" ჯიშის ქათამი, რომელსაც ჰქვია მეცნიერულ ენაზე: "პტეროკლეს ალხატა". გერმანულად მას ეწოდება: "ვუესტენფლოუგჰუჰჰუნ", ანუ

უდაბნოს ფრინავი ქათამი. ეს "კატა" გავრცელებულია აზიაში და ძალიან ბევრია არაბეთში.

უდაბნოს ეს გარეული ქათამი მოხსენებულია აგრეთვე ბიბლიაშიც: 1 სამუელ 26,20; იერემია 17,77; ეკკლესიასტე 11,31 და სხვ. <sup>289</sup>.

ცნობილი არაბისტი, სილვესტერ დე სასი ამ "კატა"-ზე გრძლად ლაპარაკობს თავის არაბულ ქრესტომათიაში და ამ სახელს სთარგმნის იგი სახელით "პერდრიკს" <sup>290</sup>., რაც ნიშნავს: "კაკაბი", "გნოლი".

ისლამის ენციკლოპედიაში (გერმანულ ენაზე) "კატა" განმარტებულია სახელით: "რებჰუჰნ", ამ სახელს "რებჰუჰნ" რიჰარდ მეკელაინი თავის გერმანულ - ქართულ სიტყვარში სთარგმნის სახელით: "კაკაბი, გნოლი, თურაჯი" (რაც არის იგივე "დურაჯი", რომელზე ნადირობა ვტნში აღნიშნულია).

ამნაირად, ჩემი რკვევის თანახმად, "კატა" არის უდაბნოს გარეული ქათამი, ანუ კაკაბის ერთი სახე, და ამ "კატას" ხშირად ვხვდებით არაბულ მწერლობაში, მაგალითად —

არაბი მგოსანი **შანფარა** (მეექვსე საუკუნე) "კატის" შესახებ სწერს —

ნაცრის ფერ ბუმბულიანი კატანი, რომელნიც მთელი ღამის განმავლობაში მიფრინავდნენ სასმელისათვის, და თავისი ფრთებით ჰაერს ახმაურებდნენ-ო. <sup>292</sup>.

≈≈

ვეფხისტყაოსანში სწორედ ასეთ "კატა"-სთანაა საქმე, როდესაც ტარიელი ამბობს —

ვბურთობდი და ვნადირობდი, ვით კატასა ვხოცდი ლომსა (328).

"კატა" რომ აქ ფრინველი არის, ამას ზედმეტად გვიდასტურებს მეორე ლექსი, სადაც სწორედ ლომის მოკვლა მფრინველის მოკვლასთანაა შედარებული —

ჭირად არ მიჩნდა ლომისა მოკვლა, მართ ვითა სირისა (320).

ამით ტარიელი ამბობს — როგორც ფრინველის (სირისა) მოკვლა, ისე არ მეძნელებოდა ლომის მოკვლაო.

მაშასადამე, ვეფხისტყაოსანის "კატა" არ არის არც შინაური და არც გარეული კატა. ვტნის "კატა" არის არაბული სიტყვა "კატა" (ყატა), რომლითაც უდაბნოს ქათამი, კაკაბის ერთი ჯიში იწოდება.

### კა). ვეშაპი, ასპიტი

ვეშაპის შესახებ უკვე ვიბაასეთ ამავე წიგნში და მას აქ აღარ გავიმეორებ. აქ მხოლოდ "ასპიტ"-ს შევხვები.

სიტყვა "ასპიტი" არის ბერძნული "ასპის". ეს გველი ძალზე შხამიანი არის, რომლის გესლი გაუწვალელებლად კაცს სწრაფად ჰკლავს. ეს გველი ცნობილია ბიბლიაში და ქრისტიანული მხატვრობა მას ხშირად იყენებდა შუა საუკუნეთა მანძილზე. ეს ის გველია, რომელიც ეგვიპტეს მეფემ-დედოფალმა კლეპატრემ ლედვით სავსე კალათში (სხვა თქმით: თაიგულში) ჩასმული მოაყვანინა და თავის მოკვლის მიზნით მკერდზე აკბენინა, რათა რომაელ სარდალს აუგუსტუს რომში ტრიუმფად არ წაეყვანა. ძველ ეგვიპტეში ასპიტს დიდი პატივი ჰქონდა; მას იეროგრიფულ სახეებში ათავსებდნენ; იგი ვით ღმერთი-მფარველი ფარაონთა სამეფო ნიშანიც იყო და მეფის გვირგვინს ამკობდა, ხოლო დიაცი მღვდელთმთავარი ამ გველის სახეს, ვით ღირსების ნიშანს, მკლავზე ატარებდა.

ასპიტი ცნობილია აგრეთვე მწერლობაში, როგორც სიკვდილის, მრისხანების, სისასტიკისა და სხვა ამგვარ მოვლენათა გამოთქმა.<sup>293</sup>

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, ასპიტი გველია ფრიად გესლოვანი რომელი მსახვრალსა არა უსმენს სახვრასაო. "მსახვრალი" არის მოგვი, ანუ მაგიის (მაჟი) მოქმედი, რომელიც მოგვობითა (წირვითა და შელოცვით, გრძნებითა და ჯადოქრობით) მხეცთა და საერთოდ ცხოველთა მძვინვარებასა და განრისხებას ამშვიდებს. "სახვრა" არის ჯადოსნური შელოცვა. მაშასადამე, ასპიტი არის ისეთი გველი, გესლოვანი და ავი, რომელსაც განსაკუთრებული შელოცვა ვერ ამშვიდებსო.

≈≈

როცა ქაჯეთის ციხიდან სამეკობროდ, საავაზაკოდ გამოსულმა ლაშქარმა, რომაქის თავადობით, გულანშაროდან გაპარული ნესტანი დაიჭირა, მას ვინაობის შესახებ ეკითხებოდნენ, მაგრამ ნესტანმა —

არა არ გვითხრა, ვინ იყო, ან ვისგან ნამუხთალავი;  
ქუმ - ქუმად გვეუბნებოდა, კუმტი, თავისა მკრძალავი,  
ვითა ასპიტი, მჭვრეტელთა მისთა თვალითა მლალავი (1231),

ანუ: ნესტანმა ქაჯეთის მოლაშქრეებს არ გაუმხილა თავისი ვინაობა, და ან ვისგან იყო ნალალატევი თუ მოტყუებული (ნამუხთალავი); ქუმ-ქუმად, ესე იგი, მწყრალად ამბობდა, კუმტი (გაჯავრებული), თავისი თავის მკრძალავი, ანუ ფრთხილი; ვით ასპიტი თავისი თვალთ მჭვრეტელის, მაყურებელის მლალავი, მომტაცებელი იყო. გველის თვალის ასეთი სიძლიერე ხალხურ შეხედულებაშია, თორემ სინამდვილეში გველს არ გააჩნია მომტაცებელი, ანუ მლალავი თვალი, არც მომაჯადოებელი და მძვინვარე; ოღონდ გველი ვითარცა საშიში და გესლიანი, მის მიერ გამოწვეული შიშით მსხვერპლს იპყრობს და მას გაქცევის თუ გაფრენის უნარს უკარგავს. კაცი კი ამას გველის თვალს მიაწერს და მას მლალავად სთვლის. მაინც, რამდენად განრისხებული უნდა ყოფილიყო ნესტანი, რომ მისმა თვალებმა ლაშქარზე ასეთი სასტიკი შთაბეჭდილება დასტოვა და მათ იგი მლალავ ასპიტის თვალეზად მოეჩვენათ!



### კბ). ნიანგი

ავთანდილის მომხიბლველ გალობაზე გამოვიდნენ —

კლდით ნადირნი, წყალშიგ თევზნი, ზღვით ნიანგნი (968).

სახელი "ნიანგი" არის სპარსული — ნიჰანგ; იგი არის "კროკოდილო". ფირდაუსი "მეფეთა წიგნ"-ში ნიანგს ხშირად ახსენებს და იქედან ჩანს, რომ ნიანგნი ზღვაში და მდინარეში ცხოვრობენ: —

გმირთა დარტყმანი და ზართა ხმაური ისეთი იყო, რომ გამოიყვანდა ნიანგს ზღვის სიღრმიდან-ო. ან კიდევ: — რუსტემი დევმა ჩააგდო ზღვაში, მაგრამ მან იძრო ხრმალი და ნიანგნი შეშინებულნი გაიქცნენ-ო. და კიდევ: — რათა ნიანგნი წყნარად იყონ მდინარეში, და სხვა ... ვტნში ნიანგნი ავთანდილის გალობის მოსასმენად გამოდიან ზღვიდან.

### კგ). ტანაჯორი

ტარიელი ავთანდილს მოუთხრობს თავის ომის ამბავს ხატაეთში —

კაცი კაცსა შემოვსტყორცნე, ცხენ-კაცისა დავდგი გორი;  
კაცი ჩემგან განატყორცნი ბრუნავს ვითა ტანაჯორი (447).

რა არის ეს ტანაჯორი?

სიტყვას "ტანაჯორი" რაფიელ ერისთავი ასე სთარგმნის: გლადიმ ილი გრებლიაკ სერიი. ნიკო მარრის განმარტებით, რომელიც სახელს "ტანაჯორი" სომხურ სიტყვს უკავშირებს: "ჯორეაკ", არის ჭრიჭინა (სტრეკოზა). ტექსტი ი რაზ. წიგ. 12. გვ. 19. შენ. 2). ი. აბულაძის ახსნით — ტანაჯორი არის პატარა ბუზი კოლოს მაგგვარი. ინგლისურ ვტნში "ტანაჯორი" ნათარგმნია სახელით "დრაგონ ფლაი". ეს, როგორც გამოვარკვია, არის ნეტონეკტა გლაუკა. დრაგონ ფლაი არის ზოგადი სახელი ნეუპტეროს მწერთა ლიბელლუნას ჯგუფისა. მათ ახასიათებს გრძელი ტანი, ფართო თვალები და ორი რწყვილი ფართო ძლიერი ფრთისა, რომლითაც ძალიან სწრაფად ფრინავენ.<sup>294</sup>

იქნებ "ტანაჯორი" სწორედ ეს "ნეტონეკტა გლაუკა" არის? დანამდვილებით ვერ ვიტყვი.

### კდ). ხრდალი

ს. ს. ორბელიანის თქმით, ჯრდალი, ანუ ხრდალი არის ჭაკი ცხენი და ვირი; და ამის დასასაბუთებლად მიუთითებს ბიბლიაზე (იობი 1,3). მართლაც, იობის წიგნში მოხსენებულია ეს სიტყვა ასე: იობს ჰყავდა "აქლემები სამასნი, უღლეული ხართა ხუთასი, ვირი ხრდალი მძოვარი ხუთასი"... სხვათა ენათა ბიბლიაში "ვირი ხრდალი" ნათარგმნია სიტყვით: — დედალი ვირი (ანესს, ასესს, ეზელინენ, ოსლიც). ეს სიტყვა კიდევაა განმეორებული: "რემაკები ვირთა ხდალთა ძოვდა მახლობლად მათსა"

(იობი, 1,14), ანუ: ჯოგი (რემაკები) დედალ ვირთაო... — ვირი მძოვარი ხდალი ათას... (იობი 42,11).

მაგრამ შემდეგ ხრდალი არის ცხენიც... ხოლო ჰყვეს მეფესა სოლომონს ორმეოცი ათასი ცხენი ხდალი ეტლისანი... (მეორე ნემტთა, 9,25).

”მხდალი, — ამბობ პროფ. ივ. ჯავახიშვილი, — დედალი საქონლის აღმნიშვნელიაო. თავდაპირველად ეს სიტყვა მშობელსა ჰნიშნავდა: დედალს. იგი ”ხრდალის” სახითაც გვხვდება. შემდეგში ამ ტერმინს, დიაცის მსგავსად, ჯაბანისა და მშიშარას მნიშვნელობაც მიენიჭა, და ამ ჟამად ამ სიტყვას უმთავრესად ასეთი მნიშვნელობა დარჩაო.<sup>271</sup> გვ. 70..

ტარიელი ავთანდილს ურჩევს, შინ მიბრუნდით. ავთანდილი უარზეა და ამ უარს ასე ასაბუთებს — შენდა მოსახმარებელად წამოველ თინათინის დამოწმებით; ჩემი ეს გარდაწყვეტილება არ მიქმნია არც მთვრალობისას, არც მახმურად, ანუ ნამთვრალევეს; ახლა რომ მივბრუნდე, რა ვუამბო თინათინს, რას მეტყვის? —

აწ შევიქცე, რა ვუამბო? — რად მოხველო ჯაბან-ხრდულად? (933).

ზოგ ვტნში აქ არის ”ხრდალის” ნაცვლად სიტყვა ”ხდალი” და ”მხდალი”, რაც ნიშნავს: მშიშარა, ჯაბანი. ვტნის ლექსიკონებში ეს სიტყვა ”მხრდალი” განმარტებული არაა, ალბათ ფიქრობდნენ, საჭირო არააო, რადგან ეს სიტყვა ”მხდალი” დღეს მშიშარას ნიშნავს. ნამდვილად კი ”ხრდალი” არის დედალი ცხენი და ვირი, ხოლო გადატანითი მნიშვნელობით, აგრეთვე ჯაბანი და მშიშარა.

## კე). ცხენი

### 1. ცხენის ამბავი

თანამედროვე ქართულში სიტყვით ”მხედარი” აღინიშნება საერთოდ ”ჯარისკაცი” — ჩვენი მხედრობა — ჩვენი საომარი ძალა; სამხედრო საქმე — ომის საქმე. ძველად კი მხედარი იყო ცხენოსანი მებრძოლი, ვინაიდან ომს უმთავრესად ცხენოსანი ლაშქარი ეწეოდა, კავალერია. მაშასადამე, როდესაც მხედარის შესახებაა საუბარი, საქმე ეხება არა მარტო კაცსა და ცხენს, არამედ საჭურველსაც, საბრძოლო იარაღს.

სიტყვა ”მხედარი” ვტნში არ მოიპოვება; მის ნაცვლად იხმარება სიტყვა ”ცხენოსანი”. ცხენოსანი აქ მხედარია —

ექვსი რამე ცხენოსანნი, ნახა, მისკე მოვიდოდეს (196),

თვით სამასსა ცხენოსანსა წაიტანდეს, გმირთა დარსა (1389).

ცნებისა ”მხედრობა” ნაცვლად ვტნში იხმარება ”სპა”, ”ლაშქარი”.

მხედრობაში კაცი და ცხენი მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. კაცისათვის ცხენი არის შემწე და მეგობარი, მისი დამხმარე და მცველი. და რა გასაკვირია, ცხენს ღვთიურ წარმოშობად სთვლიდნენ...

ცხენი პირველად მონღოლეთში გაჩნდა და იქედან იგი გავრცელდა დანარჩენ მსოფლიოში.

პირველი ისტორიული საბუთი ცხენისა და მისი მოვლის შესახებ ეკუთვნის ხეთებს, ანუ ხეტტიტებს, მეთოთხმეტე საუკუნეში ქრისტეს წინ. უკვე 4.500 წლის წინად ხეთებს ჰქონდათ ცხენგაბმული საბრძოლო ეტლები.

მხედრობის შექმნითა და დაწესებით დაიწყო პირველად შორეულ ქვეყანათა დაპყრობა. უზანგის გამოგონებამ ბრძოლის უნარი გაზარდა. ამიტომ მართებულია ძველი ჩინური თქმა — ცხენის ზურგი ჰქმნის სახელმწიფოსო! ცხენოსანი ხალხები ათასეული კილომეტრებით გადადიოდნენ და მხედრული ბრძოლებით ქვეყნებს იპყრობდნენ და იმპერიებს აფუძნებდნენ. სკვითების მხედრობა შორეული აღმოსავლეთი აზიიდან ევროპაში შეიჭრა და იმდროინდელ ქვეყნებს თავზარი დასცა. სპარსეთის მეფე კიროსმა, მედელთაგან ირანის განმათავისუფლებელმა, და სპარსეთის დიდი იმპერიის დამაარსებელმა (529 წ. ქრისტეს წინ) სკვითური მხედრობის მიხედვით მოაწყო თავისი ლაშქარი, ხოლო დარეოს პირველმა (521 — 485 წ. ქრ. წინ) გადაიღო სკვითური ტაქტიკა, აწარმოვა მრავალი გამარჯვებითი ომი, და თავის თავს საუკეთესო ცხენოსანს უწოდებდა. ოღონდ მხედრობის ტაქტიკა დროთა განმავლობაში გამოიცვალა, და დარეოსის სკვითურ ტაქტიკას გადააჭარბა ალექსანდრე მაკედონელმა (356 — 323 წ. ქრისტეს წინ)... და მეორეჯერ უნაყოფოდ იბრძოდნენ მხედარი ხალხები, კავკასიიდან სირიამდე, გაუგებალა-სთან შეტაკებაში (331 წ.) მაკედონური მხედრობის წინააღმდეგო, — ამბობს დრ. კ. დიიმ.<sup>295</sup>

ქართული მხედრობაც მეთე საუკუნის შემდეგ განთქმული იყო მცირე და ცენტრალ აზიაში, და შიშის ზარსა სცემდაო, — ამბობს რენე გრუსსე.<sup>296</sup> მაგრამ ჩინგის ყაენის მხედრობამ იგი სასტიკად დაამარცხა ახალი მხედრული ტაქტიკის წყალობითო. მონღოლთა ძლევამოსილმა ლაშქარმა თითქმის მთელი აზია დაიპყრო, რუსეთი გადაიარა და ევროპას მიადგა 1240 წელს, სადაც ლიგნიცთან ბრძოლაში ევროპა დაამარცხა და თუ ევროპა მონღოლთ გადაურჩა, ეს მოხდა სრულიად შემთხვევით, იმის გამო, რომ მონღოლნი უკანვე გაბრუნდნენ ახალი ხანის (ყაენის) ამოსარჩევად... ჩინგის ხანის მხედრობა დიდი სისწრაფისა იყო. მონღოლურ ცხენს ერთ საათში 17 კილომეტრი უნდა გაერბინა. ცხადია, ლაშქარი ამ სისწრაფით ვერ მიდიოდა, მაგრამ ცხენის გარბენის საშუალო სისწრაფე საათში 12 კილომეტრი მაინც უნდა ყოფილიყო.<sup>295</sup>

ცხენოსნობა დიდი ხელოვნება იყო და კარგი ცხენოსანი ყოველთვის გამოჩენილი იყო. ამიტომ ქართველი ისტორიკოსები, როდესაც ისინი აღწერდნენ გამოჩენილ პირთა სიკეთეთ, ყოველთვის ამ სიკეთეთა შორის, მათ კარგ ცხენოსნობას იხსენიებდნენ ხოლმე — იყო კარგი ცხენოსანიო. ბატონიშვილი ვახუშტი, როდესაც იგი ქართველს ახასიათებს, ამბობს: — ცხენსა ზედა და მხედრობათა შინა ქართველნი კადნიერნი, მკვირცხლნი და მსწრაფლნი არიანო,...

≈≈

ცხენის ისტორიაში ცნობილია: კალმიკური, ბაშკირული, კაშგარული, სპარსული, არაბული, კავკასიური, ჩერქეზული და სხვა. რას გულისხმობს დრ. კ. დიიმ, როდესაც ამ ჯიშთ ჩამოთვლის, "კავკასიური ცხენით", არ ვიცი, რადგან იგი გარკვევით არ ამბობს, მაგრამ ვიცით, რომ ძველად დიდად განთქმული იყო ქართული ცხენი, და ვიცით ისიც, რომ დამპყრობელნი ქართველი მეფეებისაგან ხარკად "ქართული ჯიშის" ცხენს მოითხოვდნენ ხოლმე: ამდენი და ამდენი ქართული ცხენი მომგვარეთ ყოველ წლიურადო...

≈≈

მაგრამ რას ეწოდება კარგი ჯიშის ცხენი?

არაბი აბდ-ელ-კადერ-ის დახასიათებით — კარგი ჯიშის ცხენი ამნაირია:

ჯიშიერ ცხენს უნდა ჰქონდეს სამი რამ გრძელი: ყურები, კისერი, წინა ფეხები;

სამი რამ მოკლე: კუდისძირი, ზურგი, უკანა ფეხები;

სამი რამ ფართო: შუბლი, მკერდი, ხერხემალი;

სამი რამ სუფთა: ტყავი, თვალები, ჩლიქები;

ამას გარდა ცხენი უნდა იყოს: ქედმაღალი, გვერდებ თხელი, ძირიდან ბოლომდე სქელი, ტალღისებური კუდით, რომელიც თემოებს შორის არეს ასე კარგად ჰფარავს... წინ მიდრეკილი თვალებით... ყურები ჯეირანის მსგავსად... ნესტოები ფართო... თავის ბალანი სქელი... ნესტოების ცა — შავი... <sup>295</sup>.

აქლემის შემდეგ, არაბისათვის პირველი მეგობარია — ცხენი; მას უგალობს ხალხი თავის პოეზიაში და პოეტები მას ხოტბას უწერენ... ცნობილია: არაბულ ენაში ცხენის აღსანიშნავად არა ნაკლები, ათასი სახელი იხმარებაო — გვაცნობებს პროფ. ჟ. კ. რისლერ. <sup>244</sup>. გვ. 13.

უკვე აღვნიშნე, რომ ისლამურ ქვეყნებში ჯერ კიდევ ხალიფა ომარის დროს, 640 წელს, შემოღებულ იქმნა მაჰმადიანთაგან გარჩევისათვის სამოსელზე ყვითელი ნიშანის ტარება — ებრაელთათვის, ხოლო შემდეგ: ქრისტიანებს შეეძლოთ მხოლოდ ლურჯი ფერისა და ისრაელთ: ყვითელი ფერის სამოსელი (იხილეთ ჩემი "ვტნის ფერთამეტყველება", გვ. 12-13). ამ განსხვავებითი ნიშანით ნაჩვენები იყო ეროვნული და რელიგიური წარმოშობა, ეს რამოდენიმე ხანს მივიწყებულ იქმნა, მაგრამ 847 — 851 წ. ხალიფა მუტავაქილმა აღადგინა იგი და მას თან დაურთო ახალი განკარგულება, რომლის მიხედვით არა-მაჰმადიანებს ნება არა ჰქონდათ ცხენზე შემჯდარიყვნენ; არა - მაჰმადიანთ შეეძლოთ მხოლოდ ვირით ან ჯორით სიარული. <sup>244</sup>. გვ. 195. ამით, რასაკვირველია, დაწესებული იყო არა მარტო რელიგიური, არამედ საზოგადოებრივი განსხვავება მაჰმადიანთა და არა-მაჰმადიანთ შორის, სამხედრო თვალსაზრისითაც.

## 2. ცხენთა ჯოგი

თითოულ სამეფოში თავისი ლაშქარი ჰყავდათ, და რასაკვირველია, მას ცხენები სჭირდებოდა. ცხენების გაშენება ჩვეულებრივი იყო, და მამასადაძმე, მეჯოგობა დიდად განვითარებული იყო. — ამას ვტნშიც ვხვდებით. ჯერ ერთი, თინათინმა ბრძანა, მოასხით ცხენები და დაურიგეთ ლაშქარსაო; მერმე ტარიელმა თავისი ურიცხვი ლაშქარი აღლუმზე გასინჯა; მერმე, როდესაც ტარიელი და ავთანდილი ფრიდონის სამეფოში შევიდნენ, ისინი იქ პირველადვე ფრიდონის ცხენთა ჯოგს წააწყდნენ —

იარეს და ზედან შეჰხვდეს ნურადინის მეჯოგეთა,

ჯოგი ნახეს, მოეწონა, ფრიდონისთვის ეაგეთა (1375). ეაგეთა — შესაფერად ეჩვენაო. ი. აბულაძე.

ცხენების წართმევა და ჯოგის გარეკა მეკობრეთა, ავაზაკთა ხელობა იყო და ამიტომ ჯოგს იცავდნენ ხოლმე მეჯოგენი, მაგრამ ტარიელმა და ავთანდილმა მოისურვეს ფრიდონთან გახუმრება და მიესივნენ მეჯოგეებს და ცხენებს ჭერა დაუწყეს —

ჯოგი წავუღოთ, მოსრულნი ვესმით ჯოგისა წაღებად (1376),

დაუწყეს პერობა ტაიჭთა, ფრიდონის უკეთესებსა (1377).

რასაკვირველია, მეჯოგეებმა ყვირილი და განგაში ასტეხეს და ჯოგის მფლობელი —

შეეკაზმა ფრიდონ, შეჯდა, შეკაზმული გამოვიდა (1379),

და მეკობრეთა ნაცვლად მან იქ თავისი მეგობრები იხილა.

## 3. ცხენთა რიცხვი

ვტნში ცხენთა რიცხვს რამოდენჯერმე ვხვდებით, თუმცა იქ ლაშქარი და სპა ხშირადაა მოხსენებული. ტარიელი ამბობს —

ერთობ ლაშქრითა აივსო მინდორი, კლდე კაპანია (402),

(კაპანი — ქვა ლოჯი. ს. ს. ორბ. წვეტიან-ქვიანი ადგილი).

დილასა ვბრძანე გამართვა ლაშქრითა უთვალავითა (404),

შექმნეს რაზმი მრავალ-კაცი, თუცა, ღმერთო, ვერა მავნეს (444),

ვერ დაიტევდა მინდორი ლაშქართა... (450).

ხატაელთა ლაშქარი მრავალია —

ერთგან შენთვის დამალულნი სპანი ასჯერ ათასობენ (434),

და ამათ გარდა კიდევ —

კვლა სხვაგან გითქს სამი ბევრი, ასრე ფიცხლად მით გიხმობენ (434).

”ბევრი”, ძველი ანგარიშით, არის ათი ათასი. ”სამი ბევრი” — 30.000.

ქაჯეთის ციხის მცველთა რიცხვია — 10.000 ჭაბუკი. ამ ციხის ასაღებად ჩვენ გმირებს თანა ჰყავდათ სამასი ცხენოსანი —

თვით სამასსა ცხენოსანსა წაიტანდეს, გმირთა დარსა (1389),

და ციხეზე თავდასხმის წინ —

გაიყვეს კაცი ას-ასი, ყველაი გმირთა სახეი,

ცხენებსა შესხდეს. აიღეს მათ მათი ჩაბალახეი (1408).

აქ არის დახატული მეტად უჩვეულო ამბავი — ცხენოსანი ძალით ციხის აღება...

ცხენოსანთა რიცხვი შემდეგ ნახსენებია, ოდეს ტარიელს როსტევანი თან ლაშქარს გაატანს —

კაცი ოთხმოცი ათასი ჰყვა ცხენებითა ვარგითა (1577),

და, რასაკვირველია —

... მტერობა ვერავინ დაიქადოსა (1578)

და ტარიელი ინდოთში გამეფდა.

#### 4. ცხენთა სისწრაფე

ვტნში ცხენს განსაკუთრებული მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. აქ მხოლოდ და მხოლოდ ცხენით მოძრაობენ და ცხენია მეზრძოლი ძალა. ამიტომ ცხენთა სისწრაფეს დიდი დაფასება ეძლევა —

ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბენა (13).

დიდი რბენის ცხენია ვტნის ყველა გმირის ცხენი, ოღონდ ტარიელს ცხენს არც ერთი არა სჯობნის. ტარიელმა —

რა სცნა მეფე მოვიდაო, ჰკრა მათრახი მისსა ცხენსა,

მასვე წამსა დაიკარგა, არ უნახავს თვალსა ჩვენსა;

ჰგვანდა ქვესკნელს ჩაძრომილსა, ანუ ზეცად ანაფრენსა.

ემებდეს და ვერ ჰპოებდეს კვალსა მისგან წანარბენსა (97).

ხატაეთზე ლაშქრობის წინ ტარიელმა თავისი ლაშქარი დაათვალიერა და ამბობს —

აღლუმი ვნახე, მეკეთა ლაშქართა მოკაზმულობა,  
სიჩაუქე და სიკეთე, კეკლუცად დარაზმულობა,  
ტაიჭთა მათთა სიმაღე, აბჯართა ხვარაზმულობა (403).

იგივე ცნობა გვაქვს ”ქართლის ცხოვრება“-ში — თამარ მეფემ ლაშქრობის წინ ”სპანი მისნი... იხილა აბჯართ კეთილობა და პატიოსნითა და განიხილა რა სპანი თვისნი და მოეწონა აბჯართ განწყობილება და ცხენ კეთილობა მათი, სიდიდე და სიმხნე სპათა მისთა”... (ქართლ. ცხ. გვ. 516).

ლაშქარის სივარგეში ცხენტა სიმაღეს უსათუოდ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა და ტარიელიც ამ მოვლენას დიდ ყურადღებას აქცევს, და სწორედ ეს სიკეთე ცხენტა მას ხატაელთა წინააღმდეგ ომში გამოადგა. ტარიელმა ომი სამასი ცხენოსანით დაიწყო; მთავარი ლაშქარი უკან იყო დატოვებული და ტარიელმა იგი საჩქაროდ გამოიწვია —

შევთვალე: ”ფიცხლა წამოდით, მოჰგრაგნეთ მთა და გორია (437).

რა ეცნათ, წამოსულიყვნეს, ღამე წამორთვით ეარა (450).

სასწრაფოდ მოსული ლაშქარი ომის ბოლოს ბრძოლაში შეიჭრა და იგი დაასრულა.

ველად გაჭრის შემდეგ ტარიელს ფრიდონისაგან ნაჩუქარი ცხენი ჰყავდა და იგი ამ ცხენით დიდად თავმომწონე იყო —

ჩემი ცხენი უჩინო ჰგავს და სხვასამცა რად ვასახე (294),

კაცმან ვერ ასწრას თვალისა დაფახვა, დაწამწამება,  
მას გავექცევი, ვისგანცა ჩემი არა ვცნა ამება (295).

ფრიდონმაც იცოდა თავისი ცხენის ფასი, რადგან მას იგი ხმელეთზე და ზღვაში გამოცდილი ჰყავდა. ფრიდონს როცა საზღვაო შეტაკება მოუხდა და გარს ნავები შემოერთყა —

მომეჯარნეს, ველარა ვქმენ, ნავით ცხენი გარდვიხლტუნვე,  
ზღვა-ზღვა ცურვით წამოუვე, ჩემი მჭვრეტი გავაცბუნვე (607).

და იგი თავისი ცხენის შესახებ კიდევ ამბობს —

ზღვათა შინ იხვსა ჰგვანდა, ხმელთა ზედა შევარდენსა (623).

ქაჯეთის ციხის აღებაში ცხენს მთავარი დანიშნულება აქვს დაკისრებული, რადგან თავიანთი სწრაფი ცხენებით, ვტნის გმირები დარწმუნებულნი არიან, ციხეს დაკეტამდე მიუსწრებენ და თვით ციხეში შეიჭრებიან. ამ კავალერულ თავდასხმაში ტარიელს უპირატესობა აქვს, რადგან:

მაგა ცხენსა ჩემეულსა მოასწრებენ კარსა ვერა,

ოდეს გიძღვენ, არ ვიცოდი, ქაჯეთს გვინდა ქაჯთა მზერა,  
თვარა ყოლა არ გიძღვნიდი, ჩემი გითხრა სიძუნწე რა (1406),

ეუბნება ხუმრობით ფრიდონი ტარიელს. და ციხეზე შეტევის წინ, გმირები —

გარდახდეს და დაეკაზმნეს, უკეთესთა შესხდეს ცხენტა (1407).  
მთელი სამხედრო მოქმედება ელვის სისწრაფით მოხდა. თავდამსხმელი ლაშქარი —

პირველ ამოდ მიდიოდეს მგზავრთა რათმე მაგიერად,  
მათ შიგნითა ვერა უგრძვნეს, ვერცა დახვდეს გულ-ხმიერად,  
გულსა შიში არა ჰქონდა, ამო დგეს და ნებიერად (1413),

და ჩვენმა გმირებმა —

ანაზღად ცხენი გაქუსლეს, მათრახმან შექმნა წრიალი (1414),

და ციხეში შეიჭრნენ, და დაიპყრეს იგი. ცხენტა სიმაღემ ვტნის გმირებს გამარჯვება  
არგუნა და გამარჯვება ბრწყინვალე. ცხენოსნებმა ციხე დაიპყრეს.

ციხის აღება კავალერიის შემწეობით ვეფხისტყაოსანს გარდა, მოხსენებულია  
”ქართლის ცხოვრება“-ში. არდაველის სულთანმა ქალაქ ანისზე გაილაშქრა, და როცა  
ცისკარი მოეახლა და დაჰკრეს ძელსა (მოუწოდეს ქრისტიანებს სალოცავად ძელზე  
დაკვრით; იმ ხანად ჯერ კიდევ ზარი არ იხმარებოდა და ძელზე ურტყამდნენ), და  
გააღეს ქალაქის კარები, სულთანი თავისი ცხენოსანი ლაშქარით ქალაქში შეიჭრა —  
”მიეტევენეს კარსა ქალაქისასა, შეუტევეს ცხენი და ვერ მოასწრეს კარნი (დაეკეტათ) და  
შეუვიდეს ქალაქად, იწყეს ხოცად (მარ. დედ. გვ. 511). სომეხთა დასაცავად და  
საპასუხოდ, ამავე ხერხით ქართველებმა დაიპყრეს არდაველი — ”მას ღამესა გარე  
მოადგეს არდაველს; ვითარ ხმა ყო ქადაგმან ბილწისა ქადაგისა მათისამა და  
გახშირდა მუყრთა (მოლათა) ყივილი, ყოლგნით ცხენი შემოუტივეს, მხარგრძელი  
შეუხდეს და უომრად ხელთ იგდეს ქალაქი”. (იქვე გვ. 513).

## 5. ტაიჭი და მერანი

ცხენი შეიძლება დააფასოთ მხედარის მიხედვით და მხედარი — ცხენის მიხედვით.  
ამიტომაც ვტნში ცხენოსანისა და ცხენის თითქმის თანაბარი დაფასება, ცხენისა და  
ცხენოსანის სილამაზის ერთნაირად აღნიშვნა.

ტარიელის შესახებ ნათქვამია —

ტაიჭი მიუქს მერანსა, მიეფინების მზე ველად (96).

”ტაიჭი” ი. აბულაძის განმარტებით არის სომხური ”ტაჭიკ”, რაც არაბულ ცხენს  
ეწოდებაო. მერანი, ს. ს. ორბელიანის გარმარტებით, არის კეთილმოარული ცხენი. ი.  
აბულაძის თქმით, მერანი ზღაპრული ცხენიაო. იგი შეედარება ბერძნულ პეგასოსს,  
ფროთოსან ცხენს.



ზემორე ლექსში აღნიშნულია ცხენისა და ცხენოსანის უმაღლესობა, რაც ვტნში რამოდენჯერმეა განმეორებული —

ტარიელი —

ზედა ჯდა შავსა ტაიჭსა, — მერანი რამე შავია — 204),

და მას ქებას უძღვნიან —

ჩემმან შემდეგმან ტაიჭი მისი მით აქო ხსენებით (206),

ოდეს ჩნდა შავი ტაიჭი მისი მის მზესა მარებლად (210),

ავთანდილმა —

ესე უთხრა და წავიდა, ცხენი გაქუსლა დეზითა,  
ვითა გავაზი გაფრინდა... (214),

ომ-გარდახდილი ჰშვენოდი, შენატევები ცხენისა (493),

მისმან ფიცხლად სიარულმა შარა გრძელი შეამოკლა (672),

ფიცხლად წავიდა. სავალი სამ დღე ვლო დღისა ათისა (679),

ცხენი გაქუსლე, გავაგე წავგრა ხრმლითა და მკლავითა (1023),

და ყველა ეს მაგალითი ცხენსა და ცხენოსანს ახასიათებს — ორივე მაღალი ღირებულებისაა, ორივე დიდი სიკეთისაა, ორივე ლამაზია.

## 6. ცხენი — საჩუქარი

თავის თავად ცხადია, ცხენი კავალერიის ხანაში დიდად ფასდებოდა, და ამიტომ იგი ძვირფას საჩუქართა შორის ითვლებოდა. ამიტომ სწორედ, როდესაც ვაჭრები ავთანდილს დიდებულ ძღვენს სთავაზობენ, იგი მათ უპასუხებს —

რა გინდა მომცეთ, რას ვაქნევ, მე ვარ და ჩემი ცხენია! (1055).

ოდეს ტარიელი ფრიდონს გაეყარა და გამოემშვიდობა —

მერმე ფრიდონ მოიყვანა, მიძღვნა ესე ჩემი ცხენი...  
ვიცი, მეტი არა გინდა, ძღვენი რამცა გავკიცხენი,  
თვით ამანვე მოგაწონოს სახედნობა, სიფიცხენი (647).

ცხენის მიძღვნა იყო ძღვენის ჩვეულებისა და მეგობრობის უმტკიცესი ნიშანი. ვტნის შემწეობით მკითხველი იმყოფება პატრონყმურ, ანუ ფეოდალურ საზოგადოებაში,

სადაც ძღვენი, საბოძვარი და უხვად გაცემა ცხოვრების წესია, და რასაკვირველია, ცხენის ჩუქებას აქ უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

თინათინმა გააბოძა, ანუ გაასაჩუქრა მთელი განძეულობა და —

ალაფობდეს საჭურჭლესა მისსა, ვითა ნათურქალსა,  
მას ტაიჭსა არაბულსა, ქვე-ნაბამსა, ნასუქალსა (55).

ტარიელიც, ოდეს იგი ხატაეთს სალაშქროდ მიდის, გზაში ხატაელი მეფისაგან ძღვენად ცხენებს ღებულობს —

წინა ტურფათა ტაიჭთა ძღვენად ჩემთვის მოზიდვიდესა (430).  
ფრიდონი ტარიელს ცხენს აჩუქებს —

მერმე ფრიდონ მოიყვანა, მიძღვნა ესე ჩემი ცხენი (647).

ავთანდილს ფრიდონმა მისცა —

ერთი ტაიჭი უებრო, მით უნაგრითა სრულითა (1019).  
ზღვათა მეფემ —

ავთანდილს და ფრიდონს უძღვნა უსაზომო დიდი ძღვენი,  
ძვირფასისა უნაგირი, უკეთესი თვითო ცხენი (1440).

ხოლო როსტევანმა ტარიელს უძღვნა —

ათასი ცხენი ტაიჭი, სიდიდით მსგავსი ქედისა (1558).

ცხრა ტაიჭი, ძვირფასისა უნაგრითა შეკაზმული (1559).

თუ რაოდენი უდიდესი მნიშვნელობისაა ცხენი, ჩანს იმ ლექსიდანაც, სადაც ცხენი და მარგალიტი ერთად არიან წარმოდგენილნი —

... უსახო მიუდიოდის ძღვენია,  
რა მარგალიტი ღარიბი, რა უკეთესი ცხენია (1654).

მამასადამე: ცხენი ძვირფასი საჩუქარი იყო და ვტნის მაღალ საზოგადოებაში ჩვეულებად გადაქცეული. მაგრამ ამ ჩვეულებას არ მისდევს ვაჭარი, რომელმაც ტარიელსა და ავთანდილს ცხენი კი არ აჩუქა, არამედ ოქროს ფასად მიჰყიდა! ეს ქცევა, რასაკვირველია, დაგმობილია —

მუნ ვაჭარმან ოქროს ფასად ცხენი მისცა, არ უძღვნა (1374),

გაკვირვებითა და დაგმობითაა ნათქვამი...

## 7. ცხენის ფერი

ვეფხისტყაოსანში ცხენის ფერსაც თავისი განსაკუთრებული დანიშნულება აქვს. ტარიელის ცხენის ფერი: შავია —

შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა (84),

და ეს ფერი ცხენისა მოხსენებულია ცხრაჯერ და იმდენად დამახასიათებელია, რომ თვით ცხენის ნაცვლად მისი ფერის აღნიშვნა იხმარება: შავი —

შავსა აუდვა ლაგამი, სწმენდდა რიდისა წვერითა (225),

ნახა შავი შამბთა პირსა დგა სადავე უკუყრილი (866),

ტარიელ შავსა ზედა ზის... (1409) და სხვა.

შავი ფერი ტარიელის სულიერ განწყობილებას შეეფერება; შავი გლოვისა და მწუხარების ფერია. ავთანდილის ცხენი მხოლოდ ორჯერაა მოხსენებული და მისი ფერია: თეთრი. ავთანდილი —

მეფესა გასვლად იწვევდა, მოდგა თეთრ-ტაიჭოსანი (72).

ასმათმა —

შეჰხედნა, იცნა ტარიელ, თანა ყმა ჭარმაგოსანი (1355).

ჩარმაგ, ანუ ჭარმაგ სპარსულია და ნიშნავს — თეთრი ცხენი, უფრო ზუსტად: თეთრი, შავად დაწინწკლული.

ცხენტა ამ ორი ფერის დაპირისპირება არის ტარიელისა და ავთანდილის სხვა და სხვა სულიერი განწყობილების გამომსახველი: თეთრი — სიმშვიდე, ლხინი; შავი — ვაება, მწუხარება.

(ცხენის შესახებ იხილეთ აგრეთვე ჩემი ნარკვევი: ”ზნენი სამამაცონი”, წიგნში: ”ვტნის საზოგადოებათმეტყველება”).

### კარი მეხუთე

#### ვტნის ფრინველნი

ს. ს. ორბელიანის თქმით — ფრინველი არის ფრთოსანი, მფრთოვანი, ხოლო მფრინველი — რა მოფრინავდეს მაშინ.

#### ა). ყორანი

ვტნში თავიდანვე გვხვდება ყორანი, რომელი შავი ფერის აღმნიშვნელია და პოეტური შედარებისათვისაა ნახმარი.

როდესაც თინათინი ტახტზე დასვეს, რადგან მას მამის ტახტსა საჯდომად თავი არ ეღირსებოდა, იგი —

ქალი ტირს და ცრემლსა აფრქვევს, ჰხრის ყორნისა ბოლო ფრთათა (46).

ყორნის ფრთა აქ არის წამწამები.

ავთანდილი იგონებს თინათინს და ამბობს —

მეც ვიცი, ჩემსა ხელ-მქნელსა თმად ყორნის ბოლო სთმოზია (965).

ყორნის ბოლო აქ არის თმა: შავი.

ავთანდილი ფატმანს ტარიელის შესახებ ეუბნება, შენა ხარ —  
ღონე წამწმისა ხშირისა, ყორნის ფრთებ-ნაფუშავისა (1265),

ანუ: შენა ხარ, ფატმან, ღონე და საშუალება, რათა ტარიელის ხშირნი წამწამნი გაასწორო, მისი არეულ-დარეული თმები გაასწორო, რადგან იგი, ტარიელი მუდამ ტირის და თმებს იგლეჯსო.

ნესტანის შესახებ ნათქვამია, როდესაც ქაჯეთის ციხეში რიდე მოიხსნა და მას თმები ჩამოუცვივდა —

აღისაგან სული მოქრის, ყორნის ფრთათათ მონაბერი (1310),

ანუ: ნესტანის ტანისაგან, რომელიც სუნნელოვანი აღვაა, სული, ესე იგი, სუნი მოქრის, რომელს მობერავს ყორნის ფრთები, თმებიო.

ტარიელს როს გული შეუწუხდება, ავთანდილი მის მოსულიერებას სცდილობს და თან —

ყორანსა გაჰგლეჯს ხშირ-ხშირად, აფრთხობს ბროლისა ჭერითა (1342),

ანუ: თავის შავ თმებს იგლეჯს და აფრთხობს ყორანს (თმებს) თავისი ბროლის ხელითაო, თავის ხელებით თმას იწეწავსო.

ნესტანის აღმოჩენის გამო გახარებულნი ტარიელ და ავთანდილ ერთმანეთს ეხვევიან და ტირიან —

ვარდსა ზედა ყორნის ბოლო ნამსა თხელსა აპკურებდა (1362),

ანუ: მათ პირზე (ვარდი) წამწამები (ყონის ბოლო) ცრემლს აპკურებდაო.

როდესაც ნესტანი ქაჯეთიდან წამოიყვანეს —

ჰკიდევს ბროლსა ყორნის ბოლო დაწყობილი, დანათხზენი (1493),

ანუ: მის ბროლს, პირს ჰკიდია ყორნის ბოლო, შავი თმა დაწყობილი და დანათხუენი, დაწნულიო.

≈≈

სიტყვა ყორანი ნახმარია კიდევ კაცის ფერის საჩვენებელად. ფატმანს ჰყავდა მონა, რომელიც იყო შავი ვითარცა ყორანი —

მოჰგვარა მონა გრძეული შავი მართ ვითა ყორანი (1268)

ამას გარდა, ყორანი არის უბედობის მომასწავებელი, ნიშანი სიკვდილისა. ფრიდონი თავის ნათესავ მტერთა შესახებ ამბობს მუქარით —

ვუხმობ ყვავთა და ყორანთა, მათ ზედა ვაქნევ ხადილსა (608),  
ანუ: მოვუხმობ ყვავთა და ყორანთ, მათზე (მტრებზე) მოვუწყობ წვეულებასო, ესე იგი, ამოვწყვიტავ მათ და ყვავ-ყორნებს შავაჭმევო.

(ხადილი, ს. ს. ორბელიანის განმარტებით, არის უაღრესთ (უფროსთ) მოწოდება. იმერელნი სამასპინძლოს "ხადილს" ამის გამო უხმობენო. სიტყვა ხადილი ვაშაფშაველასაც აქვს პოემაში "გოგოთურ და აფშინა" — "ნუ მოგვიშალოს უფალმან ძმობა და ერთად ხადილი", — რაც, ცხადია, წვეულებასა და ლხინს ნიშნავს).

თითქმის იგივე გამოთქმა აქვს ფირდაუსს შაჰ-ნამეში — და თუ ლაშქარი წინააღმდეგობას გამიწევს, მე ბრძოლაზე უარს არ ვიტყვი და მოვიწვევ ძერათ ჟლეტის ნადიმზეო. (წიგ. 2. გვ. 579). და დაბოლოს ნესტანი მიუწერს ტარიელს —

შენთვის მოვკვდები, გავხდები ყორანთა დასაყირავად! (1308).

≈≈

შედარება "ყორნის ბოლო" გამოყენებულია აგრეთვე აბდულ-მესიაში, 100,3 —

ვარდზე გაშლილო  
ყორნისა ბოლო...

## ბ). ყვავი

სახელი ყვავი ვტნში იხმარება შედარებისათვის. ავთანდილმა —

თქვა: "ყვავი ვარდსა რას აქნევს, ანუ რა მისი ფერია (1090),

ანუ: ყვავს ვარდი რად უნდა, რა მისი შესაფერია. ყვავი აქ არის ფატმანი. ვარდი კი თვითონ ავთანდილი. ფატმანი თავის ქმარს ყვავს ადარებს —

მართლად თქმულა: "არა ჰმართებს ყვავსა ვარდი, ვირსა რქანი (1166).

ავთანდილიც ადარებს თავის თავს ყვავს, როდესაც იგი ფატმანთან სარეცელს იზიარებს —

უმისოდ ნეხვთა ზედა ვზი ბულბული მსგავსად ყვავისად (1253).

და ფატმანზეც ნათქვამია —

თუ ყვავი ვარდსა იშოვნის, თავი ბულბული ჰგონია (1254).

ყვავი აქ ყველგან დახატულია ვით უმნო და საზარელი ფრინველი.

### გ). ბულბული

სიტყვა ბულბული სპარსულია. ახალ სპარსულზე მისი სახელია — ბოლბოლ. ს. ს. ორბელიანი ამ სახელს ასე განმარტავს — ამ მგოსან ფრინველს პირველად ბულბული ეწოდება, მკათათვეში — ნიბლია, და ანწლის დროს — ყარანა. მგონია, ბულბული და იადონი სხვადასხვა მომღერალი ფრინველია-ო.

ბულბული ყველგან საყვარელ მგალობელ ფრინველად ითვლება. იგი მომღერალია ვარდისა, საერთოდ: სიყვარულის სიმბოლო.

ვტნშიც ბულბული მხოლოდ სიყვარულის ნიშნად არის დახატული. —

აქვს მიჯნურობა ამისა, ვითა ბულბულსა ვარდისა (82),

ვარდი ხარ, მიკვირს, ბულბულნი რად არა შენზედ კრფებიან (1086),

მაგრა მას ზედა ბულბულსა ჯეროთ ტკბილად არ უმღერია (1090),

თუ ყვავი ვარდსა იშოვნის, თავი ბულბული ჰგონია (1254).

მაგრა მას ზედა ბულბულნი ტურფასა ხმასა ჰყვიან (1347) და სხვა. ნესტანის ტირილი კი ბულბულის ხმასთანაა შედარებული —

ქალი საბრალოდ მამასა სტირს, ბულბულისა მსგავსია (1590).

და ავთანდილის ხმის შესახებ ნათქვამია —

მისსა ხმასა თანა ხმაცა ბულბულისა ჰგვანდის ბუსა (966).

### დ). ბუ

ბუ სპარსული სიტყვაა. ქართულად ჭოტი ჰქვიანო, — იგია შემზარავი ხმის პატრონი და მისი კვილი ეზოში უბედურების მომტანია. ავთანდილის ხმასთან შედარებით, ბულბულის ხმაც კი ბუს ხმას ედრება! ბუ დასახელებულია მხოლოდ ზემოდ მოტანილ ლექსში.

### ე). გავაზი

სახელი გავაზი წარმომდგარია არაბული სიტყვისაგან: ღავზაზ, რაც არის მრავლობითი რიცხვი არაბული სიტყვისა: ბაზ. ასეთია ი. აბულადის განმარტება (შაჰნამეს ქართ. ვერ.). ს. კაკაბაძის ახსნით: ბაზი არის სპარსული სიტყვა და ქართული მისი შესატყვისია: შევარდენი.

გავაზი ვტნში დასახელებულია მხოლოდ ერთჯერ, როდესაც ავთანდილზე ნათქვამია —

ვითა გავაზი გაფრინდა, არ გაშვებული ხეზითა (214),  
ანუ: ვით შევარდენი გაფრინდა (ცხენის ჭენებით). შევარდენს მობმული ჰქონდა წვრილი და გრძელი მკედიო. (მკედს უსხოთა და გრძელთა ეწოდების ხეზი. ს. ს. ორბ.).

### ვ). კაკაბი

კაკაბი ერთგვარი ქათამია ტყისა.<sup>294.</sup> ვტნში ორჯერ მოხსენებული, შედარებისათვის —

ყმა გარდიჭრა, დააბა, ვითა კაკაბი მახესა (231)

ვითა კაკაბი არწივსა ქვეშე, მიდამო ძრწებოდა (232).

### ზ). არწივი და ორბი

არწივი, მეფე ფრინველთა ვტნში დასახელებულია ორჯერ —

ვითა კაკაბი, არწივსა ქვეშე, მიდამო ძრწებოდა (232),

გახდეს ფრინველნი უმეფოდ, არწივსა მოსტყდეს ფრთენია (1610).

ორბი კი მოხსენებულია მხოლოდ ერთჯერ —

მათ ლაშქართა ყოლბსა შუა ორბი სითმე გადმოფრინდა (980).

რა არის ეს არწივი და რა არის ეს ორბი?

≈≈

საერთოდ ცნობილია, — ამბობს საფრანგეთის ინსტიტუტის წევრი სოლომონ რეინაკ, —<sup>297.</sup> რომ ბერძნული ტადარის ფრონტონს ჰქვია აეტოს, აეტომა, ანუ არწივი, ვინაიდან ეს ფრონტონი ფრთებ გაშლილ არწივის სურათსა ჰგავსო. მაგრამ მარტო ამ მსგავსებით არ აიხსნება ამ სახელისა ”აეტოს” = არწივი ხმარება. პირველად ამ არწივის შესახებ ლაპარაკობს ქსენოფონეს კორინთელი, გამარჯვებული პოეტი 464 წლის ოლიმპიადაზე — ვინ დასვა ღმერთთა ტადარზე ორმაგი მეფე ფრინველთა? — ეს ორმაგი მეფე ფრინველთა არის ორი არწივი, ტადარზე გამოხატული. ეს ჩვეულება

ტადრის გაშვებისა არწივის სახით დაწყებული უნდა იყოს მეშვიდე საუკუნეში ქრისტეს წინ. პინდარი იხსენიებს ამ ორმაგ არწივს და იგია არა თვით არწივი, არამედ მისი სურათი. პლინიუსი გადმოგვცემს ცნობას, სიკონელმა ბუდატ-მა გამოიგონა მიწისაგან სახეთა კეთება და ამ სახეებს ტადარზე დგამდნენო.

თიხისაგან არწივის ტანის გაკეთება და მისი დადგმა ტადარზე უბრალო ხელოვნებით არ აიხსნებაო, — ამბობს რეინაკ, — ისე როგორც უბრალო ხელოვნებითი მიზნებით არაა გამოწვეული ქრისტიანულ ტადართა ქანდაკებებით შემკობა. ამ მოვლენას თავისი გრძელი ისტორია აქვს.

ჯერ კიდევ ეგვიპტეში ტადარზე აკეთებდნენ ფრთიან გლობუსს, ანუ მზის დისკოს, რომელსაც არწივის ორი დიდი ფრთა ჰქონდა შემოკრული. მე-12 დინასტიის ხანაში "ურაეუს"-ი ჯერ კიდევ არ არსებობს და არწივის ფრთები ჩამომვებულია დისკოს ორივე მხარეზე. ეგვიპტეში არწივი მზესთან იყო გაიგივებული და მზე გამოხატული იყო არწივის სახით. დისკოსი (მრგვალი დაფა) იყო მზის გამოხატულება, ხოლო არწივი — მზის შეუწყვეტელ ფრენას წარმოადგენდა. მე-12 დინასტიიდან ამ ორ სიმბოლოს დაემატა მესამეც — ურაეუს, და ამგვარად შეიქმნა მზის სიმბოლური სამება.

როგორც ეგვიპტეში, ისე საბერძნეთშიც მზის გამოხატვა და არწივის ხატი იხმარებოდა ტადართა ზემო ნაწილის, ან კარების გასამშვენებლად. ეს ჩვეულება, — ამბობს რეინაკ, — რომლის მიხედვით, კარზე აკრავენ, ან ხატავენ, ან აჩუქურთმებენ ფრინველთ, ევროპაში დღესაც არსებობს და ამას თავისი რელიგიური მნიშვნელობა აქვს.

ამ ცნობას უნდა დავუმატო ის ამბავიც, რომ ქართულ ტადართ არ აკლიათ არწივის გამოხატულება. საქართველოში არწივის ქანდაკება დადგმულია ხახულის მონასტერის (მე-9 — 10 საუკ.) სარკმელზე გარედან. აქ დიდი არწივი ფრთა გაშლილად არის წარმოდგენილი, ქვისაგან გამოქანდაკებული.

(ეს ხახულის მონასტერი ამ ჟამად, 1957 წ., თურქეთის საზღვრებშია მოქცეული).

≈≈

არწივი არის არა მარტო ფრინველთა მეფე; იგია არა მარტო მეფური ფრინველი, არამედ ღვთიური ფრინველიც. <sup>297</sup> ძველებური ხალხური რწმენა არწივს მიაწერს გონიერებას, ძლიერებას და ადამიანისადმი კეთილ განწყობილებას, რაც ღმერთ - ფრინველს ახასიათებს. ამ ღმერთმა ფრინველმა დროთა განმავლობაში თავისი უშუალო ღმერთობის ღირსება დაჰკარგა, მაგრამ იგი დარჩა მაინც ღვთიურ ფრინველად.

ბერძნული უზენაესი ღმერთის — ზევესი — წმიდა ფრინველი არის არწივი. წინად კი არწივი, როგორც ვთქვი, თვითონ იყო ღმერთი და ამ ღმერთისაგან წარმოშობილად ითვლებიან მეფენი: ბაბილონში (გილგამეში), სპარსეთში (აეხემენეს), ლიდიაში და ფრიგიაში (ტანტალეს და გორგიოს), ატიკაში (პერიფას), კოსოსში (მეროპს) და რომში, სადაც არწივი რომაული წმიდა ფრინველი იყო, — იმპერატორთა პატრონი.



არწივი იყო მფარველი ეგვიპტურ პტოლემეოსის სამეფო გვარისა; არწივი დაჯდა იმ სახლზე, სადაც ალექსანდრე მაკედონელი იბადებოდა; პირრუსი თავის ფარზე არწივის გამოსახულებას ატარებდა; და ალექსანდრე მაკედონელის შემდეგ, ზოგი ბერძენი მეფე არწივის სახელს ირქმევდა: "აეტოს", და თვით პირრუსსაც "არწივი" = აეტოს ერქვა. რასაკვირველია, იმ ხანად არწივი უკვე ღმერთი აღარ იყო. და თუ რომაელ მოლაშქრეთ, რომელნც არწივის-სახიან დროშას ატარებდნენ, შეიძლება კიდევ რწამდათ არწივის ღმერთობა, ასევე აღარ იყო განათლებულ წრეებში, მაგრამ რომში დარჩა წესი — კონსეკრაციო —, რომლის აღსრულების დროს კოცონზე მფრინავი არწივი იმპერატორის სულის სიმბოლო იყო, ხოლო უბრალო ხალხისათვის იგი თვით გაღმერთებულ არწივს წარმოადგენდა, რომელი მზისაკენ მიფრინავსო. ძველი ბერძენი მგოსნები ამბობდნენ, არწივია ერთად ერთი ფრინველი, რომელი ცაში ცხოვრობსო. არწივი იყო ზევესის მხლებელი და მისი ციდან ჩამოფრენა მხუილით ელვის ქროლას ემსგავსებაო. ამიტომ არის, არწივს კლანჭებში ელვის გამოსახულება უჭირავს, რომელიც ზევესის ელვაა. მაგრამ ვინაიდან ციურ სხეულთა შორის ყველაზე უფრო მზეა გამოჩინებული, ამიტომ მზესა და არწივს შორის მჭიდრო კავშირი დამყარდა. მთელს აღმოსავლეთში არწივი მზე-ღმერთთანაა დაკავშირებული და რომში არწივის ერთ ქანდაკებას, რომელიც მზე-ღმერთისადმი მიძღვნილი იყო, ეწერა — აკვილამ სოლი ალაგაბალო იულუს ბალბილუს...

ყველგან და საბერძნეთშიც არწივი მზის შვილად ითვლებოდა. მხოლოდ არწივს შეუძლია მზეს თვალები გაუჩეროს და მას პირდაპირ შეხედოს; იგია ერთად ერთი ფრინველი, რომელს ძალ უძს მზეს მიუახლოვდეს. არც ერთი ბერძნულ-რომაული ნაწერი არ არსებობს, თითქო არწივი მზეზე ადიოდეს, მაგრამ ამას მოგვითხრობს ინდური "ვედა"-ს გალობა — სომა, ციური ტკბილი სასმელი, არწივმა ჩამოიტანაო. კუჰნის აზრით, სომას ჩამომტანი არწივი არის იგივე ღმერთი "ინდრა". არწივს ჩამოაქვს მზიდან სომა და იგი არის თვითონ "აგნი". ცეცხლი (აგნი), რომელიც ელვის, თუ მეხის სახით ძირს ვარდება, არის მიზეზი ტკბილი სასმელისა — "სომა" —, რომელიც არის წვიმა. ამ მითოსის არწივი ცეცხლის ციდან ჩამომტანიც არის "პირფოროს". აესხილოსი ზევესის არწივს "პირფოროს"-ს, ანუ ცეცხლის ჩამომტან არწივს უწოდებს. ამგვარად, არწივი გარდაიქვა ადამიანისათვის კეთილის მომქმედ ფრინველად, რომელმა ცეცხლი მზისა მიწას ჩამოუტანა. და ამიტომაც იგი არის გამარჯვების სიმბოლო, სარდალი ლაშქართა და სხვ.

პრომეთეოსმაც ხომ იგივე კეთილი საქმე ჰქმნა და ციდან ცეცხლი მოიტაცა, იგი კაცს მიუტანა! ამგვარად, — ფიქრობს რეინაკ, — არწივი არის იგივე პრომეთეოსი, რომელიც შემდეგში კაცად გახდა ალბათ, რადგან თქმულების მიხედვით, იგი უკვე არწივი აღარ არის. <sup>297</sup>. წიგნი 3.

≈≈

ღმერთ-არწივს სხვა და სხვა სახით ვეცნობით. არაბულ ქვეყნებში იგი არის "ანკა"; საბერძნეთში — "ფოენიკს", არსებობს კიდევ "ფასკუნჯი", "გრიფფონი" და სხვა ამგვარი.

ყველა ამტკიცებს, — ნათქვამია ერთ იტალიურ ლექსში, იგი არსებობსო, მაგრამ არავის შეუძლია თქვას, სად არის იგი ფენიქსიო. <sup>297</sup>. წიგნი 3.

ინდურ "ავესტა"-ში მოხსენებულია ფრინველი-ფრთა, რომელი ვერეთრადნას დახმარებას აღმოუჩენს; მზის ფრინველს ინდოეთში ერქვა "გარუდა".<sup>290</sup> გვ. 210. ძველ ეგვიპტეში ასეთი ზღაპრული ფრინველი იყო "ბენუ", ანუ: "ბენნუ", რომლის შესახებ პირველად ჰეროდოტესი ლაპარაკობს (წ. 2; თავი 3). — არასოდეს იგი სინამდვილეში არ მინახავს, მაგრამ ეგვიპტელები ამბობენ, მას აქვს მოოქრული ფრთები და არწივსა ჰგავსო. იგი იყო ეგვიპტელთათვის წმიდა ფრინველი მზისა. მათ სჯეროდათ, იგი არაბული, ასირული, ან ინდური ფრინველიაო. სწორედ ამ ფრინველს ეძახდნენ ბერძნები "ფოენიკს" (ფენიქს), — იგი იყო მზის წმიდა ფრინველი, და საერთო რწმენით, რომელიც შუა საუკუნეთა მანძილზე გავრცელებული იყო, აღწერილობით ასე წარმოედგინათ —

იგია დიდი ფრინველი, ბევრი ბუმბულით; აქვს ტკბილი ხმა; არის მხოლოდ მამალი; დედალი არ არსებობს; ცოცხლობს 12.954 წელიწადს, ხოლო ჩვეულებრივი რწმენით: 500 წლამდეო. როდესაც მას სიკვდილი მიუახლოვდება, იგი შტოებისაგან ბუდეს აკეთებს, რომელსაც ცეცხლს წაუკიდებს და მასთან ერთად დაიწვება; შემდეგ ამ ფერფლისაგან იზადება ახალი ფენიქსი. ეს ახლად დაბადებული ფენიქსი ბარტყი, როდესაც მოლონიერდება, მიატოვებს თავის ბუდეს და მიფრინავს ეგვიპტეს ქალაქ ჰელიოპოლისს, სადაც მზის ტამარის საკურთხეველზე თავისი მამის გადარჩენილ ძვლებს, ან ფერფლს სტოვებს, რომელიც თან მას მიაქვსო და სხვა. მრავალი სხვადასხვაობაა ამ ზღაპრის გადმოცემაში. პლინიუსი მას მზის ფრინველს უწოდებს. ჰორაპოლოსი და ტაციტუსი-ც მას მზის ფრინველად სთვლიან. ამასთან დაკავშირებით, ბერძნულად "ფოენიკსი" ჰქვია აგრეთვე ხეს პალმას, რომელიც აგრეთვე მზის სიმბოლოა. ხოლო ა. ვიიდენმანმა დაამტკიცა, რომ "ფოენიკსი" და ეგვიპტური "ბენნუ" ერთი და იგივე ზღაპრული ფრინველია, გამოსახულება მზე-ღმერთისა "რაპ"-სული, დილის მზის სიმბოლო, მამასადამე, მკვდრეთით აღდგომის გამოხატვაო.<sup>298</sup>

≈≈

მაზდეანობაში ფრინველი "საენა", ფეჰლევურ ენაზე "სიმრუ" და ახალი სპარსულის "სიმურგ" და "ვარადნა" — მზის სიმბოლო ფრინველია. საერთოდო, — ამბობს პროფ. ანრი, — არწივი, შევარდენი და სხვა ამგვარი ფრინველი უხსოვარი ხანიდან არიან უდიდებულესნი და ღვთიურნი, რადგან ისინი მზეს გამოხატავენ, ან ელვას, რომელი მხუილით სწრაფად ძირს ვარდებო.<sup>299</sup>

ფირდაუსის "მეფეთა წიგნ"-ში (შაჰ-ნამე) "სიმურგს" დიდი მნიშვნელობა მიეწერება; იგი არის "სამი"-სა და "ზალი"-ს, შემდეგ: რუსტემის პატრონი-მფარველი. (შაჰნამეს ფრანგული თარგმანი, წიგნი 1. გვ. 278). და ეს სიმურგი ათასერთი ღამის ზღაპრის ფრინველს "როკ" უდრის.<sup>300</sup>

ბიბლიაში გვხვდება ფრინველი "შოლ" (იოზი 29,18), რომელიც, ბევრი მკვლევარის აზრით, ფენიქსი არის.<sup>301</sup>

≈≈

ქართულ ბიბლიაში ჩვენ გვაქვს ორი სიტყვა — 1. არწივი და 2. ორბი. ეს სიტყვა ევროპიულ ენათა ბიბლიებში ითარგმნება ერთი სიტყვით — არწივი. —

**ლევიტელთა 11,13** და არა შჭამოთ, რამეთუ საძაგელ არს ორბი და ყანჩი

**ლევიტელთა 19,4** და აღვისხე თქვენ ვითარცა ორბმან ფრთეთა ზედა, და მოგიყვანენ თქვენ თავისა ჩემისა

**იოზი 39,28** ხოლო ბრძანებითა შენითა თუ ამაღლდების ორბი

**იგავნი 23,5** რამეთუ შეემზადა მას ფრთენი მისნი ვითარცა ორბსა

**იგავნი 30,17** რათა შეეჭამნეს იგინი მართვეთა ორბისათა

**იგავნი 30,19** კვალი ორბისა ფრინველისა ჰაერსა ზედა

**ესაია 49,21** ფრთე ცნებულ იქმნენ ვითარცა არწივნი

**იერემია 4,13** უსუბუქესი არწივთასა ცხენნი მათნი

**იერემია 48,40** ვითარცა არწივმან მიიმართოს

**იერემია 49,16** ვითარცა არწივმან ბუდებნი მიერ გარდმოეგდებენ

**იერემია 49,22** აჰა ვითარცა არწივი აღვიდეს

**ეზეკიელი 1,1** პირი არწივისა და სხვა და სხვა.

უკვე მოგახსენეთ, ძველი აღთქმის ”არწივი” და ”ორბი” ქართული თარგმანისა ევროპიულ ბიბლიებში გადმოცემულია სიტყვით: ”არწივი”. იგივე ვითარებაა ახალ აღთქმა-შიც —

**ლუკა 17,37** სადა ხორცი მუნცა ორბები შეჰკრბეს

**მათე 24,28** რამეთუ სადა იყოს მძორი, მუნცა შეჰკრბეს ორბები.

ევროპიულ ბიბლიებში ყველგან არის აქ ”არწივი”; რუსულ ბიბლიაშიც — ”ორიოლ”. ქართული ბიბლიის მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ ”ორბი” და ”არწივი” სხვა და სხვა ფრინველი არის. ნუ თუ ევროპიულ ბიბლიებში, თუ არწივი და ორბი სხვა და სხვა ფრინველია, ორბს საკუთარი სახელი ვერ მოუძებნეს?

სულხან საბა ორბელიანს ყურადღება მიუქცევია ფსალმუნის ერთი ადგილის თარგმანისათვის —

**ფსალმუნი 103,5** რომელმან აღავსო კეთილითა მიერ გულის თქმა შენი, განახლდეს ვითარცა ორბისა სიჭაბუკე შენი...

ამ თარგმანის შესახებ ს. ს. ორბელიანი ამბობს: ორბი (ლევიტ. 11,15), რომელი ფრინველი ჰასაკითა (ტანითა) დიდ არიან, ადვილ აღმავალ ჰაერთა სიმაღლესა. ყოველივე მძორთა მჭამელთა ეწოდების, ხოლო ფსალმუნისა თარგმანი არა ორბისა განახლებასა იტყვის, არამედ ასწივისასა (არწივისასა), რომელი არს ბოლო თეთრი და წყლის პირს მეზუდობს თევზის ჭამისათვის (102, 5 ფსალ.). (+ ხოლო ნემესიოს ყოელთა ჭანგიანთა და ხორცთა მჭამელთა იტყვის ორბად-ო).

მაშასადამე, ს. ს. ორბელიანის აზრით, არწივი სხვაა და ორბი სხვა; ან ნემესიოსის აზრით, ორბი არის ყველა ჭანგიანი და ხორცმჭამელი ფრინველი.

საინტერესოა, ფიზიოლოგოს-ში (თავი 9), რომელი ქართულად ნათარგმნია მეათე საუკუნეზე ადრე, არწივის შესახებ შემდეგია ნათქვამი: როცა იგი ბერდება, ფრთები უმძიმდება და თვალთ სინათლე აკლდება; მაშინ იგი ეძებს წყაროს და მიფრინავს ეთერში მზისაკენ, ამ წყაროს პირდაპირ; მზე სწვავს მის ფრთებს და თვალთ, მაგრამ იგი ჩაეშვება წყაროში, იბანავებს სამჯერ და ჭაბუკდება-ო.

მაშასადამე, "ფიზიოლოგოს"-ში არწივი არის ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი ფენიქსი.

≈≈

ორბს ვხვდებით აგრეთვე ქართულ სასულიერო მწერლობაში. ერთ გალობაში ვარძიის ღმრთის - მშობელისადმი ნათქვამია — ორბებ განახლდ სიჭაბუკე სულისა... აქ ორბი არის ფენიქსი...

იგივე მოვლენას ვხედავთ "ქართლის ცხოვრება"-ში. ზაქარია ჭიჭინაძის გამოცემაში დასახელებულია არწივი, ხოლო იმავე ადგილზე მარიამ დედოფალის ვარიანტისა არის არწივის ნაცვლად: ორბი. (გვ. 60).

ამგვარად, ყველა ამ ცნობის მიხედვით, არწივი არის ორბი; არწივი არის ფენიქსი; ორბი არის არწივი. ორბი არის ფენიქსი. აქედან, ამკარაა, ქართული ბიბლიის ის ადგილები, სადაც ორბი არწივის ნაცვლად, ან არწივი ორბის მაგიერ არის დასახელებული, სწორი თარგმანი არაა, ან შერყვნილი არის. ამის მიხედვით შეიძლებაოდა, მგონია, გამორკვევა იმისა, თუ რომელი ენიდან არის თარგმნილი ბიბლიის ეს წიგნები. მიზნად არა მქონია ეს საკითხი გამომერკვია, ოღონდ გზაში შემხვდა იგი. იქნებ ეს არევიდარევა თარგმანისა იმითაა გამოწვეული, რომ სიტყვა "ორბი", როგორც ამბობს იუს. აბულაძე, სომხური სიტყვაა და ნიშნავს: მცირე არწივს, როგორც ძერას... საკითხი მაინც გამოურკვეველი რჩება.

≈≈

ბიბლიის ენციკლოპედია არწივის შესახებ შემდეგ ცნობას გვაწვდის — "არწივი", ანუ "გიპს ფულვუს" ბიბლიაში არის დიდი მტაცებელი, "გრიფფონი", და იგი არ არის

ნამდვილი არწივი, არამედ მხოლოდ წევრი მტაცებელთა (ვულტურიდაე) ოჯახისა. გრიფფონი ახლაც გავრცელებულია პალესტინაში, და მისი სახელი ხშირად იხმარება ბიბლიაში; ბერძნული სიტყვა "აეტოს" (არწივი) შეიძლება ხმარებულ იქმნას ამ გრიფფონისათვის. ქრისტიანული და ეგვიპტური სახელი "ფენიქსი" ბიბლიაში მოსჩანს ვით არწივი და იგი გადაიქცა აღდგომის სიმბოლოდ. არწივი გახდა ევანგელისტ იოანეს სიმბოლოდ-ო.<sup>302</sup>

მაშასადამე, ბიბლიის "გრიფფონი" ევროპიულ ენებზე, ბერძნულის გზით, გადაითარგმნა სახელით "არწივი". იმავე მოვლენას ვხედავთ ქართულ ბიბლიაშიც, სადაც "არწივი" თავის ადგილზეა მოხსენებული. ხოლო სადაც ორბი არის, იქ ან არწივი უნდა იყოს, ან მართლა სომხური "ორბი".

≈≈

ვეფხისტყაოსანში, როგორც ამ თავის დასაწყისში აღვნიშნე, არწივი ორჯერაა დასახელებული: პირველად ვით მტაცებელი ფრინველი, შედარებისათვის, როდესაც ავთანდილი ასმათს დაიჭერს —

ვითა კაკაბი არწივსა ქვეშე, მიდამო ძრწებოდა (223),  
და მეორედ, როდესაც ტარიელს რამაზ მეფე ეუბნება, შენ წახველ, დაიკარგე, და —

გახდეს ფრინველნი უმეფოდ, არწივსა მოსტყდეს ფრთანია (1610).

აქ არწივი არის ფრინველთა მეფე; ტარიელი არის არწივი; მეფე კაცთა. ეს შედარება მეფისა არწივთან, როგორც გავიგეთ, თავისი წარმოშობით ძალიან ძველია და მომდინარეობს არწივის ღმერთობის ხანიდან.

≈≈

როდესაც ავთანდილი ფრიდონის სამეფოში შევიდა, მან დაინახა მონადირე ლაშქარი, მიაშურა მას, მაგრამ სწორედ ამ დროს —

მათ ლაშქართა ყოლბსა შუა ორბი სითმე გარდმოფრინდა;  
ყმამან ცხენი შეუტივა, გაამაყდა, არ შეშინდა,  
შესტყორცნა და ჩამოაგდო, დაეცა და სისხლი სდინდა,  
გარდახდა და ფრთენი დასჭრნა, წყნადად შეჯდა, არ აქშინდა (980),

ანუ: ლაშქარის წრის შუა (ყოლბი — კაცნი გარ შემორიგებულნი. ს. ს. ორბ.) ჰაერში საიდლანაც ორბი გადმოფრინდა; ყმა ავთანდილი ცხენით გაეშურა დასამიზნებელად და შეუტია მას; იგი იყო ამაყი და არ შეშინდა, ესე იგი, მას არ შეეშინდა იმისა, რომ ორბს ისარს ვერ მოარტყამდა, და მას ისარი შესტყორცნა; ორბი ჩამოაგდო; იგი დაეცა სისხლის დენით; ავთანდილი გარდახდა ცხენზე, ჩამოვიდა, ორბს ფრთები დასჭრა და ისევ ცხენზე შეჯდა, წყნარად, აუჩქარებელად, არ აქშინდა.

ჩემი მოწაფეობის დროს ეს ლექსი ძალიან მაკვირვებდა: რად უნდოდა ავთანდილს ორბის ფრთები და რატომ დასჭრა მას ფრთები? ვერავინ ვერ ამიხსნა, ვერც ჩემმა მასწავლებლებმა.

თურმე საკითხი იოლი ასახსნელი იყო... ბიბლიის ენციკლოპედიაში "არწივის" შესახებ ვკითხულობთ: — არწივის ფრთებს ძველად ატარებდნენ დროშაზე; გმირები არწივის ფრთებით იმშვენებდნენ ფარს, ჯავშანს, მხრებსაცო. <sup>303</sup>.

და მართლაც, ამის დადასტურებას ჩვენ ფირდაუსის შაჰ-ნამე-შიც ვპოვულობთ. აქ ბიჟანმა ჩაიცვა ძვირფასი სამოსელი და თავის გვირგვინში ჩაარჭო არწივის ფრთები (წიგნი 3. გვ. 309, ფრანგული თარგმანისა). მეფე ლოჰრასპის ვაჟი გუმტასპი როდესაც მარტოდ გაემგზავრა რუმისაკენ, მაშინ ჩაიცვა მან სტავრის სამოსელი და ჩაარჭო თავის გვირგვინში არწივის ფრთა (წიგნი 4. გვ. 289).

ეს არის ერთი განმარტება, თუ ავთანდილს ორბის, ანუ არწივის ფრთები რად სჭირდებოდა...

ოღონდ შაჰ-ნამეში მეორე განმარტებაც გვაქვს. სწორი ფრენისათვის ისარს არწივის ფრთას უკეთებდნენ — ბაჰრამ ჯუბინემ (ჩუბინე) ამოარჩია ჭადარის ხისაგან გაკეთებული ისარი, რომელზეც მოწყობილი იყო არწივის ოთხი ფრთა და გასტყორცნა... (მოლის ფრანგული თარგმანი, პარიზი, 1877 წ. გვ. 498). რუსტემმა აირჩია მძიმე ისარი..., რომლის წვერი იყო ბრწყინვალე ვითარცა ზვირთი; არწივის ოთხი ფრთით იყო იგი დასრულებული (იქვე, წიგნი 3, გვ. 120).

ან ამ. ჭელიძის თარგმანის მიხედვით —

ისარი იყო წყალისფერად ელვარე წვერით.  
ბოლოზე ჰქონდა ორბის ოთხი ფრთა მშვენიერი... <sup>240</sup>.

სპარსეთის პოეტი ფილოსოფოსი **ნასირ ე ხოსროვ** (1003 — 1060) თავის ლექსში "არწივი დაჭრილი", ლაპარაკობს ფრთიან ისარზე —

დიდებული და ამაყი არწივი მონადირის ისარმა ჩამოაგდო; გაკვირვებულმა (არწივმა) იხილა, რომ ხის ბოლოზე წამოცმულმა რკინამ შესწყვიტა მისი გაქანება ფიცხელი და მკვეთრი; და როცა კარგად დააცქერდა, მან დაინახა თავისი ფრთა. და მაშინ წამოიძახა: "რატომ ვჩივი მწარედ? ის, რამაც მე დამკოდა, მოსულა თვით ჩემგან"-ო, (ესე იგი: ისარზე არის არწივის ფრთაო!). <sup>95</sup>. გვ. 86.

არწივის ფრთიანი ისარი დასახელებულია აგრეთვე ვისრამიანში, როდესაც აღწერილია ვიროსა და მოაზადის ლაშქართა ბრძოლა — მებრძოლთა "შუა მოციქულად ქორაფისა ისრები არწივისა ფრთოსანი, პირ - ბასრნი მიდიოდეს და მოდიოდეს"ო. <sup>304</sup>.

პროფ. ე. ბარტელს ამბობს — ძველად არსებობდა რწმენა, რომ არწივის ჩამოგდება შესაძლებელია მხოლოდ იმ ისარით, რომელს ფრთად აქვს არწივის ფრთაო. <sup>80</sup>. გვ. 81. შენ. 195.

”სამეგრელოს აღწერა“-ში არქანჯელო ლამბერტი სწერს (1627 წელს) — აქ სამეგრელოში მუდამ დაინახავთ, რომ ჰაერში დაფრინავენ არწივები, რომელთაც მეგრელები ხშირად მახით იჭერენ. იჭერენ მხოლოდ იმისთვის, რომ არწივის ფრთა მიაბან ისარს. მეგრელების შვილდ-ისარი ბევრად დიდია ოსმალთა შვილდ-ისარზე და ასე დიდი ისრები რომ ჰაერში პირდაპირ წავიდეს, საჭიროა არწივის ფრთა მიაბანო. <sup>305</sup>.

თუ იუსტ. აბულაძის განმარტება სწორია, მაშინ ფრთიან ისარს თვით ვტნში ვხვდებით —

ცოტასა ხანსა ვარჩივე გაჭრა სმასა და მღერასა,  
პურად და საქმლად მივენდე ჩემსა მშვილდსა და ცერასა (166).

ი. აბულაძე ამ სიტყვას ”ცერა“ ასე განმარტავს: ცერმართალი ისარი, ე. ი. ისარი, რომელიც მიზანს არ ასცდება. ოთხფრთიანი და შორს მავალი ისარი. (ვტნის ლექსიკონი).

მაშასადამე, გასაგებია ავთანდილმა თუ ორბს, ანუ არწივს ფრთები რატომ დასჭრა. ეს ფრთები მას ისარისათვის სჭირდებოდა.

განსაცვიფრებელია ავთანდილის სროლა და ამიტომ მთელი ლაშქარი, როდესაც მისი ნასროლი ნახა, თვით სროლას თავს ანებებს და მას გარს შემოერთმება, ალყას მოშლის —

იგი რა ნახეს მესროლთა, სროლასა მოეშლებოდეს,  
ალყა დაშალეს, მოვიდეს, მოეხვეოდეს, ბნდებოდეს,  
იქით და აქათ უვლიდეს, ზოგნი უკანა ჰყვებოდეს,  
ვერცა ჰკადრებდეს: ”ვინ ხარო?“, ვერცა რას ეუბნებოდეს (981).

ამგვარად, აღნიშნული შაირით სამი მოვლენაა დახასიათებული: 1. ავთანდილი ვით კარგი მესროლი, 2. ორბის ფრთა — ისარის მოწყობილება, და 3. ორბის ფრთა ვით სამკაული და მეფობის ნიშანი. ავთანდილისათვის, მაშასადამე, ორბის ფრთა საჭირო იყო: ან ვით სამკაული, ან ვით ისარის მოწყობილება, ან ორივე ერთად.

### ფ). სირი . .

ს. ს. ორბელიანის განმარტებით ”სირი“ არის ჩიტის, ანუ წვრილი ფრინველი.

ტარიელი ამბობს —

ჭირად არ მიჩნდა ლომისა მოკვლა, მართ ვითა სირისა (320).

არ მეძნელებოდა ლომის მოკვლა ისე ვით წვრილი ფრინველისაო.

## თ). დურაჯი

პროფ. ი. აბულაძის განმარტებით, დურაჯი არის გარეული ფრინველი. მაგრამ რომელი, ამას იგი არ გვიხსნის, იქნებ იმიტომ, რომ იგი მას განმარტებული აქვს შაჰ-ნამე-ს ლექსიკონში (თბილისი, 1916 წ.) — დურაჯი: არაბულ - სპარსული დურაჯ, მფრინველია, ტყის ქათამივით სანადირო (გვ. 802).

მარჯორი ურდროპს ეს სახელი ნათარგმნი აქვს სიტყვით: "ვუუდ პატრიჯ" — ტყის მწყერი.

პროფ. ბარტელსი ამბობს — დურაჯი, ტურაჰ არის მთის მწყერიო.

რიჰარდ მეკელაინს დურაჯი ნათარგმნი აქვს თავის ქართულ-გერმანულ ლექსიკონში, სიტყვით — არტ რებჰუნ; ეს კი ლათინური სახელით არის — პერდიკს, ფრანგულ-ესპანური — პერდრიკს, პერდის, ინგლისური — პარტრიჯ.

ვტნში დურაჯი მოხსენებულია ნადირობის შემთხვევაში. ფარსადანმა და ტარიელმა ინადირეს და დახოცილი დურაჯნი ნესტანთან მიიტანეს —

დურაჯთა მითხრა მიტანად ქალისა (342),

ასმათს უბრძანა გამოხმა დურაჯთა ამირზარისა (343),

მოვიდა, მივსცნე დურაჯნი... (344),

დურაჯნი მივსცენ... (348).

შემდეგ კიდევ, ნადირობისას —

შეჯდა, ქორნი მიუტივნა, დურაჯები დაინაზა (367).

## ი). ქორი

ვტნში ქორი არის გაწრთვნილი მონადირე ფრინველი. ტარიელი ამბობს —

მოვინადირეთ მინდორი, ძირი მთისა და გორისა,  
იყო სიმრავლე ძაღლისა, შავარდნისა და ქორისა (477).

ფრიდონიც გვიამბობს —

დღეს გამოვე ნადირობას, ზღვისა პირსა ვინადირე,  
ქორის დევნა მომნდომოდა, მით მრეკელი არ ვახშირე (602).  
და სწორედ ამ დროს დაინაზა მან ნესტანის კიდობანი —

აქა ვდეგ და თვალს ვუგდებდი ქორსა, იქით განაფრენსა (623).  
როსტევან მეფეც ქორით ნადირობს —



მზესა ქორნი აზნელებდეს... (721).

ქორი გამოყენებულია ვტნში აგრეთვე პოეტური შედარებისათვისაც. ტარიელი ფრიდონის შესახებ ამბობს —

მართ ვითა ქორი მოქროდა გაფიცებული, მწყრომელი (594),  
და თავის თავზე ამბობს, ომშიო —

შიგან ასრე გავერივე გნოლის ჯოგსა ვითა ქორი (447).

ვაზირი როცა ავთანდილის გაპარვას ეწინააღმდეგება, ამას იგი ასე ასაბუთებს —

შენ წახვიდე, მტერნი ჩვენნი დაგვთამამდნენ, გაგვისწორდენ!  
ეგე აგრე არ იქმნების, ვითა ჩიტნი არ გაქორდენ (745)

ქართულ ვისრამიანშიც არის ასეთი თქმა — ოდესცა ჩიტი ქორად შეიქმნების, მაშინ რამინ ავსა ზნესა დააგდებს-ო.

ქორი მონადირე ბევრ ქვეყანაში იყო გავრცელებული და განსაკუთრებით საქართველოში.

#### ია). გნოლი

გნოლი, პროფ. აბულაძის განმარტებით, არის ტრედის გვარის მოსანადირებელი ფრინველი (შაჰ-ნამე-ს ლექსიკონი), გნოლზე ქორით ნადირობენო. მარჯორი უორდროპი სიტყვას "გნოლი" თარგმნის სიტყვით "გრეი პარტრიჯ" — რუხი მწყერი. ეს ეთანხმება რ. ერისთავის ახსნას: — გნოლ არის რუხი მწყერი, კუროპატკა სერაია.

ვტნში გნოლი მოხსენებულია მხოლოდ ერთჯერ, როდესაც ტარიელი ამბობს —

შიგან ასრე გავერივე გნოლის ჯოგსა, ვითა ქორი (447).

#### იბ). ჩიტი

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, ჩიტი არის — წვრილი ფრინველი. და სწორედ ამ აზრითაა ეს სიტყვა ვტნში გამოყენებული —

ეგე აგრე არ იქმნების, ვითა ჩიტნი არ გაქორდენ (745).

#### იგ). შავარდენი

შავარდენი, ანუ შევარდენი, ფალკე, ფალკონ დიდად გავრცელებული სანადიროდ მოშინაურებული ფრინველია მთელს აღმოსავლეთში და ევროპაში. საქართველოში შავარდენი თუ რა პატივში იყო, ვხედავთ თუნდ იქედან, რომ ქართულ ფულზე

შავარდენის ხატსა ვხედავთ. გიორგი მესამის (1156 — 1184) წესიერი ჭედის მონეტაზე, ავერსით გამოსახულია გიორგი მეფე; იგი ზის ფეხმოფრთხილი, სამეფო სამოსელში გამოწყობილი, გვირგვინით თავზე; მარჯვენა (ზოგ ფულზე: მარცხენა) ხელით დოინჯ-შემოყრილი და მარცხენა (ზოგზე: მარჯვენა) ხელი გაწვდილი აქვს და ზედ შავარდენი უზის. გარშემო წარწერაა მხედრულითა და ასომთავრულით: "გიორგი" და ქორონიკონად უზის 394 (1174 წელი).

არქანჯელო ლამბერტი თავის სამეგრელოს აღწერაში (1654 წ.) ამბობს: — აქ, სამეგრელოში მეტად კარგი შავარდენები იცის. მათ შორის გამოერევა თეთრი ფერის; იგი საუკეთესოდ მიაჩნიათ. შავარდენის ყოლა შეუძლია მხოლოდ თავადს, და ქორისა კი — ყველასო. ქორით ადვილად იჭერენ ხოხობსა და იხვსო. <sup>305</sup> გვ. 78. და შემდეგ ამბობს — როცა მწყერობის დრო მოახლოვდება, ყველა იძენს მიმინოს, ისე რომ ვერც ერთ მეგრელს, ვერც დიდსა და ვერც პატარას ვერ ნახავთ, რომ ხელზე თავისი მიმინო არ უჯდესო. (იქვე).

ვტნში შავარდენი მონადირე ფრინველია —

შავარდენითა სავსე იყო სრულად არე დარბაზისა (474),

იყო სიმრავლე ძაღლისა, შავარდენისა და ქორისა (477).

ფრიდონი თავის ცხენს ზღვაში იხვს ადარებს და ხმელეთზე — შავარდენს —

ზღვათა შიგან იხვსა ჰგვანდა, ხმელთა ზედან შავარდენსა (623).

#### იდ). იხვი

იხვი, რასაკვირველია, გარეული იხვი ნახსენებია მხოლოდ ერთჯერ, ცხენთან შედარებისათვის ცურობისა გამო, ზემოდ მოტანილ ლექსში. (623).

#### იე). ბატი

ს. ს. ორბელიანი ამბობს — "ბატი" სომხურია, ქართულად "დერღეტი" (დერღედი) ჰქვიანო. ჩვენი დიდი ლექსიკოგრაფოსი სცდება. "ბატი" არაბული და სპარსული სიტყვაა და იქიდან სომხურში და ქართულში შეხიზნული.

ვტნში "ბატი" გამოყენებულია შედარებისათვის. ფრიდონმა ტარიელსა და ავთანდილს უძღვნა —

ცხრა მარგალიტი სიდიდით მართ ვითა კვერცხი ბატისა (1465).

#### ივ). იადონი

იადონის შესახებ ს. ს. ორბელიანი შემდეგს გადმოგვცემს: — იადონი, აედონი. ბერძნულად ბულბულს უწოდენ და იმერელნი ბულბულსავე უწოდენ. ჩვენთა წერილთა შინა მინახავს: იადონი ზამთარ-ზაფხულ დაუცადებლად მოჭიჭინეაო.

ბულბული სამ თვე ოდენ სტვენს და დადუმდების. ფრანცას (საფრანგეთში) ერთი რიგი ჩიტი ვნახე ბულბულის ტოლი და თეთრ-მოყვითლო, ზამთარ და ზაფხულ მოუთმენლად ტკბილად მჭრინავი, მე ის მგონია; თქვენ გაარჩიეთ-ო.

იადონი არის ბერძნული სახელი კანარის და მადეირას კუნძულთა ფრინველისა, რომელიც ბულბულის შემდეგ განთქმული მომღერალია (სერინუს კანარიუს).

”იადონი” ვტნში გაიგივებულია ”ბულბულთან”, ასე რომ აქ იმერული სახელია გამოყენებული ბულბულისათვის. კანარის ჩიტი არ ითვლება ვარდის მეტრფედ და იგი ვარდისათვის სიყვარულით არაა დამწვარი, როგორც ბულბული. ვტნში კი იადონი სწორედ ვითარცა ბულბული ვარდთანაა დაკავშირებული. ტარიელი ავთანდილს ეუბნება —

გასაყრელად გემნელები, იადონსა ვითა ვარდი (666).  
აქ უეჭველად, იადონი არის ბულბული.  
ავთანდილიც ამბობს —

იადონი მაშინ მოკვდეს, ოდეს ვარდმან იდამჭნაროს (767).

აქაც იადონი არის ბულბული.  
ავთანდილი ვარდია და —

ფატმან მას ზედა იხარებს, მართ ვითა იადონია (1254).

აქაც იადონი არის ბულბული. ასე რომ ს. ს. ორბელიანის თქმა, იმერნი ბულბულს იადონს უწოდებენო, მართალია, — და ალბათ ვტნის ხანაში ბულბულს იადონსაც ეძახდნენ.

შემდეგ იადონი მოხსენებულია ვით მომღერალი და მგალობელი ჩიტი. ტარიელ და ავთანდილ გახარებულნი ქვაბს მიდიან და —

ორნივე ტურფად იმღერდეს, ვით იადონი მგოსანი (1355).

აქაც იადონი არის ბულბული, რადგან მგოსანად მხოლოდ ბულბული ითვლება.

## იზ). ტრედი

უკვე ჰომიროსი ახსენებს ტრედს სახელით — პელეაი, პელეიადსე, — როგორც ამბობს პროფ. ვ. ჰეპსონ, — მაგრამ არავითარი საბუთი არაა ვიფიქროთ, რომ ეს სახელი შინაურ ფრინველს ეხებაო. ტრედის დამახასიათებლად იგი ხმარობს სიტყვას: ”ტრედონ”, რაც ნიშნავს: ”მშიშარა”, ფრთხალი. <sup>268</sup>. არა მგონია, ქართული სახელი ”ტრედი” ამ სიტყვისაგან იყოს წარმოშობილი. ბერძნულად ტრედს ჰქვია ”პელეა”, ლათინურად — პალუმბუს; კოლუმბოს, კოლუმბა და ევროპიულ ენებზე: ”კოლომბ”. რუსულად — გოლუბ; სანსკრიტულად — კაპოტა; სპარსულად — კაპუტარ, კაბუდ; სომხურად — ახაუნი და სხვა. (იქვე).

ამტკიცებენ, ტრედის სამშობლო არისო მცირე აზია, სადაც იგი დიაც-ღმერთის (ბერძნული: აფროდიტეს) წმიდა ფრინველი იყო. მცირე აზიიდან (სირიიდან) ტრედი გადაიყვანეს და გააშენეს ბერძნებმა, შემდეგ რომაელებმა და მერმე იგი ყველგან დასავლეთში გავრცელდაო.

ტრედი მოხსენებულია ბიბლიაში, სადაც იგი სამსხვერპლოდაა განწესებული; წარღვნის შემდეგ კიდობანიდან ნოემ პირველად ტრედი გაუშვა. ქრისტიანულ შეხედულებაში ტრედმა საპატივო ადგილი დაიკავა და ამ ახალი რელიგიის მიმდევართა სულიერი განწყობლების სიმბოლოდ იქმნა აღიარებული. ნათლისღებისას ქრისტეზე სული წმიდა ტრედის სახით გადმოვიდა. ამიტომ ტრედი ითვლება წმიდა, სათნო, წრფელ და მართალ ფრინველად. ხალხში გავრცელებული შეხედულებით, ქრისტიანი გარდაცვალებულის სული ტრედის სახით მიფრინავს ზეცად. ყველა ამ რწმენის გამო ტრედი ხშირადაა გამოხატული ეკლესიებში და მრავალ წმიდანთა ცხოვრების ამბავში ტრედს განსაკუთრებული ადგილი უკავია. ამით აიხსნება ის მოვლენაც, რომ რომის პაპა მორწმუნეთ არა მარტო ვარდის, არამედ ტრედის სურათითაც აჯილდოებს.

მაჰმადიანებსაც უყვართ ტრედი, რადგან მათი რწმენით, ტრედი იყო ის ფრინველი, რომელი მაჰმადს ყურში ჩასჩურჩულებდა, თუ რა იხილა და გაიგონა მან. <sup>268</sup>. გვ. 351, 352.

ტრედი ითვლება სათნო, კეთილ, წყნარ ფრინველად და სწორედ ასეა იგი ვტნში დახასიათებული. როცა ნესტანი მელიქ-სურხავის სასახლეში მიიყვანეს, მან არავის ყურადღება არ მიაქცია, იყო მშვიდად, წყნარად, ბძენად და ამის გამო ამბობს მეფე სურხავი —

სხვაგან არის, სხვაგან ფრინავს, გონება უცს ვითა ტრედი (1184).

მეორედ მოხსენებულია ტრედი, უფრო სწორად, ტრედის კვერცხი. არაბთა მეფემ ტარიელსა და ნესტანს უძღვნა —

კვლა მარგალიტი ათასი, მართ ვითა კვერცხი ტრედისა (1558).

### იწ). კატა

კატის შესახებ იხილეთ განსაკუთრებული ნარკვევი, აქვე, წინ, გვერდი 219 – 221 (წიგნისა).

≈≈

## დანართი პირველი

### იულიუს ფირმიკუს მატერნუსის ლოცვა მნათობთადმი

წინამდებარე წიგნის მე-99 გვერდზე ჩემი მწუხარება გამოვთქვი იმის გამო, რომ იულიუს ფირმიკუს მატერნუსის (მე-4 საუკ.) ლოცვა მნათობთადმი ვერ მოვწახეთქე. ამ წიგნის აწყობისას კიდევ ერთჯერ ვცადე იგი მომეპოვებინა და ამ განზრახვით დრ. მარკოს ტულუმს (ბრძუსელში) მივმართე. მან კეთილ იმეობა და ეს მატერნუსის ლოცვა მომიძებნა. იგი აღმოჩნდა მატერნუსის ლათინურად დაბეჭდილ თხზულებაში, რომლის ფოტო-კოპიო გადმომიგზავნა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ. რომ მცოდნოდა, რომ მატერნუსის ეს ლოცვა არც ასტროლოგიურად და არც მხატვრულად დიდ არაფერს წარმოადგენდა, ამისათვის არც ჩემს მწუხარებას გამოვთქვამდი, და არც სხვას შევაწუხებდი. აი ეს ლოცვა —

≈≈

ო. მზეო! აღმატებულო და დიდებულო, რომელს გიჭირავს შუა მხარე ცისა, გონებაო და მთავრობავ მსოფლიოდას, თავო და დასაბამო ყოველთა არსებათა, რომელი მარადულ ჰყოფ შენი ნათელის ბრწყინვალე ბატონობით სხვათა ვარსკვლავთა ცეცხლს

და შენ, ო, მთვარე! რომელი მოთავსებული ხარ ცის უქვემორეს მხარეში და მზისაგან ყოველ თვიურად მიწყვი მონიჭებულ დიდებულ სხივთა ფენით, მარად ჟამს აფრქვევ სინათლეს წარმომშობ თესლთა მარადისობისათვის

და შენ სატურნუსო, რომელი იმყოფები ცის უუმაღლეს მწერვალზე, ხელმძღვანელობ ზოზინი სვლითა და მცონარე ღელვით შენი ვარსკვლავის ლაქას (! გაუგებარია)

და შენ, იუპიტერო! მცხოვრებო ტარპეიასეს კლდეთა, რომელი მოუღებენ ქვეყანასა და მიწათ შენი მარად მაცხოვარი და გულკეთილი დიდებულობით და ჰფლობ მეორე ბურთოს სამთავროს

და შენ, დიდო მარსო, მარად საშიშარო შენი წითელი საშინელებით; შენ, რომელი ბინადრობ ცის მესამე მხარეში

თქვენც აგრეთვე, მზის ერთგულნო მხლებელნო, მერკურიუს და ვენუს

ჰქმენით, რათა მეუფე უდიდესი კონსტანტინუს და მისნი მიწყვი გამარჯვებულნი ბენი, ჩვენნი ბატონნი და კეისარნი, თქვენი წყალობითა და სათნოყოფით, და უზენაესი ღმერთის დასტურით, იყვნენ დასაჩუქრებულნი მარად-ჟამი ხელმწიფობით; რათა მმართველობდენ აგრეთვე ჩვენთა შვილთაც და შვილიშვილთაც დაუსრულებელ საუკუნეთა გასწრივ; რათა ასცილდეს მათ ყოველი სიმწარე ბოროტისა და ავისა, და კაცთა მოდგმამ მიაღწიოს მშვიდობისა და მუდმივი ბედნიერების მადლთ

და ჩვენც, მოგვანიჭეთ კნინი წილი ნიჭისა, რათა გამხნეებულნი თქვენი მფარველობით, იოლად აღვასულოთ ის, რაც ლოლლიანოს აღვუთქვით, და რათა ყოველი, რომელი გვებოძა ბრძენთა ღვთიური დიდებულებისაგან, აზრთა ჭეშმარიტი მნიშვნელობით განვმარტოთ...<sup>308</sup>.

≈≈

## დანართი მეორე

ვეფხისტყაოსანის საკითხთა ძიების დროს გზა და გზა ისეთი საკითხიც გამოირკვა, რომელიც საერთო ჩემს გეგმაში არ შედიოდა; მაგრამ რადგან ეს საკითხები უმნიშვნელოდ არ მიმაჩნია, ამიტომ მათ დამატებად ვათავსებ.

\* \*  
\*

## თავი 1. ნათესავი

დღევანდელი ცნებისა ”ერი” გამოსახატავად ძველ ქართულ მწერლობაში იხმარებოდა: 1. ნათესავი და 1. ტომი.

ქართულ ბიბლიაში ”ნათესავი” ნიშნავს: ეროვნება, ნაციონალობა. ”ტომი” კი ნიშნავს: ეროვნების ერთ შტოს. მაგრამ ხან და ხან ეს ორი ცნება განურჩევლად იხმარება.

ძველ ქართულ მწერლობაში ნახმარია ცნება: ქართველთა ნათესავი, ნათესავით სომეხი, ნათესავი ლეკთა, ყივჩაღთა ნათესავი, ოვსთა ნათესავი, და სხვა. — ყველგან აქ ”ნათესავი” არის მოდგმა, რასა, ერი.

ვეფხისტყაოსანში ეს ”ნათესავი” სწორედ ეროვნების გამომხატველი არის.

ავთანდილი ტარიელს ეკამათება, ცუდს საქმეს ნუ შვრები, თავს ნუ იკლავ, ვინ არ ყოფილა მიჯნურობის ცეცხლით დამწვარი, მაგრამ არავის სატანისათვის თავი არ მიუცია, თავი არ მოუკლავსო, და რომელი ერის კაცს უქმნია მსგავსი შენისა საქმისაო? —

ვის უქმნია შენი მსგავსი სხვათა კაცთა ნათესავსა (874).

”სხვათა კაცთა ნათესავი” აქ არის სხვა ერის, სხვა ნაციის კაცი.

ცნება ”ნათესავი” ასევე ესმის ს. ს. ორბელიანსაც: — როდესაც ვამბობთ ნათესავი, რომლისა ნათესავისა, მაშინ ვიტყვით ისრაელისა, ანუ ისრაელის მოდგმისა; ხოლო შემდგომად ვიტყვით ტომი, რომლისა ტომისაგან? და ვიტყვით, რუბენის ტომისაგან, გინა ლევის ტომისაგან და სხვა, რამეთუ ნათესავი განიყოფების ტომად-ტომად; ხოლო ტომი განიყოფება სახლად-სახლად და სახლი განიყოფების კაცად-კაცად-ო.

## თავი 2. ტომი

პროფ. ივანე ჯავახიშვილი ამბობს — როდესაც ყველა მცხოვრებთა ვითარცა ერთ-თესლოვანი ჩამომავლობისაგან წარმომდგარ ერთეულის აღნიშვნა სურდათ, ძველ ქართულ მწერლობაში ხმარობდნენ სიტყვას "ტოჰმი" ან "ტომი". ქართულ სახარებაში "ტოჰმი" იშვიათად გვხვდება და ამ სიტყვის მაგიერ "ნათესავი" იხმარება. ქართულ დაბადებაშიც კი "ტომს" და "ნათესავს" განსხვავებული მნიშვნელობა აქვს და ნათესავი ეროვნებას უდრის, ხოლო ტომი ეროვნების ერთ-ერთ შტოს, თემს-ო. <sup>246</sup>.

პროფ. ივ. ჯავახიშვილი ამბობს — "ტომი" სპარსული სიტყვაა და ნიშნავს — თესლი, გვარი. (იქვე). მაგრამ მე კი მგონია, "ტომი" ბერძნულია, და ნიშნავს: მოდგმა, ჩამომავლობა; სახე, რიგი, კატეგორია.

ვტნში "ტომი" რამოდენჯერმე იხმარება. როდესაც ავთანდილს მგზავრობის დროს მოშივდა —

ეგრეცა ჭამა მოუნდის ადამის ტომთა წესითა (195).

აქ სიტყვა "ტომი", როგორც ამჟამაა, არ არის არც "ნათესავი", ანუ ეროვნება, და არც მისი შტო, არამედ საერთოდ "ჩამომავლობა". ადამის ტომია ადამიანი, ადამისაგან წარმოშობილი კაცობრიობა, ბიბლიის მიხედვით. იგივე მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას მეორე შაირშიც. ტარიელს არავის ნახვა აღარ სურს გარდა ასმათისაო —

მისგან კიდე სანახავად არა უნდა კაცთა ტომი (999).

"ტომი" აქ არის საერთოდ ადამის ჩამომავლობა. შემდეგ სიტყვა ტომი ნახმარია მაშინ, როდესაც ფატმანი ნესტანს შინ მიიყვანს და ცდილობს მისი ვინაობა გამოარკვიოს. ნესტანს ფატმანმა —

ვჰკადრე: "მითხარ, ვინ ხარ, მზეო, ანუ შვილი ვისთა ტომთა (1139).

ცხადია, აქ "ტომი" უკვე ეროვნებას აღნიშნავს, და ასეთი აზრი აქვს ამ სიტყვას "ტომი" შემდეგადაც, როდესაც ტარიელზეა ლაპარაკი. გულშეწუხებულ ტარიელს ავთანდილმა სისხლი დაასხა —

ტარიელ შეკრთა, შეიძრა რაზმი ინდოთა ტომისა (1346),

ანუ: ტარიელი მის მკერდზე სისხლის დასხმის შემდეგ შეკრთა, ანუ მცირედ შეხტა (კრთომა — მცირედ შეხლტომა. ს. ს. ორბ.) და შეიძრა რაზმი ინდოთა ტომისა, ანუ შავი წამწამებისაო. ინდოთა ტომი არის "ინდოთა" ეროვნება, გამოყენებული პოეტურად, წამწამთა დასახატავად.

ამგვარად, სიტყვას "ტომი" ვტნში ორი მნიშვნელობა აქვს — 1. ჩამომავლობა, 2. ეროვნება.

მაგრამ ამას გარდა "ტომი" მოხსენებულია კიდევ ვტნის შესავალში და იქ მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს; იქ ნათქვამია —

ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომთა გვართა ზენათა,  
ძნელად სათქმელი, საჭირო გამოსაგები ენათა,  
იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა (20).

ვილაპარაკოთ ჯერ პირველ მიჯნურობაზე; ეს პირველი მიჯნურობა არის ტომთა უმაღლესთა გვარისა, ანუ რაობისა; ესე იგი: პირველი მიჯნურობა არის რიგი, სახე, კატეგორია მაღალთა, ზენათა გვართაო. ამგვარი მიჯნურობა არის ძნელად სათქმელი, ანუ ძნელი ასახსნელიო; საჭიროა ენითა მიერ გამორჩევით თქმა (გამოგება— სიტყვის გარჩევით თქმა, გინა დახვანჯულის ძაფის გამოხსნა. ს. ს. ორბ.); ეს მიჯნურობა არის საზეო, ანუ საღმრთო, რომელიც აღმაფრენას იძლევა.

მაშასადამე, პირველი სახის მიჯნურობა არის მისტიური სიყვარული ღმერთისადმი და —

მას ერთსა მიჯნურობასა ჭკვიანნი ვერ მიჰხვდებიან (21)...

ამგვარად, ამ შაირში "ტომი" არის კატეგორია, და ეს მაფიქრებინებს, რომ "ტომი" ვტნში ბერძნული ჩამომავლობის სიტყვაა.

### თავი 3. სახლი

"სახლს" ვტნში იგივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ეს ძველ ისტორიულ ძეგლებში იხმარება; სიტყვა "სახლი" ძველ საქართველოში აღნიშნავდა: "გვარი" — ხურციძის სახლი იყო ხურციძის გვარი, და არა მარტო "გვარი". არამედ მისი სამფლობელოც — "სადგერი, სულ აწყურერი, დიასამიძისა სახლი, ახალ ციხე და ახალციხის გაღმართი", "ხურციძის სახლი, ბოცოთ ხევი ხერთვისის ქვემოდ მისია"; "სახლი ავაგისა", ანუ სამფლობელო მისი. "მცხეთის სახლი", ანუ საკათოლიკოსო საბრძანებელი, სამფლობელო. მეფის კერძო სამფლობელო ზოგჯერ ძველად "სახლად" ეწოდებოდაო, — ამბობს ივ. ჯავახიშვილი. <sup>246</sup> გვ. 7.

ამგვარად, ქართული ისტორიულ საბუთთა მიხედვით, "სახლი" არის "გვარი", არის სამფლობელო. მაგრამ ამასთანავე "სახლი" არის საცხოვრებელი, შენობა ოჯახისათვის და დღევანდელ ქართულში "სახლს" მხოლოდ ეს მნიშვნელობა შერჩა: ოჯახი და შენობა.

ვტნის სახლიც სხვა და სხვა მნიშვნელობისაა. ნესტანისათვის ფარსადან —

მეფემან სახლი ააგო, შიგან სამყოფი ქალისა (329).

"სახლი" აქ, რასაკვირველია, შენობაა. ეს შენობა არის "სრა". ეს სიტყვა "სრა" არის სპარსული "სერაი", სომხური "სრაჰ" და ქართული "სრა", სასახლე. ტარიელი სნეულობის დროს ნატრობს —

... სახლსა ჩემსა მიმაწვინე (354).



გამოჯანმრთელების შემდეგ, როდესაც ინადირეს —

... მეფე მომყვა სახლთა ძირსა (357).

ნესტანის სახლი არის ბანის-ბანითა, ანუ ბანურად აგებული —

შემავლო სახლი, ნაგები კეკლუცად ბანის-ბანითა (408).

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, ბანი არის სახლის ერდო, სახლის სართული ზედაპირი. ”ერდო” არის სახლის ზედაკერძო ბანი.

შემდეგ სახლზეა ლაპარაკი, როდესაც ხატაეთის მეფე ტარიელს უთვლის —

სახლით ჩემით წამოსრული ხვალე ადრე შეგეყრები (431).

ტარიელმა ხვარაზმშაჰს ძე მოჰკლა; ამის გამო მეფე ფარსადანი მეტად შეწუხებულია და ტარიელს უთვლის —

ხვარაზმას სისხლი უბრალოდ სახლად რად დამადებინე (562).

ტარიელმა უდანაშაულო ხვარაზმელი სასიძო მოჰკლა და ამიტომ ამბობს: უბრალო, ანუ უდანაშაულო მისი სისხლი ”სახლს”, ესე იგი, ჩემს გვარს რატომ დაადევით. სისხლის ზღვევა სავალდებულო იყო, და ამიტომ სწუხს მეფე, ჩემს სამეფო გვარს უდანაშაულოს სისხლი დაედო ვალადო. ”სახლი” აქ არის ”გვარი”, ჩამომავლობა.

ტარიელი როდესაც გაიჭრა ველად, ამბობს —

სახლად სამყოფნი მიმაჩნდეს თხათა და მათ ირემთანი (653),

ანუ: ვცხოვრობდი ვით თხა (გარეული) და ირემიო, მათებური ბინა იყო ჩემი სახლიო. ავთანდილი როდესაც თავის სამფლობელოს მიბრუნდა —

მივიდეს, სადა სამყოფლად სახლი დგა მუნ აგებული (676).

აქ სახლი არის საცხოვრებელი ბინა.

ავთანდილმა თაყვანი სცა თინათინს, რომლის პირი მზეზე უნათლესია და რომელს სახლი სამყოფელად არა მართებს, არამედ სახლი მისი არის ცა — დარბაზი —

სახლ-სამყოფი არა ჰმართებს, ცამცა გაიდარბაზესა (685).

სიტყვა დარბაზი არის ფეჰლევეური — დარგას და ნიშნავს ”კარი”, სასახლის კარი. <sup>2</sup>. გვ. 958.

ტარიელს —

ქვაბი წაუხმან დევთათვის, სახლად აქვს დევთა სახლები (690).

შემდეგ "სახლი" და "მენა" არის დასახელებული. ტარიელსო —

ვითა ვეფხსა წავარნა და ქვაბი აქვსო სახლად, მენად (700).

ი. აბულაძის განმარტებით, "მენა" არის სპარსული სიტყვა "მან" და ნიშნავს "სახლი"-  
ო. ს. ს. ორბელიანის განმარტებით, "მენა" არის სამყოფი, სადგომი. ი. აბულაძის  
განმარტებით, "წავარნა" არის ლათინური კავერნა, ანუ გამოქვაბული, ქვაბი. იმის  
მიუხედავად, რომ "წავარნა" და "კავერნა" ერთმანეთს ჰგავან, ს. ს. ორბელიანის  
განმარტება უფრო სწორია. წავარნა არის კლდის ბილიკი, კლდეთა ზედა ვიწრო რამ  
ნადირთა წარსავალი. და ეს განმარტება ზუსტია, რადგან ლექსში ნათქვამია —  
ტარიელსო ვითა ვეფხსა აქვს წავარნა, ანუ კლდის ბილიკი და აქვს ქვაბი სახლად,  
მენადო, ანუ სამყოფელადო.

ავთანდილი მიდის ვაზირთან —

ცხენსა შეჯდა, წამოვიდა ვაზირისა სახლსა მთვარე (728),

ყმამან სახლი განანათლა, ვით სამყაროს მზისა შუქმან (728),

და როდესაც ავთანდილი წავიდა, მას შემდეგ —

გაიყარნეს, ყმა წავიდა, სახლად ჩადგეს მზისა წვერნი (770),

ხოლო ოდეს იგი ტარიელთან მიდის, შერმადინს ეუბნება —

სახლი ჩემი შეინახე, სპათა ჩემთა ეთავადე (779),

ეს ნიშნავს: ჩემი სამფლობელო, ანუ ჩემი სამეფო, შენ შერმადინ, შეინახე, დაიცავი და  
სპას, ლაშქარს ეთავადე, უუფროსეო. და ამ თხოვნას ავთანდილი შერმადინს კვლავ  
უმეორებს —

ვის მივანდო სახლი ჩემი ... (783).

ეს სახლი არის ავთანდილის სამეფო, რომელიც შერმადინმა დაუღუწეულად უნდა  
დაახვედროს —

მე დამახვედრო სამეფო მტერთაგან დაუღუწელი (167),

და თუ თინათინს ვშორდები, განა ჩემს სამეფოს ვერ მოვშორდებიო, — ეკითხება  
ავთანდილი შერმადინს —

მას თუ დავთმობ, სახლსა ჩემსა ვედარ დავთმობ ვისსა ვერად? (786).

ვის ვერ დავუთმობ სახლსო? აქ სახლი არის მისი სამფლობელო.

როდესაც ავთანდილის წასვლას როსტევიანი დიდად გლოვობს, ამბობს —

მაგრა მე რა ვქმნა, გაზრდილო, აწ სახლად მმართვეს სენები (822),

ანუ: სახლში, ოჯახში სენი გამიჩნდაო.

ავთანდილი ასმათს ეუბნება —

გამოვჭრილვარ სახლით ჩემით, ვით ირემი ძებნად წყლისად (855).

აქ სახლი არის ავთანდილის სამეფო, რომელი მან მიატოვა ტარიელის გულისათვის, ან მისი სასახლე.

ავთანდილს ფატმანი შესჩივის, ჭაშნაგირი მეფესთან დამასმენს ნესტანის გაპარებისა გამო, და გაჯავრებული მეფე შვილებს ამომიწყვეტს და —

ბოლოდ ვექმენ სახლსა ჩემსა, სიტყვანია ჩემნი წბილნი (1103),

ანუ: ოჯახს ბოლო მოვუღე, დავღუპეო, და ამიტომ იგი ავთანდილს ემუდარება: ჭაშნაგირი მოჰკალიო, გადამარჩინეო და —

მე და სრულად სახლი ჩემი დახოცვასა დაგვხსენ ამით (1107).

აქ სახლი არის ფატმანის ოჯახი, და ქვემოდაც, როდესაც იგი ნესტანის დაბინავებაზე ამბობს —

მოვუკაზმე ერთი სახლი, შიგან დავსვი მეტად მალვით (1144) და

მან ტურფამან სახლსა ჩემსა ეგრე დაყო ხანი დიდი (1150).

სახლი ვით ოჯახი მოხსენებულია აგრეთვე შაირში 1209, 1215, 1317.  
დევთა გამოქვაბულში —

იგი სახლი ორმოცივე შიგან იყო გატენილი,  
პოეს ერთი ზარადხანა, აბჯრისათვის სახლად ქმნილი (1367).

ძველს საქართველოში ამირახორსა და მებჯრეთ უხუცესს ექვემდებარებოდა, — როგორც ამბობს პროფ. ივ. ჯავახიშვილი, — აგრეთვე ერთი განსაკუთრებული დაწესებულება, რომელსაც "ზარდახანა" ეწოდებოდა. ამ დაწესებულებაში ინახებოდა — ჯაჭვი, მუზარადი, ხრმალი, ქაფა, საბარკული, მშვილდ-კაპარჭი, ლატი, შუბი, სრულიად ყოველივე უნაგირი, მოჭედილი და ხამი, აკაზმულობა, რაც ზედ აბია, რაც საცხენე ჯავშანია, მანჯუვები აბრეშუმისა, ცხენის ყელსაბამი მოჭედილი, კანჯარის კუდი და მისთანა ყველა, დიდი დროშა... შუბი სეფე ალაამითა, ერთი სიტყვით, ზარდახანა ყოველგვარ აბჯარ-იარაღისა, სამხედრო ნიშნებისა და სამკაულის საწყობი ყოფილა. თვით სიტყვა არის სპარსული — ზარდახანა, გადაკეთებული ქართულად — ზარდახანა, ხოლო ვეფხისტყაოსანში — ზარადხანა. <sup>246</sup> გვ. 157.

ტარიელს არ სურს ინდოეთს დაბრუნდეს, სანამ ავთანდილს არ დააქორწილებს, მეო —

არა ვნახავ სახლსა ჩემსა, არ დარბაზსა, არცა ხულოსა (1471).

აქ ტარიელი ლაპარაკობს პირველად ყოვლისა სახლზე, ანუ ინდოეთზე; შემდეგ დარბაზის შესახებ და ბოლოს ხულზე. ს. ს. ორბელიანის განმარტებით, ხული არის სახლი სავაჭროს სადები.

ფრიდონმა აქლემთა მოსაყვანად კაცნი გააგზავნა, რათა დევთა საჭურჭლე შინ მიეტანათ —

სახლსა მისსა მისაღებად მის ყველასა საჭურჭლისად (1052) და სხვა.

ამგვარად, ვტნში ისე ვით ძველ ქართულ მწერლობაში, სიტყვას "სახლი" აქვს რამოდენიმე მნიშვნელობა: 1. სახლი — სამეფო; 2. გვარი; 3. სამფლობელო; 4. ოჯახი; 5. საცხოვრებელი ბინა, სამყოფელი, შენობა.

#### თავი 4. ერი

სიტყვას "ერი" თავიდანვე ორი მნიშვნელობა ჰქონდა. ქართულ ბიბლიაში "ერი" არის: 1. ხალხი, 2. საომარი ძალა. და ეს არც გასაკვირიაო, — ამბობს პროფ. ივ. ჯავახიშვილი, — რადგან ხალხი და ჯარი, ანუ სიმრავლე საომარი ძალა იყო უძველეს დროშიო. შემდეგ უკვე სიტყვა "ერი" საომარ მნიშვნელობას ჰკარგავს და საომარი ძალის აღსანიშნავად ბატონდება სპარსული სიტყვა "ლაშქარი" და "სპა".<sup>246</sup> გვ. 19.

სიტყვა "ერი" შემკრებლობითი მნიშვნელობისაა და იგი ერთობილად მთელს ხალხს ეწოდება, და კლასობრივ სახესაც ღებულობს — წვრილი ერი, ერნი სოფლისანი, უბრალო ერი — ესენი იყვნენ პატრონყმური, ფეოდალური საზოგადოების დაბალ საფეხურზე მყოფნი; ხოლო მდიდარნი ერისანი უკვე საზოგადოების მაღალ საფეხურზე მყოფი ხალხია. ვეფხისტყაოსანშიც სიტყვისა "ერი" საზოგადოებრივი დანაწილებითი მნიშვნელობაცაა აღნიშნული.

ხატაეთის მეფე რამაზ ტარიელსა სწერს, როგორ თუ მანდ შენთან მოვიდე, შენ დაგემორჩილო? როგორ მომიხმე მე, რომელიც ბევრსა ერსა ვპატრონობ, ანუ ბევრი ლაშქარი მყავსო? —

რაგვარა თუ მანდა გეხმე, ვინ ვპატრონობ ბევრსა ერსა (401).

ფარსადანის დას, დავარს ეებნებიან, შენმა ძმამ დაიფიცა, ჩემს დას მოვკლავ, მან ნესტანი ცუდად აღმიზარდაო და თუ მან ამაზე დაიფიცა, არ დაგარჩენს, იცის ერმაო. ეს "ერი" არის სასახლის ხალხი, კურტიზანები —

თავი ფიცა ძმამან შენმან, არ დაგარჩენს იცის ერმან (576).

ზღვაში დახრჩობას გადარჩენილი კაცი მოქარავნებს მოუთხრობს, ჩვენ ეგვიპტით წამოვედით; და ზღვაზე მეკობრეებმა გაგვძარცვესო —

თქვა: "ქარავანი ეგვიპტით გამოვემართეთ ერთა (1033).

"ერი" აქ არის შეიარაღებული, დამცველი ძალა.

შემდეგ "ერს" აქვს მნიშვნელობა "ხალხისა", კერძოდ, ქალაქის ხალხისა, უფრო სწორად: ვაჭართა და ხელოსანთა.

ავთანდილი როდესაც გულანშაროს მივიდა —

ზარი გახდა, შემოაკრფეს ქალაქისა ერნი სრულად (1075).

ესაა "ქალაქის ერი", რომელს ძველ ქართულ მწერლობაში ეწოდებოდა "სავაჭრო ერი". ხოლო ის ხალხი, რომელიც თავს იყრიდა სასახლეში და რომელთ სასახლეში მისვლისა და ყოფნის უფლება ჰქონდათ, იყო "დარბაზის ერი", რაც დასავლეთი ევროპის "კურტიზანს" უდრის.

ფატმანი თავის ქმარს უსენს აფრთხილებს, სასახლეში მთვრალი "დარბაზის ერი" დაგხვდება, შენ დალევი, და ნესტანის ამბავს ნუ გაამხელო —

დავვედრე: "დარბაზს დაგხვდების დარბაზის ერი მთვრალეები (1164),

და როდესაც სასახლიდან ნესტანი გაიპარა —

დახედენ დარბაზის ერთა, შევლენ ისფრითა ღებულნი (1203).

სასახლის ხალხი, საზოგადოების მაღალი წრე, აგრეთვე მგლოვიარეა ნესტანის გაპარვისა გამო, და გლოვის ნიშნად იის ფერი, ლურჯად შეღებილი სამოსელი აცვიათო.

ამგვარად, ვტნში "ერი" არის: 1. საომარი ძალა, 2. ხალხი და 3. ხალხის სხვა და სხვა საზოგადოებრივი ფენა: 1. სავაჭრო ერი და 2. დარბაზის ერი.

## თავი 5. თემი

სიტყვა "თემი" პროფ. ი. აბულაძის განმარტებით, არის: ადამის ტომი, ნათესაობა, საზოგადოება. ეს განმარტება სწორი არ არის.

ს. ს. ორბელიანის ახსნით, "თემი" არის ქვეყნის ერთი ნაწილი. ანუ, დავუმატებ: ადმინისტრაციული ერთეული, საგანგეო ერთეული.

საყურადღებოა, პროფ. ივ. ჯავახიშვილის თქმით — მეშვიდე საუკუნედან მეთერთმეტე საუკუნემდე ქართულ საისტორიო ძეგლებში სიტყვა "თემი" არ გვხვდება და როგორც ეტყობა, დაახლოებით მეთორმეტე საუკუნეში ჩნდება იგიო.<sup>246</sup> გვ. 9. სიტყვა იმავე ცნების გამომხატველია და იმავე ერთეულის სახელია, როგორისაც "ქუეყანად" იყო. უძველეს ქართულ მწერლობაში "მიწაწყალის" აღსანიშნავად სიტყვა

”სოფელი” იხმარებოდა, ხოლო დაახლოებით მერვე საუკუნედან მოყოლებული, მის ნაცვლად ახალი სიტყვა შემოვიდა: ”ქუეყანაა”, ანუ მიწაწყალი, როგორც მაგალითად: ”ქუეყანაა ქართლისაა”, სახელი ”თემი” ეწოდებოდა ხან ქვეყანას, ხან სამეფოს, ხან ხევს, ხოლო უკვე გვიან, ”თემს” ემახდნენ ერთი ტომით დასახლებულს, განსაზღვრულს საგეოგრაფიო-საგანგეო ერთეულს, როგორც ამას ს. ს. ორბელიანიც აღნიშნავს. სიტყვა ”თემი” ვტნში რამოდენჯერმეა ნახმარი. როდესაც ტარიელი ნესტანის წერილზე ლაპარაკობს, გვაცნობებს —

წიგნი მომართვა, ჩავხედენ, პირისა თემთა მთენისა (493).

ასმათმა ნესტანის წერილი მომიტანა, ჩავხედე წერილს, რომელიც იყო თემთა პირისა მთენისაგანო, ანუ ქვეყანათა ზედაპირის გამანათებელი, ნესტან-მზისაგანო. აქ სიტყვა ”თემი” ნიშნავს: ქვეყანას.

ტარიელმა როდესაც გარდასწყვიტა საცხოვრებელნი ადგილნი მიეტოვებინა და მარტოდ მხეცებთან ევლო, ამის გამო ამბობს —

მაგრა დავყარენ არენი მე კაცრიელთა თემთანი (653),

ანუ: მაგრამ მივატოვე მე არეები, ადგილები, კაცთა მიერ საცხოვრებელნი თემნი, ანუ ქვეყანანიო.

ტარიელი ფარსადანზე მოთქვამს და ამბობს —

მზეო, რად და გაქვს სინათლე, რად და ანათობ თემთაო (1592).

აქ ”თემი” არის ქვეყანა.

ფრიდონი ტარიელს ემშვიდობება და უბარებს, კვლავ ხშირად განახავო —

ზედა-ზედა დავსტკეპნიდე დარბაზსა და ამა თემსა (1656).

აქ დარბაზი არის ტარიელის სასახლე, ხოლო თემი კი — ინდოეთი. და ეს განმარტება სწორია, რადგან — სრულიად საქართველოს სამეფოსაც ”თემს ემახდნენ ხოლმე. ოღონდ საქართველოს შემადგენელ ნაწილებსაც და კუთხეებს (კახეთი, იმერეთი, მესხეთი), თუ უწინ ”ქვეყანას” უწოდებდნენ, მეთორმეტე და მეცამეტე საუკუნეში უკვე ”თემს” უწოდებდნენო, — ამბობს პროფ. ივ. ჯავახიშვილი. <sup>246</sup>. გვ. 10. ამ განმარტების სისწორეს თვით ვტნი გვიმტკიცებს.

როდესაც სასიძო მოვიდა, მის შესახვედრად გავიდნენ წარჩინებულნი და ლაშქარნი —

დაიწყეს დგომა ლაშქართა თემ-თემად, დას - დასებისა (552).

აქ ლაშქარნი არიან დამდგარნი თემ-თემად, ანუ კუთხეთა, პროვინციათა მიხედვით და რაზმებად, ანუ დას-დასებად.

ამგვარად, ვტნში "თემი" არის 1. ქვეყანა, 2. სამეფო, მხარე-კუთხე. ანუ: გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და ადმინისტრაციული სახელი.

## დანართი მესამე

### თავი 1. ალქიმია

ბურუსითაა მოცული ალქიმის წამოწყების ამბავი. ამტკიცებენ, ალქიმის სამშობლო ეგვიპტე იყო, საიდანაც იგი ძველ საბერძნეთში გავრცელდა და განვითარდა; იქედან იგი გადაბარგდა არაბეთს და არაბეთიდან ევროპამ გადაიღო იგი, სადაც მეთვრამეტე საუკუნემდე იყო გაბატონებული.

ალქიმის, ანუ ქიმის თავიდანვე მოწინააღმდეგენი ჰყავდნენ, რომელნი მას ცრუ მეცნიერებას ეძახდნენ. ამ მოწინააღმდეგეთა შორის ქრისტიანული ეკლესიაც იყო.

ალქიმის მოძღვრება დაკავშირებული იყო ასტროლოგიასთან, რელიგიებთან, ფილოსოფიურ სკოლებთან, განსაკუთრებით სტოა და ნეოპლატონიზმთან, რომელთაგან იგი თავის დებულებებსა და გამართლებას პოვულობდა. ამ ჩემს წიგნში უკვე აღვნიშნე ასტროლოგიისა და ალქიმის ურთიერთობა, მნათობთა და მეტალთა შენაცვლება, ოღონდ გახსენებისათვის გავიმეორებ: ოქრო შეეტყვისება, ანუ შეეფერება მზეს; ვერცხლი — მთვარეს; რკინა — მარსს; ვერცხისწყალი (მერკური)— მერკურიუსს; კალა — იუპიტერს; სპილენძი — იუპიტერს; ტყვია — სატურნუსს.

ალქიმის (ეს სიტყვა თვითონ არაბულია) მთავარი დებულებაა: არსითი ელემენტები, ანუ კავშირნი არიან მარტივნი. ესენი არიან მეტალები. მეტალები ერთი მეორესაგან განსხვავდებიან მხოლოდ ხარისხით და არა ბუნებით; ამიტომ შესაძლებელია ერთი მეტალის მეორეში გადაყვანა, ანუ ერთი მეტალიდან მეორე მეტალის მიღება. შესაძლებელია, მაგალითად, ტყვიიდან ოქროს გაკეთება. მეტალი, ანუ მინერალი არის ცოცხალი არსება; ესაა მეტალის სიცოცხლე; იგი იბადება, იქმნება, ცვალებადობას განიცდის, ვითარდება, ან დაბრკოლებას ეხეჩება. არაბი მეცნიერის ჯებირის ნათქვამია: მეტალნი ქორწილდებიან, ორსულდებიან, იბადებიან და იზრდებიან. ალ-ჰარიზი-ც ამას ამბობს. მაშასადამე, ალქიმიური წარმოდგენით, ქიმიაში არსებობს სიცოცხლე და სიკვდილი, სული და გვამი; ზოგ სხეულს აქვს მიწიური და მიმიე, უხეში გვამი; ზოგს — წმიდა და ნათელი შემადგენლობა, სულიერი. პირველია — სიკვდილის; მეორეა — სიცოცხლის ნაყოფი. მაგალითად, სულფატი და არსენიკი ცოცხალნი არიან, როცა ისინი შეეზავებიან მათზე დაბალი ხარისხის ტალკს; მაგრამ ისინი მკვდარნი არიან, როცა შეეზავებიან ვერცხლისწყალს. თითოეულ ნივთში, თითოეულ არსებაში იმყოფება, მაშასადამე, ნივთიერი, მატერიული და სულიერი ბუნება, ანუ: სული და გვამი. ამ სულის ბუნება შეთხზულია გვამის ბუნებასთან. ოღონდ სული უმაღლესია გვამზე და სხვა.

ალქიმის მიზანი იყო გამოეძებნათ ის არსი, სული, რომელსაც შეზავებდნენ არა-სრულ მეტალთან, რათა უმაღლესი ხარისხის, სრული მეტალი წარმოშობილიყო. აქედან წარმოსდგა წარმოდგენა ფილოსოფიურ ქვაზე, პატიოსან ქვაზე, რომლის შემწეობით შესაძლებელი უნდა გამხდარიყო არა - სრული მეტალისაგან სრული

მეტალის — ოქროს — მიღება. ამ ქვას ურევდნენ სხვა და სხვა წამალს, წყალს, ნაირ ნაფხვენს, და ასე ღებულობდნენ სითხეს, რომელს ელიქსირი ერქვა. ამ ალქიმიიდან წარმოიშვა უკვე ნამდვილი მეცნიერება — ქიმია — რომელი თანამედროვე ცივილიზაციის ქვაკუთხედაა. <sup>247</sup>.

ვეფხისტყაოსანში ჩვენ ვხვდებით ერთ ალქიმიურ დებულებას, რომელიც აქ პოეტურად არის გამოყენებული. შესანიშნავია ავთანდილისა და ტარიელის საუბარი. ავთანდილი ტარიელს აწყნარებს, ბრძოლის მიზანს უსახავს და ტარიელი მას უპასუხებს: ეგე სწავლა ჩემთვის ყოვლად სოფლად ღირს, მაგრამ ეგ სწავლა მე არ შემეფერებაო და დაასკვნის —

ცვილსა ცეცხლის სიმხარვალე უგავს, ამაღ აენტების,  
მაგრა წყალსა არსით ახლავს, თუ ჩავარდეს, დაცაშრტების (905),

ესე იგი: ცვილის (თაფლის სანთელის, ფიჭის) სიმხურვალე ჰგავს ცეცხლის სიმხურვალეს. და ამიტომ აენტება იგიო. მაგრამ წყალს სიმხურვალე არა აქვს და თუ იგი ცეცხლში ჩავარდა, დაშრტება, დაიშრიტებაო.. ამით გამოსახულია ალქიმიის დებულება: ერთი ბუნების სხეული მეორე ბუნების ამავე სხეულს ეთხზვება, ენათესავება; ცვილი და ცეცხლი მსგავსი ბუნებისანი არიან, მათი ნათესავობა არის სიმხურვალე, და ამიტომ ორივე ენთება. წყალის ბუნება ცეცხლის მოპირდაპირია. წყალის ბუნებაა: სისოვლე და სიცივე; ცეცხლისა — სიმშრალე და სიმხურვალე; ამიტომ მათი ბუნებანი ერთმანეთს ვერ ეგუებიან და ერთმანეთთან შეხებით ისპობიანო

იგივე აზრი აქვს გამოთქმული ასმათს, როდესაც ტარიელს —  
ასმათ უთხრა: ”ცრემლით, ლომო, მაგა ცეცხლსა რა ერგების (301),

ანუ: ცრემლი (სისოვლე) მისი მოწინააღმდეგე ბუნების ცეცხლს ვერაფერს არგებს, ამიტომო ავთანდილმა უნდა —

ცნას მიზეზი შენთა წყლულთა, ქმნას, რა ღონე დაედების (301),

ესე იგი: გაიგოს მან შენი სიყვარულის თავგადასავალი და მონახოს საშუალება მაგ წყლულის განსაკურნებელადო.

ამგვარად, ვტნში ალქიმიის დებულება მხატვრულადაა გამოყენებული სულიერი ვითარების დასასურათებელად.

## თავი 2. დაქოლვა

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, დაქოლვა არის დაქვავება. დაქვავება არის ქვის დაკრება. ქვის დაკრება არის ქვის სროლა და ქვის სროლით ვინმეს სიკვდილი, ანუ ჩაქვავება.

დაქოლვა არის უძველესი სასჯელი სიკვდილით. მოსეს რჯულში ჩამოთვლილია ის დანაშაული, რომლისათვის დაქოლვა იყო განწესებული — მრუშობა, სისხლის



შერევა, მამათმავლობა, თვიურის დროს დედაკაცთან კავშირი, ბიწობა, ან გასათხოვი ასულის უქალწულობა, დანიშნულის ღალატი, ღმრთის გმობა, ცრუ ღმერთთა თაყვანება, მამის გმობა, მკითხაობა-მარჩიელობა და სხვა. სიკვდილით დასასჯელის დაქოლვა ქალაქს, ან ბანაკს გარედ ხდებოდა. დამნაშავეისათვის პირველდ მოწმეებს უნდა დაერთყათ ქვა, და შემდეგ მას ყველა ესროდა. ხან და ხან, რათა მოსაკვდენი არ გაეწვალეზინათ, მას ორმოში ჩააგდებდნენ და ზემოდან ლოდს დაართყამდნენ, მერმე კი მკვდარს ძელზე ჩამოჰკიდებდნენ და საღამოზე უკვე მარხავდნენ ხოლმე.

დაქოლვის სასჯელი ეგვიპტედან გავრცელდა. დაქოლვა იყო აგრეთვე არეულობის ხანაში ხალხის მიერ ხმარებული სასტიკი ზომა, როდესაც აღშფოთებული ბრბო, თვინიერ ყოველ გვარი სასამართლოსა, ვინმეს ჩააქვავებდა ხოლმე. ამგვარსავე სასჯელს მეფენიც მიმართავდნენ. ცნობილია, ავსტრაზიის მეფე სიგებერტმა პარიზის დაპყრობის შემდეგ პარიზელნი აჯანყებულნი თავისი ლაშქარის წინ დააქოლვინა. <sup>248</sup>.

ფირდაუსის შაკ-ნამეშიც არის შემთხვევა დაქოლვისა: მეფე კესრა ნუშირვანმა სიკვდილი გადაუწყვიტა ერთ თავის დიდ კარისკაცსა და ერთს ებრაელს ჯადოსნობით მოწამელისათვის. ორივე ძელზე ჩამოჰკიდეს და მოჰკლეს ქვის სროლითა და ისართა ტყორცნით. <sup>94</sup>. წიგნი 6. გვ. 241.

ვტნში დაქოლვაზე, ვით სიკვდილით დასჯაზე, ლაპარაკი არაა, რადგან ასეთი დასჯა იქ არ ხდება. "დაქოლვა" გამოყენებულია მწარე სულიერ განცდათა გამოსახატავად, სიკვდილის მძიმე წესის ნატვრით. ფატმანი როცა ჭაშნაგირმა ავთანდილთან ნახა, ჭაშნაგირი ფატმანს დაემუქრა, ხოლო ქალი ატირდა, სახე დაიხოკა და —

თქვა: "დამქოლენით, მოდით, ქვითა, მომადეგით, მომაკარნი!" (1102).

ნესტანი ფატმანსა თხოვს, ტარიელს როგორმე უარი ათქმევინოს, ქაჯეთის ციხის დასაპყრობად არ წამოვიდეს, რადგან იგი აქ უეჭველად დაილუპებაო და —

არ დაგმორჩილდეს, დამქოლე შავისა ქვითა ყორითა!" (1290).

### თავი 3. სამსარა

ბუდთას მოძღვრებით არ არსებობს ყოფნა. ქვეყანაზე სუფევს ორადობა: "არის" და "არ არის". ხოლო ვინც ჭეშმარიტებით და სიბრძნით განიხილავს, თუ როგორ წარმოიშვა ამ ქვეყანაზე ყველაფერი, მისთვის არ არსებობს არავითარი "არის"; მისთვის არ არსებობს არავითარი "არ არის". ტკივილი და მწუხარება წარმოიშვება იქ, სადაც რაიმე წარმოიშვება. მწუხარება და გამწარება ისპობა იქ, სადაც რაიმე ისპობა. "ყველაფერი არის" — ესაა დასასრული ერთი. "არაფერი არ არის" — ესაა მეორე დასასრული... მხოლოდ საშუალო ამ ორს შორის არის ჭეშმარიტება. ამიტომ ბუდთას მოძღვრებაში არ არის ღმერთი, არ არის ყოფნა. მაშ ვინ შეჰქმნა ეს ქვეყანა? როგორ დაიბადა იგი? რა ემართება მას? სვლას არსთა, მოგზაურობას არსებათა აქვს თავისი დასაწყისი მარადიულობაში. ვერ გამოიცნობა დასაწყისი. ქვეყანა და სიცოცხლე მუდამ არსებობდა და მას დასაწყისი არასოდეს არა ჰქონია, მხოლოდ უვიცსა და მიუწევნელს მიაჩნია, რომ სიცოცხლე და ქვეყანა არის ყოფნა. ის, რასაც კაცნი ქვეყანასა და სიცოცხლეს უწოდებენ, არის ნამდვილად მხოლოდ სვლა, პროცესი

შექმნის და მოსპობისა, ანუ "სამსარა". გარეგნულად ეს ხდება ამ პროცესში არსებათა მუდმივი წარმოშობით, ცხოვრებით და მოსპობით (სიკვდილით), რომელნი (ეს არსებანი) სხვა და სხვა საფეხურში, როგორც ღმერთნი, კაცნი, პირუტყვი, მცენარენი და ბოროტნი სულნი გვეჩვენებინან, რომ არიან, მაგრამ ნამდვილად თავისი შინაგანი არსებით ისინი თანაბარნი არიან. არსებობს მხოლოდ ხარისხი და არა ჯიშის განსხვავება მათ შორის. ამ არსებათა ხარისხითი განსხვავება წარმოდგარია შექმნისა და მოსპობის შესრულების შინაარსით, რომელიც ისე ხდება, რომ სამსარას პროცესი შინაგანად მიმდინარეობს მიზეზისა და შედეგის კანონით: კეთილ საქმიანობას მოსდევს შემდეგ არსებობაში კეთილი გატარება, ბოროტ საქმიანობას კი ბოროტი გატარება ცხოვრებისა. ეს არის კარმას კანონი — თითოეული ბოროტი მოქმედება იწვევს თანდათან უმძიმეს შეჩერებას სამსარაში, ასე რომ უნდა მოხდეს მუდმივ ახალ-ახალი განსახიერება (სიკვდილის შემდეგ ახალი სხეულის მიღება), ვითარცა ღმერთის, ვით კაცის, როგორც პირუტყვის, ან ბოროტი სულის სახით, იმის თანახმად, თუ როგორი იყო მათი ცხოვრება წარსულში. პროცესი დაბადებისა, სიცოცხლე-ცხოვრებისა და სიკვდილისა არის **სამსარა** და იგია არსებითად ტანჯვა, ვაება, ტკივილი, მწუხარება. ამ სამსარიდან დახსნა არის ყოველი სიკვდილის შემდეგ თანდათან მაღალ არსებაში შესვლა, დაბალიდან მაღალ არსებაში განსახიერება და დაბოლოს "ნირვანა"-ში, არარაობაში, მარადიულ ნეტარებაში გარდასვლა.<sup>201</sup> გვ. 86.

აი, ვტნში ამ სიტყვას "სამსარა" ვხვდებით "სამსალას" სახით. აქ ამ სიტყვას არა აქვს ის ზუსტი რელიგიურ - ფილოსოფიური მნიშვნელობა, რომლითაც იგი ბუდთიზმშია ცნობილი, მაგრამ ეს სიტყვა "სამსალა" იხმარება არსებითად იმავე მნიშვნელობით ვითარცა მწუხარება, ვაება, ტანჯვა, წამება, გამწარება. მგონია, "სამსალა" სპარსული გზით უნდა იყოს ქართულში შემოსული.

ავთანდილი ფრიდონს გამოემშვიდობა და ნესტანის სამეზნელად გაემგზავრა. გზაში იგი თინათინის მოგონებაზე მოთქვამს და სხვათა შორის ამბობს —

რად სიცხე გულსა ნიადაგ მწვავს გმირთა სამს ალებისა;  
რად გული კლდისა ტინისა შემქმნია სამ სალებისა;  
არ შეუძლია ლახვარსა დაჩენა სამსა ლებისა,  
შენ ხარ მიზეზი სოფლისა ასრე გასამსალებისა (1026),

ანუ: ავთანდილი ამ ჩივილით, (შენ ხარ მიზეზი!), საწყუთროს, ბედს მიმართავს ამბობს: გმირთა სიცხის სამი ალი (სამს ალებისა) გულს მუდამ, ნიადაგ მიწვავსო;

გული ჩემი ტინისა, ანუ სალი კლდისა რატომ შემქმნია სამ სალ კლდედ (სამ სალებისა);  
არც სამს ლახვარს შეუძლია დაგაჩინოს ლები, ესე იგი, დაგიშავოს, შავად გაგიხადოს ნაცემი ადგილიო;

შენა ხარ, ბედო, მიზეზი იმისა, რომ ეს სოფელი ასე გამწარებულიაო (გასამსალებისა). ამგვარად, სამსალა არის შეწუხება, გამწარება.

იგივე აზრი აქვს ამ სიტყვას შემდეგ ლექსშიც —

ავთანდილ იტყვის: "მომკლაო სოფლისა მე სამსალამა (1660),

ანუ: ბედმა-სოფელმა მომკლა თავისი გამწარებით და შეწუხებითო.

ამავე აზრით სიტყვა "სამსალა", "სამსალიანი", "სამსალისაებრ" ქართულ ვისრამიანშიც იხმარება: "სამსალისაებრ სიყვარულისა სასმელი დიდი უსვამს". — და ალბათ ამ გზითაა ეს სიტყვა ქართულში შეხიზნული.

#### თავი 4. ნაკი

არა ერთხელ აღვნიშნე, ადამიანის შეხედულებით, მთვარეს ხან პირველი, ხან მეორე ადგილი ეჭირა. მთვარის ამოსვლა და ჩასვლა, ახალი მთვარე, შემდეგ სავსე და მერმე მცხრალი, მიმალვა მისი, თითოული ეს ბიჯრი, ანუ ფაზა მთვარისა შვიდი დღის განმავლობაში სრულდება და ოთხჯერ შვიდი დღე ოცდარვა დღეს შეიცავს, რაც მთვარეს, ანუ თვეს წარმოადგენს, რომლის მიხედვით წელიწადში იყო 335 დღე. მაგრამ მალე შეამჩნიეს, რომ 120 წლის შემდეგ მთვარის წელიწადი მზის წელიწადისაგან ერთი თვით უკან იყო ჩამორჩენილი. ეს შეცდომა მით გამოასწორეს, რომ მთვარის წელიწადს ეს დანაკლისი ერთი თვე მიუმატეს და ამნაირად წელიწადი გახდა 365-დღიანი. და დაბოლოს ეგვიპტელებმა დაადგინეს 365 და ერთ-მეოთხედ დღიანი წელიწადი. ძველ საბერძნეთში თითო თვე შეიცავდა 29 და ნახევარ დღეს და 12 თვე კი 354 დღეს. ამნაირად, მთვარის წელიწადს 11 და ერთი მეოთხედი დღე აკლდა მზის წელიწადთან შედარებით.

მთვარით ანგარიში უფრო ადვილი იყო, რადგან მზის მოქცევა, ანუ მობრუნება ერთსა და იმავე ვარსკვლავთან ყოფნით, ძნელი დასაკვირვებელი იყო, ხოლო მთვარის გამოჩენის დაახვა ერთსა და იმავე ადგილას მოტრიალების შემდეგ, იოლია. ამიტომ მთვარის წელიწადი უფრო ხმარებაში იყო, ოღონდ იგი მზის წელიწადთან უნდა შეესწორებინათ ხოლმე. 432 წელს ქრისტეს წინ მეტონ-მა და ევკტემონ-მა ბერძნული კალენდარი შეასწორეს, და ისე, რომ მთვარისა და მზის კალენდარის წელიწადის განსხვავება ორასი წლის შემდეგ ერთ დღესაც კი არ წარმოადგენდა.

რომაელთა კალენდარში მთვარისა და მზის წელიწადს შორის 90 დღე განსხვავება იყო და ამისი შესწორება იულიუს კეისარმა (იული ცეზარმა) 45 წელში ქრისტეს წინ ბერძენ სოსიგენეს დაავალა. ეს არის იულიანური კალენდარი, რომლის მიხედვით წელიწადს აქვს 365 და ერთი მეოთხედი დღე. შეცდომა მაინც რჩებოდა და თითოული სამი წლის შემდეგ, როცა ყოველწლიურად იყო 365 დღე, მეოთხე წელიწადს ერთი დღე უნდა მიმატებოდა თებერვალში, რათა მზის წელიწადთან გათანასწორებულიყო. და ეს იყო ნაკიანი წელიწადი, ანუ 366-დღიანი.<sup>306</sup>

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, ნაკი არის შემდეგი: ერთსა წელიწადსა ჰქონან დღენი 365 და ჟამნი 6, ხოლო ოთხისა წლისა რა ოთხჯერ ექუსნი ჟამნი შეჰკრიბო, ოცდაოთხი ჟამი იქნება, რომელ არს ერთი დღე და ღამე. ამისთჳს მეოთხესა წელიწადსა 366 დღე მოვალს, რომელს ნაკად უწოდენ. მას წელსა ფებერვალისა თთუე ოცდაცხრით იქნების...

ეს კალენდარული ამბავი ვეფხისტყაოსანში გამოყენებულია ზედმეტი დღის აღსანიშნავად.

იმ წელიწადს, როდესაც ავთანდილი ტარიელის სამებნელად მიდის, წელიწადი არის ნაკიანი, ანუ იმ წლის თებერვალს ემატებოდა კიდევ ერთი ზედმეტი დღე, ესე იგი, თებერვალი იყო არა 28 დღით, არამედ 29 დღით. ამ ზედმეტი დღის გატარება მოუხდება შერმადინს გლოვაში. ამიტომ ავთანდილი როსტევეანსა თხოვს, ნუგეში ეცი შერმადინს, ვინაიდან იგი ჩემგან ნუგემ-წყალობას არის ნაჩვევიო —

გვედრებ, მეფეო, შერმადინს, მონასა ჩემსა რჩეულსა, —  
ნაკად აქვს ჭირი სამიოდ ამ წელიწადსა წლეულსა, —  
ნუგეშინის ეც წყალობით, ჩემგან წყალობა - ჩვეულსა,  
ნუ დაადინებ თვალთაგან ცრემლსა, სისხლითა ფრქვეულსა (806).

ავთანდილის წასვლის გამო მწუხარებაში ჩავარდნილ შერმადინს ამ წელიწადს ერთი დღე ზედმეტი (ნაკად) შეხვდა სამგლოვიაროდ, რადგან ეს წელიწადი ნაკიანი არისო.

### დანართი მეოთხე

#### ს. ს. ორბელიანის ლექსიკონიდან ამოწერილნი საასტრონომიო ცნობანი

**აგებარძი** — (ვარსკვ).

**ალა** — მთოვარის პირის ლიბრი (ჩალურჯებული)

**ალბასტრო** — კრონოსის ცა (ნახე კრონოსი, ცა)

**ალიონი** — გაცისკრება

**ანთილიოს** — ღრუბლოვანთა შინა მზესთანა რა მსგავსი იხილვებოდეს (კაცთა მიერ)

**აპოლ** — აპპოლო — მზე

**არბასტრო** — ნახე ცა

**არდადეგი** — (არადადეგი) — მზე რა შევა, გასვლამდის. (რა მზე ლომში შევა, გარდასვლამდი არდადეგი არს, 30 დღე. არდადეგი არს, რა მკათათვეში მზე ლომზე შევალს, ვიდრემდის მის გამოცულამდე და სახვისა (ქალწულსა) შესულამდე ოცდაათი დღენი

**არეა** — (ვარსკვ). **მარიხი**. არს მეხუთესა ცასა ზედა, დასავლით აღმოსავალით მიმართ არს ძრვა. და ორომელსა ჭიმჭიმელი ეწოდების, ხოლო ცისა მისსა წელიწადსა შინა ერთგზის მოიქცევის. ხოლო არს ცისა სიმგრულე სამასი ბევრის ბევრი (ხოლო არეას სიდიდე არს ქვეყნისა ოდენი) და ოთხმოცდა ჩვიდმეტი ათას შვიდას სამი ეჯი და სივრცე მისი ასოცდა ორი ათასი ეჯი. ხოლო ქვეყანით იქიმდე სამეოცდა სამი ბევრის ბევრი და ორას სამოცდა ექვსი ათას ხუთასი ეჯი. ამა არიას ცაშია ერთი ვარსკულავი სხვა არის. არს სიმგრულე მისი ორმეოცდა ათი ათასი და ორას ოთხმოცი ეჯი. ხოლო არიას სიდიდე არს ორჯელ ქვეყნის ოდენი. ფილასოფოსთა იგავად უთქვამსთ: არიას სახე ჭაბუკის მსგავსია, არს შეჭურვილი და ხელთა აქვს ხრმალიო.

**არიასი** — სამშაბათი (ნახე კვირა, შაბათი)

**არკატი** — ჩრდილოეთი

**ასპიროზ** (ვარსკვ.) — ესე არს აფროდიტი (ნ) და მთიები. (ესე არს ცისკრის ვარსკულავი, რომელ აფროდიტი და მთიები ჰქვიან. ცისკრის ვარსკულავსა ეწოდების და ქართულად აფროდიტი და მთიები ჰქვიან).

**აფროდიტი** (ვარსკ.) — **ასპიროზ**. მესამე ცაზედა არს, რომელსა ეწოდების მელტავრო, ხოლო ცის მიერ ძრვით დასავლით აღმოსავლისა მიმართ არს, წელიწადსა შინა ერთგზის მოიქცევის; ხოლო აფროდიტის სიდიდე არს 37ჯერ ქვეყნის ოდენი (ესე აფროდიტი მესამესა ცაზედა არს, ხოლო ცის მის სიმგრგულე არს შვიდი ბევრი და 460.000 ეჯი და სივრცე მისი 15 ბევრი და 930 ეჯი, იქიმდე სიმაღლე 551.500 ეჯი. ამ აფროდიტის ცაში ერთი სხვა ვარსკულავია. სიმგრგულე მისი არს 8.210 ეჯი, ხოლო სივრცე 500 ეჯი. ეს აფროდიტე იგი არს, რომელს ცისკრის ვარსკულავს უწოდენ. ეს მოვლის სიმგრგულესა ცისასა ერთს წელიწადსა, ოდესმე ვალს ღამით და ოდესმე დღისით და, ოდეს საცისკროდ ამოვალს, ეწოდების აფროდიტე. ხოლო სიდიდე მისი არს 37ჯერ ქვეყნის ოდენი. ამისას იტყვიან სახესა ქალწულისასა, ხელთა აქვს პურიო (ნ. ასპიროზ, ცთომილნი).

**აფროდიტისა** — ხუთშაბათი (ნ. კვირა, შაბათი)

**აფსინდი** (ვარკ.) (8,11 გამოცხად.) — (ესე იგი ვარსკულავია, იოვანე მახარებელის მიმოხილვაში)

**აღმოსავალი** — ამოსავლეთი

**ბადრი** — გავსილი (სავსე) მთოვარე

**ბუნობა** — არს რა დღე და ღამე გასწორდეს მარტსა და სეკდენბერსა შინა, ხოლო მიქცევასა დღისასა და მოკლებასა ივნისის თთვესა და დეკენბერსა ნაბუნობა ეწოდების (ნ. მარიოტა, ნაბუნობა, ნავროზი)

**ბურჯი** — სხვათა ენათა ჟამთაგან მოსული, ვარსკულავთა ათორმეტთა ზოდიათა უწოდენ და კედლისასა გოდლედი ჰქვიან

**ბლუარი** — სამხრეთი (125,4 ფსალმ.)

**განთიადი** — დილა მოახლებული

**გაცისკრება** — არს უწინარესი განთიადისა (ნათლებისა), ხოლო განთიადი არს მოწვენა ნათლებისა, რაიმე ნაწილი (ხოლო რიჟრაჟი აღმოჩენა ნათლებისა რამდე ნაწილი); ხოლო ალიონი რა ღამე და დღე გაირჩეოდეს. ამათ ყოელთა **დილა** ვიდრე მზის მოსლვამდე და ვიდრე მზის ამოსლვამდე ეწოდების (და ამათ ყოელთა ეწოდების მზის მოსლვამდე დილა, ვიდრე ორჟამ დღისამდე, მზისა ვიდრე ამოსლვამდე, რამეთუ მზის სინათლის სიწითლე აღმოჩნდების ეწოდების **ირიონი**)

**დათვი** — დათვი არის მხეცი მძვინვარე; დათვსა უწოდენ ვარსკულავსა ჩრდილოსასა ერთსა (რომელსა ზედა ბრუნვენ ცანი)

**დასავალი** — მზის დასახედი

**დაფიონა** — ცათ ფერად-ფერადად ელვარობა (”დაფიონასა მას მზისა და მთოვარისასა და ვარსკულავთა გაგებასა”. არეოპაგელის) (ნ. გაცისკრება)

**დეკნა** — ესე არს კრკალი (გრკალი) არს ცისა სამხრით კერძო, რომელსა მზე ზამთარს მას ვერ გასცილდება (...ზამთარს მზე მას ზედა ვალს)

**დისკო** — სიმგრგულე მზისა და ვარსკულავთა (თვალი მზისა)

**ეთერი** — ცეცხლი არს (მეყვესეულად შემდგომად ცისა დაწესებული და გარე) შემცველი ჰაერისა ცათა უმდაბლესად (რომელსა ვერცა მიეახლების მფრინველი, ვერცა ქარი და ღრუბელი, ვერცა ეშმაკნი აღვლენ ზედა კერძო მისსა) (ნახე ცა)

**ერმი** — **ოტარიდი** (ვარსკ.) — ესე მეორე ცასა ზედა (რომელ მას ცასა ეწოდების **ცორანო**, ხოლო ცამ ესე დასავლით აღმოსავლეთად იძვრის, წელიწადსა შინა ერთგზის გარდაბრუნდების. ხოლო ერმის სიდიდე არს 370ჯერ ათასი ეჯი (ამისა

სახეობასა იტყვიან უწვერულსა ჭაბუკისასა შეჭურვილსა, ხელთა ქონებად  
 ძლევისასა) (ნ. ერმისა, ცა, ცთომილნი)  
**ერმისა** — ოთხშაბათი (ნ. კვირა, შაბათი)  
**ეტლი** — ესე არს ურმის მსგავსი კამაროსანი, დიდებულთ საჯდომელად, გარეშეთა  
 წიგნთა ეტლად აღუწერიათ 12 ზოდიათნი და შვიდნი ცთომილნი ვარსკულავნიცა  
**ვარსკულავი** — სიმრავლე ვარსკულავთა არს მერვესა ცასა ზედა. (ხოლო ეს ცაჲ  
 მოიქცევის დასავლით აღმოსავლეთის მიმართ 7020 წელიწადსა შინა ერთგზის). (ნ.  
 მწუხრისვარსკულავი, შვიდმოქცევი ვარსკულავი (ფილაგნთან), ცისკრის ვარსკულავი  
 (აფროდიტესთანაც), ძაღლის ვარსკულავი).  
**ვარსკულავ-მორბედი** — რომელ არს ტატანი (ღამით რომ ვარსკულავი გაფრინდება);  
 არა ვარსკულავი არს იგი, რამედ შეგვამებული ორთქლი იგი ცეცხლებრი, დღეჲცა  
 გაფრინდებიან (ნ. მნათობი).  
**ვერძი** — მამალი ცხოვარი. პირველი ზოდია ცისა (ნ. ზოდიაქო)  
**ვოოტა** — ურიონი (ნ.)  
**ზევს** — დია (ვარსკ.). ზევს ეწოდების დუღილსა და გარდმოსაქანელსა ცხორებისასა  
**ზეით** — უმაღლესსავით  
**ზენა** — ზეითი  
**ზენარი** — ზეით მყოფი  
**ზერე** — ზეითივით  
**ზესთა** — ზეშთა; ზენას უმეტეს-უმაღლესი  
**ზესკნელი** — ზეით უმაღლესი კიდე (ანგელოზთ სამყოფი საუკუნო)  
**ზეშთა** — ზესთა  
**ზეციერი** — ცათა მყოფი  
**ზოდია** — ზოდიაქო  
**ზოდიაქო** — ესენი არიან სახელნი და ნიშანნი სახეთა მათთანი და რომელთა თთვესა  
 მიითუალავს მზე მათ:  
**ვერძი** თთვესა მარტსა 20 მიითუალავს მზესა  
**კურო** აპრილსა 20  
**მარჩბივი** მაისსა 21  
**კირჩხიბი** ივნისსა 22  
**ლომი** ივლისსა 23  
**ქალწული** აგვისტოს 23  
**სასწორი** სექტემბერსა 23  
**ღრიანკალი** ოკტომბერსა 23  
**მშვილდოსანი** ნოემბერსა 22  
**თხის რქა** დეკემბერსა 22  
**მერწყული** (წყლის საქანელი) იანვარსა 20  
**თევზი** თებერვალსა 19  
**ზუალი** — **კრონოსი** (ვარსკ.) (ნ. ცთომილნი)  
**ზუაჰლი** — ქართული არ არის, **კრონოსი** ჰქვია (ნ. კრონოსი)  
**ზუჰალი** — (ნ. ზუალი, ზუჰალი)  
**თადგირი** (ვარსკ.) — ესე არს ვარსკულავი, რომელი რა აღმოჰხდების, სიწითლეს  
 მისცემს რომელთამე ნივთთა და რომელთამე ხილთა  
**თევზნი** — ყოელნი წყლიერნი. ზოდია (ნ. ზოდიაქო)  
**თხის რქა** — მეთე ზოდიაქო (ნ. ზოდიაქო)

**ივლონა** — ესე არს გრკალი ცისა ჩრდილოეთ კერძო, რომელსა ზაფხულის მზე მუნით მიიქცევის და ვერ გასცილდების

**ისფერებს** — სფერო იქმნების

**ისფერობს** — იგივე სფერო იქმნების

**კიმკიმელი** — დიას ცა (ნახე დია, ცა)

**კინტრო** — ესე არს ქუეყანით ცის კიდის ჩენა, რაოდენსაცა ქვეყნის სიბრტყის ჩენა ცის კიდემდე (რომელსა ფრანგნი ორიზონტედ უწოდენ)

**კირჩხიბი** — ეწოდების ზოდიაქოსა მაისისასა (?) (ნახე ზოდიაქო) ამის შესახებ იხილეთ ამ ჩემს წიგნში, გვერდი 107.

**კონდიო** — კონდიოს — ვარსკულავად იტყვიან, სავნებელ ჰყოფს წამალსა, რა აღმოჰხდესო

**კოჭიმელი** — მზის ცა მეოთხე (ნ. მზე, ცა)

**კრონოსი** — ესე ვარსკულავი არს მემზიდესა ცასა ზედა (რომელსა ეწოდების **ალბასტრო**), ხოლო მოიქცევის ცაჲ ესე დასავლიდამ აღმოსავალისა მიმართ 30 წელიწადთა შინა ერთგზის, ხოლო კრონოსისა სიდიდე არს 90ჯერ ქვეყნის ოდენი (ხოლო ამის სახეობასა იტყვიან ბერისა კაცსა მსგავსობასა, მარჯვენასა ხელსა აქვს ცეცხლი და მარცხენასა გველი მობოკვლილი. კრონოსი გამოითარგმნების: სისავსე მონებისა, ანუ სიმამლრედ, რომელ ყოველი გამძლარი სავსეა (ნახე ცა, ცთომილნი)

**კრონოსისა** — შაბათისა (ნ. კვირა, შაბათი)

**კურო** — ხარი გამოუყვერავი; მეორე ზოდიაქო ცისა (ნ. ზოდიაქო)

**კვიმატი** — ბოროტი ჟამი, თუ ვარსკულავი

**კვირა** — ეწოდების ერთ შვიდეულსა, ხოლო პირველსა დღესა, რომელ არს ერთშაბათი, ეწოდების ბერძნულ კვირიაკე, ხოლო ქართულად — საუფლო და მზისა; ორშაბათს — მთოვარისა; სამშაბათს — არიასი; ოთხშაბათსა — ერმისა; ხუთშაბათსა — აფროდიტისა; პარასკევსა — დიოსისა და შაბათს — კრონოსისა.

**ლომი** — ზოდიაქო (ნ. ზოდიაქო)

**მარიოტა** — მას ცის გრკალსა ეწოდების, რომელსა ბუნობასა მზე მას ზედა ვალს (გასწორებასა დღისა და ღამისასა)

**მარიხი** — არია (ნ. ცთომილნი)

**მარსკვლავი** — ნ. უძრავი მასკვლავი

**მარჩბივი** — ტყუბი ცხოელი (ნ. ზოდიაქო, ტყუბი)

**მელტავრო** — აფროდიტის ცაჲ მესამე (ნ. აფროდიტი, ცა)

**მენაკი** — ესე არს ხარისხი ცათა მზომელობისა

**მეოდახად** — რომელიმე დიას იტყვიან, რომელიმე კრონოსსა; რომელიმე ბაბილონს შინა გამეფებულსა

**მერწყული** — წყლის მზიდავი (ნ. ზოდიაქო)

**მეცხრე ცაჲ** — უწოდეს ბროლის (ბოლოჲს) ცასა, რომლისა მოქცევასა ფილასოფოსნი რომელნიმე 49.000 წელიწადთა შინა იტყვიან და რომელნიმე 36.000 წელთა შინა და ამა ცის მოქცევის შემდგომად სოფლისა აღსასრულსა და ყოელთა ცათა სამკაულთა მოშლასა და მაშინლა სასჯელსა

**მზე** — ესე არს მეოთხესა ცასა ზედა (რომელსა ეწოდების **კოჭიმელი**), ხოლო არს სიდიდე მზისა 166ჯერ ქვეყანის ოდენი. ესე ცაჲ ერთჯერ მოიქცევის წელიწადსა შინა დასავალით აღმოსავალისა მიმართ (სახესა მისსა იტყვიან მეფისა გვირგვინოსანსა, ხელთა აქვს ჟინჟილიო (ნ. იმზო, გაამზევნე, ენამზეობა, მითრად, სამზეური, ცთომილნი)

**მზეგრძელობა** — დღეგრძელობა

**მზენაობა** — ენამზეობა ენა ნათლად მეტყველება  
**მზისა** — კვირიაკე საუფლო (ნ. კვირა, შაბათი)  
**მზის მოქცევი** — 28 წელიწადთა მოქცევა მზის მოქცევად იწოდების. ვინადგან მას შინა არიან სლვანი წელიწადთანი და თთვის დადევნი და დღენი ნაკთან და ხელთა ცხრილებნი და კალენდრანი, ხოლო ვინცა მათემატიკას ისწავლის, მრავალს სხვადა ჰპოებს  
**მთაბობონ** — (ვარსკ.)  
**მთენი** — მანათებელი  
**მთიები** — ესე არს აფროდიტი, რომელ არს ცისკრის ვარსკულავი; მთიები ითქმის განმამათლებლად, გინა მათენებლად. მთიები, რომელი ესაიას წიგნში 14,12 წერილ არს, იგი არს მთავარი ეშმაკთა და აწ წმიდათათვის არს სახელი იგი და ადგილი მისი ზეცისა სასუფეველსა (ნ. ასპიროზ, აფროდიტი)  
**მთოვარე** — მთვარე ესე არს უქვემოესა ცასა ზედა (რომელ ცასა მას ეწოდების ჭირანო). ესე მოიქცევის დასავლით აღმოსავლისა მიმართ 29 დღე, ერთ ჟამ და 33 წამსა. ხოლო მთოვარის სიდიდე არს მესამედი ქვეყნის ოდენი (ხოლო მთოვარი სახესა ქალისასა იტყვიან, ხელთა აქვს ისარიო) (ნ. ცა, ცთომილნი)  
**მთოვარისა** — ორშაბათი  
**მთოვარის მოქცევი** — ეწოდების 19 წელიწდისა მოქცევათა, ზედნადებთა, ხუთეულთა, ექვსეულთა და მცხრალის რიგთა და ესევითართა  
**მითრად** — ძველი სპარსული ენით მზე  
**მნათობნი** — არიან ვასკვლავნი. უმეცართ მნათობად უთქვამთ ვარსკულავმორბედი, რომელ არს ტატანი  
**მოგვი** — ვარსკულავთ მრიცხველი, გინა გრძნეული  
**მოვანება** — მთოვარის გავსა  
**მოქცევა** — ესე არს, რადცა იქცევიან და ბრუნვენ: ცანი, ვარსკულავნი, ჟამნი, წელიწადნი  
**მუშთარი** — ნახე ცთომილნი  
**მშვილდოსანი** — მეცხრე ზოდია; მშვილდის მქონებელი (ნ. ზოდიაქო).  
**მცხრალი** — გავსილის მთოვარის დაკლება  
**მწუხრის ვარსკულავი** (9,9 იობი)  
**ნავროზი** — სხვათა (სპარსთა) ენაა. ქართულად ბუნიობა ჰქვიან (დღე და ღამის გასწორებასა)  
**ორანო** — ბერძნულად ცა; ზეაღსახედი თუ საზღვარი ზენა  
**ორიონი** — რა მზე აღმოჩნდებოდეს და შუქნი მოახლებულ იყოს (13,10) ესაია). (ნ. გაცისკრება)  
**ოტარიდი** — ერმი (ნ. ცთომილნი)  
**პლიადი** — ხომი  
**სამყარო** — ესე ცაჲ არს უძრავი და მყარი გარეგან სხვათა ცათა (1,5 დაბდ.), რომელსა ზედა არს სასუფეველი და მხედრობა ცათა). (ნ. ცა)  
**სამშაბათი** — არიასი (ნ. არიასი, კვირა, შაბათი)  
**სამხრეთი** (47,19 ეზეკია) — ბღუარი. თემანი, ონოტო, ორიოლი და ვორიო ყოელივე სამხრეთის სახელია  
**სარტყელი** (3,4 მათე) — წელსარტყამი. სარტყელად უთქვამთ შვიდი იგი სფერონი ცისანი, რომელთა ვლენან შვიდნი ცთომილნი  
**სასწორი** — მეშვიდე ზოდიაქო (ნ. ზოდიაქო)  
**საქანელნი ცათანი** (7,11 დაბად.) — კარად ითქმის, გინა სარკმლად (1,10 მალაქია)



**სფერო** — სპირა. ესე არს სიმგრგულე ცათა და მსგავსი მისი, რომელი ყოვლით კერძო მრგვალი იყოს, არა მხოლოდ ზედეთ, არამედ ქვედათაცა, რომელი იყოს მიზეზი ერთი მეორისა; სადა იწყოს, მუნვე დასრულდეს და სადა დასრულდეს, მუნვე იწყოს (ნ. ისფერებს, ისფეროებს, უკუნისფრა)

**სხივი** — მზისა და ვარსკულავთა და მნათობთა გარეშემო განფენილი ბრწყინვალეობა (ნ. შესხივებული)

**ტატანი** — ვარსკულავთმორბედი (ნ. მნათობი)

**ტყუბი** — ზოდია

**ურიონ** — ვოოტა, ოცდაორნი იგი ვარსკულავნი იწოდებიან ურიონად, რომელსა ვიეთნი ვოოტად სახელსდებენ და არიან იგინი კერძოსა ჩრდილოსასა ერთბამად, ვითარცა ერთი ვარსკულავი

**უძრავი მასკვლავი** — კომეტა

**ფილაგი** — პატარა დათვი (ჩრდილოეთ კერძო შვიდმოქცევი ვარსკულავი ქართულად), ხოლო სპარსულად ცა

**ფრთე** — ეწოდების ოთხთა კერძთა ქვეყანისათა

**ქალწული** — ქალი უბიწო; ზოდიაქო

**ქნარი** — ვარსკულავი

**ღაზარინელი** — სიზმრის ამხსნელი, ან ვარსკულავთ მრიცხველი

**ღრიანკალი** — ზოდიაქო

**ყამარ** — ნახე ცთომილნი

**შაბათი** (20,10 გამოსლ.) — ებრაული არს, განსვენებად გამოითარგმნების. ხოლო ქართულად შაბათისა სახელი არს — კრონოსისა, კვირიაკისა — მზისა და საუფლო, ორშაბათისა — მთოვარისა, სამშაბათისა — არიასი, ოთხშაბათისა — ერმისა, ხუთშაბათისა — აფროდიტისა, პარასკევისა — დიოსისა

**შამსი** — ნახე ცთომილნი

**შარავანდედი** — მზის სხივის ძლიერება (მზის სხივი და ძლიერება), გინა მეფეთ მეფობა

**შარავანდი** — სამეფო გვირგვინი მსგავსი სხივთა

**შუქი** — მზისა, გინა სინათლისა სინათლე განფენილი

**ჩრდილოეთი** — ნოტია, არკატო, ბარადასა — ყოელივე ჩრდილოეთსა ეწოდების

**ცად** არს გარე შემცველი ყოელთა დაბადებულთა და შექმნილთა ნივთიერთათა, ხოლო ცანი შეცულ არიან სასუფევლისაგან, სადა არს საყოფელი ანგელოზთა და წმიდათა. ხოლო მხოლოდ ღმერთი არს ყოველთა შემცველი და გარეშემოუწერელი. ცისასა რომელნიმე ოთხთა კავშირთაგან (ასოთაგან) იტყვიან შემზადებასა. ხოლო რომელნიმე გარეშე ოთხთა კავშირთასა ქმნილსა შემოქმედისა მიერ. ქუეყანა არს მგრგულა და გარეშეცული ჰაერისაგან; ხოლო ჰაერი გარეშეცული ეთერისა მიერ; და ეთერი მთოვარისა ცისა მიერ, რომელსა სახელედების **ჭირანო**; და მერმე ერმისა ცა, რომელსა ეწოდების **ცორანო**; და მერმე აფროდიტის ცა, რომელსა ეწოდების **მელტავრო**; მერმე მზის ცა, რომელსა ეწოდების **კოჭიმელი**; მერმე არიას ცა, რომელსა ეწოდების **ჭიმჭიმელი**; მერმე დიას ცა, რომელსა ეწოდების **კიმკიმელი**; მერმე კრონოსის ცა, რომელსა ეწოდების **არბასტრო** (ალბასტრო); მერმე ვარსკულავთ ცა, რომელი აღმოსავალით დასავლად მიიქცევის; მერმე მეორე მძურელი ცა; და მერმე პირველი მძურელი ცა, რომელი ყოელთა ცათა აღმოსავალით დასავლად გარდააბრუნებს და მსგავსი არს ბროლისა, ხოლო გარეგანი ცა არს სამყარო, რომელი შეცულ არს სასუფევლისაგან...

**ცად** — ცაში

**ცაზედ** — ცასა ზედედამ

**ცათა** — ცებთა

**ცათაგან** — ცებიდან

**ცათ მოხილვა** — ცების ნახვა

**ცამდის** — ზეცამდის

**ცანი ცათანი** — ცა ცებისა

**ცთომილნი** შვიდნი იგი ვარსკულავენი უკუე ითქმიან ცთომილად, რომელნი შვიდთა მათ ცათა შინა თვთოეულნი არიან, რომელთა სახელები ესე არს ქართულად, არაბულად, იტალურად —

მთოვარე, ერმი, აფროდიტი, მზე, არია, დია და კრონოსი. ყამარ, ოტარიდ, ასპიროზ, შამს, მარხ, მუშთარ და ზუალ; ლუნა, მერკურიო, ვენერე, სოლე, მარტე, ჯოვე და სატურნო.

ესენი არიან რომელნიმე განმანათლებელად ქუეყანისა, რომელნიმე დარებთა სასწაულებად, რამეთუ რომელსამე გაუპირისპირდების მთოვარე, მით იქმნებიან გვალვა, წვიმა, სეტყუა, ქარნი და ყოველივე დარი. ხოლო ათოთხმეტისა დღისა მთოვარე ოდეს გაივსების, პირის - პირ უჭკრობს მზესა და სრბასა შინა უკეთუ ორთავე შორის დაეპყრა ქუეყანა და ქუეყანასა ზედა იყოს მთოვარე და ქვეშე ქუეყანისა მზე, ვერღარა იხილავს მზე პირსა მთოვარისასა და მოაკლდების მთოვარესა ნათელი, რამეთუ აჩრდილი ქუეყანისა დააბნელებს, ვინათგან მთოვარესა თავის თვსით არა აქუს ნათელი არამედ ვითარცა სარკე არს ქმნულება მისი და რაოდენსა ხედავს მზე, ეგოდენი აქუს ნათელი. ხოლო ოცდაცხრისა მთოვარე ვერა ხედავს მზესა, ამისთვის უნათლო არს და, უკეთუ სრბასა შინა უნათლო მთოვარემან განვლო ქვეშე სისწორ მზისა, დაჰფარავს ნათელსა მზისასა და მოაკლდების მზესა ნათელი და დაბნელდების.

**ციაგი** — მზის სხივი

**ციერი** — ვარსკულავი

**ცისარტყელა** — ცის მშვილდი

**ცისიერი** — ესე არს ჰაერთა შინა რამც იქმნების: ელვა, ქუხილი, მეხი, ტატანი, ვარსკულავკუდედი, სეტყვა და რამც შუქი და ნიშანნი გამოჩნდების

**ცისკარი** — მოწვენა განთიადისა (ნ. გაცისკრება, იცისკრა)

**ცისკრის ვარსკულავი** — მთიები, აფროდიტი

**ცის მშვილდი** — ცისარტყელა

**ცის ნატეხა** — ქვა შავი, ჭიქის მსგავსი

**ცის ფერი** — ლურჯი

**ცის ხეული** — ლურჯი

**ცორანო** — ერმის ცა (ნ. ერმი, ცა)

**ცხრომა** — გავსებულის მრთოვარის მოკლება (ნ. მცხრალი)

**ძალღი** — ვარსკულავი

**წამი** — აქვს ჟამსა ერთსა წამი სამოცი; წამსა ერთსა — **წუთი 60**; წუთსა ერთსა — **კესი 60**; კესსა ერთსა — **მასი 60**; მასსა ერთსა — **არდი 60**; არდსა ერთსა — **მეყი 60**; მეყსა ერთსა — **წენი 60**; წენსა ერთსა — **ვაწე 60**; ვაწესა ერთსა — **ბლისი 60**; ბლისსა ერთსა — **ნვინი 60**; ესე არს ცისმზომელობათა რიცხვი ხარისხთანი (აქვს ჟამსა ერთსა **წენტლია** ოთხი, ხოლო ერთსა წენტლიასა — **წამი 15**, რომელს ერთისა ჟამისა წამნი 60 იქნებიან. არამედ პირველად ვისმე ჟამთასა ერთი ჟამი ხუთ წენტლიად ყოფილა და ერთი წენტლია — 12 ჟამად და შემდგომად ასრეთ ჯერ უჩენიათ.

**წყლის საქანელი** — ესე არს სიღრმიდან წყლის ამოსაღებელი, გინა ზოდიაქო მეთერთმეტე; იანვარსა 20 რა მზე შევალს (ნ. მერწყული).

**ჭიმჭიმელი** — ესე არს არიას ცა მეხუთე (ნ. არეა, ცა)

**ჭირანო** — მთოვარის ცა უქვემორესი (ნ. მთოვარე, ცა)

**ჭოგრიონი** — დიდი დურბინდია ვარსკულავთა და პლანეტთა გასასინჯავი და შორს მხედველი, თელესკოპი

**ხუთშაბათი** — აფროდიტისა (ნ. აფროდიტისა, კვირა, შაბათი)

**ხომი** — ხომლი (4 მეფ. 23,5) (ნ. ხომლი)

**ხომლი** — მრავალვარსკულავი (ნ. ხომი)

**ჰალავაკი** (ჰატარავაკი) — ვარსკულავთა ერთი

**ჰუბუტი** — ვარსკულავთა ადგილსა რასამე ეწოდების არაბთა ენითა

## ვეფხისტყაოსანის ვარსკულავთმეტყველება

### მასალათა მათითებელი

1. Sbornik Zakonow Grusinskogo Zarja Wajtan. ga VI. Tiflis, 1887. Str. 219.
2. Enziklopaedia des Islam, herausgegeben von M. Th. Hoietsma... Leiden-Leipzig, 1913. Band I. Seite 514.
3. დაბადება (ბიბლია). თბილისი. 1884.
4. Le Coran, traduit de l'Arabe par M. Savary.
5. Oskar Ruehle — Sonne und Mond in primitiven Mythos. Tübingen, 1925. Seite 2.
6. Prof. Ar. Drews — Der Sternhimmel... Iena, 1923.
7. Prof. E. Takaishvili — Georgian Chronology. Georgica. Vol. I. London, 1935.
8. ს. ს. ორბელიანი — ქართული ლექსიკონი. პროფ. იოსებ ყიფშიძის და პროფ. აკაკი შანიძის რედაქციით. თბილისი, 1928.
9. Prof. C. de Harlez — Manuel de la langue de l'Avesta. Paris, 1882. p. 389.
10. Prof. V. X. Kugler — Kulturhistorische Bedeutung der babilonischen Astronomie, in Görres Gesellschaft. Koeln, 1907. S. 39.  
Prof. Franz Boll — Sphaera. Leipzig, 1903.  
Prof. Alfred Eremias — Handbuch der altorientalischen Geisteskultur. Berlin, 1927.  
Prof. A. Drews — Der Sternhimmel. Iena, 1923.
11. Prof. Iensen — Ursprung und Geschichte des Tierkreises. Deutsche Revue. 1890. Band VI.
12. პავლე ინგოროყვა — ქართული წარმართული კალენდარი. "საქართველოს მუზეუმის მოამბე". თბილისი, 1931. წიგნი 6.
13. Kosmographie von Zakarias von Kazwin. Leipzig, 1868. S. 112.
14. I. Bidé et Fr. Cumont — Les Mages Hellenisés. Paris, 1938. p. 131.
15. Prof. Fr. Cumont — Astrology and Religion among Greeks and Romans. London, 1912. p. 54.
16. Prof. Fr. Cumont — Les religions orientales dans le paganisme romain. Paris, 1929. p. 125.
17. Prof. Fritz Sachsl — Beitrage zu einer Geschichte der Planetendarstellungen im Orient und Oczident. "Der Islam". Stuttgart. 1912. Band III. S. 153.
18. Miraha Hihira — Brihat Iataka — Nativitaetslehre. Hamburg, 1925. S. 42.

19. Astrologia. Enciclopedia universal ilustrada europeo-americana. Barcelona. tomo VI. p. 796.
20. A. G. Trent — The soul and the stars. London, 1933. u. 8.
21. Ernest Bosc — Dictionnaire d'Orientalisme, d'Occultisme et de Psychologie. Paris, XCVI, tome I. p. 301.
22. Diesterwegs populaere Himmelskunde. Leipzig, 1941. S. 190.
23. Félix Hermann — Les gemmes et les perles dans le monde. Paris, 1949. p. 99.
24. Dr. Bruno Archibald Fuchs — Die Ikonographie der sieben Planeten. München, 1909. S. 37, 39.
25. Prof. Zinner — Die geschichte der Sternkunde. Berlin, 1931.
26. Prof. W. Gundel — Sternbilder und Stern Glaube. Paul Wissova Realencyclopaedie. B. III. S. 414. Band III. S. 2414.
27. Prof. Boll. Gundel — Stern Glaube und Sternsymbolik der Griechen und Roemern. Roscher's Mythologie. B. IV. S. 995.  
Stern Glaube und Sterndeutung. Die Geschichte und das Wesen der Astrologie, unter Mitwirkung von Prof. Karl Betzold, dargestellt von Prof. Dr. Franz Boll. Leipzig-Berlin, 1919.
28. Prof. Albert Rivaud — Les grands courants de la Pensée Antique. Paris, 1946. p. 189.
30. Prof. Karl Broeckelmann — Geschichte der arabischen Literatur. Weimar, 1898.
31. Prof. Cl. Huart — Littérature arabe. Paris, 1922. p. 293.
32. "Der Islam". Stuttgart, 1912. Band III. S. 160.
33. Ali Mazahéri — La vie quotidienne des Musulmans au Moyen Age. Xe au XIIIe s. Paris, 1951. p. 160-165.
34. Prof. Carlo Alfonso Nalino — Muhammedan Sun, Moon and Stars. Encyclopaedia of Religion and Ethics, edited by Hastings. Vol. XII. p. 90.
35. Basilio Tatakis — Filosofia bizantina. Buenos Aires, 1952. p. 102.
36. Prof. Louis Bréhier — La civilisation Byzantine. Paris, 1950. p. 73-74.
37. Prof. Betzold-Boll — Stern Glaube und Sterndeutung. Leipzig, 1919. S. 38.
38. Prof. Fr. Boll — Die Sonne im Glauben und in der Weltanschauung der alten Voelker. Stuttgart, 1922. S. 4.
39. Prof. Fr. Cumont — Zodiaques. Dictionnaire des Antiquités Grecques et Latines. Enciclopedia universal ilustrada europeo-americana. Barcelona. tomo 70. p. 1324.  
M.M. Gorce — La religion poétique populaire du Moyen Age. Histoire générale des Religions sous la direction de M.M. Gorce et R. Mortier. Paris, 1947. Vol. IV. p. 71.
40. O. G. von Wesendonk — Aus der kaukasischen Welt. Berlin, 1926. S. 216.
41. P. Coudec — L'Astrologie. Paris, 1951. p. 25.
- 41a. Prof. Jacques Risler — La civilisation arabe. Paris, 1955. p. 46.
42. სოლ. ყუბანეიშვილი — ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომატია. თბილისი, 1946. გვ. 28-31.
43. პროფ. კორ. კეკელიძე — ძველი ქართული ლიტერატურა. თბილისი, 1923. წიგნი 1. გვ. 439, 309.
44. კ. კეკელიძე და ა. ბარამიძე — ქართული ლიტერატურის ისტორია. თბილისი, 1954. წიგნი 1. გვ. 67.
45. Sbornik Materialow... Tiflis, 1902. Vip. 31. st. 118.
46. D. Bakradse — Arkheologitschesloe puteschestwje po Gurii i Adtschare. Petersbourg. 1817. Str. 231.

47. ექვთიმე თაყაიშვილი — პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი საიდუმლო დამწერლობის ნიმუში. პარიზი, 1933.
48. ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, ექვთიმე თაყაიშვილის რედაქციით. თბილისი, 1906. გვ. 8 და სხვა.
49. ქართლის ცხოვრება, ზაქარია ჭიჭინაძის გამოცემა. თბილისი, 1897. გვ. 404, 434.
50. მოსე ჯანაშვილი — თამარ მეფე. თბილისი.
51. Prof. Fr. Cumont — Les Mysteres de Mithra.
52. Hercule Straus-Durckheim — Théologie de la Nature. Paris, 1852. tome II. p. 392.
53. I. Kroll — Die Lehren des Hermes Trismegistos. Beitrage zur Geschichte der Philosophie des Mittelalters. Münster, 1914. B. XII. Heft 2-4. S. 307.
54. Hans Krale — Geistige Welt. 1, 3. III. 1938. 1917. გვ. 90.
55. Prof. Hugo Dingler — Von der Tierseele zur Menschenseele. Leipzig, 1943. S. 277.
56. Luz. Enciclopedia univ. ilustr. europeo-americana. Barcelona. Tomo 31.  
Prof. Ed. Kalt — Biblisches Reallexikon. Paderborn, 1938. B. II. S. 54.
57. Plotin — Enneades. t. 1, 5.
58. Dr. Simone Pétrement — Le dualisme chez Platon, les gnostiques et les manichéens. Paris, 1947. pp. 161, 165, 176, 235, 236, 237, 284.
59. Dante — Paradiso, translated by J. Thomas. London.
60. M. Brosset-Jeune — Eléments de la langue géorgienne. Paris, 1837. p. 277.
61. Drevnosti Vostotschnia. Moskwa, 1891. St. 237.
62. de Boer — Nur. Handwoerterbuch des Islam. Leiden, 1941. S. 591.
63. Prof. W. Gundel — Sterne und Sternbilder. Bonn, 1929. S. 218.
64. Hans Bauer — Die Psychologie Alhazems. Beitrage zur Geschichte der Philosophie des Mittelalters. Münster, 1914. B. X. Heft V. S. 40.
65. Henri Massé — Anthologie persane. Paris, 1950. p. 392.
66. E. F. Scott — Gnosticism. Encyclopaedia of Religion and Ethics, edited by J. Hastings. N. York, 1913. Vol. VI.
67. Immanuel Velikowsky — Welten im Zusammenstoss. Zürich-Wien, 1925. S. 338.
68. Prof. J. Karst — Code Géorgien du Roi Vakhtang VI. Strassbourg, 1934. p. 37.
69. პავლე ინგოროცვა — გიორგი მერჩულე. თბილისი, 1954. გვ. 0100.
70. Thomas Whittaker — The Neo-Platonists. Cambridge, 1928. p. 307.
71. Fr. Cumont — Afterlife in roman paganism. New-Haven, 1922. p. 94.
72. Prof. St. Runciman — Le Manichéisme Médiéval. Paris, 1949. p. 20.
73. ვეფხისტყაოსანი, დავით კარიჭაშვილის რედაქციით. თბილისი, 1913.
74. ვ. ნოზაძე — ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველება. ბუენოს აირეს, 1953. გვ. 83.
75. Prof. Wundt — Völkerpsychologie. Leipzig, 1909. B. II. T. III. S. 540.
76. Helmuth von Glasenap — Buddhistische Mysterien. Stuttgart, 1941. S. 83.
77. Prof. W. Gundel — Neue astrologischen Texte des Hermes Trismegistos. München, 1936. S. 509.
78. Miradj. Handwörterbuch des Islam. Leiden, 1941. S. 509.
79. Prof. O. Jeremias — Handbuch der altorientalischen Geisteskultur. Berlin, 1927. S. 137.
80. Nisami — Pjat Poem. Moskva, 1946.
81. Prof. Julius Wellhausen — Israelitische-iudische Religion. Geschichte der christlichen Religion. Berlin, 1922. S. 36.
82. M. Braun — Jésus. L'Histoire générale des religions, sous la direction de MM. Gorce et R. Moatier. Paris, 1945. p. 137.

83. Acad. René Berthelot — La pensés de l'Asio et l'Artrobiologie. Paris, 1949. p. 24-38.  
 Prof. Paul-Wissowa Realencyclopaedie. Band I. S. 77, 107. B. II. S. 1139.  
 Prof. Roscher — Mondgöttin, in Roscher's Lexikon der griechischen und römischen Mythologie. B. II. S. 3199.  
 Prof. A. Jeremias — Handbuch...  
 Prof. Ludwig Ideler — Untersuchungen über den Ursprung der Sternnahmen. Berlin, 1809. S. 316.
84. S. Landon — La religion Assyro-Babylonienne. M. Gorce et R. Mortier — Histoire gén. des religions. Paris, 1948. t. I. p. 397.
85. ია ეკლამე — ანთოლოგია. ქუთაისი, 1927. გვ. 46.
86. Prof. W. Gundel — Mond.  
 Ernst Wüst — Mondgöttheit.  
 Swen — Selene — in Pauly-Wissowa's Realencyclopaedie. Band I. S. 77, 107. B. II. S. 1139.
87. პროფ. ივ. ჯავახიშვილი — ქართველი ერის ისტორია. თბილისი, 1913. წიგნი 1, გვ. 106.
88. Prof. W. Nestle — Schwabisch-Protestantise blatt. Bremen, 1904. Nom. 11.
89. Adrien Legrand — Luna. Dictionnaire des Antiquités Grecques et Romains, par Ch. Daremberg et Edm. Saglio. Paris, 1877. p. 1387.
90. ქება ქებათა, თარგმანი პროფ. გრიგოლ ფერაძისა. "ჯვარი ვაზისა". პარიზი, 1932, წ. 2.
91. Prof. Louis Renou — Anthologie Sanscrite. Paris, 1947. p. 304-307.
92. "ჯვარი ვაზისა", პარიზი, 1932. წიგნი 2.
93. Actes du sixieme Congres international des Orientalistes. Leiden, 1855. p. 299.
94. Le Livre des Rols par Abu'lkasim Firdousi, publié, traduit et commenté par M. Jules Mohl. Paris, 1838. t. I. p. 567.
95. Henri Massé — Anthologie persane. Paris. 1950. p. 14.
96. Reynold Alleyne Nicholson — Studies in Islamic Poetry. Cambridge, 1921. p. 21.
97. Les Quatrains de Ke'yam, trad. par J. Nicolas. Paris, 1867. p. 200.
98. Gulistan de Sadi de Chiraz, par N. Semelet. Paris, 1834. p. 186.
99. Journal Asiatique. Paris, 1928. N. II. p. 245.
100. S. Pampolini — Historia universal de la literatura. Buenos Aires, 1940. p. 519.
101. Ar. Kahn — La littérature arabe. Paris. p. 179.
102. Les mille et une nuits, trad. par Galland.
103. A. R. Nykl — Hispano-Arabic Poetry and its relation with the Old Provençal Troubadours. Baltiwore, 1946. p. 40, 141, ff. 238, ff.
104. Prof. Jacques C. Risler — La civilisation arabe. Paris, 1955. p. 90.
105. Nisami — Pjat Poem. Moskva, 1946.
106. Prof. O. Jeremia — Sterne. Roscher's Lexikon. B. IV. S. 1474.
107. Prof. Ed. Stucken — Astralmythe. Leipzig, 1896. B. V. S. 460.  
 A. H. SAYS — Babylonian Cosmology. Hastings Enc. of Rel. and Ethics. Vol. IV. p. 129.
108. Mackensen — Drache. Handwörterbuch des Deutschen Aberglaubens. B. II. S. 364.
109. Friedrich Norman — Mythen und Sterne. Stuttgart, 1925. S. 448.
110. N. V. Thomas — Animals. Hastings Enc. of Rel. and Ethics. Vol. I. p. 513.
111. John Peters — Hebrew Cosmology. Hast. En. of Rel. and Eth. Vol. IV. p. 153.
112. Prof. A. Jeremias Hanbuch... S. 57.

113. J. A. Mackcullach — Serpernt worship. *Hast. Enc. of Rel.* Vol. XI. p. 407.
114. M. H. Ananakian — Zoroastrian Armenia. *Hast. Enc. of Rel.* Vol. I. p. 799.
115. V. W. Thomas — Animals. *Hastings Enc. of Rel and Ethics.* Vol. I. p. 513.
116. Mackensen — Drache. *Handwoerterbuch des Deutschen Aberglaubens.* B. II. S. 364.
117. Acad. Jubar — Florence. Paris, 1906. p. 87.
118. Richard Lasch — Die Finsternisse in der Mythologie und in Religionsbrauch der Voelker. *Archiv für Religionswissenschaft.* Leipzig. 1906. Band III. S. 97.
119. T. Fu — Chinese Sun, Moon, and Stars. *Hastings Encycl. of Rel and Ethics.* Vol. VII. p. 74.
120. Prof. O. Jeremia — Sin. *Roscher's Lexikon.* Band IV. S. 898.
121. Prof. Fr. Boll — Astronomie. *Die Kultur der Gegenwart.* Berlin, 1921. S. 5.
122. Kazwin's Kosmographe, von der arabischen übersetzt von P. Ethé. Leipzig, 1868. S. 34, 37, 52.
123. Auguste Briceux — Roustem et Sohrab. Liege, 1938. p. 19.
124. ნოდარ ციციშვილი — შვიდი მთიები (ბარამ გური), პროფ. კორ. კეკელიძის რედაქტორობით. თბილისი, 1930.
125. N. Marr — *Drewnegrusinskie odopistsi. Texti i Pasiskanja.* S. Petersburg, 1902. Kniga IV.
126. Prof. W. Gundel — Sternglaube, Sernreligion und Sternorakel. Leipzig, 1933.
127. A. Bouché-Leclercq — *Histoire de la Divination dans l'Antiquité.* Paris, 1879. t. I. p. 228.
128. *The Encyclopaedia Britannica.* London, 1929. Vol. X. p. 452.
129. Fr. Cumont — *Die Mysterien des Mithra.* Leipzig, 1911. S. 95-135.
130. *The Encyclopaedia Britannica.* London, 1929. Vol. XIV. p. 801.
131. Charles Puech — le Manichéisme. *Histoire général des religions* sous la direction de M. MM Groce et R. Mortier. Paris, 1947. Vol. II. p. 85-116.
132. "ძველი საქართველო". თბილისი. 1909. წიგნი 1. გვ. 110.
133. William Davidson — Desire (Neo-Platonists). *Hastings Enc. of Rel. and Ethics.* N. Y. V. IV.
134. *Catalogus Codicum Astrologorum Graecorum.* Bruxelles. Vol. VIII. p. II. p. 172.
135. J. Abrahams — Ibn Gabirol. *Enc. of Rel. and Ethics,* by Hastings. 1914. Vol. VII. p. 69.
136. Dr. Michael Sachs — *Die religiöse Poesie der Juden in Spanien.* Berlin, 1901. S. 229.
137. ვეფხისტყაოსანი, დ. კარიჭაშვილის რედაქციით. თბილისი, 1913. შესავალი, გვ. 26.
138. პროფ. კორ. კეკელიძე — ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. წიგნი 2. გვ. 260.
139. Prof. Stuck — *Astralmythen.*  
 Prof. L. Ideler — *Untersuchungen über den Ursprung der Sternennahmen.* Berlin, 1807.  
 Prof. A. Drews — *Sternennahmen.* Jena, 1923.  
 Prof. F. Boll — *Sphaera...*
140. Fr. Maleck-Karam — *Dictionnaire fran.-iranien.* Tehéran, 1937. p. 29.
141. Paf. L. Ideler — *Untersuchungen...* S. 159.
142. შაკ-ნამეს ქართული ვერსიები. პროფ. ი. აბულაძის რედაქციით. თბილისი, 1916. გვ. 810.
143. პავლე ინგოროყვა — რუსთველიანა. თბილისი, 1926. გვ. 14.

144. "მნათობი". თბილისი, 1927. წიგნი 2. გვ. 184.
145. "მნათობი". თბილისი, 1927. წიგ. 5-6. გვ. 188.
146. The Man in the Panther's skin, a romantic epic by Shot'ha Rust'haveli, a close rendering from the georgian, attempted by Marjory Scott Wardrop. London, 1912. p. 212. n. 4.  
Prof. J. C. Risler — La civilisation arabe. Paris, 1955. p. 123.
147. Ali Mazaheri — La vie quotidienne des Musulmans au Moyen Age. Paris, 1951. p. 225-8.
149. Prof. Ed. Kalt — Biblisches Reallexikon. Paderborn, 1938. S. 846.
150. Prof. W. Gundel — Sterne und Sternbilder im Glauben des Altertums und der Neuzeit. Bonn und Leipzig, 1922. S. 59.
151. Le Livre de l'Ascension de l'Esprit sur la forme du Ciel et de la Terre. Cours d'Astronomie, rédigé en 1279 par Grégoire Aboulfarag dit Bar-Hebraeus, publiée par F. Nau. Paris, 1900. p. 103.
152. K. Schwenk — Die Mythologie der Perser. Frankfurt, 1855. S. 5.
153. Collection des Auteurs latins, avec la traduction en fran., publiée sous la direction de M. Nisard. Paris, 1878. p. 616.
154. Plinius Secundus — Naturalis Historiae. tome II. Cap. 40.
155. ვეფხისტყაოსანი, ი. აბულადის რედაქციით, თბილისი, 1914. გვ. 202.
156. დ. ჩუბინაშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონი. თბილისი, 1901.
157. Richard Meckelein — Georgisch-deutsches Wörterbuch. Berlin, 1928. S. 638.
158. Proclus le Philosoph — Commentaire sur Le Parmenide, traduit... par prof. A. Td. Chaignet. Paris, 1901. tome II. p. 243-246.
159. Prof. Jensen — Kosmologie. S. 134.
160. Fr. Cumont — Les religions orientales dans le paganisme romain. p. 215.
161. Prof. Jastrow — Aspects of Religions belief and practice in Babylonia and Assyria. New York, 1911. p. 259.
162. France Cumont — Astrology and Religion among the Greeks and Romans. N. Y. London, 1912. p. 28.
163. Prof. Alfred Jeremias — Allgemeine Religionsgeschichte. München, 1924. S. 179.
164. Dr. Wilhelm Engel — Die Schicksalsidee im Altertum. Erlangen. Iena, 1926. S. 65.
165. Louis Renou — Anthologie Sanscrite. Paris, 1947. p. 98, 125.
166. O. G. von Wesendonk — Das Weltbild der Iranier. München, 1933. S. 259-273.
167. მიჯაჭვული პრომეთე. თარგმანი ბერძნულიდან ა. ქუთათელის მიერ. თბილისი, 1948. გვ. 18, 33.
168. Edmond Grindlay Berry — The History and development of the concept of Moira and Tixn down to and including Plato. Chic. 1940.
169. J. Kroll — Die Lehren des Hermes Trismegistos. Münster, 1914. S. 227.
170. St. Georg Stock — Fate (Greek and Roman). Encyclop. of Rel. and Ethics, by Hastings. 1912. Vol. VI. p. 786.
171. Prof. Charles Werner — La philosophie grecque. Paris, 1946. p. 223.
172. Fr. Cumont — Astrology and Religion among the Greeks and Romans. N. York, 1912. p. 153-161.
173. Anton Anwander — Wörterbuch der Religion. Würzburg, 1948. S. 28.
174. Les Enneades de Plotin par M. N. Bouillet. Paris, 1857.
175. Jan de Vries — Altgermanische Religionsgeschichte. Berlin, 1937. B. II. S. 166.



176. Ed. Zeller — Grundriss der Geschichte der griechischen Philosophie. Leipzig, 1886. S. 300.
177. Prof. Joachim Konrad — Schicksal und Gott. 1947. S. 207, 298.
178. A. E. Sufrin — Fate (Jewish). *Encycl. of Religion and Ethics*, by Hastings. N. Y. V. V.
179. A. G. Festugiere — Hermétisme et Gnose palenne *Histoire général des religions*. Paros, 1945.
180. A. Anwander — Wörterbuch der Religion. Würzburg, 1948. S. 258.
181. ნემესიოს ემესელი — ბუნებისათვის კაცისა. ბერძნულითგან გადმოღებული ოვანე პეტრიწის მიერ. ს. გორგამის რედაქტორობით. თბილისი, 1914. გვერდი 144, 296.
182. R. O. Moors — Fortuna. *Enc. of Rel. and Eth.* edit by Hastings. N. York. 1928.
183. Prof. K. Roth — *Cultura del Imperio Bizantino*. Barcelona, 1926. p. 128.
184. Fate (introductdry) in *Encyclopaedia of Religion and Ethics*, edited by Prof. James Hastings. New York, 1928. Vol. V. p. 774.
185. Simone Petrément — *Le dualisme chez Platon, les gnostiques et les manichéens*. Paris, 1947. p. 133.
186. E. F. Scott — Gnosticism, in *Hastings Enc. of Rel. and Ethics*. N. York, 1913. Vol. VI. p. 235.
187. *Le Coran, traduit... par M. Savary*. Paris, 1883. p. 283.
188. Prof. Ignaz Goldzieher — *Vorlesungen über den Islam*. Heidelberg, 1925. S. 83-101.
189. B. Carra de Vaux — Kismet, in *Hastings Enc. of Rel. and Ethics*. N. York, 1928. Vol. VII.
190. Ernst Diez — *Glaube und Welt des Islam*. Stuttgart, 1945. S. 37, 53, 55, 95.
191. Alexandre Chodzko — *Grammaire persane*. Paris, 1952. p. 147.
192. *Handwoerterbuch des Islam*. Leiden, 1941.
193. A. Hodzke — *Grammaire persanne*. Paris, 1852.
194. Prof. C. de Harlez — *Avesta*. Paris, 1881. p. 56, 75.
195. Dupuis — *Abregé de l'origine de tous les cultes*. Bruxelles, 1825. t. I. p. 83.
196. Prof. C. de Harlez — *Avesta*. Paris, 1881. p. 87.
197. Ad. Frank — *Destin. Dictionnaire des sciences philosophiques*. Paris, 1875. p. 373.
198. Prof. An. Anwander — *Woerterbuch der Religion*. S. 258.
199. Johannes Bühler — *Die Kultur des Mittelalters*. Stuttgart, 1948. S. 124-5.
200. *Le Livre des Rois*, par M. Jules Mohl. Paris, 1838. Vol. I. p. 111.
201. Prof. J. Witte — *Das Jenseits im Glauben der Voelker*. Leipzig, 1929. S. 120.
202. *The Encyclop. Brit.* 1929. Vol. II, p. 576.
203. ქართლის ცხოვრება. დედოფალ მარიამის ვარ. ექვთიმე თაყაიშვილის რედაქციით. გვ. 447.
204. ბატონიშვილი ვახუშტი — საქართველოს ცხოვრება. თბილისი, 1913. გვ. 32.
205. სოლ. ყუბანიშვილი — ძველი ქართული ლიტერატურის ქრესთ. გვ. 238.
206. შაჰ-ნამეს ქართ. ვერსიები, ი. აბულამის რედაქციით. თბილისი, 1934. წიგნი 2. ლექსიკ.
207. Alexandre — *Dictionnaire Grec-Fran.* Paris, 1888. p. 1429.
208. ია ეკალაძე — ანთოლოგია. გვ. 83.
209. ბესიკი. მეოთხე გამოცემა. თბილისი, 1932.
210. Prof. C. de Harlez — *Manual du Pehlevi des Livres religieux et historiques de la Perse*. Paris, 1880. p. 224.

211. Prof. A. Jeremias — Book of Life, in Hastings Enc. of Rel. and Ethics. N. York, 1909. Vol. II.
212. Prof. Ed. Kalt — Biblisches Reallexikon. Paderborn, 1938. Band II. S. 151.
213. A. E. Sufrin — Fate (Jewish), in Hastings Enc. of Rel. and Ethics. N. York, 1928. Vol. V. p. 793.
214. Seifenberger — Buch des Lebens. Kirchenlexikon. Freiburg, 1883. B. II. S. 1389.
215. A. Calmet — Dictionnaire de la Bible. Paris, 1846. Vol. III. p. 168.
216. Prof. R. Hartmann — Die Glaube des Islam. Berlin, 1944. S. 101.
217. F. Buhl — Al-Kuran. Handwoerterbuch des Islam. Leiden, 1941. S. 348, 361.
218. E. Diez — Glaube und Welt des Islam. Stuttgart, 1946. S. 64.
219. იოანე ბატონიშვილი — კალმასობა. თბილისი, 1862. გვ. 72.
220. Louis Renou — Anthologie Sanscrite. Paris, 1947. p. 173.
221. პროფ. ივანე ჯავახიშვილი — ქართული სამართლის ისტორია. ქუთაისი, 1919. წიგნი 1. გვ. 4, 139-140.
222. პროფ. ივ. ჯავახიშვილი — ქართველი ერის ისტორია. თბილისი, 1929, წ. 1. გვ. 334.
223. Prof. A. de Harlez — Avesta. Paris, 1881. p. 87.
224. E. Edwards — Sects, Zoroastrian, in Hastings Enc. of Rel. and Ethics. N. York, 1928. Vol. XI.
225. ექვთიმე თაყაიშვილი — პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები... გვ. 46.
226. Les Vers dorés, attribués á Pythagore. Moralistes Grecs. Paris, 1845. p. 449.
227. Prof. Oskar Montelius — Das Rad als religioese Sinnbild in vorchristlicher und christlicher Zeit. "Prometheus", Nom. 796. Berlin, 1905, S. 241.
228. Prof. Steven Runciman — Le Manichéisme Médiéval. Paris, 1949. p. 178. note 47.
229. B. Freire - Marreco — Charms and Amulets, in Hastings Enc. of Rel. and Ethics. London, 1910. Vol. III. p. 392.
230. E. Sindney Hartland — Lifetoken, in Hastings Enc. of Rel. and Ethics. Vol. VIII. p. 44.
231. Prof. Al. Jeremias — Handbuch der altorientalischen Geisteskultur. Berlin, 1929. S. 137.
232. Prof. W. Wundt — Voelkerpsychologie. Band II. Teil III. S. 545. B. V. T. II, S. 8, 4, 24, 200, 514 ff.
- Prof. W. Gundel — Sterne und Sternbilder. Bonn, 1922. S. 217.
233. Prof. W. H. Roscher — Die Sieben und Neun Zahl im Kultus und Mythus der Griechen. Abhandlungen der philosophisch-historischen Gesellschaft der Wissenschaften. Leipzig, 1904.
234. E. Diez — Glaube und Welt des Islam. 1945.
235. Prof. A. Drews — Der Sternhimmel. Iena, 1923.
236. R. A. Nicholson — Studies in Islamic Poetry. Cambridge, 1921. p. 151-2.
237. A. K. Firdousi — Le Livre des Rois, trad. Jules Mohl. Paris, tome III. p. 441.
238. Les Quatrains de Khéyam, trad. par J. Nicolas. Paris, 1867.
239. Nisami — Pjat Poem. Moskva, 1946. str. 63.
240. ამ. ჭელიძე — ირანელი ლირიკოსები. თბილისი, 1936.
241. პროფ. კორ. კეკელიძე — ავტორი ვტნისა და დრო მისი დაწერისა. "მნათობი". თბილისი, 1927. წიგნი 7-8. გვ. 161, 162.
242. Dongennes — Le fatalisme. Paris, p. 5.
243. Fatalismo. Enciclopedia univ. ilustr. Europeo-Americana. Barcelona. tomo XXIII. p. 358.

244. Prof. J. C. Risler — La civilisation arabe. Paris, 1955. p. 178.
245. Prof. Régis Blanchere — Histoire de la littérature arabe. Paris, 1952. p. 33.
246. პროფ. ივ. ჯავახიშვილი — ქართული სამართლის ისტ. ქუთაისი, 1919. წ. 1. გვ. 15.
247. Carra de Vaux — Alchemy, in Hastings Enc. of Rel. and Ethics. Vol. I. p. 289.
248. Grand Dictionnaire. tome X. p. 182.
249. Prof. N. Marr — Texti i Rasiskanja. Petersburg, 1910. Tom XII. str. XVI.
250. Prof. V. Henry — Le Parsisme. Paris, 1905. p. 220.
251. Archiv für Religionswissenschaft. Leipzig, 1931. Band 29. Heft ½. S. 187.  
Th. Noldecke — Mutter Erde. ib. B. VIII. Leipzig, 1905. S. 161.
252. Gustaw Freitag — Aus dem Mittelalter. Leipzig, 1903.
253. Charles Doughty — Arabia Deserta. London.
254. Konrad Schwenck — Die Mythologie der Perser. Frankfurt am Main, 1855. S. 4.
255. The Man in the Panther's Skin by Rust'haveli, London, 1912. p. 14.
256. Encyclopaedia Biblica, edit. by Cheyne and Suth Black. Vol. I. p. 120 — Aloes.
257. Der Grosse Brockhaus. Leipzig, 1935. F. XX. S. 770.
258. Prof Angelo de Gubernatis — La Mythologie des Plantes. Paris, 1882. t. II. p. 115.
259. Franz Cumont — Les religions orientales dans le paganisme romain. Paris, 1929.
260. Smith — Dictionnaire de Biographie, Mythologie etc. Paris, 1875. p. 217.
261. Kaulen — Kirchenlexikon. Fraiburg. 1882. B. I. S. 576.
262. The Encyclopaedia Brit. Vol. I. p. 675.
263. F. Vigouroux — Dictionnaire de la Bible. Paris, 1895. t. I. p. 339.
264. Firdousi — Le Livre des Rois. Vol. IV. p. 429.
266. Enrique Ubire White — Rubaiyata de Omar Khyyam. Bogotá, 1936. p. 44, 141.
267. Gulistan de Sadi de Chiraz, par N. Semelet. Paris, 1834. p. 286.
268. Victor Hehn — Kulturpflanzen und Haustiere. Berlin, 1911. S. 293.
269. Prof. C. de Harlez — Manuel du Pehlevi... Paris, 1880. p. 257.
270. Enciclopedia universal. tomo XVI.
271. პროფ. ივ. ჯავახიშვილი — საქართველოს ეკონომიური ისტორია. თბილისი, 1934. წიგნი 2. გვ. 90.
272. C. Alexandre — Diction. Grec-fran. Paris, 1888.
273. Renaud Paulian — Les Coléopteres. Paris, 1943. p. 246, 350.
274. Steier — Tiger, in Pauly-Wissowa's Encycl. der Altertumswissenschaften. B. XI. S. 948.
275. Prof. Angelo de Gubernatis — Mythologie zoologique. Paris, 1874. t. II. p. 169.
276. Pierre Gordon — L'image du monde dans l'Antiquité. Paris, 1949. p. 19.
277. Kitto — Cyclopaedia of Biblical Literature. Edinbrough, 1855. p. 530.
278. Prof. A. Jeremias — Handbuch der altorientalischen Geisteskultur. Berlin, 1929. S. 351.
279. Mengis — Tiere. Avergläubenslexikon, Band XIII. S. 945.
280. Louis Renou — Anthologie Sanscrite. Paris, 1947. p. 180.
281. Le Livre des Rois. Paris, 1838. p. 29.
282. Prof. G. F. Moore — History of Religions, N. York, 1916. p. 517.
- 282a. Von Karl Filipp — Beitrage zur Darstellung des persischen Lebens. Halle a/Saale, 1901. S. 3.
283. Fr. Cumont — Jupiter Exsuperantissimus. Archiv der Religionswissenschaften, 1906. Band IX. S. 335.
- 283a. André Berry — Florilege des Troubadours. Paris, 1930. p. 327.

284. Pfister — Kult. Lexikon der Aberglauben. Berlin, 1933. Band V. S. 792.
285. Prof G. d'Haucourt — La vie au Moyen Age. Paris, 1952. p. 78.
286. F. Nicolay — Historia de la Creencia. Buenos Aires. p. 76.
287. Adolf Ermann — Die Aegyptische Religion. Berlin, 1905. S. 178.
288. Ort — Katze, Pauly-Wissowa's Lex. B. XI. S. 52.
- 288a. Th. Rev. T. K. Sheyne and J. Sutherland Blanck — Encyclopaedia Biblica. London, 1889. Vol. I. p. 709.
289. ილია ჭყონია — სიტყვის კონა. პეტერბურგი, 1910. გვ. 30.
289. John Kitto — Cyclopaedia of Biblical Literatur. Edinbourgh, 1855. p. 643.
290. R. Dozy — Recherches sur l'Histoire politique et littérature de l'Espagne pendant le Moyyen Age. Leyde, 1849. p. 347.
291. Encycl. des Islam. Leiden, 1913. B. I. S. 389.
292. Armand Kahn — La littérature arabe. Paris, p. 68.
293. Grand Dictionnaire Universal. t. I. p. 760.
294. W. E. D. Allen — Note on the Caucasian Snow Partridge, in "Georgica", No. 4 and 5. London. 1937. p. 154.
295. Dr. Karl Diem — Asiatische Reitterspiele. Berlin...
296. Prof. René Groussé — L'Empire des Steppes.
297. Salomon Reinach — Gultes, Mythes et religions. Paris, 1908. Vol. III. p. 76.
298. Fenix, Encicl. univ. ilustr. Europeo-Americana. Barcelona, tomo XXIII. p. 676.
299. Prof. V. Henry — Le Parsisme. Paris, 1905. p. 99, 101.
300. N. Thomas — Animals, in Enc. of Rel. and Ethics, by Hastings. 1908. Vol. I. p. 514.
301. The Encycl. Brit. London, 1929. Vol. 17, p. 772.
302. Encyclopaedia Biblica. London, 1901. Vol. II. p. 1145.
303. J. Kitto — Cyclopaedia of Biblical Literature. Cambridge, 1855. p. 270.
304. Visramiani, translated... by Oliver Wardrop. London, 1914. p. 28.
305. "მოამბე", თბილისი, 1901. "სამეგრელოს აღწერა".
306. Diesterwegs populaere Himmelskunde. Leipzig, 1941. S. 103.
308. Julius Firmicus Maternus, Matheseos libri VIII. ed. W. Kroll et F. Skutsch. Leipzig. Teubner, 1897. Vol. I. p. 38 = 1. I. c. 10, 14-15.

ვეფხისტყაოსანის ვარსკვლავთმეტყველება

სარჩევი

უწყებულება მკითხველისათვის

რვეული პირველი

წინარი

ვარსკვლავთმეტყველებისათვის

რვეული მეორე

ვეფხისტყაოსანის ნათლისმეტყველება

კარი პირველი

ვტნის ნათელი და სინათლე

თავი 1. ნათელი და სინათლე საერთოდ

თავი 2. ვეფხისტყაოსანის ნათელი

ა) თინათინი — ნათელი

ბ). ნესტანი — ნათელი

გ) ავთანდილი — ნათელი

დ). ტარიელი — ნათელი

ე). ყველა გმირი — ნათელი

თავი 3. სინათლე

ა). ნესტანი — სინათლე

ბ). ავთანდილი — სინათლე

გ). ტარიელი — სინათლე

დ). ნათელი და სინათლე სრული

თავი 4. სინათლისა სვეტნი

თავი 5. ელვა

ა). თინათინი — ელვის მფენელი

ბ). ნესტანი — ელვის მფენელი

გ). ავთანდილი — ელვის მფენელი

დ). კბილნი და თვალნი — ელვისმფენი

ე). თვალნი პატიოსანნი — ელვის მფენელნი

თავი 6. შუქი

ა). თინათინი — შუქთა მფენი

ბ). ნესტანი — შუქთა მფენი

გ). ავთანდილი — შუქთა მფენი

დ). ტარიელი — შუქთა მფენი

ე). ფრიდონი — შუქთა მფენი

ვ). სურხავი — შუქთა მფენი

- ზ). გმირნი — შუქთა მაფენი
- წ). თვალნი პატოსანნი — შუქთა მფენნი

### დასკვნა

#### კარი მეორე ვეფხისტყაოსანის ცა

- თავი 1. ცა ვითარცა ცა
- თავი 2. ვეფხისტყაოსანის ცა
  - ა). ცა — მრგვალი
  - ბ). ცა — მზრუნავი
  - გ). ვტნის შვიდი და ცხრა ცა
  - დ). ცათა ღმერთი
  - ე). ღმერთის სასუფეველი
  - ვ). ცა — მწყალობელი
  - ზ). ცა — მრისხველი
  - წ). ცა — საფიცარი
  - თ). ცა — სასუფეველი
  - ი). ცის სიშორე
- თავი 3. ზესთა, ზენა და ზესი
  - ა). ზესთა ზე
  - ბ). ზენა
  - გ). ზესი
  - დ). ზე, ზედაღმა
  - ე). ზეგარდმო
- თავი 4. ვარსკვლავნი

### დასკვნა

#### რვეული მესამე ვეფხისტყაოსანის მნათობთმეტყველება კარი პირველი ვტნის შვიდნი მნათობნი

- თავი 1. მნათობნი საერთოდ
  - თავი 2. თინათინი — მნათობი
  - თავი 3. ნესტანი — მნათობი
  - თავი 4. გმირნი ერთად — მნათობნი
- ### დასკვნა

## კარი მეორე

### ვეფხისტყაოსანის მზე და მთვარე

თავი 1. მზე

თავი 2. მთვარე

- ა) მთვარე — მნათობი
- ბ) თინათინი — მთვარე
- გ) ნესტანი — მთვარე
- დ) ავთანდილი — მთვარე
- ე) ტარიელი — მთვარე
- ვ) ფრიდონი — მთვარე
- ზ) ტარიელ, ავთანდილ, ფრიდონ — მთვარე
- წ) მთვარე — სიყვარულის მკურნალი
- თ) დაუსახელებელი მთვარე

### დასკვნა

ი). მთვარე სპარსულ-არაბულ მწერლობაში

თავი 3. გველი და მთვარე

- ა). გველი საერთოდ
- ბ) მთვარისა და მზის დაბნელება
- გ) ვტნის გველი
- დ) გველი და მთვარე

## კარი მესამე

### ხუთნი მნათობნი

თავი 1. ცისკარი — ვენუს — ასპიროზი

თავი 2. მარს — მარიხი

თავი 3. იუპიტერი — მუშთარი

თავი 4. კრონოს — სატურნუს — ზუალი

### რვეული მეოთხე

### შვიდთა მნათობთადმი გალობა

### კარი პირველი

### გალობის დასაბუთება

თავი 1. გალობა და ვედრება მნათობთა წინაშე

თავი 2. ავთანდილის გალობა მნათობთადმი

- ა). მზე
- ბ). ზუალი — კრონოს — სატურნუს
- გ). მუშთარი — იუპიტერ
- დ). მარიხი — მარს
- ე). ასპიროზი — ვენუს

ვ). ოტარიდი — მერკურიუს

ზ). მთვარე

წ). შვიდთა მნათობთა მოწმობა

თავი 3. ავთანდილის გალობა

თავი 4. შვიდთა მნათობთა ბუნება

**დასკვნა**

თავი 5. ქარრანული ვედრება

კარი მეორე

**შვიდთა მნათობთა ქება მსოფლიო მწერლობაში**

თავი 1. მატერნუსის ლოცვა

თავი 2. საბიანთა ლოცვა

თავი 3. გაბიროლის გალობა

თავი 4. ნიზამის გალობა

რვეული მეხუთე

**ვეფხისტყაოსანის ეტლთამეტყველება**

კარი პირველი

**ეტლის ზოდიაკონი**

თავი 1. ეტლი ანუ ზოდიაკონი

თავი 2. ეტლი — ლომი

თავი 3. ეტლი: საროს ტანი, თუ სარატანი

კარი მეორე

**დაუსახელებელი ეტლი**

თავი 1. პირველი უცნობი ეტლი

თავი 2. მეორე უცნობი ეტლი

თავი 3. მესამე უცნობი ეტლი

თავი 4. მეოთხე უცნობი ეტლი

თავი 5. მეხუთე უცნობი ეტლი

თავი 6. მეექვსე უცნობი ეტლი

თავი 7. მეშვიდე უცნობი ეტლი

თავი 8. მერვე უცნობი ეტლი

თავი 9. მეცხრე უცნობი ეტლი

თავი 10. მათე უცნობი ეტლი

თავი 11. მეთერთმეტე უცნობი ეტლი

**დასკვნა**



რვეული მეექვსე  
კარი პირველი  
ვარსკვლავედნი

თავი 1. ძაღლი — სირიუსი  
თავი 2. ხომნი

კარი მეორე  
მსოფლიოს მწყობრის სხვა ნაწილნი

თავი 1. სამყარო  
თავი 2. ეთერი  
თავი 3. ჰაერი

უკმოხილვა  
რვეული მეშვიდე  
ვტნის ბედისმეტყველება  
კარი პირველი  
ბედის ამბავი  
კარი მეორე  
ბედის საკითხი ვტნში

თავი 1. რაცა ვის რა ბედმან მისცეს  
თავი 2. თინათინი და ბედი  
თავი 3. ავთანდილი და ბედი  
თავი 4. ფრიდონი და ბედი  
თავი 5. სურხავი და ბედი  
თავი 6. ტარიელი და ბედი  
თავი 7. ნესტანი და ბედი  
თავი 8. ფატმანი და ბედი  
თავი 9. ასმათი და ბედი  
თავი 10. რამაზი და ბედი  
თავი 11. როშაქი და ბედი  
თავი 12. ორისავ იყოს მხლებელი  
დასკვნა

კარი მესამე  
ბედის მაჩვენებელი ვტნში

- თავი 1. ჰოროსკოპი
- თავი 2. სუე, სვე
- თავი 3. ეტლი
- თავი 4. მოწვევადი, მოსაწევარი
- თავი 5. დავლათი და დავლა
- თავი 6. ფათერაკი
- თავი 7. წერა
  - ა). ბაბილონური ციური წიგნი
  - ბ). ეგვიპტური ციური წიგნი
  - გ). ისრაელი ციური წიგნი
  - დ). ქრისტიანული ციური წიგნი
  - ე). მაჰმადიანური ციური წიგნი
  - ვ). ჩემსა ეტლსა და წერასა
- თავი 8. წადმართი

კარი მეოთხე  
სოფელი და ცა ვტნში

- თავი 1. სოფელი და საწუთრო
- თავი 2. თინათინი და სოფელი-საწუთრო
- თავი 3. ავთანდილი და სოფელი-საწუთრო
- თავი 4. ნესტანი და სოფელი-საწუთრო
- თავი 5. ტარიელი და სოფელი-საწუთრო
- თავი 6. ასმათი და სოფელი-საწუთრო
- თავი 7. ფატმანი და სოფელი-საწუთრო
- თავი 8. რამაზი და სოფელი-საწუთრო
- თავი 9. ვტნის შემოქმედი და სოფელ-საწუთრო
- თავი 10. ცა და ცის ბორბალი

კარი მეხუთე  
ნიშანი და რიცხვი

- თავი 1. ნიშანი
  - ა). ნიშანი - ომინა
  - ბ). სიცოცხლისა ნიშანი რამ
  - გ). ნიშანი - მოგვეური ძალისა
  - დ). აღმასი
  - ე). გრძნება და მისნობა
- თავი 2. შვიდი და ცხრა
  - ა). შვიდი - წმიდა რიცხვი

- ბ). ცხრა - წმიდა რიცხვი
- გ). ვტნის შვიდი და ცხრა

### დასკვნა

კარი მეექვსე

### ბედის საკითხი აღმოსავლეთის მწერლობაში

თავი 1. ბედი ვისრამიანში

თავი 2. ბედის საკითხი არაბულ-სპარსულ მწერლობაში

კარი მეშვიდე

ჭირი და ლხინი

### დასკვნა

საბოლოო დასკვნა

ბეჟოას ქალის მოსახსენებელად

ვტნის ბუნებისმეტყველება

წინარი

კარი პირველი

ამბავი მიწისა

თავი 1. მიწა

- ა). ფიცი მიწაზე
- ბ). მიწა — თაყვანებისათვის
- გ). მიწა — სამარე
- დ). დამიწება
- ე). მიწა — ქვეყანა
- ვ). მიწა — მიწა
- ზ). მიწა — კავშირი

თავი 2. წყალი

- ა). წყალი — მდინარე
- ბ). წყალი — წყურვილისათვის
- გ). წყალი — გამკურნებელი
- დ). წყალი — დამაშრეტელი
- ე). წყალი — ცრემლი
- ვ). ვარდისწყალი
- ზ). წყალი — გასართობი
- წ). წყლიანი
- თ). წყალ-ჯავარი
- ი). წყალი — პატივი, სახელი, დიდება
- ია). წყალი — კავშირი

**კარი მეორე**  
**ვეფხისტყაოსანის მცენარენი**

თავი 1. ხე საერთოდ

- ა). ხე — მცენარე
- ბ). ხე — პოეტური შედარებისათვის
- გ). ხე — მფარველი

თავი 2. ალვა

- ა). ალვა — ედემის ხე
- ბ). თინათინი — ალვა
- გ). ნესტანი — ალვა
- დ). ავთანდილი — ალვა
- ე). ტარიელი — ალვა
- ვ). ფრიდონი — ალვა
- ზ). ალვა — ალომ, ალლოე
- წ). ორი ალვა
- თ). ალვა ქართულ პოეზიაში

თავი 3. სარო

- ა). ავთანდილი — სარო
- ბ). ტარიელი — სარო
- გ). ნესტანი — სარო
- დ). სურხავის ვაჟი — სარო

თავი 4. ნარინჯი

თავი 5. ნუში

თავი 6. ლერწამი

- ა). ავთანდილი — ლერწამი
- ბ). ტარიელი — ლერწამი
- გ). თინათინი — ლერწამი

თავი 7. ლელი

თავი 8. ვერხვი

თავი 9. ძეწნა

თავი 10. ნა

თავი 11. ეკალი და ქაცვი

თავი 12. წნელი

თავი 13. ნარი

თავი 14. კენარი

თავი 15. ჩალა

კარი მესამე

**ვარდ-ყვავილნი**

კარი მეოთხე

**ვტნის ცხოველნი**

- ა). ჯორი

- ბ). თხა
- გ). აქლემი
- დ). ძაღლი
- ე). ვირი
- ვ). რემა
- ზ). ზროხა
- წ). ცხვარი
- თ). შველი
- ი). ჯიქი
- ია). ირემი
- იბ). კანჯარი
- იგ). ქურციკი
- იდ). ავაზა
- იე). აზავარი
- ივ). მელა
- იზ). მგელი
- იწ). ყარყუმი
- ით). ვეფხი
- კ). ლომი
- 1. ლეკვი ლომისა
- 2. ვტნის გმირნი — ლომნი
- ა). ავთანდილი — ლომი
- ბ). ტარელი — ლომი
- გ). ფრიდონი — ლომი
- დ). სარიდანი — ლომი
- ე). ლომი — მეფე
- ვ). ლომი და დედაკაცი
- ზ). ლომი — მწერლობაში
- 1. ლომი — ზრდილობის სიტყვა
- 4. სისხლი ლომისა
- 5. ლომი და კატა
- კა). ვეშაპი, ასპიტი
- კბ). ნიანგი
- კგ). ტანაჯორი
- კდ). ხრდალი
- კე). ცხენი
- 1. ცხენის ამბავი
- 2. ცხენთა ჯოგი
- 3. ცხენთა რიცხვი
- 4. ცხენთა სისწრაფე
- 5. ტაიჭი და მერანი
- 6. ცხენი — საჩუქარი
- 7. ცხენის ფერი

კარი მეხუთე  
ვტნის ფრინველნი

- ა). ყორანი
- ბ). ყვავი
- გ). ბულბული
- დ). ბუ
- ე). გავაზი
- ვ). კაკაბი
- ზ). არწივი და ორბი
- წ). სირი
- თ). დურაჯი
- ი). ქორი
- ია). გნოლი
- იბ). ჩიტე
- იგ). შავარდენი
- იდ). იხვი
- იე). ბატი
- ივ). იადონი
- იზ). ტრედი
- იწ). კატა

დანართი პირველი  
იულიუს ფირმიკუს მატერნუსის ლოცვა მნათობთადმი

დანართი მეორე

- თავი 1. ნათესავი
- თავი 2. ტომი
- თავი 3. სახლი
- თავი 4. ერი
- თავი 5. თემი

დანართი მესამე

- თავი 1. ალქიმია
- თავი 2. დაქოლვა
- თავი 3. სამსარა
- თავი 4. ნაკი

დანართი მეოთხე

ს. ს. ორბელიანის ლექსიკონიდან ამოწერილნი საასტრონომიო ცნობანი  
მასალათა მათითებელი  
სარჩევი